

მთარ კასრაქე

ნაკვევები ქართული ნიგნის  
ბეჭდვის ისტორიიდან



ხელოვნება • თბილისი • 1997

წიგნი ამავე ავტორის აღრინდელ გამოცემებში „ძველ ქართულ წიგნსა“ და „ქართული წიგნის ბეჭდვის კერებში“ დაწყებული ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის საკითხების კვლევის გაგრძელებაა. მასში განხილულია XVII—XVIII საუკუნეებში ქართული წიგნის ბეჭდვის განვითარების ძირითადი ეტაპები, 1686 და 1703 წლებში უცხოეთში დამზადებული ქართული შრიფტები, ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის ზოგიერთი საკითხები, ძველი ქართული წიგნების სტამბური კაზმულობა, 1743 წელს დაბეჭდილი „ბიბლია“, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის ისტორია, XIX საუკუნეში თბილისსა, მოსკოვსა, პეტერბურგსა და უცხოეთში დაბეჭდილი ქართული წიგნები; მოცემულია XVIII—XIX საუკუნეების ქართველ მესტამბე-გამომცემელთა მოკლე ბიოგრაფიები.

ნაშრომი განკუთვნილია ქართული წიგნთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი : **ბ. შარაძე**  
**რ. ბარამიძე**

## აპტორისაგან

წიგნი და დამწერლობა ერთმანეთისაგან განუყოფელი, იდეკატორი ცნებებია. მათი არსებობის ისტორია თითქმის ერთდროულად იღებს სათავეს შორეულ წარსულში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დამწერლობა, რომელსაც ძველმა ეგვიპტელებმა და მთელს ახლო აღმოსავლეთში თავიანთი კულტურით გამოარჩეულმა უმერებმა ჩაუყარეს საფუძველი IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, გარკვეულწილად წინ უსწრებს წიგნის წარმოშობას.

დამწერლობის განვითარების ისტორია სამ ძირითად ეტაპად იყოფა: იეროგლიფურ, ლურსმულ და ასოით, ანუ ანბანურ დამწერლობად. განვითარების ეს ეტაპები ნაწილობრივ ქართულმა დამწერლობამაც განვლო. იეროგლიფური დამწერლობის ნიშნები შეიმჩნევა, მაგალითად 1959—1964 წლებში თრიალეთში, მდინარე ხრამისა და მის მარჯვენა შენაკადს ყარაბულაღს შორის მდებარე გომარეთის, ანუ ზურტაყეტის ყორღანული სამარხების გათხრებისას აღმოჩენილ II—III ათასწლეულით დათარიღებულ ჯაყურ, ანუ ნიშნიან ქვებზე, რომელთა ამოკითხვა ჭერ-ჭერობით ვერ მოხერხდა. „შესაძლოა, — განმარტავს ამ გათხრების ხელმძღვანელი ო. ჯაფარიძე, — რომ ზურტაყეტის ყორღანების ზოგიერთ ნიშნიან ქვაზე უკვე აზრის გადმოცემის, დამწერლობის ცდასთან გვექონდეს საქმე. არ არის გამორიცხული, რომ ზოგ მათგანს უკვე პიქტოგრაფიული ან, ეგებ, იდეოგრაფიული მნიშვნელობაც კი ჰქონდა... [დასაშვებია], რომ ჩვენში უკვე III ათასწლეულიდან მოკიდებული, დამწერლობის სისტემის შექმნის გარკვეულ ცდებს ჰქონდა ადგილი. როგორც ცნობილია, ეს ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან ძალიან ახლო ურთიერთობის პერიოდი, ამის გამო ჩვენში, მთელ რიგ დარგებში, აღმავლობა შეინიშნება. შესაძლებელია, რომ ძველ აღმოსავლურ სამყაროდან, სხვასთან ერთად, დამწერლობის იდეაც შემოდის“<sup>1</sup>.

დასასრულ ო. ჯაფარიძე ასკვნის: „ეფიქრობთ საფუძველი გვაქვს დავუშვათ, რომ (ზურტაყეტის ქვებზე ამოკაწრული) ზოგიერთი ნიშანი დამწერლობის ჩასახვის ცდასთანაა დაკავშირებული“<sup>2</sup>.

იეროგლიფურისაგან განსხვავებით შუამდინარეთიდან წამოსულმა უმერების ლურსმულმა დამწერლობამ ვერ მოიკიდა ფეხი საქართველოში. სამაგიეროდ, ფართო განვითარება პოვა ასოითმა, ანუ ანბანურმა დამწერლობამ. არსებობს ცნობა, რომ ჭერ კიდევ პირველ ათასწლეულში კოლხებს ჰქონიათ ტყავზე დაწერილი წიგნი, რომელშიც იღწერილი ყოფილა

<sup>1</sup> ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 1969, გვ. 195, 196.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 196.

ოქროს მოპოვების ტექნოლოგიური პროცესი. ცნობილი ისტორიკოსის პერგამელისა და სხვათა გადმოცემით არგონავტების კოლხეთში შემოსვლას საფუძვლად ედო არა ოქროს საწმისით დაინტერესება, არამედ სწორედ ამ წიგნის ხელყოფა.

ანბანური დამწერლობის ისტორია ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან დღემდე განვილი პერიოდს მოიცავს. ამ სახის დამწერლობის უძველესი ძეგლია 1952 წელს პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად, იორდანის უდაბნოში არქეოლოგიური გათხრებისას იტალიელ ვ. კორბოს მიერ აღმოჩენილი მონასტრის ნანგრევების კედლებსა და იატაკზე შემორჩენილი ქართული წარწერები, რომლებიც უცხოეთში მოღვაწე მ. თარხნიშვილმა ამოიკითხა.

ამ პალესტინურ ეპიგრაფიკულ მემკვიდრეობასთან ერთად ქართული ანბანური დამწერლობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბოლნისის სიონის ტაძრის 493—494 წლების წარწერებს, აგრეთვე მცხეთის, უკანგორისა და საკიპლუხტის მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომელთა წარწერებიც VI—VII საუკუნეებით თარიღდება<sup>1</sup>. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული დამწერლობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში<sup>2</sup>.

დამწერლობის, ხუროთმოძღვრების, მონუმენტური კედლის მხატვრობის განვითარებითა და საერთოდ ადრეული ფეოდალური ხანის საქარაველოში მაღალი კულტურული ცხოვრების დონით უნდა აიხსნას, რომ „V—VII საუკუნეებიდან ჩვენამდე მოაღწია არა მარტო ეპიგრაფიკულმა მასალამ, არამედ ხელნაწერმა წიგნებმაც, ე. წ. ხანმეტმა პალიმფსესტებმა“<sup>3</sup>.

ქართულმა ხელნაწერმა წიგნმა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე განვითარების რთული გზა განვლო. ასევე ითქმის ქართული ნაბეჭდი წიგნის შესახებ, რომელმაც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური დაწინაურებისა და კულტურული აღორძინებისათვის ქართლის გონიერი მეფის ვახტანგ VI მიერ თბილისში 1707-1709 წლებში სტამბის დაარსების შემდეგ ხელნაწერი წიგნი თანდათანობით ჩამოიცილა გზიდან.

ღრთა განმავლობაში ქართულმა ნაბეჭდმა წიგნმა გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ამა თუ იმ პოლიტიკურ-ეკონომიური, სოციალური და კულტურული ძვრების შესაბამისად, იცვლებოდა მისი როგორც გარეგნული სახე, ისე შინაარსი და დანიშნულება. ერთხანს იგი სასულიერო წოდების ინტერესებს ემსახურებოდა, შემდეგ ფეოდალურ არისტოკრატისას, მოგვიანებით წვრილბურჟუაზიისა და ა. შ. ყოველივე ამის მიუხედავად, ყოველ ისტორიულ ეტაპზე, ქართული წიგნი მკაფიოდ გამოკვეთილ დადებით საზოგადოებრივ და კულტურულ როლს ასრულებდა.

ამრიგად, ქართულ ნაბეჭდ წიგნს თავისი ისტორია აქვს, რომლის სიღრმისეულად შესწავლაც ხელს შეუწყობს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის გლობალურად წარმოჩენას.

ეს ნაშრომი ამ დიდ საქმეში მცირეოდენი წვლილის შეტანის ცდაა.

<sup>1</sup> ზ. ჭ უ მ ბ რ ი ძ ე, დედაენა ქართული, 1987, გვ. 235.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 227.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, გვ. 235.

## ქართული წიგნის გეგმვის ძირითადი ეტაპები

(XVII—XVIII საუკუნეებში)

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული საქართველო XVII საუკუნის მიწურულისათვის ძალზე მძიმე საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, აღმოსავლეთის მაჰმადიანური სახელმწიფოების — თურქეთ-ირანის გამუდმებულმა შემოსევებმა და ადგილობრივი მმართველი წრეებისაგან წაქეზებული მომთაბარე მთიელი ტომების — ქარელ-ბე-ლაქნელ ლეკების თავაშვებულმა, მძარცველურმა თავდასხმებმა, ხოლო მეორე მხრივ, მოშურნეობის გამო ერთმანეთზე დანასისხლად გადაკიდებულ გავლენიან ფეოდალთა შინაურმა აღრევებმა, XVIII საუკუნის დამდეგისათვის უკვე ძირს დასცა, დააქინა და დააძაბუნა არცთუ ისე შორეულ წარსულში პოლიტიკურად ერთიანი, ძლიერი საქართველოს ეკონომიკა და კულტურა.

ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსხნის, მისი პოლიტიკური გაძლიერების, ეკონომიკური აღორძინებისა და კულტურული დაწინაურების უმთავრეს საშუალებად იმდროინდელ მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული სამშობლოს გაერთიანება, რეაქციული, შიდაფეოდალური აღრევების აღკვეთა, განვითარების დაბალ დონეზე მყოფი, აღმოსავლეთის ჩამორჩენილი მაჰმადიანური ქვეყნების გავლენისაგან ჩამოშორება, ევროპულად

დაწინაურებულ, მზარდ, ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოება და ხალხში განათლების შეტანა მიაჩნდათ.

XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დამდეგისათვის ქართულ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებს, რომელთა მოვალეობაშიც ძირითადად კლერიკალური წრეებიდან გამოსულ ღვთისმსახურთა მომზადება შედიოდა, არ შეეძლოთ წერა-კითხვის უცოდინარი დაბალი ფენის ქართველი მოსახლეობის განათლებაზე ეზრუნათ. საქმეს კიდევ უფრო ართულებდა ხელნაწერი წიგნების სიმცირე და კალიგრაფ-გადამწერთაგან, ანდა მათი გაერთიანებების — „თაბუნების“ მიერ გადანუსხვაზე დაწესებული მაღალი ფასებო. ი. ბაგრატიონი „სწავლანის“ წინასიტყვაობაში წერს: „მცირედ არიან ესე გუარნი უკუვე წერილნი ქართულსა ენასა ზედა. არა თუ უგულისმოდგინობისა გამო ერთა მექვეყნება ჩვენისათა, არამედ ხშირად ზედა დასხმისა გამო ძველთა დროთა შინა მტერთაგან საჩკინოზთა მხარესა ამას შინა ქართლისასა მრავალნი წერილნი ესე გუარნი დაჰკარგოდნენ. და ვინაითგან ძველთა დროთა შინაცა არა იყო სტანბა, რათამცა ჰქონოდათ, უკეთუ აქუნდა ვისმე, კრძალვიდნენ წიგნებს. იგინი თავთათვისთაჲს და სხვათაგან მიზეზითა ამით გადაუწერელიცა შთებოდნენ“<sup>1</sup>.

ისე რომ, აღნიშნული პერიოდისათვის ქართველი ხალხას გარკვეულ ნაწილს ქვეყნის მძიმე საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარების, სკოლებისა და წიგნების ნაკლებობის გამო არ შეეძლო უცოდინარობისათვის თავი დაეღწია.

XVII—XVIII საუკუნეების ცნობილმა ქართველმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა სწორად განსაზღვრეს, რომ იმ დიდი პოლიტიკურ-ეკონომიური გარდაქმნებისა და კულტურული დაწინაურებისათვის ბრძოლა, რომელიც გამოიყვანდა ქვეყანას გამოუვალი მდგომარეობიდან, მოითხოვდა ხალხში განათლების შეტანას, მათი შეგნების ამაღლებას, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ყოველივე ამის მიღწევა სკოლისა და წიგნის გარეშე შეუძლებელი იყო, სწორედ ამიტომაც

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H, № 2196.

ანიჭებდნენ ისინი სტამბის დაარსების საქმეს დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

ქვეყნის აღორძინებაზე ზრუნვა ედო საფუძვლად სახელდობრ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, პოეტისა და მეცნიერის არჩილ II ცდას ქართული სტამბის დაარსებისათვის. 1661—1685 წლებში მისი გამგებლობისას კახეთსა და იმერეთში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებათა მიუხედავად, არჩილს ეროვნული სტამბის დაარსებისა და წიგნის გამოცემის იმედი არასოდეს დაუკარგავს. ამ დიდმნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად იღვწოდა იგი XVII საუკუნის ბოლო ოცწლეულისათვის სამშობლოსთან განშორებისა და მოსკოვში გადასახლების შემდეგაც. 1703 წლის 2 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ფ. ა. გოლოვინს სწერდა: «გასულ წლებში რუსეთის იმპერატორმა ნება დაგვრთო დაგვებეჭდა საეკლესიო და სერო წიგნები ჩვენი ივერიელი ხალხისათვის გასაგზავნად. ამის გაკეთება ახლა უფრო საჭიროა თურქეთისა და ირანის ტირანიის პერიოდში... უმორჩილესად გთხოვთ მოახსენოთ იმპერატორს ნება დაგვრთოს თავის სამეფო სტამბაში ჩვენს ენაზე რამდენიმე საეკლესიო წიგნი დავბეჭდოთ»<sup>1</sup>.

იმ რთული, დაძაბული დიპლომატიური მოლაპარაკებით გადატვირთვის მიუხედავად, რომელსაც უცხოელ მომხდურთაგან ძალით მიტაცებული სამეფო ტახტის დაბრუნების მიზნით რუსეთის საიმპერატორო კართან აწარმოებდა, არჩილმა მაინც გამონახა დრო, რათა 1705 წელს მოსკოვის სახაზინო სტამბაში „დავითნი“ დაებეჭდა. მას ეწადა რუსეთში გამოცემული საეკლესიო წიგნების სამშობლოში გაგზავნით გაელვრებინა და განემტკიცებინა ქართველ ხალხში სარწმუნოებრივი იდეალები და, აქედან გამომდინარე, ეროვნულ-პატრიოტული გრძნობები. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, გარკვეულწილად ქვეყნის იმდროინდელი აწეწილი საგარეო პოლიტიკური საკითხის მოგვარებასთან იყო დაკავშირებული.

ქართველ ხალხში განათლების შეტანამ და ამის საფუძველზე შემდგომში სამშობლო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური აღორძინების, კულტურული დაწინაურების იმედმა

<sup>1</sup> Московский центральный архив феодально-крепостной эпохи. Грузинские дела. Картон 27, № 2.

შთააგონა მეორე თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს, სახელოვან პოეტსა და მეცნიერ-რუსთველოლოგს ვახტანგ VI 1707—1709 წლებისათვის თბილისში ევროპულად მოწყობილი სტამბა დაეარსებინა. მის მიერ განხორციელებულმა ამ ღონისძიებამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ვახტანგ VI თანამედროვე ავტორი 1711 წელს ამ სტამბაში დაბეჭდილი კატეხიზმისა „სწავლა თუ ვითარ მართებს სწავლება მოძღვარსა მოსწავლისა“, მღვდელმონაზონი გერმანე წერდა: ვახტანგმა „მოიხვნა სტამბა ქვეყნით, ვლახეთით... და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა“<sup>1</sup>.

არჩილ II და ვახტანგ VI მსგავსად სტამბის დაარსებისა და წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეს დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე თავისი დროის ისეთი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, გონებაგამპკრიახი დიპლომატი და პოლიტიკოსი როგორც ერეკლე II იყო. 1784 წელს, იმ დროს, როდესაც თურქეთი ომის დაწყების მიზნით ანატოლიის ჩრდილოეთში ჯარების თავმოყრისათვის ემზადებოდა, ერეკლე თავის განაჩენში ქართლ-კახეთის სამეფო კარის ეკლესიის მღვდლის დავით ჩუბინაშვილის ლაშქარში გაწვევის თაობაზე წერდა: „ეს დავით მღვდელი სტამბაში გააწვესებულია. ესეც საქვეყნიერო და სჯულის სამსახურია. ამას მორიგეთ ნუ გაიყვანთ“<sup>2</sup>.

სახელმწიფოებრივი ინტერესების პოზიციებიდან უდგებოდნენ სტამბისა და წიგნების ბეჭდვის საკითხს თავისი დროის გამოჩენილი სხვა დანარჩენი მოღვაწენიც: ძმა ვახტანგ VI კათალიკოსი დომენტი, ბაქარ და ვახუშტი ბაგრატიონები, ანტონ I, გაიოზ რექტორი.

სტამბის დაარსებისა და წიგნების ბეჭდვის შემოღებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარდა, ფასდაუდებელი ღირებულება ჰქონდა მეცნიერულ-ლიტერატურული და საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც. მართალია, ქართულმა ხელნაწერმა წიგნმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალ-

<sup>1</sup> გერმანე, სწავლა თუ ვითარ მართებს სწავლება მოძღვარსა მოსწავლისა, 1711, გვ. 3.

<sup>2</sup> Ц а г а р е л и А., Сведения о памятниках грузинской письменности, вып. III, Спб, 1894, с. 5.



ხის კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, მას დადებითთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებებიც გააჩნდა. კალიგრაფიწიგნობარნი ხშირად უშვებდნენ უნებლიე შეცდომებს ხელნაწერების გადაწერისას — ტოვებდნენ სიტყვებს, წინადადებებს, არღვევდნენ მართლწერის ნორმებს და სხვა. ადგილი ჰქონდა თვითნებობის ფაქტებსაც. ზოგიერთ მათგანს პირადი მოსაზრებისა და შეხედულებებისამებრ მოურიდებლად შეჰქონდა გადასაწერ ტექსტში დედნის საწინააღმდეგო სწორება. ყოველივე ამის გამო კალიგრაფ-გადამწერთაგან წარყვნილი ხელნაწერი წიგნები სავსე იყო უზუსტობებითა და უხეში შეცდომებით. ამიტომ მესტამბე-გამომცემელთა მთავარ საზრუნავს, უპირველეს ყოვლისა, დასაბეჭდი წიგნების დედნების წესრიგში მოყვანა — მათი ბერძნულ-სლავურ წყაროებთან შეჯერება-შედარება და შემდეგ „ქართულია ენისა გრამატიკისა ზედა გამართვა“, ანუ ლიტერატურულ-სტილისტური დამუშავება წარმოადგენდა. ამ საპასუხისმგებლო საქმის მოგვარება ვახტანგ VI სტამბაში სულხან-საბას ძმას ნიკოლოზ ორბელიანს, სიონის მღვდელ-მონაზონს გერმანეს, კვიპრიანე სამთავნელს და სხვა „სწავლულ კაცთ“ ჰქონდათ მინდობილი. „ხელით წერაში, — განმარტავს ნ. ორბელიანი, — ჩვენი საღმრთონი წერილნი განრყენილიყო. — და მე დედის ძმისწულისა ამა მეფეთასა და მოსამართლეთ უხუცესის ორბელის ძის, ცოდვილს მონაზონს ნიკოლოზს მიბრძანა (ვახტანგ VI. ო. კ.) წიგნების გასწორება და ვერ ურჩ ვექენ მე. და ეს სახარება დიდის ჰირთა ბერძენთა დაბეჭდილსა სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტ ნაკლები გავმართე“<sup>1</sup>.

ძველი ქართული ნუსხების კალიგრაფ-გადამწერთაგან წარყვანა-შებლაღვაზე ჩივის ვახტანგ VI სტამბის მეორე მოღვაწე კვიპრიანე სამთავნელიც და აგვიწერს იმ მძიმე შრომას, რომელიც მას მათი ბერძნულ ტექსტებთან შეჯერება-შეთანხმებისას გაუწევია. „მებრძანა მე სამთავნელს კვიპრიანეს ბერძულთა წიგნთა ზედა ჩვენთა წიგნებთა შემოწმება. რომელ მცირედისა რისმე ბერძულთა წიგნთა და ენასა სწავლულ ვა-

<sup>1</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 9.

ყავ იერუსალიმისა პატრიარქის დოსითეოსსთანა... რამდენი-  
ცა ძალ მედვა თვით ჩემით შეევმოწმე და გასწორებასა ვეცა-  
დე სიტყვა თუ ასო მეტნაკლებობა. და რომელიმე არქიმანდ-  
რიტის პაპა სერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავა-  
კეთე“<sup>1</sup>.

დასაბეჭდად შერჩეული წიგნების ტექსტის ბერძნულთან  
შედარებას წინ უსწრებდა ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი  
სამუშაოების ჩატარება. უწინარეს ყოვლისა, უნდა შეეკ-  
რიბათ ეკლესია-მონასტრებში დაცული მათთვის საჭირო წიგ-  
ნის ნუსხები, ეს კი არცთუ ისე იოლი საქმე იყო, რადგანაც  
ზოგიერთი მათგანის ჩამოტანა უცხოეთში მოქმედი ქართული  
ეკლესია-მონასტრებიდან უხდებოდათ. ეს გარემოება არა მარ-  
ტო აძნელებს, არამედ შეუძლებელსაც კი ხდის დადგინდეს,  
თუ რომელი ნუსხა დაედო საფუძვლად ზოგიერთი წიგნის გა-  
მოცემას.

ამის შემდეგ დიდი წვალებით მოპოვებული ზეღნაწერები  
ერთმანეთისათვის უნდა შეედარებინათ, დაეზუსტებინათ წარ-  
ყვნილი ადგილები. შეევსოთ ნებსით თუ უნებლიეთ გამოტო-  
ვებული თავები, გაეშართათ ტექსტი ენობრივ-სტილისტურად,  
გაეწმინდათ ისინი მოძველებული, არქაული გამოთქმებისა და  
ბარბარიზმებისაგან, შეეტანათ მათში ეპოქის შესაბამისი ახა-  
ლი სიტყვები, შეემუშავებინათ მეტ-ნაკლებად სრულყოფი-  
ლი გრამატიკული ნორმები და სხვა. ყოველივე ამას კი უაღ-  
რესად დიდი ისტორიულ-კულტურული და ეროვნული მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა: იხეწებოდა, მდიდრდებოდა და ვითარდებო-  
ბოდა ქართული სალიტერატურო ენა.

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია 1629 წელს რომში გა-  
მოცემული „ქართულ-იტალიური ლექსიკონით“ იწყება და  
1811 წლამდე, ანუ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო-  
ბის რუსეთთან შეერთების საბოლოოდ დამთავრებამდე გრძელ-  
დება. ისტორიულად ეს არის გვიანი ფეოდალიზმის პერიოდი,  
რომელიც წიგნების ბეჭდვა-გამოცემის თვალსაზრისით თავის  
მხრივ რამდენიმე პერიოდად იყოფა. მათგან, ცხადია, განსა-  
კუთრებულ ყურადღებას ყველაზე ადრინდელი — ამ დიდი

<sup>1</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 9.

ეროვნული საქმის ჩასახვა-განვითარების ხანა იმსახურება, რომელიც 1629 წლიდან 1670 წლის ჩათვლით განვლილ ისტორიულ მონაკვეთს მოიცავს და წიგნების საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოცემით ხასიათდება. ამიტომ მას შეიძლება ქართული წიგნის უცხოეთში ბეჭდვის პერიოდიც ეწოდოს<sup>1</sup>.

რომში სულ სამი წიგნი დაიბეჭდა: 1629 წელს „ქართული-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, ხოლო 1643 წელს — მაჯიო ფრანცისკო-მარიას „ქართული ენის გრამატიკა“. ეს წიგნები განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდებიან. ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ სამივე უცხოეთშია დაბეჭდილი და მათი შემდგენელ-გამომცემელნიც უცხოელები არიან. მეორე თავისებურება კი იმაში გამოიხატება, რომ როგორც „ქართული-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, ისე „ქართული ენის გრამატიკა“ მთლიანი სტრიქონების სახით ხეზე გრავირებული უძრავი შრიფტებითაა დაბეჭდილი. ამისი უტყუარი დადასტურებაა სამივე წიგნის ტექსტებში უხვად გაბნეული ასოების ერთმანეთზე გადაბმის ხერხი. ამ ორი თავისებურებით ეს წიგნები შემდგომი პერიოდის გამოცემათაგან არსებითად განსხვავდებიან.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე რომში დაბეჭდილი წიგნების სხვა თავისებურებანი. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს მათი შინაარსობრივი მხარე. ნიშანდობლივია, რომ დასახელებული სამი წიგნიდან თავისი პროფილით „ქართული-იტალიური ლექსიკონი“ საცნობარო ლიტერატურას მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი ორი — „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ქართული გრამატიკა“, სასწავლო სახელმძღვანელოებია. ამრიგად, სამივე წიგნი საერო შინაარსისაა, რომლებშიც დამხმარე მასალად რელიგიური ტექსტებია გამოყენებული. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული მათგანი მხედრული შრიფტითაა აწყობილ-დაბეჭდილი. ცხადია, ეს ორი უკანასკნელი — შინაარსობრივი და შრიფტობრივი თავისებურება განპირობებულია ამ წიგნების პროფილებითა და კონკრეტული დანიშნულებით.

<sup>1</sup> ო. კ ა ს რ ა ძ ე. ქართული წიგნის ბეჭდვის კერები, 1980, გვ. 22.

XVII საუკუნეში რომში დაბეჭდილ წიგნებს გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ. მათი საშუალებით გაეცნო პირველად ევროპა ქართულ კულტურას, ქართულ წიგნს, ქართულ ენას<sup>1</sup>.

XVII—XVIII საუკუნეებში ქართველ მეფეებსა და კათალიკოს-მღვდელმთავრებს ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ იერუსალიმის საპატრიარქოსთან, რომლის რეზიდენციაც აღნიშნული პერიოდიდან XIX საუკუნის 40-იან წლებამდე კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. მძიმე ეკონომიური პირობები და კათოლიკურ ეკლესიასთან შეურიგებელი ბრძოლა აიძულებდა იერუსალიმის პატრიარქთ ხელის გასამართავად მართლმადიდებლურ ქვეყნებში ემოგზაურათ. 1658 წელს საქართველოში ჩამოსულა, მაგალითად, პატრიარქი პაისიოსი, რომელსაც თან ხლებია დოსეთეოსიც. ეს იყო ამ უკანასკნელის პირველი მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში. მეორედ იგი უკვე 1681 წლის თებერვალში გვწვევია, მაგრამ ამჯერად უკვე საქველმოქმედო მიზნებით — იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ვალების დაფარვისათვის შეწირულობათა შესაგროვებლად. კონსტანტინოპოლში დაბრუნების შემდეგ 1682 წლის სექტემბერში მას იმხანად რუსეთში მყოფ არჩილ II წერილი გაუგზავნია, რომელშიაც აღწერს გიორგი XI დახმარებას შეწირულობათა შეგროვებაში, ქართლის მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას, გურიის მთავრის „სიბილწეს“ და შემდეგ დასძენს: „ჩივილის გარდა სიხარულიც მინდა გაცნობო: ქართული ბეჭდვის შემოღება გადავწყვიტეთ აქ, დაე ქართული წიგნებიც ისე იბეჭდებოდეს აქ, როგორც ბერძნული. სხვასაც ბევრს ვზრუნავთ ქართველებზე, როგორც კი დავასრულებთ, შეგატყობინებთ“<sup>2</sup>.

იერუსალიმის პატრიარქის ეს წერილი უდავოდ საყურადღებოა. მისი გაცნობისთანავე იბადება კითხვა — განხორციელდა თუ არა დოსეთეოსის განზრახვა კონსტანტინოპოლში ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის თაობაზე? ამაზე გადაჭ-

<sup>1</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 8.

<sup>2</sup> თ. ტივაძე. იერუსალიმის პატრიარქის დოსეთეოსის წერილი საქართველოს შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971, გვ. 254.

რით პასუხის გაცემა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მიკვლეული იქნება დამატებითი სხვა რაიმე საწმუნო წყარო. მანამდე კი, აღძრულ კითხვაზე პასუხის გასაცემად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული არცთუ ისე რეალურ საფუძველს მოკლებული სავარაუდო მოსაზრება მოვიშველიოთ.

დასაშვებად მიგვაჩნია, რომ დოსეთეოსმა კონსტანტინოპოლში ქართული წიგნის ბეჭდვის განზრახვა პრაქტიკულად განახორციელა. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: პატრიარქის წერილში პირდაპირაა ნათქვამი — „ქართული წიგნების ბეჭდვა გადაწყვიტეთო“. როგორც ვიცით, არც თავად დოსეთეოსმა და არც მისმა ხელქვეითებმა არ იცოდნენ ქართული ენა, რაც ხელს უშლიდა ყოველთვის იერუსალიმის საპატრიარქოს ქართლ-კახეთის მეფეებთან ურთიერთობაში. მაშ ვისი, ანდა რისი იმედით აპირებდა დოსეთეოსი განზრახვის განხორციელებას? ამ შემთხვევაში შეუძლებელია არ გავიხსენოთ დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ცნობილი განმანათლებელი და მესტამბე ანთიმოზ ივერიელი, რომელიც სწორედ იმ პერიოდში — 1681—1689 წლებში იერუსალიმის საპატრიარქოს კარზე თარჯიმნად მოღვაწეობდა. ადვილი შესაძლებელია დოსეთეოსმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ანთიმოზის შემწეობით, მისი უნგროვლახეთში გამგზავრებამდე, კონსტანტინოპოლში ბერძნულთან ერთად ქართული წიგნებიც დაბეჭდა<sup>1</sup>.

საგულისხმოა აგრეთვე კიდევ ერთი გარემოება. 1675—1680 წლებში დოსეთეოსთან მსახურობდა ვინმე ბერი ტიმოთე, ეროვნებით რუსი. იგი კონსტანტინოპოლში გასცნობია წიგნების ბეჭდვის ხელოვნებას, 1682 წელს, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ მას „ბერძნული ტიპოგრაფიული სკოლა გაუხსნია“. თავის წერილში დოსეთეოსი არჩილს სწერს: „მანდ ერთი ბერია, სახელად ტიმოთე, ყოფითა და ზნით კეთილ-მართალი. და ჩვენი გამოზრდილი. მისი მეშვეობით მოიწერე ხოლ-

---

<sup>1</sup> დოსეთეოსის მიერ კონსტანტინოპოლში ქართული წიგნების გამოცემაში ანთიმოზის მონაწილეობის შესახებ იხ. გ. შარაძის გამოკვლევა „მიკლოში კიში ტოტფალუში და ქართული სტამბა“, 1982, გვ. 29—33.

მე ჩვენთან წერილები. ასე გავიგებთ თქვენი ცხოვრების ამ ბავს<sup>1</sup>. ვფიქრობთ, მარტო ბერძნული ენის ცოდნისათვის არ უწევს დოსეთეოსი არჩილს რეკომენდაციას ტიმოთესთან დასაბჭოებლად. მას აქვარად მეორე მხარეც ჰქონდა მხედველობაში — არჩილის ინტერესი წიგნების ბეჭდვისადმი და რუსი ბერის სასტამბო საქმის ცოდნა.

XVIII საუკუნის დამდეგიდან ქართული წიგნის ბეჭდვას საფუძველი უკვე რუსეთში ეყრება. 1705 წელს აქ არჩილ II აქვეყნებს „დავითნს“, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული წიგნის ბეჭდვის განვითარების ისტორიაში. ეს არის მოძრავი შრიფტით აწყობილი პირველი წიგნი. ამით იგი სრულიად განსხვავდება რომის გამოცემებისაგან. არსებითი სხვაობა შეინიშნება მათ შორის პროფილის მხრივაც. თუ რომში დაბეჭდილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ქართული ენის გრამატიკა“ მხედრული შრიფტით აწყობილი საერო ლიტერატურაა, 1705 წლის „დავითნი“ პირიქით, ზუკურით დაბეჭდილი წმინდა საეკლესიო-ბიბლიური წიგნია.

ამრიგად, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ 1705 წელს მოსკოვში გამოცემული „დავითნიდან“ ახალი, აღმავალი ხანა იწყება ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. ამ დროიდან ხმარებაში შემოდის და მტკიცედ მკვიდრდება პრაქტიკაში მოძრავი შრიფტი. ამასთანავე მდიდრდება გამოსაცემი წიგნების პროფილი. საერო შინაარსის ლიტერატურის პარალელურად იბეჭდება თემატიკურად მრავალფეროვანი საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნებიც. მალე ვახტანგ VI, ვესესიატსკოეს, ერეკლე II, მოსკოვის ჯვართამაღლებისა და სხვა სტამბებში საცნობარო-სახელმძღვანელოების გარდა, უპირატესობა რელიგიური ხასიათის ლიტერატურის გამოცემას ეთმობა. ამას იმ დიდ ეროვნულ მოტივთან ერთად, რამაც განსაზღვრა თავად სტამბების დაარსება, თავისი ობიექტური მიზნებიც გააჩნდა. ჯერ ერთი, მონარქიულ-ფეოდალურ საქართველოში,

<sup>1</sup> თ. ტივაძე. იერუსალიმის პატრიარქის დოსეთეოსის წერილი საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971, გვ. 252.

ისე როგორც შესაბამისი პერიოდის ევროპის ქვეყნებში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეკლესია ედგა სათავეში, მეორეც წიგნების მკითხველ-მომხმარებელთა ძირითად მასას სასულიერო წოდება — მღვდელ-მონაზვნები და საერთოდ ეკლესიის მსახურნი წარმოადგენდნენ, მესამეც რელიგიური წიგნების გამოცემა განპირობებული იყო აგრეთვე კლასობრივი ინტერესებითაც. ძველი პრივილეგიების დაკარგვის მიუხედავად, XVIII საუკუნეში საეკლესიო წოდება მაინც ინარჩუნებდა თავის ძალას, და, ცხადია, იგი არც დასთმობდა საეკლესიო წიგნების ბეჭდვის პოზიციებს.

ფაქტიურად საეკლესიო-რელიგიური ლიტერატურის მასობრივად გამოცემას საფუძველი ვახტანგ VI სტამბის დაარსებიდან ჩაეყარა, სადაც მთელი თოთხმეტი წლის მანძილზე ინტენსიურ შემოქმედებით-საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდნენ იმ დროის საუკეთესო ინტელექტუალური ძალები.

ვახტანგ VI სტამბას მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ქართული წიგნის ბეჭდვის შემდგომ განვითარებაში. მან მთელი თავისი არსებობის მანძილზე სამი პერიოდი განვლო. აქედან ყველაზე ნაყოფიერი 1709—1712 წლები, ანუ პირველი პერიოდი გამოდგა. დროის ამ მონაკვეთში თერთმეტი დასახელების წიგნი დაიბეჭდა, რაც მასში გამოცემული მთლიანი პროდუქციის 65 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ საერთოდ ვახტანგისეულ სტამბაში ძირითადად ბერძნულიდან თარგმნილი საეკლესიო-საღვთისმსახურო ხასიათის ლიტერატურა გამოდის. მაგრამ პირველ პერიოდში ამ მწრივ გამონაკლისს მაინც ვხვდებით. იბეჭდება საერო წიგნიც. ეს არის 1712 წელს გამოცემული შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ამ პოემის გამოქვეყნებას ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საგულისხმოა, რომ სწორედ ის არის სტამბურად გამოცემული პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები.

ამავე პერიოდში „ვეფხისტყაოსანზე“ უფრო ადრე, 1711 წელს, იბეჭდება სიონის ეკლესიის მღვდელ-მონაზვნის გერმანეს „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოსწავლისა“. ჯერ ერთი, ეს არის ქართველი კაცის მიერ დაწერილი პირველი ქართული ნაბეჭდი ორიგინალური წიგნი; მეო-

რეც, იგი უანრობრივად დიდაქტიურ-დამრიგებლური ხასიათისაა, რაც აშკარად განასხვავებს მას აღრინდელი გამოცემებისაგან; მესამეც, დაბეჭდილია მხედრული შრიფტით და, რაც მთავარია, ეს წიგნი პირველი ქართული ნაბეჭდი სასკოლო სახელმძღვანელო, ანუ კატეხიზმია, რომელშიაც კითხვა-მიკვების ფორმით ახსნილ-ვანმარტებულია სარწმუნოებრივი ცოდნის საფუძვლები.

ვახტანგ VI სტამბაში გერმანე მღვდელ-მონაზვნის კატეხიზმის მსგავსად მხედრული შრიფტით სულ ექვსი დასახელების წიგნია გამოცემული, აქედან ხუთი 1709—1712 წლების პერიოდში დაიბეჭდა. აქედან ცალკე უნდა გამოიყოს 1710 წლის „კონდაკი“. ეს არის მოძრავი მხედრული შრიფტით აწყობილი პირველი ქართული წიგნი. ამავე შრიფტითაა გამოცემული აგრეთვე 1710 წლისავე „ჟამნი“, 1711 წლის „დავითნი“ და სხვ.

ნიშანდობლივია, რომ 1709—1712 წლებში ვახტანგის სტამბაში გამოცემული თერთმეტი დასახელების წიგნიდან „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, ათი საეკლესიო-რელიგიური შინაარსისაა, სამაგიეროდ ეს ერთგვაროვანი ლიტერატურა სრულიადაც არ არის შეზღუდული თემატიკურად. ამ მხრივ იგაძირითადად ორ ნაწილად იყოფა — ბიბლიოლოგიურ და ლიტურგიკულ წიგნებად. პირველს მიეკუთვნება მაგალითად 1709, 1711 და 1712 წლის „დავითნი“, 1709 წლის „სამოციქულო“, ხოლო მეორეს — 1709 წლის „სახარება“, 1710 წლის „ლოცვანი“, ამავე წლის დიდი და მცირე ფორმატის „ჟამნი“.

1713 წლიდან, ანუ ვახტანგ VI ქირმანს გამგზავრების შემდეგ, მეორე პერიოდი იწყება ამ სტამბის ისტორიაში. იგი 1720 წლის მიწურულამდე გრძელდება და ქართული საგამომცემლო საქმიანობის დაცემა-დაკნინებით ხასიათდება. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მთელი შვიდი წლის მანძილზე მხოლოდ ხუთი დასახელების წიგნი დაიბეჭდა. ერთხანს სტამბამ სულაც შეწყვიტა არსებობა. ამიტომ იყო, რომ 1714—1715 წლებში იქ არც ერთი წიგნი არ გამოცემულა.

ქვეყნის შიგნით შექნილი რთული პოლიტიკური ვითარების შედეგად იმ პერიოდში ვახტანგ VI გარდა, სტამბა დასტოვეს აგრეთვე სხვა წამყვანმა ძალებმაც: ნ. ორბელიანმა, გერმანე მღვდელ-მონაზონმა, კვიპრიანე სამთავნელმა, რამაც



უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც წიგნების თემატიკურ შერჩევაზე, ისე მათ საგამომცემლო ხარისხზე. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში სულ არ დაბეჭდილა საერო შინაარსის წიგნი და იმ ხუთი დასახელებიდანაც, რომლებიც 1713—1720 წლებში გამოვიდა, არც ერთი არ ყოფილა მხედრული შრიფტით აწყობილი.

ვახტანგ VI სტამბის მესამე, ანუ უკანასკნელი პერიოდი 1721—1722 წლებს მოიცავს. ამ დროისათვის ქართული წიგნის გამოცემა კვლავ აღმავლობის გზას დაადგა, რაც ვახტანგის სამშობლოში დაბრუნებით უნდა აიხსნას. ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, ეს პერიოდი მნიშვნელოვანი ფაქტორით ხასიათდება. 1721 წელს იბეჭდება ვახტანგ VI მიერ ირანულიდან თარგმნილი „ქმნულობის ცოდნის წიგნი“, ანუ „აიათი“. ეს არის თემატიკურად სრულიად ახალი საერო წიგნი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენში ფილოსოფიურ-ასტრონომიული ლიტერატურის გამოცემის დამკვიდრებას.

ამავე პერიოდში „აიათის“ გარდა კიდევ ორი წიგნი იბეჭდება: „ჟამნი“ და „ბიბლია“. აღსანიშნავია, რომ პირველი ორი მათგანი მხედრული შრიფტით არის აწყობილ-დაბეჭდილი.

ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს 1737 წლიდან 1744 წლამდე ბაქარისა და ი. სამებლის მიერ ვსესვიატსკოეში დაარსებული სტამბა აგრძელებს, რომელშიც ძირითადად არჩილ II და ვახტანგ VI დროს რუსეთს გადასახლებული ქართველი ემიგრანტები მოღვაწეობდნენ. მათ რთულ პირობებში მოუხდათ მუშაობა. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ვახტანგის მეფობაში ბერძნულთან შედარებული ქართული საეკლესიო წიგნები გამოსაცემად უკვე აღარ ვარგოდა, ახლა ისინი რუსულისათვის უნდა შეეჭვებინათ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ XVIII საუკუნის 30—40-იან წლებში ქრისტიანულ წიგნებში მართლმადიდებლურ სარწმუნოებიდან გადახვევისა და მათში სექტანტურ-მწვალებლური დოგმების შეტანის ცდა შეინიშნებოდა. მოსკოვში ზოგიერთ საეპარო მოედანსა და ქუჩებში თავისუფლად იყიდებოდა უცნობ პირთა მიერ შედგენილი, ფარულად დაბეჭდილი „ლოცვანი“, „მარხვანი“, „სა-

მოციქულო“ და სხვა საღვთისმსახურო წიგნები<sup>1</sup>. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1720 წელს ჩერნიგოვის უკრაინულ სტამბაში გამოიცა პროტესტანტ იოჰან ჰერგარდის წიგნი „კეთილ-აზროვნება“. ყოველივე ამან ალაშფოთა რუსეთის უმაღლესი საეკლესიო მმართველობა — სინოდი, რომლის ბრძანების თანხმად სასტიკად აეკრძალათ სტამბებს სასულიერო წიგნების ბეჭდვა-გამოცემა რუსულთან შეჭერება-შედარებისა და წინასწარი სანქციონირების გარეშე<sup>2</sup>.

სინოდისაგან დაწესებულმა მკაცრმა შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართული წიგნის გამოცემაზე. ამით უნდა აიხსნას, რომ ვსესვიატსკოეში ორიგინალური ანდა მხედრული შრიფტით აწყობილი წიგნი სულ არ დაბეჭდილა.

ვსესვიატსკოეს სტამბამ რვა წელიწადი იარსება და ამ ხნის განმავლობაში ცხრა დასახელების წიგნი გამოსცა. ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა და სტამბის ერთ-ერთ ძირითად ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს. სამაგიეროდ ყურადღებას იქცევს მასში დაბეჭდილი წიგნების თემატიკის მრავალფეროვნება. ბიბლიურ-ლიტურგიკულის გარდა, რომისა და ვახტანგის სტამბებისაგან განსხვავებით, აქ პირველად იბეჭდება თემატიკურად ორი ახალი წიგნი. ერთი არის დიდაქტიკური ხასიათის — ბასილ მაკედონელის „ტესტამენტი“ და მეორე დოგმატიკურ-პოლემიკური — სტეფანე იავორსკის „კლდე სარწმუნოებისა“.

1724 წლიდან, ანუ ვახტანგ VI სტამბის დახურვის შემდეგ, მთელი 25 წლის მანძილზე საქართველოში წიგნები აღარ დაბეჭდილა. ამ საქმის ხელაწლა წინ წამოწევა 1749 წლიდან იწყება ერეკლე II თაოსნობით და 1802 წლამდე — აღმოსავლეთ სსქართველოს რუსეთთან საბოლოოდ შეერთებამდე გრძელდება. ეს არის ქართული წიგნის ბეჭდვის განახლება-აღორძინების პერიოდი. ამ დროს შეინიშნება არა მარტო ბერძნულის ანდა რუსულის გავლენა ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მაგალითად წინა ორ პერიოდში, არამედ იგრძნობოდა ძლიერი ლტოლვა ორივე ქვეყნის საღვთისმსახურო წესების გადმოსანერგად. ერეკლესა და ან-

<sup>1</sup> Луппов С. П. Книга в России в первой четверти XVIII века, Л. 1973, с. 68.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 69.

ტონ I კათალიკოსის მიერ ხელმოწერილ ეპისკოპოსთა მიმართვაში ნათქვამია: „ეპისკოპოსმა, მღვდელმა და ერმა შეერთებული ძალით „განაწყონ ეკლესია ჯეროვნად“ ვითარცა არს ყოველსა სამართლმადიდებლოსა ქვეყანასა შინა: საბერძნეთისა და რუსეთისასა, ეგრეთ ჯერ არს ჩვენთაცა ეკლესიათა ყოფა“<sup>1</sup>.

ერეკლე II სტამბის მოღვაწეთ ახლა უკვე ორივე ენაზე — ბერძნულთან და რუსულთან უხდებათ დასაბეჭდი დედნების შექერება-შედარება. ხშირად ამ რთული სამუშაოს შესრულება აღნიშნული ენების მცოდნეთა ნაკლებობის გამო ერთსა და იმავე პიროვნებას უხდებოდა. მაგალითად, იოანე მანგლელს შეუდარებია ბერძნულ და რუსულ დედნებისათვის 1784 წელს დაბეჭდილი „ლოცვანი“. ამ წიგნის ბოლო გვერდზე ვკითხულობთ: „კანონი და ლოცვანი ესე წმიდისა ზიარებისა და ბერძნულსა და რუსულსა ზედა შემოწმებულ იქნა ყოვლად სამღვდელოთსა ნეტარისა მანგლელისა იოანეს მიერ და კვლად მასვე ბერძნულსა და რუსულსა ზედა შემოწმებულ და გამართულ იქმნა“.

ერეკლე II სტამბა ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს 1749 წლიდან 1802 წლამდე ემსახურა. მისი არსებობა ოთხ პერიოდად იყოფა. ყველაზე ხანგრძლივ დროს პირველი პერიოდი მოიცავს. იგი 1749 წლიდან იწყება და 1762 წლის მიწურულამდე გრძელდება. ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ვახტანგ VI სტამბის აღდგენას, რის შემდეგაც ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე საგრძნობლად უნდა გამოსწორებულიყო, მაგრამ, ასე არ მოხდა. სტამბამ მხოლოდ სამი წიგნის გამოცემა მოასწრო, 1752 წლიდან 1763 წლამდე მასში აღარაფერი დაბეჭდილა, რამ განაპირობა სტამბის უმოქმედობა ესოდენ ხანგრძლივი დროით — თითქმის მთელი 12 წლის მანძილზე?

ამ კითხვაზე სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის ძველთაგან მომდინარე უმართებულო მოსაზრებაა გაბატონებული. მკვლევართა ერთი ნაწილი იშველიებს პ. ორბელიანს შრომას, რომელშიაც დამოწმებულია 1749—1751 წლებში წიგნების დასაბეჭდად ვახტანგ VI დროინდელ შრიფტთან ერთად სხვა საწარმოო იარაღების გამოყენება და ასკვნის თით-

<sup>1</sup> ეპისკოპოსთა მიმართ, 1768, გვ. 92.

ქოს ერეკლე II სტამბის ზემოაღნიშნულ პერიოდში უმოქმედობა, ანუ დროებით დახურვა ძველი პოლიგრაფიული აღჭურვილობის ახლით შეცვლის შედეგად ყოფილიყოს გამოწვეული. პროფ. ალ. ცაგარელი წერს: „რადგან ქალაქი ეს (ტფალისი) რყევასა შიგან ყოფილა შერყვნისაგან მტერთასა, რომელთაცა მიზეზითა საქმის ამის (სტამბის) მოქმედება დაყენებული იყო მრავალ ჟამ, ამისთვის ნივთნი და შესამკობელნი სახმარნი მოძღვრის მის (უნგროვლახელის) შეცვალებულ იყვნენ და გახრწნასა მიწევნული“<sup>1</sup>.

იგივეს იმეორებს მწერალი გ. ქიქოძე. — ანტონმა, — გადმოგვცემს იგი, — „ერეკლე მეფეს აღადგენინა სტამბა, რომელიც პირველად თბილისში ვახტანგ VI მოატანიდა ვლახეთიდან ანუ რუმინიიდან და მისი რუსეთში წასვლის შემდეგ დახურული იყო“<sup>2</sup>. აქედან აკად. პ. გუგუშვილი ასკვნის: „ჩანს ძველის სასტამბო იარაღები ისე გაცვეთილა, რომ მათი შემდეგი გამოყენება შეუძლებელი ყოფილა, ამიტომ ერეკლე II კჰონია „სურვილი ფრიადი“ ახალი სტამბის დაარსებისა“<sup>3</sup>.

ცხადია, მოძველებული შრიფტისა და დაზგების გამოსაცვლელად გარკვეული დრო იქნებოდა საჭირო, რაც სტამბის დროებით დახურვის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო, მაგრამ საქმე მთლად ასე არ არის. როგორც 1749—1763 წლებში, ანუ სტამბის დროებით დახურვამდე და ე. წ. განახლებარეკონსტრუქციის შემდეგ დაბეჭდილი წიგნების ტექნიკური დონის შესწავლა-გაანალიზებამ დაგვარწმუნა, თამამად უნდა ვთქვათ, რომ ამ დროს საშრიფტო მეურნეობაში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ერეკლე II სტამბის დროებით დახურვის მიზეზი, ჩვენ აზრით, მისი მმართველ-გამგებლის ანტონ კათალიკოსის საქართველოდან განდევნა უნდა ყოფილიყო.

როგორც ცნობილია, ანტონ I ყოველნაირად ცდილობდა რითიმე გამოსდგომოდა თავის ქვეყანას კულტურულად ჩამორჩენილი აღმოსავლეთის მაკმადიანური სახელმწიფოების გავ-

<sup>1</sup> Цагарели А., Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, с. XLII.

<sup>2</sup> გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, 1941, გვ. 67.

<sup>3</sup> პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 68.

ლენისაგან თავდახსნისა და წინსვლა-დაწინაურების საქმეში. ამიტომ იგი თავისი დიდი წინაპრის სულხან-საბა ორბელიანის მსგავსად დასავლეთევროპული კულტურის საქართველოში შემოტანის მიზნით ახლო ურთიერთობას ამყარებს იმხანად თბილისში მყოფ რომაელ მისიონერებთან და მალე კათალიკოსობასაც ღებულობს. მართლმადიდებლობისადმი ფანატიკურად განწყობილი ქართველი სამღვდლოება მთავარეპისკოპოს საბა ნინოწმინდელისა და სამეფო კარის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის თაოსნობით წინ აღუდგა პატრიარქის „განდგომასა სჯულისაგან“. 1755 წლის 16 დეკემბერს სამღვდლოების შთავგონებით თეიმურაზ მეორემ მცხეთაში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზედაც ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, კერძოდ, 1756 წლის 4 აპრილს, გაიმართა მეორე კრება. ამჯერად ანტონმა გულწრფელად აღიარა კრებაზე თავისი „შეტოდებანი“, საჯაროდ უარყო კათოლიკობა და რუსეთში წასვლის ნება გამოითხოვა. კრებამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ყოველივე ამ ამბის მომსწრე და თვალთამხილველი პ. ორბელიანი გადმოგვცემს: „ხოლო წელსა 1753 (1755 წელი უნდა იყოს — ო. კ.) ქორონიკონს უმე იქნა კათალიკოსი ანტონი ძე მეფისა იესესი შეტომილი და მიიღო სარწმუნოება რომისა კათოლიკისა, რომელიცა განძევებულ იქმნა მეფისა თეიმურაზისაგან რუსეთად“<sup>1</sup>.

1755 წელს მცხეთის საეკლესიო კრების მიერ შერისხული და სამშობლოდან გაძევებული ანტონი ერთხანს მოსკოვშია და ვახტანგ VI ამაღლის ყოფილ წევრებს შორის ტრიალებს, ხოლო შემდეგ პეტერბურგს მიემგზავრება. აქ იგი „წარუდგა უწმინდეს სინოდს, იმართლა თავი და დაამტკიცა თავისი მართლმადიდებლობა, რის შემდეგ 1757 წლის 8 აგვისტოს დანიშნულ იქნა მთავარეპისკოპოსად ვლადიმირის ეპარქიისა, რომელსაც ის განაგებდა 1762 წლამდე“<sup>2</sup>.

ანტონ კათალიკოსის ექსორიობის პერიოდში, 1749 წელს აღდგენილი ვახტანგ VI სტამბის საქმიანობა შეფერხდა. ეს არც

<sup>1</sup> საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 284.

<sup>2</sup> პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართლ-კახეთის ქრონიკები, XVIII საუკ. 83-74.

გასაკვირია, რადგანაც მისი მმართველ-გამგებელი რუსეთში „ინანიებს ცოდვებს“, ხოლო ერეკლე II ქვეყნის მძიმე საგარეო-პოლიტიკური ვითარების გამო მოცლა არ ჰქონდა წიგნების ბეჭდვა-გამოცემაზე ეზრუნა.

ერეკლეს სტამბის მეორე პერიოდი 1763 წლიდან იწყება და 1783 წლით მთავრდება. ამ დროისათვის საგრძნობი გამოცოცხლება იგრძნობა წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეში. ამას, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყო ანტონ კათალიკოსის საქართველოში დაბრუნებამ. ერეკლე II არ თანაუგრძნობდა თავისი მამის, თეიმურაზის დამოკიდებულებას ანტონისადმი. კათალიკოსის რომაელ-კაპუცინებთან დაახლოებას პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავდა, სამშობლო ქვეყნის ევროპიზაციას უკავშირებდა. ამიტომაც იყო, რომ 1763 წელს, თეიმურაზ II გარდაცვალების შემდეგ, ერეკლემ ანტონი ვლადიმირიდან გამოიწვია და თავის ძველ უფლებებში აღადგინა. 1763 წელს „თებერვლის გასულს, — წერს პ. კარბელაშვილი, — მობრძანდა რუსეთით ანტონ კათალიკოსი. ა. მარტს ერეკლე მეფემ სტამბა აამუშავებინა, მოვიდა თუ არა ანტონი“<sup>1</sup>.

მეორე პერიოდში ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემა უთანაბრო განვითარების პროცესს განიცდის. საკმაოდ ხანგრძლივი დროის — 20 წლის მანძილზე აქ მხოლოდ 12 დასახელების წიგნი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ 1763—1764 წლებში, ე. ი. ერთ წელიწადში იბეჭდება სამი დასახელების წიგნი: „დავითნი“, „ლოცვანი“ და „კურთხევანი“, მაშინ როდესაც 1764 წლიდან 1768 წლამდე, თითქმის სამი წლის განმავლობაში მარტო ერთი „ეპისკოპოსთა მიმართვა“ გამოვიდა. სულ არაფერი იბეჭდება შემდგომი სამი წლის მანძილზე — 1768 -- 1771 წლებში. 1772 წელს გამოდის ერთი დასახელების წიგნი „პარაკლიტიკოსი“ და ამის შემდეგ 1784 წლამდე, მთელი 11 წლის განმავლობაში სტამბა კვლავ უმოქმედოდაა.

რითი უნდა აიხსნას წიგნების ამგვარი შუალედებით ბეჭდვა? უდავოა, 1772 წელს ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბა-

---

<sup>1</sup> პ. კარბელაშვილი, ქართლ-კახეთის ქრონიკები, XVIII საუკ. 83. 74.

ტონიშვილის რუსეთს მივიღინებით დიპლომატიური მისიით. ამასთან სხვა მსგავსი ობიექტური ფაქტებიც გარკვეულ უარყოფით გავლენას მოახდენენ საგამომცემლო საქმეზე, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ძველი, ხმარებიდან გამოსული გაცვეთილი შრიფტი იყო, რომლითაც უკვე აღარ შეიძლებოდა წიგნების ბეჭდვა. „ქართულ წიგნში“ 1749 წელს „დავითნის“ შესახებ ნათქვამია: „თავფურცელზე ასოები ალაგ მკრთალი და ძნელად ამოსაკითხავიაო“<sup>1</sup>. „ს-მკრთალე“ და „ძნელად ამოუკითხაობა“ ძირითადად ხშირი ხმარების შედეგად შრიფტის დაქვეყნის, მისი გაცვეთის, სიძველის ბრალია. ეს არც გასაკვირია, რადგანაც იგი ჯერ კიდევ 1709 წელს იყო ჩამოსტამული უნგროვლახელი ოსტატის მ. იშტვანოვიჩის მიერ და მთელი 60 წლის მანძილზე არ შეუცვლიათ. ჩანს, 60-იანი წლებისათვის ეს შრიფტი იმდენად უეარგისი გამხდარა, რომ იშვიათ შემთხვევაში იყენებდნენ მას, ისიც მხოლოდ და მხოლოდ ეკლესია-მონასტრებში ყოველდღიურად სახმარი, პრაქტიკულად გამოსაყენებელი საღვთისმსახურო ლიტერატურის გამოსაცემად.

ერეკლე II სტამბის მესამე პერიოდი 1784 წლიდან იწყება და 1794 წლით თავდება. ამ ათი წლის მანძილზე არსებითი ცვლილებები მოხდა ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში. პოლიტიკური და საეკლესიო საკითხებით გადატვირთული, ჭანმრთელობაშერყეული ანტონ კათალიკოსის მაგივრად წიგნის გამოცემას სათავეში უდგება ერეკლე II კარის მოძღვარა, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ქრისტეფორე კევერაშვილი. იგი ერეკლესაგან იჯარით იღებს სტამბას და მას კერძომესაკუთრულ საწარმოდ ღდის. შემოსავლის გადიდების მიზნით ქ. კევერაშვილი სრულიად შეგნებულად ზრდის ტირაჟებსა და ზრუნავს მათი სწრაფი რეალიზაციისათვის. ამ მიზნით იგი წიგნებს ურთავს ცნობებს თვეებსა და დღესასწაულებზე კალენდრის სახით, რომელთა შესახებაც 1790 წელს გამოცემულ „დაუჯდომელის“ წინასიტყვაობაში წერს: „თვის დამდევგი და დღესასწაულების ცნობა ბოლოს მე გავაკეთე ვაჰართ საცნობლად ქრისტიანნი უცხოეთში რომ მგზავრობენ. თუ გარ-

<sup>1</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 51.

გოთ ვისმე რამე ცხონებას მიბრძანებდეთ“. ეს იყო თავისებური რეკლამა წიგნის გასაღებისათვის.

კაპიტალისტურ-კერძომესაკუთრულმა დამოკიდებულებამ წიგნით ვაჭრობისადმი დადებითი გავლენა მოახდინა საგამომცემლო საქმიანობის შემდგომ განვითარებაზე. გაიზარდა არა მარტო წიგნების ტირაჟები, არამედ მათი ოდენობაც დასახელების მიხედვით. მარტო 1784 წელს იბეჭდება ოთხი დასახელების წიგნი. ესენია: „დაუჯდომელი“, „კიტაის სიბრძნე“, „კურთხევანი“ და „ლოცვანი“. საერთოდ ქ. კეჟერაშვილის ხელში 1784 წლიდან 1795 წლამდე 18 დასახელების წიგნი გამოვიდა. იყო შემთხვევები, როცა ერეკლე II სტამბაში თითო-ოროლა, ანდა არც ერთი ცალი არ დაბეჭდილა. ასე ითქმის მაგალითად 1785 და 1786 წლების შესახებ. ამ პერიოდში სტამბა კარგამოკეტილი ჩანს. მარტო ერთი წიგნი იბეჭდება 1785 წელს. ამგვარი ჩავარდნებიც საგამომცემლო საქმიანობაში კაპიტალისტურ-კერძომესაკუთრული ინტერესების შექრით იყო გაპირობებული. 1846 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული მასალის თანახმად ირკვევა, რომ ერეკლე II სტამბის მოიჭარადრე თავდაპირველად ორი ყოფილა — ქ. კეჟერაშვილი და დ. ყორღანაშვილი, მაგრამ კომერციულ საკითხებში შეუთანხმებლობის გამო მალე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. საქმე საბოლოოდ იქამდე მისულა, რომ ყორღანაშვილი ჩამოსცილებია სტამბას. ვფიქრობთ, 1785—1787 წლებში წიგნების გამოუცემლობის ძირითადი მიზეზი ან ორ მოიჭარადრეს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი უნდა ყოფილიყო.

ერეკლე II სტამბის მესამე პერიოდი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორით ხასიათდება. წინა პერიოდებისაგან განსხვავებით ამ დროს ქ. კეჟერაშვილის ინიციატივით მხედრული შრიფტით ორი წიგნი იბეჭდება: 1784 წელს „კიტაის სიბრძნე“, 1790 წელს — „დაუჯდომელი“. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცოდა ხუცური კითხვა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ წიგნების მხედრული შრიფტით დაბეჭდვა ერთის მხრივ კომერციული ინტერესით იყო ნაკარანახევი.

მეოთხე პერიოდი ყველაზე ხანმოკლეა სხვა დანარჩენებ-



თან შედარებით. იგი 1800 წლიდან იწყება და 1802 წელს უკვე მთავრდება. ეს არის 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად დანგრეული სტამბის აღდგენის შემდგომ-დროინდელი ხანა, ანუ ქართული წიგნის ბექდვა-გამოცემის განახლების პერიოდი. ამ დროიდან დღემდე მხოლოდ სამი გამოცემაა ცნობილი: დ. ბაგრატიონის „ნარკვევი“, „დაუჯდომელი“ და გენერალ კნორინგის მიმართვა ქართლ-კახეთის მოსახლეობისადმი საქართველოში უზენაესი მმართველობის დაწესების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანი მხედრული შრიფტითაა აწყობილ-დაბეჭდილი.

ერეკლე II სტამბაში სულ 28 დასახელების წიგნი დაიბეჭდა, რომლებიც თემატიკობის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ბიბლიური წიგნების — „დავითნის“ და „სამოციქულოს“ გარდა, იქ იბეჭდება აგრეთვე ლიტურგიკული ლიტურატიურაც — „კონდაკი“, „ლოცვანი“, „კურთხევანი“, დაუჯდომელი“, „პარაკლიტონი“ და სხვა. ერეკლეს სტამბაში აქტიურ მხარდაჭერას პოულობს ვსესვიატსკოეში წამოწყებული ფილოსოფიური და ისტორიული ხასიათის წიგნების ბეჭდვის ტრადიცია. 1784 წელს გამოდის „კიტაის სიბრძნე“, ხოლო 1800 წელს დ. ბაგრატიონის მეცნიერულ-ისტორიული შინაარსის „ნარკუვევი“. აქვე იბეჭდება აგრეთვე თემატიკურად ახალი დოგმატიკურ-კანონიკური წიგნი „ეპისკოპოსთა მიმართ“, რომელშიც აღნუსხულია მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი, სალოცავების მოვლა-პატრონობის წესები და სხვა.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებს შორის ორიგინალურ ლიტურატიურას ძალზე მცირე პროცენტი უკავია. აღსანიშნავია ისიც, რომ აქედან მისი უმეტესი ნაწილი ერეკლე II სტამბაშია გამოცემული. ესენია: 1751 წლის ანტონი I „ქადაგება“, ზემოთ დასახელებული „ეპისკოპოსთა მ-მარჯ“, კონსტანტინოპოლელი ოსტატის პ. ოპანესიანის მიერ 1782 წელს საცდელად დაბეჭდილი „შესხმა პირველი აქლისა ამის წიგნთსაბეჭდავისათვის“, 1783 წლის „კურგქსი ძღვევისათვის და შეწვენისა მხედრობათასა“, დ. ბაგრატიონის „ნარკუვევი“ და გენერალ კნორინგის 1802 წლის ბრძანება: „განვუცხადებ ყოველთა საზოგადოდ ქართლ-

სა და კახეთსა შინა მცხოვრებლთა“. აქედან ცალკე უნდა გამოიყოს პ. ოპანესიანის „შესხმა“ და გენერალ კნორინგას ბრძანება. ამ გამოცემებში სხვა ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნებისაგან განსხვავებით მეტ-ნაკლები სისრულით პირველად არის ასახული ცხოვრებისეული რეალური სინამდვილე. მსგავს რაიმეს სხვა გამოცემებში ვერ ვხვდებით.

ძველი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის კიდევ ერთი სისხლხორცეული ნაწილია თბილელი მიტროპოლიტის ათანასე ამილახვრის მიერ მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტერთან დაარსებული სტამბის პერიოდი. იგი 1762 წლიდან იწყება და 1768 წელს მთავრდება. ამ ექვსი წლის განმავლობაში ცხრა დასახელების წიგნი გამოიცა. იმ ორი-სამი კაცისათვის, რომლებიც ჯვართამაღლების სტამბას ემსახურებოდა, ეს რასაკვირველია, ცოტა არ არის.

როგორც ჩანს, აქაური გამოცემები ვსესვიანტსკოენს მსგავსად ძირითადად რუსეთის ეკლესიებში გამოყენებულ წიგნებთან ყოფილა შედარებულ-შეჭერებული. 1765 წელს „სამოციქულოს“ თავფურცელში ნათქვამია: „დაიბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ესე სამოციქულო... შემოწმებული რუსულსა ეკლესიათა შინა ხმარებულისა სამოციქულოსა, თანა შეწვენითა სხვათა ენათაცა“. შედარების ამ წესს იმდენად მკაცრი ხასიათი მიუღია, რომ მესტამბე-გამომცემლები იძულებული გამხდარან დაერთოთ ყოველი წიგნისათვის ცნობა მათ დასაბეჭდად სინოდიდან მიღებულ ნებართვაზე. ამავე „სამოციქულოს“ საგამომცემლო მონაცემებში ვკითხულობთ: დაიბეჭდა „ნებართვითა მმართველის სრულიად რუსეთის სინოდისათა“. არ მოიპოვება 1762—1768 წლებში ამ სტამბაში დაბეჭდილი არც ერთი წიგნი, რომელსაც არ ჰქონდეს ასეთი ცნობა.

მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტრის სტამბის წიგნები პროფილის მიხედვით მარტოოდენ საეკლესიო ხასიათისაა და არც თემატიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ისინი შეიძლება მხოლოდ ორ ნაწილად გაიყოს: ბიბლიურ და ლიტურგიკულ წიგნებად. აღნიშნულის მიუხედავად ჯვართამაღლების მონასტრის სტამბის პერიოდს მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. მაშინ როცა 1762—1768 წლებში ერეკლე II სტამბამ დროებით შე-

წყვიტა არსებობა, სწორედ ამ მონასტერში დაბეჭდილი წიგნებით ლებულობდა ქართველი ხალხი სულიერ საზრდოს.

ძნელად თუ მოიპოვება ძველ ქართულ სტამბებს შორის ისეთი პოლიგრაფიული საწარმო, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე ერთი საეკლესიო წიგნი მაინც არ დაებეჭდოს. მოზდოკის სტამბა ამ მხრივ გამონაკლისია. მან თავისი არსებობის ექვსი წლის მანძილზე — 1796 წლიდან 1802 წლამდე, ოთხი დასახელების წიგნი დაბეჭდა და აღსანიშნავია, რომ ოთხივე საერო შინაარსისაა და მხედრული შრიფტითაა აწყობილი. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ სტამბას გამორჩეული ადგილი უკავია საერთოდ ქართული წიგნის, კერძოდ კი საერო ლიტერატურის ბეჭდვა-გამოცემის განვითარების საქმეში.

მოზდოკის სტამბის პროდუქცია თემატიკურად ორ სახეობად იყოფა: სახელმძღვანელოებად და საღირექტივო-ეპისტოლარულ ლიტერატურად. პირველს მიეკუთვნება გაიოზ რექტორის „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო მოძღვრება“ და მისივე „გრამატიკა“, ხოლო მეორეს — რ. ზუბაშვილის მიმართვა გაიოზ რექტორისადმი და „განწესება შინაგანისა საქართველოსა მართვისა“. სახელმძღვანელოების გამოცემით იგი რომის ქრისტიანული სარწმუნოების გამავერცელებელ საზოგადოების სტამბასთან ამეღავნებს ნათესაობას, საღირექტივო ლიტერატურის მიხედვით კი — ერეკლე II, რითაც აგრძელებს ამ უკანასკნელის მიერ საძირკველ-ჩაყრილ მნიშვნელოვან საქმეს — რეალური, ცხოვრებისეული მოტივების ამსახველი ლიტერატურის ბეჭდვა-გამოცემას.

ძველი ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორიის ბოლო ეტაპს ქუთაისის, წესისა და საჩხერის, ანუ იმერეთის სამეფოს სტამბების არსებობის პერიოდი წარმოადგენს. მათში დაბეჭდილი წიგნები პროფილის მიხედვით საეკლესიო შინაარსისაა და ამით ისინი ძალზე წააგვანან როგორც ვსესვიატსკოეს, ისე მოსკოვის ჭვართამბალების მონასტრის სტამბების გამოცემებს. დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ არამც თუ საერთო, არამედ მხედრული შრიფტით აწყობილი ერთი წიგნიც კი არ დაბეჭდილა ამ სტამბებში. საქმე იმაშია, რომ აქაური გამოცემები არც თემატური მრავალფეროვნე-

ბით გამოირჩევიან. ისინი ძირითადად ორად იყოფა: ბიბლიურ და ლიტურგიულ წიგნებად..

იმერეთის სამეფოს სტამბების ისტორიის შესწავლის შედეგად ნათელი ხდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენში კაპიტალისტური დაინტერესება წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეში თანდათან ძლიერად იკიდებს ფეხს. ამას მოწმობს ის, რომ იმერეთის მეფე სოლომონ II თავისი პაპის ერეკლე II და მისივე კარის ეკლესიის მოძღვრის ქ. კეყერაშვილის მსგავსად 1803 წელს იჯარით აძლევს ქუთაისის სტამბას სახლთუხუცესს ზ. ღერამელს, ხოლო ცოტა მოგვიანებით ეს უკანასკნელი საჩხერეში გელათის მონასტრის არქიმანდრიტის ზაქარიას შეამხანაგებით ღსნის საკუთარ სტამბას. ეს არის დაქირავებულ შრომასა და აშკარად გამოკვეთილ კაპიტალისტურ პრინციპებზე დაფუძნებული საწარმო.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგისათვის შექმნილმა იმერეთის სამეფოს რთულმა საგარეო და საშინაო პოლიტიკურმა ვითარებამ თავისი დალი დაასვა ქუთაისში წიგნების ბეჭდვას. ამით უნდა აიხსნას ის, რომ 1800 წელს ქუთაისის სტამბაში მხოლოდ ერთი „დავითნი“ გამოდის, 1803 წელს „კურთხევანი“ და „სახარება ვნების კვირიაკისა“. ამის შემდეგ მთელი ოთხი წლის მანძილზე აქ არც ერთი წიგნი არ გამოცემულა. 1807 წელს ისევ მარტო ერთი წიგნი „დავითნი“ გამოდის და ახლა უკვე სამი წლის მანძილზე 1810 წლამდე მასში აღარაფერი იბეჭდება. ამ წელს გამოდის აქ უკანასკნელი წიგნი „ლოცვანი“.

ასევე მნიშვნელოვანი ინტერვალებით იბეჭდება წიგნები წესსა და საჩხერეში. ამის მიუხედავად უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იმერეთის სამეფოს სტამბებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ძველი ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორიაში. როდესაც 1802 წლიდან ერეკლე II სტამბას არსებობა უკვე შეწყვეტილი ჰქონდა, საქართველოში ბეჭდვა-გამოცემის დიდ ეროვნულ საქმეს ეს საწარმოები აგრძელებდნენ.

XIX საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულიდან, ანუ საქართველოს რუსეთთან საბოლოოდ შეერთების შემდეგ,

სრულიად ახალი ხანა იწყება ქართული წიგნის ბეჭდვის  
ისტორიაში. ამ დროიდან დაბეჭდილი წიგნები თემატიკის  
პრაქტიკული ნაწილებით, ტირაჟებით, მოცულობითა და ა. შ.  
ღიდად განსხვავდებიან გვიანი ფეოდალური ხანის გამოცე-  
მებისაგან.

## XVII—XVIII საუკუნეებში უცხოეთში დამზადებული ქარსული შრიფტები

XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართლის ბაგრატიონების საგვარეულოს ცენტრალური შტო ჰკარგავს ქვეყნის მართვა-გამგებლობის უფლებას და მის ნაცვლად სამეფო ტახტს მუხრანელი ბაგრატიონები ეპატრონებიან. ამის შემდეგ, ე. ი. 1658 წლიდან 1724 წლამდე, ქართლის სამეფო ტახტი ბაგრატიონთა საგვარეულოს ძირითადი შტოდან მუხრანელ ბაგრატიონთა ხელში გადადის<sup>1</sup>.

პირველი მუხრანელი ბაგრატიონი, რომელიც ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა, იყო შაჰნავაზად სახელდებული ვახტანგ V. სახელმწიფო მმართველობის ხელში ჩაგდებისთანავე სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებულ წინამორბედ თავკაცთა მსგავსად ქართლის ახალმა გამგებელმა მთელი თავისი სიცოცხლე ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოს გაერთიანებასა და ცენტრალიზებული ხელისუფლების აღდგენას შეაღია. ვახტანგმა პირველ რიგშივე მოთოკა და დაიმორჩილა ქართლის ზვიადი ფეოდალი, სამეფო ტახტის მოშურნე ზაალ არაგვის ერისთავი, რომელიც მთელი კახეთისა და ერწო-თიანეთის გამგებლად ითვლებოდა. ამასთანავე მან კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. 1661 წელს გაილაშქრა დასავლეთ საქართველოში ალექსანდრე III ქერცივის დარეჯნის მიერ თვალებდათხრილი ბაგრატი ალექსანდრეს ძის

<sup>1</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 376.

წინააღმდეგ ტახტის მიტაცების მიზნით მოწყობილი შეთქმულების ჩასაშლელად, ამ საქმეში გარეულ რეაქციონერ ფეოდალთა ასალაგმავად და იმერეთში თავისი უფროსი ვაჟის არჩილ II გასამეფებლად. ჩანაფიქრმა გაამართლა. არჩილის შემწეობით მთელი დასავლეთ საქართველო დაიქვემდებარა, ხოლო 1660 წლიდან — ზაალ ერისთავის დაღუპვის შემდეგ, კახეთიც ოფიციალურად შეიერთა.

ვახტანგ V ეროვნულ გეგმას საბოლოოდ განხორციელება არ ეწერა. არჩილ II იმერეთში გამეფება ოსმალეთმა ირანის შაჰის მომავალ მზაკერულ განზრახვად მიიჩნია. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააღრმავა მტრობა და უნდობლობა ორ დიდ მუსლიმანურ სახელმწიფოს შორის. დამაბულობის განმუხტვის მიზნით ირანის შაჰმა არჩილი ისპაჰანში გაიწვია, მასაც მამამისივით შაჰმადიანობა მიაღებინა და 1664 წელს შაჰნაზარხანის სახელით კახეთის მეფედ დაამტკიცა, დასავლეთ საქართველო კი ამის შემდეგ კვლავ ოსმალეთის საფაშოს დაექვემდებარა.

არჩილის გამეფებისთანავე კახეთში თავი იჩინა შფოთმა და არეულობამ. ქვეყნის დასამშვიდებლად იგი ცოლად ირთავს თეიმურაზ I შვილიშვილის, იმერეთის მეფის ბაგრატ ბრმის ცოლყოფილს, ქეთევან დავითის ასულს. მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა. რუსეთიდან იმხანად ახლად დაბრუნებული, შემდეგში ნაზარლ-ხანად წოდებული ერეკლე I, თუშების შეიარაღებული ლაშქრით თავს დაესხა კახეთს და პაპისეული სამეფო ტახტის დაბრუნებას შეეცადა. ირანის შაჰი ერეკლეს აღმოსავლეთში თავისი ძლიერი მეტოქის — რუსეთის რენეგატად თვლიდა და ამიტომ მის საომარ ოპერაციებს კახეთში უარყოფითად აფასებდა. ვახტანგ V და არჩილის ქართ-კახეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა სძლია მემკვიდრეობითი სამეფო ტახტის მაძიებელს. დამარცხებულმა ერეკლემ თავი პირიქითა თუშეთში — თორღვას ციხე-სიმაგრეში შეაფარა. დედამისმა — ელენე ლეონის ასულმა მოლაპარაკება გამართა არჩილთან, რომელიც დაჰყვა სიდდერის რჩევას და 1675 წელს კახეთის სამეფო ტახტი კანონიერ მემკვიდრეს, თავის ცოლისძმას ერეკლე I დაუთმო.

ამის შემდეგ არჩილი დასავლეთ საქართველოში გადავიდა

და იმერეთის სამეფო ტახტის დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ განზრახვის განხორციელება ვერ შეძლო. მისი ცდა ტახტის დასაბრუნებლად ამაო გამოდგა. „ვითარცა უცხო გვარტომისაგან“ ადგილობრივ მკვიდრთა მხარდაჭერა ვერ პოვა და დასავლეთ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. რა არ იღონა არჩილმა, ვის არ სთხოვა დახმარება, თავად თურქეთ-ირანიც კი არ გამოჩინა მხედველობიდან, მაგრამ არ იქნა და საწადელს ვერ მიაღწია. ამიტომ 1680 წელს იგი თავისი ოჯახითა და 162 კაცისაგან შემდგარი ამალით მოსკოვს გაემგზავრა.

რუსეთის სამეფო კარზე არჩილი გულთბილად მიიღეს.

პერიოდს, რომელშიაც მოუხდა არჩილს მოსკოვში ცხოვრება, განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსეთის ისტორიაში. ეს არის პეტრე დიდის მიერ განხორციელებული რეფორმებისა და გარდაქმნების პირველი ნახევრის ხანა. სწორედ ამ დროიდან იწყება ბრძოლა საზღვაო ფლოტის გასაძლიერებლად და რეგულარული არმიის შესაქმნელად, შეედეთ-თურქეთის მიერ ბალტიისა და შავ ზღვაზე მიტაცებული ნავსადგურების დასაბრუნებლად, ანუ რუსეთის ძველი სახელმწიფო საზღვრების აღსადგენად და გასაამაგრებლად და ვაჭრობის განსაფართოებლად, სახელმწიფო მმართველობითი აპარატის გასაუმჯობესებლად. ყოველივე ეს რუსეთის წინაშე აყენებდა მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების სპეციალისტების აღზრდის საკითხს, რადგანაც მხოლოდ განათლებულ პირთ შექმნოთ აქტიური მონაწილეობის მიღება რეფორმების განხორციელებაში, საუკუნეების მანძილზე ჩამორჩენილი რუსეთის კულტურულ დაწინაურებაში.

ამრიგად, განათლება წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას რუსეთის გარდასაქმნელად<sup>1</sup>. ამიტომაც უთმობდა პეტრე I თავისი არსებობის მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას სახალხო განათლების ქსელის გაფართოებას. თუ მაგალითად, XVIII საუკუნის დამდეგისათვის მოსკოვში მხოლოდ ერთადერთი სასწავლებელი — სლავურ-ბერძნულ-ლათინური სასულიერო აკადემია ითვლებოდა

<sup>1</sup> Луппов А. С., Книга в России в первой четверти XVIII века, 1973, с. 8.



და ისიც ეკლესიას ექვემდებარებოდა, 1699 წელს პეტრეს მითითებით დაარსდა გენერალ ა. ვეიდეს მეზარბაზნეთა სკოლა. 1701 წლის 14 იანვარს გაიხსნა მათემატიკური და სანავიგაციო მეცნიერებათა სკოლა. ეს იყო პირველი რუსული სპეციალური საერო სასწავლებელი. სანავიგაციო სკოლები არსდება შემდეგში ნოვგოროდში, რეველში, ნარვასა და ასტრახანში.

იმავე 1701 წელს მეზარბაზნეთა სკოლის ბაზაზე არსდება საარტილერიო სასწავლებელი, 1709 წელს ბერძნული ენის, ხოლო 1712 წელს — საინჟინრო სკოლები<sup>1</sup>.

პეტრე I კარგად იცოდა, რომ სწავლა-განათლების წინ წაწევის საქმეში გადამწყვეტ როლს ბეჭდვითი სიტყვა ასრულებს. ამან განაპირობა სწორედ ის დიდი აღმავლობა, რომელიც განიცადა აღნიშნულ პერიოდში რუსული წიგნის გამოცემამ. ეს გამოიხატებოდა არა მარტო ნაბეჭდი პროდუქციის რაოდენობის ზრდაში, არამედ თემატიკურ-შინაარსობრივ ნაირსახეობაშიც.

პეტრე I მეფობის პერიოდში თავიდან მხოლოდ ერთადერთი მსხვილი პოლიგრაფიული საწარმო არსებობდა. ეს იყო მოსკოვის ე. წ. „პეჩატნი დვორის“ სტამბა, რომელშიაც XVII საუკუნიდან მოყოლებული ძირითადად მხოლოდ რელიგიური ხასიათის ლიტერატურა იბეჭდებოდა. 1701 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, მასში მუდმივად თორმეტ დაზვას უმუშავია. იქვე მდგარა კიდევ სამი დამატებითი დაზვა, რომლებზეც საჭირო შემთხვევაში დაქირავებული ოსტატები მუშაობდნენ<sup>2</sup>. ამ სტამბაში იბეჭდებოდა 1702 წლიდან პირველი რუსული გაზეთი „ვედომოსტი“, რომელიც ქვეყნის საშინაო მდგომარეობის გარდა, ფართოდ აცნობდა მკითხველს დასავლეთ ევროპაში მომხდარ მნიშვნელოვან ამბებს. პეტრეს მეფობაში მოსკოვის „პეჩატნი დვორის“ სტამბამ არსებითად შეიცვალა პროფილი. საეკლესიო-რელიგიური წიგნების ნაცვლად მასში ფაქტიურად მხოლოდ საერო ხასიათის ლიტერატურა გამოდიოდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Луппов А., Книга в России в первой части XVIII века, 1973, с. 12—20.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 60.

1705 წლიდან პეტრე I ხელშეწყობით ცნობილი რუსი ვაჭარი ვ. ო. კიპრიანოვი მოსკოვში აარსებს მეორე სტამბას. ეს იყო პირველი რუსული კერძო პოლიგრაფიული საწარმო, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა პეტრეს მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად გაფართოებული საგანმანათლებლო ქსელის უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებითა და სამეცნიერო ლიტერატურით<sup>1</sup>.

შვედებთან წარმოებული ომის მიუხედავად, საგამომცემლო საქმე რუსეთში აღმავლობას განიცდიდა. ამას ხელს უწყობდა ის, რომ მის განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავად პეტრე<sup>2</sup>.

როგორც ცნობილია, XVII საუკუნის მიწურულისათვის პოლანდია წიგნების ბეჭდვა-გამოცემის მხრივ მთელს ევროპაში ყველაზე დაწინაურებულ ქვეყნად ითვლებოდა. 1697 წელს იქ ყოფნისას პეტრეს ყურადღება მიუქცევია სპილენძზე გრავირების ხელოვნებისათვის. მართალია, იმ დროს რუსეთში მოღვაწეობდნენ ჰედურობის ისეთი ოსტატები, როგორც იყვნენ ათანასე ტრუხმენსკი, ლეონტი ბუნიინი და სხვები, მაგრამ, ჩანს, მათი ხელოვნება ვერ აკმაყოფილებდა მაშინდელ საგამომცემლო მოთხოვნებს, რის გამოც პეტრეს დაუყოლიებია ცნობილი პოლანდიელი მხატვარი ანდრიან სხონებეკი და მოსკოვში ჩამოუყვანია რუსი გრავირებისათვის გამოცდილების გასაზიარებლად. აქ მას საჭურვლის პალატასთან სპეციალური სახელოსნო მოუწყვია ესტამპების, გრავირების, თავსართებისა და სხვა პოლიგრაფიულ კაზმულობათა დასამზადებლად. სწორედ ამ სახელოსნოდან გამოსული მასალებით იბეჭდებოდა მოსკოვის ზემოაღნიშნულ სტამბებში მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებული რუსული წიგნები. უფრო მეტიც, ანდრიან სხონებეკს დაუმზადებია 1700—1704 წლებში საზღვაო რუკები, რომელთა წარწერების მოხაზულობაც საფუძვლად დაედო შემდეგში რუსული მხედრული შრიფტის შექმნას<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Луппов А. С., Книга в России в первой четверти XVIII ве-

<sup>2</sup> იქვე, გვ. 8.

ка, 1973, с. 61.

<sup>3</sup> Кацпржак Е., История князя, 1964, с. 5.

მხატვარ ანდრიან სხონებეკის გარდა, 1707 წელს პეტრე I ჰოლანდიიდან ჩამოიყვანა მოსკოვის „პეჩატნი დვორის“ სტამბისათვის ასოთამწყობი ინდრიკ სილბახი, მბეჭდავი იოჰან ფოსკური და შრიფტის ჩამომსხმელი ანტონ დემეი<sup>1</sup>.

მოსკოვში ჩასვლის შემდეგ არჩილს საშუალება ეძლევა განახორციელოს თავისი დიდი ხნის ოცნება — ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემა. პეტრე I რეფორმებთან დაკავშირებით რუსეთში საგამომცემლო საქმის მანამდე არნახულმა განვითარებამ და მისმა შედეგებმა გააღვიძა არჩილში ობიექტური მიზეზების გამო კარგა ხნის წინათ მიუყრებული ქართული წიგნის ბეჭდვის სურვილი. ეს გრძნობა კიდევ უფრო გააძლიერა ოსმალთა ბატონობის შედეგად გამუხუღმანების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა მოსალოდნელ ტრაგიკულ მომავალზე შემადრწუნებელმა ფიქრმა.

რუსეთის გავლენიანი წრეების შემწეობით არჩილი ახლო ურთიერთობას ამყარებს მოსკოვში დიპლომატიური მისიით ჩასულ ცნობილ შვედ პოლიტიკურ მოღვაწესა და მეცნიერ იოჰან გაბრიელ შპარვენფელდთან, რომლის საშუალებითაც უკავშირდება ამსტერდამის ბურგომისტრს ნიკოლა კორნელიუს ვიტცენს და მისი დახმარებით 1686 წელს ქართული შრიფტის დამზადების შეკვეთას აძლევს იმხანად ჰოლანდიაში, ვილიამ ბლაუს სტამბაში მოღვაწე გამოჩენილ უნგრელ ასოთ-ჩამომსხმელ მიკლოშ კიშ ტოტფალუშს. ყოველივე ამის შესახებ შემდეგ ცნობას გვაძლევს თავად სპარვენფელდი: „ჩემს დროს ბაგრატიონთა გვარეულობა მეფობდა იმერეთში, გურგესტანის ნაწილში. და არჩილ მეფეს, რომელიც (იქიდან) გამოძევებული იყო და იდევნებოდა, როგორც ოსმალების, აგრეთვე სპარსელებისაგან, ვიცნობდი მე მოსკოვში. წამოსვლისას მან მაჩუქა ხალათი. მე კი, სამაგიეროდ, შეუვკვეთე მისთვის ქართული სასტამბო შრიფტი ამსტერდამში კიშს“<sup>2</sup>.

ჰოლანდიაში მოღვაწე უნგრელ ოსტატს მიკლოშ კიშ ტოტ-

<sup>1</sup> Луппов А. С., Книга в России в первой четверти XVIII века, 1973, с. 60.

<sup>2</sup> ციტატა მოტანილია გ. შარაძის წიგნიდან „მიკლოშ კიში ტოტფალუში და ქართული სტამბა“, 1982, გვ. 34.

ფალუმს არჩილის თხოვნა დაუკმაყოფილებია და ქართული შრიფტის დამზადებას შეკვეთის მიღებისთანავე შესდგომია. ამით გახარებული რუსეთს ლტოლვილი იმერეთის მეფე მოსკოვიდან ამსტერდამის ბურგომისტრს ნიკოლა კორნელიუს ვიტცენს 1687 წლის 17 დეკემბერს მადლობის წერილს უგზავნის: „ქ. წყალობით ღთ სათ ნათესავისაგან დავითისა პანკრატიონი მეფე არჩილ... მოგწერ წიგნსა ამას მოკითხვისასა სიბრძნისა და მეცნიერებისა კეთილისა გონებისა შენისათვის საჩინოს ქალაქისა ამისტრანდინისაგან თავად გამორჩეულისა ნიკოლოზაა ვილსებს და მოგიკითხავ ვითარცა შეგობარსა შემეცნებულსა ჩემსა. მერმე გავიგონეთ თქვენს ადგილზე მჯდომის პატრონის ბარნო კლარისაგან რომე თქვენ გარჯილხართ ჩვენი გულისთვინ და ჩვენის ენის წიგნის ბეჭედს გვიჭრევენებთ. ჩვენ ამ საქმისათვინ დიდად გავიხარეთ, თქვენი მადლიერი შევიქენით. ამ საქმისათვინ ვინებეთ შენთან ჩვენის სიყვარულის და მადლის წიგნის მოწერა. ჩვენ შენგან შევიქენით მადლიერი, ღ თი შენგან იქნას მადრიელი“<sup>1</sup>.

მიკლოშ კიშ ტოტფალუმს დაწყებული საქმე ბოლომდე მიუყვანია და არჩილის შეკვეთის თანახმად სამი სახეობის ქართული შრიფტი დაუმზადებია. ამას მოწმობს უნგრული ასოთმოქანდაკის მიერ 1686 წლის 12 ნოემბერსა და 1687 წლის 17 იანვარს ამსტერდამიდან მოსკოვში სპარევენფელდისადმი გამოგზავნილი ორი წერილი. პირველში ნათქვამია: „თი კიდევ ნიმუში უმთავრესად სულ უკანასკნელ დროს დამზადებულის ასოებისა, რათა თქვენ შესძლოთ არა თუ მათი გათვალისწინება, არამედ სიხარულით ჭკრეტაც... თქვენგან ამ ასოებისათვის მე მცირე გასამრჯელოს ვლებულობ, იმ დროს, როცა ჩემზე ადრე ორჯერ მეტი აიღო სომხურისათვის მაგისტრმა, მაგრამ შემდეგში მე კიდევ უფრო ნაკლები გასამრჯელოთი ვიმუშავებ, თუ შენ იზრუნებ ჩემ მიერ ამავე ასოების სხვა ახალ აღფაბეტთა დამზადებისათვის. როცა პირველ ყინულს ჩაამტვრევ, მეც ხომ გამიადვილდება მუშაობა მეორე და მესამე გზის და თქვენთვისაც შევძლებ უფრო ზუსტი და უზადო ასოების გაკეთებას, ყოველს საქმეში ხომ პრაქტიკას მივყავართ

<sup>1</sup> Книга, исследования и материалы, т. III, 1960, с. 271.

სრულყოფისაკენ და პირველ ცდას, რა გინდ საქმეც იყოს, ძალაუნებურად რაღაც უსრულობის ელფერი აძევს<sup>1</sup>.

მეორე წერილში ვკითხულობთ: „აი, ბატონო, წვლილი (თუკი წვლილობა ამ ასოების არსებაში მოიპოვება) ასოები თქვენი მესამე ალფაბეტისა, რომლებიც მე დავიყვანე, ისეთ სიწვლილემდის, რომ იმათ შენარჩუნებული აქვთ მაინც რაღაც სიმსხო, განსაზღვრული ხაზებშიც კი, რათა მათში სჩანდეს კვალი ზელოვნების დამმოდღვრებელთა... თქვენ მე მომეცით დავალება ორი პირველი ალფაბეტის ჩამოსხმისა, მაგრამ არაფერი გიცნობებიათ თანხის გადახდის საშუალების შესახებ. თუ ანგარიში სწორია (რის პრეტენზიასაც აცხადებთ ვაჭარი, რომელთანაც მე საქმე მაქვს), რიდასთვის ქიანურდება საქმე? თუ საქმე გაგრძელდება და თქვენ მოისურვებთ მიგელოთ ზომები მესამე ალფაბეტის ასოების ჩამოსახმელად, მინდა იცოდეთ, რომ ეს ასოები ალბათ ვერ ჩამოსახმება ნახევარ ტალერზე ნაკლებ ფასად... მაინც კი ამ ალფაბეტში (ე. ი. მესამეში), რომლის ნახევარზე ცოტა მეტი მზად არის, წინ აღარ წავალ მანამ, სანამ არ მივიღებ თქვენს აზრს წარმოდგენილი სინჯის შესახებ“<sup>2</sup>.

ამ წერილებით ირკვევა, რომ მიკლოშ კიშ ტოტფალუშს სამი სახის ქართული შრიფტი დაუმზადებია. რა ბედი ეწია მათ?

სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დღემდე დაცულია ორი სახეობის ქართული შრიფტის — ნუსხურისა და ასომთავრულის სასინჯი ანაბეჭდი, რომელიც მკვლევართა ერთმა ნაწილმა მიკლოშ ტოტფალუშ კიშის მიერ 1686 წელს არჩილ II შეკვეთის თანახმად დამზადებული ასოების ასლად მიიჩნია. რაკი ცნობილია, რომ ამსტერდამში მოღვაწე უნგრელ ოსტატს წერილობით კავშირი ჰქონდა დამყარებული იმდროისათვის მოსკოვში მყოფ შვედ დიპლომატთან ი. გ. შპარვენფელდთან და არჩილ II შრიფტების დამზადების თაობაზე, ამასთან ისიც ვიცით, რომ 1687 წელს ი. გ. შპარვენფელდი სტო-

<sup>1</sup> კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წიგნი 111, 1937, გვ. 25.

<sup>2</sup> იქვე.

ვებს მოსკოვს და სტოკჰოლმს მიემგზავრება, 1688 წელს არჩილიც საქართველოში ჩამოდის იმერეთის სამეფო ტახტის დასაბრუნებლად, ხოლო 1689 წელს ტოტფალუში პოლანდიდან სამშობლოში — უნგრეთში გადადის საცხოვრებლად, ამსტერდამული და სტოკჰოლმური ქართული შრიფტების იგივეობის მომხრენი ფიქრობენ, რომ უნგრელი ოსტატი შემდეგში შვეიციაში დაბრუნებულ ი. გ. შპარვენფელდთან ამყარებს წერილობით კავშირს, რის შედეგადაც უნდა მოხვედრილიყო სტოკჰოლმში ქართული შრიფტების სასინჯი ანაბეჭდი.

მკვლევართა ეს მოსაზრება ჩვენ თავიდანვე არ გავიზიარეთ. ჯერ კიდევ 1973 წელს ვწერდით: „ეს ვერსია სწორი არ არის. როცა კიში ი. შპანვერფელდს ანაბეჭდებს მოსკოვში უგზავნიდა, ამას თავისი გამართლებაც ჰქონდა. არჩილს მასში სათანადო შესწორებები შეჰქონდა, რის მიხედვითაც უნგრელი ოსტატი თანდათან ხევწდა და სრულყოფდა დასამზადებელ შრიფტს. ი. შპარვენფელდს ამ მხრივ არჩილის მაგიერობის გაწევა არ შეეძლო. ამიტომ მისთვის სტოკჰოლმში ანაბეჭდების გაგზავნას არავითარი აზრი არ ჰქონდა. თუკი გაგზავნა იყო, კიში არჩილისაგან გასამრჯელოს მიუღებლობის შემთხვევაშიც კი. შპარვენფელდს უპირველეს ყოვლისა თავად შრიფტს გაუგზავნიდა, რადგანაც სამშობლოში წასვლას აპირებდა. ეს კი 1689 წლამდე — ნ. კიშის მიერ ამსტერდამის დატოვებამდე უნდა მომხდარიყო. ბუნებრივია, რომ თავის მხრივ ი. შპარვენფელდი ამ შრიფტს მოსკოვში გააგზავნიდა. სინამდვილეში ყველაფერი რომ ასე ყოფილიყო, მაშინ არჩილ II 1705 წლის „დავითნზე“ აღრე სხვა რომელიმე წიგნს დაბეჭდავდა. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნ. კიშს სტოკჰოლმში ი. შპარვენფელდისათვის არც შრიფტი გაუგზავნია და არც ანაბეჭდი“<sup>1</sup>.

ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად ყურადღებას ვამახვილებთ ორ საგულისხმო ფაქტზე — ერთია ქართული შრიფტების ანაბეჭდის სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში მოხვედრის საფუძველი, ხოლო მეორე თვით ამ ანაბეჭდზე გამოსახული ტექსტების შეცდომებისაგან დაზღვევის მიზეზი. ორი-

<sup>1</sup> ი. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, 1973, გვ. 17.

ვე მათგანზე შემდეგნაირ ვარაუდს გამოეთქვამთ: „ნ. კიშის ი. შპარვენფელდისათვის ანაბეჭდი რომ მართლა გაეგზავნა, იგი სამეფო ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდებოდა დაცული, რადგანაც მას არავითარი ოფიციალური დოკუმენტის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამასთანავე, სტოკჰოლმში შემონახულ ანაბეჭდ ფურცლებზე ალფავიტის მიხედვით განლაგებული დიდი და პატარა ზომის ასომთავრული სასათაურო შრიფტების ქვეშ მოთავსებულია წვრილი ნუსხურით აწყობილი ორი ნაწყვეტი „სახარებიდან“ — „მამათ ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“ და „ღვთისმშობელო ქალწულო გიხაროდენ!“ ეს ტექსტები იმდენად დაზღვეულია შეცდომებისაგან, რომ დაუჭერებელია ისინი ნ. კიშს ეკუთვნოდეს. ეჭვს გარეშეა მათ აწყობაში ქართველი კაცის ხელი ურევია... ეს კაცი კი 1700 წ. შვედების მიერ ტყვედ ჩაგდებული არჩილის უფროსი ვაჟი ალექსანდრეა“.

ამ სავარაუდო მოსაზრებათა დასაბუთების მიზნით ვიშველიებთ ოფიციალურ დოკუმენტს — შვეციის სამეფო კანცელარიის კოლეგიუმის 1703 წლის 29 ოქტომბრის სხდომის ოქმს, რომელშიაც ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ნათქვამია: „თარჯიმანმა ლინდმა წარუდგინა კოლეგიუმს ერთი შეკვრა ტიპები, რომელიც ტყვე პრინცმა მიღეთელმა, ქართული ენის ზოგიერთი ასოსთვის დაამზადებინა. წარმოდგენილია აგრეთვე მათი გადმონაბეჭდი — მოსკოვში გადაგზავნის ნებართვის მიღების სურვილით“. აი სწორედ ეს გადმონაბეჭდია სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში „ქართული სასინჯი შრიფტების“ ანაბეჭდის სახელწოდებით. ამავე დოკუმენტით ნათელი ხდება აგრეთვე, თუ საიდან, როგორ და რატომ მოხვდა ანაბეჭდი სამეფო ბიბლიოთეკაში<sup>1</sup>.

ჩვენ მიერ აქ დამოწმებულ დოკუმენტს — შვეციის სამეფო კანცელარიის კოლეგიუმის სხდომის ოქმს ჭერ კიდევ 1934 წელს მიაქცია ყურადღება ამსტერდამულ-სტოკჰოლმური ქართული ანაბეჭდების იგივეობის თავგამოდებულმა დამცველმა შვედმა მეცნიერმა კ. ბიორკბომმა და მას შემდეგნაირი განმარტება მისცა: „ის შრიფტები, რომლებიც რუსული ენის თარჯიმანმა ლინდმანმა საკანცელარიო კოლეგიას წარუდგინა,

<sup>1</sup> ი. კ ა ს რ ა ძ ე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, 1973, გვ. 18.

როგორც ჩანს, იგივენი არიან, კიშმა ამსტერდამში რომ ჩამოსახა. საექვეთა მართებული იყოს ლინდმანის შტკიცება, თითქოს პრინცმა თვით ითავა შრიფტების ჩამოსახა<sup>1</sup>.

კ. ბიორკბომი ამ შემთხვევაში თვალეზზე ხელს გვაფარებს. კი, მაგრამ, რატომ უნდა გავიგოთ ისე, როგორც იგი თავისი ვარაუდით განმარტავს და არა იმგვარად, როგორც ოფიციალურ დოკუმენტში წერია? ვის უფრო უნდა ვენდოთ — XVIII საუკუნის დამდეგის შვედეთის ოფიციალური სახელმწიფო დაწესებულებების — სამეფო კანცელარიის კოლეგიის წინაშე მაშინდელი ოფიციალური პირის თარჯიმან ლინდმანის ოფიციალურსავე განცხადებას თუ თითქმის ჩვენი თანამედროვის, შვედი მეცნიერის კ. ბიორკბომის არცთუ დიდად საფუძვლიან ექვს?

ამრიგად, ჩვენ ხელთ არსებული მასალების შესწავლა-განალიზების შედეგად 1973 წელს ვასკენიდით, „რომ სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცულ ანაბექდს ნ. კიშის მიერ ამსტერდამში დაცულ შრიფტთან არავითარი კავშირი არა აქვს“<sup>2</sup>, ხოლო 1976 წელს განვმარტავდით: „სტოკჰოლმში დღემდე დაცული ანაბექდი არის ამსტერდამში დამზადებულისაგან აბსოლუტურად განსხვავებული, ალექსანდრე არჩილის ძის შეკვეთით სტოკჰოლმშივე დამზადებული სრულიად ახალი ქართული შრიფტის ნიმუში“<sup>3</sup>.

1980 წლის 15 ივნისს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პერიოდულ ორგანოში გაზეთ „ნეფსაბადშაგში“ გამოქვეყნებულმა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორის დოქტორ რ. დანის წერილმა „მიკლოშ კიში ტოტფალუშის ქართული ასოები“, რომელიც რამდენადმე შეცვლილი სახით იმავე სათაურით უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის „უნგრული წიგნის მიმოხილვის“ 1980 წლის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა, ვიზუალურად

<sup>1</sup> კ. ბიორკბომის მოსაზრებას 1978 წელს მხარს უჭერდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯ. ვათეიშვილი. იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის საკითხები“, გვ. 15.

<sup>2</sup> ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, 1973, გვ. 17.

<sup>3</sup> ო. კასრაძე, ერთი უმართებულო რეცენზიის გამო, „მნათობი“, 1976, № 2, გვ. 184.



დასაბუთა ჩვენი მოსაზრების სიციხად ამსტერდამული და სტოკჰოლმური ქართული შრიფტების სხვადასხვაობის შესახებ.

რ. დანის ორივე წერილი ეხება 1980 წელს სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას მის მიერ ამსტერდამის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არჩილ II შეკვეთის თანახმად უნგრელი ოსტატის მიკლოშ კიშ ტოტფალუშის ხელით 1686—1689 წლებში პოლანდიაში ჩამოსხმული სამი სახეობის ქართული შრიფტის — ნუსხურის, ასომთავრულისა და მხედრულის ანაბეჭდების აღმოჩენას, რითაც საბოლოოდ გადაიჭრა მკვლევართა შორის აქამდე სადავოდ გამხდარი პრობლემა ამსტერდამული და სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ასოების ანაბეჭდებთან ურთიერთობის საკითხზე.

რ. დანის 1980 წლის აღმოჩენას აქტიურად გამოეხმაურა ქართული პრესა. 1981 წლის 7 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა უნგრელი ქართველოლოგის ლ. ტარდისა და ქართველი მეცნიერის გ. შარაძის წერილი „ქართული სტამბის სათავეებთან“, რომელშიაც ავტორები მაღალ შეფასებას აძლევენ რ. დანის აღმოჩენას და მეცნიერული ანალიზის შედეგად აბსოლუტურად გამორიცხავენ ამსტერდამული და სტოკჰოლმური ქართული შრიფტების ანაბეჭდების იგივეობას.

ასევე მაღალი შეფასება მისცა რ. დანის აღმოჩენას ბუდაპეშტის უნივერსიტეტისა და გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორმა, მიკლოშ კიშ ტოტფალუშის ცხოვრება-მოღვაწეობის ცნობილმა მკვლევარმა დ. ჰაიმანმა.

უნგრელ მეცნიერ ლ. ტარდთან ერთად გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ქართული შრიფტების თაობაზე გამოთქმული თავისი მოსაზრებანი გ. შარაძემ კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა 1982 წლის 1 და 8 აგვისტოს გაზეთში საერთო სათაურით „პეტრე დიდიდან ლეე ტოლსტოიმდე“ გამოქვეყნებულ წერილებში: 1. „პრინცი მელიტე“, „შვედი მოგზაური და ვახტანგ მეექვსე“ და 2. „არჩილ მეფე, მიკლოშ კიში და ქართული შრიფტი ამსტერდამში“. მათში მკვლევარი შვედი მეცნიერების მ. ენემანის, ე. გრენისა და სხვათა მონაცემების კრიტიკულად შესწავლა-გაანალიზების შედეგად ასაბუთებს

ამსტერდამულ-სტოკჰოლმური ქართული შრიფტების სხვადასხვაობას და გამოთქვამს მოსაზრებას 1711 წელს ვახტანგ VI სტამბაში დღემდე უცნობი ორი წიგნის — „პედაგოგისა“ და „დაუჯდომელის“ დაბეჭდვის თაობაზე.

1982 წელს „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გ. შარაძისავე მონოგრაფიული გამოკვლევა „მიკლოშ კიში და ქართული სტამბა“. ეს არის პირველი ქართული წიგნი გამოჩენილი უნგრელი მოღვაწის, ცნობილი ასოთმქანდაკების მიკლოშ კიშ ტოტფალუშის ცხოვრება-მოღვაწეობაზე. მასში ცხადლივია წარმოჩინებული ტოტფალუშის ვინაობა და დღემდე არსებული ქართულ-უცხოური წყაროების კრიტიკული განხილვის შედეგად ერთხელ კიდევ ეჭვმიუტანლადაა დასაბუთებული ამსტერდამული და სტოკჰოლმური ქართული შრიფტების სხვადასხვაობა.

ამრიგად, უნგრელი მეცნიერის რ. დანის 1980 წლის აღმოჩენამ საბოლოოდ გადაწყვიტა ამსტერდამული და სტოკჰოლმური ქართული შრიფტების ურთიერთობის საკითხი, მაგრამ მათი პრაქტიკულად გამოყენება, ანუ შემდგომი ისტორია კვლავ შეუხსწავლელი რჩება და დამატებით კვლევას მოითხოვს.

## 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“

„ვეფხისტყაოსანზე“, როგორც მსოფლიო ლიტერატურულ მოვლენაზე, მრავალი მეცნიერული მონოგრაფიული გამოკვლევა არსებობს. ძირითადი პრობლემატური საკითხები: პოემის სადაურობა, ტექსტის რაობა, დაწერის დრო და ბევრი სხვა, მასშტაბურად არის შესწავლილი. სამაგიეროდ ამას მთლად ვერ ვიტყვით „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ს. ყუბანეიშვილის ცნობილი, მეტად საჭირო, ფუნდამენტური ნაშრომის სამ წიგნად გამოცემის მიუხედავად, საერთოდ პოემის ბეჭდვის ისტორიასთან, კერძოდ კი 1712 წლის გამოცემასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, ჯერ კიდევ გაურკვეველი და დაუდგენელია, ანდა მათ ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებანი ერთხელ კიდევ გადასახედი, დასაზუსტებელი და შესაჯსებია.

ამ ნარკვევს სწორედ პოემის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით მკვლევართაგან უკვე შესწავლილი, ზოგიერთი საკითხის დაზუსტება-შეცხება უდევს საფუძვლად.

1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ დედნის თაობაზე რუსთაველოლოგიაში კარგა ხანს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება არსებობდა. ერთნი ფიქრობდნენ, თითქოს ვახტანგ VI ხელთ ჰქონდა პოემის ვრცელი რედაქციის რომელიღაც ხელნაწერი, რომელიც კრიტიკულად შესწავლის შედეგად გაცხრილა მან სხვადასხვა დროის ჩანართებისაგან, შექმნა ახალი რედაქციის დედანი და ის დაბეჭდა. მეორენი კი პირიქით, ირწმუნებოდნენ, რომ ვახტანგმა გამოიძია

ინტერპოლატორთა ჩარევებისაგან დაცული მოკლე რედაქციის უძველესი ხელნაწერი და იგი გამოსცა უცვლელად<sup>1</sup>.

მეორე მოსაზრების მოთავე და თავგამოდებული დამცველი იყო დ. კარიკაშვილი. მან კარგად იცოდა, რომ ვახტანგის ტექსტი შედარებით „მოკლეა და შეიცავს 1587 სტროფს, ხელნაწერების ტექსტი ვრცელია, 2200 სტროფს აქარბებს“<sup>2</sup>. ამიტომ იგი წერდა: ვახტანგმა იმიტომ ამჯობინა მოკლე რედაქციის ხელნაწერის დაბეჭდვა, რომ მას „უნდა ჰქონოდა უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ სხვა ხელნაწერებში მოთავსებული მეტი ამბები ყალბები იყვნენ და არ ეკუთვნოდნენ ვეფხისტყაოსანს. ამის გამო ჩვენ ვახტანგის გამოცემის დედანი მიგვაჩნია უძველესად თავისი შედგენილობით“<sup>3</sup>.

რა უდევს საფუძვლად ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე რედაქციის უძველესი ხელნაწერიდან მომდინარეობის დ. კარიკაშვილისეულ მოსაზრებას? ფაქტობრივი ანდა დოკუმენტური, არაფერო. იგი წერს: „არსაიდან ჩანს და არც არის წარმოსადგენი, რომ ვახტანგ მეფეს თავის გამოცემაში რაიმე შესწორება შეეცანოს ან რაიმე შეეცვალოს — გამოეკლოს ან მიემატებინოს“<sup>4</sup>. არც შეიძლებოდა „გამოჩენილიყო“, რადგანაც პოემის ტექსტისადმი კრიტიკულად მიდგომის გამელავენება, რაოდენ ობიექტური მოტივითაც არ უნდა ყოფილიყო გამართლებული, გაართულებდა იმ დაძაბულ ვითარებას, რომელიც შექმნეს კონსერვატორულმა კლერიკალურმა წრეებმა მამინ „ვეფხისტყაოსნის“ იდეურობის თაობაზე ატეხილი ხმაურით. პოემისათვის რაიმეს „გამოკლების“ ან „დამატების“ აღიარებას ვახტანგის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდნენ დაინტერესებული პირები, დაადანაშაულებდნენ მას ნაწარმოების

<sup>1</sup> 1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ დედნის ირგვლივ არსებული ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრების თაობაზე იხ. ალ. ბარამიძის „ძველი ქართული მწერლობის პრობლემები“, 1980, გვ. 234—266; გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგია“, 1941; ს. ყუბანეიშვილის „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან“, ტ. I, 1967 და სხვა.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ძველი ქართული მწერლობის პრობლემები, 1980, გვ. 235.

<sup>3</sup> დ. კარიკაშვილი, ვეფხისტყაოსნის შედგენილობა (ეურნ. „განათლება“, 1913, № 6).

<sup>4</sup> იქვე.

იღვის შენიღვის მიზნით ტექსტის განზრახ გაკეთილშობილებაში“. ამიტომაცაა, რომ ვახტანგ VI 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისათვის“ დართულ თავის „თარგმანებში“ პოემის ტექსტის რაობაზე არაფერს ამბობს.

ვერაფრთ ვერ დაკეთანხმებით დ. კარიჭაშვილს, თითქოს „არც არის წარმოსადგენი“, რომ გამოსაცემად შერჩეულ მოკლე რედაქციის იმ ძველ ხელნაწერში ვახტანგ VI რაიმე ცვლილებები შეეჩანოს. პირიქით, წარმოუდგენელი სწორედ ის იქნებოდა, ვახტანგი სინამდვილეში მართლაც ისე მოქცეულიყო, როგორც დ. კარიჭაშვილი ფიქრობდა. ექვგარეშეა, რომ მას თავისი აღმზრდელი ბიძის, ყალბისმქნელ ნანუჩას მამხილებლის არჩილ II და XVII—XVIII საუკუნეების სხვა ცნობილ მწერალ-მოღვაწეთაგან კარგად ეცოდინებოდა ის უსამართლობა, რომელიც განიცადა პოემის ტექსტმა დროთა განმავლობაში ყალბისმქნელთა შემოწმებით, რასაც მოწმობს მისი ლექსი „საქართველოს მელექსეთათვის“. აკი დ. კარიჭაშვილიც თავადვე ამბობს: ვახტანგს „უნდა ჰქონოდა უტყუარი ცნობები“ ხელნაწერებში ჩანართი ადგილების შესახებო. რაკი ეს ასეა, სხვა დამამტკიცებელი ფაქტებიც რომ არ გავაჩნდეს, მაინც ხაზგასმით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვახტანგს, როგორც განსწავლულ-განათლებულ და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, შეგნებულ გამომცემელს, უფლება არა ჰქონდა პოემის ტექსტის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლისა და მისი კრიტიკულად დადგენის გარეშე, ხელაღებით დაებეჭა და რომელიმე ხელნაწერი.

დ. კარიჭაშვილმა 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური კვლევა კიდევ უფრო გააღრმავა. იმისათვის, რომ ადრე გამოთქმული თავისი მოსაზრება დაესაბუთებინა და უფრო სარწმუნო გაეხადა, 1920 წელს ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ დედნად, ანუ ზემოაღნიშნული მოკლე რედაქციის უძველეს ხელნაწერად ყოფილ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავში შემონახული № 5006 ნუსხა დაასახელა<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> დ. კარიჭაშვილი, ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, ჟურნ. „გონათლება“, 1913, № 6, გვ. 4.

1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ დედნად მოკლე რედაქციის უძველეს ხელნაწერის უცვლელად გამოყენების ვერსია არ გაიზიარა კ. კეკელიძემ. ამ საკითხის თაობაზე პ. ინგოროყვასთან გამართული კამათის გამო 1927 წელს იგი წერდა: „ვახტანგის გამოცემის ობიექტურ შესწავლას მიეყვართ იმ დასკვნამდე, რომ ის არის არა უცვლელი გამეორება, რომელიდაც ძველი ხელნაწერისა, არამედ თავისებური კრიტიკული გამოცემა. ვახტანგს ხელთ ჰქონია ჩვეულებრივი ტიპის ვრცელი, დამატებიანი და ჩამატებიანი რედაქცია, რომელიც მას თავის შეხედულებისამებრ შეუმოკლებია“<sup>1</sup>.

კ. კეკელიძის მოსაზრების სისწორე საკვებით დაადასტურა 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და მისთვის დართულ ვახტანგ VI კომენტარებს შორის აკ. შანიძის მიერ აღმოჩენილმა განსხვავებებმა, რომელთა შესწავლის შედეგად ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ვახტანგის მონოგრაფიის გულდასმით შესწავლა ეჭვს არ სტოვებს, რომ მას ხელთ ჰქონია ვრცელი რედაქციის ხელნაწერი და ამ ვრცელ ვეფხისტყაოსანს უწერდა იგი თარგმანს ანუ ახსნა-განმარტებას. ისიც ირკვევა, რომ ვახტანგს (ან მის კომისიას) საბოლოოდ სხვა რედაქცია შეუმუშავებია და დაუბეჭდავს“<sup>2</sup>.

ამ ორი დიდი მეცნიერის — კ. კეკელიძისა და აკ. შანიძის პოზიცია კიდევ უფრო გაამაგრა ალ. ბარამიძემ, „ვახტანგის გამოცემა, — წერს იგი, — რუსთაველის პოემის კრიტიკული გამოცემაა. ამ გამოცემაში საგანგებოდ არის შემოკლებული მე-17 საუკუნის ხელნაწერებით შემონახული პოემის ვრცელი ტექსტი“<sup>3</sup>.

მოსაზრება ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე რედაქციის უძველესი ხელნაწერიდან მომდინარეობის შესახებ

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, რუსთველიანა, ჟურნ. „მნათობი“, 1927, № 2, გვ. 183—186.

<sup>2</sup> შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა, 1712, აკ. შანიძის მიერ 1937 წ. აღდგენილი და მეორედ მისგანვე გამოცემული 1975 წ., გვ. 391.

<sup>3</sup> ალ. ბარამიძე, ძველი ქართული მწერლობის პრობლემები, 1980, გვ. 246.

საბოლოოდ გააბათილა ს. ცაიშვილმა. მან ექმიუტანლად დაასაბუთა, რომ 1712 წელს დაბეჭდილი პოემის დედნად დ. კარიჭაშვილის მიერ აღიარებული ყოფილ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავში შემონახული № 5006 ხელნაწერი უძველეს ნუსხებს კი არ მიეკუთვნება, არამედ XVIII საუკუნით, ანუ პოემის დაბეჭდვის შემდგომი დროით თარიღდება<sup>1</sup>. ს. ცაიშვილმავე წამოაყენა უდავოდ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი მოსაზრება ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის „ზაზასეული“ ტიპის ხელნაწერებიდან მომდინარეობის თაობაზე<sup>2</sup>.

1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის რაობის მსგავსად სადავოდ იყო გამხდარი აგრეთვე პოემის რედაქტორის ვინაობის საკითხი. ამის შესახებ აზრი ჯერ კიდევ 1939 წელს კ. კეკელიძემ გამოთქვა. იგი წერდა: „1712 წლის გამოცემას ჩვეულებრივ „ვახტანგის“ გამოცემას უწოდებენ იმ აზრით, რომ ის ნაყოფია ვახტანგ VI უშუალო რედაქტორული მუშაობისა და დაბეჭდილია მისი უშუალო ხელმძღვანელობით. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს, რედაქცია აქ მოცემული ტექსტისა ვახტანგს არ უნდა ეკუთვნოდეს... პირველი ნაწილი გამოცემისა, ტექსტი პოემისა, დამუშავებული და რედაქტირებული უნდა იყოს არა ვახტანგის მიერ, არამედ დამოუკიდებელი მისგან... ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ 1712 წლის პოემის დაბეჭდვაში ვახტანგი არც დებულობდა მონაწილეობას“<sup>3</sup>.

რა იგულისხმება დამოწმებული ციტატის საფუძველად? „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის თარიღი. „პოემა დაბეჭდილია, — განმარტავს კ. კეკელიძე, — „დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდი ათას ორას ოცსა“ ანუ „ათას შვიდას და თორმეტსა“ წელსა ქრისტესით. 1712 წლის 23 აპრილიდან ვახტანგი ქართლში აღარაა უკვე, ის სპარსეთს წაიყვანეს, საიდა-

<sup>1</sup> ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957, გვ. 321—324.

<sup>2</sup> ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 15.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 105.

ნაც მხოლოდ 1719 წლის 7 აგვისტოს მობრუნდა. იქნება ვინმემ იფიქროს, რომ წიგნი იბეჭდებოდა 1712 წლის იანვრიდან 23 აპრილამდე; მაგრამ ასეთი წიგნის დაბეჭდვა ოთხ თვეში არამცთუ მაშინ, ბეჭდვითი ტექნიკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის ეპოქაშიც კი შეუძლებელია. ეს კიდევ არაფერია. როგორც გამოცემის ბოლოს აღუნიშნავთ, „დაესრულა წიგნი ესე ქორონიკონს უნსა სმულსა“, ესე იგი წიგნი დაბეჭდილა უ, ქორონიკონს, რაც იმავე 1712 წელს უდრის, მხოლოდ არა იანვრის წლით, არამედ ქორონიკონულით — მარტის; ქორონიკონი უ (400) შეიცავდა დროს 1712 წლის მარტიდან 1713 წლის 1 მარტამდე, ისე რომ, ამის მიხედვით, პოემის დასაბეჭდად რჩება არა ოთხი თვე, არამედ ორი, იანვარ-თებერვალი, ეს ხომ სულ შეუძლებელი იქნებოდა“<sup>1</sup>.

1712 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნს“ ტექსტსა და მისთვის დართული ვახტანგ VI კომენტარების შეჭერებისას აკ. შანიძის მიერ აღმოჩენილმა განსხვავებამ კ. კეკელიძის მოსაზრება პოემის რედაქტორის თაობაზე კიდევ უფრო განამტკიცა. „იდეა ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვისა დაბადებია ვახტანგს, შემქმნელს თბილისის სტამბისას და სულის ჩამდგმელს მისი მუშაობისას... — წერს კ. კეკელიძე, — როგორც ჩანს, მას განზრახვა ჰქონია დაებეჭდა პოემის ერთ-ერთი ვრცელი რედაქცია, რომლისთვის მას „თარგმანიც“ კი დაუწერია; მაგრამ მას ვერ მოუსწრია განხორციელება თავისი განზრახვისა და სურვილისა, რადგანაც 1712 წლის 23 აპრილს, როგორც ვთქვით, იძულებული შეიქმნა სპარსეთს წასულიყო. მის მიერ განზრახული საქმე სისრულეში მოუყვანია სხვას, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ვახტანგი ფიქრობდა: მას დაუბეჭდია არა ვახტანგის მიერ შერჩეული და კომენტირებული სრული ტექსტი, არამედ სხვა, მის მიერ რედაქტირებული“<sup>2</sup>.

მაშ ვინ მიაჩნია კ. კეკელიძეს 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორად? ასეთად იგი ვახტანგ VI სტამბის ცნობილ მოღვაწეს, მიხეილს თვლის, რომლის შესახებაც

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 105.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 106.



პოემის თავფურცელზე ნათქვამია: „გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“.

ყოველივე ამის შემდეგ კ. კეკელიძე საბოლოოდ ასკვნის: „ამრიგად ირკვევა, რომ 1712 წელს დაბეჭდილი ტექსტის რედაქცია ეკუთვნის არა განსწავლულსა და ავტორიტეტით მოსილ კულტურტრედარს თავის დროისას, ვახტანგს, არამედ მისი დროის წიგნების მმართველს, ჭერხანობით უცნობს ვილაც მიხეილს“<sup>1</sup>.

კ. კეკელიძის მოსაზრება პოემის რედაქტორად მიქელის აღიარების თაობაზე არ გაიზიარა ალ. ბარამიძემ. „ჩვენ საეკვოდ მიგვაჩნია, — აცხადებდა იგი, — რომ მიქელი აღიარებული იქნას ისეთ პირად, რომელმაც დაამუშავა და გაასწორა ვეფხისტყაოსანი, საკუთარი შეხედულებისამებრ შეამოკლა პოემის სიუჟეტი, თვითონ შეადგინა დასაბეჭდად ტექსტი და კიდევაც გამოაქვეყნა იგი თავისი რედაქციით, ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს 1712 წლის ბეჭდურ ვეფხისტყაოსანში ვახტანგს ეკუთვნის მხოლოდ „თარგმანი“ და სხვა არაფერი“<sup>2</sup>.

ყოვლად შეუძლებელია, ალ. ბარამიძის ამ მოსაზრებას არ ვერწმუნოთ. არადა ისე გამოდის, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ პირველად გამოცემა სრულიად მოუზნადებლად, მოუფიქრებლად, წინასწარი დაგეგმვისა და გააზრების გარეშე, ინსტინქტურად, ქაოსურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ვახტანგს არა სცოდნია, როგორ და რა გზით აწარმოებდნენ მიქელი თუ მასთან ერთად სხვანიც პოემის ტექსტის დადგენას, მიქელს კი, თავის მხრივ, წარმოდგენა არა ჰქონია რომელი ხელნაწერისა თუ ხელნაწერების მიხედვით ადგენდა ვახტანგი კომენტარებს. დაუჭვრებლად მიგვაჩნია თითქოს მიქელს დაებეჭდოს „არა ვახტანგის მიერ შერჩეული და კომენტირებული სრული ტექსტი, არამედ სხვა, მის მიერ რედაქტირებული“. ვახტანგი როგორც მეფე და მოაზროვნე იმდენად მაღლა იდგა მიქელზე, რომ არა გვგონია, ამ უკანასკნელს ეს გაეებდა. იგი ვახტანგის

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 107.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ძველი ქართული მწერლობის პრობლემები, 1980, გვ. 250.

მიერ „შერჩეულსა“ და თანაც კომენტირებულ ტექსტს გვერდს ვერ აუვლიდა.

სანამ პოემის ტექსტის რედაქტორის ვინაობაზე ჩვენს მოსაზრებას გამოვთქვამდეთ, გავიხსენოთ თუ როგორ შეფასებას აძლევდა ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორს. თავის კომენტარებში იგი შ. რუსთაველს „რიტორსა და ბრძენ მეცნიერს“, „ფილოსოფოსს“ უწოდებს, ნაწარმოებს კი „მარგალიტს“ აღარებს. ამ ბრძენკაცის ისეთ ნაღვაწ-ნაშრომის ტექსტის დადგენას, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ იყო, ვერც თავად ვახტანგი იტვირთავდა მარტო და მით უფრო არც მიქელს ანდობდა. ეს ერთობ დიდმნიშვნელოვანი, მძიმე და რთული საქმე ისევ იმ „სწავლულ კაცთა“ კომისიას უნდა ეთავა, რომელმაც დიდი გარჯა-რუღუნებით შეადგინა XIV—XVII საუკუნეების საქართველოს აღუწესავი ისტორია „ახალი ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით, ანდა პოემის გამოსაცემად სპეციალურად შექმნილ იმგვარსავე კომისიას ვახტანგის საერთო ხელმძღვანელობით. ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაცა და კომენტარების შედგენაც, რომელიც ვახტანგს პირადად ჰქონია დავალებული, ერთდროულად მიმდინარეობდა. „სწავლულ კაცებსაც“ და ვახტანგსაც ხელთ ექნებოდათ იმდროისათვის არსებული ხელნაწერები, რომლებზედაც ურთიერთშეთანხმებით იმუშავებდნენ.

მიქელი რომ 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორი ყოფილიყო, მაშინ იგი გულდინჯად შეაჯერებდა პოემის გამოსაცემ ტექსტსა და კომენტარებს, რის შემდეგაც სხვაობას მათ შორის ადგილი აღარ ექნებოდა. მაგრამ ეს ვერ გააკეთა, რადგანაც მას არც ტექსტის დადგენასთან ესაქმებოდა რაიმე და არც საერთოდ პოემის რედაქტირებასთან. იბადება კითხვა: მაშ ვის ევალებოდა ყოველივე ამის გაკეთება? ცხადია, ვახტანგსა და „სწავლულ კაცთ“, მაგრამ, როგორ ჩანს, ქართლში შექმნილი მაშინდელი რთული პოლიტიკური ვითარების გამო ვერც მათ გაართვეს თავი საქმეს ბოლომდე.

1711 წლის 26 ოქტომბერს ქართლის მეფის ქაიხოსროს ყანდაარში მოკვლის შემდეგ ვახტანგ VI დრო აღარ ჰქონდა წიგნების ბეჭდვა-გამოცემისათვის ჭეროვანი ყურადღება მიექცია. იგი იძულებული გახდა ნაჩქარევად მოეგვარებინა სა-

ხელმწიფო საქმეები და 1712 წლის 23 აპრილს ყაენის ბრძანებით სპარსეთში გამგზავრებულიყო. მას, ალბათ, თან გაყვებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი, ზოგიერთი „სწავლული კაცი“. ამიტომაცაა, რომ ვახტანგი თავის კომენტარებში უდროობასა და მოუცლელობაზე ჩივის: „მე თარგმანი მრავალი დამრჩა... მოუცლელობისათვის...“<sup>1</sup>. ე. ი. განუმარტავი, უკომენტაროდ დატოვებული მრავალი ადგილი დამრჩაო. ისე რომ ვახტანგს სცოდნია აკ. შანიძის მიერ მიკვლეული შეცდომების არსებობა.

ვახტანგისეულ კომენტარებზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთი და იგივე სიტყვის არა რამდენჯერმე სხვადასხვა მნიშვნელობით ახსნამ, როგორც ეს შენიშნული და აღნუსხული აქვს აკ. შანიძეს<sup>2</sup>, არამედ ზუსტად ერთნაირმა განმარტებამ. მაგალითად, სიტყვები „ლარი“ და „დაფეხვა“ სამ-სამჯერ არის ერთი და იგივე მნიშვნელობით ახსნილი, „ფარჩა“, „იაჯდა“, „ასპარეზი“, „დრამი“, „იჩქითი“, „ჩაბალახი“, „მოდორება“, „ჯაბანი“ და სხვა — ორ-ორჯერ, მაშინ, როდესაც ზოგიერთ ერთხელ უკვე განმარტებულ სიტყვას გვერდით უწერია: „ზეით სწერია“ (იხ. გვ. ტ<sup>3</sup>, ტლბ, ტლგ, ტლდ, ტლე და სხვ.).

ნიშანდობლივად მიგვაჩნია კიდევ ერთი გარემოება: სიტყვა „კენარის“ ახსნისას ვკითხულობთ: „მე არ ვიცოდი, ვინც იცოდეთ თარგმნეთო“ (გვ. ტზე). „დაღრეჯის“ განმარტებისასაც წერია: „არც ეს ვიციო“ (გვ. ტზ), შემდეგ კი ეს სიტყვა ახსნილია: „დიდს მწუხარებას ჰქვიანო“ (გვ. ტით).

კომენტარებში ვხვდებით აგრეთვე ისეთ შემთხვევებსაც, როცა, მაგალითად, რომელიმე სიტყვის გვერდით ნათქვამია: „ზეით სწერია“, სინამდვილეში კი არ წერია<sup>3</sup>.

ჩვენ მიერ მოტანილი ფაქტები მოწმობს, რომ პოემის ტექსტისა და კომენტარების შეუთანხმებლობასთან ერთად

<sup>1</sup> შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი ბეჭდური გამოცემა, 1712, აკ. შანიძის მიერ 1937 წ. აღდგენილი, მეორე მისგანვე გამოცემული, 1975, გვ. 138.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 367—387.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 371—382.

თავად კომენტარებშიც შეინიშნება გარკვეული შეუსაბამობანი, რაც კვლავ მისი შემდგენლის — ვახტანგის მოუცლელობითა და უდროობით უნდა აიხსნას. როგორც ჩანს, ვახტანგის სპარსეთში გამგზავრებამდე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიცა და კომენტარებიც ძირითადად მზად იყო, მაგრამ მათი საბოლოოდ დადგენილ-რედაქტირებული ვარიანტი ჯერ მზად არ ჰქონდათ. ვერც ტექსტისა და კომენტარების ურთიერთშეჯერება-დაზუსტება მოესწროთ და ვერც კომენტარების დახვეწა-რედაქტირება. მიქელი, რომ წიგნის რედაქტორი ყოფილიყო, მაშინ ამ შეუსაბამობებს ადგილი არ ექნებოდა.

პოემის დაბეჭდვის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული ტექსტის ბოლოს დართულ ლექსში. მასში ნათქვამია:

„აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელისა,  
უგბილთა ფრიალ სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,  
მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილ

მკნელისა,

ნაღვწი მისის მლოცვლისა მესტამბე მიქელისა“.

ლექსში მოტანილი სიტყვები „პირველ ნაწერი ხელისა“, საბოლოოდ დაუმთავრებელ, ანუ პოემის დადგენილი ტექსტის პირველ ვარიანტს უნდა გულისხმობდეს, ხოლო „ვახტანგის ბრძანებით“ — მეფის დანაბარებს უნდა ნიშნავდეს. ე. ი. როგორც ეტყობა „სწავლულ კაცთ“ მოუმზადებიათ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი პირველი ვარიანტის სახით, ამავე სახითვე ყოფილა მზად კომენტარებიც, მაგრამ რაკი მათი საბოლოოდ დახვეწა-დაზუსტება ველარ მოუსწრიათ, ვახტანგს უბრძანებია, ანუ დაუბარებია მიქელისათვის ტექსტიცა და კომენტარებიც უცვლელად, დატოვებული ვარიანტის სახით დაებეჭდა. ეს იყო ერთადერთი და თანაც სწორი გადაწყვეტილება, რადგანაც არ იცოდა ვახტანგმა როდის დაბრუნდებოდა სამშობლოში, ანდა ეღირსებოდა კი დაბრუნება საერთოდ ოდესმე? მას ხომ წინ ჰქონდა მაგალითი თავისი ბიძებისა — ქართლის ყოფილი მეფეების გიორგი XI და ქაიხოსროსი. ამასთანავე იგი იმაშიაც იყო დარწმუნებული, რომ ტექსტისა და კო-

მენტარებში დარჩენილი შეუსაბამობანი არსებით ზიანს არ მიაყენებდა „ვეფხისტყაოსანს“ მასობრივი მკითხველის თვალში.

ბოლოს გავარკვიეთ მიქელის დამოკიდებულება 1712 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანთან“. ჩვენი აზრით, პოემა მის მიერ უნდა იყოს აწყობილ-დაბეჭდილი. 1709 წლიდან 1711 წლის ჩათვლით ვახტანგ VI სტამბაში „წიგნების გამმართველად“ ანუ რედაქტორად ნ. ორბელიანი იხსენიება, ხოლო სტამბის მმართველად — რუმინეთიდან მოწვეული ოსტატი მ. იმტევანოვიჩი. როგორც ჩანს, 1712 წლიდან ნ. ორბელიანი თავს ანებებს სტამბაში მუშაობას და ამიტომაც არის, რომ იგი 1713—1719 წლების გამოცემებში აღარ იხსენიება, ხოლო მ. იმტევანოვიჩი პოლანდიაში გამგზავრებულია. ამის შემდეგ მისი ადგილი ვახტანგის სტამბაში მიქელს დაუკავებია. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აღნიშნული პერიოდის გამოცემებში იგი „წიგნის გამმართველად“ კი არ იხსენიება, არამედ ზოგადად „გამმართველად“ ანდა პირდაპირ „მესტამბედ“. ასეა თავად 1712 წელს დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსნის“ თავფურცელსა და ტექსტის ბოლოს მოთავსებულ ლექსში, იმავე წელს გამოცემულ „დავითნსა“ და 1713 წლის „კურთხევიანის“ თავფურცლებში.

ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვას უდიდესი ეროვნული და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა. მას შემდეგ ჩაეყარა საფუძველი პოემის შემდგომ გამოცემათა იდეას, რამაც საშუალება მისცა ქართველ ხალხს მასობრივად გასცნობოდა თავისი სათაყვანებელი შვილის შ. რუსთაველის უკვდავ პოეტურ ქმნილებას. პოემის პირველმა ბეჭდურმა გამოცემამ გარკვეული როლი შეასრულა იმ ნიადაგის მომზადებაში, რომელმაც განაპირობა XVIII საკუნის ქართული საერო პოეზიის აღორძინება.

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1712 წელს დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსნისათვის“ დართულ ვახტანგ VI „თარგმანებს“, ანუ კომენტარებს. თავისი სახელწოდების მიუხედავად, ეს იყო მაღალ დონეზე დაწერილი მეცნიერული გამოკვლევა, რომელშიაც განხილულია პოემის იდეურობისა და ორიგინალობის საკითხები, შ. რუსთაველის მსოფლმხედველობა, ფილო-

სოფიური, სოციალური, ზნეობრივ-მორალური, დიდაქტიკურ-ესთეტიკური, ლიტერატურულ-თეორიული და სხვა შეხედულებანი.

„განმარტებებით“ ვახტანგ VI ჩვენ წინაშე წარმოსდგება, როგორც დიდად ერუდირებული, განათლებულ-განსწავლული მეცნიერი-ფილოლოგი, რომელიც საფუძვლიანად იცნობს საქართველოს ისტორიულ წარსულს, ძველ ქართულ წარმართულ სარწმუნოებებს, მსოფლიო მონოთეისტურ რელიგიებს და, ცხადია, მათ შორის, ყველაზე ღრმად ქრისტიანულ მოძღვრებას. ვახტანგის ფართო მეცნიერულ განათლებაზე მეტყველებს აგრეთვე ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან სათანადო ადგილების დამოწმება, დიონისე არიოპაგელის, იოანე ოქროპირის, იესია წინასწარმეტყველის, პლატონისა და სხვათა შეხედულებების მოშველიება.

მკვლევართა დიდი უმეტესობა ვახტანგ VI „თარგმანებს“ განიხილავს როგორც პირველ მეცნიერულ რუსთველოლოგიურ გამოკვლევას. ეს მოსაზრება მთლად სწორი არ უნდა იყოს. ვახტანგის „თარგმანების“ მნიშვნელობა უფრო დიდია. იგი არის ბეჭდურად გამოცემული პირველი სპეციალური ორიგინალური ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომი. ს. ცაიშვილი თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ წერს: „ვახტანგის კომენტარები არის „საფუძვლიანი გამოკვლევა, რომელიც თეორიულ საკითხებთან ერთად (პოემის ორიგინალობის დასაბუთება, იდეური მიზანდასახულობა) საკმაოდ დეტალურად განიხილავს პოემის ლექსიკის საკითხებს“<sup>1</sup> და იქვე განაგრძობს: „აღსანიშნავია აგრეთვე ვახტანგის, როგორც ტექსტოლოგის, თავის დროისათვის ძალზე მაღალი მეცნიერული დონე“<sup>2</sup>.

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისათვის“

<sup>1</sup> ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ფ. 1970, გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 24.

დართული „თარგმანებით“ იწყება ახალი ქართული ფილოლოგიური მეცნიერული აზრის ისტორია, რის გამოც ვახტანგ VI, როგორც ავტორი ამ ნაშრომისა, ძველი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლების ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწისა და სხვათა დიდი ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად გვევლინება.

1743 წელს დაბეჭდილი ქართული „ბიბლია“ და  
ანდრია იოვანეს ძე

XVIII საუკუნის 40-იან წლებში, კერძოდ 1743 წელს, მოსკოვის ახლოს, დაბა ვსესვიატსკოეში იბეჭდება ქართული „ბიბლია“. ამ წიგნის სრული ტექსტის შესწავლა-დადგენასა და გამოსაცემად მომზადებას წინ უძღოდა ძალზე რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ინტენსიური მეცნიერულ-ტექსტოლოგიური მუშაობა, რომელსაც თავდაპირველად სათავეში ედგა XVII საუკუნის მიწურულს რუსეთს გადახვეწილი არჩილ II. მან თავად მოიძია იმხანად საქართველოს სიძველეთსაცავებში შემონახული ბიბლიური წიგნების ადრეული ხანის ხელნაწერები, ნაწილი თავისივე ძმისწულის ვახტანგ VI შემწეობით მოიპოვა, დიდი შრომა-გარჯის შედეგად ისინი ერთმანეთს შეუდარა, თავებად დაყო, თანამიმდევრობით დაალაგა, მთლიანობაში მოიყვანა და ამგვარი რუდუნებით მეტ-ნაკლებად დაზუსტებულ-დადგენილი ტექსტი 1663 წელს მოსკოვში გამოცემულ რუსულ „ბიბლიას“ შეაჯერა. ახლა ამ გზით გამოვლენილი წარყვნილ-გამოტოვებული ადგილები შეავსო-გაასწორა, ხოლო რაკილა „მაკაბელების“, „ზირაქის“, „ნემის“, „ეზრა სუთიელის“, „ივდითის“ წიგნები ძველ ქართულ ნუსხებში არ აღმოჩნდა, თავადვე თარგმნა. 1743 წელს დაბეჭდილ „ბიბლიის“ წინასიტყვაობაში ბაქარი ამბობს: „ამის სულთა და გონებათა განმანათლებლისა, წმიდისა დაბადებისა დაბეჭდვა... ფრიადითა სასოებითა ნებებოდა ნეტარხსენებულსა მეფესა არჩილს, რათამცა შეეკრიბა და შეესრულებინა დაბადება. რამე თუ ქვეყანათა ჩვენთა არღარა იპოვებოდა



ერთად შეკრებულნი, არამედ წიგნად იყო და რომელნიმე დაკარგულ და დაკლებული. ვითა წიგნი იესო ზირაქი, და მაკაბელნი. ხოლო რომელნიცა დაშთომილ იყუნეს და იპოვებოდეს, იგინიცა უთავოდ და უმუხლოდ და მწერალთა მიერ განრყვნილნი. არამედ შეეკრიბა და შეეწყო ერთად და ნაკლულევანიცა იგი ეთარგმნა ძალისაებრ თვისისა, რომელიცა შემძლებელი ყოფილიყო“.

სამწუხაროდ, არჩილი „ბიბლიის“ დაბეჭდვას ვერ მოესწრო, 1713 წელს გარდაიცვალა და წამოწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

XVIII საუკუნის მეორე ათწლეულში არჩილის იდეის გამგრძელებელი ვახტანგ VI ხდება. ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას განუზრახავს მთლიანი „ბიბლიის“ გამოცემა და სტამბაც თითქოს უფრო ამისათვის დაუარსებია, მაგრამ ქართლის იმდროინდელი რთული პოლიტიკური პირობების გამო წადილი ვერც.მას აღუსრულებია.

ვახტანგმა არც რუსეთს გადასახლების შემდეგ შეწყვიტა თბილისში წამოწყებულ საქმეზე ფიქრი და ზრუნვა. მაგრამ რაკი მალე მანაც არჩილის ხვედრი გაიზიარა, ისე დატოვა ეს საწუთისოფლო, რომ განზრახვა ვერ განახორციელა.

„ბიბლიის“ დაბეჭდვა საბოლოოდ ბაქარს ხვდა წილად. „პირშომან ძემან მეფის ვახტანგისამან, მეფემან ბაქარ, — წერს ვსესვიატსკოეში გამოცემული „ბიბლიის“ ბოლოსიტყვაობაში ვახუშტი ბაგრატიონი, — ინება დაბადებისა ამის მეფის ნამუშავევისა ბეჭდვად, ვინათგან იგივე იქმნა მემკვიდრე მეფის არჩილისა<sup>1</sup>, რათა არა უდებ იყოს შრომა მისი. რომელ ერთ ოდენ იყო წიგნი ესე მხოლოდ. ხოლო ვინათგან თავი აქუნდა და მუხლნი არა წიგნსა ამას, ჯერ იყო ქმნაცა მისი.

---

<sup>1</sup> სიცოცხლის ბოლო წლები არჩილმა დიდ მწუხარებაში გაატარა. უმცროსი ვაჟი დავითი 1688 წელს გარდაეცვალა, მეორე შაჟუა — 1693 წელს, ხოლო ყველაზე უფროსი ალექსანდრე — 1703 წელს. ერთადერთი ასულის — დარეჯანის ანაბარა დარჩენილმა არჩილმა თავის ძმისწულის ვახტანგ VI ვაჟი ბაქარი იშვილა და მემკვიდრედ გაიხადა. არჩილის გარდაცვალების შემდეგ მამისეული მამულები დარეჯანის მფლობელობაში გადავიდა, ხოლო 1740 წლიდან, ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ, ბაქარმა იგი მემკვიდრეობით დაიმტკიცა.

ამისათვის მებრძანა მე, ძმასა მისსა ვახუშტის, რათა ვიწრო-  
მო ქმნად ამისა“.

ბაქარის „ბრძანება“ ვახუშტიმ პირნათლად შეასრულა. მან არა მარტო დამუხლა არჩილის მიერ 1663 წლის მოსკოვის გამოცემასთან შეჯერებული ქართული „ბიბლია“, არამედ ორივე აღთქმის წიგნები პეტრე I მითითებით თეოფილაქტე ლობათინსკისაგან ბერძნულ ორიგინალთან შედარებული ახალი რუსული რედაქციისათვის შეუწამებია და მრავალი სწორება შეუტანია. ამ საქმეში მისთვის თანადგომა და პრაქტიკული დახმარება ვინმე ანდრია იოანეს ძეს გაუწევია. თავად ვახუშტი ამის შესახებ იმავე ბოლოსიტყვაობაში გვამცნობს: „რამ ვიხილე მრავალნი შეცვალებულნი ნაკლულევანნი მთელნი მუხლნი, ლექსნი სიტყუანი და მრავალნი ასონი, და არაერთ ორ, არამედ მეტ ნაკლებ მრავალნი იყვნენ... რამ იგულა თვით მეფემან ბაქარ და ყოველმან სამღვდელმან, რომელნი იმყოფებოდნენ მოსკოვს ქართველნი, ყოფად ამისა ეგრეთვე. მიზეზთა ამით ვერღარა ურჩ ვიქმენ, რამეთუ მორჩილება არს სათნო პირველი. და თანა შეწევნითა გამმართველისა საბეჭდველის სამეფოსა ქალაქის მოსკოვის ზეჩინებულის ანდრია იოვანეს ძისათა, ხელ-ვეყავით შრომად... ფსალმუნი და წინასწარმეტყველებანი და ახალი აღთქმანი მის მეფის ვახტანგის ბრძანებით განმართული და დაბეჭდილნი იყვნენ მისსავე მოღებულს საბეჭდავს შინა ტფილისისა, ხოლო ჩვენ ესე ვქენით... რომელნიცა აკლდნეს, მიუმატეთ, ვითა განმართულ იყო რუსთაგან“.

ვინ არის ეს ანდრია იოვანეს ძე, რომელიც დახმარება ვახუშტის ქართული „ბიბლიის“ ტექსტის ამავე სახელწოდების რუსული წიგნის პეტრე I დროინდელ ბოლო გამოცემასთან შედარება-შეჯერებაში?

მკვლევართა ერთი ნაწილი მას რუსეთის საიმპერატორო კარის ვიცეკანცლერ ანდრია იოვანეს ძე ოსტერმანად მიიჩნევს. მათ ამ მოსაზრებას 1743 წელს დაბეჭდილი ქართული „ბიბლიის“ სინოდის მიერ აკრძალვა და იმ დროისათვის რუსეთში შექმნილი რთული საშინაო პოლიტიკური ვითარება უდევს საფუძვლად.

1743 წელს ვსესვიატსკოეში დაბეჭდილი „ბიბლიის“ ტა-

რაჟი 300 ეგზემპლიარს შეადგენდა. ბაქარს განზრახული ჰქონდა აქედან 100 ცალი საქართველოში გაეგზავნა იქაურ ეკლესია-მონასტრებისათვის გასანაწილებლად. ამიტომ 1745 წლის 26 ივნისს მას თხოვნით მიუმართავს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის ნება დაერთო განზრახვის შესასრულებლად, მაგრამ საქმეში სინოდი ჩარეულა და „ბიბლიის“ სამშობლოში გაგზავნაზე ბაქარისათვის უარი უთქვამთ. გამოირკვა, რომ ამ წიგნის „დაბეჭდვის შესახებ ნებართვა არ ყოფილა გამოთხოვილი სინოდისაგან და უკანასკნელს არავითარი ცნობა ამ საქმის შესახებ არ ჰქონია... ამიტომ უბძანა იოსებ სამებელს (ვსესვიატსკოეს სტამბის ერთ-ერთ დამაარსებელს — ო. კ.), სასწრაფოდ წარედგინა სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ცალი დაიბეჭდა ქართული ბიბლია, როდის, სად და ვისი ზედამხედველობით... როგორი ტირაჟით, ხომ არ იხსენიება მასში პრინცი იოანე ბრაუნშვაიგ ლიუნენბურგელი“<sup>1</sup>.

ყოველივე ამის გამო ანდრია იოვანეს ძე ოსტერმანის 1743 წლის ქართული „ბიბლიის“ ტექსტის დადგენაში ვახუშტის თანამონაწილედ აღიარების მომხრენი ყურადღებას ამახვილებენ რუსეთის მაშინდელ მოუგვარებელ საშინაო ვითარებაზე, კერძოდ ვიცე-კანცლერ ოსტერმანის რჩევით უშვილო იმპერატრიცა ანა იოანეს ასულის მიერ თავისი უფროსი დის ეკატერინეს ვაჟის ი. ა. ბრაუნშვაიგ-ლიუნენბურგელის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებაზე, ელისაბედ პეტრეს ასულის მომხრეთა ამ ფაქტისადმი დამოკიდებულებაზე, აქედან გამომდინარე ინტრიგებზე, ბარონის რენეგატობიდან გადაყენებაზე, ფელდმარშალ მინიხის აღზევებაზე, მის დამპობაზე; ბოლოს საგანგებოდ ჩერდებიან ვახუშტის ბოლოსიტყვაობაში მოხსენიებულ ანდრია იოვანეს ძეზე და მას სრულიად უყოყმანოდ ოსტერმანთან აიგივებენ.

მოსაზრება ვახუშტის თანამდგომ ანდრია იოვანეს ძესა და ოსტერმანის იგივეობის შესახებ პირველად თ. ჟორდანიამ გა-

---

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. X, 1956, გვ. 224—225.

მოთქვა<sup>1</sup>. იგი არ გაიზიარა ს. ყუბანეიშვილმა. „ეს მოსაზრება საეკვოა. — წერს ს. ყუბანეიშვილი. — საქმე ისაა, რომ ვახუშტის ცნობით, ანდრია ივანეს ძე (იოანეს ძე) ყოფილა გამმართველი „საბეკდველის სამეუფოსა ქალაქის მოსკოვს“. ჩანს ეს პირი ქართველებს ეხმარებოდა სტამბის გამართვაში და არა ბიბლიის ტექსტის გასწორებაში. რომ ეს ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ თვით თ. ჟორდანიას ცნობით, ანდრია ოსტერმანს ჯერ ერთი „არა ჰქონია მიღებული ღვთისმეტყველური განათლება“ და მეორეც — ისტორიკოსების ცნობით — „არ იდგა მკვიდრად თვით სარწმუნოებაზე და ქრისტიანობაზე ბევრს არ ზრუნავდა“<sup>2</sup>.

ს. ყუბანეიშვილის ვერსია, თითქოს ვახუშტის მიერ მოხსენიებული ანდრია იოანეს ძე ქართველებს ეხმარებოდა სტამბის გამართვაში და არა ბიბლიის ტექსტის გასწორებაში, მცდარია. სიტყვა „გამმართველი“ ბოლოსიტყვაობის კონტექსტში იმაზე კი არ მიგვანიშნებს, რომ ანდრია იოანეს ძე იყო გამმართველი ე. ი. მომწყობ-დამაარსებელი, ფუძემდებელი „საბეკდველისა (სტამბისა — ო. კ.) სამეუფოსი ქალაქის მოსკოვს“, არამედ მასზე, რომ ამ სტამბაში მას გაძოსაცემი რუსული წიგნების უცხოურ ტექსტებთან შედარებაზე, მათს გასწორებაზე, ლიტერატურულ გამართვაზე, რედაქტირებაზე უმუშავია. ამ მნიშვნელობით (ლიტერატურული მუშაკის) აქვს ეს სიტყვა რამდენჯერმე ნაწმარი ვახუშტის იმავე ბოლოსიტყვაობაში სხვა ადგილას. ერთგან წერს: „არჩილს მოენება (ქართული „ბიბლიის“ — ო. კ.) რუსულსა დაბადებასა ზედა განმართვად და გასწორებად. ხოლო ვითა შეენოდა სიბრძნე. მეცნიერების ამისსა, განემართა და შეეწყო თვინიერ მუხლთა“. მეორეგან ამბობს: „მოელთ დაბადებაი რუსული... და განემართათ ბერძენთა, ებრაელთა, ასურთა, ლათინთა და უღლართაგან. და მეფესა არჩილს პირველს დაბადებასა ზედა გამართნეს უმუხლოდ“. იქვე ვკითხულობთ: „ყოველნივე განემართეთ და შევასრულეთ ვითა ძალ გვედვა და მივეცით სა-

<sup>1</sup> ვ. ჟორდანიას, არქივისკომისიის ოსებ სამებელი, „ივერია“ 1884, № 4, გვ. 65.

<sup>2</sup> ს. ყუბანეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 229.

ბექდავს შინა დაბა სვესვენწყას“. დაბოლოს, 1743 წლის „ბიბლიის“ თავფურცელზე დაბეჭდილია: „გაიმართა წმიდა ესე დაბადება (და არა „საბეჭდავი“ ანუ სტამბა — ო. კ.) ხელითა გურამიშვილის მღვდელ მონაზონის წინამძღვრის ქრისტეფორესითა და თანა შეწვევითა ჩვენის კარის მღვდლის ფილიპესი და... დავითისათა“. სტამბის გამართვა-მოწყობაზე რომ ყოფილიყო საუბარი, მაშინ ნათქვამი იქნებოდა: „მოვიხვევთ საბეჭდავი“... ანდა „მივიღეთ საბეჭდავი ესე ხელითა ქრისტეფორესითა და თანა შეწვევითა (დახმარებითა) ჩვენი კარის მღვდლის ფილიპესი“, რადგანაც სტამბის დაარსება, მოწყობა-გამართვა ძველ ქართულში „მოვიხვევით“, „მოვიღეთი“ და სხვა მათი მსგავსი სიტყვებით გამოითქმოდა.

1743 წლისათვის, როცა „ბიბლია“ დაიბეჭდა, ქართულ სტამბას ვსესვიატსკოეში უკვე ექვსი წლის არსებობის ისტორია ჰქონდა და ცხადია „გამართვა“ უკვე აღარ სჭირდებოდა. ისიც ცნობილია, რომ მას დროთა განმავლობაში არც განახლება განუცდია და არც რაიმე გადაკეთება. „ბიბლიის“ გამოცემამდე აქ ექვსი წიგნი გამოვიდა და ანდრია იოანეს ძე, მართლა რომ ამ სტამბის „გამართვის“ ანუ დაარსების, საძიკველის ჩაყრის მონაწილე ყოფილიყო, მაშინ მისი სახელი უფრო ადრინდელ გამოცემებში უთუოდ იქნებოდა მოხსენიებული. ვახუშტი ბოლოსიტყვაობაში ამბობს: „ფსალმუნი და წინასწარმეტყველებანი და ახალი აღთქმანი მეფის ვახტანგის ბრძანებით გამართული და დაბეჭდილნი იყვნენ მისსავე მოღებულსა საბეჭდავსა შინა ტფილისისა, ხოლო ჩვენ ესე ვქენით: რომელნიცა აკლდნეს, მიუმატეთ, ვითა გამართული იყო რუსთაგან“.

ვინ ჩვენ?

მარტო ამ კითხვაზე გაცემული ლოგიკური პასუხიც კი უსაფუძვლოს ხდის ს. ყუბანეიშვილის ვერსიას, რომ თითქოს ეს ანდრია იოანეს ძე დახმარებია ვახუშტის არა ქართული „ბიბლიის“ რუსულთან შედარება-შეჯერებაში, არამედ სტამბის გამართვაში.

რაც შეეხება მკვლევარის ექვს თ. ყორდანიას მიერ ვახუშტის თანამდგომი ანონიმი რუსი მოღვაწის ანდრია იოანეს ძე ოსტერმანად აღიარებაში, ამ შემთხვევაში იგი საკვებით მარ-

თალი ბრძანდება. ოსტერმანი, რომელიც წარმოშობით ვესტ-ფალიელი გერმანელი იყო, დიდი გავლენით სარგებლობდა რუსეთის საიმპერატორო კარზე. 1711 წელს მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის დიპლომატიურ მოლაპარაკებაში, 1718 წელს — ალანდის კონგრესის მუშაობაში. 1721 წელს შვედებთან საზავო ხელშეკრულების დადებაში. 1723 წლიდან როგორც ვიცე-კანცლერი სათავეში უდგება ქვეყნის საგარეო პოლიტიკას და ინტრიგებისა თუ შეთქმულებათა მოწყობით გარკვეულ ამინდს ჰქმნის რუსეთის საშინაო პოლიტიკაშიც. არაფერს ერიდებოდა დასახული მიზნის მისაღწევად, შეეძლო ადამიანებისა და სიტუაციების თავის სასარგებლოდ გამოყენება. ძალაუფლებისათვის დაძაბულ ბრძოლაში მან მოახერხა გზიდან ჩამოეცილებინა ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგეები, როგორც იყვნენ ა. პ. ვოლინსკი და მინიხი. იგი იყო სახელმწიფოს მართვის საკითხებში ღრმად ჩახედული, ცივი, გულჩაქვეული, პატივმოყვარე, ზვიადი პოლიტიკური მოღვაწე.

განა შეიძლება სერიოზულად ვიფიქროთ, რომ ისეთი თანამდებობებისა და იმ შინაგანი ბუნების კაცი ერთხელ მაინც მოიკლიდა ვახუშტისათვის ქართული „ბიბლიის“ რუსულთან შედარება-შეჯერებაში დახმარების გასაწევად? რა თქმა უნდა, არა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოსტერმანმა როგორც ეროვნებით გერმანელმა, რუსულიც კი არ იცოდა ხეირიანად, არამცთუ ქართული. ეს კიდევ უფრო ცხადყოფს მისი მონაწილეობის მიუღებლობას „ბიბლიის“ ქართული ტექსტის დადგენაში.

მაშ მაინც ვინ იყო ვახუშტის მიერ მოხსენიებული ეს ანდრია იოანეს ძე? სარწმუნო საბუთების უქონლობის გამო ამ კითხვაზე დაბეჯითებით პასუხის გაცემა ძნელია. შეიძლება მხოლოდ საეკლესიო მოსაზრება გამოითქვას.

ვახუშტი მას „ბიბლიის“ ბოლოსიტყვაობაში „სამეუფო ქალაქ-მოსკოვის საბეჭდავის გამმართველად“ და „ზეჩინებულ“ ანუ მეტად, (ზე) ჩინებულ, დიდებულ, შესანიშნავ პიროვნებად იხსენიებს. ამგვარი კვალიფიკაცია ძალზე წააგავს კეთილშობილებით აღსავსე განათლებულ-განსწავლული კაცის დახასიათებას. ასეთად კი XVIII ს-ის 30—60-იანი წლების ცნობილი რუსი მოღვაწე, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიბ-

ლიოთეკის რუსული ფონდის მცველი ანდრია იოანეს ძე ბოგ-  
დანოვი გვესაზიარებს, რომელიც მაღალი განათლების გარდა,  
სტამბოს, საგამომცემლო საქმისა და წიგნის ცოდნითაც გა-  
მოირჩეოდა. შესაძლებელია „მოსკოვ-ქალაქის საბეჭდავის“  
მესვეურთა გამოცდილების თანახმად ვსესვიატსკოელმა ქარ-  
თველებმაც მიმართეს მას თხოვნით „ბიბლიის“ ტექსტის გა-  
მართვაში ვახუშტისათვის დახმარების გასაწევად.

## XVIII საუკუნის ქართული ნაბეჭდი წიგნის სტამბური კაზმულა(იგა)\*

XVIII საუკუნის ქართულ ნაბეჭდ წიგნებში უხვად ვხვდებით საერო პირთა პორტრეტებს, ბიბლიურ და რელიგიურ საკულტო თემებზე შექმნილ ესტამპ-გრაფიურებს, ვინიეტებს, გერბებს; წინა და ბოლოსართებად გამოყენებულ ათასგვარ ეროვნულ ორნამენტებს; ტექსტში შეჭრილ მოჩარჩოებულ საზედაო ასოებს; ფერებში დაბეჭდილ კამარისებურ, თაღოვან-გუმბათიან თავსართებს, ვაზის ლერწვივით ერთმანეთში ასოებჩაწნულ სათაურებს, ცალკეულ სტრიქონებს, აბზაცებს, მთლიან გვერდებს; ტექსტების ნავისებურ, სამკუთხა დაბოლოებებსა და სხვა მხატვრულ-ტექნიკურ ელემენტებს, რომელთაგან ბევრს, ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ქართული წიგნი თავისი გაფორმებით არაფრით არ ჩამოუვარდება რუსეთისა თუ უცხოეთის იმდროინდელ საუკეთესო გამოცემებს.

ძველმა ნაბეჭდმა ქართულმა წიგნმა ბევრი რამ მიიღო მეკვიდრეობით ხელნაწერი წიგნებისაგან. ეს განსაკუთრებით ვიზუალურ მხარეზე — მხატვრულ-ტექნიკურ გაფორმებაზე ითქმის.

XVII—XVIII საუკუნეებში კალიგრაფთაგან ცალკეულ რეეულებად გადანუსხული ხელნაწერების აკრეფა-შეკერვას

---

\* ამ ნაკვეთში განხილულია მხოლოდ ქართულ სტამბებში დაბეჭდილი წიგნები.



„წიგნის შემოსვა“ ეწოდებოდა, ხოლო გარეკანში ჩასმას — „წიგნის შეკაზმვა“. ამიტომ ამ საქმეთა ოსტატებს შესაბამისად წიგნის „შემოსაენი“ და შემკაზმაენი“ ერქვათ<sup>1</sup>. ეს ორივე ხელობა საპატიოდ ითვლებოდა ძველ საქართველოში და ამიტომაც იყო, რომ მათი წარმომადგენლები გადანუსხული წიგნების ბოლოს ანდერძებსა თუ მინაწერებში კალიგრაფების გვერდით დიდი რიდითა და კრძალვით იხსენიებოდნენ.

XVIII საუკუნეში გადაწერილი „პარაკლიტონისათვის“ დართულ ანდერძში ვკითხულობთ: „გვედრებით ყოველთა... ლოცვა ყავთ უპირატეს ყოვლისა ხორციელად მამისა ჩემისა მიქაელისათვის, რამეთუ მისთა ლოცვათა მინდობითა ვიწყე (გადანუსხვა),... და ძმისა ჩემისა საყუარელისა თეოდერესთვის, რამეთუ მის მიერ შეიმოსა“<sup>2</sup>.

მეორე წიგნში, რომელიც თეოდორე სტოდიელის, იოანე დამასკელის, ანდრია იერუსალიმელის, იოანე ოქროპირის, გიორგი ნიკომიდიელის, ათანასი ალექსანდრიელის, ეფრემ ასურისა და სხვა ძველ დიდ საეკლესიო მოღვაწეთა ღვთისმშობლის საგალობლებს მოიცავს, ტექსტის დასასრულს, ნათქვამია: „ღმერთო და ანჩისხატო, შეიწყალე სულითა და ზორციითა აქა და ამას საუკუნესა ამა წიგნისა ახლად შემკაზმაეი იოანე“. იქვე წერია: „ღმერთო შეიწყალე იოანე სულით. ეს წიგნი ახლად შეკაზმა“<sup>3</sup>.

წიგნების გარემხატვრულ გაფორმებაზე ხშირად მუშაობდნენ აგრეთვე ლითონზე კვეთის ძველი ქართველი ოსტატები, რომლებიც ამზადებდნენ ჭედურ ყდებს კალიგრაფთაგან გადაწერილი ნუსხებისათვის შეძლებულ პირთა და ეკლესიამონასტრების დაკვეთით. იოანე მელაითის გადაწერილი „ოთხთაის“ მინაწერი გვამცნობს: „მომიჭედვინებია მე ცაცურაშვილს ნიკოდიმეოზს ეს ოთხთაეი ჩემის ალალის ფასითა ჩემის სულის საოხად და შესანდობლად“. ცოტა ზევით ვკითხულობთ: „საბას სამკაულელსა (სამკაულით შემკობსა, მომმრ-

<sup>1</sup> ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949, გვ. 75.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, სინური კოლექცია, № 67.

<sup>3</sup> იქვე, A, № 182.

თავსა, გამამშვენიერებელსა — ო. კ.) ამისა მომქედელსა შე-  
უნდე ღმერთო<sup>1</sup>.

შემოსავის, მომკაზმავისა და მომქედავის (სამკაულით  
შემკობის) სახელები შერჩათ შემდეგისათვის სტამბურად და-  
ბეჭდილი წიგნის მკინძავ-ოსტატებსაც. მათ მიერ საგულდაგულ-  
ლოდ დამზადებული, შიგნიდან სხვადასხვა ფერის თხელი აბ-  
რეშუმამოკრული შავი, მუქი ლურჯი, მეწამური, მწვანე, ყვი-  
თელი ტყავგადაკრული ხის ანდა სქელი მუყაოს ყდები, რომ-  
ლებზეც ზემოდან ამოტიფრული იყო „ჯვარცმა“, „ხარება“,  
„საიდუმლო სერობა“, „სამება“, „ღვთისმშობელი ყრმა იესო-  
თი“, „მჯდომარე წმინდა მამა წიგნით ხელში“ და ა. შ., ან,  
რომლებიც შემკული იყვნენ ჭედური ხატებითა და ფოთლო-  
ვან-მცენარეული ორნამენტებით, ქამრებისმაგვარი საკეტებით,  
ოქრომკედით ნაქარგი ზონარისებური გვერდების ჩასანიშნე-  
ბით, წიგნს საოცარ მდიდრულ, განძისეულ იერს აძლევდა.

ასეთ ძლიერ, შთამბეჭდავ ზემოქმედებას ახდენს დღესაც  
მაგალითად, 1709 წელს ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი „სა-  
ხარება“. იგი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისეული ტექს-  
ტის მიხედვითაა გამოცემული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ  
სტამბური, ცალკეულ შემთხვევებში ლექსიკის, გრამატიკის,  
ორთოგრაფიისა და სხვა მხრივ, აშკარად სცილდება ძირითა-  
დისეულს. ივ. იმნაიშვილის დაკვირვებით ვახტანგისეული გა-  
მოცემა საგრძნობლად განსხვავებული და წარყენილ-დამახინ-  
ჯებულია გიორგი მთაწმინდისეულ თარგმანთან შედარებით.<sup>2</sup>  
ეს უნდა აიხსნას ერთი მხრივ თავად გამოსაცემად შერჩეული  
ხელნაწერის ნაკლოვანებით, ხოლო მეორე მხრივ — მესტამ-  
ბეთა გამოუცდლობით. იგი ხომ ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭ-  
დილი პირველი წიგნია!

XVIII საუკუნის დამდეგიდან XIX საუკუნის 20-იანი  
წლების მიწურულამდე, ანუ გვიანი ფეოდალიზმის ხანის პე-  
რიოდში „სახარება“ 1709 წლის გარდა სტამბურად სულ შეიდ-  
ჯერ გამოიცა: 1739 წელს — ვსესვიატსკოეში. 1766 წელს —

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელ-  
ნაწერთა ინსტიტუტი, სინური კოლექცია, № 67, A, № 1782.

<sup>2</sup> ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, 1979, გვ. 76.

მოსკოვში, 1786 და 1791 წლებში — თბილისში, 1803 წელს — ქუთაისში, 1817 და 1818 წლებში — საჩხერეში. აქედან სრული სახით, „ოთხთავის“ სახელწოდებით გამოქვეყნდა: 1739, 1786, 1791 და 1803 წლებში. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს გამოცემა მხატვრული გაფორმებით ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ „სახარებასთან“ მეტნაკლებად ახლო დგას.

1709 წლის „სახარება“ მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მოძღვრებათაგან, ე. ი. ოთხი თავისაგან შედგება. ყოველ თავს წინ უძღვის ცალკე, მთლიან ფურცელზე დაბეჭდილი შესაბამისი მოციქულის გრაფიურა. ამის შემდეგ ახალი გვერდიდან იწყება ჯერ მათეს, შემდეგ მარკოზის და ა. შ. მოძღვრებათა ტექსტები, რომლებიც შემკულია ყვავილოვან ჩარჩოში მოთავსებული წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატებიანი თავსართებით.

სატიტულო გვერდზე მსხვილი, მოგრძო, თვალში მოსახვედრი, შავი, ერთმანეთში ჩაწნული ასოებით დაბეჭდილია წიგნის სათაური: „საღმრთო და სამღდლო სახარება“, რის შემდეგაც იწყება საგამომცემლო მონაცემები ანუ ცნობები იმის შესახებ, თუ როდის, ვისი მეფობის დროს, ვისი ხარჯით, რომელ სტამბაში, ვისი რედაქტორობით და ა. შ. გამოვიდა ეს წიგნი.

თავფურცლის შემდეგ ცალ-ცალკე გვერდებზე დაბეჭდილია ვახტანგ VI, უნგროვლახეთიდან ჩამოყვანილი ოსტატის, თბილისის სტამბის მომწყობ-გამმართველის მ. იშტვანოვიჩისა და წიგნის რედაქტორის — სულხან-საბა ორბელიანის ძმის, მიტროპოლიტ ნიკოლოზის ანდერძები. მათ თავსართებად გამოყენებულია ჰორიზონტალური ორნამენტული ხაზი, ხოლო ბოლოსართად — წამახვილებული ქიმით ქვემოთ მიმართული მოზრდილი სამკუთხა შავხვეული ორნამენტი, რომლის აქეთ-იქითაც, ზედა და ქვედა კუთხეებში, ჩაბეჭდილია შედარებით მომცრო კუბიკურ-ხატოვანი ჯვრები. ანდერძების ბოლო სტრიქონები თანდათან შემცირებულია და მთლიანად ტექსტს ნავისებური ფორმა აქვს მიღებული.

მხატვრულადაა გაფორმებული ანდერძების დასაწყისიც. ყოველი მათგანის ტექსტის პირველი ოთხი სტრიქონი შეწყვიტაა აწყობილი და თავისუფალ ადგილას ჩადგმულია შავ

ფონზე თეთრი ფოთლებით შემკული პირველი სტრიქონის საზედაო ასოები.

მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მოძღვრებათა ტექსტების გარდა, მხატვრულადაა გაფორმებული აგრეთვე ამ მოძღვრებათა ყოველი მუხლის პირველი სტრიქონის საზედაო ასოც. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული თვალსაზრისით მათი უმეტესობა ერთმანეთის გარემოებას სულაც არ წარმოადგენს. შავ ფონს თეთრი ცვლის, ფოთლოვან ორნამენტს — ფრინველ-ცხოველების, რელიგიურ ნაგებობათა, ყვავილებისა და სხვა გამოსახულებანი.

„სახარების“ ძირითადი ტექსტის ბოლოს დართულია ნ. ორბელიანის მიერ შედგენილი საძიებლები, მათი სარგებლობის წესი. ეს არის თავისებური მეცნიერული აპარატურა, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე მკითხველისათვის ამ წიგნის, როგორც ლიტერატურული წყაროს გამოყენებისა და მასებში განათლების შეტანის თვალსაზრისით.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებში გამოქვეყნებულ საერო პირთა პორტრეტებსა და მათს ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობაზე. 1709 წლიდან 1722 წლამდე თბილისის სტამბაში გამოცემულ წიგნებში ვხვდებით ვახტანგ VI ორ სხვადასხვა პორტრეტს. ერთი ჩასმულია სწორხაზოვან ოთხკუთხედ ჩარჩოში, რომლის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ჯვარი და შემდეგ წარწერა „ფსალმუნნიდან“: „ეფუტა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი: ნაყოფთაგან მუცლისა შენისა და დაგსვა საყდართა შენთა“.

კომპოზიციურად პორტრეტი შემდეგნაირად ხასიათდება: ვახტანგი ზის მოჩუქურთმებულ ზურგიან სკამზე ჩვენგან ნახევრად პროფილში. თავზე ახურავს ბეწვშემოვლებული ქუდი, რომელზედაც შუბლის მხარეს მიმაგრებულია ფრინველის ფრთა, ხოლო ხელში უჭირავს ჯვარგამოსახული კვერთხი. წინა პლანზე, ქართლის გამგებლის ფეხებთან დგას ყვავილებიანი ვაზა, ვახტანგის ზურგს უკან კი მოჩანს ცნობილი ქართული პოეტი მამუკა ბარათაშვილი მეფის ხმლით ხელში.

პორტრეტი მთლიანად ჩასმულია დამატებით ოთხკუთხედ ორნამენტთან ჩარჩოში.

მეორე პორტრეტი არსებითად განსხვავდება პირველისაგან. აქ ვახტანგი პროფილში კი აღარ ზის, არამედ ჩვენსკენ სახითაა მობრუნებული, ქული მარჯვენა ფეხის მუხლზე უდევს და პირდაპირ გვიყურებს. თმა და წვერ-ულვაში მოშვებული აქვს, ტანზე აცვია ყურთმაჯებიანი მდიდრული ახალუხი, მარცხენა ხელით დაყრდნობილია მარცხენავე ფეხის მუხლს, ხოლო მარჯვენა ხელში სამეფო სკიპტრა უჭირავს. სურათზე არ ჩანს არც ყვავილებიანი ვაზა და არც ამ შემთხვევაში საკურველმტვირთველი მამუკა ბარათაშვილი ქვეყნის გამგებლის ხმლით ხელში.

მთლიანად ეს პორტრეტი მოთავსებულია არაჩვეულებრივად მდიდრულ, მრავალი სახის ორნამენტულ ჩარჩოში, რომლის ნახვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვახტანგის პორტრეტი ზემოაღნიშნულ ჩარჩოში კი არ არის ჩასმული, არამედ ძვირფას აღმოსავლურ ხალიჩაზეა ამოქარგული ხელმარჯვენ ოსტატთა მიერ.

ვახტანგის პორტრეტების ბეჭდვა ძველ ქართულ წიგნებში შემთხვევით ხასიათს არ ატარებდა. ეს მათწყებელი იყო იმ დიდი დამსახურებისა, რომელიც ვახტანგს სტამბის დაარსებაში მიუძღოდა და არა როგორც „შესხმა“ ანდა „ქებათა-ქება“ მეფისა. ამიტომაცაა, რომ XVIII საუკუნის პირველ-ორ ათწლეულში დაბეჭდილ წიგნებში ერისა და ქვეყნის წინაშე მართლიშვილური ვალის პირნათლად მოხდის მიუხედავად, არცერთი სხვა მეფის — არც არჩილ II, არც გიორგი XI, არც სვიმონის, არც ბაქარის პორტრეტებს არ ვხვდებით. ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათში გამოქვეყნებულმა პორტრეტებმა შემოგვინახეს ორი დიდი ქართველი პოეტის ვახტანგ VI და მამუკა ბარათაშვილის ნამდვილი სახეები.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში თბილისის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებში ვახტანგ VI პორტრეტის გარდა, ვხვდებით აგრეთვე ბაგრატიონების საგვარეულო გერბს. იგი სამი ვარიანტის სახით არის წარმოდგენილი. პირველი ვარიანტი მოთავსებულია 1709 წელს გამოცემულ „სამოციქულოში“, მე-

ორე — 1712 წლის „ვეფხისტყაოსანში“, მესამე — 1722 წლის „უამნში“.

„სამოციქულოში“ დაბეჭდილი ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში პირველი ვარიანტის სახელით არის ცნობილი, რთული კომპოზიციით ხასიათდება. იგი ჩასმულია ფოთლოვანი ორნამენტის ოთხკუთხედ ჩარჩოში. ჩარჩოს შიგნით მოთავსებულია აუთენტური-მოთქვილი ოვალური წრეხაზი, რომელიც ზედა ნაწილის ცენტრში შეკრულია ჯვრითა და სამეფო გვირგვინით. წრეხაზის მიღმა, სამეფო გვირგვინის მარცხნივ, მოჩანს შემართული შიშველი ხმალი, ხოლო მარჯვნივ — სამეფო სკიპტრა.

ოვალური წრეხაზის შიგნით, შუა ადგილას, გამოსახულია ქრისტეს კვართი შემდეგი მისანიშნებელი ასოებით: „ქ. კ.“ ერთ მხარეს მოჩანს დავით წინასწარმეტყველის შურდული წარწერით: „დ. შ.“, მეორეზე კი — დავითისავე ქნარი ასოებით: „დ. ქ.“ ეს კარგა მოზრდილი წრეხაზი მთელი თავისი სიმძიმით ზურგზე ადგას ლომს და სახელურებით უჭირავს ფოთლოვან ჩარჩოს კუთხეებში მუხლებზე დაჩოქილ ოთხ ანგელოზს.

ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებში გერბის მოთავსებას თითქმის იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც თვით ვახტანგის პორტრეტისას. ამით გამოხატავდნენ ბაგრატიონების, კონკრეტულ შემთხვევაში ამ გვარის შესანიშნავი წარმომადგენლის ვახტანგ VI ლეაწლსა და დამსახურებას წიგნების გამოცემაზე საქმეში. ამასთანავე, იგი იყო ემბლემა, მარკა, ანუ სტამბის საფირმო ნიშანი.

1710 წელს თბილისში იბეჭდება ცნობილი საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნი „კონდაკი“, რომლის თავფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია ბაგრატიონების საგვარეულო გერბი მეორე ვარიანტის სახით. იგი თავისი კომპოზიციით ძირეულად განსხვავდება „სამოციქულოში“ გამოქვეყნებული პირველი ვარიანტისაგან. გერბი მთლიანად ჩასმულია წვრილხაზოვან ჰაეროვან ორნამენტულ ჩარჩოში. შუა ადგილას გამოსახულია პირველი ვარიანტისაგან აბსოლუტურად განსხვავებული მრავალწახნაგოვანი მოგრძო ჩარჩო შემდეგი გარშე-

მოწერილობით: „ეფუცა მეფე სიმონი ღმერთსა“. ჩარჩოს შიგნით გამოკვეთილია იესოს კვართი. მთლიანად ჩარჩო შედგმულია არა ლომის ზურგზე, როგორც ეს პირველ ვარიანტშია, არამედ მთის წვერზე. ამასთანავე, პირველი ვარიანტის მიხედვით კუთხეებში დაჩოქილი ანგელოზების ნაცვლად აქეთ-იქედან ჩარჩო უჭირავს ყალყზე შემდგარ ორ ლომს. მარჯვენა ლომის უკან ტორებთან გამოსახულია მართლმსაჯულების სიმბოლო — სასწორი, ხოლო მარცხენასთან — სფერო.

ჩარჩოს ზედა კუთხეებში, აქეთ-იქით გამოსახულია ყვავილოვან-ფოთლოვანი შტო. მათ შორის მოჩანს სამეფო გვირგვინი, ქვეშ — ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხმალი — სიმბოლო სამხედრო დიდებისა და სკიპტრა — სიმბოლო მშვიდობიანი სამოქალაქო ცხოვრებისა. ხმლის მხარეს გამოსახულია დავით წინასწარმეტყველის შურდული, ხოლო სკიპტრის მხარეს დავითისავე ქნარი.

ბაგრატიონების გერბი მესამე ვარიანტის სახით დაბეჭდილია 1722 წელს გამოცემულ „ქამნი“. იგი ძალზე წააგავს პირველ ვარიანტს. სხვაობა მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებში შეინიშნება.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების გარდა, ბაგრატიონების საგვარეულო გერბს ვხვდებით აგრეთვე იმავე საუკუნის 30-40-იან წლების ვსესვიატსკოესელ გამოცემებში. განსწავება მხოლოდ იმაშია, რომ თბილისის წიგნებში იგი სამი ვარიანტის სახით არასწარმოდგენილი, ვსესვიატსკოეს გამოცემებში კი მხოლოდ ერთი — მესამე ვარიანტით არის დაბეჭდილი.

ამ მხრივ საყურადღებოა 1737 წელს გამოცემული „დავითნი“. ბაგრატიონების გერბი აქ ტრადიციის თანახმად დაბეჭდილია თავფურცლის უკანა მხარეს. მისი მთავარი კომპონენტია მრავალწახნაგოვანი, უბრალო ზაზებისაგან შეკრულ ჩარჩოში ჩამული იესოს კვართი, რომელიც აქეთ-იქიდან ყალყზე შემდგარ ორ ლომს წინა ტორებით უჭირავს.

ასეთივე გერბია დაბეჭდილი 1749 წელს თბილისში, ერეკლე II სტამბაში გამოცემულ „დავითნი“, 1764 წელს „კურთხეანსა“ და 1786 წლის „სახარებაში“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლესეული სტამბის წიგნებში მოთავსებულია

ბაგრატიონების საგვარეულო გერბი, როგორც ხელოვნების ნიმუში, გაცილებით დაბლა დგას ვანტანგისა და ვსესვიატსკოეს გამოცემებში დაბეჭდილ გერბებთან შედარებით. ნაკლებ დაოსტატებულ მხატვარ-გრაფიკოსის მიერ უხეშად ამოკვეთილი ანგელოზების თავები და მოღუნებულ რიტმში წარმოდგენილი ყალუხე შემდგარი ორი ლომის ფიგურა ერთობ აუფასურებს ერეკლესეული სტამბის წიგნებში დაბეჭდილ ბაგრატიონების გერბს.

ძველ ქართულ წიგნებში გერბების ბეჭდვის ისტორია მართოდენ ბაგრატიონების ჰერალდაკით როდი შემოიფარგლება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტრის სტამბაში 1761 წლიდან გამოცემულ წიგნებში მოთავსებული ამ სტამბის დამაარსებლის ათანასე ამილახვრის გერბი, რომლის საერთო ფონად გამოყენებულია სამხრეთთან საბელშემოქერილი ღვთისმსახურის გაშლილი მანტია. მანტიის საყელოზე ჩამოცმულია წარჩინებული მოძღვრის კუნკულა. კუნკულის მარჯვნივ, უკანა მხრიდან, ამოზიდულია გრძელტარბანი ჯვარი, მარცხნივ კი — საეპისკოპოსო კვერთხი. მანტიის შუაგულში გრავირებული ოვალური წრეხაზი, რომელიც ბაგრატიონთა საგვარეულო გერბისაგან განსხვავებით აქეთ-იქიდან უკანა ფეხებზე ასვეტილ ორ ცხენს უჭირავს წონა ფლოქეებით. წრეხაზი დაყოფილია პატარ-პატარ ოთხკუთხედ ფანჯრებად. ერთ-ერთ მათგანში გამოსახულია ცხენზე ამხედრებული დავით წინასწარმეტყველი, მეორეში — მზე, მესამეში — ადამიანის ხელის მტევანი და ა. შ. მთლიანად გერბი მოთავსებულია ორმაგ სწორხაზოვან ჩარჩოში, რომლის ირგვლივაც, შიდა მხრიდან, ნუსხურით ამოკვეთილია წარწერა: „მიტროპოლიტი. თბილისისა. ათანასი. თავადი ამილახვარი. ჩ ღ ი თ“.

მკვლევართა ერთი ნაწილი ამ გერბს ამილახვრების საგვარეულო კუთვნილებად თვლის. ამგვარი მოსაზრება სწორი არ არის. ღვთისმსახურის მანტია, ღვთისმსახურისავე კუნკულა, საეპისკოპოსო კვერთხი, დაბოლოს ჯვარი, მიგვანიშნებს, რომ გერბი საკმაოდ მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირის, კერძოდ, თბილისის ყოფილი მიტროპოლიტის ათანასეს ერთპიროვნულ კუთვნილებას უფრო წარმოადგენს, ვიდრე თავის



დროზე რაინდობით სახელგანთქმული ამილახვრების დიდ საგვარეულოსას. ჩანს, ათანასე ამილახვარს ეს გერბი რუსეთში გამოცემული წიგნების გავლენით სპეციალურად დაუშზადებინებია თავისი სტამბის ემბლემად. ამას მოწმობს გერბის სიმბოლური ნიშნების ამოკითხვა. მათში, ერთობ გონებააზვილობითაა შეპირობებული ათანასეს ბიოგრაფია. თუ ზემოაღნიშნული მანტია, კუნკულა, კვერთხი და სხვა, ათანასეს მალალსაეკლესიო თანამდებობაზე მიგვანიშნებს, წრეხაზის ერთ ფანჯარაში. გამოსახული, ცბენზე ამხედრებული დავით წინასწარმეტყველი მომასწავებელია იმისა, რომ იგი წარმოშობით ენათესავებოდა ებრაელთა დიდი წინაპრის შთამომავალთ — ბაგრატიონებს, ხოლო მზე აღნიშნავს, რომ ამილახვრები ბრწყინვალე წოდებას მიეკუთვნებოდნენ.

გერბების ბეჭდვის თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე ქუთაისის სტამბაში გამოცემული წიგნები. როგორც ვახტანგ VI, ესესვიატსკოესა და ერეკლე II სტამბაში, აქაც, ტრადიციის თანახმად, ყოველი წიგნის თავფურცლის უკანა მხარეს დაბეჭდილია ბაგრატიონების საგვარეულო გერბი მეორე ვარიანტის სახით — ყალყზე შემდგარი ორი ლომის გამოსახულებით. XIX საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს წიგნების მხატვრულად გაფორმების ეს წესი იცვლება. 1810 წელს იბეჭდება „ლოცვანი“, რომელშიაც ბაგრატიონების საგვარეულო გერბს ვეღარ ვხვდებით. მის მაგივრად ტექსტის ბოლოს მარჯის სახით მოთავსებულია ქუთაისის სტამბის ერთერთი თავკაცის — ზაქარია არქიმანდრიტის გერბი. იგი გარეგნულად ძალზე წააგავს ათანასე ამილახვრის წიგნების საფირმო ნიშანს. აქაც საერთო ფონად გამოყენებულია მღვდელმთავრის გაშლილი მანტია. შუაში გრავირებულია ოვალური მედალიონისებური წრე, რომელშიაც გამოსახულია ჯვარზე გაკრული ქრისტე. მთლიანად ეს მედალიონი აქეთ-იქიდან ფლოკვებით უჭირავს უკანა ფეხებზე ასვეტილ ორ ცხენს.

„ლოცვანში“ ბაგრატიონების მაგივრად ზაქარია არქიმანდრიტის გერბის დაბეჭდვის უპრეცედენტო ფაქტი იმ რთული პოლიტიკური ვითარებით უნდა აიხსნას, რომელშიაც მოექცა დასავლეთ საქართველო და, კერძოდ, იმერეთი, XIX საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს.

ძველ ნაბეჭდ წიგნებში ბაგრატიონების საგვარეულოს, ათანასე ამილახვრისა და ზაქარია არქიმანდრიტის გერბების მოთავსებას ქართული ჰერალდიკის შესწავლის მიზნით მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული და მეცნიერული ღირებულება აქვს. ჩვენი გერბთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი მათი დაბეჭდვის ფაქტს გვერდს ვერ აუვლის.

1709 წელს „სახარებაში“ მოთავსებული მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს ესტამპების მსგავსად მთლიან ფურცლებზე ნაბეჭდ დანარჩენი მოციქულების: პავლეს, იაკობის, პეტრესა და იოდას პორტრეტულ გამოსახულებებს ვხვდებით იმავე წელს ვახტანგის სტამბაში გამოცემულ მეორე წიგნში — „სამოციქულოში“. ისევე როგორც საეკლესიო ფრესკებსა და ხელნაწერ ნუსხებში, აქაც მოციქულები თითქმის ერთნაირ მდგომარეობაში არიან გამოსახული. თითოეული მათგანი ზის მოჩუქურთმებულ სავარძელზე. ხელში უჭირავს გაშლილი წიგნი და საწერ-კალამი. პირველი სამი მოციქულის: პავლეს, იაკობისა და პეტრეს ესტამპები ჩასმულია მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანესათვის 1709 წელს „სახარებაში“ გამოყენებულ სამფოთლოვან ორნამენტულ ჩარჩოში.

მეოთხე მოციქულის — იოდას ესტამპი პავლეს, იაკობისა და პეტრეს ილუსტრაციებთან შედარებით რატომღაც ღარიბულადაა წარმოდგენილი. იგი მოთავსებულია სწორხაზოვან, ოთხკუთხედ, უბრალო პოლიგრაფიულ ჩარჩოში.

„სამოციქულოში“ წმინდა მამების გარდა, დაბეჭდილია აგრეთვე კიდევ ერთი ესტამპი — „სულიწმიდის მოფენა“. ამ ილუსტრაციის ზედა ნაწილში გამოსახულია სავარძელზე მჯდომარე ღვთისმშობელი მარიამი, ქვევით მოჩანს ორნამენტიან ოვალურ ჩარჩოში მოთავსებული იესოს პორტრეტი. მარჯვნივ და მარცხნივ, მთელ სიგრძეზე, ჩამწკრივებული არიან სავარძლებში მსხდომარე მოციქულები, რომლებსაც ხელები ღვთისმშობლისა და მაცხოვრისაკენ აქვთ გაწვდილი.

ვახტანგ VI სტამბის წიგნებს შორის მდიდრული მხატვრული გაფორმებით გამოირჩევა 1710 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“. მისი თავფურცელი და ყველა დანარჩენი გვერდი ჩასმულია წვრილხაზიან, ფაქიზ ორნამენტულ ჩარჩოში. წიგნი

ილუსტრირებულია მოციქულებისა. და მაცხოვრის ესტამპე-ბით. ყოველი მათგანი ცალკე, მთლიან ფურცელზეა დაბეჭ-დილი, შემდეგ მოდის უკვე მათი შესაბამისი ტექსტი, რომლის დასასრულსაც ბოლოსართად გამოყენებულია ყვავილოვანი ვაზა.

თავფურცლის შემდეგ, ახალ გვერდზე „კონდაკში“ დაბეჭ-დილია „სამოციქულოში“ გამოყენებული „სულიწმიდის მო-ფენის“ ესტამპი — ზევით ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი, ქვევით — თაღოვან ორნამენტულ ვიწრო ჩარჩოში გამოსახული, შემოსილი გვირგვინოსანი იესო. ღვთისმშობლისა და იესოსა-გან ორივე მხარეს ჩამწკრივებულა წინ ხელებგაწვდილი ექვს-ექვსი მოციქული.

„კონდაკის“ მე-20 გვერდზე მოთავსებულია ხელნაწერი წიგნებიდან საკმაოდ ცნობილი კომპოზიცია: „ქრისტე პან-ტოკრატორი“. ამ ესტამპზე იესო გამოხატულია მთელი სხეუ-ლით. მას მარცხენა ხელში „სახარება“ უჭირავს, ხოლო მარ-ჯვენათი კურთხევას ავლენს.

„სულიწმიდის მოფენისა“ და „პანტოკრატორ ქრისტეს“ გარდა, წიგნში ვხვდებით აგრეთვე კიდევ ერთ თემატურ კომპოზიციაზე აგებულ ესტამპს — „ჯვარცმას“. ყურადღებას იქცევს ამ ესტამპის ჩარჩოს ორიგინალობა. იგი შეკრულია თა-ნაბარი ზომის, ერთმანეთზე მიდგმული ოთხკუთხედი ფან-ჯრებისაგან, რომლებშიაც გამოკვეთილია ფრთოსანი ანგელო-ზები, იესოს კვართი, ერთმანეთზე ჯვარედინად გადაჭდობილ-დაბორკილი ქრისტეს ხელის მტევნები, ზარძიმი, კიბე, მარ-წუხები და მაცხოვართან დაკავშირებული სხვადასხვა გამოსა-ხულების ნივთები.

ამგვარ ორიგინალურ ჩარჩოში მოთავსებულია გოლგოთა-ზე აღმართული ჯვარი, რომელზედაც გაკრულია ნაწამებ-გვე-მული ქრისტე. უკანა ფონზე მოჩანს იერუსალიმის მონასტრის კონტურები. ჯვარცმულ ქრისტეს აქეთ-იქიდან გვერდში უდ-განან თავდახრილ-დამწუხრებული ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი.

წიგნის 72-ე, 114-ე და 158-ე გვერდებზე დაბეჭდილია იო-ანე ოქროპირის, ბასილ დიდისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის (დიოლოლოსის) ილუსტრაციები.

ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებში არცთუ ისე იშვიათად ვხვდებით ბიბლიურ პირთა ესტამპებს, მათ შორის კი დავით წინასწარმეტყველისას. პირველი წიგნი, რომელშიაც მისი ესტამპია გამოყენებული, ეს არის ვახტანგ VI სტამბაში 1711 წელს მხედრული შრიფტით გამოცემული „დავითნი“. იგი დაბეჭდილია ფაქიზი ორნამენტებისაგან შემკული აუთრული თავფურცლისა და ბაგრატიონების საგვარეულო გერბის შემდეგ თავისუფალ მთლიან გვერდზე. დავითი გამოსახულია მოჩუქურთმებულ უზურგო სავარძელზე მჯდომარე. ტანზე აცვია ყვავილებით მოჩითული გრძელი ხალათი, ხოლო თავზე ახურავს ხუთწახნაგიანი სამეფო გვირგვინი. მარცხენა ხელში უჭირავს გადაშლილი წიგნი, ხოლო მარჯვენაში — საწერ-კალამი.

ესტამპის უკანა პლანზე მოჩანს მარმარილოს სვეტებიანი თალი; რომლის მორკალული ზედა ნაწილი მოჩუქურთმებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მარჯვნივ გრავერებულია არქიტექტურული შენობა, მარცხნივ — ჩუქურთმაში გამოყვანილი ეკლესიის დაგმანული კარი თუ ფანჯარა.

დავით წინასწარმეტყველის ესტამპი დაბეჭდილია აგრეთვე 1737 წელს ვსესვიატსკოეში გამოცემულ „დავითნში“. მასა და 1711 წელს ვახტანგ VI სტამბაში გამოცემულ „დავითნისეულ“ ესტამპს შორის არაფითარი სხვაობა არ შეინიშნება. ამიტომ დაბეჭდვებით შეიძლება ითქვას, რომ 1737 წელს ვსესვიატსკოეში დაბეჭდილ „დავითნში“ ებრაელთა ბიბლიური წინაპრის პორტრეტი 1711 წელს „დავითნში“ გამოქვეყნებული ესტამპია და იგი ქართველი ემიგრანტების მიერ 1724 წელს თბილისიდანაა წაღებული.

თვალში მოსახვედრი მსგავსება შეინიშნება ვახტანგ VI სტამპის ზემოაღნიშნულ ესტამპსა და 1743 წელს ვსესვიატსკოეში გამოცემული „ბიბლიის“ 378-ე გვერდზე დაბეჭდილი დავით წინასწარმეტყველის პორტრეტებს შორის. აქაც, ისევე როგორც 1711 წლის „დავითნში“ ჩვენთვის უკვე საკმაოდ ცნობილი ბიბლიური პირი ზის უზურგო სკამზე. მარცხენა ხელში გადაშლილი წიგნი უჭირავს, მარჯვენაში — საწერ-კალამი. უკანა ფონზე მოჩანს ეკლესიის დაგმანული კარი თუ

ფანჯარა და მეორე მხარეს — ლირა. ეს უკანასკნელი დეტალი რომ არა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ 1743 წლის „ბიბლიაში“ გამოყენებული იყო 1711 წლის „დავითნში“ დაბეჭდილი იგივე წინასწარმეტყველის ესტამპი. ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის, რომ თბილისის „დავითნის“ ესტამპში ლირას მაგივრად არქიტექტურული ნაგებობაა გამოსახული. მაგრამ ეს ფაქტი სრულიადაც არ გამოორიცხავს, რომ „ბიბლიისეული“ დავით წინასწარმეტყველის ესტამპი მოსკოველი ქართველი ემიგრანტი მხატვარ-გრაფიკოსის მიერ იყოს დამზადებული.

მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს 1807 წელს ქუთაისის სტამბაში დაბეჭდილ „დავითნში“ მოთავსებული დავით წინასწარმეტყველის ესტამპი. იგი კონსტრუქციულად არსებითად განსხვავდება სხვა ზემოაღნიშნული ესტამპებისაგან. აქ დავითი ზის ჩუქურთმიან სავარძელში. თავზე მზის სხივებით გაბრწყინებული სამეფო გვირგვინი ადგას, ტანთ კი საღვთისმსახურო გრძელი სამოსი აცვია. იქვე დგას მაგიდა, რომელზედაც დევს გადაშლილი წიგნი. დავითი ოდნავ წინ არის გადახრილი, ხელში ფრინველის ფრთის კალამი უჭირავს და წერს. უკანა პლანზე მოჩანს მარმარილოს სვეტები, თალიანი აივნები, ხეები.

ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებში დავით წინასწარმეტყველის მსგავსად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ღვთისმშობლის ესტამპებსაც. აქედან აღსანიშნავია 1710 წელს ვახტანგ VI სტამბაში გამოცემულ პატარა ფორმატის „უამნში“ მოთავსებული „შობა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა“. თემა გაშლილია ღია ცის ქვეშ. საყდრისა და სხვა არქიტექტურულ ნაგებობათა ფონზე, შუა ადგილას გრავირებულია ტანტრევანზე მკდომი ღვთისმშობელი, მარცხნივ უდგას მსახური თუ მხევალი გრძელტარიანი საჩრდილობელით ხელში, მარჯვნივ უზურგო სავარძელში ზის ღვთისმშობლისაკენ ხელებგაწვდილი იოანე ნათლისმცემელი.

1793 წელს ერეკლე II სტამბაში იბეჭდება „მცირე ლოცვანი“, რომელშიაც შეტანილია „გამოკრებით შერჩეული“ სხვადასხვა დანიშნულების ლოცვები. წიგნის პირველი გვერ-

დი დათმობილი აქვს თავფურცელს, რომლის უკანა მხარესაც დაბეჭდილია „სამების“ ხატი. პირველ და მეორე თავებს შუა ჩაკრულ თავისუფალ მთლიან ფურცელზე მოთავსებულია შემდეგი ორი ესტამპი — „ნარება“ და „ღვთისმშობელი ჩვილი იესოთი“. ორივე მათგანი წმინდა მარიამის სახელთანაა დაკავშირებული. აქედან მხატვარ-გრაფიკოსს ოსტატობის თვალსაზრისით უფრო მეტად ყურადღებას იქცევს მეორე — „ღვთისმშობელი ჩვილი იესოთი“. ამ ესტამპზე მოჩანს წმინდა მარიამი, რომელსაც ხელში უჭირავს ყრმა იესო. იქვეა გამოსახული ანგელოზი, პირში აიაზმის შტოთი. მთლიანად ეს ესტამპი მოთავსებულია ბურბუმელასმაგვარ ხვეულ ორნამენტის ჩარჩოში.

შთამბეჭდავ შთაბეჭდილებას ტოვებს 1710 წელს ვახტანგ VI სტამბაში გამოცემულ „ლოცვანში“ დაბეჭდილი ესტამპი „ღვთისმშობლის ტაძრად მოყვანება“. ფიგურათა მასობრიობითა და კომპოზიციური გააზრებით იგი ერთ-ერთი ყველაზე რთული ნამუშევარია ვახტანგის სტამბაში გამოცემული წიგნების ესტამპებს შორის: ცენტრში გრაფირებულია კივორიუმი, რომლის მარჯვენა მხარეს დგანან წმინდანები — ანა და იოკიმე. მათ უკან გამოსახულია შუბოსან მხლებელთა ფიგურები. კივორიუმის წინ, ოდნავ მარცხნივ, მუხლებზე დაჩოქილი დგას იესო, რომელსაც ხელში უჭირავს მართლმადიდებლური ეკლესიის სიმბოლო — მტრედი. იესოსთან ახლოს, ხელმარცხნივ, დგას სიმეონი. იგი კურთხევას ავლენს არქიტექტურულ თაღში გამოსახული ღვთისმშობლის მიმართ.

მართალია, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების საილუსტრაციო მასალა თავიდან ბოლომდე ერთგვაროვანია — ბიბლიურ-რელიგიური თემატიკით შემოფარგლული, მაგრამ იგი აშკარად გამოირჩევა სიუჟეტურ-შინაარსობრივი მრავალფეროვნებით. რა თქმა უნდა, იმის თქმა, რომ ამ მხრივ გამეორებას ადგილი არა აქვს, უმართებულო იქნებოდა. ერთგვაროვან სიუჟეტებს საკმაო რაოდენობით ვხვდებით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათ შორის სერიოტიპული მსგავსება თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი. მაგალითად, 1817 წელს საჩხერეში დაბეჭდილ მცირე ფორმატის „სახარებაში“ მოთავსებულია პავლე მოციქულის ესტამპი. ეს არ არის პირველი წიგნი, რომ-

მელშიაც ამ წმინდანის პორტრეტული გამოსახულებაა წარმოდგენილი. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საჩხერესეული სტამბის პავლე მოციქულის ესტამპი სრულიად განსხვავდება სხვა გამოცემებისაგან. იგი მათთან შედარებით უფრო მასშტაბურია და მკვეთრი დინამიკურობით გამოირჩევა. მოქმედება გაშლილია სვეტებიან დარბაზში. ჩუქურთმიან სავარძელში ზის პავლე. წინ უდევს გადაშლილი წიგნი და მარჯვენა ხელში ფრინველის ფრთის კალამი უჭირავს. უკანა პლანზე მოჩანს ფრთებგაშლილი ანგელოზი. ამ დეტალს (ფრთებგაშლილ ანგელოზს) სხვა წიგნებში დაბეჭდილ პავლეს ესტამპებზე არ ვხვდებით.

საჩხერის სტამბის „სახარებაში“ პავლეს გარდა მოთავსებულია მეორე მოციქულის — პეტრეს ესტამპიც. აქ იგი გამოსახულია თმა და წვერ-ულვაშმოშვებული, ტანთ გრძელი, ფართო კალთებიანი კაბა აცვია. პეტრე მუხლმოკეცილი ზის, წინ გადაშლილი წიგნი უდევს და ხელში კალამი უჭირავს, კაბის კალთიდან კი თავი აქვს გამოყოფილი ლომისსახიან ბიჭს.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე იოდას ესტამპი. კომპოზიციურად იგი წააგავს 1710 წელს ვახტანგ VI სტამბის „სამოციქულოში“ დაბეჭდილ ამავე სახელწოდების ესტამპს. მოქმედება აქაც შენობაში ხდება. მარცხენა მხარეს მოჩანს ზევიდან ჩამოშვებული გრძელი, შუაში შეკეცილი მდიდრული ფარდა, უკანა პლანზე გამოსახულია ორი სვეტი და ამდენივე ფანჯარა. ცენტრში დგას ტახტრევანი, რომელზედაც ზის პეტრესავით შემოსილი იოდა. მას მუხლებზე უდევს გადაშლილი წიგნი. არც ეს დეტალი (მუხლებზე გადაშლილი წიგნი) შეინიშნება იოდას სხვა ესტამპებზე.

„სახარებაში“ დაბეჭდილი მოციქულების — პავლეს, პეტრესა და იოდას ესტამპების სტილისტური თავისებურებანი მოწმობს, რომ საჩხერეს სტამბას მომსახურებას უწევდა ქუთაისის „სამეფო წიგნსაბეჭდავის“ დღემდე უცნობი მხატვარ-გრაფიკოსი. ზემოაღნიშნულ მოციქულთა ესტამპები და საჩხერის სტამბის სხვა კაზმულობანი მის მიერ უნდა იყოს დამზადებული.

ბიბლიურ და რელიგიურ საკულტო თემებზე შექმნილ იმ ესტამპ-გრაფიურებს შორის, რომლებიც ძველ ქართულ წიგ-

ნებშია დაბეჭდილი, უპირატესობა იესო ნაზარეველისადმი მიძღვნილ თემატიკას აქვს დათმობილი. იესოს გამოსახულებას ვხვდებით, კერძოდ, ვახტანგ VI სტამბაში 1710 წელს გამოცემულ „კონდაკში“. ამ წიგნის თავფურცელი შემკულია ცნობილ რელიგიურ სიუჟეტზე აგებული ესტამპით „სულიწმინდის მოფენა“. ზედა მხარეს მოჩანს ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი, ქვევით კი თაღოვან ორნამენტულ ვიწრო ჩარჩოში გამოსახულია შემოსილი, მზის სხივების გვირგვინით თავშემკული იესო ნაზარეველი. ღვთისმშობლისა და ქრისტესაგან ორივე მხრივ ჩამწკრივებული დგას წინ ხელებგაწვდილი ექვს-ექვსი მოციქული.

იესოსთან დაკავშირებით კიდევ ერთ ბიბლიურ თემაზე აგებულ ესტამპს ვხვდებით 1710 წელს ვახტანგ VI სტამბაში გამოცემულ „უამნში“. ეს არის „ქრისტეს შობა“. ესტამპის მთელ სიგრძეზე უწყვეტი, მთლიანი ხაზით გამოკვეთილია კარვის გამოსახულება. კარვის წინ, შესასვლელთან მარჯვნივ და მარცხნივ მუხლებზე დაჩოქილები დგანან ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ღვთისმშობლის უკან მოჩანს ფეხზე მდგარი ორი მოციქული, ხოლო კარვის იქით — ამდენივე ფრთოსანი ანგელოზი.

„უამნში“ დაბეჭდილი „ქრისტეს შობის“ ესტამპი ძალზე წააგავს 1978 წელს ვატიკანის „ბიბლიოთეკა აპორტოლიკაში“ აღმოჩენილი ნ. ჩოლოყაშვილ-ირუბაქიძის (ირბახის) მიერ ლათინურად თარგმნილი ღვთისმშობლის სავედრებელი ლოცვის „ლიტანია ლაურეტიანას“ თავსართის გრავიურას, რომელიც პირველ ქართულ გამოცემებთან: „ქართულ-იტალიურ ლექსაკონთან“ და „ქართულ ანბანთან“ ერთად 1629 წელს იტალიაში, რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში დაიბეჭდა<sup>1</sup>.

„ლიტანია ლაურეტიანას“ გრავიურისათვის „უამნის“ „ქრისტეს შობის“ ესტამპისაგან განსხვავებით საერთო ფონად კარვის მაგივრად გამოყენებულია დარბაზი, რომლის ცენტრშიც, თივაზე დაგებულ ოდიკისმაგვარ საღვთისმსახურო საფენზე

<sup>1</sup> „ლიტანია ლაურეტიანას“ შესახებ ვრცლად იხ. ა. ჩიქობავასა და ჯ. ვათეიშვილის „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“, 1983, გვ. 44.



წევს ახალშობილი იესო. მარცხენა მხარეს მოჩანს მუხლებზე დაჩოქილი მარამი პირპოსსაყენ გაწვდილი ხელებით, ხოლო მარჯვნივ ღვთივმოვლენილ ჩვილ ღმერთკაცს თავით უზის შემოსილი იოანე ნათლისმცემელი. მარიამის ზურგს უკან გრავირებულია ბოსლის კონტურები, სადაც ბიბლიური თქმულების თანახმად დაიბადა იესო ნაზარეველი, მოპირდაპირე მხარეს კი მოჩანს თალიანი კარებიდან დარბაზში შემოსული, ახალშობილის მიმართ მოკრძალების ნიშნად წელში მოხრილი ორი მწყემსი.

თავსართის სიუჟეტურ მთლიანობას დასრულებულ სახეს აძლევს გრავიურის ზედა ნაწილში, დარბაზის მაღლა გამოსახული მზის სხივებით გაჩახჩახებული ცა, სადაც ნებერად ფართხალებენ იესოს ამქვეყნად მოვლენით გახარებული ფრთიანი ანგელოზები.

მართალია, რომში დაბეჭდილი ღვთისმშობლის სავედრებელი ლოცვის „ლიტანია ლაურეტიანას“ თავსართის გრავიურა ვახტანგ VI სტამბაში გამოცემულ „უჟანში“ მოთავსებულ „ქრისტეს შობის“ ესტამპთან შედარებით თითქმის ერთი საუკუნით ადრეა დამზადებული, პირველი, როგორც გრაფიკული ნამუშევარი გაცილებით მაღლა დგას მეორესთან შედარებით.

ახალი, სხვა წიგნებში მანამდე გამოუყენებელი ესტამპია დაბეჭდილი 1710 წელს თბილისში გამოცემულ „ლოცვანში“. აქ თავფურცლის შემდეგ მთლიან გვერდზე გამოსახულია საყდარი, რომელზედაც ზის იესო. მას მარცხენა ხელში გაშლილი წიგნი უჭირავს, მარჯვენათი კი კურთხევას ავლენს.

მაღალი საშემსრულებლო პროფესიონალური ოსტატობით გამოირჩევა 1791 წელს ერეკლე II სტამბაში გამოცემულ „სამოციქულოში“ მოთავსებული იესოს კიდევ ერთი ესტამპი. წიგნის მესამე გვერდზე, ანუ თავფურცელსა და ბაგრატიონების საგვარეულო გერბის შემდეგ, მთლიან ფურცელზე დაბეჭდილია ქრისტე კვართის ამარა, ღრუბლებზე შემდგარი და მზის სხივებით გაცისკროვნებული. ქვევით მოჩანან ერთმანეთზე მიყრილი აბჯროსანი მემორები.

ეს ესტამპი მთლიანად მოთავსებულია შავ ფონზე თეთრად გამოსახული ყვავილების ორნამენტულ ჩარჩოში. საყურადღე-

ბოა, რომ აღნიშნული ესტამპი, 1710 წელს „ლოცვანში“ გამოყენებული „საყდარზე მჯდარი იესოს“ მსგავსად, 1791 წელს გამოცემულ „საჰოციქულოზე“ ადრე არც ერთი სხვა წიგნში არ ყოფილა დაბეჭდილი.

„სამოციქულოშივე“ ვხვდებით ერთ მთლიან ესტამპად შეკრულ, ფანჯრებისმაგვარ საშუალო ზომის ოთხკუთხედ ჩარჩოებში მოთავსებულ სხვადასხვა რელიგიურ თემაზე აგებულ გამოსახულებებს. ერთ ჩარჩო-ფანჯარაში გრავირებულია იესო წელზევით, მეორეში — კვართი, მესამეში — იესოსავე ხელის მტევანი კურთხევის გამოვლენისას და ა. შ.

1767 წელს მოსკოვის ჯვართამაღლების სტამბაში ათანაე ამილახვარი ბეჭდავს საღვთისმსახურო წიგნს „პარაკლისს“ პირველი გვერდი დათმობილი აქვს ოთხკუთხედ სწორხაზოვან ჩარჩოში მოთავსებულ ბრტყელფოთლება ყვავილოვან ჩარჩოს, რომელშიაც ჩასმულია დიდ ოვალურ წრეში გამოსახული იესო. აქ იგი მთლიანი ტანითაა წარმოდგენილი. მარცხენა ხელში თაჯისავე: სიმაღლის ჯვარი უჭირავს, ხოლო მარჯვენა ჩაიკლებული აქვს ერთ-ერთი მოციქულისათვის.

ამ ესტამპს ხშირად ვხვდებით ვსესვიატსკოეს წიგნებში, მაგრამ უფრო მცირე მოცულობით. მასზე გამოსახული სლავური წარწერები მოწმობს, რომ იგი ათანასეს სხვა ესტამპგრავეურებთან ერთად ან ვსესვიატსკოედან აქვს წაღებულა, ანდა მისი დაკვეთით რომელიმე რუსი ოსტატის მიერაა დაზადებული.

1768 წელს მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტრის სტამბაში იბეჭდება აგრეთვე „ჟამნი“. წიგნი იწყება თავფურცლით, რომელსაც არაერთარი კაზმულობა არ გააჩნია — არც თავსართი აქვს და არც მისი საგამომცემლო მონაცემების ტექსტია ჩარჩოში მოთავსებული. მის უკანა მხარეს მთლიან ფურცელზე დაბეჭდილია იესოს ესტამპი. აქ იგი წარმოდგენილია შუახნის ასაკში, გრძელი, ფართო სამოსით. მარჯვენა ხელით კურთხევას ავლენს, მარცხენაში კი ფიცრებისაგან შეკრული დიდი ჯვარი უჭირავს.

ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები უხვად არის ილუსტრირებული არა მარტო ბიბლიურ პირთა, არამედ სხვადასხვა საღვთისმეტყველო სიუჟეტის ესტამპებითაც. ამ მხრივ აღსანიშ-

ნაკია 1751 წელს ერეკლე II სტამბაში გამოცემული „კონდაკი“. საერთოდ ეს წიგნი მხატვრულად მდიდრულად არის გაფორმებული. თავფურცლის ზედა კაზმულობა წარმოადგენს ბრტყელფოთოლა-ყვავილოვან ბუჩქს, რომლის შუა ალაგას მორკალურ ფოთლებს შორის, გამოსახულია ჭვარი. თავფურცლის ტექსტი, ანუ საგამომცემლო მონაცემები მოთავსებულია გირჩებიან წვრილსაზიან ჩარჩოში.

72-ე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს იოანე ოქროპირის პორტრეტს, რომელიც პირველად 1710 წელს თბილისში გამოცემულ „სამოციქულოში“ გამოქვეყნდა. აქვეა დაბეჭდილი ბასილ დიდისა და „სამების“ ესტამპები.

ერეკლე II სტამბის წიგნებიდან „კონდაკის“ გარდა, მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს 1793 წელს დაბეჭდილი „მარხვანი“. მასში ვხვდებით სხვადასხვა სახის ესტამპებსა და გრავეურებს: „სერობას“, „ჯვარცმას“, „ფარისეველსა და მეზვრეს“, კიდევ სხვებს. აქედან ცალკე უნდა გამოიყოს „ფარისეველი და მეზვრე“. იგი მოთავსებულია გირჩებიან ორნამენტის ორმაგ პოლიგრაფიულ ჩარჩოში.

მოქმედება მიმდინარეობს შენობაში. სიღრმეში მოჩანს ჩუქურთმიანი ორი სვეტი, რომელთა შორისაც დატანებულია დარკინული თალიანი ფანჯარა. მარცხენა მხარეს გრავერებულია მდიდრული ფარდებჩამოფარებული შემოსასვლელი კარი. წინა პლანზე სხვადასხვა ფერის ფილებით მოპირკეთებულ იატაკზე მუხლებზე დაჩოქილი დგას ფეხშიშველი ფარისეველი, რომელსაც მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული ფიცას ნიშნად, ხოლო მარცხენა — განზე გაშვებული. ფარისეველის უკან თავდახრილი დგას გულზელდაკრეფილი მეზვრე. ესტამპზე ნუსხური ასოებით ამოკვეთილია ორი სიტყვა „ფარისეველი“ და „მეზვრე“. ეს იმაზე მოწმობს, რომ იგი ქართველი ოსტატის მიერ არის დამზადებული.

ერეკლე II სტამბის „მარხვანში“ დაბეჭდილი „ფარისეველისა და მეზვრეს“ ესტამპი უფრო ადრე — 1741 წელს გამოყენებულია ვსესვიატსკოეში გამოცემულ იმავე სახელწოდების წიგნში.

კომპოზიციურად საინტერესო ესტამპია დაბეჭდილი თავ-

ფურცლის მომდევნო მთლიან გვერდზე. ქუთაისის სტამბაში 1803 წელს გამოცემულ კიდევ ერთ „მარხვანში“. გამოსახულია ერთიანი ჩარჩო, რომელიც დაყოფილია ოთხ თანატოლ ფანჯრად. ერთ-ერთ მათგანში ჩახატულია სამეფო გვირგვინი და ჯვარი. გვირგვინის აქეთ-იქით მოჩანან ანგელოზები; მეორე ფანჯარაში გრავირებულია მზე ადამიანის სახის გამოსახულებით: ერთიანეთზე გადაკლობილი სკიპტრა და ხმალი; მესამეში — იესოს კვართი, დავით წინასწარმეტყველის შურდული, სასწორი და დათხილი ცხენი ზურგზე შედგმული ჯვარიანი გლობუსით; მეოთხეში — უკანა ფეხებზე ასეტილი ორი ცხენი, რომელთა შუაგ მოჩანს არქიტექტურული ნაგებობა. როგორც მკითხველიც შეამჩნევდა ამ ესტამპში ბევრი დეტალია ნასესხები ბაგრატიონებისა და ათანასე ამილახერის გერბებიდან, კერძოდ, ეს ითქმის იესოს კვართზე, დავით წინასწარმეტყველის შურდულზე, სასწორზე, ცხენებზე და ა. შ.

ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების მხატვრული გაფორმების შესწავლისას თემატური მრავალფეროვნებითა და ოსტატური გრავირებით განსაკუთრებით გამოირჩევა თავსართები. ამ მხრივ საყურადღებოა არა მარტო თბილისში 1709—1722 წლებში გამოცემული წიგნებისათვის ყველაზე მეტად გამოყენებული, ნატიფი, მკაფიო ხაზებით გრავირებული წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ჭატებიანი და სხვა მასზე არანაკლებ მნიშვნელოვანი თავსართები, არამედ დანარჩენ ძველქართულ სტამბებში დაბეჭდილი წიგნების ამავე სახის კაზმულობანი.

ვსესვიატსკოეს გამოცემებში ვხვდებით, მაგალითად, ხშიროთლოვან, ყვავილებიან ბუჩქს, რომლის შუაგულშიაც ჩასმულია მედალიონისებურ ოვალურ წრეში გამოსახულ ზურგიან ტახტრევანზე ჩამომჯდარი იესო. გრავიურაზე ამოკვეთილია ასოები: „UC—XP“, ანუ იესო ქრისტე. ჩანს ეს თავსართი ქართველებს იმ დროს მოსკოვში მოქმედი რომელიღაც რუსული სტამბიდან აქვთ ნათხოვარ-შესყიდული ანდა მათი შეკვეთით ვიღაც უცხო გრაფიკოსის მიერაა დამზადებული.

ზურგიან ტახტრევანზე ჩამომჯდარი იესოს გრავიურა თავსართად გამოყენებულია 1737 წელს დაბეჭდილ „დავითნში“, იმავე წლის „ზატიკში“ და სხვა წიგნებში.

ამ გრავიურისმაგვარი თავსართია გამოყენებული 1739 წელს ვსესვიატსკოეშივე გამოხული თ. პროკოპოვიჩის წიგნში „პირველი სასწაელი“, ყრმათა“. აქაც, ისევე, როგორც 1737 წლის „დავითნა“ და „ზატიკში“ დაბეჭდილია ხშირფოთლოვან მცენარეულ ჩაჩოში მოთავსებული იესოს ხატი. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ თ. პროკოპოვიჩის წიგნის თავსართი წარმოადგენს მხოლოდ ბუჩქს, ყვავილების გარეშე; ამასთან ბუჩქის შუაგულში მოთავსებულ მედალიონისებურ ჩაჩოში იესო გამოსახულია არა მთლიანი ტანით, არამედ წელამდე.

თავსართების მრავალფეროვნება შეინიშნება 1741 წლის ვსესვიატსკოესეულ „მარხვანში“. ეს წიგნი მანამდე სტამბურად არც ერთხელ არ ყოფილა გამოცემული.

„მარხვანის“ ტექსტი დაყოფილია თავებად. ერთის თავსართია ამ წიგნისავე თავფურცლის კაზმულობა — ხშირფოთლოვანი ბუჩქის შუაგულში მოთავსებული მედალიონისებური ჩაჩო იესოს ხატი. აქ მაცხოვარი გამოსახულია არა მთლიანი ტანით, არამედ წელზევით. მას მარცხენა ხელში წიგნი უჭირავს, მარჯვენათი კი კურთხევას ავლენს.

მეორე თავსართს წარმოადგენს 1711 წელს თბილისში დაბეჭდილი მცირე ფორმატის „ჟამნში“ მოთავსებული „სერობის“ გრავიურა. კომპოზიციურად იგი შემდეგნაირადაა გადაწყვეტილი: გაშლილ სუფრას უსხედან ბიბლიური ღვთისმსახურნი, შუაში მოჩანს იესო. მაგიდაზე დგას თუნგი, ბარძიმფეშხუმი, ჭამი. აქვე დევს გახსნილი დანა. 1711 წლის „ჟამნის“ გრავიურასა და „მარხვანის“ თავსართს შორის მხოლოდ სიუჟეტური მსგავსება შეინიშნება.

1741 წლის „მარხვანის“ მესამე თავსართია „ჯვარცმა“. გოლგოთის მთაზე ჯვარზე გაკრული იესო.

ვსესვიატსკოეს სტამბის წიგნებიდან ჩვენთვის უკვე საკმაოდ ნაცნობი იესოს ხატია თავსართად გამოყენებული აგრეთვე 1743 წელს გამოცემულ იოანე დამასკელის თხზულებაში „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებლისა სარწმუნოებისა“. მაგრამ განსხვავება „გარდამოცემისა“ და სხვა წიგნების ამავე სახის თავსართებს შორის ის არის, რომ 1743 წლის გამოცემაში იესოს ხატი მოთავსებულია არა ხშირფოთლება

ყვავილებიან ბუჩქში, არამედ ბურბუშელასმაგვარ ხვეულ ორნამენტიან ოთხკუთხედ ჩარჩოში.

ერეკლე II სტამბის წიგნები დიდადა დავალებული ვახტანგ VI და ვსესვიატსკოეს გამოცემებისაგან არა მარტო თემატიკურად, არამედ მხატვრული გაფორმების მხრივაც. პირველ რიგში ეს შეინიშნება ამ წიგნების ვახტანგისეულ გამოცემებთან შედარებისას. მსგავსება-წამბაძველობა იგრძნობა, როგორც ფორმატების განსაზღვრაში, ასევე ტექსტების თავსართების შერჩევაში. უფრო მეტიც, ერეკლესეულ წიგნებში არცთუ ისე იშვიათად ვხვდებით ვახტანგის სტამბიდან შემორჩენილ ესტამპ-გრაფიურებსაც კი.

როგორც 1710 წლის „კონდაკი“ მხატვრული გაფორმებას თვალსაზრისით ვახტანგ VI სტამბის მშვენიერებს წარმოადგენს, ასევე ამ წიგნის 1751 წლის გამოცემა შეიძლება ერეკლესეული სტამბის ეტალონად ჩაითვალოს. იგი მდიდრულადაა გაფორმებული. თავფურცლის ზედა კაზმულობა ბრტყელფოთლება ყვავილებიანი ბუჩქია, რომლის შუაგულში მორკალულ ფოთლებს შორის, გამოსახულია ჭვარი.

თავფურცლის ტექსტი, ანუ საგამომცემლო მონაცემები მოთავსებულია გირჩებიან წვრილხაზიან ჩარჩოში.

1751 წლის „კონდაკის“ ტექსტი იწყება მესამე გვერდიდან. აქ თავსართად გამოყენებულია ხშირი, ბრტყელფოთლება, ყვავილებიანი ბუჩქი, რომელშიაც ჩასმულია მედალიონი იესოს გამოსახულებით. კომპოზიცია მარტივია. იესო მოჩანს მთლიანი ტანით. იგი ზის ტახტრევეანზე, მარცხენა ხელში „ლოცვები“ უჭირავს, მარჯვენათი კი კურთხევას ავლენს. ეს არის ვსესვიატსკოეს წიგნებიდან გადმოღებული თავსართი. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ „კონდაკში“ ყვავილფოთლების მოხაზულობა უფრო ნაზია და ჰაეროვანი.

წიგნი დაყოფილია თავებად და მუხლებად. ამიტომ მასში რამდენიმე თავსართს ვხვდებით. ფოთლებიან ყვავილებას ბუჩქში მოთავსებული იესოს ხატის გარდა, თავსართად გამოყენებულია აგრეთვე 1749 წლის „დავითნისეული“ სამკაული — სამფოთლიანი ყვავილების ზოლითა და ანგელოზების მინიატიურული თავებით კომბინირებული თალიანი ჩარჩო,

რომლის კამარის ქვეშაც თავისუფალ ადგილას ჩაბეჭდილია ამა თუ იმ თავის ან მუხლის სათაური მსხვილი შრიფტით.

თავსართადვეა შერჩეული აგრეთვე ე. წ. „ჯვარცმის“ კომპოზიცია. მთლიანი ფურცლის ნახევარი დათმობილი აქვს სწორ, წვრილხაზოვან, ოთხკუთხედ ჩარჩოს, რომლის შიგნითაც გრავირებულია მრგვალი წრე. ჩარჩოსა და წრეს შორის დარჩენილი გარეთა თავისუფალი ადგილი დაფარულია შავი ფონით და მასზე თეთრად გამოსახულია ფოთლებიანი მცენარეული. შიგ წრეში მოჩანს ჯვარზე გაკრული ქრისტე.

ამ გრავიურის ქვევით დაბეჭდილია სამფოთლიანი ყვავილების ზოლითა და ანგელოზების თავებით კომპინირებული თაღოვანი ჩარჩო მსხვილი ასოებით გამოსახული სათაურით.

ერეკლე II, ვახტანგ VI და ვსესვიატსკოეს სტამბების წიგნების თავსართავების მსგავსება იმას როდი ნიშნავს, რომ 1749 წლადან 1800 წლამდე თბილისის გამოცემათა კაზმულობაში რაიმე სიახლე არ შეინიშნება. სრულიად უცნობი გრავიურაა გამოყენებული, მაგალითად, 1772 წელს დაბეჭდილ „პარაკლიტონში“. იგი წარმოადგენს ბრტყელფოთლება ყვავილების ბუჩქს, რომელშიაც ჩადგმულია მედალიონისებურ ჩარჩოში მოთავსებული იესოს გამოსახულება მთლიანი ტანით. აქ იგი შემოსილია, მარცხენა ხელში თავისივე სიმალლის ჯვარი უჭირავს და ოდნავ გვერდზეა გადახრილი. მარჯვენა ხელი კი ჩაქიდებული აქვს ერთ-ერთი მოციქულისათვის.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე 1783 წელს დაბეჭდილი „კონდაკის“ ძირითადი ტექსტის დასაწყისის, ანუ პირველი თავის თავსართი. ამ კაზმულობას წარმოადგენს ჯვარზე გაკრული იესოს გრავიურა, რომელსაც მარცხენა მხრიდან ღვთისმშობელი უდგას, ხოლო მარჯვნიდან — იოანე ნათლისმცემელი. ორივეს ხელები გაწვდილი აქვს ქრისტესკენ.

ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნებიდან მხატვრული გაფორმებით გამოირჩევა 1765 წელს მოსკოვის ჯვართამაღლების სტამბაში გამოცემული „სამოციქულო“. აქ თავსართად გამოყენებულია კომპოსტოსმაგვარი ბრტყელფოთლებიანი მცენარეული ბუჩქი, რომლის შუაშიც მუქი შავი საღებავით გამოსახულია მოზრდილი ჯვარი.

ამავე წიგნში თავსართებად დაბეჭდილია აგრეთვე სხვა სახის გრაფიურებიც. ხშირფოთლებიან ბუჩქში ჩასმული ოვალური წრე, რომელშიაც გამოსახულია იესო მთელი ტანით მისივე ჰიმალის ჯვრით ხელში ვახტანგ VI გამოცემებიდან „ვედრების“ სახელით ცნობილი თავსართი ყვავილების ბუჩქში ჩასმული წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატები და ა. შ.

სხვა ძველ ქართულ სტამბებში დაბეჭდილი წიგნების თავსართებისაგან მკვეთრად განსხვავებულ, მანამდე უცნობ მრავალ კაზმულობას ვხვდებით საჩხერის გამოცემებში, კერძოდ კი, 1817 წელს აქ გამოსულ დიდი ფორმატის „სახარებაში“. ერთ თავსართად გამოყენებულია ბრტყელ-ფოთლებიანი მცენარეული ბუჩქი, რომელშიაც გამოსახულია იესოს ღატი და ანგელოზების თავები.

მეორე თავსართად ვხვდებით მრავალწახნაგოვან ჩუქურთმიან ჩარჩოს. მის მთლიან შავ ფონზე თეთრად გამოკვეთილია ოვალური წრეხაზი ახალგაზრდა ქრისტეს პორტრეტით. მას მარცხენა ხელში გლობუსი უჭირავს, მარჯვენათი კურთხევას ავლენს.

მესამე თავსართია ვახტანგ მეექვსისეული სტამბის წიგნებიდან ცნობილი კაზმულობა — წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატებიანი ბუჩქი.

მეოთხე თავსართად გამოყენებულია ბებერი ხის ფესვების მსგავსი გრეხილი ჩარჩო, რომლის შიდა შავ ფონზეც თეთრად მოჩანს მთის წვერზე შედგმული ვეება ჯვარი.

ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების თავსართები, ესტამპების გამოკლებით, გაცილებით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებენ, ვიდრე სხვა სტამბური კაზმულობანი, კერძოდ — ბოლოსართები. ყვავილებიანი ვაზა, ორნამენტული სამკუთხედები, პატარა-პატარა ოთხკუთხედებისაგან შეკრული ჯვრები, ბურბუშელასმაგვარი ხეული ხაზები, მინიატიურული ფრთიანი ანგელოზები, ყვავილების გირლანდები და სხვა, აი ძირითადად ყოველივე ის, რითაც განისაზღვრება XVIII საუკუნის ქართული ნაბეჭდი წიგნის ბოლოსართები. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ვხვდებით ორიგინალურ კაზმულობასაც. ეს, უპირველეს ყოვ-



ლისა, შეეხება 1793 წელს ერეკლე II სტამბაში დაბეჭდილ „მარხვანს“. წიგნის ბოლოს მოთავსებული კაზმულობა ორიგინალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი წარმოადგენს ფოთლებიანი ხის ტოტებისაგან შეკრულ გვირგვინს, რომლის შუაშიც მოოქვილ-მოჭედილი დიდი ბეჭდის თვალის მსგავსი ნახევრად ოვალური გამოსახულებაა მოთავსებული. ყოველივე ეს ჩასმულია მდიდრული ორნამენტებით შემკულ ჩარჩოში, რომლის შიგნით ოთხსავე კუთხეში გრავირებულია გადაშლილი ვარდი. ჩარჩოცა და მასში მოთავსებული კომპოზიციური გამოსახულებაც ხეზე ამოკვეთილი ერთი მთლიანი გრავიურაა. იგი დამატებით ჩასმულია უბრალო გირჩებიან პოლიგრაფიულ ჩარჩოში. ამ სამკაულს ადრე გამოცემულ წიგნში არ ვხვდებით.

ძნელად თუ შეეხდებით ძველ ნაბეჭდ ქართულ წიგნებს, რომლებშიც საზედაო ასოები მხატვრულად არ იყოს გაფორმებული. ასეა 1709 წელს გამოცემულ „სახარებასა“ და „დავითნში“, 1710 წლის „კონდაქსა“ და „სამოციქულოში“, 1712 წლის „ვეფხისტყაოსანში“, 1716 წლის „ქმნულობის ცოდნის წიგნში“, 1739 წლის „ტესტამენტში“, 1743 წლის „ბიბლიაში“ და ა. შ. ამ წიგნების ტექსტების დასაწყისში პირველი ხუთი სტრიქონი შექრილია სხვადასხვა ზომაზე და თავისუფალ ადგილას შედგმულია ოთხკუთხედი ჩარჩო, რომელშიაც ხან გუმბათიანი ეკლესიის წინ დაჩოქილი მოხუცია გამოსახული მზისკენ გაწვდილი ხელებით, ხან დავით წინასწარმეტყველი სკიპტრით ხელში, ხან იესო მკურთხებელი, ხან მცენარეულ-ყვავილოვანი ფონი და ა. შ. ამავე ჩარჩოში შედარებით თავისუფალ ადგილას გრავირებულია ტექსტის შრიფტისაგან განსხვავებული საკმაოდ დიდი, მკაფიო გამოსახულების დეკორატიული საზედაო ასო.

XVIII საუკუნეში გამოცემული წიგნების მხატვრული გაფორმების კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია წითელსა და შავ ფერში ბეჭდვა. ამ წესს ვახტანგ VI სტამბაში თითქმის მისი დაარსებისთანავე ეყრება საფუძველი. ორ ფერშია დაბეჭდილი, მაგალითად, 1710 წელს გამოცემული „სამოციქულო“. ამ მხრივ იგი პირველი წიგნია, რის გამოც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ვახტანგ VI

დროინდელი, არამედ საერთოდ ქართული წიგნის ბეჭდვას ისტორიაში.

1710 წელსვე გამოდის თბილისში „უამნი“. ამ წიგნის თავსართად გამოყენებულია ქვედა მხრიდან ღია, კარბ შავშტრიხებიანი თაღოვანი ორნამენტული ჩარჩო, რომლის შიდა თავისუფალ არეში წითელი საღებავით ჩაბეჭდილია გამოცემის სახელწოდება, წითლითაა დაბეჭდილი აგრეთვე ჩარჩოებში მოთავსებული საზედაო ასოებიც.

ფერებში ბეჭდვის მხრივ აღსანიშნავია კვლავ 1710 წელს გამოსული „კონდაკი“. ცალკეული თავების სათაურები და სტრიქონებში შექრილი დეკორატიულად გაფორმებული თავისოები წითელი საღებავითაა ნაბეჭდი. საერთოდ წითელი ფერი „კონდაკში“ უხვადაა გამოყენებული. ზოგჯერ არა მარტო სიტყვები, არამედ მთლიანი გვერდებიც კი წითლითაა ნაბეჭდი.

1737—1744 წლებში ვსესვიასტკოეში გამოცემულ წიგნებს შორის ორ ფერში დაბეჭდილი პირველი წიგნია „ზატიკი“. აქაც სათაურები, საზედაო ასოები, ცალკეული გვერდები მთლიანად წითელ ფერშია დაბეჭდილი, შავით თითო-ოროლა სტრიქონია გამორეული.

ვსესვიასტკოეში გამოსულ წიგნებს შორის მაღალმხატვრული გაფორმებით გამოირჩევა 1741 წელს დაბეჭდილი „მარხვანი“, რომელიც მანამდე სტამბურად არც ერთხელ არ ყოფილა გამოცემული. ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ფერების საოცრად გაბედული მონაცვლეობა. წიგნში უხვადაა გამოყენებული წითელი საღებავი. წითლითაა ნაბეჭდი, მაგალითად, სათაურები, დეკორატიულად გაფორმებული საზედაო ასოები, სტრიქონები, აბზაცები. ვხვდებით აგრეთვე წითლით ნაბეჭდ მთლიან გვერდებს, რომელთა სტრიქონების ყოველი წინა ასო შავი საღებავითაა გამოსახული. ფერების ასეთი ჰარმონიული მონაცვლეობა წიგნს მხატვრულად ძალზე ემოციურს ხდის.

1765 წელს მოსკოვის ჯვართამაღლების სტამბაში გამოდის ცნობილი საეკლესიო წიგნი „სამოციქულო“. მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით ეს ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია ამ სტამბის გამოცემებს შორის. აქ ვხვდებით ერთ საყურად-

ლებო დეტალს. ისევე როგორც თავფურცელი, ყველა დანარჩენი გვერდიც ჩასმულია ორფოთლიან ყვავილოვან ჩარჩოში, რომლის გარეთაც, არშიაზე გატანილია მუხლების აღმნიშვნელი ნუსხური ასოები. აქვეა გამოტანილი მოგრძო საყურის, ბეჭდის თელისა და სხვა საიუველირო სამკაულისმაგვარი ფორმის სტამბური კაზმულობა, რომლებიც წითელი საღებავითაა დაბეჭდილი. საერთოდ წითელი ფერი ამ წიგნშიც საკმაოდ ხშირადაა გამოყენებული. წითლითაა ნაბეჭდი, მაგალითად, სათაურები, დეკორატიული საზედაო ასოები, სიტყვები, სტრიქონები და ა. შ. ყოველივე ეს წიგნს საზეიმო ელფერს აძლევს.

ორ ფერში — წითელსა და შავშია დაბეჭდილი 1768 წელს მოსკოვის ჯვართამაღლების სტამბაში გამოცემული „ჟამნი“.

როგორც ძველი ქართული წიგნების შესწავლამ დაგვარწმუნა ფერებში გამოცემა ორჯერადი ბეჭდვით წარმოებდა: ჯერ იბეჭდებოდა წიგნის მთელი ტირაჟი ძირითადად შავ ფერში, ხოლო შემდეგში — წითლით გამოსაყოფი ადგილები.

ზოგიერთი ორ ფერში გამოცემული წიგნის ბეჭდვის ხარისხი დაბალია. წითლით გამოყოფილი ტექსტუალური მასალა ზუსტად არაა თავის ადგილას მოხვედრილი: ერთი ნაწილი ზევით ანდა გვერდზეა ჩაბეჭდილი, მეორე — მომდევნო სტრიქონზეა შემჯდარი და ა. შ. ბევრჯერ არც თვით წითელი საღებავი ტოვებს სახარბიელო შთაბეჭდილებას. მას რუხი, შემრევილი ფერი დაჰკრავს. ცხადია, ყოველივე ეს მაშინდელ შესტამბე-გამომცემელთა გამოუცდლობით უნდა აიხსნას.

## სასულიერო და საერო ლიტერატურის ურსიყრსოგინათვის

(მოსკოვ მესაქურსია)

ქველი ქართული ნაბეჭდი წიგნების უმრავლესობას სასულიერო ლიტერატურა წარმოადგენს. მისი არსებობა ხელნაწერების სახით ჩვენში ქრისტიანული წელთაღრიცხვის ადრეულსავე ხანაში ყოფილა ცნობილი. საისტორიო წყაროები მოწმობენ, რომ ფარსმან ქველის შთამომავალს, დისწულს ამხასპისა — რევის, რომელიც 186—123 წლებში მეფობდა საქართველოში, სმენოდა „მცირედ რამე სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“<sup>1</sup>.

საყურადღებო ცნობას ვხვდებით სასულიერო, კერძოდ კი, ბიბლიურ წიგნებზე მცხეთელი ქართველი ებრაელი მღვდლის აბიათარის მონათხრობშიც. იგი გვაუწყებს: „აწ განიხილენი (წიგნი — ო. კ.) მოსესი... რომელი იტყოდა ქვეყანასა ზედა თავსა თუისსა ძედ ღმრთისა“<sup>2</sup>. იქვე აბიათარი დასძენს: „მოგიტხრობ, რომელი მეუწყა მამის-დედისა ჩემისაგან და უწყი წიგნთაგანცა, რამეთუ მათცა პაპათა და მშობელთა თვისთაგან მოტხრობილი-სმენელი უწყოდნენ“<sup>3</sup>. აბიათარის ნათქვამში

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყ ა უ ხ ჩ ი - შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1942, გვ. 39; ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 68, 69.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, 1942, გვ. 58.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 81.

„უწყი წიგნთაგან“, ექვს გარეშეა, ბიბლიური წიგნები იგულისხმება.

მოგვეპოვება უამთააღმწერელთა ისეთი ცნობები, რომლებიც IV საუკუნისათვის უკვე საქართველოში ბიბლიური წიგნების არსებობაზე მოწმობენ. ლ. მროველის გადმოცემით, 312—317 წლებში მირიან მეფეს ხელთ ჰქონია ბიბლიური გმირის ნებროთის წიგნი. იგი წერს: „უკვირდა მეფესა (იგულისხმება მირიანი — ო. კ.) და გამოიძიებდა რაჟულსა ქრისტესსა და მარადის ჰკითხავდა აბიათარს ძველთა ახალთა წიგნთაგან და წიგნიცა აქუნდა მეფესა ნებროთისა“<sup>1</sup>.

ცხადია, ბიბლიური წიგნები ჩვენში პირველად ქრისტიანობის გავრცელებისთანავე გახდებოდნენ მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომნი. მათი შედარებით უფრო ფართოდ გავრცელება კი მირიანის თხოვნით საბერძნეთის მეფის კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილ სასულიერო პირთა საქართველოში ჩამოსვლისა და საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის დაწყების შემდეგ არის სავარაუდებელი. „და ვითარცა მოვიდეს მოციქულნი მირიან მეფისანი კონსტანტინე ბერძენთა მეფესა წინაშე, — წერს ლ. მროველი, — და მოუთხრეს ყოველი, რაცა იქმნა (ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში — ო. კ.), მაშინ აღიესო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი... და წარმოგზავნნა მღუდელნი და დიაკონნი ფრიად მრავალნი“<sup>2</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ კონსტანტინესაგან მოვლენილი სასულიერო პირნი საბერძნეთიდან თან ჩამოიტანდნენ ბიბლიურ წიგნებსაც.

იმ თარიღის ზუსტად განსაზღვრა, თუ როდის ითარგმნა ბიბლიური წიგნები პირველად, ქართულად სარწმუნო საისტორიო წყაროების უქონლობის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია. კ. კეკელიძეს, მაგალითად, მათი V საუკუნისათვის არსებობა ეჭვმიუტანლად მიაჩნია. „პირველი უტყუარი ცნობა საქრისტიანო ლიტერატურული ძეგლების არსებობის შესახებ მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის, — წერს იგი. — მემატიანე მოგვითხრობს, რომ არჩილ მეფის (422—432 წ. წ.) შვილის, მირ-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 84.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, 1942, გვ. 74.

დატის მეუღლემ „საგდუხტ დედოფალმა გამოიკითხა სჯული ქრისტესი, რამეთუ ქმარმან მისგან მოგუარნა კაცნი სჯულას მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუვენისა იესო ქრისტესიო“. უთარგმნეს, იგულისხმება, ან ქართულად, ან ქართულიდან<sup>1</sup>.

ბიბლიური წიგნები V საუკუნეში რომ ქართულად თარგმნილი ყოფილა, ამას გვიდასტურებს ეამთააღმწერელი ჯუანშერი. მისი გადმოცემით ვახტანგ გორგასალს უთქვამს: „სოლადე ესე ამპარტავნებისა არს საცთური ეშმაკისი; უკეთუ სომრავლემან ცოდვათა ჩუვენთამან აღძრა. არა გაქვს ხელმწიფება ბოროტისა, არამედ შენდობისა, ვითარცა იტყვის სახარება“<sup>2</sup>. თუ ჯუანშერის ამ ცნობას საარწმუნოდ მივიჩნევთ, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ V საუკუნისათვის „სახარება“ თარგმნილი ყოფილა<sup>3</sup>. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ვახტანგს იგი იმდენად არ ეცოდინებოდა, რომ დაემოწმებინა.

VI საუკუნეში ქართულმა ეკლესიამ არსებითი ორგანიზაციული ცვლილება განიცადა. 542—557 წლებში მას სათავეში უდგება ეროვნული სამღვდლოება. იგივე ჯუანშერი მოგვითხრობს: „მოკუდა ფარსმან თოთხმეტისა წლისა და დაჯდა მეფედ ძმისწული მისი; რომელსა ერქვა ფარსმანვე, და იყო იგი მორწმუნე მამის ძმა მისი, და მათ ყოველთა ეკლესიათა შემკობა. მოკუდა კათალიკოზი ჩერმაგ, და ამან ფარსმან მეფემან დასუა საბა. აქათგან ახალი არა მოიყვანებდეს კათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდნეს, წარჩინებულთა ნათესავნი“<sup>4</sup>.

ქართული საპატრიარქო სტატუსის დამკვიდრებამა და ეროვნული სამღვდლოების წინ წამოწევამ, ცხადია, ხელი შეუწყო ბიბლიური წიგნების ინტენსიურ თარგმნა-გავრცელებას.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 30.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, 1942, გვ. 134.

<sup>3</sup> „სახარების“ თარგმანზე იხ. ს. სერებრიაკოვის, „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის ზოგიერთი ფილოლოგიური საკითხი“, ლიტერატურული ძიებანი, XV, 1963, გვ. 141.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, 1942, გვ. 141.

ქრისტიანობის დამკვიდრებისთანავე სასულიერო წიგნების თარგმნასთან ერთად საფუძველი ეყრება ჩვენს ორიგინალურ საეკლესიო მწერლობასაც, რაც პირველ რიგში განაპირობა ქართველ წმინდანთა და მარტვილ-წამებულთა მოსახსენებელი დღესასწაულებისათვის საგალობელი ჰიმნებისა და ქადაგებანის შექმნის საჭიროებამ.

ქართულმა თარგმნილმა და ორიგინალურმა სასულიერო ლიტერატურამ თავისი სპეციფიკურობის მიუხედავად, გარკვეული როლი შეასრულა არა მარტო ჩვენი მეცნიერული აზრისა და აქედან გამომდინარე სახალხო განათლების, არამედ, საერთოდ საერო მწერლობის, კერძოდ კი, ეროვნული მხატვრული ლიტერატურის განვითარებაზეც. ეს უწინარესად იმან განსაზღვრა, რომ სასულიერო წიგნები თავად შეიცავენ მხატვრული მწერლობის ელემენტებს. ამ მხრივ საყურადღებოა „ბიბლია“, „დავითიანი“, „სახარება“, „სამოციქულო“ და სხვები.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ რელიგიური წიგნებისათვის დამახასიათებელ ზედმეტად ზღაპრულ-ლეგენდურ სიუჟეტურობას, „სახარება“, მაგალითად, ეანრობრივად უახლოვდება დოკუმენტურ მოთხრობას. მხატვრული ხერხების გამოყენების შედეგად მასში შთამბეჭდავადია აღწერილი იესო ნაზარეტელის ცხოვრება-მოღვაწეობა დაბადებიდან მკვდრეთით აღდგომის ჩათვლით.

მხატვრულობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მთავარი მოქმედი პირის“ იესოს სასწაულებრივი ყოვლისშემძლეობის ამსახველი ცალკეული პატარ-პატარა ეპიზოდები — უსინათლოთათვის თვალის ახელა, ხეიბარდავრომილთა განკურნება და სხვა, რომლებიც დასრულებულ მინიატიურულ პროზაულ ნაწარმოებთა შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გზის პირას ჩამოძვარი ორი უმწეო უსინათლოსათვის მხედველობის დაბრუნება (სახარება მათესი, თავი 20, მუხ. 29—34); ასირიელი ანა წინასწარმეტყველის გლოვა ლოცვა-ვედრებითა და მარხვის შენახვით გარდაცვლილი მეუღლის პატივსაცემად (სახარება ლუკასი, თავი 2, მუხ. 30—36); იესოს მისვლა პეტრეს სახლში

და მხურვალეებით შეპყრობილი მასპინძლის სიღედრის განკურნება (სახარება მათესი, თავი 8, მუხ. 14, 15) და სხვა.

„სახარებაში“ საკმაოდ ზშირად ვხვდებით ბუნების აღწერას კოლორიტულ, თვალნათლივ წარმოსადგენ, დასამახსოვრებელ მომენტებს. აი ისინიც: „ზამთარი იყოს, რაჟეთუ ქსინავს მწუხარედ ცაი“ (სახარება მათესი, თავი 16, მუხ. 3); „ლედვისაგან ისწავლეთ იგავი: ვითარცა — იგი რაჟამს რტონი მისნი დაჩჩვიან, და ფურცელი გამოვალნ, უწყოდეთ, რაჟეთუ ახლოს არს ზაფხული“ (იქვე, თავი 24, მუხ. 32); „ამენ გეტყვ შენ, რამეთუ ამას დამესა, ვიდრე ქათმისა ზმობამდ; სამ-გზის უარმყო მე“ (იქვე, თავი 26, მუხ. 34); „უკეთუ გინდეს, ძალ-გიც ლისაი მის მოვიდეს: მწუხარი ანუ შუვა-დამეს, ანუ ქათმისა ზმობასა, ანუ განთიად“ (სახარება მარკოზის, თავი 13, მუხ. 35); „ალორძინდა და იქმნა იგი ხე დიდ, და და მფრინველთა ცისათა დაიმკვიდრეს რტოთა მისთა“ (იქვე, თავი 13, მუხ. 39); „ზლუაი იგი ქარისაგან დიდისა აღძვროდა“ (სახარება იოვანესი, თავი 6, მუხ. 18); „და იყო შორს მათგან კოლტი ღორთაი მოძღვარი“ (სახარება მათესი, თავი 8, მუხ. 30).

იშვიათად თუ შეხვდებით სასულიერო მწერლობაში მეორე ისეთ ძეგლს, რომელშიაც მხატვრული შედარებები და ხატოვანი გამოთქმები ისე ორგანულად იყოს შერწყმული ტექსტთან, როგორც ეს „სახარებაშია“. მასში ვკითხულობთ: „ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდეს და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ“ (სახარება მათესი, თავი 5, მუხ. 6); „თქვენ ხართ მარილნი ქვეყნისანი. უკეთური მარილი იგი განქარდეს, რაითა — მე დამარილოს?“ (იქვე, მუხ. 13); „ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრქენაი კბელთაი“ (იქვე, თავი 8, მუხ. 12); „სანთელი გუამისაი არს თუალი. უკეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნეთელი იყოს. უკეთუ გუამი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს“ (იქვე, თავი 6, მუხ. 22, 23); „შეიწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცვივნებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი“ (იქვე, თავი 9, მუხ. № 36); „აჰა მე მოგავლინებ თქვენ, ვითარცა ცხოვართა, შორს



მგელთა. იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმან-  
კო, ვითარცა ტრედნი“ (იქვე, თავი 10, მუხ. 16); „გაბრწყინ-  
და პირი მისი (იესოს, ო. კ.), ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი  
მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (იქვე, თავი 17, მუხ. 2);  
„უადვილეს არს აქლემი განსვლად ხურელსა ნემსისა, ვიდრე  
მდიდარი შესვლად სასუფეველსა ცათასა“ (იქვე თავი 19, მუხ.  
24); „ვითარცა ელვაი რაი გამობრწინდის მზისა — აღმოსავ-  
ლით და ჩანს ვიდრე დასავადმდე, ეგრეთვე იყოს მოსვლადი  
ძისა კაცისაი“ (იქვე, თავი 24, მუხ. 27).

მდიდარია „სახარება“ აგრეთვე თავისებური დიდაქტიკურ-  
დამრიგებლური შეგონებებით, დამაფიქრებელი და ზოგჯერ  
ანგარიშგასაწევი აფორიზმებით, გონივრული და მოსწრებუ-  
ლი გამონათქვამებით მათეს სახარებაში, მაგალითად, ვკითხუ-  
ლობთ: „ყოველმან ზემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი  
კეთილი, მოექუეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (თავი III, მუხ.  
10); „სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრავს ორბები“ (თავი 24,  
მუხ. 28); „მიაქციე მახვილი ადგილსავე თვისსა, რამეთუ  
ყოველთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდნენ“ (თავი 26,  
მუხ. 52); „რაისა ზედავ წუელსა თუალსა ძმისა შენისასა და  
ღირესა თუალსა შიდა შენსა არა განიცდი?“ (თავი 7, მუხ. 3);  
„ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რაითა გიყონ თქუენ კაც-  
თა, ეგრევე თქუენცა ჰყვით მათა მიმართ“ (თავი 7, მუხ. 12);  
„უკუეთუ მარჯვენე ზელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე  
იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაითა  
წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუაჰი  
შენი შთავარდეს გეჰენისასა“ (თავი 5, მუხ. 30). იოანეს სახა-  
რებაში ნათქვამია: „უმჯობეს არს ჩუენდა, რაითა ერთი კაცი  
მოკუდეს ერისათვის, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს“  
(თავი II, მუხ. 50); ლუკას სახარებაში წერია: „არარაი არს  
დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი  
არა საცნაურ იყოს“ (თავი 12, მუხ. 2).

აღსანიშნავია, რომ „სახარებიდან“ მომდინარე მრავალ შე-  
გონებას, აფორიზმს თუ გონივრულ ანდა მოსწრებულ გამო-  
ნათქვამს დღემდე არ გასვლია ყავლი და ისინი მეტ-ნაკლებად  
მოდერნიზებული ვარიანტების სახით ფართოდ გამოიყენები-  
ან როგორც თანამედროვე მწერლობაში, ისე ზეპირმეტყვე-

ლებაში. ასეთებია, მაგალითად: „თული თუალისა წილ და კბილი კბიულისა წილ“ (სახარება მათესი, თავი 5, მუხ. 38); „პური ჩვენი არსობისაი მომეც ჩვენ“ (იქვე, თავი 6, მუხ. 11); „ყოველი რომელი... ეძიებდეს, პოვოს“ (იქვე, თავი 7, მუხ. 8); „მშვიდობა სახლსა ამას!“ (იქვე, თავი 10, მუხ. 12); „სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (იქვე, თავი 12, მუხ. 37); „მიეცით კეისრისაი კეისარსა და ღმერთისაი ღმერთსა“ (იქვე, თავი 22, მუხ. 21); „არა დაშთეს აქა ქვაი ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს“ (იქვე, თავი 24, მუხ. 2); „სიტყვაიცა შენი გამოგაჩინებს შენ“ (იქვე, თავი 26, მუხ. 73); „ისმა ხმაი ღალადისაი უღაბნოსა“ (სახარება ლუკასი, თავი III, მუხ. 4) და სხვ.

ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, თუ რაოდენ ძლიერი გავლენა შეეძლო მოეხდინა სასულიერო ლიტერატურას აღორძინების ხანის, კერძოდ კი, XVIII საუკუნის ქართულ მხატვრულ მწერლობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არჩილ II შემოქმედება. შეიძლება ითქვას, რომ მისი პოეზია ძირითადად ერთი მთლიანი საღიდებელ-საგალობელია ღმერთისა და იმქვეყნიური ცხოვრებისა. კ. კეკელიძე წერდა: „არჩილის პესიმიზმი საბოლოო არაა, ის თავდება იქ, სადაც თავდება ეს ქვეყანა და იწყება „ახალი ცა და ახალი ქვეყანა“, საბოლოო ნუგეშს პოულობს პოეტი რელიგიასა და ღვთაებაში“<sup>1</sup>.

მისტიკურ-რელიგიური მოტივი უდევს საფუძვლად არჩილის ისეთ რჩეულ ლექსებს, როგორიცაა „ანბანთ ქება“, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, „სიტყვა სანთელისღებით“ და სხვები. აღსანიშნავია, რომ პოეტის შემოქმედებაში მარტო „საღვთო თემებზე“ დაწერილ ლექსებს კი არ ვხვდებით, არამედ უშუალოდ „სახარებიდან“ მოტანილ ადგილებსაც კი. მაგალითად, „სახარებაში“ ვკითხულობთ: „უფალსა ღმერთსა შენსსა თაყუანი-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურობდე“ (სახარება მათესი, თავი 4, მუხ. 10); არჩილი ამბობს: „პირველ ღმერთი სხვა არ იცნა, იმას პატივ-ეც მხოლოდ“ („გაბაასება

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1951, გვ. 537.

თეიმურაზისა და რუსთაველისა“, 181); „სახარებაში“ წერია: „არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (სახარება მათესი, თავი 19, მუხ. 18, 19); „ნუ იმრუშებ, ნუჟაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“ (სახარება ლუკასი, თავი 18, მუხ. 20). არჩილი გვასწავლის:

მშობელთ პატივ-ეც, ევლტვოდი საქმესა კაცის კელისასა,  
უცხოს საწოლსა ერიდე, გული ნუ გთქვამს სხვისასა.  
რაც შენი გქონდეს დასჯერდი, ნუ ხელ ჰყოფ მოპარვისასა,  
ცილის წამებას დაეხსენ, ნაბერწყალს სიკვდილისასა“

(„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, 182).

„სახარებაში“ მინიატიურული „პროზის“ სახით ჩართულია მამისა და ორი ძმის იგავი, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა. უმცროსის წინადადებით მამას მთელი თავისი სარჩო-საბადებელი შუაზე გაუყვია, ერთი ნაწილი მისთვის მიუცია, მეორე კი თავისთვის დაუტოვებია. ამის შემდეგ „უმრწმესი ძეი იგი“ სადღაც გადაკარგულა და მამისეული წილხვდომილი ქონება უწესიერო ცხოვრებაში გაუფლანგავს. ხელცარიელი შვილი ბოლოს ისევ მამასთან დაბრუნებულა და უთქვამს: „მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არლარა ვარ მე ღირს წოდებათ ძედ შენდა“. მამას ყურად უღია მისი ეს სიტყვები და დაკარგული შვილის ნახვით გახარებულს დიდი წვეულება გადაუხდია. მას თავის მონებისტვის უბრძანებია: „გამოიღეს სამოსი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაგურეთ ბეჭედი ხელსა მისსა და ხამლნი ფერხთა მისთა. და მოიბთ ზუარაკი იგი ჰამებული და დაკალთ, და ვჰამოთ და ვიხარებდეთ, რამეთუ ძე ესე ჩემი მომკვდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა, და იწყეს განცხრომად“.

უფროსი ძმა ამ დროს შინ არ ყოფილა. დაბრუნებისას შეუტყვია ქეიფის ამბავი და გზად შეხვედრილ მონებისათვის გამოუკითხავს წვეულების მიზეზი. როცა ყოველივე გამოწვლილვით შეუტყვია, მამისათვის უსაყვედურნია: „აჰა ესერა ესოდენნი წელნი გმონენ შენ და არსადა მცნებასა შენსა გარ-

დაჰხედ, და მე არასადამომეც ერთი თიკანი, რათამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე. და ოდეს ძე ესე შენი მოვიდა, რომელ მან შეჰკამა საცხორებელი შენი მეძავთა თანა, დაუქალ მას ზუარაკი იგი ჰამებული“. მამას უპასუხია: „შვილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ, და ჩემი ყოველი შენი არს. ხოლო აწ მხიარულებანი და სიხარული ჭერ-არს, რამეთუ ძმანი, ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა“ (სახარება ლუკასი, თავი 15, მუხ. 11—32).

არჩილი თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ მოწერებულად იყენებს ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ იგავს. თეიმურაზი ამ ნაწარმოებში მოუთხრობს რუსთაველს რჩულგამოცვლილი თავისი ბიძის კონსტანტინეს სპარსეთიდან ჩამოსვლის ამბავს, დიდი ხნის უნახავი შვილის დაბრუნებით გამოწვეულ კახეთის მეფის ალექსანდრეს სიხარულს, ამასთან დაკავშირებით გამართულ ლხინს და კონსტანტინეს მიერ მამისა და ძმის — გიორგის მოკვლით დატრიალებულ ტრაგედიას. კარგა ხნის უნახავი მამა-შვილის შეხვედრის გადმოცემისას არჩილი ყურადღებას ამახვილებს ზემოთ მონათხრობ „სახარებისეულ“ იგავზე და წერს:

„მივიდა და შეიყარნეს მხიარულად, უცხოდ რამე,  
მეფე იტყვის: „სახარების მომაგონდა ბრძანება მე,  
აწ უძღები შვილი ეპოვე, ამეხილა თვალთა ბამე,  
ზეარაკს დაველავ ჰამებულსა, მეგობარნო, თქვენცა აძე“.

ამ შემთხვევაში არჩილი გონიერულად იყენებს „სახარების“ ტექსტის ციტირებას პოემაში მონათხრობი დრამატული მომენტის გასამძაფრებლად.

აღსანიშნავია, რომ პოემის შესავალში არჩილი საკმაოდ ვრცლად და გულმხურვალედ ლაპარაკობს ბიბლიურ თქმულებებზე სამყაროსა და ადამიანის ღმერთის მიერ შექმნაზე, აქედან გამომდინარე ღმერთისადმი შიშისა, მორიდება-მოკრძალებასა და პატივისცემაზე, ღმერთის სამგვამოვნებაზე, მაკლმერთის, ძელმერთისა და სულიწმიდის ერთბუნებოვნებაზე, ღვთისმშობლის ქალწულობაზე, იესოს ყოვლისშემძლეობაზე და ასკვნის: „შეპრისხდი, ქრისტე. ვინ შენი ღვთაება არ იწამოსა“ (სტროფი 12).

დიდია სასულიერო ლიტერატურის დამსახურება ქართული მწერლობის ისეთი ჟანრის ჩასახვა-განვითარებაში, როგორცაა იგავ-არაკი. თ. ჭყონიას აზრით ეს ჟანრი სათავეს ძველი აღთქმის წიგნებიდან იღებს — იგავ-არაკები და იგავები, — წერს მკვლევარი, — პირველად შემოვიდა ქართული მწერლობის ძეგლებში ბიბლიის ქართული თარგმანების მეშვეობით“<sup>1</sup>.

სასულიერო მწერლობის წიაღში აღმოცენებული იგავ-არაკი, როგორც ლიტერატურული სახეობა მოხერხებულად გამოიყენა შემდეგში ცხოვრებისეული მანკიერი მხარეების წინააღმდეგ საბრძოლველად აღორძინების ხანის შესანიშნავმა პოეტმა-მოაზროვნემ სულხან-საბა ორბელიანმა. რ. ბარამიძის ხატოვანი თქმით იგი „ბერის ანათორაში მოსილი ნათლისმცემლის ეკლესიის ამბიონიდან ისევე მკაცრად და უკომპრომისოდ ამხელდა თავის ქადაგებებში თანამოქალაქეთა ნაკლოვან მხარეებს, როგორც ეს საშინელი დაუნდობლობით გააშიშვლა საერო მწერლობის დიდებულ ძეგლში „სიბრძნე-სიცრუისა“<sup>2</sup>.

აღორძინების პერიოდის მწერალთაგან სასულიერო ლიტერატურის ძლიერი გავლენა განიცადა აგრეთვე დ. გურამიშვილის შემოქმედებამ. მისი ლირიკა კ. კეკელიძის განცხადებით „უმთავრესად რელიგიურ-მისტიკური ხასიათისაა“<sup>3</sup>. „დავითანის“ პირველ წიგნში, რომელსაც „თავი შესავალი“ ეწოდება, იშვიათი პოეტური უშუალობითაა გალექსილი „სახარება“, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შეკუმშულადაა მოთხრობილი იესო ნაზარეტელის ცხოვრება-მოღვაწეობა.

დ. გურამიშვილს, ისევე როგორც არჩილს, ღრმად სწამდა, რომ გარე სამყარო შექმნილია აბსოლუტური სულის, უზენაესი ძალის — ღმერთის მიერ. პოეტის აზრით საწუთრო „ცრუ, მუხთალი და გაუტანელია“, ამიტომ „ცოდვებით აღსავსე ადა-

<sup>1</sup> თ. ჭყონია, იგავ-არაკული ჟანრის საწყისები უძველეს ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, V, 1948, გვ. 269.

<sup>2</sup> რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, 1979, გვ. 79.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1951, გვ. 597.

მიანმა“ სიცოცხლეშივე უნდა იზრუნოს სიკვდილის შემდეგ მარადიული სასუფეველის უზრუნველსაყოფად. ისე რომ, ბიბლიურ-ლიტურგიკულ წიგნებზე აღზრდილ დ. გურამიშვილს გულწრფელად სჭეროდა, რომ ყოფიერების ამოსავალს ღმერთი წარმოადგენს. იგი წერდა:

„ღმერთი არის თვით ხელმწიფე, თვით უფალი, თვით მპირველი, არავინ ჰყავს მოზიარე, აქვს მპყრობლობა უცილველი, ღვთისგან ნივთობს ყოველი ნივთი, ხილული და უხილველი, სუფევს ყოველის სულისაგან ძვირ-უთქმელი, უცილველი“.

სასულიერო ლიტერატურის მეტ-ნაკლები გავლენა შეინიშნება ვახტანგ VI შემოქმედებაშიც. მის ლექსებში აშკარად გამოსჰვივის რელიგიურ-თეოლოგიური საკითხებით გატაცება.

ის რომ, აღორძინების პერიოდის, კერძოდ XVIII საუკუნის ქართული მხატვრული მწერლობა დავალებულია სასულიერო ლიტერატურისაგან, ექვს გარეშეა, მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას არჩილ II, დ. გურამიშვილი და ვახტანგ VI მისტიციზმით შეპყრობილ კლერიკალ-კონსერვატორებს გავუტოლოთ. მათ შემოქმედებაში უხვად ვხვდებით ისეთ ლექსებს, რომლებშიაც იგრძნობა იმდროისათვის შესაფერი პროგრესული, ნათელი აზრი, ჯანსაღი სულიერი განწყობილება და მომავლის დიდი იმედი.

## ორი ძველი ქართული არარსებული სტამბის შესახებ

1629 წელს „ქართულ-იტალიური ლექსიკონისა“ და „ქართული ანბანის“, ხოლო 1670 წელს „ქართული ენის გრამატიკის“ რომში დაბეჭდვასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, თითქოს XVII საუკუნის 30—70-იან წლებში იტალიაში დამოუკიდებელი ქართული სტამბა არსებობდა. ეს მოსაზრება ყველაზე ადრე მ. თამარაშვილმა გამოთქვა. იგი წერდა: „რომში პატრებმა დააარსეს პირველად ქართული საბეჭდავი, გამოსცეს წიგნები და მით ევროპას ჩვენს ერთან ერთად გააცნეს აგრეთვე ჩვენი ენა და ლიტერატურაო“<sup>1</sup>.

აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, კერძოდ კი, საქართველოში, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების ტენდენციიდან გამომდინარე, დ. კარიჭაშვილი განმარტავდა: „სწორედ რომის ეკლესიის ასეთმა მისწრაფებამ (კათოლიკობის გავრცელების სურვილმა — ო. კ.) გამოიწვია ქართული სტამბის დაარსება რომში, სადაც 1629 წელს კიდევ დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი“<sup>2</sup>.

იტალიაში ქართული სტამბის არსებობას ერთხანს ეჭვმიუტანლად თვლიდა აგრეთვე პ. გუგუშვილი. იგი აცხადებდა: „ნ. ირბაჩის რომში ჩასვლის წყალობით, ცხადია, ქართული სტამბის იქ დაარსების საკითხი უფრო რეალური გახდებოდა,

<sup>1</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 298.

<sup>2</sup> დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 8.

ვიდრე ოდესმე. ირბახმა რომში ყოფნის დროს, რაც ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა, საკმაოდ შეისწავლა იტალიური ენა, ასწავლა აგრეთვე ქართული სტეფანე პაოლინს, შემდეგში ქართულ-იტალიური ლექსიკონის ავტორს, და მონაწილეობა მიიღო იქ ქართული სტამბის დაარსების საქმეშიაც<sup>1</sup>.

მოსაზრებას რომში ქართული სტამბის არსებობაზე იზიარებდა კ. კეკელიძეც. მან არამცთუ ეჭვქვეშ არ დააყენა სადავო საკითხი, არამედ სპეციალური გამოკვლევაც კი გამოაქვეყნა მის დასაცავად შემდეგი სათაურით: „ნიკიფორე ირბახი — ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში“. თავის ამ გამოკვლევაში იგი წერს: „1629 წელს ქ. რომში ახლად გახსნილს ქართულ სტამბაში, დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი, — ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე პაოლინის მიერ ვინმე ნიკიფორე ირბახის დახმარებით. იდეა ქართული სტამბის დაარსებისა ეკუთვნის ვატიკანს, რომელსაც მიზნად ჰქონდა გაეგრცელებია ქართველთა შორის კათოლიკობის საქადაგებლად და მის შესათვისებლად გამოსადეგი წიგნები“<sup>2</sup>.

მ. თამარაშვილის. დ. კარიკაშვილის, პ. გუგუშვილის, კ. კეკელიძისა და სხვათა პოზიციაზე იღვა ა. აბრამიშვილიც. 1960 წელს იგი თავის ნაშრომში „ქართული წიგნის საქართველოს საზღვრებს გარეთ ბეჭდვის ისტორიიდან“ ამბობს: „ნიკიფორე თავისი დროისათვის მეტად განათლებული კაცი იყო, იცოდა მრავალი უცხო ენა, შესწევდა სახელმწიფო საქმეებსა და საზოგადოებრივ საკითხებში ჩაწვდომის უნარი. კარგად ესმოდა რა თავისი სამშობლოს კრიტიკული მდგომარეობა, ნიკიფორე ისწრაფვოდა დახმარებოდა მას რითიც შეეძლო. იგი გაეცნო რომის სტამბის საქმიანობას, კავშირი დაამყარა ბეჭდვის საქმესთან ახლოს მდგარ ზოგიერთ სასულიერო პირთან და გახსნა რომში ქართული სტამბა“<sup>3</sup>.

ასე ძლიერად ჰქონდა გადგმული ფესვები XX საუკუნის 50-იან წლებამდე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 29.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945, გვ. 292.

Книга, исследования и материалы, т. III, 1960, с. 272.



მოსაზრებას რომში ქართული სტამბის არსებობის შესახებ. მის წინააღმდეგ პირველად ბ. გორდეზიანმა გაილაშქრა. 1961 წელს იგი წერდა: „რომელიმე სტამბაში ქართული შრიფტ-კასის არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს ქართული სტამბის არსებობას. ყოველ კეთილმოწყობილ სტამბაში ინახება ამა თუ იმ კულტურული ერის შრიფტი. საჭიროების დროს ამ შრიფტს იყენებენ, ზოგჯერ წიგნსაც კი გამოსცემენ ხოლმე ამ შრიფტით...“

ჩვენი ფიქრით, მკვლევართა შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნს ეხებიან, ამ ქართული ასოებით გამოცემულ წიგნს, სტამბასთან აიგივებენ და ისე გამოდის, თითქოს ქართული სტამბა არსებობდა ყველგან, სადაც კი ქართული შრიფტი ინახებოდა. რასაკვირველია, ეროვნული სტამბის არსებობა ასე არ უნდა იქნას გაგებული“<sup>1</sup>.

ბ. გორდეზიანის მოსაზრება სწორია, მაგრამ იმის გამო, რომ იგი გამაგრებული არ იყო ჭეროვანი ფაქტობრივ-დოკუმენტური მასალებით, მან სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ დაიმკვიდრა მტკიცე ადგილი. ამით უნდა აიხსნას ის, რომ რომში ქართული სტამბის არსებობის საკითხი ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში ხელმეორედ წამოსწია ე. ლორთქიფანიძემ „დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად, — წერს იგი — ვატიკანში ცხადი გახდა ის საარგებლობა, რომლის მოტანა შეეძლო საქართველოში კეთოლიკობის გავრცელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში პაპი არ გაიღებდა ზედმეტ ხარჯებს, რომელსაც ქერ ქართული სტამბის, ხოლო უფრო მოგვიანებით ქართული კათედრის დაარსებისათვის იყო საჭირო“<sup>2</sup>.

1967 წელს ამავე ვერსიის დასაბუთება სცადა ვ. იანვარაშვილმა. იგი განმარტავდა: „მას შემდეგ, რაც 1327 წლიდან თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა. რომსა და საქართველოს შორის უფრო მჭიდრო კავშირი დაპ-

<sup>1</sup> ბ. გორდეზიანი, ქართული შრიფტები, 1961, გვ. 57.

<sup>2</sup> ე. ლორთქიფანიძე, ვახტანგ VI და ქართული სტამბის მოღვაწენი, 1962, გვ. 57.

ყარდა, კათოლიკე-მისიონერთა რიცხვიც მნიშვნელოვნად გაზარდა. მაგრამ ქართულ-იტალიური ლექსიკონისა და სხვა აუცილებელი ლიტერატურის უქონლობის გამო მათ თავიანთი მისიის შესრულება უჭირდათ. ამიტომ ამ კათოლიკე-მისიონერებმა არაერთხელ მიმართეს პაპს თხოვნით საქართველოში ანდა რომში ქართული სტამბის გახსნის შესახებ (!) რადგანაც საქართველოში სტამბის შესაქმნელი პირობები არ იყო, პაპის კონგრეგაციამ (!) „პროპაგანდა, ფიდეშ“ გადაწყვიტა გაეხსნა იგი რომში“.

ოტა ქვევით ვ. იანვარაშვილი დასძენს: „იმ დროისათვის საქართველოდან რომში გაიძახეს მისიონერები სტეფანე პაულონი და მარიოს მაჯი, რომლებმაც 1627 წელს (!) ნიკიტორე ირბახთან ერთად რომში გახსნეს პირველი ქართული სტამბა“<sup>1</sup>.

ზუსტად იგივე გაიმეორა ვ. იანვარაშვილმა 1970 წელს და თანაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნ. ირბახის ხელშეწყობით რომში დაარსებულმა ქართულმა სტამბამ 1800 წლამდე იარსება და 170 წლის (!) მანძილზე მასში ათზე მეტი დასახელების წიგნი დაიბეჭდაო<sup>2</sup>.

მოსაზრება რომში ქართული სტამბის არსებობაზე უყოყმანოდ გაიზიარა მ. მგალობლიშვილმაც, — ნ. ირბახმა, — წერს იგი. — „1627 წელს რომში მიიღო კათოლიკობა. აქვე დააარსა პირველი ქართული სტამბა და 1629 წელს სტეფანე პაოლინთან ერთად გამოსცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი“<sup>3</sup>.

1986 წელს რომში ქართული სტამბის არსებობის საკითხი კვლავ წინ წამოსწია ი. ტაბალუამ. იგი თავის ცნობილ წიგნში „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“ წერს: „იმავე წელს (იგულისხმება 1628 წელი — ო. კ.) სექტემბერ-

<sup>1</sup> „ვეჩერნი ტბილისი“, 1967, № 173.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს შრომათა კრებული, 1970, № 1—2.

<sup>3</sup> ე ა ნ შ ა რ დ ე ნ ი ს მ ო ვ ზ ა უ რ ო ბ ა ს პ ა რ ს ე თ ს ა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები მ. მგალობლიშვილისა, 1975, გვ. 378.

ში წმ. კონგრეგაციამ... განიხილა ქართული სტამბის საკითხი და დაამტკიცა წიგნის ბეჭდვაზე განკარგულება<sup>1</sup>.

ამავე წიგნში ი. ტაბალუა აცხადებს: რომში ქართული სტამბის დაარსება წმ. კონგრეგაცია, დე პროპაგანდა ფიდელს თავისი მიზნების განხორციელებისათვის სჭირდებოდა და აღნიშნავს: „სწორად მიუთითებს კ. კეკელიძე: „იდეა ქართული სტამბის დაარსებისა ეკუთვნის ვატიკანს, რომელსაც მიზნად ჰქონდა გაეცრელებინა ქართველთა შორის კათოლიკობის საქადაგებლად და მის შესათვისებლად გამოსადეგი წიგნები“<sup>2</sup>.

ი. ტაბალუა ცდილობს გაარკვიოს ნ. ჩოლოყაშვილის დამოკიდებულება რომში ქართული სტამბის დაარსებასთან და წერს: „ქართული სტამბა რომში ნიკიფორე ირბახის წასვლის შემდეგ შეიქმნა და არა მისი მონაწილეობით“. ამის შემდეგ კი იგი უკვე განიხილავს რომაელთა მიერ ქართული შრიფტის დამზადების საკითხს: „როდესაც ყველაფერში დარწმუნდნენ, 1628 წლის ივნისში წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ, გადაწყვიტა, — აღნიშნავს ი. ტაბალუა, — თავის სტამბაში მოემზადებინა ქართული ასოები როგორც საეკლესიო, ისე საერო. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ 1628 წლის სექტემბერში“. ბოლოს, იქვე ასკვნის: „ასე შეიქმნა მსოფლიოში პირველი ქართული სტამბა, სადაც მალე წიგნი დაიბეჭდა“<sup>3</sup>.

შველევართა გარკვეული ნაწილის მოსაზრება რომში ქართული სტამბის არსებობის შესახებ უმართებულოა. 1973 წელს გამოცემულ „ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნში“ ამის თაობაზე ვწერდით: მტკიცება რომში ანდა იტალიის სხვა რომელიმე ქალაქში XVII საუკუნის 30-იან წლებში ქართული სტამბის არსებობაზე, მცდარი და მიუღებელია. ჩვენს ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს შემდეგი გარემოება: როგორც ცნობილია, ძველად გამოცემულ ყველა ქართულ წიგნს დართული აქვს ცნობები, სად და როდის დაიბეჭდა იგი, ვინ იყო სტამბის დამაარსებელი და ა. შ. საგამომცემლო მონაცემ-

<sup>1</sup> ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცვებში (XIII—XX ს-ის პირველი მეოთხედი), II, 1986, გვ. 184.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 195.

<sup>3</sup> იქვე.

ბის ბეჭდვის ეს წესი გავრცელებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ევროპასა და რუსეთში.

არა გვგონია თეიმურაზ I ელჩს ნიკოლოზ-ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილს (ირბახს) რომში დამოუკიდებელი ქართული სტამბა დაეარსებინოს და იქ გამოცემული წიგნები წინა ან ბოლოსიტყვაობებში ხაზგასმით თუ არა, მინიშნებით მაინც არა ეთქვას რა.

ერთი მხრივ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ნ. ირბახმა მართლაც დააარსა რომში დამოუკიდებელი ქართული სტამბა, რომელშიც 1629 წელს დაბეჭდილი წიგნის საგამომცემლო მონაცემებში თავმდაბლობა-მოკრძალების გამო არ მოიხსენია თავისი დეაწლი დიდ ეროვნულ საქმეში და ამ მხრივ მისი დასახურების სამზეროზე გამოტანა შემდგომი თაობის უამთაღმწერელთ მიანდო, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანისათვის ოდნავ სარწმუნო საფუძველიც კი არ გავაჩნია. ამას მოწმობს ასეთი ფაქტი:

1629 წელს რომში გამოცემული „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ თავფურცელზე ვკითხულობთ: „ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე პაოლინისაგან, ქართველის წმ. ბასილის ბერის ნიკიფორე ირბახის დახმარებით. სარწმუნოების გამაერცვლებელი საზოგადოების მისიონერთათვის რომში“.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ მისიონერ სტეფანე პაოლინის შეუდგენია ნიკიფორე ირბახის დახმარებით. თუკი ვატიკანის კათოლიკური ეკლესიის ღვთისმსახურებმა, ლექსიკონის შედგენაში გაღებული წვლილი არ დაუკარგეს ნიკიფორე ირბახს, ყოვლად წარმოუდგენლად მიგვაჩნია დუმილით აევლოთ გვერდი მისი დეაწლისათვის ისეთ დიდ საქმეში, როგორიც სტამბის დაარსება.

მაშასადამე, დაბეჭივებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ნიკიფორე ირბახის დროს და არც მის შემდეგ იტალიაში ქართული სტამბა არ არსებობდა. მართლა, 1629 წელს სტეფანე პაოლინის მიერ ნიკიფორე ირბახის დახმარებით გამოცემული „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, 1641 წელს დაბეჭდილი დავით ტულუკაშვილის „საქრისტიანო მოძღვრება“, 1797—1800 წლებში გიორ-

გი ბაგინაშვილის მიერ გამოქვეყნებული „ქრისტიანობის დოკტრინა“ დაბეჭდილია რომში, მაგრამ არა ქართულ, არამედ იტალიურ სტამბაში, სადაც ნიკოფორე ირბახის შეწევნით დაუმზადებიათ ქართული შრიფტი. ამას ადასტურებს ზემოდასახელებული წიგნების თავფურცლები, სადაც ნათქვამია: „დაიბეჭდა რომში, სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების სტამბაში... უფროსთა ნებართვით“.

დღეისათვის ასევე მცდარი და მიუღებელია სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს გაბატონებული მოსაზრება XVIII საუკუნის დამდეგისათვის მოსკოვში არჩილ მეორესეული ქართული სტამბის არსებობის შესახებ. 1705 წელს სამშობლოდან ლტოლვილი მეფე-პოეტის მიერ „დავითნის“ გამოცემა დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია. აქედან გამომდინარე ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ რაკილა წიგნი დაიბეჭდა, მასასადამე იმ პერიოდისთვის მოსკოვში ქართული სტამბა არსებობდა. ეს ვერსია ჯერ კიდევ 1929 წელს დ. კარიჭაშვილმა წამოაყენა. იგი წერდა: „არჩილის ხელნაწერები, შრიფტი და სტამბის იარაღი დარჩა მის ქალს დარეჯანს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. მეოცდაათე წლებამდე არჩილის დატოვებული სტამბის მოწყობილობა ხელუხლებელი დარჩა, ვიდრე არ გაჩნდნენ მოსკოვში საქართველოდან გადმომხვეწილი სტამბის მცოდნე პირები, როგორც მაგალითად, მღვდელ მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი და არქიმანდრიტი გერმანე. ესენი დაუახლოვდნენ დარეჯანს და ჩააგონეს, რომ მის მამის დანატოვარს სტამბაში წიგნები დაებეჭდვინებინა“<sup>1</sup>.

დამოწმებული ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ დ. კარიჭაშვილი იზიარებდა არჩილის მიერ მოსკოვში დამოუკიდებელი სტამბის დაარსების ვერსიას, რომელმაც მტკიცე და შეურყეველი აღიარება პოვა შემდგომი თაობების მკვლევართა შორის. 1956 წელს ს. ყუბანეიშვილი ამტკიცებდა: „ქართველები მოითხოვდნენ, რომ ქართული წიგნები დაბეჭდილიყო პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, მაგრამ 1727 წ.

<sup>1</sup> დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, 33. 48.

4 ოქტომბრის ბრძანებულებით საეკლესიო წიგნების ბეჭდვა შეიძლებოდა მხოლოდ მოსკოვში, სინოდის მეთვალყურეობით. მოსკოვში კი ქართველებმა მიზანშეწონილად ცნეს ადგინათ არჩილის სასაჯლეში არსებული ქართული სტამბა და იქ განეახლებინათ წიგნების ბეჭდვა. ასეც მოიქცნენ. არჩილას სტამბა განაახლა და საკუთარი ხარჯით ახალი მასალებით შეაესო იოსებ სამებელმა<sup>1</sup>.

მოსკოვში არჩილისეული სტამბის არსებობის ვერსია კიდევ უფრო გააღრმავა ა. აბრამიშვილმა. 1960 წელს იგი განმარტავდა: „მოსკოვში პირველი ქართული სტამბის დამმარსებელი იყო ქართველი მეფე არჩილი“. იქვე მკვლევარი აცხადებდა: „არჩილისეული სტამბა მოსკოვში გაიხსნა არა 1705 წელს, არამედ 1703—1704 წლებში“. ბოლოს კი ასკვნიდა: „ვახტანგ VI შეიღმა, ბაქარმა, არქიეპისკოპოს იოსებ სამებელთან ერთად 1737 წელს მოსკოვში გახსნა, უფრო სწორად აღადგინა ქართული სტამბა, რომელიც 1744 წლამდე არსებობდა“<sup>2</sup>.

ერთხანს იგივე აზრს იცავდა გ. პაიჭაძეც. „პეტრე პირველმა, — წერდა იგი, — არჩილს დაუმტკიცა დონის მონასტერი, სადაც მან თავი მოუყარა განსწავლულ მღვდელმონაზვნებს. 1737 წელს აქ არჩილმა დააარსა ქართული სტამბა“<sup>3</sup>.

აღნიშნულ მკვლევართაგან განსხვავებულ პოზიციაზე არც ო. გვინჩიძე იდგა. 1973 წელს იგი წერდა: „სამშობლოს გარეთაც ფიქრობდა არჩილ მეფე ქართულ სტამბაზე და, როგორც ვიცი, მან მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მოსკოვში გამართა კიდევ ქართული სტამბა“<sup>4</sup>. იგი იქვე დასძენს: „მოსკოვში ხელმეორედ დაბრუნების შემდეგ არჩილ მეფე 1703 წელს გოლოვინისაგან ითხოვს მის მიერ მოწყობილ სტამბაში წიგნების ბეჭდვის ნებართვას და 1705 წელს ბეჭდავს კიდევ „დავითს“. ამასთანავე განმარტავს: „თუ ანთიმ ივერიელს არ

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, „რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში“, ლიტერატურული ძიებანი, ტ. X, 1956, გვ. 221—222.

<sup>2</sup> Книга, исследования и материалы, т. III, 1960, с. 275.

Паичадзе Г., Русско-грузинские политические отношения 1725—1735 гг., 1965, с. 24.

<sup>4</sup> ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, 1973, გვ. 161.

დაუბეჭდავს ქართული წიგნი ვლახეთში, ვინ იცის, იქნებ მან სნაგოვოს მონასტერში მხოლოდ დაამზადა ქართული შრიფტი და სწორედ ეს შრიფტი იქნა გამოყენებული არა „კონდაკის“ დასაბეჭდად, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი, არამედ არჩილ მეფის მიერ მოსკოვში დაარსებულ სტამბისათვის „დავითნის“ გამოსაცემად<sup>1</sup>.

ახლა ჩავიხედოთ 1975 წელს გამოცემულ საშუალო სკოლების „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“. მასში ვკითხულობთ: „XVIII საუკუნის მიწურულს, მოსკოვში გადაჭვეწილ არჩილ მეფის თაოსნობით, დაიწყეს ზრუნვა ქართული სტამბის მოწყობისათვის. 1705 წელს მოსკოვის ქართულ სტამბაში დაიბეჭდა „დავითნი“. ასე წერია 1927, 1973, 1974 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებშიც.

1976 წელს მოსკოვში არჩილისეული სტამბის არსებობას ირწმუნება მ. გორგიძეც. „არჩილისეული სტამბა... მოსკოვ-ს ახლოს, სოფელ ვსესვიატსკოეში გაიხსნა 1703—1704 წლებში და ერთი წლის შემდეგ მასში გამოვიდა პირველი წიგნი „დავითნი“ 268 გვერდის მოცულობით. არჩილის სიკვდილას შემდეგ (1713 წ.) სტამბამ მუშაობა განაახლა მხოლოდ 1734 წელს. ასე გაგრძელდა 1744 წლამდე“<sup>2</sup>.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც დღესაც ვხვდებით ამ ანომალური ხასიათის მოსაზრების წინ წამოწევის ცალკეულ შემთხვევებს. 1984 წლის 24 აგვისტოს ს. ჭიჭინაძე გაზეთ „კომუნისტში“ წერდა: „ცნობილია, რომ რუსეთში 1705 წლიდან უკვე არსებობდა არჩილ მეფის მიერ დაარსებული ქართული სტამბა. ამ დროს მოსკოვის სახაზინო სტამბაში კი დაიბეჭდა „დავითნი“.

იბადება კითხვა — თუ არჩილს საკუთარი სტამბა ჰქონდა მოსკოვში, მაშინ რატომღა დაბეჭდა „დავითნი“ სახაზინო ანუ სამეფო სტამბაში? დოკუმენტურად დასტურდება, რომ XVIII საუკუნის დამდეგისათვის მოსკოვში არჩილს არავითარი სტამბა არ დაუარსებია. მთელი რიგი საარქივო მასალების გარდა, ამას მოწმობს 1705 წელს გამოცემული „დავითნის“

<sup>1</sup> ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, 1973, გვ. 89.

<sup>2</sup> Горгидзе М., Грузины в Петербурге, 1976, с. 285—286.

წინასიტყვაობა, რომელშიც ნათქვამია: „დაიბეჭდა ესე სულას განმანათლებელი წიგნი ფსალმუნის იმერულ დიალექტსა და დამწერლობის მიხედვით მოსკოვის სამეფო სტამბაში... ქრისტეს შობის შემდეგ 1705 წლის 13 მარტს“.

ამრიგად, ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არჩილ II მოსკოვში საკუთარი ქართული სტამბა არ დაუარსებია. გამორიცხული არ არის, რომ მას ამის განზრახვა ჰქონდა, მაგრამ სხვადასხვა, ხელშემშლელმა მიზეზებმა წადილის შესრულების საშუალება არ მისცა.



## XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაგეჟდილი ქარაუჭული წიგნები

(1800—1860 წლებში)

XIX საუკუნის დამდეგისათვის მოსკოვსა და პეტერბურგში ქართველთა საკმაოდ ძლიერი ახალშენები არსებობდა, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ XVII საუკუნის 60-იან წლებში კახეთის მეფის თეიმურაზ I შვილიშვილის, სპარსთაგან ნაზარალი-ხანად წოდებული ერეკლე I, ხოლო უფრო მოგვიანებით — 1698 წელს არჩილ II და 1724 წელს ვახტანგ VI სამშობლოდან ლტოლვის შედეგად ჩაეყარა. ქართველ მოახალშენეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა 1801 წელს ალექსანდრე I ხელმოწერილი მანიფესტის გამოცხადების შემდეგ ცარიზმის მოხელეთა თვითნებობის გამო 1802, 1804 და 1812 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარ აჯანყებებთან დაკავშირებით ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების ერეკლე II და გიორგი XIII ოჯახების წევრთა რუსეთში გადასახლების შედეგად.

XIX საუკუნის 20-იან წლებში მოსკოვში მცხოვრები ქართველები სამშობლოს, აწლობელ-ნათესავთა და თვისტომთა მოშორებამ, მათთვის უჩვეულო უცხო გარემო-პირობებში მოხვედრამ, სულიერად მაინც ვერ გატეხა. ბევრი მათგანი ბედუქულმართობით გამოწვეულ დარდსა და ნაღველს განე-

<sup>1</sup> ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, 1967, გვ. 46.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 56, 57.

რიდა, რუსეთის ინტელიგენციას დაუახლოვდა და ქვეყნის სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ, მეცნიერულ და ლიტერატურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში აქტიურად ჩაება. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის, რუსული იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის ნ. ზანდუკელის (სანდუნოვის), ამავე უმაღლესი სასწავლებლის ანატომიის კათედრის გამგის ი. ნამჩევანის (გრუზინოვის), პროფესორების ნ. წერეთლის, პ. ლაშქარაშვილის, მ. გარსევანიშვილის, იტალიური, ფრანგული, თურქული, არაბული, სპარსული და ბერძნული ენების საუკეთესო მოძღვრის, ცნობილი დიპლომატის ს. ლაშქარაშვილისა და სხვათა მოღვაწეობა<sup>1</sup>. ბევრმა მათგანმა თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსული ფიზიოლოგიური, ისტორიული, ფილოლოგიური და პიდროტექნიკური მეცნიერების განვითარებაში.

XIX საუკუნის დამდეგისათვის მოსკოვში მცხოვრებმა ქართველებმა ამაგი დასდეს არა მარტო რუსული, არამედ თავიანთი ეროვნული მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებასაც. თხზავდნენ ფილოსოფიური და ისტორიული ხასიათის ნაშრომებს, პოეტურ ნაწარმოებებს, თარგმნიდნენ უცხოურ წიგნებს, ეწეოდნენ ძველი ხელნაწერების გადანუსხვას, ერთმანეთთან შედარებასა და ლიტერატურულ-რედაქტორულ დამუშავებას, ყოველივე ამასთან ერთად მათ ღირსეულად გააგრძელეს არჩილ II და ვახტანგ VI თანამედროვეთა მიერ საძირკველჩაყრილი დიდი ეროვნული საქმე — ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემა. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსეთის სინოდის წევრის, მოსკოვის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის ეპისკოპოსის ვარლამ დავითის ძე ერისთავის ღვაწლი და დამსახურება.

1803 წელს ვარლამი მოსკოვში აარსებს საკუთარ სტამბას, რომელიც შემდეგ სინოდის დაქვემდებარებაში შევიდა და ხელს კიდევს ქართული წიგნების ბეჭდვას. პირველი წიგნი, რომელიც ამ სტამბაში გამოვიდა, იყო ანტონ I კათალიკოსის მიერ ექსორიობის დროს ვლადიმირში თარგმნილი და „ქართულსა

<sup>1</sup> Ц. Каландадзе, Участие грузин в культурной и общественной жизни России в I половине XIX века, 1984, с. 44.

ენისა გრამატიკასა ზედა გამართული“ „სადღესასწაულო“. ვარ-  
ლამ ერისთავი ამ გამოცემის წინასიტყვაობაში წერს: „ვინაით-  
გან უწმინდესმან კათოლიკოსმან საქართველოსამან ანტონი,  
მეფის იესეს ძემან, მრავალითა შრომითა, ღწვითა და გულის-  
მოდგინებითა, ისწრაფა განშვენება ენათა საქართველოსათა,  
და მრავალნი წიგნნი ფრიალ სახმარ-სასარგებლონი თვით  
ქქმნა, და მრავალნი წიგნნი საფილოსოფოსონი, საღთის-მეტყ-  
ველნი და საეკლესიონი სხვათაგან ენათა, ქართულსა ენასა  
ზედა გადმოღებულ ჰყო, ფრიადითა კეთილ-შეწყობილობითა,  
და ვინაითგან ესეცა წიგნი სადღესასწაულო მისითა შრომითა  
იყო განმართული და შეწყობილ ქართულსა ენასა ზედა, ამი-  
სათვის მეცა ვერლარა კადნიერ ვიქმენ შეხებად და შეცვალე-  
ბად რაისამე და ვითარცა მის მიერ იყუნეს გამართულ, ყოვ-  
ლითურთ, ესრეთ უცვალებლად დაბეჭდილ იქმნა“.

მოსკოვის ვარლამ ერისთავისეულ ქართულ სტამბაში ოს-  
ტატად სოლომონ II მიერ ქუთაისში „წიგნთ საბეჭდავის“ მო-  
საწყობად თბილისიდან საგანგებოდ მიწვეულ მღვდელს გი-  
ორგი პაიჭაძეს უმუშავია, რომელიც ჯერ კიდევ 1803 წლის  
მიწურულს იმერეთიდან რუსეთში გადასახლებულა და იქ ქარ-  
თველ ემიგრანტებთან შეუფარებია თავი. მოსკოვში ყოფნისას  
ვარლამ ერისთავს სამშობლოდან ლტოლვილი ღვთისმსახური  
თავის სტამბაში მიუყვანია და ანტონ კათალიკოსეული „სად-  
ღესასწაულოს“ დაბეჭდვა დაუვალებია. გიორგი პაიჭაძეს  
1804 წლიდან 1808 წლამდე ჩაუმუხლავად უმუშავია წიგნის  
გამოცემაზე და ამ ხნის განმავლობაში მრავალი გაჭირვება გა-  
დაუტანია. „სადღესასწაულოს“ წინასიტყვაობაში იგი გადმო-  
გვცემს: „მებრძანა უწმინდესის სინოდის ჩლენის, ვარლამ  
არქიეპისკოპოსისაგან, მე, პაიჭაძე გიორგი მესტამბეს წიგნისა  
ამის სადღესასწაულოს დაბეჭდუა, ვინაითგან არა იყო ქარ-  
თულისა ენასა ზედა დაბეჭდილი. მორჩილ-ვექმენ ფრიადის  
გულის მოდგინებით. ოთხსა წელსა არა დავსცხერ შრომითა  
და მღვიძვარებითა. თვით ანბანის მოჭრითა, განწყობითა, ჩა-  
კთხვითა, პლაკის ჭრითა და ყოველსავე სტამბისა ამის სახმარ-  
ისა განმართვით და სრულ-ვკჳავ ძალითა ღვთისითა, და თუ  
რაიმე ნაკლულევანება იხილოთ, ნუ მწყევთა, არამედ ლო-  
ცუასა ყოფდეთ ჩემ ცოდვილისათვის“.

„სადღესასწაულოს“ გამოცემაში ვარლამ ერისთავისა და გიორგი პაიჭაძის გარდა, აქტიური მონაწილეობა მიუღია ანტონ კათალიკოსის ნამოწაფარს, რუისის მიტროპოლიტს იოანე გაბრიელის ძე გედევანიშვილს, რომელიც იყო ავტორი ძველ ქართულ მწერლობაში „მიმოსვლის ანუ მგზავრობაი იოანე რუისის მიტროპოლიტის“ სახელწოდებით ცნობილი წიგნისა. დღემდე დაუდგენელი დანაშაულისათვის მისთვის მცხეთის საეკლესიო კრებას ეპარქია ჩამოურთმევია, რის შედეგადაც სამღვდლოებისაგან მოკვეთილ ღვთისმსახურს მთელი სამართლმადიდებლო აღმოსავლეთი შემოუვლია, ევროპაში უმოგზაურია და ბოლოს ძველ უფლებებში აღდგენილი 1794 წლიდან მოსკოვში დასახლებულა<sup>1</sup>.

თავიანთი წვლილი შეუტანიათ „სადღესასწაულოს“ გამოცემაში აგრეთვე ვახტანგ VI ძმის იესე მეფის შვილისშვილს დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონსა და თელავის სამეფო კარის ეკლესიის მღვდელის მიხეილის ძეს ნიკიფორეს. ამ წიგნის თავფურცელზე ვკითხულობთ: „დაიბეჭდა ესე „სადღესასწაულო“ გულს მოდგინებითა, შრომითა და ღუაწითა უწმინდესისა და უმართებულესისა სინოდის ჩლენისა და კავალერის, არხის-ეპისკოპოსის ვარლამ ქსნის ერისთავის დაჯათის ძისათა: თანა შრომითა და ცენზურობითა, ყოვლად-სამღვდელოს მიტროპოლიტის იოანე გედევანის სარდლის გაბრიელის ძისათა: ზედამხედველობითა, საქართველოს მეფის იესეს შვილისშვილის დიმიტრი გიორგის ძის ბაგრატიონისათა: ფრიადითა შრომითა ილუმნის ნიკიფორეს თელავის კარს ეკლესიის მღვდლის მიხაილის ძის მიხაილოვისათა“.

1804—1808 წლებში მოსკოვში ვარლამ ერისთავისეულ ქართულ სტამბაში დაბეჭდილი „სადღესასწაულოს“ ტექსტის ბოლოს დართული აქვს დიმიტრი ბაგრატიონის ლექსი, რომელიც ხაზს უსვამს აღნიშნულ მესტამბეგამომცემელთა ღვაწლსა და დამსახურებას ამ წიგნის გამოცემის საქმეში:

„ღვთის შეწეენითა, ზესთა ზენითა მოსკოვს შემზადდა სტამბა ქართული,

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობა, ტ. I, 1951, გვ. 359.

ქსნის ერისთვისა, დავითის-ძისა, ვარლამის ღუაწლით არს  
 გამართული,  
 ვინ იყო ძველად აბტალის მწყსელად, აწ რუსთ სინოდის  
 წევრად შართული.  
 გიძღვნით ივერთა, ამერ-იმერთა, წიგნს დღესასწაულთ  
 მბეჭვდელი სრული.  
 მასთან იონა, ვინ არიონა შრომის მდინარე ცენძურობითა.  
 მიტროპოლიტმა განწინჯ-განჭურითა, გედეონის-ძემ ძუველ-  
 გუარობითა,  
 ნიკიფორითა მკითხველ-მსწორითა, იგულს-მოდგინეს  
 საკმარობითა,  
 პატიქემან, ვით მესტამბემან, ჰმართა ყოვლითა სახამარობითა.  
 სტამბის მუშაკნი ითხოვენ შეცდომის მოტევებას,  
 წამკითხველთაგან არ-უნებსთ კრულებით სულიებასა,  
 მაშურალთა უხამსთ კურთხევა, ნუ გარდაცდებით მცნებასა,  
 სივრცე გასინჯეთ წერილთა, მაშინლა ბრძანებთ ქებასა“.

„სადღესასწაულოს“ დაბეჭდვის შემდეგ, 1808 წლიდან სინოდმა ვარლამ ერისთავი თბილისში მოავლინა არქივისკოპოსად, რის გამოც მოსკოვში ქართული წიგნების გამოცემა კარგა ზნით შეწყდა. სასულიერო ლიტერატურის ნაკლებობამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქართული ეკლესიის მესვეურნი. იწყება ზრუნვა თბილისში ეროვნული სტამბის დასაარსებლად. 1809 წლის 30 იანვარს ვარლამ ერისთავმა თხოვნით მიმართა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ა. კურაკინს, დახმარება გაეწია მისთვის ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა-გამოცემის მოგვარებაში<sup>1</sup>.

ა. კურაკინმა ვარლამის თხოვნის განხილვა სინოდის ობერ-პროკურორს ა. გოლიცინს დააეღა. ამ უკანასკნელმა სასტამბო დაზგის, სასრიფტო მეურნეობისა და სათანადო ხელსაწყო-იარაღების უქონლობის მომიზეზებით საკითხის საბოლოო გადაწყვეტა საქართველოს მთავარმმართველს გენერალ ტორმასოვსა და კათალიკოს ანტონ II მიანდო, რის გამოც ეს უკანასკნელი ამიერკავკასიაში მოვლენილ გენერალ-მაიორ ახვერდოვს ატყობინებდა: „ქართული სტამბის დაარსება თბი-

<sup>1</sup> Д. В а т е н ш в и л и, Русская общественная мысль и печать на Кавказе, 1973, с. 78, 79.

ლისში ნამდვილად საჭიროა... საეკლესიო წიგნების უკიდურესი ნაკლებობის გამო. მისმა უსამღვდელოესობამ არქივისკოპოსმა ვარლამმა განმიცხადა, რომ სასტამბო დაზგა მთელი თავისი მოწყობილობით მზად აქვს მოსკოვში და მათ საქართველოში ჩამოტანაზე ზრუნვას თავად იყისრებებს<sup>1</sup>.

თითქმის ნახევრად გადაწყვეტილი საკითხი საბოლოოდ მაინც მოუგვარებელი დარჩა. გაურკვეველი მაზეზის გამო ვარლამმა თავისი სასტამბო მოწყობილობის თბილისში ჩამოტანაზე რატომღაც უარი განაცხადა და მთელი ეს „საბეჭდავი“ უსასყიდლოდ სინოდს გადასცა. ამის გამო საქართველოში წიგნების გამოცემა 1813 წლამდე დაგვიანდა.

ვარლამ ერისთავის მიერ სინოდისათვის გადაცემულმა სტამბამ კარგა ხანს იარსება და მასში „სადღესასწაულოს“ ვარდა, სხვა მრავალი წიგნი დაიბეჭდა. 1815 წელს აქ გამოდის „ლოცვანი“. მისი გამომცემელია ვარლამის თანამოღვაწე და „სადღესასწაულოს“ დაბეჭდვის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე მიტროპოლიტი იოანე გედევანიშვილი. წიგნის თავფურცელზე ვკითხულობთ: „გედევანის შვილმან სარდლის გაბრიელის ძემ მიტროპოლიტმან იოანემ დავბეჭდე მცირე ესე ლოცვნები სულის ჩემისა საოხად“.

ამ წიგნის გამოცემაში „დაზგის მმართველობითა“ და აწყობილი ტექსტის „გაჩხრეკვით“ იოანესათვის მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევია თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონის აღმზრდელს პეტრე ქებაძეს. იმავე თავფურცელზე ნათქვამია: „დაიბეჭდა წიგნი ესე საღმრთო ლოცვანი სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს... ჩაკითხვითა და სტამბაში მუშაობითა პეტრე ქებაძის შვილისათა“.

ერთი წლის შემდეგ 1816 წელს „მოსკოვის ბიბლიის საზოგადოება“ თავისი ხარჯით ვარლამისეულ სტამბაში ქართულენაზე ბეჭდავს „ახალ აღთქმას“, ხოლო 1820 წელს იქვე ხელმეორედ გამოდის იოანე გედევანიშვილის მიერ 1815 წელს გამოცემული შევსებულ-გავრცობილი „ლოცვანი“. ამ წიგნის დაბეჭდვაში იოანესთვის, ამჯერად უკვე პეტრე ქებაძის გარ-

---

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 16, № 10933, ფურც. 7.

და, დახმარება გაუწევია გიორგი XIII თანამეცხედრის მარიამ დედოფლის კარის მოძღვარს, ცნობილ პოეტს პარმენ დომენ-ტის ძე წინამძღვრიშვილსა და მღვდელ პეტრე ქურიძეს. წიგნს, ტექსტის ბოლოს დაბოლოებული აქვს მესტამბე-გამომცემელთა შემდეგი ანდერძი: „გედევანის შვილმან, საბოლოო გაბარიელის ძემ მიტროპოლიტმა იოანემ დაებეჭდე ლოცვანი ესე სულისა ჩემისა საოხად... დედანზედ გამართვითა საქართველოს დედოფლის მარიამის მღვდლის პარმენ წინამძღვრიშვილის შვილისთა და პეტრე ქურიძისთა“.

1820 წლიდან 1825 წლამდე ვარლამ ერისთავისეულ მოსკოვის სინოდალურ სტამბაში ზედიზედ იბეჭდება ქართული საეკლესიო წიგნები. აღნიშნულ პერიოდში აქ სულ რვა დასახელების წიგნი გამოვიდა. მათ შორის 1821 წელს „დავითნი“ და „კონდაკი“, 1822 წელს „უამნი“ და „პარაკლიტონი“, 1823 წელს „სახარება“. 1824 წელს ამოკრებილი კურთხევეანი ქართულ-ოსური პარალელური ტექსტებით, იმავე წელს იბეჭდება „დავითნი“ და „კონდაკი“.

1811 წელს ქართულმა ეკლესიამ დაკარგა ანტიოქიის მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ჭერ კიდევ VI საუკუნეში მიღებული ავტოკეფალია და იგი სინოდის დაქვემდებარებაში შევიდა. ამ საღვთისმსახურო რეფორმის გამო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II რუსეთში გაიწვიეს და მის ნაცვლად ეგზარქოსად 1808 წელს არქიეპისკოპოსად გამოგზავნილი ვარლამ დავითის ძე ერისთავი დანიშნეს. მაგრამ დიდხანს არც ის დარჩენილა ამ თანამდებობაზე. 1815 წელს ანტონის მსგავსად ისიც მოსკოვში გაიძახეს და ეგზარქოსად კი რიზანის ეპისკოპოსი თეოფილაქტე დამტკიცეს. რუსეთის ეკლესიის მესვეურებმა ქართველ ეგზარქოსს ჭერ სინოდის ცალკეული საქმეების მოგვარება მიანდევს, შემდეგ კი დანილოვის მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს.

ვარლამის ჩასვლამ მოსკოვში კიდევ უფრო გააცხოველა იქაური ქართველების ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა და წიგნების ბეჭდვა-გამოცემა. 1825 წელს იგი თავისავე ყოფილ სტამბაში ბეჭდავს ჭერ კიდევ საქართველოს ეგზარქოსად ყოფნის პერიოდში დაწერილ ორიგინალურ ნაშ-

რომს „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისმშობლის დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილ-ჩვეულებათა მასწავლებელნი“.

1825 წელს იბეჭდება მოსკოვში აგრეთვე ცნობილი კალიგრაფ-გადამწერების ალექსი-მესხიშვილების საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენლის, თავისი დროისათვის ერთობ განათლებული ღვთისმეტყველს, მწერლისა და პედაგოგის ტარასი სოლომონის ძე ალექსი-მესხიშვილის „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა, ხუცურასა და მხედრულისა წერილისა, მზგავსად რუსულისა შეწყობილი და დაბეჭდილი ტარასის მიერ მღუდელ მონოზონისა სოლომონ დეკანოზის ძის ალექსევევისა, რომელიცა ჰსძღვნის სიმდაბლით კეთილ-გონიერთ ყრმათა საქართველოსათა“. ეს არის XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვში დაბეჭდილი პირველი საერო წიგნი. იგი ქართულ და რუსულ დამწერლობის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დამხმარე სახელმძღვანელოს წარმომადგენს და ამდენად მის გამოცემას თავის დროზე პედაგოგიურ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე იმავე 1825 წელს მოსკოვში გამოცემული „ქართული ღრამატიკა“.

XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგიდან აშკარად შეინიშნება მოსკოვში მცხოვრები ქართველების მისწრაფება სამშობლოში დარჩენილი თანამემამულეებისადმი დახმარების გასაწევად. ამით უნდა აიხსნას მათი ზრუნვა საეკლესიო წიგნების გარდა, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და პრაქტიკული დანიშნულების ლიტერატურის გამოცემაზე. ამ მხრივ საყურადღებოა 1826 წელს დაბეჭდილი წიგნები: „მოკლე კარაბადინი დარიგებისა თვის ერისა. ვითარ იგი ჯერ არს დაცვად და განრიდებად თავისა თვისისა. შესაყართა სნეულებათაგან და უმეტეს ჭირისა“, „მოკლე კარაბადინი დარიგებისა თვის ერისა, მისთვის რაგვარის ღონისძიებითაც უნდა ეცადნენ და მოაბრუნონ მდინარიდამ გამოღებული კაცი“ და „მოკლე კარაბადინი დარიგებისა თვის ერისა, მისთვის თუ ვით არი ღონისძიება იხმარონ ჟამსა დაშხამვისა და კბენისასა ყოველთა რიგთა შხამიანთა და ცოფიანთა ცხოველთაგან“. ამ სამივე წიგნის ავტორია ექიმი პეტრე კლაპიტანაშვილი. ეს კარაბადინე-



ბი მას თავისი ხარჯით დაუბეჭდია და ოთხას-ოთხასი ცალი ღარიბთათვის უფასოდ დასარიგებლად გამოუყვია.

1826 წელს, პ. კლაპიტანაშვილის კარაბადინების გარდა, იბეჭდება კიდევ სამი წიგნი — ორი საეკლესიო და ერთი საერო. ესენია „კურთხევანი“, „ლოცვანი“ და „შეკრება რუსულთა უბნობთა საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დართვითა ქართულისათა თარგმნისათა, სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“. „კურთხევანის“ ტექსტი ძველ ქართულ სტამბებში მრავალჯერ გამოცემული იგივე სახელწოდების წიგნიდანაა გადმობეჭდილი, ხოლო „ლოცვანი“ — 1820 წელს მოსკოვში მეორედ გამოსული იოანე გედევანიშვილისეული შევსებულ-გავრცობილი „ლოცვების“ კრებულიდან. რაც შეეხება საერო შინაარსის მესამე დასახელების წიგნს, ეს არის რუსული ენის დამოუკიდებელი შემსწავლელთათვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელო, რომელსაც პ. კლაპიტანაშვილის კარაბადინების მსგავსად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ XIX საუკუნის 20—30-იან წლებში რუსეთში მცხოვრები ქართველებიდან სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემით დაკავშირებული ძირითადად 1825 წელს დაბეჭდილი „ხუტური და მხედრული დამწერლობის“ შესასწავლი წიგნის ავტორი ტარასი ალექსი-მესხიშვილი იყო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1826 წელს გამოსული რუსული ენის დამოუკიდებელი შემსწავლელთათვის გათვალისწინებული დამხმარე სახელმძღვანელოს შედგენაც მასვე ეკუთვნოდა.

ტარასი ალექსი-მესხიშვილს რუსულიდან ქართულად უთარგმნია და 1827 წელს მოსკოვის სინოდალურ სტამბაში დაუბეჭდია „ვრცელი კატეხიზმო, სასწავლად ყრმათა მართლმადიდებლობითისა ჰსჯულისა ქრისტიანებრივისა“.

1828 წელს იმავე სტამბაში გამოდის პ. კლაპიტანაშვილის რუსულიდან თარგმნილი ერთი პოპულარული ხასიათის სამედიცინო წიგნი „მოკლე კარაბადინი, ანუ დარიგება ადვილად წამლობისათვის მრავალთა გვართა შინაგანთა და გარეგანთა სნეულებათა“. მართალია, იგი ორიგინალური ნაშრომი არ არის, მაგრამ არც იმავე სახელწოდების რუსული გამოცემის პირდაპირი თარგმანია, უფრო გადმოკეთებულის შთაბეჭდი-

ლებას ტოვებს და ერთგვარად დამოუკიდებლობის პრეტენზიაც კი აქვს. მთელი რიგი საკითხები, დასკვნები, განზოგადოებანი, მაგალითები მთლიანად საქართველოს სინამდვილედანაა აღებული და ამიტომ ამ წიგნს იმ დროისათვის სამშობლოში დარჩენილი თანამემამულეთათვის ამა თუ იმ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

ასეთივე დანიშნულების წიგნი იბეჭდება მოსკოვში 1830 წელს. ეს არის „შემოკლებული დასამწყსრელი მოძღვრება აცრისათვის წინათ-დამცუელისა ძროხის ყვავილისა“, რომელიც რუსულიდან უთარგმნია ერეკლე II კარის ეკლესიის მღვდელს, ცნობილი მესტამბის დავითის შვილს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტის თარჯიმანს, ნადვორნი სოვეტნიკს, შემდგომში გამოჩენილ მკვლევარ-ქართველოლოგს ნიკოლოზ ჩუბინაშვილს.

1830 წლის 18 დეკემბერს მოსკოვის ქართულმა სამეცნიერო და ლიტერატურულ-შემოქმედებითმა ინტელიგენციამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა დანილოვის მონასტრის წინამძღვარი ვარლამ დავითის ძე ერისთავი. ზამთრის თოვლიან ამინდში თანამემამულეებმა პატივით მიაბარეს მისი ნეშტი მონასტრის ეზოში გათხრილ ყინვისაგან დამზრალ სამარეს. დატოვა ეს საწუთისოფლო კაცმა, რომელმაც XIX საუკუნის დამდეგიდან გააგრძელა თითქმის მთელი 35 წლის მანძილზე თავმინებებული არჩილ II, ვახტანგ VI, ბაქარ და ვახუშტი ბაგრატიონების, იოსებ სამებლის, ქრისტეფორე გურამიშვილის, ათანასე ამილახვრისა და სხვათა მიერ საძირკველჩაყრილი საქმე — მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვა.

ვარლამის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვის ქართულ სტამბაში წიგნების გამოცემა არ შეწყვეტილა, თუმცა გარკვეულ შეფერხებებს მაინც ჰქონდა ადგილი. 1836 წელს „საიმპერატორო ფილანტროპიული საზოგადოება“ ბეჭდავს პ. კლაპიტანაშვილის ნათარგმნ წიგნს „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის, თუ ვითარი ღონისძიება და შემწეობა მოიხმარონ კაცთა თავის უამსა უეცრად ჩავარდნისასა სიკვდლისა მდგომარეობასა შინა“.

1837 წლიდან 1844 წლამდე, ანუ ზემოაღნიშნული „კარა-ბადინის“ შემდეგ, მთელი რვა წლის მანძილზე მოსკოვში ქართული წიგნი არ გამოცემულა. 1845 წელს გამოდის თბილისის ფერისცვალების მონასტერში მოღვაწე ანონიმი ავტორის მიერ 1842 წელს რუსულიდან თარგმნილი „სიტყვა მღუდელობისათვის წმინდისა მამისა ჩუვენისა იოანე ოქროპირისა კონსტანტინოპოლელი არქიეპისკოპოსისა“, ხოლო 1846 წელს — მოსკოვში მოღვაწე მღვდლის ანდრია იოანეს ძე წაწვიანიძის „დაწყებითი საქრისტიანოსა ჰსწავლანი ანუ მოკლე სამღვდლო ისტორია და მოკლე კატეხიზმო“. იმავე 1846 წელს იბეჭდება აგრეთვე კოლექსკი სეკრეტარის იოანე მოძღვრის შვილის „ვრცელი ქრისტიანებრივი კატეხიზმო მართლმადიდებლისა კათოლიკე აღმოსავლეთის ეკლესიისა“. ეს ორივე — მოკლე და ვრცელი კატეხიზმო რუსულიდან იყო თარგმნილი.

1847 წლიდან 1852 წლამდე მოსკოვში იბეჭდება ექვსი დასახელების საეკლესიო წიგნი. ესენია: 1847 წლის „მართლმადიდებლობითი აღსარება კათოლიკე და სამოციქულო აღმოსავლეთის ეკლესიისა. ზედა დართვითა ორთა სიტყვათა წმინდისა იოანე დამასკელისა წმიდათა ხატთათვის და გარდმოცემა სარწმუნოებისა, გაცოცხადებისამებრ წმიდისა გიორგი საკვირველთ-მოქმედისა, ნეოკესარიის ეპისკოპოსისა“, 1848 წლის — „ლოცვანი. სადიდებლად წმინდისა, თანა-არსისა და განუყოფელისა, ცხოველს-მყოფელისა, მამისა და ძისა და წმინდისა სულისა“, 1849 წლის — „ტრიოდირონი, რომელ არს სამსაგალობელი“ და „შედეგი დღისა წმინდისა პასექისა და მართლისა ბრწყინვალისა კვირიაკისა... სადიდებლად წმინდისა სამებისა“, 1850 წლის — „დავითნი“ და „ტრიოდირონი“.

XIX საუკუნის დამდეგისათვის მოსკოვში ქართველების ვარდა, სომხების დასახლებაც არსებობდა, რომლის კულტურულ ცხოვრებას ტონს აძლევდა ირანიდან, კერძოდ ისპაჰანის მახლობლად „ნორ-ჯუგიდან“, ანუ ახალი ჯულფიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გადმოსახლებული ცნობილი დიდვაჭრისა და მეცენატის ლაზარე ნაზარის ძე ლაზარევის ოჯახი. ლაზარეს უფროსი ვაჟის იოვანესის ინიციატივითა და მისი შთამომავლების აქტიური მხარდაჭერით 1815 წელს ლაზა-

რევეები თავიანთი ხარჯით მოსკოვში აარსებენ აღმოსავლური ენების ინსტიტუტს, სადაც სომხების გარდა სწავლის უფლება ჰქონდათ სხვა ერის წარმომადგენლებს, მათ შორის, ცხადია, ქართველებსაც. აქ ისწავლებოდა არაბული, ლათინური, ბერძნული, სპარსული, თურქული, ქართული. ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები: თ. კორშა, ვ. მილერი, პროფესორები: ს. ნაზარიანი, ნ. ემინი, ა. კრიმსკი, ვ. გორდლეესკი. ქართულ ენას ასწავლიდა თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებულ-განსწავლული, წიგნების გამოცემაში დახმარების გასაწევად მოსკოველი ქართველების მიერ თბილისიდან საგანგებოდ მიწვეული, გიორგი XIII ქვრივის მარიამ დედოფლის ოჯახთან დაახლოებული მღვდელი მიხეილ სიმონის ძე გურგენიძე<sup>1</sup>.

1828 წელს ლაზარევებმა აღძრეს შუამდგომლობა ინსტიტუტთან სტამბის დაარსების შესახებ. რუსეთის საიმპერატორო კარმა მათი თხოვნა დააკმაყოფილა და 1830 წლიდან ინსტიტუტის ახლად გახსნილ სტამბაში წიგნების ბეჭდვამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. როგორც საისტორიო წყაროებით ირკვევა, აქ წიგნები 13 ენაზე გამოდიოდა: რუსულ, სომხურ, ლათინურ, ბერძნულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ, უნგრულ, სერბიულ, ქართულ და სხვა ენებზე<sup>2</sup>, რომელთა უმეტეს ნაწილს ქრესტომათიები, ლექსიკონები, დარგობრივი სახელმძღვანელოები შეადგენდა.

1855 წელს ლაზარევეების ინსტიტუტის სტამბაში ქართულ ენაზე იბეჭდება იმხანად რუსეთში საკმაოდ გახმაურებული წიგნი „უკანასკნელი ჟამნი ცხოვრებისა იმპერატორის ნიკოლოზ პირველისა“, რომლის თარგმანიც მიხეილ გურგენიძეს ეკუთვნოდა. ეს არის დღევანდელი „გამოჩენილი ადამიანების“ სერიის მიხედვით დაწერილი პოპულარული ხასიათის წიგნი, რომელიც დოკუმენტურ პროზას უახლოვდება. ამ ჟანრის წიგნი ქართულ ენაზე მანამდე არ გამოცემულა. ჟანრობრივ-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივობის ისტორიისათვის, 1980, გვ. 200.

<sup>2</sup> А. П. Б а з н я н ц, Над архивом Лазаревых, М., 1982, с. 36.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 39.

თემატიკური სიახლე გარკვეულ მნიშვნელობას მატებს მას ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებს შორის.

1853 წელს გამოსული „ვეფხისტყაოსნისა“ და 1855 წელს დაბეჭდილი „იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ცხოვრებისა“ შემდეგ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვში საერო ლიტერატურა აღარ გამოცემულა. 1855—1856 წლებში იბეჭდება სამი წიგნი და სამივე საეკლესიო შინაარსის. ესენია: „დავითნი“, „კონდაკი“ და „უამნი“.

ასეთია მოკლედ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვში დაბეჭდილი ქართული წიგნების ისტორია.

• • •

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოველი ქართველების მსგავსად დიდ მეცნიერულ, ლიტერატურულ-შემოქმედებით და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ პეტერბურგში მცხოვრები მათი თანამემამულენიც. აქ მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მკვლევარ-მეცნიერნი, მხატვრები, მთარგმნელ-კალიგრაფები, როგორც იყვნენ დავით, იოანე, ოქროპირ, ბაგრატ, თეიმურაზ, ფარნაოზ, დიმიტრი ბაგრატიონები, იონა ხელაწვილი, პეტრე ქებაძე, ზაქარია ფალავანდიშვილი, ტარასი ალექსი-მესხიშვილი, გიორგი მისნურაძე, სიმონ ტაბიძე, იოსებ ნაზარიშვილი, იოანე ბაზელიძე, გიორგი პაიჭაძე, იოსებ ხმალაძე, ნიკოლოზ და დავით ჩუბინაშვილები, გოდერძი ფირალიშვილი და სხვები.

პეტერბურგელ ქართველთა მეცნიერულ და ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას სათავეში ედგა კაცი დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ზედმიწევნით განათლებულ-განსწავლული ფილოსოფიასა, ისტორია-ფილოლოგიასა, გეოგრაფიასა და სხვა ზოგად საზოგადოებრივ დისციპლინებში თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი, რომელსაც პირადი ნაცნობობა და ახლო შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა რუსეთის იმდროინდელ მოწინავე ინტელიგენციასთან.

თეიმურაზი პეტერბურგში საქართველოს უკანასკნელი მეფეების — ერეკლე II და გიორგი XIII სხვა შემკვიდრებთან შედარებით მოგვიანებით — 1811 წლიდან დასახლდა. აგი

ხევის ნაპირას, ვასილის კუნძულის მეცხრე კვარტალში შეძლებული ვაქრის ვერტმანისაგან ნაყიდ სახლში ცხოვრობდა. ბაგრატიონების საგვარეულოს ამ შესანიშნავი წარმომადგენლის ოჯახის კარი მუდამ ღია იყო უცხო გარემო-პირობებში მოხვედრილი ქართველებისათვის. თეიმურაზის, მისი მეუღლის — ელენე ოთარის ასული ამილახვრისა და მათი კარის ეკლესიის მღვდლის, გიორგი XIII შეილების აღმზრდელ-მასწავლებლის იონა ხელაშვილის გულრთადი მასპინძლობის გარდა, პეტერბურგელ თანამემამულეებს აღნიშნული სახლი იზრდავდა აგრეთვე მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკით. პოლიექტოს კარბელაშვილი წერს: „თეიმურაზის სახლი 1811 წლიდან ნელ-ნელა გარდაიქმნა მწერალ-მწიგნობრობის ტრფიალთა სადგური. თვით თეიმურაზი და იონა ბერი თავის შექლებით დიდად ხელს უწყობდნენ წოდების განურჩევლად ყველა ახალგაზრდა ქართველს, რომელიც კი პეტერბურგს მიაღწევდა სასწავლათ: პლატონ იოსელიანმა, სოლომონ დოდაშვილმა, დავით ჩუბინაშვილმა, სოლომონ რაზმაძემ, იოანე ბაძელიძემ, სიმონ ტაბიძემ იქ, თეიმურაზის სახლში იგემეს შარბათი მეცნიერებისა და სამშობლო ენის სიყვარულისა. აქ, მეფის კარზედ, ივინი ჰპოვებდნენ ნუგეშსა და მშობლიურს მზრუნველობას გაჭირვებაში“<sup>1</sup>. ამ ოჯახში აღიზარდა XIX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგენელი მხატვარი გიორგი მაისურაძე.

პეტერბურგში მცხოვრები ქართველების თეიმურაზის ოჯახთან დაახლოება კიდევ უფრო განატყიცა ცარიზმის ხელისუფალთა თვითნებობის შედეგად დაკარგული ეროვნული საღვთისმსახურო ტრადიციების ამ ქალაქში აღდგენამ. მაშინ როდესაც, ქართულ ეკლესიას აყრილი ჰქონდა ავტოკეფალიური უფლებები, ქართლ-კახეთიდან რუსეთს გადასახლებულ გავლენიან პირთა რუდუნების წყალობით, სინოდის ნებართვით, პეტერბურგის წმინდა ანდრიას მონასტერში წესდება წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე შესრულება, 1816 წლიდან კი თეიმურაზი თავისი სახლის ეზოში აშენებს საკუთარ კარის

<sup>1</sup> პ. კარბელაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, გაზ. „საქართველო“, 1916, № 146.

ეკლესიას, სადაც დროთა განმავლობაში ღვთისმსახურებას ეწეოდნენ იონა ხელაშვილი, ტარასი ალექსი-მესხიშვილი და ეპიტორ გიორგაძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მიხედვით აშენებულმა ბაზილიკური ტიპის ახალმა სამლოცველომ თეიმურაზის ოჯახთან კიდევ უფრო დაახლოვა სამშობლოდან ლტოლვილი თანამემამულენი.

პეტერბურგელი ქართველების უმეტესობა თავად იყო მომწრე და საკუთარი თვალთ მნახველი XVIII—XIX საუკუნეების საქართველოს მძიმე პოლიტიკური ცხოვრებისა. ამიტომაც შეინიშნება მათი გარკვეული ნაწილის ძლიერი გაცეცება სამშობლო-ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლით. დიდმა მამულიშვილურმა მოვალეობამ შთააგონა მათ დაეწერათ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობილი მეცნიერული ნაშრომები საქართველოს რთულ პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ მხრივ საყურადღებოა დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“, „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა“, ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“, იოანე ბაგრატიონის „ქალმასობა“, თეიმურაზ ბაგრატიონის „დავით ბაგრატიონი“, ნიკო დადიანის ქართველთა ცხოვრება და სხვა. ამ ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებები, კრიტიკული შენიშვნები და დასკვნები დღესაც ინარჩუნებენ ცხოველ მეცნიერულ ინტერესს.

განსაკუთრებით ნაყოფიერია პეტერბურგელ ქართველთა მთარგმნელობითი მოღვაწეობა. იგი დარგობრივად ძირითადად ორი სახეობის ლიტერატურას მოიცავს — მეცნიერულსა და მხატვრულს. მეცნიერულში უპირატესობა ფილოსოფიას აქვს დათმობილი, მხატვრულში კი — პოეზიასა და დრამატურგიას. მთელი ამ მთარგმნელი ლიტერატურის გაცნობა მოწმობს, თუ რაოდენ დიდი იყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში პეტერბურგში მცხოვრები ქართველების მისწრაფება — გაეცნოთ თავიანთი ხალხისათვის მსოფლიო მეცნიერების ახალი მიღწევები, მოწინავე საკაცობრიო იდეები, ეზიარებინათ ისინი ქვეყნისათვის და ყოველივე ამით აემსახურებინათ თანამემამულეთა სულიერი ცხოვრების დონე.

ფილოსოფიურ-მეცნიერული თვალსაზრისით საყურადღებო ნაშრომები უთარგმნიათ მაგალითად, დავით ბაგრატიონს:

შარლ ლუი მონტესკიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“, ვოლტერის „შობისათვის“, პრუსიის აკადემიის წევრის, ფრანგი მეცნიერის ჟან პიერ ფრიდრიკ ანსელიონის „ესთეტიკური განსჯანი“, იოანე ბაგრატიონს: შოტლანდიელი პროფესორის ადამ ფერგიუსონის „ზნეობითი ფილოსოფია“, დავით ციცი-შვილს: აბატ კონდილაკის „ლოგიკა“. აღსანიშნავია აგრეთვე გიორგი ავალიშვილის მიერ თარგმნილი ერაზმ როტერდამელის შრომები.

მხატვრული ლიტერატურიდან შერჩევით უთარგმნიათ: ივანე ამილახვარს დერჟავეინის, ხოლო სოლომონ ჩაზმაძეს პუშკინის ლექსები, თეიმურაზ ბაგრატიონს ვოლტერის ტრაგედია „აღათოკლე“ და სხვა.

დიდია პეტერბურგელ ქართველთა ღვაწლი და დამსახურება სველი ხელნაწერების შეგროვების, გადანუსხვისა და წესრიგში მოყვანის საქმეში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი შრომა გაუწევია ცნობილ მწიგნობარსა და მესტამბე-გამომცემელს სიმონ ტაბიძეს. თეიმურაზ ბაგრატიონის დავალებით იგი ეწევა ხელნაწერების გადაწერას და გარკვეულ გასამრჩელოსაც იღებს მისგან. სიმონის მიერ გადაწერილ ერთ ხელნაწერს დართული აქვს შემდეგი ანდერძი: „უნდა მარადის ჩუვენი მეფის შვილი თეიმურაზ ვადიდოთ, რადგანაც დღე და ღამე საქართველოს შემატებისათვის მრავალ წიგნს და ისტორიას იღწვის, წარსაგებლით გვაწერინებს“. სვიმონ ტაბიძეს გადაუწერია, მაგალითად ფარსადან გოგიჯანიძის „საქართველოს ისტორია“. გიორგი პაიჭაძეს — ანტონ პირველი კათალიკოსის „ღრამატიკა“, პირადად თეიმურაზ ბაგრატიონს — სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის „მოკლე ქართლის ცხოვრება“.


მეცნიერული და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობის ფართოდ გაშლამ თავისი შედეგი გამოიღო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში პეტერბურგში არსებობდა საკმაოდ მდიდარი ქართულ ხელნაწერთა კერძო კოლექციები. სწორედ ამ გარემოებამ მისცა შესაძლებლობა პეტრე ჭეზაძეს პეტერბურგის სააზიო მუზეუმისათვის შეეწირა 45 ძველი ქართული ხელნაწერი. მათ შორის „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგ VI „სამართლის წიგნი“, ანტონ პირველის „ღრამატიკა“. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნის-სიცრუისა“, „არჩილიანი“, „ომბ-








მცხეთის წარწერა. ქვაზე ნაკეთი მცხეთური




თრიალეთის ვახტრებისას  
აღმოჩენილი ზურგაკეცის ნა-  
კაწრი ქეები

ბოლნისის ქვის წარწერები





ძეული ჯარუჭის ოთხთაეი



პარხლის მრავალთაეი

ამისათვის დაიწყო მისი წინადადება და დაიწყო  
 წყობის დასრულება და დაიწყო მისი დასრულება  
 და დაიწყო მისი დასრულება და დაიწყო მისი დასრულება  
 და დაიწყო მისი დასრულება და დაიწყო მისი დასრულება  
 და დაიწყო მისი დასრულება და დაიწყო მისი დასრულება  
 და დაიწყო მისი დასრულება და დაიწყო მისი დასრულება  
 და დაიწყო მისი დასრულება და დაიწყო მისი დასრულება  
 და დაიწყო მისი დასრულება და დაიწყო მისი დასრულება

მეცხე




მისი დასრულება  
 და დაიწყო მისი დასრულება

და დაიწყო მისი დასრულება და დაიწყო მისი დასრულება  
 და დაიწყო მისი დასრულება და დაიწყო მისი დასრულება

1030 წ. გაღანუხული სინას მთის მონასტრის სვინაქსრის მინიატურა








გულათის ბიბლია






ճշտոն օտետադո



პალიმფსესტი მობერო




ოქიზარის მიერ მოჭრილი წყაროსთავის გარეკანი



ალავერდის ოთხთავის მინაწერი. მინიატურა



მინიატურა





ნიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა. გიორგი ავალიანს იმავე მუზეუმისათვის გადაუცია 13 ხელნაწერი და ა. შ.

ინტენსიურმა მეცნიერულმა და ლიტერატურულ-შემოქმედებითმა მუშაობამ პეტერბურგელ ქართველებში გააღვივა ეროვნული თვითშეგნების წინ წამოწევის სურვილი. ამიჯუნდა აიხსნას მათი ცდა 1842 წელს ქართული ჟურნალის დაარსებისა „ივერიის ტელეგრაფის“ სახელწოდებით<sup>1</sup>. მართალია, მათ ეს ვერ განახორციელეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი ყურადღება წიგნების გამოცემაზე გადაიტანეს და არცთუ უნაყოფოდ.

პეტერბურგში ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის ისტორია XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. 1736 წელს ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, ვსესვიატსკოეში ქართული სტამბის ერთ-ერთი დამაარსებლის — იოსებ სამებულის ზარკით დავით გურამიშვილის ძმა ქრისტეფორე გურამიშვილი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში ბეჭდავს „ქართულ-რუსულ ანბანს“. რაკი მოიჭრა ქართული შრიფტი და გამოინახა სხვა ტექნიკური საშუალებები, მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის საქმე პეტერბურგში სისტემატურ ხასიათს მიიღებდა, მაგრამ მთელი რიგი ხელშემშლელი მიზეზების გამო ეს ასე არ მოხდა. „ქართულ-რუსული ანბანის“ დაბეჭდვის შემდეგ XIX საუკუნის ათიანი წლების მიწურულამდე აქ ქართული წიგნი აღარ გამოცემულა.

1808 წლიდან პეტერბურგში მცხოვრები ქართველები კვლავ ანახლებენ წიგნების ბეჭდვას. ამ საქმის მოთავე ხდება საიმპერატორო კარის საგარეო საქმეთა კოლეგიის თარჯიმანი, ნადვორნი სოვეტნიკი გოდერძი ფირალიშვილი. იგი მოსკოველ ქართველ ექიმ პეტრე კლაპიტანაშვილზე ადრე თარგმნის პრაქტიკული დანიშნულების პოპულარული ხასიათის სამედიცინო წიგნს „ლონეი და შეწევნულება, რომლითაც იქსნების ერი ყვავილის სნეულების სრვისაგან“ და 1808 წელს ბეჭდავს პეტერბურგის სახაზინო სტამბაში.

<sup>1</sup> ი. ბოგომოლოვი, ძველი ქართული ლიტერატურის საკითხები რუსული პერიოდიკის ფურცლებზე, „ლიტერატურული ძიებანი“, XIV, გვ. 34.

ასეთივე პრაქტიკული დანიშნულების წიგნი იბეჭდება აქ 1815 წელს შემდეგი სახელწოდებით: „სწავლა აკრისათვის წინა დამცველისა ყვავილისა“. ორივე წიგნში დახასიათებულია ძველად ძალზე საშიში ეპიდემიის, ყვავილის სიმპტომური თავსებურებანი, მისი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე, აქედან გამოწვეული მძიმე შედეგები და მოცემულია რჩევა-დარიგება დაავადების თავიდან აცილების მიზნით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით ყოველწლიურად უამრავი ხალხი იხოცებოდა საქართველოში ყვავილის ეპიდემიით, ნათელი გახდება აღნიშნული წიგნების გამოცემის მნიშვნელობა.

XVIII საუკუნის მიწურულისათვის ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1793 წლის საფრანგეთის რევოლუციამ ათასგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პეტერბურგში, მოსკოვში, რიაზანსა და სხვა მსხვილ ქალაქებში. ამით შეშინებულმა მმართველმა წრეებმა მკაცრი კონტროლი დააწესეს წიგნების გამოცემაზე. სენატის ბრძანებულებით მთავრობის საწინააღმდეგო იდეების ქადაგებისათვის ცეცხლში დაწვეს იმხანად პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი ი. ბ. კნიაჟინინის ტრაგედია „ვკადიმ ნოვგოროდცი“. ამასთან დაკავშირებით დაიხურა მრავალი კერძო სტამბა<sup>1</sup>.

XIX საუკუნის დამდეგიდან, ალექსანდრე პირველის გამეფების შემდეგ, სტამბებისათვის დაწესებული ზოგიერთი შეზღუდვა გაუქმდა. კვლავ გაიზარდა წიგნების გამოსაცემ კერძო საწარმოთა რიცხვი. ამის შედეგად XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგისათვის ნახქვეანელი სომეხი ვინმე იოსებ იოვანესიანი პეტერბურგში აარსებს საკუთარ სტამბას, რომელშიაც წლების მანძილზე იბეჭდება ქართული წიგნები. 1818 წელს აქ გამოდის „განჰჯანი არისტოტელისანი კეთილისა და ბოროტისათვის“. ეს არის მცირე მოცულობის, რამდენიმე გვერდიანი მორალურ-დიდაქტიკური ღასიათის ნაშრომი, რომელშიც განხილულია გონების რაობა, მოცემულია სათნო-

<sup>1</sup> А. Н. Петров, И. Д. Царт, Первая академическая, Л., 1977, с. 25.

ებისა და მანკიერების დახასიათება, გამოტანილია ზოგადი დასკვნები სიკეთისა და ბოროტების, როგორც ეთიკური კატეგორიების შესახებ.

„განჰსჯანი არისტოტელესანი...“ 1787 წელს უთარგმნია ბერძნულიდან რუსულად, საიდანაც 1818 წელს თეიმურაზ ბაგრატიონს გადმოუქართულებია და იმავე წელს თავისი ხარჯით დაუბეჭდია იოსებ იოვანესიანის სტამბაში.

1823 წელს კიდევ ერთ მორალურ-დიდაქტიკური ხასიათს წიგნს ბეჭდავენ აქ პეტერბურგელი ქართველები. ესაა „ენციკლოპედია ანუ შეკრებულობა ზნეობითა სწავლათა ჰაზრთანი და განსჯანი სხუათა და სხუათა ნეთათვის და აღსმულნი ანბანთა ზედა“. ეს წიგნი ფრანგულიდან რუსულად უთარგმნია კოლეესკი ასესორს იოანე პრიკლონცკის, ქართულად კი გიორგი ჩუგუნაშვილს გადმოუღია.

მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დაინტერესება მორალურ-დიდაქტიკური ნაშრომებით ჭერ კიდევ XVIII საუკუნის 40 წლებიდან შეინიშნება. ამას მოწმობს ბასილიოს მაკედონელის „ტესტამენტის“, „კიტაის სიბრძნისა“ და „ქმნულობის ცოდნის წიგნის“, ანუ „აიათის“ გამოცემა ვსესვიატსკოეს, ვახტანგ VI და ერეკლე II სტამბებში. ეს ფაქტი ერის სულთერ ცხოვრებაზე ევროპის კულტურის გავლენით გამოწვეულ კეთილსასურველი ძვრებით უნდა აიხსნას. არისტოტელეს „განჰსჯანისა“ და „ენციკლოპედიის“ გამოცემაც იმავე ძვრების გამოძახილი იყო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში პეტერბურგში გამოცემულ ქართულ წიგნებს შორის ყურადღებას იქცევს იურიდიული შინაარსის ორი ნაშრომი: „საზოგადო მდივნობაი“ და „საიმპერატორო კარის ბრძანება-განკარგულება „უფალს მთავარმმართველს კავკაზიის მხარის აქეთ“. „მდივნობის“ დანიშნულებაა განუმარტოს დაინტერესებულ პირთ, თუ როგორ უნდა შედგეს „პირობის ხელწერილი“, „თამასუქის გაცემის“, „ნასყიდობის წიგნები“, „სამემკვიდრეო ანდერძები“ და სხვა სახის იურიდიული ხასიათის დოკუმენტები ადმინისტრაციულ ორგანოებში წარსადგენად. ამრიგად, ეს არის იურიდიული ცოდნის პროპაგანდისთვის გამიზნული წიგნი და მის გამოცემას იმ დროისათვის გარკვეული პრაქტიკული მნიშვნე-

ლობა ჰქონდა. ამ წიგნის შემდგენელ-გამომცემელია გოდერძი ფირალიშვილი, დაბეჭდილია იგი 1821 წელს იოსებ იოვანესიანის სტამბაში.

რაც შეეხება მეორეს, რომელიც იმპერატორ ნიკოლოზის მიერ ხელმოწერილი ბრძანება-განკარგულებაა, იგი დაბეჭდილია 1841 წელს და მოიცავს ერთ გვერდს. მასში განსაზღვრულია ამიერკავკასიის დროებითი მმართველობის უფლება-მოვალეობანი, სახელმწიფოებრივი დანიშნულების დებულებათა დასამტკიცებლად იმპერატორთან წარდგენის წესი, მოსაზღვრობაზე გადასახადების შეწერის კანონები, აღებ-მიცემობის წარმოების ნორმები და სხვა. ერთი სიტყვით, ეს არის ისტორიული ხასიათის დოკუმენტი, რომელსაც თავისი მცირე მოცულობის მიუხედავად, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ხალხთა XIX საუკუნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერულად შესწავლის თვალსაზრისით.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თეიმურაზ და იოანე ბაგრატიონების, ნიკოლოზ ჩუბინაშვილისა და სხვა მოღვაწეთა ინიციატივით პეტერბურგში საფუძველი ეყრება საკმაოდ ძლიერ ქართველოლოგიურ სკოლას, რომელმაც 1830 წლიდან მარი ბროსეს რუსეთში დასახლების შემდეგ კიდევ უფრო გააფართოვა და გააღრმავა მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუდუნებით აღსავსე ის ნაყოფიერი შრომა, რომელიც პეტერბურგელმა ქართველებმა მშობლიური ენის გრამატიკისა და ლექსიკოლოგიური საკითხების მეცნიერულად შესწავლისათვის გასწიეს.

ქართული ენის გრამატიკის შედგენას დიდი წინის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XVII საუკუნის 40-იან წლებში რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში იბეჭდება იტალიელი მისიონერის ფრანცისკო მარია მაჯიოს მიერ შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა ლოცვებითურთ“, ხოლო XVIII საუკუნის მიწურულს, კერძოდ 1798 წელს მოზდოკში ცნობილი მესტამბე-გამომცემლის რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილის ხელით მოწყობილ ქართულ სტამბაში გაიოზ რეპტორი იმავე თემაზე ბეჭდავს საკუთარ ნაშრომს. ორივე ამ გამოცემამ თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გარკვეული თვალსაზრისით, რის გამოც მათ გა-

მორჩეული ადგილი უკავიათ ქართული წიგნის ისტორიაში. ამის ნათელსაყოფად ისიც საკმარისია ითქვას, რომ ფრანცისკო მარია მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკამ ლოცვებითურთ“ პირველად გააცნო ევროპას ჩვენი მშობლიური ენა და კულტურა, ხოლო ორივე ზემოდასახელებულმა გამოცემამ საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის გრამატიკის, როგორც მეცნიერული დისციპლინის შემდგომ ჩამოყალიბებას. მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იტალიელი მისიონერისა და ქართველი ლეთქმწახურის გაიოზ რექტორის ნაშრომებს ნაკლოვანებები არ გააჩნდათ. პრობლემატურ, საკვანძო საკითხებისადმი გვერდის ავლა, მეცნიერული დაუსაბუთებლობა, ზოგადი ჭაბიათის მსჯელობანი და სხვა — აი ამ ნაშრომების ძირითადი ნაკლოვანებები.

პეტერბურგელ ქართველებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ყოველივე ეს და შესდგომიან მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ნაშრომების შექმნისათვის ზრუნვას. ამის ერთ-ერთი აღრინდელი ცდა იყო გოდერძი ფირალიშვილის „თვით მასწავლებელი, რომელიც იპყრობს თვის-შორის ღრამატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონსა რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა“, რომელიც 1820 წელს დაიბეჭდა იოსებ იოვანესიანის სტამბაში. სამწუხაროდ, დღედად არც ეს გამოცემა განსხვავდებოდა წინათ დაბეჭდილი ქართული ენის „გრამატიკებისაგან“. ძირეული საკითხებისადმი ზედაპირული მიდგომა, მეცნიერული სიღრმისეული ანალიზის ნაკლებობა, უსისტემობა, განსაზღვრავენ გოდერძი ფირალიშვილის ნაშრომს დონეს. ამგვარივე ხასიათის აღრინდელ გამოცემებთან შედარებით ამ წიგნში სიახლე ის არის, რომ ქართული ენის ცალკეული გრამატიკული ნორმები რუსული ენის გრამატიკული ნორმების შეპირისპირებითაა განხილული და გამოტანილია მეტ-ნაკლებად მართებული დასკვნები.

ქართული ენის გრამატიკის მეცნიერულად შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია მარი ბროსეს ნაშრომი „ხელოვნება აზნურითი გონა ქართული ენის თვით მასწავლებელი“, რომლის ძირითად ლიტერატურულ წყაროდაც მკვლევართაგან ანტონ პირველის ცნობილი სახელმძღვანელო „ღრამატი-

კაა“ მიჩნეული“. ეს ნაშრომი 1834 წელს გამოიცა პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე. მასში ვრცლადაა განხილული ქართული დამწერლობის წარმოშობა, მოცემულია ასოებისა და ბგერების თვისობრივი დახასიათება, ზედსართავის, რიცხვითი და ნაცვალსახელების გენეტიკური ანალიზი, გარკვეულია ქართული ზმნის თავისებურება და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარი ბროსეს ეს ნაშრომი დაზღვეული არ არი. ცალკეული ხარვეზებისაგან. მასში გამოთქმულია მცდარი მოსაზრება ქართული ენის ინდოევროპული წარმოშობის, ქართული ალფაბეტის შექმნისა და სხვათა შესახებ, მაგრამ ყოველივე ეს ვერ აუფასურებს ნაშრომის ძირითად ღირებულებას. მარი ბროსეს სწორედ ამ გამოკვლევით ეყრება საფუძველი ქართული ენის გრამატიკის მეცნიერულ შესწავლას.

მარი ბროსემ შემდგომში კიდევ რამდენიმე ნაშრომი უძღვნა ქართული ენის გრამატიკის პრობლემების გარკვევას, რომლებშიც საკვლევი საკითხები უფრო მასშტაბურადაა განხილული და ადრე გამოთქმული მცდარი მოსაზრებები გასწორებულია.

დიდი შრომა გასწიეს პეტერბურგელმა ქართველებმა აგრეთვე მშობლიურ ენაზე სხვადასხვა სახის ლექსიკონების შედგენა-გამოცემისათვის. ქართული ენის გრამატიკის საკითხების შესწავლის მსგავსად ლექსიკონების ბეჭდვას დიდი ხნის ისტორია აქვს. XVII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს კახეთის მეფის თეიმურაზ პირველისაგან რომის პაპ ურბან VIII დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ქართველი ელჩის ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილისა და იტალიელი პატრის სტეფანე პაოლინის მიერ 1629 წელს რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელ საზოგადოების სტამბაში გამოსცეს პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელსაც ობიექტური მიზეზების გამო მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კი შემდეგი გარემოება გახლდათ: „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში, — წერს ა. ჩიქობავა, — ხშირია ქართული სიტყ-

---

1 შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), 1966, გვ. 33.

ვის არაზუსტი დაწერილობა (აგმოსავლეთი, ადვილიდ, აგმონენებული, აბრეშომი)...

ცხადია, ლექსიკონის შემდგენელმა სტეფ. პაოლინიმ ენა არ იცოდა, ქართული მეტყველების თავისებურებებში ვერ ერკვეოდა.

მართალია მას ეხმარებოდა ნიკიფორე ირბახი, ქართველი ბერი, მაგრამ არ ვიცით რა გაკეთდა ლექსიკონში უმისოდ და რაში მიიღო მან მონაწილეობა<sup>1</sup>.

დამოწმებული ციტატა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სტეფანე პაოლინის მიერ ენის უცოდინარობა, ბუნებრივია, გახდებოდა მთავარი მიზეზი იმ ნაკლოვანებებისა, რომლებითაც ხასიათდება 1629 წელს რომში დაბეჭდილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული გამოცემა თავისი დონით არ იდგა ჭეროვან სიმაღლეზე და აქედან გამომდინარე, ცხადია, ვერც აკმაყოფილებდა ამ სახის ლიტერატურისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის პეტერბურგში გაიხსნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, რომელიც ვასილევსკის კუნძულის მესამე კვარტალში № 77 სახლში იყო მოთავსებული. აღნიშნული პერიოდისათვის სტამბაში 28 დაზგა მუშაობდა, რომლებითაც იბეჭდებოდა წიგნები ექვს ენაზე: რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ, ქართულსა და თურქულზე<sup>2</sup>.

1831 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბა შეივსო პარიზიდან ჩამოტანილი ახალი შრიფტებითა და მატრიცებით, აგრეთვე გერმანელი ფაბრიკანტების კენიციისა და ბაუერისაგან ნაყიდი ორი სწრაფმბეჭდავი მექანიკური დაზგით<sup>3</sup>. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სტამბის საწარმოო საშუალებათა ზრდას. 1843 წლისათვის მას უკვე შეეძლო წიგნების გამოცემა ებრაულ, ავღანურ, რუმინულ, ქართულ, სკანდინავიურ, შვედურ, ინგლისურ, პოლონურ და სხვა ენებზე.

<sup>1</sup> ა. ჩიქობავა, ჟ. ვათეიშვილი, პირველი ქართ. ნაბეჭდი გამოც. 1983, გვ. 27, 28.

А. Н. Петров, И. Д. Царт, Первая академическая, Л., 1977, с. 29.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 31.

პირველი ქართული წიგნი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში 1830 წელს დაიბეჭდა. ეს იყო ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ შედგენილი „ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონი“. ისევე როგორც ადრე გამოცემული ამ სახის სხვა წიგნები, ალ. სულხანიშვილის ნაშრომიც მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება. მრავალი სიტყვა მასში დამახინჯებულად იყო მოტანილი და შეცდომით ახსნილ-განმარტებული.

ამრიგად, მრავალგზის ცდისა და სერიოზული წინამძღვრების მიუხედავად, XIX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულამდე მაღალ მეცნიერულ დონეზე შედგენილი ლექსიკონების გამოცემის საკითხი თვითდინებაზე იყო მიშვებული და შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამ საქმის მოგვარება დავით ჩუბინაშვილს ხედა წილად.

1837 წლის 27 ივნისს ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დავით ჩუბინაშვილს თხოვნით მიუმართავს პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის მის მიერ შედგენილი „ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონის“ გამოცემის თაობაზე. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით საგანმანათლებლო საქმის გამგებელს ხელნაწერი მეცნიერებათა აკადემიისათვის გადაუცია განსახილველად, სადაც მისი რეცენზირება მარი ბროსესათვის დაუვალეზიანათ.

1837 წლის 15 სექტემბერს ბროსეს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მისათვის დადებითი რეცენზია წარუდგენია, რომელშიც გამოთქმული ყოფილა რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება. რეცენზენტი, კერძოდ, მოითხოვდა ლექსიკონში ლათინურის ფრანგულით შეცვლას და ნაშრომის მოკულობის გაზრდას ძველი ხელნაწერების შესწავლის შედეგად იმხანად გამოვლენილი ახალი ლექსიკური მასალის ხარჯზე. დავით ჩუბინაშვილმა მარი ბროსეს მოსაზრებანი გაიზიარა, ნაშრომი გადაამუშავა, შეაჯსო და 1840 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდა შემდეგი სახელწოდებით: „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ“. მარი ბროსეს შუამდგომლობითა და მეცნიერებათა აკადემიის აქტორი მხარდაჭერის შედეგად ამ წიგნმა დემიდოვის პრემია დაიმსახურა.



დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე დავით ჩუბინაშვილის მეორე ნაშრომს „რუსულ-ქართულ ლექსიკონს“, რომელიც 1846 წელს დაიბეჭდა. ამ გამოცემისათვის წიგნის ავტორს მეორედ მიენიჭა დემიდოვის პრემია.

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებმა ფართო აღიარება პოვა მაშინდელ პერიოდულ პრესასა და ფართო საზოგადოებრიობაში. არა ერთი და ორი გამოჩენილი მოღვაწე გამოეხმაურა მათ გამოცემას. მაღალი შეფასება მისცა ამ წიგნებს ი. ჭავჭავაძემაც. 1891 წელს დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა: „ჩუბინაშვილის ლექსიკონები დიდი ღვაწლია ქართული მწერლობისათვის, დიდი სიმდიდრეა ქართული ენისათვის, მაგრამ ამ ლექსიკონებს ჯერ კიდევ დიდი შრომა სჭირია, რომ დღევანდელი საჭიროება და მოთხოვნილება ამ მხრივ დაკმაყოფილებული იქნას... ლექსიკონებში მოქცეულ სიტყვებს უფრო გარკვეულად დაწყოება და გარჩევა სჭირია, აგრეთვე ღალბის ცოცხალი ენის სიტყვებით, სხვადასხვა ცნებათა გამომხატველი სიტყვებით მეცნიერებათა ყოველ ნაწილში: ზოოლოგიაში, ბოტანიკაში, ჰიმიიაში და სხვა. ყველა ამას კაცები სჭირია და საშუალება და თუ ჩვენ კერძო თაოსნობას ვუყურეთ, მეორე ჩუბინაშვილის გუდადვით, საქმე ერთობ გვიან გაკეთდება... მამ დაეაარსოთ თანხა დავით იესეს ძე ჩუბინაშვილის სახელობაზე ქართული ლექსიკონის შესავსებად და როცა ეს თანხა ცოტა გაიზრდება, იქიდგან მივცეთ სასყიდელი მცოდნე კაცებს და ვამუშავოთ, ვაშრომოთ ამ სასარგებლო საქმისათვის. როცა ფული გვექნება ხელთ, შეგვეძლება გავგზავნოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ენის მცოდნე კაცი და შევკარებინოთ. წინდაწინვე შემუშავებული პროგრამით სიტყვები, სახალხო ლექსები და სხვა მასალა ლექსიკონისათვის“<sup>1</sup>.

თუ როგორ შეფასებას აძლევდა ილია დ. ჩუბინაშვილას არა მარტო ლექსიკოლოგიურ, არამედ საერთოდ მის მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც, თვალნათლივ ჩანს წარწერიდან, რომელიც გაკეთებული ჰქონდა პოეტის მიერ გარ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, სიტყვა თქმული დ. ჩუბინაშვილის პატივსაცემად, თხზულებათა სრული კრებული, 1957, გვ. 260.

დაცვლილი მკვლევარისათვის მირთმეულ გვირგვინს: „ღრმა მოხუცებულ მასწავლებელს და დამრიგებელს დავით იესეს ძე ჩუბინაშვილს მისის მადლობელის შეგირდის თავ. ი. ჭავჭავაძისაგან“<sup>1</sup>.

მნიშვნელოვანი ამაგი დასდეს პეტერბურგელმა ქართველებმა ეროვნული ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენა-გამოცემის საქმეს. ამ მხრივაც დიდია დავით ჩუბინაშვილის ღვაწლი და დამსახურება.

რუსეთის სახალხო განათლების მინისტრის მითითებით პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1844 წლის 24 ივლისს განიხილა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ამიერკავკასიის ხალხთა ენების სწავლების შემოღების საკითხი, რომლის დადებითად გადაწყვეტამ დღის წესრიგში დააყენა სათანადო სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობა. უნივერსიტეტის რექტორმა პ. ა. პლეტენევმა ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის შედგენა დაავალა ამ საგნის მასწავლებელს დავით ჩუბინაშვილს<sup>2</sup>. სამეცნიერო წრეებში უკვე კარგად ცნობილმა ლექსიკოგრაფმა დავალება მოკლე დროში შეასრულა. 1845 წელს მან წარადგინა „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ ორ ნაწილად, პირველში შეიტანილი იყო პოეტური, მეორეში კი — პროზაული ნაწარმოებები.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ დავით ჩუბინაშვილის ნაშრომი სააპრობაციოდ გადაუგზავნა მეცნიერებათა აკადემიას. მისი რეცენზირება ისევ მარი ბროსეს დაევა, რომელიც ნაშრომის დადებით შეფასებასთან ერთად ცალკეულ შენიშვნებსაც გამოთქვამდა. კერძოდ, იგი ამჯობინებდა ზოგიერთი ადგილების ამოღებას „ვისრამიანიდან“, ანდა საერთოდ, მისი, როგორც XI საუკუნის სპარსულიდან ნათარგმნი ძეგლის „ქრესტომათიაში“ შეუტანლობას, „ბიბლიიდან“ მოტანილი ადგილების (ივდითის, რუთის, იობის წიგნებიდან) ხუცური შრიფტით აწყობას, ერთ-ერთი ნაწყვეტის რუსულად

<sup>1</sup> ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, 1967, გვ. 238.

Ц. И. Каландадзе. Участие грузин в культурной и общественной жизни России, 1984, с. 55.

თარგმნასა და მისთვის ფილოლოგიურ-ისტორიული ხასიათის შენიშვნების დართვას. ამასთან ბროსე სასურველად მიიჩნევდა „ქრესტომათიაში“ შეტანილი ყოფილიყო მოკლე ცნობები წარმოდგენილ მწერლებზე, ანოტაციების მოთავსებას .მ ნაწარმოებთა შესახებ, რომლებიდანაც მოტანილი იყო ნაწყვეტები.

დავით ჩუბინაშვილმა თავისი ნაშრომი მარი ბროსეს რეცენზიაში გამოთქმული შენიშვნების მიხედვით გაასწორა, შეავსო, წესრიგში მოიყვანა და პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს ა. პ. პლეტნევს დაუბრუნა გამოსაცემად.

„ქრესტომათიის“ პირველი და მეორე წიგნი 1846 წელს დაიბეჭდა ერთდროულად პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. პირველის სახელწოდება იყო „ქართული ქრესტომათია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან, ნაწილი პირველი, პროზა“, ხოლო მეორესი — „ქართული ქრესტომათია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან, ნაწილი მეორე, პოეზია“.

„ქრესტომათიის“ გამოცემამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საზოგადოებრიობის ფართო წრეებში. ერთნი დადებითად აფასებდნენ დავით ჩუბინაშვილის ნაშრომს, მეორენი — კრიტიკულად.

ცხადია, თქმა იმისა, რომ დავით ჩუბინაშვილის „ქრესტომათიას“ ნაკლოვანებები არ გააჩნდა, სწორი არ იქნება (ვფიქრობთ, მაგალითად, მასში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ქართველი მწერლების გარკვეული ნაწილი, შეიძლებოდა უფრო ძლიერი ადგილების მოტანა ამა თუ იმ ნაწარმოებებიდან და სხვა), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ესაა ამგვარი სახის ლიტერატურის გამოცემის პირველი ცდა, ხაზგასმით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 1712 წელს გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსნისათვის“ დართული ვახტანგ VI კომენტარების შემდეგ, დავით ჩუბინაშვილის „ქრესტომათიას“, მისივე ლექსიკონებთან ერთად, გამორჩეული ადგილი უკავია ქართული მეცნიერულ-ფილოლოგიური წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

ცარიზმის მონარქიულ-თვითმპყრობელური პოლიტიკით, წაქეზებული რუსეთის ინტელიგენციას მიტმანებული რეაქ-

ციულად განწყობილი მეცნიერ-მკვლევართა ერთი ჯგუფი დროგამოშვებით შოვინიზმით გამსჭვალულ ნიჰილისტურ პროვოკაციებს აწყობდა განაპირა ქვეყნების ხალხთა კულტურული წარსულის გასაქირდავად.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ასეთ გამოხდომებს საქართველოს ისტორიისადმი ხშირად მიმართავდა პროფესორი ო. სენკოვსკი. 1838 წელს იგი თავს დაესხა შუა საუკუნეების ცნობილ ისტორიულ ძეგლს „ქართლის ცხოვრებას“ და იმისათვის, რომ შეექმნა ილუზია — თითქოს ქართველებს ძველი ისტორია არ გააჩნიათ, აღნიშნული წიგნი XVIII საუკუნეში შექმნილად გამოაცხადა. ო. სენკოვსკი კიდევ უფრო შორს წავიდა. მისი მოსაზრებით ქართველებს თავიანთ დღევანდელ ტერიტორიაზე XII საუკუნემდე არ უცხოვრიათ. იმისათვის, რომ „ექვმიუტანელი“ გაეხადა ეს ვერსია, იგი ცდილობდა, რადაც უნდა დაქდომოდა, გაებათილებინა ქართველებისა და იბერიელების იგივეობა, დაემტკიცებინა, რომ ქართველების ისტორია გიორგი პირველის, უფრო სწორად დავით მესამის დროიდან, ანუ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყებოდა და სხვა.

ო. სენკოვსკი „მეცნიერულ პაექრობაში“, მარტო როღა იყო. მას მხარს უბამდნენ სხვა რეაქციონერი თანამოაზრენიც. ცხადია, ამგვარი მძაფრი შოვინისტურ-ნიჰილისტური შემოტევების გამო საჭირო იყო საქართველოს ისტორიული წარსულის, მისი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ეროვნული კულტურის დაცვა.

ისევე, როგორც მშობლიური ენის უფლებების შესანარჩუნებლად, საქართველოს ისტორიის ხელშეუხებლობისათვისაც ნაბეჭდი პუბლიკაციებით პირველად ჰმა აღიმალღეს პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველებმა. ო. სენკოვსკისა და მის თანამოაზრეთ ყოველმხრივ დასაბუთებული პასუხი გასცა მარი ბროსემ 1841 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში წაკითხული საჯარო ლექციების ციკლით, რომელშიც მიმოხილული იყო „ქართველოლოგიური ლიტერატურა, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქართული ენა, ძველი ქართული კანონმდებლობა, ქართველთა

ზნე- ჩვეულებები, ქართული ლიტერატურა, ისტორია და სხვა საკითხები“<sup>1</sup>.

ქართველი ხალხის ისტორიის ფართოდ გაცნობა-აღიარების მიზნით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1849 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში „ქართლის ცხოვრების“ პირველი წიგნის, ანუ „ძველი მოთხრობის“ გამოცემას, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები დასაბამიდან 1469 წლამდე განვილილ პერიოდს მოიცავდა. წიგნს ახლდა მეცნიერული სიღრმით დაწერილი მარი ბროსესეული კრიტიკული შენიშვნები, დამატებები, განმარტებები, რომლებშიც ქვა-ქვაზედაც აღარ იყო დატოვებული ო. სენკოვსკისა და სხვა რეაქციონერთა მიერ საქართველოს ისტორიაზე გამოთქმული ნიჰილისტური შეხედულებებიდან.

მარი ბროსეს განზრახული ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ მეორე წიგნის გამოცემაც, მაგრამ მხედველობის დაკლების გამო წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა გაუჭირდა. 1851 წლის ოქტომბერში მან პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ მხედველობის მკვეთრი დაქვეითება საშუალებას არ აძლევს გამოსაცემად მოამზადოს „ქართლის ცხოვრების“ მეორე წიგნი და ნება დაერთოთ მის მაგივრად ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე საქმე დაეთ ჩუბინაშვილს გაეგრძელებინა. ბროსეს ეს თხოვნა დააკმაყოფილეს.

1854 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაიბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ მეორე წიგნი დავით ჩუბინაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. იგი 1849 წელს გამოცემული პირველი წიგნის ქრონოლოგიურ გაგრძელებას წარმოადგენდა და 1469 წლიდან 1800 წლამდე განვილილ საქართველოს ისტორიას მოიცავდა. ამ ორივე წიგნის გამოცემა „გასული საუკუნის შუა ხანებისათვის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით ეპოქალური მოვლენა იყო. საქართველოს ისტორიით დაინტერესებულმა მკითხველმა მიიღო პირველხარისხოვანი ძეგლი ქართველი

<sup>1</sup> შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), 1966, გვ. 51.

ხალხის გმირული წარსულის შესახებ, ძეგლი, რომელიც ძირითადი წყაროა, ფუნდამენტია საქართველოს ისტორიისა“<sup>1</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ ორივე წიგნზე ადრე, 1848 წელს, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში იბეჭდება კიდევ ერთი ისტორიული ხასიათის წიგნი — თეიმურაზ ბაგრატიონის „ისტორია დაწყებითგან ივერიისა ესე იგი გიორგისა, რომელ არის სრულიად საქართველოსა“. ამით თავდება პეტერბურგში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ხალხის წარსულის ამსახველი ქართული ისტორიოგრაფიული ხასიათის წიგნების ბეჭდვა.

პეტერბურგის ქართველლოგიურმა სკოლამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მარტო ფილოლოგიურ-ისტორიული ხასიათის წიგნების ბეჭდვა-გამოცემაში, არამედ ძველი ქართული მხატვრული კლასიკური ლიტერატურის პუბლიცაციაშიც, რისი ნათელი დადასტურებაცაა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა. ამ დროისათვის ვახტანგ VI მიერ პირველად დაბეჭდილი პოემის თითქმის არცერთი ეგზემპლარი აღარ იშოვებოდა. თეიმურაზ ბაგრატიონი 1833 წლის 9 ოქტომბერს პეტერბურგიდან მარი ბროსეს პარიზში სწერდა: „ვეფხისტყაოსანზე ოქვენ მიერი შრომა მოგეწერათ დაბეჭდვაზე. მე თითონ ვეძებ ვახტანგ მეფის სტამბისა, თქვენთვის მინდოდა წარმომეგზავნა, მაგრამ აქ ჭერ ვერსადა ვპოვე, თუმცა ერთი ექზემპლარი მე მაქვს ჩემთვის, რომელსაც აქ ჩვენს სახლშიაც ხშირად კითხულობენ. დიდი სიხარულით გამოვიმეტებდი, რომ გამომეგზავნა, მაგრამ ასე დაძველებული არის, რომ თითქმის უფრო მეტი ფურცლები დახეული და ზოგან დაკარგული ფურცლები ხელით არის ჩაწერილი, და ვახტანგ მეფისაგან განმარტებაც სრულად არ არის, ფურცლები აკლია. კიდევაც ვეძებ, დუ ვიშოვნე, გამოვიგზავნი, მაგრამ სწორით კი არ ვიცი მეშოვება თუ არა“<sup>2</sup>.

ამგვარმა ბიბლიოგრაფიულმა იშვიათობამ და თავად 1712 წლის გამოცემაში გაპარულმა სარედაქციო ხასიათის, კორექ-

<sup>1</sup> შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე (ისტორიული ნარკვევი), 1966, გვ. 94.

<sup>2</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1964, გვ. 26.

ტორულმა და სხვა სახის შეცდომებმა დღის წესრიგში დააყენეს „ვეფხისტყაოსნის“ ხელშეორედ დაბეჭდვის საკითხი. 1826 წელს პეტერბურგელ ქართველებს თხოვნით მიუმართავთ საცენზურო კომიტეტისათვის პოემის გამოცემაზე ნებართვის მისაღებად.

საცენზურო კომიტეტსა, პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველსა, განათლებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად დაწყებული საკმაოდ ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ, 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ განსახილველად გადაუციათ სააზიო დეპარტამენტის კოლეგიისათვის. აქ მისი რეცენზირება ქართული ენის თარჯიმანისათვის დაუვალებიათ, რომელსაც მხარი დაუჭერია პოემის ტექსტის გამოცემისათვის, ვახტანგ მეექვსის „კომენტარების“ დაბეჭდვაზე კი, საცენზურო კომიტეტის იმხანად მოქმედი წესდების თანახმად, რომელიც კრძალავდა გამოსაქვეყნებელ ნაწარმოებისათვის შენიშვნებისა და სხვა სახის აპარატურის დართვას, თავი შეუკავებია.

ამრიგად, პეტერბურგელი ქართველების 1826 წელს „ვეფხისტყაოსნის“ მეორედ გამოცემის ცდას დადებითი შედეგი არ მოყოლია. ერთი მხრივ, საცენზურო კომიტეტის წესდების მტკიცედ დაცვამ, და, მეორე მხრივ, ქართველების პრინციპულმა მოთხოვნამ 1712 წლის გამოცემის ვახტანგ მეექვსესეული კომენტარებით დაბეჭდვის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ მეორედ გამოქვეყნების საკითხი თითქმის მთელი 15 წლით უკან გადასწია.

ქართულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში 1826 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის ინიციატორის ვინაობა დღემდე დაუდგენელია. ს. ყუბანეიშვილის აზრით, იგი რომელიმე ბატონიშვილი უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>, მაგრამ კონკრეტულად, ვინ, ამაზე რაიმე ვარაუდს არ გამოთქვამს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1826 წლის გამოცემის ინიციატორი თეიმურაზ ბაგრატიონი იყო, რადგანაც საერთოდ ფილოლოგიის და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე არამცთუ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების ოჯახის წევრებიდან, არამედ იმ-

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 36.

ხანად პეტერბურგში მცხოვრები ქართველებიდან თეიმურაზის გარდა არავინ მუშაობდა.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა იმ თარჯიმნის ვინაობის გარკვევაში, რომელსაც დაავალა სააზიო დეპარტამენტის კოლეგიამ გამოცემის ნებართვისათვის „ვეფხისტყაოსნის“ აბრძობა. ს. ყუბანეიშვილისავე აზრით იგი ცნობილი ლექსიკოლოგი ნიკოლოზ ჩუბინაშვილი უნდა ყოფილიყო, რომელიც მაშინ დეპარტამენტში მუშაობდა სწორედ თარჯიმნად<sup>1</sup>. ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის მარტო სამსახურებრივ-თანამდებობრივი მოტივით კი არა. პოემის გამოცემის თაობაზე დაწერილი რეცენზია სულაც არაა თარჯიმანისათვის დამახასიათებელი კაზიონურ-კანცელარიულ სტილით დაწერილი, შეიძლება ითქვას, რომ იგი მაღალი დონის ფილოლოგიური მეცნიერული ნაშრომის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს. რეცენზია დაწერილია გამართული, კვალიფიციური რუსულით, საკითხები განხილულია პროფესიონალური სიღრმით, ერთმანეთის თანამიმდევრობით და, რაც მთავარია, მასში ყურადღება გამახვილებულია ვახტანგ მეექვსესეული „კომენტარების“ ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებსა და გრამატიკულ ნორმებზე. ასეთი რეცენზიის დაწერა კი მაშინდელ პეტერბურგელი ქართველებიდან მარტო ნიკოლოზ ჩუბინაშვილს შეეძლო.

პეტერბურგელმა ქართველებმა 1826 წელს წამოწყებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საკითხი 1841 წელს განახორციელეს. ამ დიდი ეროვნული საქმის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო თეიმურაზ ბაგრატიონი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შედგა სარედაქციო-საგამომცემლო კომისია მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილის, დ. ჩუბინაშვილის შემადგენლობით და საგანგებო „პროგრამა“, რომლის მიხედვითაც წარიმართა მუშაობა.

1841 წლის გამოცემა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ახალ, დამატებულ სტროფს, 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ გამეორება იყო. პოემის წინასიტყვაო-

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 41.



ბაში მ. ბროსე წერს: ჩვენ გამომცემლებმა გადავწყვიტეთ „ახლად აღბეჭდოთ ვეფხისტყაოსანი, რომლის საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილი, გარდა მცირედ განმართული, განხილული სწავლულთა ქართველთა მიერ და შემოწმებული ძველთა ხელნაწერთა თანა, რაოდენთაც შევძლებთ პოვნასა საქართველოსა ანუ რუსეთსა შინა და მით მივაახლოვებთ ნამდვილსა“.

სტროფების გარდა, განსხვავება აქ ორ გამოცემას შორის იმაშიცაა, რომ ახლად დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანს“ დართული არა აქვს ვახტანგ მეექვსის „კომენტარები“, რაც განპირობებული იყო იმ მ-თქმა-მოთქმის მისაყუჩებლად, რომელიც გავრცელებული იყო მაშინ, თითქოს ვახტანგს პოემაში აღწერილი მიჯნურობა გაიგივებული აქვს ღვთაებრივ მიჯნურობასთან.

1841 წლის გამოცემისათვის შერჩეულ სარედაქციო კოლეგიას მნიშვნელოვანი მუშაობა გაუწევია. 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი საქართველოსა და რუსეთის სიძველეთსაცავებსა თუ კერძო პირთა შორის მოძიებულ პოემის ხელნაწერებისათვის შეუდარებია, ცალკეული სტროფები შეუცვლია, გადაუადგილებია, დაუზუსტებია და სხვა. ამ დიდსა და შრომატევად საქმიანობაში კონსულტაციების გაწევით, რჩევა-დარიგებებით მისთვის თეიმურაზ ბაგრატიონს ერთობ სასარგებლო დახმარება გაუწევია. ამიტომაც სარედაქციო კომისიას მადლობის ნიშნად ეს გამოცემა მისთვის მიუძღვნია. ახლად დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსნის“ მესამე გვერდზე ამის თაობაზე ვკითხულობთ: „მათს უგანათლებულესობას ბატონიშვილს თეიმურაზს, საქართველოს მეფის გიორგის ძეს, უმდაბლესის პატივისცემისა, გულითადის მადლობისა, სამარადისო ერთგულებისა ნიშნად შევწირეთ. დამბეჭდელნი ბროსეტ, ზაქ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინოვი“.

ამის შემდეგ ახალი გვერდიდან იწყება მ. ბროსეს წინასიტყვაობა, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლევა „ვეფხისტყაოსანს“, როგორც პოეტურ ნაწარმოებს, გარჩეულია პოემის სადაურობის საკითხი და დაწერის თარიღი, მოცემულია ცნობები შ. რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ, განმარტებულია ახალი სტროფების დამატების აუცილებლობა და სხვა.

პოემას ბოლოს დართული აქვს დ. ჩუბინაშვილის „მცირე ლექსიკონი“.

1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდილია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. როგორც თავფურცლიდან ჩანს, პოემის ტექსტი სვიმონ ტაბიძეს აუწყვია. ამ „გამოცემამ რუსთველოლოგიაში პროგრესული როლი ითამაშა. მან შეარყია ვახტანგისეული პოემის გამოცემის მოცულობა და დააყენა საკითხი სტროფული შედგენილობის შესწავლის აუცილებლობის შესახებ“<sup>1</sup>.

მეცნიერული, ლიტერატურულ-შემოქმედებითი და საგამომცემლო-სარედაქციო საქმეებით გადატვირთვის მიუხედავად, თ. ბაგრატიონმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული შრიფტის განვითარების საქმეში. ეს თვალნათლივ ჩანს მარი ბროსესადმი გაგზავნილი წერილებიდან. 1833 წლის 9 ოქტომბერს იგი თავის ფრანგ მეგობარს პეტერბურგიდან აუწყებდა: „ერთი სათხოვნელი მაქვს თქვენთან: მე ხუცურის წერილის ასოები მინდა. თუ შეიძლება, მანდ პარიუში, გამიკეთებინე ჩემის ხარჯით... მაგრამ მსჯილი ასოები კი არ მინდა, დიახ, წვრილი ასოები იყოს. ისე პატარა ასოები რომ თვალთ ძლივს ჩანდეს... ეს ამისთვის მინდა, რომ საუბე სახარება დაიბეჭდოს და რომელიმე სხვა სახმარად, რომ უბეში ჰქონდეს კაცსა და ისე ატარებდეს“<sup>2</sup>.

გავიდა არცთუ ისე დიდი ხანი და თ. ბაგრატიონმა აზრი შეიცვალა, მცირე მოცულობის ხუცური შრიფტის მაგივრად იმავე ზომის მხედრულის დამზადება გადაწყვიტა. 1834 წლის 16 მაისს იგი მ. ბროსეს ატყობინებდა: „ჩემთვის, რომ მოგეწერათ, თუ მომწერთ სტამბაში ამის (ხუცურის — ო. კ.) ასოებს გამოვართმევო, ნუ სთხოვთ, არ მინდა... საჭირო აღარ არის...“<sup>3</sup>.

რამ გადააფიქრებინა პირვანდელი გადაწყვეტილება თ. ბა-

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსანის“ ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 59.

<sup>2</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1964, გვ. 27.

<sup>3</sup> იქვე.

გრატიონს, რატომ აღარ იყო „მისთვის უკვე საჭირო“ ზუცუ-  
რი შრიფტი? ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია მ. ბროსესადმი  
გაგზავნილ ზემოთ დამოწმებულ წერილში: თუ „ვეფხისტყა-  
ოსანს“ ცალკე ერთ წიგნად დაბეჭდავთ, — ნათქვამია მასში, —  
„მარტო მხედრულის ასოებით დაბეჭდეთ, ზუცურს ნუ ჩა-  
ტანთ ამისათვის, რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრებნი  
ძალიან ეწყობიან, მდაბალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფ-  
ხისტყაოსანს და იმათში ზუცური ბევრმა არ იცის. მარტო  
მხედრული წიგნი იციათ“<sup>1</sup>. აქედან ჩანს, რომ უტილიტარულ  
მოსაზრებას აუღებინებია თეიმურაზისათვის ხელი პირვან-  
დელ გადაწყვეტილებაზე.

მ. ბროსემ თ. ბაგრატიონს თხოვნა შეუსრულა. ქართველი  
სწავლულის ნახაზების მიხედვითა და მის მიერვე გაღებული  
ხარჯით პარიზის დელიფონის ქარხანაში დაამზადებინა პუან-  
სონ-მატრიცები, რომელთა მეშვეობით ჩამოსხმული მხედრუ-  
ლი შრიფტი აკადემიური პეტიტის სახელით შევიდა ქართული  
წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

გ. შარაძე ფიქრობს, რომ „გარდა ქართული მხედრული  
შრიფტის მატრიცებისა, თეიმურაზის ნახაზების საფუძველზე  
დამზადდა ასომთავრულის მატრიცებიც, რომელიც შემდეგ  
გამოყენებულია თეიმურაზის „საქართველოს ისტორიაში“  
სპბ. 1848, მაგრამ იგი პარიზში კი არ უნდა იყოს დამზადებუ-  
ლი, არამედ პეტერბურგში, შესაძლებელია რევილონის ასოთ-  
ჩამომსხმელ სახელოსნოში“<sup>2</sup>. ამის შესახებ რაიმეს გადაჭრით  
თქმა, სანამ მოპოვებული არ იქნება სანდო ფაქტობრივი მა-  
სალა, ძნელია, ისე კი, მკვლევარის მიერ გამოთქმული ეს ვა-  
რაუდი საფუძველს მოკლებულად არ გვეჩვენება.

თ. ბაგრატიონის მიერ მ. ბროსეს შეწევნით პარიზში დამ-  
ზადებული ქართული პუანსონ-მატრიცებით დაინტერესებუ-  
ლა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია, რის გამოც ამ სა-  
მეცნიერო დაწესებულების მუდმივ მდივანს, აკადემიკოს  
პ. ნ. ფუსსს უთხოვია თეიმურაზისათვის რამოდენიმე ხნით შე-  
ლეოდა საფრანგეთიდან მიღებულ საშრიფტო ყალიბებს მა-

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბა-  
ნეიშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1964, გვ. 31.

<sup>2</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი (ცხოვრება), 1972, გვ. 119-120.

ლალ-ხარისხოვანი ქართული მხედრული ასოების ჩამოსასხმელად. თეიმურაზს პ. ნ. ფუსის თხოვნა სიამოვნებით დაუკმაყოფილებია, რის შედეგადაც აკადემიის სტამბას ამ პუანსონ-მატრიცების მიხედვით მხედრული პეტიტის გარდა, იმავე კეგელის კიდევ სამი ზომის ქართული შრიფტი შეუქმნია<sup>1</sup>.

პარიზში დამზადებული თ. ბაგრატიონისეული პუანსონ-მატრიცებით ჩამოსხმული ახალი ქართული მხედრული შრიფტით დაიბეჭდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში 1841 წელს „ვეფხისტყაოსანი“, 1840 წელს დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“, 1848 წელს „ქრესტომათია“ და სხვა მრავალი, რომელთა გამოცემითაც იწყება „ახალი ეტაპი ქართული ნაბეჭდის წიგნის ისტორიაში“<sup>2</sup>.

1846 წელს პეტერბურგის ქართველოლოგიურ სკოლას საძირკველი შეერყა, მისი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი თ. ბაგრატიონი გარდაიცვალა. იქაურმა რუსეთის ინტელიგენციამ და თანამემამულეებმა მისი ნეშტი ალექსანდრე ნეველის ეკლესიის ეზოში დავით და იოანე ბაგრატიონების გვერდით დაკრძალეს.

პეტერბურგელმა ქართველოლოგებმა „ვეფხისტყაოსანის“ გარდა, კიდევ ორი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები გამოსცეს. ერთია იმხანად ცნობილი პოეტის დიმიტრი ბაგრატიონის „წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა“, რომელიც 1819 წელს დაიბეჭდა იოსებ იოვანესიანის სტამბაში და მეორე — „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა ნათქვამი საბა-სულხან ორბელიანისაგან“ გამოქვეყნებული 1859 წელს მეცნიერებათა აკადემიის სტამბის მიერ. ეს არის დიდი ქართველი მეიგავარაკეს ნაწარმოებთა პირველი გამოცემა. წიგნს დართული აქვს მ. ბროსეს გამოკვლევა. ესეც პირველი მეცნიერული ნაშრომია ს. ს. ორბელიანის შემოქმედებაზე.

XVII—XVIII საუკუნეებში მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში მოღვაწე წინაპრების მსგავსად XIX საუკუნის

<sup>1</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი (ცხოვრება), 1972, გვ. 120, 121.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 122.

პირველ ნახევარში პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველებმა ჯერონად მოიხადეს ვალი თავიანთი ეკლესიის წინაშე. მათი შრომითა და ხარჯით დაიბეჭდა თეოლოგიური შინაარსის რამდენიმე ლიტურგიკული წიგნი. მათ შორის: 1819 წელს „ქეშმარიტი ისტორიულნი დამტკიცებანი ნამდვილყოფლობისა ქრისტესი ქვეყანასა ზედა“, 1823 წელს — „კანონი სამართლისა წარმოებისანი გარდა ღდომილებათა თვის ეკლესიასა ქმნილთა სამლუდლოთა გუამთაგან“, 1824 წელს — „ლეოგრაფიული ლექსიკონი ახალი აღთქმისა“, 1847 წელს — „ეპისტოლე“. პირველი სამი წიგნი დაიბეჭდა იოსებ იოვანესიანის სტამბაში, ხოლო ბოლო — მეოთხე — პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისაში.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის პეტერბურგში მცხოვრებ ქართველოლოგთა საგამომცემლო მოღვაწეობით ახალი ეტაპი იწყება ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. თუ XVIII საუკუნეში ვსენვიასტსკოეში, მოსკოვსა და თბილისში გამოცემული წიგნების აბსოლუტური უმრავლესობა სასულიერო შინაარსისა იყო, პეტერბურგში უპირატესობა ენიჭებოდა საეროს, კერძოდ კი, ისტორიულ-ფილოლოგიურ და მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც იდეურ-მეცნიერული და საგამომცემლო პროფესიონალური დონით ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებთან შედარებით გაცილებით მაღლა იდგა.

\* \* \*

XIX საუკუნის მეორე ათწლეულის დამდეგიდან ქართული წიგნის ბეჭდვა მოსკოვ-პეტერბურგიდან თანდათანობით თბილისში გადმოდის და 40-იანი წლებიდან იგი ღდება ამ საქმის ძირითადი ცენტრი. ამას ხელი შეუწყო იმ ძლიერმა პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ხასიათის ძვრებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროისათვის ქართველი ჯალხის მცხოვრებში.

როგორც ცნობილია, 1801 წელს იმპერატორ ალექსანდრე I მიერ ხელმოწერილი მანიფესტის შედეგად გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფოების არსებობა და აღმოსავლეთ საქართველო

რუსეთს შეუერთდა. თავისი რეაქციული, ანტიხალხური პოლიტიკის განხორციელების მიზნით საიმპერატორო კარის უმთავრესი საზრუნავი იყო იმთავითვე მტკიცე დასაყრდენი ძალის გამოჩენვა ახლად შემოერთებულ საქართველოში. ეს კი მოითხოვდა მეტ-ნაკლებად განათლებულ რუსული ენის მცოდნეთა აღზრდასა და მათს სამოღვაწეო ასპარეზზე დაწინაურებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა პირველი ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის — ორკლასიანი სათავადაზნაურო სასწავლებლის გახსნა 1804 წლის 21 მაისს თბილისში კავკასიის მთავარმართებელ პ. ციციანოვის ინიციატივით, სადაც არითმეტიკასთან, ისტორიასთან, გეოგრაფიასა და სხვა საგნებთან შედარებით განსაკუთრებული ყურადღება ქართული და რუსული ენების გაძლიერებულ სწავლებას ჰქონდა დათმობილი.

სათავადაზნაურო სასწავლებლის გახსნამ დღის წესრიგში დააყენა მოსწავლეთა უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით. ხელნაწერი წიგნები უკვე ვეღარ აკმაყოფილებენ მოსწავლეთა გაზრდილ მოთხოვნილებას, ვერც მოსკოვსა და პეტერბურგადან გამოგზავნილი სახელმძღვანელოები ამართლებდნენ თავიანთ დანიშნულებას სასწავლებელში ახლად მიღებულ ახალგაზრდების მხრივ რუსული ენის უცოდინარობის გამო. ამიტომ სულ უფრო ცხადი ჯდებოდა თბილისში კეთილმოწყობილი სტამბის დაარსების საჭიროება სახელმძღვანელოების დასაბეჭდად. სათავადაზნაურო სასწავლებლის დირექტორი მ. პეტრიაშვილი თავის მოხსენებით ბარათში განუმარტავდა კავკასიის მთავარმართებელ პ. ციციანოვს სახელმძღვანელოების უქონლობის გამო სკოლაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას და ასკვნიდა: „სტამბის დაარსება აქ უციდურესად საჭიროა... სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობის უზრუნველსაყოფად ნაბეჭდი წიგნებით“<sup>1</sup>.

XIX საუკუნის დამდეგისათვის თბილისში ახალი, კეთილმოწყობილი სტამბის დაარსებას, სათავადაზნაურო სასწავლებლის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის გარდა, საფუ-

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 90, ფურც. 72.

ძელად ედო მეორე, შედარებით უფრო არსებითი ხასიათის პოლიტიკური მიზეზი — საიმპერატორო კარისა და ადგილობრივი მმართველობის იმ უამრავი ბრძანება-განკარგულებების, დადგენილება-გადაწყვეტილებების, განცხადებების, საკანონმდებლო აქტების, ცირკულარული წერილებისა და სხვა დოკუმენტური მასალების ქართულად თარგმნა, ბეჭდვა და მოსახლეობის ფართო მასებისათვის გაცნობა, რომლებსაც აქვეყნებდა ცარიზმი ახლად შემოერთებულ განაპირა ქვეყნებში თავისი მმართველობის განსამტკიცებლად.

ერეკლე მეორესეულ სტამბას, რომელიც 1795 წელს ადამაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ XIX საუკუნის დამდეგისათვის გიორგი XIII დავალებით ქრ. კეჟერაშვილმა დიდი ვაივაგლახით აღადგინა, შრიფტისა და დაზგების სიძველის გამო უკვე აღარ შეეძლო ერთდროულად სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოფიციალური მასალების ბეჭდვაც.

საიმპერატორო კარის პოლიტიკის ახლად შემოერთებულ საქართველოში ფართო პროპაგანდა სულ უფრო ცხადყოფდა XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან შემორჩენილი, უკვე წყობიდან გამოსული ერეკლე მეორესეული სტამბის არსებით რეკონსტრუქციას, აღჭურვას შედარებით სრულყოფილი, მაღალი წარმადობის დაზგებით, ახალი შრიფტით, სცვადასხვა სახის ხელსაწყო-იარაღებით. ყოველივე ეს კარგად ესმოდა პ. ციციანოვს და აქტიურად ეძებდა გზას საკითხის მოსაგვარებლად. იგი წერილობით კავშირს ამყარებს გაიოზ რექტორთან, რომელიც იმ დროს მოზდოკიდან პენზაში იყო გადაყვანილი არქივისკომპოსად და სთხოვს რომანოვ ზუბაშვილის ხელით გამართული მოზდოკისეული ქართული სტამბის თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლისათვის გადაცემას. „თქვენს მიერ გაწეული დახმარება (იგულისხმება 1796—1803 წლებში მოზდოკში დაბეჭდილი სასკოლო სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ გამოგზავნა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლისათვის — ო. კ.) მაბედვინებს უმორჩილესად ვთხოვო თქვენს უგანათლებულესობას, მოზდოკში არსებული ქართული სტამბის თქვენს სამშობლოში წამოღება. ამით დიდად დაავალებთ, როგორც აქაურ სასწავლებელს, ისე პირადად მე.

მივიღებთ თუ არა პასუხს, მაშინვე გამოგიგზავნით ფულს. რაც შეეხება სტამბის მოზღოკიდან თბილისში გადმოტანას, ამას მე მოგაგვარებ“ — წერდა პ. ციციანოვი გაიოზ რექტორს<sup>1</sup>.

მთავარმმართველის თხოვნას სიამოვნებით დათანხმდა ქართველი ღვთისმსახური. 1805 წლის 1 აპრილს საპასუხო წერილში იგი პ. ციციანოვს ატყობინებდა: „დიდის სიამოვნებით ვუთმობ ჩემს სტამბას ისეთ კეთილშობილ და სიკეთის მომტან სასწავლებელს, როგორც თბილისისაა. ჩემი გადაწყვეტილების შესახებ უკვე ვაცნობე მოზღოკში მცხოვრებ კათოლიკე გიორგი მამასახლისოვს, რომელსაც წამოსვლისას ჩავაბარე სტამბა. თქვენის უბრწყინვალესობის მოთხოვნისთანავე მისცემს ყველაფერს აღწერით იმას, ვისაც მიანდობთ ამ საქმის მოგვარებას. მაგრამ გთხოვთ მიმღებმა გულისყურით შეამოწმოს ყოველი ნივთი რასაც ჩაიბარებს, რადგანაც სტამბა მთლიანად დაშლილი დაეტოვებ“<sup>2</sup>.

პ. ციციანოვმა გაიოზისეული სტამბა მოზღოკიდან თბილისში ჩამოიტანა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა. 1806 წელს იგი მოკლეს ბაქოს მისადგომებთან. მის მიერ წამოწყებული საქმის გაგრძელება წილად ხვდა კავკასიის მთავარმმართველის თანამდებობაზე ახლად დანიშნული გულდოვიჩს. 1807 წლის 20 თებერვალს იგი საქართველოს მმართველს ლიტვინოვს ავალებდა: „სარატოვის უგანათლებულესმა არქივისკოპოსმა გაიმ... თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს აჩუქა საკუთარი სტამბა მთელი თავისი მოწყობილობით, რომელიც კოლეჟსკი ასესორ კალანტაევთან ინახება. მე მას ვაცნობებ, რომ გადასცეს იგი თქვენს უმაღლესობას, თქვენ კი გმართებთ გამოიყენოთ აღნიშნული სტამბა აქაური კეთილშობილთა სასწავლებლისა და საქართველოს უმაღლესი მთავრობის საჭიროებისათვის“<sup>3</sup>.

გაიოზ რექტორისეული სტამბის მოზღოკიდან თბილისში ჩამოტანის შემდეგ საბოლოოდ უნდა მოგვარებულიყო გიორ-

<sup>1</sup> АКА, т. II, стр. 199.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 1062.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 16, აღწ. I, საქმე 502, ფურცელი. 1.



გი XIII დავალებით ქრ. კეყერაშვილის მიერ აღდგენილი ერეკლესული „წიგნთსაბეჭდავის“ რეკონსტრუქციის საკითხი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ძირითადი ნაწილების უქონლობის გამო თბილისის სტამბის ამუშავება ვერ მოხერხდა.

XIX საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს ამ ერთობ გაჭიანურებული საქმის ბოლომდე მიყვანას სათავეში უდგება სინოდის მიერ იმხანად საქართველოს ეგზარქოსად დანიშნული არქიეპისკოპოსი ვარლამ ერისთავი. კავკასიის მთავარმართებელ მარკოზ პაულუჩის აქტიური ხელშეწყობით ქართველი ეგზარქოსი ახალ თანამდებობაზე დანიშნისთანავე იწყებს ზრუნვას თბილისში წიგნების დასაბეჭდად. ამისათვის მას მოსკოვიდან ჩამოყავს საშრიფტო მეურნეობის საუკეთესო მცოდნე და ცნობილი გამომცემელი გიორგი პაიჭაძე. ამასთანავე იღწვის მოსკოვიდანვე თავისი საკუთარი სტამბის ჩამოსატანად. მთელი რიგი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად გ. პაიჭაძე კი ჩამოიყვანა, მაგრამ სტამბის ჩამოტანა რატომღაც გადაიფიქრა და იგი სინოდმა დაიტოვა თავის განკარგულებაში.

1810 წელს გამოქვეყნდა იმპერატორის ბრძანება რუსეთის გუბერნიების სტამბებით უზრუნველყოფის შესახებ, რის საფუძველზეც, რუსეთის სხვა ცენტრალური ქალაქების მსგავსად, თბილისშიც არსდება სტამბა. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემა მოსკოვ-პეტერბურგიდან თბილისში გადმოინაცვლებდა, მაგრამ ვ. ერისთავის, გ. პაიჭაძისა და სხვა იმდროინდელ ცნობილ მოღვაწეთა რუღუნებას დადებითი შედეგი არ მოყოლია. სტამბის ამუშავებას საშველი არ დაადგა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო 1812 წელს კახეთში მომხდარი აჯანყება. მეამბოხეთა შეიარაღებული გამოსვლებით შეშფოთებული საიმპერატორო კარი ყოველგვარ ეროვნულ წამოწყებას ექვის თვალთ უყურებდა და მათ ახალი მმართველობის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ საშუალებად თვლიდა. ამაზე თვალნათლივ მიგვანიშნებს პეტერბურგში კოორდინირებულ პოლიციის სამინისტროდან კავკასიის ახალ მთავარმართებელ ნ. რტიშჩევისათვის 1813 წელს გამოგზავნილი შემდეგი წერილი: „იმერელი თავადი პაიჭაძე, რომელიც აქ (პეტერბურგში — ო. კ.)

ქართველ უფლისწულთან ცხოვრობს, თბილისში გამოემგზავრა თავისი საქმეების შესასრულებლად. მისი წამოსვლა იმ დროს, როცა ეს-ეს არის ჩაწყნარდა მანდაური მღვლევარება, ექვს ბადებს ხომ არ აქვს მას მიცემული რაიმე საიდუმლო დავალება? უმორჩილესად გთხოვთ თქვენო უმაღლესობაე მიიღოთ ზომები და თუ საჭიროდ ჩათვლით ყოველივე დაწვრილებით მაცნობოთ“<sup>1</sup>.

რა ზომები მიიღო გ. პაიჭაძეზე საიდუმლო მეთვალყურეობის გასაწევად კავკასიის მთავარმმართველმა ნ. რტიშჩევმა პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილის საპასუხოდ არ ვიცით, ის კი ცნობილია, რომ 1815 წლამდე თბილისის სასულიერო სტამბაში წიგნები არ დაბეჭდილა. აქ სულ ერთადერთი წიგნი გამოვიდა — პროტოპოპ იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“ და შემდეგ სახსრების უქონლობის გამო მალე დაიხურა.

სასულიერო სტამბის დახურვის შემდეგ კავკასიის ჯარების მთავარსარდლად გენერალ ა. ერმოლოვის დანიშვნისთანავე ცალკე ქართული კორპუსის შტაბთან არსდება პოლიგრაფიული საწარმო, რომელშიც 1816 წელს იბეჭდება პირველი წიგნი „ლოცვანი. ღვთივ შემკობილნი პარაკლისნი ყოველთა წმიდათათვის მოსაზავებელნი“. დოკუმენტური მასალების შესწავლის შედეგად ცხადი ხდება, რომ ამ სტამბას პირველ ხანებში დიდი შეფერხებებით უმუშავია. რითი უნდა აიხსნას, თუ არა საგამომცემლო საქმისადმი ინტერესის განელებით, ის ფაქტი, რომ 1816 წელს აქ გამოსული პირველი წიგნის შემდეგ მთელი სამი წლის მანძილზე აღარაფერი დაბეჭდილა.

1819 წლიდან ერთგვარი გამოცოცხლება შეინიშნება ქართული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში. გამოსვლას იწყებს პირველი პერიოდული ორგანო „საქართველოს გაზეთი“, რომელიც 1821 წლიდან ცნობილი ხდება „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით.

1819 წელსვე იბეჭდება „დებულება, მიღებისათვის მებატონეთაგან საქართველოსა შინ გადმოსახლებულთა“. ეს არას

---

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი. ფ. 16, აღწ. 1, საქმე 1571, ფურც. 3.

13 მუხლისაგან შემდგარი ოთხგვერდიანი დებულება, რომელშიც განმარტებულია მეზობელ სახელმწიფოებიდან საქართველოში გადმოხვეწილი ხიზნების (სომხები და სხვა) შეღავათები: ყმობისგან განთავისუფლება, საიჯარო გადასახადების შეუწერლობა და სხვა. ეს დოკუმენტი იძლევა მასალას დაჭირავებული შრომის პირობების გასაცნობად საქართველოში XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში<sup>1</sup>.

1819 წელს საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში იბეჭდება აგრეთვე „შეკრება რუსულთა უბნობათა, საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დართვითა ქართულისა თარგმნისათა, სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“. ამ მცირე მოცულობის წიგნს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის. იგი წარმოადგენდა დამხმარე სახელმძღვანელოს რუსული ენის დამოუკიდებელი შემსწავლელთათვის.

როგორც ირკვევა, საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბა წიგნებს, ქართულის გარდა, სხვა ენებზე — კერძოდ, რუსულსა და ოსურზეც ბეჭდავდა. ბილინგვას სახით ქართულსა და რუსულ ენებზეა დაბეჭდილი, მაგალითად, ზემოაღნიშნული 1816 წელს გამოქვეყნებული „დებულება მიღებისათვის მებატონეთაგან საქართველოსა შინა გადმოხიზნულთა“, „შეკრება რუსულთა უბნობათა“ და სხვა, ხოლო ქართულსა და ოსურ ენებზე ქართული ტრანსკრიფციით — XIX საუკუნის 20-იან წლებში გამოცემული „საცისკრო ლოცვანი“. ეს იყო იმ ოსებისათვის განკუთვნილი სარიტუალო წიგნი, რომლებსაც ახლად ჰქონდათ მიღებული. ქრისტიანული სარწმუნოება. ამ გამოცემის თავფურცელზე ვკითხულობთ: „სადიდებლად წმიდისა, ერთარსისა, ცხოველსამყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა; და სასულიეროს სამოძღვრებლად ახალ მოქცეულთა მთის ოვსეთისა ერთა“.

ეს წიგნი ქართულიდან ოსურად უთარგმნია იოანე წილკნელის გაზრდილს, „გუბერნიის სეკრეტარს“, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს, ეროვნებით ოსს, იოვანე იალღუზიძეს. 1820 წლის 20 მაისს იგი „საცისკრო ლოცვანი-

<sup>1</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 90.

სა“ და საერთოდ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის შე-  
სახებ ეგზარქოს თეოფილაქტეს მოახსენებდა: „თქვენისა უმაღ-  
ლესობისა მიერ ბრძანებულ იყო ჩემდა, რათა გარდამეღო  
ქართულით ოვსურსა ენასა ზედა რაოდენნიმე საეკლესიო  
ლოცვანი. გარდვიდე ლოცვანი საციცკრონი და სამწუხარონი,  
შემოკლებული კატეხიზმოსი და ქრისტიანებრი ზნეობითი  
სწავლანი, რომელნიცა ყოველნი დაბეჭდილ არიან ერთ წიგ-  
ნად ქართულსა და ოსურსა ენასა ზედა ქართულის საეკლესიო  
ასოთი“<sup>1</sup>.

„საციცკრო ლოცვანის“ გამოცემის შემდეგ თბილისში კარ-  
გა ხანს აღარაფერი გამოსულა. 1826 წელს აქ იბეჭდება სა-  
ქართველოს სამოქალაქო ნაწილის გამგებლის, გენერალ-ლეი-  
ტენანტ ველიამინოვის „მოწოდება ყვავილის ეპიდემიასთან  
ბრძოლისათვის იმერეთში“. ამ დოკუმენტის გამოქვეყნებაა  
შემთხვევითი ზასიათი არა ჰქონდა. აღნიშნული პერიოდისათ-  
ვის დასავლეთ საქართველოში სწრაფად გავრცელდა ყვავი-  
ლის ეპიდემია, რომელიც მუსრს ავლებდა ადგილობრივ მო-  
სახლეობას. შექმნილმა აუტანელმა მდგომარეობამ აიძულა  
დროებითი მთავრობა მიეღო ზომები გაპირვებულთა დასახმარ-  
ებლად. ამას ისახავდა მიზნად კერძოდ 1826 წელს გენერალ  
ველიამინოვის ხელმოწერით გამოქვეყნებული „მოწოდება“,  
რომლის ტექსტიც შემდეგნაირად იწყება: „მოაწია ჩემს ცნო-  
ბაჲდუ რომ მენგრელიის სამთავროსა შინა გამოჩენილი ყვავი-  
ლი მოსისხლედ ეკიდება: დედ-მამათა უხოცს შვილებს და მო-  
აკლებს მათ ზოგჯერ უკანასკნელს, მხოლოდ ერთსა ნუგეშსა-  
ცა“. ბოლოს მოცემულია რჩევა ყვავილის ეპიდემიის წინააღ-  
მდეგ აცრების ჩასატარებლად.

1827 წელს რამდენიმე სახის ბრძანება, განკარგულება, მო-  
წოდება და სხვა დოკუმენტი იბეჭდება საქართველოს ცალკე  
კორპუსის სტამბაში, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყუ-  
რადღებას იქცევს თბილისის სამხედრო გუბერნატორის გენე-  
რალ სიპიაგინის ხელმოწერით გამოქვეყნებული „განცხადე-  
ბა“. ეს არის ექვსი მუხლისაგან შემდგარი ქალაქის კეთილმო-  
წყობის სავალდებულო დადგენილება. მასში ჩამოთვლილია

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, საქმე № 446.

ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო თბილისში სისუფთავის დასაცავად, ძველი შენობა-ნაგებობების შესაკეთებლად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების — ძირითადად მოედნების წესრიგში მოსაყვანად და სხვა.

სახელმწიფოებრივ-საკანონმდებლო დანიშნულება ჰქონდა 1827 წელს დაბეჭდილ მეორე დოკუმენტს „კანონები თუ როგორ უნდა მოიქცნენ პურის თეთრის დარიგებაში ახალს მოსავალზე“. მასში ახსნილ-განმარტებული იყო საქართველოში დაბანაკებული რუსეთის ჯარის ნაწილების პურით უზრუნველსაყოფად ყოველწლიურად სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარებაზე ფულადი ანაზღაურების წესი. ტექსტის დასაწყისში ნათქვამია: „უპირველესი მთავრობა აქაურის მხრისა, ჰზრუნავს რა მარჯვედ მომზადებასა ჯარებისათვის საზრდოსასა, რომელ თეთრი მისის მოსყიდვისათვის თვითოს მომსყიდველს უთუოდ ხელდახელ მიეცემოდეს, საჭიროდ შერაცხა შემდგომის კანონების დაწესება“. ეს დოკუმენტი შედგებოდა 11 პუნქტისაგან, რომელთა დაცვაც სავალდებულო იყო როგორც მიმღები პუნქტების, ისე ჩამბარებლებისათვის. „კანონებს“ ხელს აწერდა ობერ პრავიანტმეისტერი სიმეიკოვი, ხოლო ამტკიცებდა — თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი სიპიაგინი.

XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის ამიერკავკასია მძაფრი ომების მოწმე გახდა. ინგლის-ოსმალებისაგან წაჭეზებულმა ირანმა თვითნებურად დაარღვია გიულისტანის საზავო ხელშეკრულება და ამიერკავკასიაში განლაგებულ რუსეთის ჯარებს ომი გამოუცხადა. ფიცხელი ბრძოლები გაჩაღდა შამქორთან და ელიზავეტოპოლის, ანუ ძველი განჯის მისადგომებთან. რუსეთის არტილერიამ ძლიერი ცეცხლი დაუშინა რიცხობრივად ჭარბ მტრის შეიარაღებულ ძალებს. გამაყრუებელი „ურას“ ძახილით იერიშზე გადასულმა რუსეთის ცხენოსანთა რაზმებმა თავზარი დასცეს ირანელებს, მათი უმრავლესობა პანიკამ მოიცვა. მოწინააღმდეგის ჯარების მთავარსარდლის აბას-მირზას უფროსი ვაჟი მაჰმედ-მირზა და შაჰის სიძე ამირხან-სარდარი, რომლებიც შამქორის ოპერაციაში ირანელებს თავკაცობდნენ, იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. „ბრძოლის ველიდან პირველი გაიქცა აბას-მირზას უფ-

როსი ვაჟი მაჰმედ-მირზა და ქვეითი ჯარი („სარბაზი“) მსხვერპლად დაუტოვა კაზაკებს... შაჰის გეარდია განადგურდა, კავალერია გაიფანტა, ზოგი სად აფარებდა თავს და ზოგი სად, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინა. გზა მოფენილი იყო მოკლულთა გვამებით. მადათოვმა (რუსეთის ჯარების სარდალმა შამქორთან გამართულ ბრძოლებში — ო. კ.) ხელთ იგდო სურსათის დიდძალი ალალი, ერთი ინგლისური ქვემეხი, 12 ზამბურაკი, 2000 თოფი, ქურვით საესე ყუთები და სხვა. მოკლულთა შორის იყვნენ შაჰის სიძე ამირხან-სარდარი, აგრეთვე ირანის სხვა სარდლები — ირზა-ხანი და მირზა-ხანი. ბრძოლის ველზე დარჩა 2000-მდე სარბაზი და ირანელი კავალერისტი, ტყვედ ჩავარდა 100-მდე სარბაზი და ბევრი არტილერისტი<sup>1</sup>.

შამქორთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ რუსეთის ჯარი ახლა ელიზავეტოპოლისაკენ დაიძრა, რომლის გამგებლობა შაჰის მიერ განჯის ყოფილი ხანის ჯეჰადის მემკვიდრეს უგურლუ-ხანს ჰქონდა მინდობილი, ხოლო თავად ციხესიმაგრისა და გარნიზონის ჯარების სარდლად ნაზარ-ალი-ხანი იყო გაპიროვნებული. შამქორის მარცხმა მომაკვდინებელი გავლენა მოახდინა ელიზავეტოპოლში დაბანაკებულ მტრის ლაშქარზე. რუსების უპირატესობით შეშინებულმა ყიზილბაშებმა ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლეს, რის შედეგადაც 1826 წლის 4 სექტემბერს შამქორის მსგავსად მტერმა ელიზავეტოპოლიც თითქმის უბრძოლველად დატოვა.

ირანის წინააღმდეგ ომში რუსის ჯარის ნაწილებთან ერთად წინაპართაგან ნაანდერძევი სიჩაუქით იბრძოდნენ 1795 წელს თბილისის აოხრებით გულდაბოლმილი ქართველები. დიდი იყო წვლილი ამ ომის გამარჯვებით დამთავრებაში სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხებისაც.

1826 წლის ბრძოლების მონაწილე ა. ორბელიანი იგონებს: „1826-სა წელს უეცრათ დიდი სპარსეთისა ჯარით წამოვიდა აბაზმირზა საქართველოზე, აქედგან რუსეთისა ჯარი გაიყვანოს საქართველოს დასაპყრობად, ასე უეცრათ წამოსული

<sup>1</sup> ნ. ქო რ თ უ ა, ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826—1828 წლების ომში, 1978, გვ. 136.

სპარსეთისა წინა ჯარი ყაზახში ამოვიდა და ტფილისში დიდი შიში მოხდა ხალხში. ამ დროს ღენერალმა ერმოლოვმა პრაკ-ლამაცია გამოსცა ქართუელებზე, ქართუელებსა აგონებდა ძველსა შამა-პაპის ვაჟკაცობასა. ამასთან მოითხოვა ქართუელთა ჯარი... ერთს კვირაზედ, ექვსი ათასი მეტი ქართუელი კარგი ცენიანი ჯარი გამოვედით კარგის თოფიარადით, ჩვენი საკუთარი ხარჯითა და სხუა ქვევითი ხალხი სოფლებში შეიარაღდნენ... ასეთი ენთუზიაზმი მოხდა საქართველოში, რომ ერთმანეთს წინ ასწრებდნენ ძმები: არა მე ჯარში უნდა წავიდე, შენ-შინ იყავიო. მე ამას მოვსწრებივარ, თვით საქართველოს ჯარში მეც ვიყავ, ერთად რუსეთისა ჯართან, სადაც მაშინ ბევრი არ იყო რუსეთისა ჯარი საქართველოში, მაგრამ იმისთანა ქართუელების თავშეწირულობამ, ის მცირედი რუსეთის ჯარი ასე განაძლიერა, რომ უეჭველი იყო, ის დიდი სპარსეთისა ჯარი უთუოდ დამარცხდებოდა და ყოველს მხარეს დამარცხდნენ კიდევ<sup>1</sup>.

1826 წელს ირანის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში ქართველთა დამსახურების აღიარებაა ალ. ორბელიანის მოგონებებში აღნიშნული მთავარმმართველ ერმოლოვის „პრაკლამაცია“, რომელიც შამქორისა და ელიზავეტოპოლის განთავისუფლებასთან დაკავშირებით საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში დაიბეჭდა სათაურით „მოწოდება ქართველთა“. მასში ძალზე მოკლედ განხილულია ის საბრძოლო ბატალიები, რომლებშიც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქართველებმა და წამოყენებულია წინადადება ქართული მილიციის შექმნის შესახებ.

შამქორსა და ელიზავეტოპოლში განცდილი დამარცხების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ირანი საზავო ხელშეკრულებას დადებდა რუსეთთან, მაგრამ პირიქით მოხდა. 1827 წლის დამდეგიდან იგი ახალი საომარი ოპერაციებისათვის მზადებას შეუდგა. საიდუმლო არხების საშუალებით ირანის განზრახვა ცნობილი გახდა საიმპერატორო კარისათვის, რომლის ბრძანებითაც 1827 წლის აპრილის დამდეგს კავკასიის

<sup>1</sup> კ. ქეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 1656—ა, ა. ორბელიანის მოგონებანი, გვ. 1—2.

კორპუსის ჯარები გენერალ ბენკენდორფის მეთაურობით ერევნისაკენ დაიძრნენ იქ გამაგრებულ ირანელებზე იერიშის მისატანად. 15 აპრილს ბენკენდორფის შენაერთებმა გასტეხეს ყიზილბაშთა წინააღმდეგობა და ეჩმიადინი დაიკავეს, ხოლო 27 აპრილს უკვე ერევნის ციხე-სიმაგრე ალყაში მოაქციეს. 1 ოქტომბერს სომხეთის დედაქალაქი ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლდა.

შამქორთან და ელიზავეტოპოლთან გამართული ბრძოლების მსგავსად, ერევნის განთავისუფლებაშიც რუსეთის ჯართან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართული მილიციის ნაწილებმა. სომხეთის გეოგრაფიულ თავისებურებათა გამო რთულ საომარ პირობებში ქვედანაყოფებისადმი უნარიანი ხელმძღვანელობითა და საბრძოლო მამაცობით მრავალმა ქართველმა მხედართმთავარმა გამოიჩინა თავი. მათი შემართებითა და რუსეთის საიმპერატორო კარისადმი გამოჩენილი ერთგულებით აღფრთოვანებულ მაშინდელ კავკასიის მთავარმმართველს, ნიკოლოზ I ფაეორიტს გენერალ პასკევიჩს 1827 წლის 6 ოქტომბერს განთავისუფლებულ ერევნიდან ქართველთა ლაშქრის შინ გამომგზავრებისას ხელი მოუწერია ბრძანებისათვის, რომელიც მოსახლეობაში ფართოდ გავრცელების მიზნით საკმაოდ დიდი ტირაჟით დაბეჭდილა საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში. მასში ნათქვამია: „მხნენო საქართველოს თავადნო და აზნაურნო! სამხედრო შრომანი თქვენი დასრულდნენ. თქვენ გისტუმრებთ აწ თქვენს მშობელ ქვეყანაში ჩემის მადლობითა და ჩინებულის სახელითა, მხნედ თანამშრომთა ძლევა მოსილის რუსეთის მხედრობისა სპარსეთის კამპანიასა შინა 1827 წელს, მთავრობასა ქვეშე ჩემსა თქვენ თავი თქვენი წარჩინეთ და მეც ვარ მოწმე ღვაწლთა თქვენთა“.

ამის შემდეგ ჩამოთვლილნი არიან ის პირნი, რომელთაც თავიანთი გულადობით სახელი გაითქვეს 1827 წელს ერევნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ესენი არიან: მ. მაჩაბელი, თ. ერისთავი, გ. ბარათაშვილი, ა. ამილახვარი, ე. თარხნიშვილი, ქ. ორბელიანი, ა. ორბელიანი, ზ. ხმალამე, რ. ერისთავი, კ. ბაქრაძე, დავით, ნოშრევან, სოლომონ და ალექსანდრე



ქვეყნადები, ზ. ვახეაშვილი, ზურაბ და იოსებ ანდრონიკაშვილები, თ. ვაჩნაძე და სხვები.

1828 წელი, ირანთან ომში რუსეთის გამარჯვების გარდა, აღსანიშნავია ქართული ეროვნული კულტურის თვალსაზრისითაც. ამ დროიდან გამოსვლას იწყებს გაზეთი „ტფილისის უწყებანი“.

პირველი ქართული პერიოდული ორგანოს „საქართველოს გაზეთის“ დახურვა მტკივნეულად განიკადა მაშინდელმა ქართველმა ინტელიგენციამ. 1823 წლიდან — ამ ორგანოს არსებობის შეწყვეტიდანვე იგი ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა ახალი გაზეთის დაარსებისათვის, რამაც მთელი რიგი წინააღმდეგობების მიუხედავად, საბოლოოდ, კეთილსასურველი შედეგი გამოიღო. ამას ერთის მხრივ ხელი შეუწყო აგრეთვე იმდროინდელმა რთულმა საშინაო პოლიტიკურმა ვითარებამ. 1826—1828 წლების ომში რუსეთის ჯარის მიერ ფრონტებზე მოპოვებულ წარმატებათა მიუხედავად, ადგილობრივი მმართველობისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები ფაქტიური მდგომარეობის საწინააღმდეგო ათასგვარ ჭორებსა და ცილისწამებლურ ბრალდებებს ავრცელებდნენ მოსახლეობაში პანიკის გამოწვევისა და დეზორგანიზაციის შესატანად, რუსეთის სამხედრო ძლიერების ავტორიტეტის შესაღახად. მსგავსი ფაქტების აღმოფხვრის მიზნით. მთავრობასა და მოსახლეობას შორის უშუალო კონტაქტის დასამყარებლად, კავკასიის მთავარმმართველ პასკევიჩის საქმეში აქტიურად ჩარევის შედეგად საიმპერატორო კარმა გამოსცა ბრძანებულება „ტფილისის უწყებანის“ დაარსების შესახებ.

„ტფილისის უწყებანი“ რუსული გაზეთის „ტფილისკიე ვედომოსტის“ თარგმანი იყო. მას შემდეგ კი რაც ამ პერიოდულ ორგანოს ს. დოდაშვილი ჩაუდგა სათავეში როგორც რედაქტორი, იგი თითქმის დამოუკიდებელი გაზეთი გახდა. აქ ხშირად იბეჭდებოდა ისეთი მასალები, რომლებიც „ტიფლისკიე ვედომოსტში“ არ იყო გამოქვეყნებული.

მართალია, „ტფილისის უწყებანი“ ძირითადად რუსეთის საიმპერატორო კარის ინტერესების გამომხატველ ორგანოს წარმოადგენდა, რომელშიაც ქვეყნდებოდა მთავრობის ოფიციალური მასალები, ცნობები უცხოეთის ამბების შესახებ

და სხვა, არცთუ ისე იშვიათად გაზეთი აქვეყნებდა აგრეთვე კორესპონდენციებს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე, იმდროინდელ ყოფიერებით საკითხებზე და სხვა.

1832 წელს გაზეთის დამატების სახით გამოსვლას იწყებს პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“, რომელმაც ერთგვარად გამოაცოცხლა ქართველი ხალხის იმდროინდელი მიუყრებელი კულტურული ცხოვრება და კეთილსასურველი გავლენა მოახდინა ჩვენი ეროვნული მწერლობის შემდგომ განვითარებაზე.

1828 წელს ახალ გაზეთთან ერთად თბილისში დაარსდა სპეციალური ხელმძღვანელი ორგანო — „ტიფლისკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტი“, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა დახმარებოდა და ზედამხედველობა გაეწია როგორც „ტიფლისკიე ვედომოსტის“, ისე „ტიფლისის უწყებათანისა“ და შემდგომში ჟურნალ „სალიტერატურო ნაწილის ტიფლისის უწყებათანის“ ზედაქციათა მუშაობისათვის. ამ კომიტეტის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურის, კერძოდ კი, ეროვნული ბეჭდვითი სიტყვის განვითარებაში. მისი შექმნით იწყება ქართული საგამომცემლო საქმის ისტორია.

„ტიფლისკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტის“ შემადგენლობაში შედიოდნენ თავად „ტიფლისკიე ვედომოსტისა“ და „ტიფლისის უწყებათანის“ რედაქტორები პ. სანკოვსკი და ს. დოდაშვილი, კოლეგიის მდივანი ნ. ფალავანდიშვილი, პოლბოლკოვნიკი ბებუთოვი, შტაბსკაპიტანი სუმბათაშვილი და თბილისის სამხედრო გუბერნატორის ადიუტანტი პორუჩიკი ქილაშვილი<sup>1</sup>.

კომიტეტისა და მისი წევრების მოვალეობაში შედიოდა:

„1. დროულად მიეღო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან გაზეთისათვის საჭირო ცნობები და განცხადებანი. კომიტეტის წევრები მიღებულ ცნობებს გადაარჩევდნენ და გაზეთში შესაფერისად გამოაქვეყნებდნენ.

2. კომიტეტის წევრებს ევალებოდათ გულმოდგინე ზრუნ-

<sup>1</sup> მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივობის ისტორიისათვის, II, 1983, გვ. 171, 172.

ვა მასალების მრავალფეროვნებისა და სასარგებლო ხასიათის შესახებ. მათ მასალები კრიტიკულად უნდა გაერჩიათ, ამოეკრიფათ ყველაზე უფრო საყურადღებო ცნობები და ბეჭითად დაემუშავებინათ ისინი. კომიტეტს უნდა შემოეკრიბა მუდმივი, საიმედო და ღირსეული კორესპონდენტები. კომიტეტს თავისთვის უნდა გამოეწერა საჭირო რუსული ჟურნალ-გაზეთები:

3. კომიტეტი კვირაში ორჯერ უნდა შეკრებილიყო. პირველ დღეს სხდომაზე უნდა წაეკითხათ წევრების მიერ წარმოდგენილი ყველა მასალა. ამ მასალებიდან შეირჩეოდა ზოგიერთი და გაიცემოდა განკარგულება რუსული სტატიების თარგმნის შესახებ, ქართულ ენაზე. მეორე შეკრებაზე კი უკვე იკითხებოდა გამზადებული მასალა. კომიტეტის წევრები, თუ საჭიროება მოითხოვდა, გამოდიოდნენ თავიანთი შენიშვნებით გამოსაქვეყნებელ მასალებში დაშვებული ორაზროვნების, არასიზუსტის, ცუდი სტილის ან ქართული თარგმანის შეცდომების შესახებ.

დასასრულ, კომიტეტის მოვალეობაში შედიოდა, რომ დასაბეჭდად გამზადებული გაზეთის ნომერი კომიტეტის ერთ-ერთ წევრს წაეღო გუბერნატორთან განსახილველად, გუბერნატორისაგან ნებართვის მიღების შემდეგ გაზეთი დასაბეჭდად გადაეცემოდა<sup>1</sup>.

მალე „ტიფლისკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტი“ თბილისში აარსებს თავის სტამბას და მასში გაზეთების გარდა იწყებს წიგნების ბეჭდვას. 1830 წელს აქ გამოდის ს. დოდაშვილის ნაშრომი „შემოკლებული ქართული გრამატიკა“.

„ტიფლისის უწყებანის“ რედაქტორად მუშაობასთან ერთად ს. დოდაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი სამშობლოში ბრუნდება და ქართული ენის მასწავლებლად იწყებს მუშაობას ჯერ სიღნაღის სამაზრო სკოლაში, შემდეგ კი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომე-

<sup>1</sup> მ. გ. ო. ა. ძ. ე, სოლომონ დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, 1955, გვ. 180, 181.

ლიც 1830 წლიდან გიმნაზიად გადაკეთდა. აქ მისი მოწაფეები იყვნენ ვ. ორბელიანი, ზ. ავთანდილაშვილი, დ. ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი და XIX საუკუნის პირველი ნახევრის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

ს. დოდაშვილს პედაგოგიური მოღვაწეობა მაშინ მოუხდა, როდესაც ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებიდან უმართებულოდ დევნილ-შევიწროებული ქართული ენა საიმედო დაცვასა და მოვლა-პატრონობას საჭიროებდა. ამიტომ „ქართული ენის მოკლე გრამატიკის“ გამოცემას იმდროისათვის დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთსავე შეფასებას იმსახურებს იგი აგრეთვე პედაგოგიური და მეცნიერულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც. მისი საშუალებით ეუფლებოდნენ ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდები სკოლებში წლების მანძილზე მშობლიური ენის გრამატიკის საფუძვლებს.

1830 წელს ს. დოდაშვილის „გრამატიკის“ გარდა, „ტიფლისის ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტის“ სტამბაში იბეჭდება აგრეთვე საქართველოს ეგზარქოსის განმარტებითი წერილი „უმაღლესად დამტკიცებულნი... კანონნი მოძღვრებისა და განმტკიცებისათვის ახლად ნათელდებულთასა ქრისტიანებრსა სარწმუნოებასა შინა“.

საგამომცემლო კომიტეტმა და მის დაქვემდებარებაში შემაჯალმა გაზეთებმა, როგორც „ტიფლისკი ვედომოსტმა“, ისე „ტიფლისის უწყებანმა“ 1833 წლამდე იარსებეს. 1832 წლის შეთქმულების გამოძეღანებისა და პოლიტიკურად არასაიმედო პირთა დაპატიმრების შემდეგ მათ არსებობა შეწყვეტეს.

1833 წელს საგამომცემლო კომიტეტის სტამბაში იბეჭდება მთავარმმართველ ბარონ როზენის „განცხადება საყოველთაოდ საქართველოსა შინა საცნობელად“, რომლის მიზანიც იყო იმ მითქმა-მოთქმის აღკვეთა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ხალხში 1832 წლის შეთქმულების გამოვლინებასთან დაკავშირებით. განცხადებაში განმარტებულია, რომ დაპატიმრებულთა მიმართ წაყენებული ბრალდებანი დადასტურებულია და თვით პასუხისგებაში მიცემულნიც დამნაშავედ თვლიან თავს. აღნიშნულია აგრეთვე, რომ დაპატიმრებულთ ერთნაირი დანაშაული არ მიუძღვით. მათ შორის არიან მეტ-

ნაკლებად „საშიში ელემენტები“, რის გამოც თვითოეულ მათგანს შესაბამისად მიეზღვება სამაგიერო. „განცხადების“ თანახმად უსაფუძვლო ეჭვით არაერთ არ არის დაკავებული.

დასასრულ, განმარტებულია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ ზელისუფალთა მიერ ოპერატიულ-ადმინისტრაციული ღონისძიების განხორციელებას — შეთქმულთა დაპატიმრებას ხალხის მოსალოდნელი მღელვარების თავიდან აცილებისა და მშვიდობიანი საზოგადოებრივი ცხოვრების შენარჩუნების მიზნით. მთავარმართებელი აფრთხილებდა მოსახლეობას თავი შეეკავებინა შეთქმულების ირგვლივ „ყურმოკრული ხმების“ გავრცელებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ყველას, წოდებისა და მდგომარეობის მიუხედავად, სასტიკი დასჯით ემუქრებოდა.

1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ მთავრობამ სტამბები დახურა და წიგნების ბეჭდვა-გამოცემა აკრძალა.

XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს თბილისში არსდება ძმების იაკობ და დავით არზანოვების კერძო სტამბა, სადაც 1838 წელს სამი დასახელების წიგნი გამოდის. ესენია: თავისი დროისათვის გამოჩენილი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პ. იოსელიანის „ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართულთა ახალ-მოსწავლეთა ყრმათა“, რომელიც წარმოადგენდა სასკოლო სახელმძღვანელოს. მის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ სახის წიგნების უქონლობის გამო ახალგაზრდებისათვის მშობლიური ენ-ს შესწავლაში დახმარების გასაწევად. ამავე დროს იბეჭდება აგრეთვე ი. შავთელის „თამარ მეფის და მეუღლისა მისის დავით მეფისა შესხმა“ და ჩახრუხაძის ამავე სახელწოდების პოემა. ორივე ამ წიგნის გამომცემელი და წინასიტყვაობათა ავტორი ისევ პ. იოსელიანი იყო. შავთელისა და ჩახრუხაძის პოეტურ მემკვიდრეობათა დაბეჭდვით ჩაუყარა მან საფუძველი ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურული ძეგლების გამოცემის დიდ ეროვნულ საქმეს და გააღვივა ამ კულტურული საგანძურის მეცნიერულად შესწავლის ინტერესი.

პ. იოსელიანს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ შეუწყვეტია მეცნიერულ-საგამომცემლო მოღვაწეობა. 1840 წელს

არზანოვების სტამბაში იგი ბეჭდავს ახალ სასკოლო სახელმძღვანელოს „პირველ-დაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა“. იმავე წელს არზანოვებისავე სტამბაში გამოდის აგრეთვე პ. იოსელიანისავე მიერ შედგენილი „კალენდარი ანუ თუვეთა რიცხუაობა“, რომელზეც, ჩანს, ისეთი დიდი მოთხოვნილება ყოფილა, რომ იგი 1841 წელს მეორედ გამოუციათ.

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლებისა და კალენდრის გამოცემასთან ერთად პ. იოსელიანი რუსულიდან თარგმნის და ბეჭდავს პრაქტიკული დანიშნულების საცნობარო წიგნებს ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დათესვის, მოვლა-პატრონობისა და მოყვანის შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია 1841 წელს მის მიერ არზანოვების სტამბაში გამოცემული რამდენიმე წიგნი, მათ შორის „დარიგება მოყვანისათვის ამერიკული თამბაქოსი“ და „ენდროს მოყვანისათვის“. ეს წიგნები დაიბეჭდა „წარსაგებელითა კავკასიის აქეთ ვაჭრობისა და მანუფაქტურთ მოქმედებათა საზოგადოებისაგან“.

1841 წელსვე არზანოვების სტამბაში გამოდის კიდევ ორი პრაქტიკული დანიშნულების სახელმძღვანელო: „მოკლე დარიგება დათესვისა, დაკრეფისა, შენახვისა და მოხმარებისათვის კარტოფილსა, შედგინებული უმაღლესის ბრძანებითა მესამეს დეპარტამენტსა შინა სახელმძღვანელოთა ქონებათა“ და „მოკლე ცნობა მათთვის, რომელთაცა ჰსურთ შეიღოსათვისთა მიცემა ს. პეტერბურლის კომერციის ანუ სავაჭროსა სასწავლებელსა შინა“. ამ ბოლო გამოცემის თარგმანი პ. იოსელიანს ეკუთვნის.

XIX საუკუნის 40-იან წლებში კვლავ მუშაობას იწყებს 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ დახურული საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბა. 1842 წელს აქ იბეჭდება თბილისის სასულიერო სემინარიის ღვთისმეტყველების კლასის მოსწავლის ანდრია იოანეს ძე წიწვიანიძის მიერ რუსულიდან ქართულად თარგმნილი საბავშვო წიგნი „სასიამოვნო წალკოტი ყრმათათვის ანუ კრება სასიამოვნოთა და რჩეულთა ზღაპართა ცხადითა და აღვილისა ზნეობითისა სწავლათა“ და „გამოცდილებითნი კანონნი მოყუანი-

სათვის სხუათა და სხუათა მეცნიერთა აღწერილნი კავკასიის აქ ვაჭრობისა და მსოფლიო ხელოსნობათა საზოგადოებისა პირველ წევრისა თანამდებობის აღმსრულებლის მედიკო-ხირურგისა ა. ტერლუქასოვისა მიერ“, რომელიც რუსულიდან ქართულად პ. იოსელიანს უთარგმნია.

დოკუმენტური მასალების საფუძვლიანმა შესწავლამ ცხადყო, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ პ. იოსელიანის ცნობილ ნაშრომს „ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართველთა ახალ-მოსწავლეთა ყრმათას“, რომელიც 1849 წელს კვლავ გამოვიდა, 1842 წლიდან 1850 წლამდე ენაზე წიგნი არ გამოცემულა. ამ ხნის მანძილზე იბეჭდებოდა მხოლოდ თითო-ორო-ლა სხვადასხვა სახის წესდებანი, დებულებები, განცხადებები, ცნობები და ა. შ. 1843 წელს გამოვიდა, მაგალითად, სომხეთის კათალიკოს-პატრიარქის ნერსესის ქადაგება სომხურ ენაზე ქართული ტრანსკრიპციით, 1844 წელს — „წინადვე საცნობელნი პირობანი ხორბლისა და ქერის ჩაბარებისათვის“, 1846 წელს — „შემოკლებული დარიგება ჯეროვანის ღმარებისათვის ქინაქინის მარილისა ადვილ-მოსარჩენად დღევამოშვებითი ცივებისა, შედგენილი ბრძანებითა უფლის კავკასიას კორპუზის ბრძანებელისათა“, 1847 წელს — „დარიგება კომისიადმი უმაღლესად დაწესებულისა ქალაქსა ქუთაისსა შინა განსარჩევლად სიმართლეთა იმერეთის და გურიის თავაღ-აზნაურებისათა“.

1850 წელს საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში იბეჭდება გ. ერისთავის „გაყრა“. აღსანიშნავია, რომ მანამდე დრამატურგიული ნაწარმოები ქართულ ენაზე გამოცემული არ ყოფილა. ამ პიესის დაბეჭდვით იწყება შემდგომში ისეთი მნიშვნელოვანი მხატვრული ჟანრის თხზულებათა გამოცემის ტრადიცია, როგორიცაა დრამატურგია.

XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგიდან თბილისში არსდება ახალი პოლიგრაფიული საწარმო — უ. გულოიანცის სტამბა, რომელიც ძირითადად მხატვრული ნაწარმოებების გამოცემის საქმეს ემსახურებოდა. მარტო 1851 წელს აქ იბეჭდება ზ. ანტონოვის ორმოქმედებიანი კომედია „მე მინდა კენი-ინა გავხდე“, პ. იოსელიანის „პირველი დაწყებითი კანონნი ქართულსა ღრამბატიკისა“ და იმავე წლის 3 აპრილს რუსეთის

გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრებისათვის წაკითხული გ. ხოდკოს ლექციის „მზის დაბნელებისათვის, რომელიც იქმნების 1851 წელს“ ქართული თარგმანი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა უ. გულოიანცის სტამბისათვის 1852 წელი. მასში ცალკე-ცალკე წაგნებად იბეჭდება ზ. ანტონოვის პიესები: „განა ძიამ ცოლი შეირთო!“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქმარი ხუთის ცოლისა“, „ქორწილი ხევსურთა“ და მისივე რჩეული დრამატურგიულ ნაწარმოებთა კრებული „ქართული კომედიები“.

1852 წელს უ. გულოიანცის სტამბაში გამოდის აგრეთვე ივ. კერესელიძის მიერ რუსულიდან თარგმნილი საყმაწვილო წიგნი „ყრმათა მეგობარი“ ანუ „პირველად დაწყებისათვის წარკითხვისა“.

1851—1855 წლებში მუშაობას განაგრძობს აგრეთვე საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბა. 1851 წელს აქ გამოდის ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის კიდევ ერთი შესანიშნავი ძეგლი „დიდი მოურავიანი, თქმული სააკაძის იოსებ თბილელისაგან, დამატებით სხვათადა მისთა თხზულებათა“ პლ. იოსელიანის წინასიტყვაობით.

1852 წელი ძალზე ნაყოფიერი იყო საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბისთვისაც. აქ იბეჭდება სიონის ეკლესიის მღვდლის გრიგოლ ცამციშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილი კოლეჟსკი ასესორის ი. დიმიტრიევსკის მიერ შედგენილი „ქეთილ-კრძალულებითნი გულის-ზრახუანი ჟამსა მოსმენისა ლიტურჯიისა“. ამავე სტამბაში პ. იოსელიანის წინასიტყვაობით გამოდის „მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“, გრიგოლ ცამციშვილისავე მიერ თარგმნილი „მოკლე განმარტება ლიტურჯიისა, შეკრებილი დეკანოზის გ. მანსკეტოვისაგან“, „მოხილვა წმინდათა და სხუთთა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“, რომელსაც კვლავ დართული აქვს ძველი ქართული მწერლობის დაუღალავი მკვლევარის პ. იოსელიანის წინასიტყვაობა.

XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან მნიშვნელოვანი ხასიათის ძეგრები ხდება ქართველი ხალხის კულტურ-



რულ ცხოვრებაში. რუსეთის საიმპერატორო კარის ინტერესების ერთგული დამცველის მთავარმმართველ მ. ვრონცოვის მოქნილი პოლიტიკის შედეგად არსდება მუდმივი პროფესიონალური ქართული თეატრი, გამოსვლას იწყებს ეურნალი „ცისკარი“, საქართველოს ცალკე კორპუსისა და უ. გულოიანცის სტამბების გარდა, თბილისში საფუძველი ეყრება ქართული წიგნის ბეჭდვის კიდევ ერთ კერას — „ცისკრის“ რედაქტორისა და გამოჩენილი დრამატურგის გ. ერისთავის სტამბას. იგი სპეციალურად ეურნალ „ცისკრისათვის“ იყო დაარსებული, მაგრამ მასში ამ პერიოდულ ორგანოსთან ერთად იბეჭდებოდა აგრეთვე წიგნებიც. 1852 წელს აქ გამოდის გ. ერისთავის სამმოქმედებიანი კომედია „თილისმის ღანი“. მისივე ვოდევილი „უჩინ-მაჩინის ქული“ და სხვა.

გ. ერისთავის სტამბამ დიდხანს ვერ იარსება. 1853 წლიდან მასში თითქმის აღარაფერი დაბეჭდილა. მ. ვრონცოვის საქართველოდან წასვლის შემდეგ უსახსრობის გამო არსებობა შეწყვეტა როგორც ქართულმა მუდმივმა თეატრმა, ისე „ცისკარმა“ და სტამბამაც. 1855 წელს იბეჭდება გ. ერისთავის „ტირილი ქართველთა მისის იმპერატორობითის დიდებულებისა ნიკოლოზ პავლეს ძის გარდაცვალებაზე“. ეს იყო ამ სტამბის უკანასკნელი გამოცემა.

ქართველი ინტელიგენცია „ცისკრის“ დახურვას ვერ შეურიგდა. ამ სამწუხარო ამბის განხილვისთანავე იწყებს იგი ბრძოლას ეურნალის აღდგენისათვის. 1855 წლის 17 იანვარს ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ივ. კერესელიძეს განცხადებით მიუმართავს თბილისის სამხედრო გუბერნატორის პოლკოვნიკ ნ. კოლიუბაკინისათვის, რომელშიც ითხოვდა „ცისკრის“ გამოცემის განახლებას, ამ ეურნალის რედაქტორობას და გ. ერისთავისეული სტამბის გადმოფორმებას<sup>1</sup>.

მეფის რუსეთის მმართველობითი აპარატისათვის დამახასიათებელი ბიოროკრატიულობის მიუხედავად, ივ. კერესელიძის განცხადების განხილვა ზემდგომ ინსტანციებში დიდხანს არ გაჭიანურებულა. საკითხი მალე, დადებითად გადაწყდა.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 3, საქ. 4107, ფურც. 1—2.

1856 წლიდან გამოსვლას იწყებს „ცისკარის“, ხოლო უფრო ადრე — 1855 წლის მიწურულს ყოფილ გ. ერისთავისეულ სტამბაში იბეჭდება „ცისკარის“ ახალი რედაქტორის ივ. კერესელიძის „მწყემსის სიყვარული“ და „ნაოხარი სოფელი“. 1856 წელს ამავე სტამბაში გამოდის გ. ერისთავის „ქართველ ხალხთა სიმღერა კნიაზ ბარიატინსკის ტფილისში შემობრძანებაზე 1856 წლის 3 ნოემბერს“, 1858 წელს — „ანბანი ახალ-მოქსწავლეთა ყრმათათვის“, 1859 წელს — ივ. კერესელიძის „ლექსები“, ხოლო 1860 წელს — „ცისკარის“ რედაქტორისავე მიერ შედგენილი „ჩიბით სატარებელი კალენდარი“.

ამრიგად, 1855 წლიდან 1860 წლამდე, ანუ თითქმის მთელი ხუთი წლის მანძილზე „ცისკარის“ ახლად აღდგენილ სტამბაში სულ ოთხი წიგნი დაიბეჭდა და ისიც ძალზე მცირე მოცულობით. თვითოეული მათგანი 2—5 თაბახს არ აღემატებოდა. ეს რასაკვირველია, ცოტაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ პერიოდში სტამბა დიდ ეკონომიურ სიძნელებებს განიცდიდა, წიგნების ასე მცირე რაოდენობით გამოცემის მიზეზი გასაგები გახდება. უსახსრობას ზედ დაერთო უურნალის რედაქტორის ივ. კერესელიძის ავადმყოფობა. 1875 წლის 5 ივნისს მას განცხადება შეუტანია კავკასიის საცენზურო კომიტეტში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო „ცისკარის“ გამოცემის დროებით შეწყვეტის შესახებ<sup>1</sup>. ივ. კერესელიძის ეს თხოვნა დაუკმაყოფილებიათ, რის შედეგადაც 1875 წლის მეორე ნახევრიდან უურნალს გამოსვლა აღარ ღირსებია.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისის პოლიგრაფიულ ბაზებს შორის საწარმოო სიმძლავრით გამოირჩეოდა საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბა. ამიტომაც იგი სხვებთან შედარებით უფრო მეტი დატვირთვით მუშაობდა. იშვიათად თუ გამოერეოდა ისეთი წელიწადი, რომ მას სულ ცოტა ერთი-ორი წიგნი მაინც არ დაებეჭდა, მაშინ, როდესაც, ამ მხრივ დანარჩენი სტამბები საგრძნობლად სცოდავდნენ. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ტექნიკურ შესაძლებლობათა უპირატესობის გარდა, მთავრობის ხელის შეწყობის შედეგად ამ

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 480, ნაწ. I, საქმე 195, ფურც. 1.

სტამბას გაცილებით უკეთესი ფინანსური პირობები ჰქონდა.

1853 წელს საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში იბეჭდება ძველი ქართული მწერლობის ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორცაა ანტონ I „წყობილსიტყვაობა“ და „ცხოვრება მეფის თემურაზ პირველისა, აღწერილი ლექსად არჩილისაგან მეფისა“ პ. იოსელიანის წინასიტყვაობით. იმავე წელს გამოდის გრ. წინამძღვრიშვილის თარგმნილი ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჰკუისაგან“, ზ. ანტონოვის ტრაგედია „ქოროლი“, ალ. მეიფარიანის „ქმრები გაეპიბით მახეში“, პ. იოსელიანის „ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართველთა ახალმოქსწავლეთა ყრმათა“ და ი. კერესელიძის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული „საკითხავი წიგნი ახალმოსწავლეთა ყრმათათვის“.

1853 წლის მიწურულს იფეთქა რუსეთ-თურქეთის ომმა. მტერი დიდი ძალებით შემოიჭრა საქართველოში, დაიკავა გურიის საგრაძობი ნაწილი, გეზი ახალციხისაკენ აიღო და ამით რეალური საფრთხე შეუქმნა თბილისს. ისევე როგორც რუსეთ-ირანის 1826—1828 წლების ომში, ამჯერადაც ქართველობა ერთსულოვნად დაირაზმა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

1855 წლის ივნისში რუსეთის არმიამ ალყა შემოარტყა ყარსის ციხესიმაგრეს. თურქეთმა ისარგებლა მოწინააღმდეგის მიერ მთელი ყურადღების ყირიმის ფრონტზე გადატანით და ბათუმში გადმოსხა რამდენიმე კორპუსი, ხოლო 36-ათასიანი არმია აფხაზეთისკენ დაძრა. მალე მტერმა მთელი სამეგრელო დაიკავა. რთული მდგომარეობა შეიქმნა გურიასა და იმერეთშიც, რის გამოც 1855 წლის 18 ნოემბერს მთავარმმართველმა გენერალმა მურავიოვმა, რომელიც ყარსის ბრძოლებს ხელმძღვანელობდა, ხელი მოაწერა მიმართვას დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბაში სათაურით „კავკასიის მეფის ნაცვლის მოწოდება იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ყველა წოდებათა მიმართ“. ტექსტი თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ღენერალ-ადიუტანტი მურავიოვი 18 ნოემბერს, 1855, ყარსით, მოუწოდებს იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ყველა წოდებას, დაამტკიცონ თავიანთი ერთგუ-

ლება რუსეთის ტახტის მიმართ, ალაშქრდნენ და შემუსრონ „ძუელი დაუძინებელი მათი შტერი ოსმალები“.

დასავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობა აღსდგა მამულის დასაცავად. გაჩაღდა პარტიზანული ბრძოლები, რამაც დიდი ზარალი მიაყენა მტერს როგორც ცოცხალი ძალის, ისე საომარი ტექნიკის მხრივ. თანდათანობით გაიწმინდა გურია-სამეგრელო მომხდურთაგან. 1855 წლის 15 ნოემბერს რუსეთის ჭარმა ყარსი აიღო, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ომის ბედი.

თურქეთის მიერ რუსეთისათვის თავსმოხვეული ომით გამოწვეული რთული საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს ცალკე კორპუსის სტამბას მუშაობა არ შეუწყვეტია. 1854 წელს იგი ბექდავს ზ. ანტონოვის კომედიას „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, ხოლო 1855 წელს მთავარმართებელ მურავიოვის ზემოაღნიშნულ „მოწოდებასთან“ ერთად აქ გამოდის ივ. კერესელიძის „საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“ და პ. იოსელიანის „ანბანი ქართული, სასარგებლო ქართველთა ახალ მოსწავლეთა“.

ივ. კერესელიძისა და პ. იოსელიანის ეს წიგნები ისეთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, რომ საქართველოს კერძო კორპუსის სტამბას 1856 წელს პირველი მეორედ გამოუცია, ხოლო მეორე — მეცხრედ.

1857 წელს ამავე სტამბაში ქართულ და რუსულ ენებზე იბეჭდება იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანება „ტფილისის გუბერნიის მკვიდრთათვის მადლობის გამოცხადების შესახებ ოსმალეთთან ომის დროს ერთგულების გამოჩენისათვის 1857 წელს იანვარს 16 დღესა“.

1858 წელს იბეჭდება სასულიერო ორი დოკუმენტი: „სიტყვა დასაფლავებასა ზედა ლენერალ ფერდმარშლისა, უგანათლებულესისა თავადისა მიხეილ სვიმონის ძის ვორონცოვისა, თქმული ოდესისა საკათედროსა ტაძარსა შინა სინოდის წევრისა მიერ, მაღალ-ყოვლადუსამღვდელოებისა ინოკენტი არხიეპისკოპოსისა ხერსონისა და ტავრიისა 10 ნოემბერს 1856 წელს“ და „მოხსენებისათვის გარდაცვალებულთასა და სიკვდილისათვის მართლისა და ცოდვილისა კაცისა“.

XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულისათვის საქარ-

თველოს კერძო კორპუსის-სტამბის წარმადობამ საგრძნობლად იკლო, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის მანძილზე. 1859 წელს აქ იბეჭდება იმ დროისათვის ერთობ გახმაურებული პ. იოსელიანის „ანბანი ქართული, სასარგებლოდ ქართველთა ახალ მოქსწავლეთა ყრმათა“, ხოლო 1860 წელს — თელავის წმინდა სამების ეკლესიის მღვდლის დ. მექანარიშვილის „ანბანთ-ქება“.

ბატონყმური საზოგადოებრივი ურთიერთობა სრულიად ბუნებრივი, ობიექტური მიზეზებით ამუხრუჭებდა წიგნის ბეჭდვა-გამოცემის განვითარებას, მაგრამ მაინც შეინიშნებოდა ამ საქმეში მომხდარი პროგრესული ცვლილებანი. ამის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენდა სწრაფვა პოლიგრაფიული ბაზების გაფართოება-გაძლიერებისაკენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში — 1815 წლიდან 1856 წლამდე თბილისის სტამბებში სულ 145 დასახელების წიგნი დაიბეჭდა, რომელთაგან 23-ის გარდა, ყველა საერო შინაარსისა იყო. მათ შორის უმეტესი ნაწილი, მთავრობის ოფიციალური მასალები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა იყო.

საეკლესიო ლიტერატურა	ოფიციალური მასალა	სახელმძღვანელოები	მხატვრული ლიტერატურა	მეცნიერული ლიტერატურა	სხვადასხვა სახის ლიტერატურა	სოფლის მეურნეობის ლიტერატურა
23	27	21	37	11	21	5

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ამ პერიოდში, მხატვრული ლიტერატურის შემდეგ, ყველაზე დიდი რაოდენობით მთავრობის ბრძანებულება-განკარგულებები, ინსტრუქცია-მითითებანი და სხვა ოფიციალური მასალები დაბეჭდილა. ეს არც გასაკვირია, რადგანაც მეფის რუსეთის ზელისუფლება ისწრაფოდა პირველ რიგში თავისი კანონები და წესები დაემყარებინა იმხანად ახლად შეერთებულ საქართველოში.

ფართო საგანმანათლებლო ინტერესების გარდა, ღრმა სოციალურ-კლასობრივი საფუძველი გააჩნდა აგრეთვე მხატვრული ლიტერატურის შედარებით მეტი რაოდენობით გამოცე-

მას. ამას ნათლად მოწმობს საკვლევ პერიოდში დაბეჭდილი მხატვრული ლიტერატურის შესაბამის დარგებად დაყოფას შედეგად შედგენილი ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

დრამატურგია	პოეზია	საბავშვო ლიტერატურა	ბელეტრისტიკა
16	11	7	3

დრამატურგიულ ნაწარმოებთა შედარებით მეტი რაოდენობით გამოცემას შემთხვევითი ხასიათი როდი ჰქონდა. იგი იმდროინდელი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო. რუსეთიდან ახლად შემოსული ევროპულ კულტურას მოდააყოლილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი თავადაზნაურობისათვის თეატრი და მასთან დაკავშირებით დრამატურგიული მწერლობა, გ. ერისთავის კომედიებისა და თითებზე ჩამოსათვლელი რამდენიმე სხვა პიესის გარდა, ძირითადად ერთი ან ორმოქმედებიანი იაფფასიანი ხუმრობა-ვოდვეილებისაგან შედგებოდა, რომელიც მაშინდელი ფეოდალური არისტოკრატისათვის ბალ-მასკარადების, წვეულება-პიკნიკებისა და სხვა მსგავს თავშესაქცევ საშუალებად ითვლებოდა.

ამავე მიზეზით უნდა აიხსნას არა მარტო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ შემდგომაც ლექსების გამოცემით ერთგვარი გატაცება, რადგანაც იმ დროს დაბეჭდილ პოეტურ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი ქალაქურ-აშუღური სალალობო პოეზია იყო.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ პირველ, ანუ გვიანი ფეოდალური ხანის პერიოდში ქართული დაბეჭდი წიგნი საზოგადოების სულიერი საზრდო იყო, მეორე, ანუ ბურჟუაზიული პერიოდისათვის იგი უკვე იმზანად გაბატონებულ თავადაზნაურული კლასის მსახური ხდება.

## უსპროტოკოლო დოკუმენტი ქართული წიგნები

(XIX ს.)

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან აშკარად შეინიშნება უცხოელ მეცნიერთა დაინტერესება ქართველი ხალხის ისტორიული წარსულით, მისი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ეროვნული კულტურით. ამ მხრივ აღსანიშნავია ღვაწლი და დამსახურება გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტის მარი ბროსესი, რომელიც სამართლიანად ითვლება XIX საუკუნის პირველი ნახევრის პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

უან-ფილიპ ფრანსუა ბროსე — მამა მომავალი მეცნიერისა ადრე გარდაიცვალა და მორწმუნე დედამ, რომელიც ქმრის დაკარგვის შემდეგ ამიენის ღვთისმშობლის მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა, შვილის საეკლესიო მოღვაწედ აღზრდა გადაწყვიტა. ამიტომ მარი ორლიანის აბატ მიროს სასულიერო სემინარიაში იწყებს სწავლას, რომლის დამთავრების შემდეგაც პარიზის შარდონეს წმინდა ნიკოლოზის მოსამზადებელ სემინარიაში შედის, აქედან კი პარიზისავე გარეუბანში — ის-სში გახსნილ სან-სულპისიენის სემინარიის ფილიალში აგრძელებს სწავლას.

სემინარიებში გამეფებულმა იეზუიტურმა რეჟიმმა, თეოლოგიურ მოძღვრებიდან გამომდინარე იქ შეძენილმა სქოლასტიკურ-დოგმატურმა შეხედულებებმა, იძულებითმა სწრაფვამ ასკეტურ-მისტიკური ცხოვრებისაკენ, უარყოფითი გავლენა მოახდინეს ჰუმანიტარული მეცნიერებით გატაცებულ თავი-

სუფლად მოაზროვნე ქაბუჯზე და დედის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად სასულიერო კარიერაზე ფიქრს მოეშვა.

სან-სულპისიენის სემინარიის შემდეგ მარი ბროსე წარმატებით ამთავრებს ცნობილ უმაღლეს სასწავლებელს „საფრანგეთის კოლეჯს“ და იწყებს ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიან შესწავლას<sup>1</sup>. ამაში მას დიდი დახმარება გაუწია გამოჩენილმა სინიელოგმა ე. სენ-მარტენმა. მისი რჩევით იგი პარიზის ბიბლიოთეკაში ეცნობა ძველ ქართულ ხელნაწერებს: „ვეფხისტყაოსანს“, ნაწყვეტებს ახალი აღთქმის წიგნებიდან, ქართულ ისტორიულ ქრონიკას, მარტილთა ცხოვრებას. დავით ტულუკაშვილის „საქრისტიანო მოძღვრებას“, ვახტანგ VI „კანონთა კრებულს“. თარგმნის ამ მასალების უდიდეს ნაწილს და წერს მათზე მეცნიერულ გამოკვლევებს, რომლებსაც ბეკდავს იმდროინდელ ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში<sup>2</sup>. ამის შედეგად „ევროპელმა შკოთხელმა პირველად მიიღო შესაძლებლობა გაცნობოდა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს“, საქართველოს ისტორიას, ჩვენს კულტურულ წარსულს.

XIX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს მარი ბროსე უკვე ხელს კიდებს ქართული ისტორიული მასალების პუბლიკაციას. 1829 წელს მან პარიზში ლითოგრაფიული წესით გამოსცა „ცხოვრება საქართველოსა“, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში „პარიზის ქრონიკის“ სახელწოდებით არის ცნობილი. მასში აღწერილია საქართველოს ისტორია 1373 წლიდან 1703 წლამდე. წიგნს დართული აქვს გამომცემლის ვრცელი შესავალი წერილი, რომელშიც გამოთქმულია მოსაზრებები „ქრონიკის“ ავტორის ვინაობის, მის მიერ წყაროთა გამოყენების, ცალკეული კონკრეტული თარიღების თუ ფაქტების, ქართული წელთაღრიცხვისა და სხვ. შესახებ. ტექსტის ბოლოს დაბეჭდილია გამომცემლისავე მიერ შედგენილი ქართველ მეფე-მთავართა ზეობის ქრონოლოგიური ნუსხა.

ქართული ისტორიული ქრონიკის პარიზში გამოქვეყნება უცუარადღებოდ არ დატოვა მაშინდელმა პერიოდულმა პრესამ.

<sup>1</sup> შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე (ისტორიული ნარკვევი), 1966, გვ. 13.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 20—21.



ფრანგულ „Journal de savants“-ში დაიბეჭდა ე. სენ-მარტენის დადებითი რეცენზია. განსაკუთრებით ფართო გამოხმაურება პოვა პუბლიკაციამ მოწინავე ქართველ ინტელიგენციაში. ამ ამბით აღტაცებული თეიმურაზ ბაგრატიონი მარი ბროსეს პარიზში სწერდა: „ფრიად პატივის საცემელი ეპისტოლე თუქვენნი... შეკრებულთა ქართულთაგან წერილთა წიგნით ნაღვაწით თქუვენითურთ, დიდად დიდებულსა და სიბრძნით გვირგვინოსანსა სამეუფოსა ქალაქსა პარიუსა შინა აღბეჭდილი, მივიღე ხელითა უფლისა შარმუასითა, მასლობელთა ამათ ეამთა მოსკლისა მისისა, სამეუფოსა ამას ქალაქს სანკტპეტერბურ-ლად.

ესე ვითარისა შემთხვეულებისათვის მრავლისა მხიარულებითა აღიესო გული ჩემი, ვინაითგან ახლისა ამის ღირსსახსოვარისა გულისმოდგინებითა თუქვენითა პირველად მე მივიღე შრომილი შენი და ეგრეთვე წიგნი მოწერილი ბუნებითსა ენასა ზედა ჩუვენსა ქართულსა, რომელმანცა განმაკვირვა მე დიდანდ... საქმეი ესე, სრულიად ევროპიისა სწავლულთა შორის აწ შენ იწყე პირველად... სამაგალითოთა შრომათა ამათ შენთათვის, მოგიძღვნი ჩემ კერძო ფრიადსა მადლობასა და ვსასოებ ამას ზედა, რომელ შრომაი ესე ვითარი საქებელი არა უქმ იქნების“<sup>1</sup>.

ამ წერილში თეიმურაზ ბაგრატიონი მალალ შეფასებას აღწევს როგორც „ქრონიკის“ პუბლიკაციის იდეას, ისე ძეგლისათვის დართულ გამოცემლისავე შესავალ წერილს, რომელიც საფუძვლიან მეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს. „ისტორია ესე, — განაგრძობს თეიმურაზი, — რომელთამე შემთხვეულებათა საქართველოსა, რომელიცა ბიბლიოტეკასა შინა სამეფოსა პარიუსა შინა ყოფილ არს დაცულ და აღბეჭდილ არს წიგნსა შინა თქუენ მიერ წარმოვლენილსა ჩემდამი, რომელიცა შეიცავს მოთხრობასა განვლილთა მახლობელთა ამათ უმეტეს სამთა ასწლეულთა საუკუნეთასა, წარვიკითხე ესე სრულიად და ფრიად სათნო მყო მე. ესე მოთხრობა ლიტონად, ტკბილად და ადვილ სასმენელსა ენასა ზედა ქართულ-

<sup>1</sup> თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი ა კ ა დ . შ . ბ რ ო ს ე ს ა დ მ ი , ს . ყ უ ბ ა - ნ ე ი შ ე ი ლ ს წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ბ ი თ ა და შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი თ , 1964, გვ. 7.

სა არს აღწერილ და ამბავნიცა ამისნი მარტივნი და უტყუ-  
ელნი“<sup>1</sup>.

„პარიზული ქრონიკის“ გამოქვეყნების შემდეგ ეყრება სა-  
ფუძველი ორი დიდი მეცნიერის მარი ბროსესა და თეიმურაზ  
ბაგრატიონის შემოქმედებითს თანამოღვაწეობას. პირველი  
ქართული პარიზული გამოცემით აღფრთოვანებული თეიმუ-  
რაზი ბროსეს ცოტა მოგვიანებით აცნობებდა: „მე მოსწრაფე  
ვარ და უეჭველად დიდისა კმაყოფილებითა მზა ვარ, მარადის  
ხშირად მიღებად წერილისა თქუენისა. და მსურს რათა გუ-  
ლისმოდგინება ჩემი ვაჩვენო ამას ზედა საზოგადოებასაცა  
თქუენსა, და ვითარცა შუვენის ბრავლად განათლებულსა გო-  
ნებასა შენსა, ვითარცა მოყუარესა მამულისა ენისა ჩემისასა,  
მე თვით გექნები შენი თანამოსაუბრე, ესე იგი კორრესპონ-  
დენტი. ზოგად ყოველთავე ძველთა და ახალთა საეკლესიოთა  
გინა საეროთა და სამოქალაქოთა ხელოვნებათა ჩუვენისა  
სწავლისათა ღედვითისა, ესე იგი სათეორიოსა და საქმითისა.  
ესე იგი საპრაქტიკოსა ქართულისა ენისა და წერილობათა  
ზედმიწევნილებისათვის.“

მაუწყეთ ამის თვისცა თუ სადმე საჭირო და სახმარ იყოს  
ქართულისა ენისა პრაქტიკისათვის, და თვისებისამებრ თვისი-  
სა ლაბარაკისა სწორედ გამოღებისათვის, პოვნად თქუენთ-  
ვის კაცისა ქართველისა და მე მივიღებ ამისთვის მეცადინეო-  
ბასა, რათა ვპოვო კარგი და ამას შინა სახმარი და გამოცდილი  
კაცი... ხოლო წიგნნი ქართულნი, თუ რომელიმე რაიცა და  
რომელსაცა უამსა საჭირო იქნების და მოითხოვთ, გულისმო-  
დგინე ვიქნები თუქვენთვის მოპოვებად მათდა“<sup>2</sup>.

1833 წელს მარი ბროსე პარიზში ბეჭდავს ქართული ის-  
ტორიული მასალების ახალ კრებულს, რომელშიც შევიდა აზ-  
ჯერად უკვე თეიმურაზ ბაგრატიონის სამი ნაშრომი: „დავით  
ბატონიშვილის ცხოვრება“, „გიორგი სააკაძის სიკვდილი“ და  
„წამება ქეთევან დედოფლისა“. გარდა ამისა, ამავე კრებულში:  
დაიბეჭდა აგრეთვე სხვა მასალები საქართველოს ისტორიიდან.

<sup>1</sup> თ. ბაგრატიონის წერილები, აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბა-  
ნეიშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1964, გვ. 7—8.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 8.

1833 წელს გამოცემული „კრებული“ ერთგვარი დამატება და გარკვეულწილად ავსებს 1829 წელს დაბეჭდილ „პარიზულ ქრონიკას“. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „კრებულში“ შეტანილ ნაშრომს „წამება ქეთევან დედოფლისა“. 1831 წლის 15 დეკემბერს მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „მხოლოდ ერთი ისტორია აკლია ამ მოთხრობას (იგულისხმება „პარიზული ქრონიკა“ — ო. კ.). მას შინა არა მოხსენებულ არს: წამება შაჰ-აბაზ პირველისა მიერ წმიდისა დედოფლის ქეთევანისა დიდისა ბებიისა ჩვენისა ქალაქსა შინა შირაზისასა მრავლითა სხვითა და სხვითა და ფერად ფერადითა სატანჯელებითა. ესე დედოფალი ქეთევან იყო დედაი დიდისა მეფისა თეიმურაზ პირველისა, ესრეთ უმსხვერპლა მან თავი და შესწირა სისხლი თვისი ქრისტეს სარწმუნოებასა და სამეფოსა თვისსა და დედაკაცი უმხნეს ყოველთა კაცთა იპოვა. ესრეთ დაიცვა პატივი თავისი და ერთგულება ქვეყნისა თვისისა, რომელიცა დღესასწაულსა წლითიწლად აღასრულებს ეკლესიანი სრულიად საქართველოსანი“<sup>1</sup>.

მარი ბროსეს მიერ გამოცემულმა ქართული ისტორიული ხასიათის ნაშრომების კრებულმა გარკვეული ინტერესი გამოიწვია ევროპის ფართო მეცნიერულ წრეებში. მას მაღალი შეფასება მისცეს თავიანთ რეცენზიებში ისეთმა აღიარებულმა ორიენტალისტებმა, როგორებიც იყვნენ სილვესტრ დე სასი, რეინო, დელეკლიუზი და სტალი<sup>2</sup>.

პარიზის შემდეგ ქართული წიგნების ბეჭდვამ ერთხანს ევროპის სხვა ქალაქებში გადაინაცვლა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული კულტურის კერების მშენებლობამ ევროპაში ინტენსიური ხასიათი მიიღო. ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას საფუძვლად დაედო ძლიერი ეროვნული ფაქტორი, რომელიც ძირითადად იმ დროისათვის სამხრეთ საქართველოში დაპირისპირებულ კლერიკალურ

<sup>1</sup> თ. ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1964, გვ. 12.

<sup>2</sup> შ. ხანთაძე, მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), 1966, გვ. 29.

წრეებს შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებამ განაპირობა.

XVI საუკუნის დამდეგიდან თურქეთის თითქმის ორსაუკუნონახევრიანი ბატონობის შედეგად დედა-საქართველოს მოწყვეტილი მესხეთ-ჯავახეთი დაპყრობისთანავე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ადგილობრივი მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანებამ, გავლენიან ფეოდალთა მხრივ საერთო-სახალხო საქმისაგან განზე გადგომამა და პირად ინტერესების გამო ერთმანეთზე სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებამ, თურქული რეპრესიების შედეგად პროგრესული ძალების ერთგვარად მოთოკვამ, ყოველივე აქედან გამომდინარე კი მოსახლეობის ფართო მასებში სასიკეთო ინტერესებისადმი რწმენის დაკარგვამ, ძველი ქართული კულტურის ეს ერთ დროს მეწინავე სადროშო — მესხეთ-ჯავახეთი ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა. ამ მძიმე განსაცდელის უამს არსებობის შენარჩუნების მიზნით აქ თავი იჩინა მართლმადიდებელი მოსახლეობის კათოლიკურ საარწმუნოებაზე მასობრივად გადასვლამ, რაც ნაკარნახევი იყო საფრანგეთის მფარველობის იმედით, რადგანაც იმხანად ევროპის ამ ძლიერ სახელმწიფოსთან თურქეთს კეთილსასურველი დიპლომატიური ურთიერთობა აკავშირებდა.

1828 წელს რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარის მიერ თურქეთისაგან განთავისუფლებულ მესხეთ-ჯავახეთში XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგიდან ობიექტური კანონზომიერებით აღმავლობის პერიოდი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს მთლად ასე არ მოხდა. ძალადობასა, მექრთამეობასა და სხვა სისხლის სამართლებრივ დანაშაულში არაერთხელ მხილებულ ცარიზმის მოხელეთა განუკითხავმა თვითნებობამ, მათ მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ინტერესებისადმი მტრულმა დამოკიდებულებამ, ვერ გამართა წელში უცხოელ დამპყრობთა ხანგრძლივი ბატონობისაგან დაცემის კარამდე მისული სამხრეთ საქართველო. საქმეს ვერც საარწმუნოებრივმა ერთიანობამ უშველა. დაინტერესებულ მაღალ საეკლესიო თანამდებობის პირთა მიერ მოწყობილი პროვოკაციების შედეგად ცარიზმმა ფრანგი პატრი-მისიონერები ანტი-რუსულ საქმიანობაში დაადანაშაულა და მესხეთ-ჯავახეთიდან

გააძევა, რასაც თან მოჰყვა ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში მანამდე ნაწილობრივ შემორჩენილი ღვთისმსახურების ლათინურ ენაზე შესრულების გაუქმება. ეს ის დროა, როდესაც „ქართული კათოლიკური ტიპიკონი ვატიკანის კონგრეგაციის მიერ დამტკიცებული არ იყო. მესხეთიდან ლათინი მოძღვრების გაძევებით განაწყენებული ვატიკანი კი გასაგებია, ახალ ქართულ ტიპიკონს აგრე იოლად არ დაამტკიცებდა. ასეთ ვითარებაში რუსეთმა მხარი დაუჭირა ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში სომხური ტიპიკონის და სომხური ენის დამკვიდრებას“<sup>1</sup>.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის მესხეთ-ჯავახეთში შექმნილ მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა საექვო პირთაგან ათასგვარი დაპირებებით გადაბირებული ქართველი სამღვდლოების ეროვნული დალატი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გასომეხებული ქართველი არქიმანდრიტის პავლე შაჰყულიანის ცხოვრება-მოღვაწეობა.

პავლეს ძირძველი გვარი კილიმუზაშვილი ყოფილა<sup>2</sup>. იგი „იმ დროის კვალობაზე ფრიად განათლებული პიროვნება გახლდათ... როგორც თარჯიმანი, თურქეთ-საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში იყო ჩარეული. სარწმუნოებით სომხურ კათოლიკურ რიტზე იდგა. თანამედროვეთა სიტყვით იგი იყო აგრეთვე შესანიშნავი მწიგნობარი და მთარგმნელი“<sup>3</sup>. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ესოდენ განსწავლულ-განათლებული, მთელს მესხეთ-ჯავახეთში მაშინ სახელგანთქმული, ავტორიტეტული და გავლენიანი ქართველი ღვთის მსახური სათავეში ედგა ანტიეროვნულ საქმიანობას, რის გამოც მას თავისავე ნამოწაფარ, ახალციხის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარ პეტრე ხარისკირაშვილთან დაუნდობელი შეტლა-შემოსლა მოუხდა.

პავლე შაჰყულიანისაგან განსხვავებით პეტრე ხარისკირა-

<sup>1</sup> შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, 1979, გვ. 62.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> შ. ლომსაძე, ქართული კულტურის ზოგიერთი კერის შესახებ XIX საუკუნის ევროპაში, „ცისკარი“, 1962, № 7, გვ. 103.

შვილის მოღვაწეობას ეროვნული პროგრამა ედო საფუძვლად. იგი აცხადებდა: „ქართველი კათოლიკენი რაც არ უნდა რიცხვ-მცირენი ვიყოთ, უნდა გვექონდეს ჩვენი, სხვა კათოლიკებისაგან განსხვავებული ელფერი, ჩვენი ენა, ჩვენი წიგნი, ჩვენი კულტურა. სხვისი ენით ჩვენი სულიერი სამსახური ჩვენი ვინაობის „ამბნევი და დამკარგავიო“<sup>1</sup>. პეტრემ მთელის პრინციპულობით დააყენა „ახალციხეში ქართული სასულიერო სასწავლებლის (სემინარიის) გახსნის საკითხი, სადაც გაძლიერებული კურსით უნდა ესწავლათ სამოქალაქო დისციპლინებით. პეტრე ხარისკირაშვილის პროექტი რომ განხორციელებულიყო და ქართული სასულიერო სასწავლებელი ოფიციალურად გახსნილიყო, მაშინ ქართული ტიპიკონიც შემოვიდოდა და რენეგატი პავლე შაჰყულიანიც დაკარგავდა მიღებულ ღირსებას, რადგან მისი ძალა სხვებისაგან განსხვავებით სომეხურა ენისა და ტიპიკონის ზედმიწევნით ცოდნაში იყო. ამ უპირატესობის დაკარგვით ცხადი იყო, მწყემსმთავრად სხვა უკეთ განათლებული, ქართველი მოძღვარი დაჯდებოდა“<sup>2</sup>. ყოველივე ეს კარგად იცოდა გამოცდილმა, ფრთხილმა და წინდახედულმა არქიმანდრიტმა, რის გამოც შემდგომში მოვლენების გართულების თავიდან აცილების მიზნით პეტრე ხარისკირაშვილის სამესხეთოდან გაძევება განიზრახა. ამისათვის იგი არაფერს ერიდებოდა, წარბშეუხრელად სწამებდა ათასგვარ ცილს ერისათვის თავდადებულ ღვთისმსახურს, აწყობდა მის წინააღმდეგ პროვოკაციებსა და ინტრიგებს, ყველაფერს კადრულობდა, რათა შეეღაპა როგორმე თავისივე აღზრდილის ძალა და ავტორიტეტი მრევლის თვალში. მას ერთ-ერთი წირვის დროს დებოში აუტეხია — „აბატ პეტრე ხარისკირაშვილს სახარება მრუდეთი უჭირავსო“<sup>3</sup>. ამგვარი ინსინუაციებით გაბეზრებული ახალციხის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარი იძულებული გამხდარა მიეტოვებინა მესხეთ-ჯა-

<sup>1</sup> შ. ლომსაძე, ქართული კულტურის ზოგიერთი კერის შესახებ XIX საუკუნის ევროპაში. „ცისკარი“, 1962, № 7, გვ. 103.

<sup>2</sup> შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, 1979, გვ. 69.

<sup>3</sup> შ. ლომსაძე, ქართული კულტურის ზოგიერთი კერის შესახებ XIX საუკუნის ევროპაში, „ცისკარი“, 1962, № 7, გვ. 114, 115.

ვახეთი და 1840 წელს ქუთაისში გადასულიყო დონ ანტონ გლა-  
ხაშვილის თანაშემწედ, ხოლო იქიდან თურქეთსა და საფრან-  
გეთს სწევოდა თავისი დიდი ეროვნული მიზნების განსახორ-  
ციელებლად<sup>1</sup>.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ვენეციაში, წმინდა  
ლაზარეს კუნძულზე მხითარიანელების ანუ სომეხ კათოლიკ  
ბერთა საძმო სავანე არსებობდა, სადაც საკულტო მსახურე-  
ბასთან ერთად ნაყოფიერ მეცნიერულ-ლიტერატურულ მო-  
ღვაწეობას ეწეოდნენ რეალურ ცხოვრებას განდგომილი  
ლეთისმსახურნი. ურდულებით ჩარახული აქაური ბიბლიოთე-  
კის რკინის კარებიანი სეიფების თაროები გაქვდილი იყო არ-  
ქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული განძეულით,  
ძველად თუ ახლად ნათარგმნი ხელნაწერებით, სხვადასხვა  
წყაროებს შედარებული ნუსხებით, საძმოსავე სომხურ სტამ-  
ბაში დაბეჭდილი ლიტურგიკული, ჰომილეტიკური, ჰიმნოგრა-  
ფული და თეოლოგიური შინაარსის სხვა საეკლესიო წიგნე-  
ბით.

ამ თავისი დროისათვის ცნობილ სავანეში სომეხების გარ-  
და, მხითარიანობის მადიარებელი რამდენიმე ქართველი ბე-  
რიც მოღვაწეობდა, რომლებიც გამრუდებული რელიგიური  
მრწამსის მიუხედავად, მნიშვნელოვან შემოქმედებით მუშაო-  
ბას ეწეოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი წვლილი  
უცხოური კათოლიკური საეკლესიო წიგნების თარგმანში.

პავლე შაჰყულანის მიერ მესხეთ-ჯავახეთიდან დევნილი  
პეტრე ხარისჭირაშვილი დიდვაჰარ იაკობ ზუბალაშვილისაგან  
შეწირული ფულით ქუთაისიდან კონსტანტინოპოლში მიემ-  
გზავრება ეროვნული საეკლესიო პროგრამის მოსაგვარებ-  
ლად — უცხოელ გავლენიან სასულიერო პირთა ჩარევით ქარ-  
თული კათოლიკური ტიპიკონის დასამტკიცებლად. ადგილზე  
ჩასვლისთანავე მან ენერგიული ღონისძიებანი განახორციელა  
მიზნის მისაღწევად. ფაქტობრივი დასაბუთებით კეთილსასურ-  
ველად განაწყო მაღალი თანამდებობის საეკლესიო მოღვაწე-  
ნი საკითხის საბოლოოდ დადებითად გადაწყვეტისათვის, მაგ-  
რამ ამ დროს საქმეში ჩაერია სომეხ კათოლიკეთა მოძღვართ-

<sup>1</sup> შ. ლ. მ. საძმე, ქართული კულტურის ზოგიერთი კერის შესახებ.  
XIX საუკუნის ევროპაში, „ცისკარი“, 1962, № 7, გვ. 114, 115.

მთავარი პარუნიანი და თავისი ავტორიტეტით გზა გადაუღობა ქართველ ღვთისმსახურს მიზნის მიღწევაში.

ამის შემდეგ პეტრე ხარისკირაშვილი ვენეციაში ჩადის, მოინახულებს წმინდა ლაზარეს კუნძულს და სომეხ მხითარიანელთა საევანის ძმობის წევრი ხდება. იგი გულსყურით სწავლობს იქაური ბიბლიოთეკის სეიფებში შემონახულ ძველ ქართულ ხელნაწერებს და იღწვის მათ გამოსაცემად. პირველი წიგნი, რომელიც პეტრე ხარისკირაშვილმა თავისივე ხარჯით ჩამოსხმული შრიფტით 1858 წელს დაბეჭდა მხითარიანელთა ძმობის სტამბაში, იყო კონსტანტინოპოლში მოღვაწე ქართველი არქიმანდრიტის იოვანე ზუპრაბიანის თარგმნილი სასულიერო ნაშრომი „ისტორია გინა მოთხრობა სამღთო წერილისა ძველისა და ახალის აღთქმათა“.

1859 წელს პეტრე ხარისკირაშვილი აღნიშნული თარგმანის გარდა, კიდევ ბეჭდავს ერთ სასულიერო შინაარსის წიგნს — არქიმანდრიტ ლუკა ინჯიჯიანის მიერ შედგენილ „წმინდანების ცხოვრებას“. იმავე წელს გამოდის აგრეთვე ეზოპეს ნაწარმოებთა კრებული „ივანე იეზებოს ფილოსოფოსისანი თარგმნილი და გამოცემული ქართულს ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა“. ანტიკური ხანის ამ დიდი ბერძენი მოაზროვნის იგავების გამოცემა პეტრეს ორ წიგნად ჰქონია განზრახული, მაგრამ ჩანათიქრი რატომღაც ვერ განუხორციელებია. 1859 წლის გამოცემა ეზოპეს იგავების პირველი წიგნია, მეორეს დაბეჭდვა კი ველარ მოუხერხებია.

ვენეციაში პეტრე ხარისკირაშვილი დიდხანს არ დარჩენილა. უკანასკნელი წიგნი, რომელიც მან წმინდა ლაზარეს კუნძულზე სომეხ მხითარიანთა ძმობის სტამბაში დაბეჭდა, იყო 1860 წელს გამოცემული „შემოკლებული სწავლა ყოველად საჭირო უწინარეს ყოველთა სწავლათა“. ამ წიგნის დაბეჭდვაში პეტრესათვის ფინანსური დახმარება სამშობლოდან უცხოეთში გამგზავრებისას ხელის გამშართველ დიდვაჭარ იაკობ ზუბალაშვილის მეუღლეს ანას გაუწევია. „შემოკლებული სწავლანის“... სატიტულო გვერდზე კკითხულობთ: დაიბეჭდა წიგ-

1 შ. ლ. მ. ს. ა. ძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, 1979, გვ. 69.



ნი ესე „წარსაგებელთა კეთილშობილი იაკობ ივანიჩ უფალი ზუბალოვის მეუღლის ანასი“.

ვენეციაში ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემისას პეტრე ხარისჭირაშვილს მთელი რიგი სიძნელეები გადალობებია, მაგრამ ერისა და სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებულ მამულისშვილს ყოველივე მოწამებრივის მოთმინებით დაუძლევია და დიდის რუდუნებით მიზნისათვის მიუღწევია. მას თავად მოუძნადებია ხელნაწერები გამოსაცემად და პირადადვე აუწყვია მათი ტექსტები დასაბეჭდად. „დიდათ ძნელიცა იყო საქმე ესე ჩვენთვის, რამეთუ არა გვეყვანდა ამა საქმისათვის ვინმე შემწეთ და არცა თანამშრომელი პირი ვინმე ქართული ენისა მცოდნე“, — წერს იგი 1859 წელს დაბეჭდულ ეზოპეს „იგავ-არაკების“ წინასიტყვაობაში. მნითარიანელთა ძმობაში გაერთიანებულ ქართველ ბერებს, რომლებიც მაშინ წმინდა ლაზარეს კუნძულზე მოღვაწეობდნენ, როგორც ჩანს, გამოუცდებლობის შედეგად ჭეროვანი დახმარება ვერ გაუწევიათ პეტრესთვის წიგნების ბეჭდვა-გამოცემაში.

XIX საუკუნის 60-იან წლებში პეტრე ხარისჭირაშვილი ვენეციიდან კვლავ კონსტანტინოპოლში ბრუნდება, სადაც მაშინ მრავალი ქართველი ვაჭარი და მღვდელ-მონაზონი ცხოვრობდა. აქ იგი ახლა უკვე მთელის ძალით შეუდგა თავისი „ეროვნული პროგრამის“ განხორციელებას, რომელიც კიდევ უფრო გაეფართოებინა და გაელრმავებინა. თუ წინათ ძირითად საკითხს ტიპიკონის დამტკიცება წარმოადგენდა, ახლა მის საზრუნავს ამასთან ერთად ქართული ეკლესიის აშენება, კონსტანტინოპოლში მოღვაწე ქართველ მღვდელ-მონაზონთა ძმობის შექმნა, სასულიერო სასწავლებლის დაარსება და მშობლიურ ენაზე წიგნების ბეჭდვა-გამოცემაც შეადგენდა. შ. ლომსაძის სამართლიანი შენიშვნით „ეს იყო გაბედული პროექტი, რომელიც მაშინ ილუზიას უფრო ჰგავდა, რადგან ყველა ამ საქმის მოწესრიგებას: ადგილის გამოძიებასა და შეძენას, უზარმაზარ მშენებლობებს, სტამბის დაარსებას, ქართული ტიპიკონის დამტკიცებასა და სხვა დიდძალი ენერგია და სახსრები მოუწოდებოდა. ლარბ ქართველ კათოლიკე ბერებსა და მღვდლებს საამისო საშუალება არ ჰქონდათ. ხარისჭირაშვილის პროექტი ნამდვილად სახელმწიფო სახსრებს

მოითხოვდა<sup>1</sup>. თუ ამას დავეუმატებთ იმასაც, რომ პეტრე ხარისპირაშვილს წინასწარ შემუშავებული პროგრამის განხორციელებაში კვლავ სომეხ კათოლიკეთა მოძღვართ მთავარი პარუნიანი დაუბირისპირდა, მაშინ ცხადი გახდება რაოდენ დიდი სიძნელების დაძლევა ელოდა ქართველ ღვთისმსახურს. ეროვნულ ტკივილზე გაუნელებელმა ფიქრმა და ზრუნვამ, უტეხმა ხასიათმა და შეუპოვრობამ პეტრეს თითქმის შეუძლებელი შეაძლებინა. კონსტანტინოპოლში მოქმედ კათოლიკურ ეკლესიათა წინამძღვრების მხარდაჭერით იგი რამდენჯერმე ჩავიდა რომში და მრავალი დაბრკოლების მიუხედავად ვატიკანს ქართულენოვანი ტიპიკონი დაამტკიცებინა. ამის შემდეგ ქართველ ბერ-მონაზვნების ძმობაც შექმნა, რომელსაც კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ კათოლიკურ ეკლესიაში ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე აღსრულების უფლება მისცეს. „როცა თურმე ხარისპირაშვილმა პირველად შეასრულა ქართულ ენაზე გალობა, ძმობის ყველა წევრს ცრემლი მოერია, მათ დაიჩოქეს პეტრეს წინ და მისი ჯანმრთელობა შესთხოვეს მაცხოვარს“<sup>2</sup>.

ძირითადი საკითხების მოგვარების შემდეგ პეტრე ხარისპირაშვილი ქართული მონასტრის აშენებისათვის ზრუნვას შეუდგა. რომის პაპის მანიფესტით ფერიქოვოს სახელით ცნობილი კონსტანტინოპოლის გარეუბანში გამოყვეს მიწის ნაკვეთი ქართველთა ძმობისათვის სალოცავის ასაგებად. ვატიკანის მითითებით ევროპის ქვეყნების კათოლიკურ ეკლესიებიდან მიღებული შეწირულობით ფერიქოვოში მალე ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის ქართული მონასტერი აუშენებიათ, რომლის შესასვლელის თაღსაც შემდეგი წარწერა აშვენებდა: „წმინდაო მარიამ დაიცავ ივერიელნი“. პეტრე ხარისპირაშვილს ინიციატივით აქ ყოველდღიურ ინტენსიურ ღვთისმსახურებასთან ერთად ფართო ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობასაც ჩაეყარა საფუძველი. საეკლესიო წიგნების თარგმნა და სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა,

<sup>1</sup> შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახლციხური ქრონიკები, 1979, გვ. 71.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 73.

ძველი ხელნაწერების ერთმანეთთან შეჯერება-გადახუსხვა, წარყენილ-გამოტოვებული ადგილების შევსება-გასწორება, გაუმართავი ტექსტების ლიტერატურული დამუშავება, დაფურცლული კრებულების აკინძვა და ყდაში ჩასმა ფერიქოვოს ქართველთა ძმობის ძირითადი საქმიანობა იყო.

XIX საუკუნის 70-იან წლებში პეტრე ხარისპირაშვილი იწყებს ქართული წიგნების გამოცემას. 1876 წელს იგი კონსტანტინოპოლში ბეჭდავს პირველ წიგნს. ეს არის კატეხიზ. სკ., რომელსაც შემდეგი სახელწოდება და საგამომცემლო მონაცემები აქვს: „პატარა საქრისტიანო მოძღვრება ქართული ანბანითურთ საქართველოს რომის კათოლიკე გლახაკთ ყრმათათვის მუქთად დასარიგებლად. კონსტანტინოპოლი, ანთუან გვიზალიანის სტამბა“.

ეინ არის ეს ანთუან გვიზალიანი და სად დაშხადდა კონსტანტინოპოლში გამოსაცემა წიგნებისათვის ქართული შრიფტი? ეს საკითხები, სამწუხაროდ, დღემდე შეუსწავლელი და დაუდგენელია.

პ. გუგუშვილი კონსტანტინოპოლში დაბეჭდილი ქართული წიგნების შესახებ ერთ ადგილას წერს: „1860-იანი წლების დასაწყისს პეტრე ხარისპირაშვილი ვენეტიკელ სომეხ მხითარისტებს განშორდა და კონსტანტინოპოლს დასახლდა. შემდეგ მან აქვე დააარსა მონასტერი, რომელსაც ერთს ადგილობრივ სტამბაში ქართული შრიფტი შეაძენინა და ქართული წიგნების გამოცემა დაიწყო“<sup>1</sup>. მეორეგან ამბობს: „კონსტანტინოპოლში ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემა დაიწყო გასული საუკუნის მესამე მეოთხედის დასასრულს, აქაც — ზემოთ ნახსენები პეტრე ხარისპირაშვილის ინიციატივით, რომელმაც ამ მიზნით ვინმე ანთუან გვიზალიანის სტამბაში გააჩინა ქართული შრიფტი“<sup>2</sup>.

ამრიგად, პ. გუგუშვილის აზრით, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში არავითარი ქართული სტამბა არ არსებობდა კონსტანტინოპოლში და პეტრე ხარისპირაშვილი წიგნებს ვი-

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს, ტ. VII, 1984, გვ. 463.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 464.

დაც ადგილობრივი უცხო პირის ანთუან გვიზალიანის საწარ-  
მოში ბეჭდავდა.

სულ სხვა მოსაზრება აქვს გამოთქმული ამავე საკითხზე  
შ. ლომსაძეს. იგი დეტალურად აღწერს პ. ხარისკირაშვილის  
მოერ კონსტანტინოპოლში ქართული მონასტრის აშენებას და  
შემდეგ დასძენს: „აქვე (ე. ი. მონასტერთან — ო. კ.) დაარსდა  
ცალკე მამათა და ცალკე დედათა საავანები. აშენდა „სტამბახა-  
ნა“, დაიდგა საბეჭდი მანქანები და უკვე 1870 წ. ამუშავდა  
სტამბა, რომელიც თანდათან გაიზარდა და 70-იანი წლების  
ბოლოს დამოუკიდებელი წარმოების სახე მიიღო. ამ დროს  
„სტამბახანის“ დირექტორი იყო ანტონ გოზალიშვილი“<sup>1</sup>.

1876 წელს კონსტანტინოპოლში დაბეჭდილი „პატარა საქ-  
რისტიანო მოძღვრების“ თავფურცელზე სტამბის მეპატრონედ  
მოხსენებული ანთუან გვაზალიანი ზემოთ მოხსენებული ან-  
ტონ გოზალიშვილია. ჩანს მას კათოლიკობის მიღების შემდეგ  
შეუცვლია გვარი და სახელი. ასე რომ, პეტრე ხარისკირაშ-  
ვილს კონსტანტინოპოლში ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვას  
მონასტრის აშენების გარდა, ქართული სტამბაც დაუარსებია.

ახლა გავარკვიოთ ამ სტამბის შრიფტის ისტორია. კონს-  
ტანტინოპოლსა და ვენეციაში გამოცემული ქართული წიგნე-  
ბის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების შესწავლამ დაგვარწ-  
მუნა, რომ ისინი ერთნაირი შრიფტით არის აწყობილი. რო-  
გორც ჩანს, ვენეციიდან წამოსვლისას პეტრე ხარისკირაშვილს  
თან წამოუღია თავისივე ხარჯით ჩამოსხმული შრიფტი და  
შემდეგ იგი კონსტანტინოპოლში გამოუყენებია წიგნების გა-  
მოსაცემად.

პეტრე ხარისკირაშვილმა ისე გონივრულად წარმართა წი-  
გნების ბეჭდვის საქმე, რომ სტამბის შემოსავალი ბევრად სჭარ-  
ბობდა გასავალს. ცხადია „ძირითადი შემოსავალი გაყიდული  
წიგნებიდან მიღებული თანხა ყოფილა. ამიტომაც იყო, რომ  
გამოსაცემ წიგნს გულმოდგინედ ადგენდნენ: „თუ დაიბეჭდე-  
ბა, იმისთანა რამე უნდა დაიბეჭდოს, რომელიც ჭერ არ იყოს  
დაბეჭდილი, ეგრეთ საქირო და სასარგებლო მსგავსად „ბუნე-  
ბის კარისაო“. პ. ხარისკირაშვილი მის გარშემო შემოკრებილ

<sup>1</sup> შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიი-  
დან, ახალციხური ქრონიკები, 1979, გვ. 73.

მწერალ-მთარგმნელებს გაზეთ „დროების“ კარგ ქართულზე მიუთითებდა და ავალებდა: „დროების“.. ენაზე დაითარგმნოს ესენიო, თორემ ცუდი ენით შედგენილი წიგნები აღარ იყიდება და დიდ ზარალში ვცვევით... ცხონებულ მანუმას ნათარგმნი წიგნი რომ დაუსტამბე, ცუდი ქართულს მიზეზით არ გაიყიდა და დავიღუპე“. — ჩიოდა პეტრე<sup>1</sup>. მაგრამ ეს იყო იმ-ვითი გამოწაკლისი. კონსტანტინოპოლში გამოცემული წიგნები გამოირჩევა როგორც ლიტერატურული დამუშავების დონით, ისე თემატიკური მრავალფეროვნებით. ყოველივე ეს კი წიგნების სწრაფი რეალიზაციის გარანტიას იძლეოდა. პეტრე ხარისჭირაშვილს საქმე ისე დაუყენებია, რომ გამოსაცემი წიგნების ავტორ-მთარგმნელებს პონორარსაც კი უნაზღაურებდა, რასაც „შეთხზვის ხარჯი“ და „მთარგმნის ხარჯი“ ეწოდებოდა<sup>2</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ წიგნს ხელმოკლე მოსწავლეებს უფასოდაც კი ურიგებდა. 1876 წელს გამოცემული „პატარა საქრისტიანო მოძღვრება“, სათაურის ქვეშ მიბეჭდილი აქვს: „რომის კათოლიკე გლახაკთ ყრმათათვის მუქთად დასარიგებლად“.

კონსტანტინოპოლის ქართულ სტამბაში მრავალი წიგნი დაიბეჭდა, რომელთაგან დღეისათვის ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოთხია მოძიებული. ესენია: 1876 წელს გამოცემული ზემო-დასახელებული „პატარა საქრისტიანო მოძღვრება“ და „წინამძღვარი ზეცისა, გინა ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი“, 1877 წელს დაბეჭდილი „თანსატარებელი ლოცვის წიგნი რომელი იპყრობს თვის შორის საყოველღეო და სხვა და სხვა მშენიერს ლოცვებსა. საქართველოს რომის კათოლიკეთათვის“ და იმავე წელს გამოსული „წალკოტი ლოცვათა, რომელი შეიცავს თვის შორის სხვა და სხვა რჩეულთა და ფრიად სახმართა ლოცვათა. ქართული ენის მოუბართა რომის კათოლიკეთათვის“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, 1979, გვ. 74.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> პ. გუგუშვილს თავისი შრომების XII ტომში „საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს, 1984, გვ. 465, დაშვებული აქვს შეცდომა, თითქოს ზემოთ ჩამოთვლილი წიგნები 1941 წელს გამოცემულ „ქართული წიგნის“ პირველ ტომში აღწერილი არ არის.

ამ გამოცემებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „წალკოტი ლოცვათა“, რომელსაც ბოლოს დართული აქვს ადგილობრივ მაღაზიებში გასაყიდი ქართული წიგნების სია. როგორც ამ ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლიდან ირკვევა 1876—1878 წლებში შემოდისაქლებული ოთხი წიგნის გარდა, დაბეჭდილი ყოფილა კიდევ ექვსი: „ბრძენი კაცი“, „სიბრძნე კაცობრივი“, „გზა ცხოვრებისა“, „მოკლე ქართული გრამატიკა“, „ხელად სახმარი მოკლე მჭერმეტყველება“ და „მოკლე სიბრძნის მოყვარება“.

პეტრე ხარისჭირაშვილს კონსტანტინოპოლში ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის მონასტერთან 1860 წელს ქართული სასწავლებელიც დაუარსებია, რომელშიც უმეტესად თურქეთის ბაზრებზე გაყიდული გურული და ახალციხიდან სპეციალურად ცოდნის შესაძენად ჩამოყვანილი ახალგაზრდები სწავლობდნენ. სასწავლებელს ჰქონდა თავისი დებულება და პროგრამა. ეს უკანასკნელი ისე იყო შედგენილი, რომ „სასწავლებლის დამთავრებლს შემდეგ ყველა მოსწავლეს შესძლებოდა ფრანგულ და ლათინურ ენებზე წიგნის აღსრულება და ფრანგულ სემინარიაში სწავლის გაგრძელება... პ. ხარისჭირაშვილს მიაჩნდა, რომ ამ სასწავლებელდამთავრებულს შეუძლია შეასრულოს როგორც სასულიერო, აგრეთვე სამოქალაქო სამსახური. იგი განსაკუთრებული გულსჩმიერებით ეკიდებოდა სასწავლებელში ქართველი მაჰმადიანებს მიზიდვას და მომრავლებას და ფიქრად ჰქონდა, ისინი როცა დაამთავრებდნენ სასწავლებელს, გაეგზავნა ადგილებზე, როგორც ქართული ენისა და მამულიშვილური გრძნობების დაცვისათვის მებრძოლი მისიონერები. მისი აზრით, როცა ამგვარად მომზადებული პატრიოტებით დაიფარებოდა „თურქეთის საქართველო“, მაშინ დადგებოდა რეალური პირობები საქართველოს სრული გაერთიანებისა“<sup>1</sup>.

უხადია, ასეთი იდეების კაცი უდავოდ დიდ ყურადღებას დაუთმობდა სასკოლო სახელმძღვანელოების, ფილოსოფიური ხასიათის წიგნების, საცნობარო და საერთოდ ზოგადსაგანმა-

<sup>1</sup> შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, 1979, გვ. 78—79.

ნათლებლო ლიტერატურის გამოცემას. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ „წალკოტისათვის“ დართულ სიაში ჩამოთვლილი წიგნები მართლაც კონსტანტინოპოლის სტამბაში იყოს დაბეჭდილი.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს საფრანგეთის უძველესი საეპისკოპოსო ქალაქის მონთობანის გარეუბანში, სასაფლაოს ახლოს, ევალიტის ქუჩაზე, კონსტანტინოპოლას ქართველ კათოლიკეთა ძმობას ერთი პატარა სახლი უყიდია და იქ ღვთის მსახურთა საეანე. დაუარსებია, რომლის მთავარ მოძღვრადაც პეტრე ხარისკირაშვილის იღვებების მიმდევარც, ეროვნული პრინციპებისათვის ენერგიული და შეუპოვარი ნებრძოლი ანდრია წინამძღვრიშვილი აურჩევიათ<sup>1</sup>.

კონსტანტინოპოლისა და ვენეციის მსგავსად მონთობანშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ღვთისმშობისათვის ლიტერატურულ მოღვაწეობას. წერდნენ საკუთარ ნაშრომებს, თარგმნიდნენ დიდაქტიკურ-საგანმანათლებლო ხასიათის წიგნებს, ადგენდნენ სასკოლო სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს. 80-იანი წლების დამდეგისათვის ანდრია წინამძღვრიშვილი პარიზში 50 ფრანკად ყიდულობს საბეჭდ მანქანას, შოულობს ქართულ შრიფტს, შენობას, აარსებს სტამბას და იწყებს წიგნების ბეჭდვას.

მონთობნელი ღვთისმსახურნი მთავარ ყურადღებას სახელმძღვანელოების გამოცემას უთმობდნენ. ამ სახის წიგნების „გამრავლებით ცდილობდნენ ღარიბი ქართველი ბავშვებისათვის შეექმნათ სწავლის საშუალება. ამ წიგნთა გამოცემლებმა იცოდნენ, რომ ქართველი საზოგადოება ამ დროისათვის მთელი მონდომებით ეკიდებოდა სწავლის საკითხებს: აშენებდა სკოლებს, ქირაობდა მასწავლებლებს და სხვა... „აღაშენე და განამრავლე რამდენადაც გინდა სკოლები, განაწესე იმათში რამდენადაც გინდა მეცნიერნი, მასწავლებელნი, აღავსე სკოლები ბავშვებით, რა სარგებლობა წარმოსდგება ამათგან, თუ რომ არ იქნებიან თანვე დასტამბული წიგნები უხვად, რომლებზედაც შეიძლებოდეს გაკვეთილის მიცემა და

<sup>1</sup> ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, ქართული კულტურის კერები საფრანგეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ეურნ. „ცისკარი“, 1978, № 1, გვ. 162.

სწავლება ყრმათა?" — წერდნენ ისინი და ასაბუთებდნენ, რომ საქართველოში სკოლების გამრავლებისათვის საქიროა სასწავლო წიგნების გამრავლება, რითაც შეეძლებოდა ესწავლა პატარა შეგირდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უწიგნოდ გახსნილი სკოლები დღენაკლული იქნებაო<sup>1</sup>.

მონთობნის სტამბაში დაბეჭდილ ქართულ წიგნებზე ბევრი რამ არ ვიცით. ისიც კი დაუდგენელია დღემდე, სულ რამდენი წიგნი გამოიცა აქ. ჩვენს საცავებში მხოლოდ რამდენაშეა შემონახული, მათ შორისაა, „ძველთა და ახალთა ნათესავთა რომელი მოსთხრობს უმთავრესთა საქმეთა მოხდენილთა მთელს კაცობრიობასა შინა დასაბამითგან სოფლისა ვიდრე დღევანდელამდე“. ეს არის პატარა ფორმატის (16×10 სმ) 511 გვერდიანი წიგნი, რომელიც განკუთვნილია სასოფლო სკოლების მოსწავლეებისათვის. იგი შედგება ექვსი ნაწილისაგან. პირველში მოცემულია ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორია, მეორეში — ეგვიპტის, ასურეთის, ბაბილონის, მიდიის, სპარსეთის, საბერძნეთისა და მაკედონიის წარსული, მესამეში — რომაელებისა და ქართველების ისტორია; მეოთხე ნაწილი დათმობილი აქვს შუა საუკუნეების ისტორიას, ხოლო მეხუთე — ახალ ისტორიას. შეექვსე ნაწილში კი — მოთხრობილია ევროპის ქვეყნების, მათ შორის რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, იტალიისა და სხვ. ისტორია.

„მოკლე საყოველთაო ისტორიას“, 1876 წელს კონსტანტინოპოლში გამოსული „წალკოტი ლოცვათა“ მსგავსად, ბოლოს დართული აქვს მონთობანში დაბეჭდილი წიგნების სია. აქედან ირკვევა, რომ ქართველ კათოლიკე ღვთისმსახურთ საერო ლიტერატურის გამოცემასთან ერთად მნიშვნელოვანი შრომა გაუწევიათ საეკლესიო წიგნების დასაბეჭდად. მათ ერთმანეთის მიყოლებით დაუსტამბიათ „წანამძღვარი ზეცისა ანუ ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი, შედგენილი ალემანურად თავადის შვილის მღვდელი ალექსანდრე ჰობენლოესაგან“, „გზა ცხოვრებისა ანუ განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა სახმარნი მღვდელთათვის საქადაგებ-

<sup>1</sup> შ. ლ. მ. ს. ა. ძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, 1979, გვ. 76.



ლად და ერის კაცთათვის საკითხავ წიგნად და ფიქრის ლოცვის შესასრულებლად შედგენილი წმიდა ალფონსიო ლიგორისაგან“, „ხელად სახმარი რიტორიკა გინა მკერმეტყველება ყმაწვილ კაცთათვის“, „ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმინდა ესტატესი“, „თან სატარებელი ლოცვის წიგნი“, „საქრისტიანო მოძღვრება“, „ყოველდღივ სათქმელი ლოცვების ფურცლები“ და სხვა.

მონთობანში დაბეჭდილ წიგნებს შორის, სასულიერო ლიტერატურის ესოდენ მნიშვნელოვანი ხვედრითი წილის მიუხედავად, უპირატესობა მაინც სასკოლო სახელმძღვანელოებსა და დიდაქტიურ-საგანმანათლებლო დანიშნულების გამოცემებს მიეკუთვნება. ამას მოწმობს „მოკლე საყოვლიერო ისტორიისათვის“ დართული ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომლის თანახმადაც მონთობნელ ქართულ ბერებს ზემოდსახელებული სასულიერო წიგნების გარდა, შემდეგი საერო ლიტერატურაც დაუბეჭდიათ: „სიბრძნე კაცებრივი, რომელიც ასწავლის კაცს ქვეყნის რიგიან ხმარებასა, სრულს კაცს გაზღის და მისწევს სიმდიდრესა“. წიგნში მოტანილია შესაბამისი მაგალითები და გამოჩენილ მსოფლიო ფილოსოფოსთა განონათქვამები. თავიანთი პრაქტიკულ-გამოყენებითი დანიშნულებით საყურადღებოა აგრეთვე სხვა დანარჩენი გამოცემებიც. კერძოდ „ბრძენი კაცი ანუ რომელიმე ფილოსოფოსის მიერ მოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძნესა და ზნეობასა ზედა“, „ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლების ყრმათათვის, ახლად შედგენილი“, „ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება რომელი შეიცავს ფსიხოლოლიას, ლოლიკას, ზნეობას და ბუნებითს ღვთისმეტყველებას მალალს სწავლაში გარდასავლელთ ყმაწვილთ კაცთათვის“, „ფიზიკებრივი, მოქალაქეობრივი და ისტორიებრივი მოკლე გეოგრაფია სასოფლო სკოლებისათვის“, „რჩეული ლექსების წიგნი“, „ქარი ლათინური გრამატიკისა“, „ქარი ფრანციული გრამატიკისა“, „წერილი ყმაწვილებისათვის რამდენიმე საქრო გაკვეთილი“.

სამწუხაროდ, მონთობანში დაბეჭდილი ზემოდსახელებული წიგნებიდან, „მოკლე საყოვლიერო ისტორიის“ გარდა, მხოლოდ სამია მოძიებული და ჩვენს ცენტრალურ ბიბლიოთეკებში დაცული. ესენია: „მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო

13. ო. კასრაძე

სკოლების ყრმათათვის“, „სიბრძნე კაცებრივი...“, და „მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქეობრივი და ისტორიებრივი და დამატებით ძველი დროების გეოგრაფიისადა“. რა ბედი ეწიათ სხვა დანარჩენ წიგნებს — ჯერ-ჯერობით გაურკვეველია.

მონთობნელი გამომცემლები თავიანთ სტამბაში დაბეჭდილი წიგნებით ძირითადად ქართულ კათოლიკურ სკოლებს ამარაგებდნენ. აღსანიშნავია, რომ პეტრე ხარისჭირაშვილის მსგავსად მონთობნის ძმობის მოძღვართმთაყვარი ანდრია წინამძღვრიშვილიც ზოგიერთ წიგნს მოსწავლეებში უფასოდ დასარიგებლად უგზავნიდა სკოლებს. ამ მიზნით ყოფილა დაბეჭდილი მაგალითად „წერილ ყმაწვილებისათვის რამდენიმე საჭირო გაკვეთილი“ და „ყოველდღე სათქმელი ლოცვების ფურცლები“.

ჩვენს სიძველეთსაცავებში შემორჩენილი მასალებით დოკუმენტურად დასტურდება, რომ მონთობანში ნაყოფიერი მუშაობა მიჰდინარეობდა ლექსიკონების შედგენა-გამოცემრათვის. იქ მოღვაწე ქართველ კათოლიკე ღვთისმსახურთ „ერთხანს გადაწყვეტილი ჰქონიათ დიდი ქართული ლექსიკონის გამოცემა, რომელიც შეჯერებული უნდა ყოფილიყო საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონთან. როგორც ირკვევა, ჩვენს არქივებში დაცული წერილებიდან, მათ ასეთი ლექსიკონის გაშვადებული ხელნაწერი უკვე ჰქონიათ, მაგრამ იმის გამო, რომ ნებართვა ვერ აუღიათ, მისი დაბეჭდვა ვეღარ მოხერხებულა. სამაგიეროდ, მათ დაბეჭდეს მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულ-ქართული და ლათინურ-ქართული ლექსიკონები, რომლებიც განკუთვნილი იყო აგრეთვე სასოფლო სკოლების ყრმათათვის. ამ ლექსიკონებს გამოცემით მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების საქმეში“<sup>1</sup>.

მონთობნის ქართველ კათოლიკეთა ძმობასა და იქაურ სტამბას დიდხანს არ უარსებიათ. XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულისათვის ისინი დაუხურავთ. ამის მიზეზი 1880 წლის 29 მარტს საფრანგეთის პრეზიდენტის ეიულ გრე-

<sup>1</sup> შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, 1979, გვ. 76.

ვის, შინაგან საქმეთა მინისტრის შ. ლეფერისა და იუსტიციის მინისტრის ყიულ კაზოს ხელმოწერით გამოქვეყნებული დეკრეტი ყოფილა, რომლის „თანახმად საფრანგეთის ტერიტორიაზე არსებულ ყოველ კონგრეგაციას ან ნებართვის გარეშე არსებულ რელიგიურ გაერთიანებას, ამ დეკრეტის გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში, მისი არსებობისა და მოღვაწეობისათვის ოფიციალური ნებართვის მიღების მიზნით, თავისი დეპარტამენტის პრეფექტის მთავარ სამდივნოში თხოვნა უნდა წარედგინა, საიდანაც ის ოფიციალურ ქალაქს მიიღებდა. შემდეგში ამ ქალაქს ის წარადგენდა შინაგან საქმეთა... სამინისტროში, რომელიც შეისწავლიდა ამ კონგრეგაციის თუ რელიგიური გაერთიანების მოღვაწეობას. ნებართვის თხოვნაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო წინამძღვრის ვინაობა და მისი რეზიდენციის ადგილ-სამყოფელი, კონგრეგაციის არსებობის აუცილებლობის დასაბუთებით. ნებართვის თხოვნას თან უნდა დართოდა: კონგრეგაციის წევრთა სია, მათი ეროვნება (ფრანგია თუ უცხოელი), კონგრეგაციის შემოსავლის წყარო, მისი წესდება ეპისკოპოსის დასტურით. კონგრეგაცია, რომელიც ამ მოთხოვნას აღნიშნულ ვადაში არ შეასრულებდა, გაუქმებული იქნებოდა“<sup>1</sup>. 1880 წლის 29 მარტის დეკრეტიდან გამომდინარე ი. ტაბალუა ასკენის: „აღბათ, ქართველებმა ეს მოთხოვნები ვერ შეასრულეს და ქართველთა სავანეც მონტობანში გაუქმდაო“<sup>2</sup>.

საფრანგეთში მოქმედი კონგრეგაციებისა და რელიგიურ გაერთიანებათა გადამოწმების მიზნით გამოცემულმა დეკრეტმა გულისწყრომა გამოიწვია მონტობნელ ქართველ კათოლიკე ღვთისმსახურთა შორის. ამით უნდა აიხსნას მათ მიერ მოწყობილი მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაცია, რომლის შესახებაც ტარნისა და გარონის პრეფექტი შინაგან საქმეთა მინისტრს 1885 წლის 13 აგვისტოს სწერდა: „დეკრეტის განხორციელების დღეს ქართველმა ბერებმა შეპკრიბეს ქალაქის რეაქციული პარტიის მეთაურები და რამდენიმე მათხოვარი თა-

<sup>1</sup> ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები საფრანგეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ურან. „ცისკარი“, 1978, № 1, გვ. 164.

<sup>2</sup> იქვე.

ვიანთი ცოლებითა და შვილებით და რეპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ მანიფესტაცია გამართეს. გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს მეფეს“ და ესროლეს ქვები ზელისუფლების წარმომადგენლებს.

ამ ბერების განდევნას კარგად შეხვდა ჩვენი ქალაქის რესპუბლიკად ვანწყობილი მოსახლეობა<sup>1</sup>.

ცხადია, მთავრობის საწინააღმდეგო პროვოკაციულ პოლიტიკურ ინსინუაციაში გადაზრდილი მანიფესტაცია უთუოდ დააჩქარებდა მონთობანში ქართველ კათოლიკეთა ძმობის გაუქმებასა და სტამბის დახურვას. ლეთისმსახურთა ამ გაუთვალისწინებელი მოქმედების შედეგად შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, კონსტანტინოპოლის ლეთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის მონასტრის წინამძღვარს პეტრე ხარისჭირაშვილს მაინც აღუძრავს შუამდგომლობა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შარკიზ დე ნოაის წინაშე. „მონტობანში ქართველ ბერთა წინამძღვარს, უმანკო ჩასახვის კონგრეგაციის მსახურს, მცნოვრებს ფერი-ყოიში, პატივი აქვს უმორჩილესად მოახსენოს თქვენს აღმატებას შემდეგი: პატარა სახლი, რომელსაც მე ვფლობ მონტობანში (ტარნი და გარონი) და რომელიც გამოყენებული იყო საცხოვრებლად და სასწავლო დარბაზად ახალგაზრდა ქართველებისათვის, რომლებსაც სურდათ საფრანგეთში სწავლის დასამთავრებლად გამგზავრება, ახლახან ან უკვე რამდენიმე ხანია სამინისტროს ბრძანებით დახურულ იქნა.

ახალგაზრდა ქართველებს, რომლებიც მე მაინტერესებს და რომელთაც სურთ შეისწავლონ ფრანგული და ლათინური ენები, არ შეუძლიათ ჰპოვონ საფრანგეთის გარეთ ისეთი მაღალფასოვანი განათლება, როგორი განათლებაც მათ შეუძლიათ მიიღონ ამ ასე განთქმულ მასწავლებლებთან.

ამ უპაღლესი განათლების წყალობით და მათი სწავლის სწრაფი დამთავრების შემდეგ ეს ახალგაზრდა ქართველები აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, სადაც ისინი დაბრუნდებიან, რათა იქ თავისი მხრივ სკოლები დაეარსებინათ, გაადვილებდნენ და გაავრცელებდნენ მშვენიერ ფრანგულ ენას...

<sup>1</sup> ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, ქართული კულტურის კერები XIX საუკუნის მეორე ნახევარში, უუკნ. „ცისკარი“, 1978, № 1, გვ. 175.

ვბედავ და ვაძლევ ჩემს თავს უფლებას დაყინებით შევე-  
ვედრო თქვენს აღმატებულებას, კეთილ ინებოს და მხარი დაუ-  
ჭიროს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის წინაშე იმ  
მოსაზრებებს, რომლებიც წინ უძღვის, რათა მივიღოთ ჩვენს  
სასარგებლოდ ნებართვა — ისევ მოგვაკუთვნონ საფრანგე-  
ში, მონტობანში პატარა სახლი... ჩვენი ქართველ მოსწავლე-  
თა საცხოვრებლად, რომლებიც მაშინ ნაყოფიერად შეითვისე-  
ბენ ადგილობრივ ფრანგული სკოლების ლექციებს<sup>1</sup>.

პ. ხარისჭირაშვილის ეს შუამდგომლობა დაუკმაყოფილე-  
ბიათ, მონტობანის ქართული ძმობა კვლავ აღმდგარა, მაგრამ  
იმდროინდელი რთული საშინაო პოლიტიკური მდგომარეო-  
ბის გამო საფრანგეთის მთავრობის მიერ განხორციელებულა  
რეპრესიების შედეგად ქართული წიგნების გამოცემის საქმე  
ველარ აღორძინებულა.

---

<sup>1</sup> ი. ტ ა ბ ა ლ დ ა. ქართული კულტურის კერები XIX საუკუნის მე-  
ორე ნახევარში, ეურნ. „ციცკარი“, 1978, № 1, გვ. 171—172.

## ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის ისტორიისათვის

(XVIII—XIX სს)

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის ისტორია XVIII საუკუნის შორე ათწლეულს დამდეგოდან იწყება. ამ დიდ ეროვნულ საქმეს საფუძველი ვახტანგ V ჩაუყარა 1712 წელს თბილისის სტამბაში „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვით<sup>1</sup>. სამწუხაროდ, ეს საშვილიშვილო თაოსნობა ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო მალე ისევ ჩაკვდა და დავიწყებას მიეცა. 1712 წლიდან, მთელი 126 წლის მანძილზე არც ერთი ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლი აღარ დაბეჭდილა. ჭეროვანი განვითარება მან ვერც შემდგომში პოვა. ამიტომაც იყო, რომ გაზეთი „დროება“ 1884 წელს წერდა: „ზღეს, ისე როგორც არასოდეს, საჭიროა ყოველივე იმის სიღრმისეულად შესწავლა, რაც ქართველ ხალხს თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია, რათა „შევიგნოთ ჩვენი ვინაობა, წარსული, აღვადგინოთ ჩვენი ნამდვილი ისტორია, მწერლობა; შევიტყოთ, თუ რა გონებითი და ზნეობითი ძალა გამოგვიჩენია წარსულში, რითი გვისახელებია თავი, ან რითი დაგვიმცირებია ჩვენი ღირსება“<sup>1</sup>. ყო-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1884, № 53.

<sup>2</sup> ამ ნარკვევში ჩვენ არ ვიხილავთ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს. ეს საკითხი მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს ს. ყუბანეიშვილს სამ წიგნად გამოცემულ ცნობილ გამოკვლევებში „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან“ წიგნი I, 1966, წიგნი II, 1973, წიგნი III, 1975.

ველივე ამისათვის კი „დროებას“ სრულიად სამართლიანად აუცილებელ პირობად მიაჩნდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემა და შესწავლა.

ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოუყენლობამ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურისადმი ნიჰილისტურად განწყობილი ზოგიერთი მოინტელიგენტო რეაქციონერი ჩვენი ძირძველი მწერლობის უარყოფამდეც კი მიიყვანა. შექმნილი მდგომარეობის გამო პ. უმიკაშვილი გულისტკივილით შენიშნავდა: „ყოვლად უმეცარს თავხედობას თავი მოაქვს და მალეა ჰყვიროს არა არის რა ქართულის მწერლობაშიო. თითქმის თვით ქართულს მწერლობას უარს ჰყოფს. ეს იმიტომ, რომ ხელნაწერი წიგნები აქამომდე დაუბეჭდელი დარჩენილა და მასასადამე, მრავალი მოპოების ღონისძიებასაც მოკლებულია. ამ დაუბეჭდაობას სხვა ზიანიც მოსდევს: მწერლობას ფრთები ეკვეცება“<sup>1</sup>.

XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენცია ერის კულტურულ ცხოვრებაში მწერლობას დიდ როლს აკუთვნებდა და ამიტომ იგი გადაუდებელ ამოცანად თვლიდა ძველი ლიტერატურული ძეგლების მოძიებას, შესწავლასა და გამოცემას. „გარკვევით უნდა აღვიაროთ, — აცხადებდა პ. უმიკაშვილი, — რომ ჩვენი მწერლობის თხზულებანი ძალიან მცირენი დაბეჭდილან... აქამომდე ისევ დავით ჩუბინოვის ქრისტომატია რჩება, რომ მოსურნებ ქართველ მწერლების სახელები მაინც იცოდეს, თვით ამ საუკუნის მწერლების — ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თხზულებებიც კი სრულის გამოცემით არ არის დაბეჭდილი. ამგვართ ცხადათ სჩანს საჭიროება ჩვენი თვითეთლის მწერლის თხზულებათ ერთად გამოცემისა. ამგვარს საჭიროებას ვერ აიცილებს თავიღამ ვერც ერთი ხალხის ლიტერატურა და ვერც ერთს დროას ჩამომავლობა. ევროპის ხალხის ყველა ლიტერატურა დღესაც მუშაობს თავისი ძველი მწერლობის შევსებაზე და მწერლების აღმოჩენაზე; ძველის გამოკვლევაზე ახალის წარმატებას ამყარებს. ჩვენში ხომ ამ საქმეს უმეტესი მნიშვნე-

<sup>1</sup> „დავითნი“ თქმული გურამის-შვილის დავითისაგან, გამოცემული გიორგი ზალიკიანისაგან, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, 1881, გვ. 5.

ლობა აქვს გარემოებისა გამო განსაკუთრებულის ისტორიულ-ლის მდგომარეობისა. ეს გამოუცემლობა მწერალთა არის მანუზი, რომ ჩვენ დიდ ღონისძიებას მოკლებულნი ვართ თითოეულის მწერლის ანუ თხზულების კარგის დაფასებისათვის<sup>1</sup>.

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოუცემლობას ეროვნულ დანაშაულად თვლიდა გ. წერეთელი და მოითხოვდა ამ საკითხისადმი ჯეროვან ყურადღების მიქცევას. „ამჟამად ჩვენში ძვირად იპოვება იმისთანა კაცო, — წერდა იგი, — რომ საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდეს ჩვენი ძველი ლიტერატურისა. სულ რომ ბევრი სთქვას, თითო-ოროლა ნაწყვეტს ამბავს იტყვის დიდებულის თამარ მეფის დროზე და იქვე წარმოადგენს დაუვიწყარს რუსთაველს იმისი „ვეფხისტყაოსნით“... ამას გარდა ერთი-ორი სხვა მწერლის სახელიც რომ გითხრას, მეტს ველარას გეტყვი. აი, ამით გათავდება იმისი ცოდნა ჩვენს ძველს მწერლობაზე... ამ შემთხვევაში საუკეთესო ძველი წიგნების დაბეჭდვა და იმათი კრიტიკულად გარჩევა თუ სულ არ გაგვინათებს გონების თვალის წინ ჩვენს ძველს აზრიანს ცხოვრებას, ცოტა შეუქს მაინც მიაყენებს ზედ და ესეც კარგია.

აქამდე „ვეფხისტყაოსნის“ გარდა არა არის რა დაბეჭდილი ძველი მწერლობისაგან, რომ დიდი ყურადღების ღირსი იყოს... ამის გამო ჩვენი ახალთაობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს ძველი ლიტერატურა იმის ღირსი არ არის, რომ კაცმა თავისი სიცოცხლე იმათ გაცნობას და განხილვას მოანდომოსო<sup>2</sup>.

ასე განიცდიდნენ ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოუცემლობას თავისი დროის გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი.

XVIII საუკუნის მეორე ათწლეულისათვის ვახტანგ მეექვსის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვით საძირკველჩაბრილ, შემდეგ კი ქვეყნის ბედუცუღმართობისაგან ხანგრძლივად მიტოვებულ დიდ ეროვნულ საქმეს — ძველი ქართული

<sup>1</sup> „დავითნი“ თქმული გურამის-შვილის დავითისაგან, გამოცემული გიორგი ზალიკიანისაგან პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, 1881, გვ. 5.

<sup>2</sup> „დავითანი“ თქმული გურამის-შვილის დავითისაგან, წიგნი I, 1870, გვ. 3—5.



ლიტერატურული ძეგლების გამოცემას XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულიდან სათავეში უდგება პ. იოსელიანი. მისი შემწეობით მანამდე მარტოოდენ საზოგადოების ვიწრო წრისათვის ცნობილი მდიდარი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის გარკვეული ნაწილი თანდათანობით ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება. იწყება მისი მეცნიერულ-ფილოლოგიური შესწავლა და იქმნება სასურველი პირობები მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის, კერძოდ, ძველი მწერლობის არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა ტომის ხალხისთვისაც გასაცნობად.

1838 წელს, თბილისში, ი. და დ. არხანოვების სტამბაში იბეჭდება ჩახრუხაძის „თამარიანი“, რომლის სატიტულო გვერდზეც ვკითხულობთ: „თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა თქმული ლექსად ჩახრუხას-ძისაგან წელსა ქრისტესით 1187-სა აღბეჭდილი პლატონ ეგნატეს-ძის იოსელიანისა მიერ“. ეს წიგნი დაუბეჭდიათ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XIII შეილის მიხეილ ბაგრატიონის პატივსაცემად. ამას მოწმობს ტიტულის შემდეგ პირველ გვერდზე დაბეჭდილი გამომცემლის შემდეგი შენიშვნა: „მათს უგანათლებულობას საქართველოს მეფისა გიორგი მეცამეტესა ძეს მიხაელს მდაბლად მიუძღვნის ამ წიგნს ტფილისის სემინარიასა შინა ფილოსოფიისა და ფიზიკისა მასწავლებელი, ღუთის-მეტყუელებისა კანდიდატი პლატონ იოსელიანი“.

პოემის ტექსტი იწყება მეტყუთე გვერდიდან. სათაური აქ ტიტულთან შედარებით უფრო ლაკონიური და კომპაქტურია: „თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა“. გამომცემელი თხზულების სათაურის შესახებ სქოლიოში შემდეგნაირ განმარტებებს იძლევა: „ძუველსა დედანში ზედა წარწერა (იგულისხმება სათაური — ო. კ.) წიგნისა ამის ესრეთ იყო: სრულიად საქართველოს, ქართლ, კახეთ, იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა და სხუათა და სხუათა მპყრობელის, ბაგრატიონის მეფის გიორგის ასულის თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა მეფისა სოსლან დავითისა, შესხმა, ჩახრუხას ძისაგან, რომელი იყო ადგილთაგან არაგვისათა, თემით მოხვევეს მან დალექსა, ოც მარცვლოვანად, თვითთსა ტაეპსა შინა წყობილად, და მის გამო უწოდდენ ქართუველნი ჩახრუხაულ-“

სა; თვარა ესე გვარი წყობილი ჩახრუხაული, არაბულიდან არს ქართულს ენასა ზედა გადმოღებული“.

პლ. იოსელიანის მიერ სქოლიოში მოტანილი ეს განმარტება საინტერესო ცნობებს შეიცავს პოემის ავტორის ვინაობის, დაწერის თარიღისა და ვერსიფიკაციის შესახებ. აქედან ვგუბულობთ, რომ „თამარიანის“ ავტორი ყოფილა მოხვევე, გვარად ჩახრუხაძე, რომელსაც თავისი პოემა დაუწერია 1187 წელს ოცპარცვლიანი შაირით. ამ ცნობების საფუძვლიანობას ადასტურებს ძველი ქართული ლიტერატურის ისეთი შესანიშნავი მცოდნე, როგორც იყო არჩილ მეორე. „თამარიანის“ ავტორად ჩახრუხაძის აღიარებას მოწმობს შემდეგი ადგილი პოემიდან „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასება“: „სხვა ლექსით ჩახრუხაძემა შეამკო მეფე თამარი“, ან კიდევ: „ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?“ ჩახრუხაძის მოხვევობაზე მიგვანიშნებს არჩილი თხზულებაში „პირველია და შემდგომითი — შემდგომთა მეფეთა ქება და სამხილებელი“, „ვის მე ხვეითა, საროს ხვეითა, უთქვამს ლექსები რჯოგარდაფრენით“, რაც შეეხება ლექსის ღირსებას, არჩილი იმავე თხზულებაში ამბობს: „ჩახრუხაული, ვით რეხეული, ძეგლაჲ უწერა თავისსა ლექსსა“.

ჩახრუხაძის „თამარიანის“ 1838 წლის გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობის შესწავლის ისტორიაში. მისი დაბეჭდვით პლ. იოსელიანმა პირველად გააცნო ფართო საზოგადოებრიობას ეს პოეტური ქმნილება, ამავე დროს მანვე დაამკვიდრა ოფიციალურად სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობები პოემისა და მისი ავტორის შესახებ. სამწუხაროდ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არჩილ მეორას პოეტურ მემკვიდრეობას, რომელშიც გამოთქმულია ცალკეული მოსაზრებანი ჩვენთვის ესოდენ საინტერესო საკითხებზე, პლ. იოსელიანის მიერ 1838 წლის გამოცემის სქოლიოში მოტანილი ცნობებმს გარდა, სხვა რაიმე ახალი დღემდე არაფერი ვიცით „თამარიანისა“ და მისი ავტორის შესახებ.

ჩახრუხაძის პოემას თავის დროზე მალალი შეფასება მისცა არჩილმა. იგი წერდა:

„მოხვეელსამ, ჩახრუხელსამ, ლექსთა სიტკობა ამიყოლიაო“.

ქებით იხსენიებს ჩახრუხადის შემოქმედებას ანტონ კათალიკოსიც თავის „წყობილსიტყვაობაში“. იგი მას „უცხო პიიტკოსს“, „სიბრძნის მოყვარეს“, „მესტიხეთ გვირგვინს“ უწოდებს.

ქართულ მწერლობაში ჩახრუხადეზე დაფუძნებული ამგვარი პოზიტიური შეხედულებანი ერთგვარად შეაჩუჩა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, კიევის მიტროპოლიტმა ევგენი ბოლხოვიტინოვმა. 1802 წელს პეტერბურგში გამოცემულ თავის წიგნში «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии» იგი წერდა: «Тамариани» составляющая довольно великую книгу, соплотена почти из одних только прозваний нарицательных имен, приписуемых Тамаре»<sup>1</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის ეს მოსაზრება „თამარიანზე“ სრულიად სამართლიანად გააკრიტიკა თეიმურაზ ბაგრატიონმა 1832 წელს მარი ბროსესათვის გაგზავნილ წერილში: «კვალად გეკითხათ ესეცა არხიმანდრიტისა ევგენიოსისა მცირესა აღწერილსა წიგნსა შინა მოხსენებული პომესათვის ქართულისა: გვარნი ანუ ზომათათვის ლექსთასა. — ვკითხულობთ წერილში. — შე ეგრე ვგონებ, არა ზედმიწევნით გამოძიებულ იყოს, ვინაიდგან უფალმან ევგენოზ თვით არა უწყოდა ქართული ენაი და ოსტატიცა მისი, რომელიცა ქართულისა ენისა პომისა თვისებოსა იყო მოძღვარი, მასწავლებელი და მაჩვენებელი რომელთამე კანონთა მისა, მე. ვგონებ და იქვენულ ვარ, რომელ არა იყო იგი ზედმიწევნით მეცნიერ ქართულსა ენისა და წერილთა შინა გამოცდილი და ამისთვის ევგენიოზმან ვერა ეგრეთ გულის-ხმა ჰყო და აჩვენა წესი, ვითარცა არს გვარი ზომისა ქართულთა სტიხთა»<sup>2</sup>.

სამწუხაროდ, ე. ბოლხოვიტინოვის მცდარი მოსაზრება „თამარიანზე“ თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა დ. ჩუბუნაშვილმა. «Тамариани вся почти состоит из одних только прозваний и нарицательных имен, приписываемых Тама-

<sup>1</sup> Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии 1802, с. 87, г. შარაძე, ევგენი ბოლხოვიტინოვი პირველი რუსი რუსთველოლოგი, 1978.

<sup>2</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები მარი ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1964, გვ. 25.

რე» — აცხადებს იგი 1846 წელს პეტერბურგში გამოცემულ „ქართული ქრესტომათის“ მეორე წიგნში<sup>1</sup>.

თეიმურაზ ბაგრატიონს არ დასცალდა საჯაროდ გაეცა პასუხი ე. ბოლხოვიტინოვისა და დ. ჩუბინაშვილისათვის პუბლიკაციის საშუალებით. იგი „ქართული ქრესტომათის“ გამოცელამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა.

არჩილ მეორის, ანტონ კათალიკოსისა და XVIII—XIX საუკუნეების სხვა ქართველ მოღვაწეთაგან განსხვავებულნი პოზიცია დაიკავა ჩახრუხაძის „თამარიანის“ შეფასებაში ჩვენმა სასიქადულო მწერალმა ი. ჭავჭავაძემაც თავის ცნობილ პოლემიკურ სტატიაში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“ იგი წერდა: „ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დადებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოც-მარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსებში!.. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისგან არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა“<sup>2</sup>.

ი. ჭავჭავაძის მხრივ „თამარიანის“ ამგვარი მძაფრი კრიტიკა უნდა აიხსნას თვით იმ სტატიის „ორიოდე სიტყვის“ მწვავე პოლემიკური ხასიათით და საერთოდ XIX საუკუნის 60—70-იან წლებში პოეტის უტილიტარულ შეხედულებათა ძლიერი გატაცებით. გარკვეულ გავლენას მოახდენდა ილიაზე ალბათ მისი მასწავლებლის დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებაც ამ პოემაზე.

ჩახრუხაძემ თავისი „თამარიანით“ სრულიად კანონიერად დაიკავა საბატო ადგილი ჩვენს მრავალსაუკუნოვან სიტყვაკაზმულ მწერლობაში, მანვე გაამდიდრა იგი ოცმარცვლიანი შაირით და საფუძველი ჩაუყარა ახალ ლიტერატურულ ჟანრს — ქართულ სახოტბო პოეზიას.

<sup>1</sup> Грузинская хрестоматия, ч. II, 1846, с. 3.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. II, წერილები ხელოვნებაზე და ლიტერატურაზე, პ. ინგოროყვას რედაქციით, 1941, გვ. 7.

1838 წელსვე, თბილისში, იმავე ი. და დ. არზანოვების სტამბაში პლ. იოსელიანი ბეჭდავს იოანე შავთელის პოემას „თამარ მეფისა და მეუღლისა მისის დავით მეფისა შესხმა“. როგორც ტიტულის უკანა მხარეს დაბეჭდილი ცნობა მოწმობს, ეს გამოცემა მიძღვნილი ყოფილა იმერეთის მეფის სოლომონ მეორის თანამეცხედრის, სამეგრელოს მთავრის კაცია დადიანის ასულის დედოფალ მარიაამისადმი.

ტიტულის შემდეგ, ახალ გვერდზე დაბეჭდილია ნაწყვეტი: ანტონ I კათალიკოსის „წყობილსიტყვაობიდან“, რომელიც იოანე შავთელისადმი მიძღვნილ „ქებანის“ შთაბეჭდილებას ტოვებს:

„ნეტარი ესე, პიტიკოსი კაცი,  
მალა გამოშტქმელ, მოძღურებრთა ბრწყინულე,  
სიბრძნის მოყუარე, მართალ მესილოგიზმე,  
ღუთის-მეტყველები, შექმნილ ყოველსა შინა,  
იოანნი ბრძენ, შავთელ ზედ-წოდებული,  
შოთა ჰსთქუა მისთვის, უქესო ლექსი შავთელს,  
და თამარ დიდის, ისტორიათა შინა,  
შაირთ გამოშტქმელ, და წმიდად მოითხრობვის,  
განწმინდა ამან, სარკე უბიწოებით,  
და მისცა ღმერთსა, რომლისა წინაშე ჰსდგას“.

ისევ როგორც ჩაზრუნბძის „თამარიანში“, აქაც პოემის სათაურთან დაკავშირებით პლ. იოსელიანი საყურადღებო ცნობებს იძლევა სქოლიოში შავთელის შესახებ „ძუელსა დედაწაში, — გადმოგვცემს გამომცემელი. — ზედაწარწერა (სათაური — ო. კ.) წიგნისა ამის ესრეთ ეწერა: დიდისა თამარ მეფის გიორგი მეფის ასულისა, დავითიან ბაგრატიონისა და მეუღლისა მისისა, ბაგრატიონისავე დავით მეფისა სრულიად მპყრობელისა სამთა საპეტოთა: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა, საათაბაგოს, ოდიშისა, გურიისა, აფხაზეთისა, სვანეთისა და სხუთა, და სხუთა, და სხუთა მპყრობელისა შესხმა, აბდულ-მესია შავთელისაგან (ესე იგი მონა ქრისტესი) თქმული, რომელი იყო ადგილთაგან საათაბაგოსათა, ამან მოართუა გელათიდამ, მეფისა თამარს, რომელი იყო მდივანი მეფა თამარისა და შემდგომად იქმნა მონაზონ. და უწოდეს სახელად იოანე, რომელმან მოიგო ცხოვრება

თვისი გელათისა მონასტერსა შინა ეკლესიასა, რომლის თვის იტყვეს რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსნის დამწერელი, კაცი ბრძენი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი და მრავალთა ენასა ზედ-მიწევნელი: „აბდულ მესია შავთელისა, ლექსი მას უქვეს რომელსა“.

ამ ცნობიდან ვგებულობთ, რომ შავთელი წარმოშობით სამცხე-საათაბაგოდან ყოფილა, ერთხანს თამარის მდივან-მწიგნობრად უმსახურია, შემდეგ კი იოანეს სახელით გელათში ბერად აღკვეცილა.

1883 წელს იოანე შავთელის „თამარიანი“ ზ. ჭიჭინაძემ მეორედ გამოცა. იგი გადმობეჭდილია 1838 წლას პლ. იოსელიანის გამოცემიდან. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ზ. ჭიჭინაძისეული „თამარიანი“ შეძლებისდაგვარად დაზღვეულია კორექტურული შეცდომებისა და ენობრივ-სტილისტური უზუსტობებისაგან, მაგალითად, პლ. იოსელიანის გამოცემის სათაურში თამარი მოხსენიებულია „მეფად“, ზ. ჭიჭინაძესთან იგი იწოდება „მეფედ“, პლ. იოსელიანის გამოცემაში ვკითხულობთ: „ესე მისითა, ესე მისითა“, ზაქარია ჭიჭინაძისაში — „ესე მისითა, ეს ამისითა“, პლ. იოსელიანის გამოცემაში ნათქვამია: „აქა მით მორჩი, აქა მით მორჩი“, ზ. ჭიჭინაძისაში — „აქა მით მორჩი, აქ ამით მორჩი“ და სხვა.

იოანე შავთელის „თამარიანი“ და ჩახრუხაძის ამავე სახელწოდების პოემა ქართული სახოტბო პოეზიის საუკეთესო ნიმუშებია. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. კერძოდ, ჩახრუხაძისა და შავთელის „მსოფლმხედველობა ერთი და იგივეა: ქართული სახელმწიფოებრივობის ღვთაებრივი წარმოშობა, ძველი და ახალი აღთქმის ისტორიის მესიანიზმი, რომელსაც მიზნად ჰქონდა თამარისა და მისი ბრწყინვალე ეპოქის მომზადება, ეთეროვანი დედოფლის გაღმერთება და სხვა ამგვარი მოტივები, ერთნაირად გვესმის ორივე ხოტბაში. დაწერილია ჩვენი ხოტბა (ი. შავთელის „თამარიანი“ — ო. კ.) იმავე ოცმარცვლიანი, ჩამოყალიბებული, სურათოვანი, მაჯამებით გამშვენებული ლექსით, როგორითაც ჩახრუხაძის „თამარიანი“. განსხვავება „თამარიანსა“ და ამ ხოტბის საზომს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ამ ხოტბაში (ი. შავთელის „თამარიანი“ — ო. კ.) თითოეულ ოთხტაეპიან სტროფს თავისი საკუთარი

რითმა აქვს, „თამარიანში“ კი საუკეთარი რითმა აქვს არა ოთხ-ტაეპოვან სტროფს, არამედ თითოეულ ცალკეულ ოდას, მიუხედავად ამისა, თუ რამდენი სტროფია მასში. ნათესაობა ამ ორ ნაწარმოებს შორის, იდეური და ფორმალური, აიხსნება იმით, რომ ჩახრუხბაძე და შავთელი არიან მწერლები ერთი და იმავე დროისა და წარმომადგენელი ერთი და იმავე ლიტერატურული სკოლისა. მათი „ქებანი“ მდიდარ და უძვირფასეს რეალებს იძლევიან XII საუკუნის საქართველოს ცხოვრების გასათვალისწინებლად<sup>1</sup>.

XIX საუკუნის 30-იანი წლებს მიწურულისათვის ჩახრუხბისა და ი. შავთელის პოემათა გამოცემით პლ. იოსელიანმა საქვეყნოდ ცხადყო, რომ ქართველ ხალხს მრავალსაუკუნოვან სასულიერო მწერლობის გარდა, XI—XII საუკუნეებისათვის მდიდარი სახოტბო პოეზიაც ჰქონდა.

1838 წელს იოანე შავთელის „თამარიანის“ გამოცემის შემდეგ, მთელი თორმეტი წლის მანძილზე, ძველი ქართული საერო კლასიკური ლიტერატურის გამოცემა წყდება. ეს განაპირობა იმ ფინანსურ-ეკონომიკურმა სიძნეეებმა, რაც დაკავშირებული იყო წიგნების ბეჭდვა-გამოცემასთან.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ტერების შედეგად მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ინიციატივით, კავკასიის მთავარმმართველ მ. ვორონცოვის მატერიალური ხელშეწყობით, ძველი ქართული საერო კლასიკური ლიტერატურის გამოცემა კვლავ აღორძინებას განიცდის. 1851 წელს თბილისში, კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის სტამბაში იბეჭდება იოსებ სააკაძის „დიდმოურავიანი“. ტიტულის უკანა მხარეს ნათქვამია: დაიბეჭდა „ბრძანებითა კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის მიხაელ სიმონის ძის ვორონცოვის“. მომდევნო ახალ გვერდზე ვკითხულობთ: „მათს ბრწყინვალეებას კავკასიისა ნამესტნიკს კნიაზს მიხაელ სიმონის ძეს ვორონცოვს, მათასავე ბრძანებით აღბეჭდილი წიგნი ესე ეძღვნის უმდაბლესად“. ამ გვერდის უკანა მხარეს დაბეჭდილია ორი სტროფი ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობიდან“.

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“, 1958, გვ. 81.

„იოსებ თუმცა, დაპშურა ამათა —  
 ვითარმედ ესე არა თანა-ედღა მას,  
 მაგრა გონება, მისი ქულმდებარებადა,  
 თავის-უფალთა, ცნობათა რომელითაცა,  
 ჰსთქმიდა შეენიერ, საქებელ შეწყობითა.  
 იოსებ კმადლა, გამოცდილ იყო სრულად,  
 პიიტეკოსთა, ხელოვნებათა მიმართ,  
 საყუარელ-იყო მეფეთა მამინდელითა,  
 საყუარელ-იყო ერთაც ყოველთგას,  
 აქებდეს მისსა, სიბრძნის-მოყუარესა“.

წიგნს დართული აქვს პლ. იოსელიანის წინასიტყვაობა. ეს არის პირველი მეცნიერული გამოკვლევა „დიდმოურავიანის“ ავტორის ვინაობის, ამ გამოკვლემის ხელნაწერის, პოემის რაობისა და სხვ. შესახებ. შემდეგში „დიდმოურავიანით“ მრავალი მკვლევარი დაინტერესდა, მაგრამ პლ. იოსელიანთან შედარებით რაიმე მნიშვნელოვანს ვერ მიაღწია. გ. ლეონიძე ამის თაობაზე 1939 წელს წერდა: „სამწუხაროდ, მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობები შემონახულა პოეტის (იოსებ სააკაძის — ო. კ.) შესახებ და ვერც ჩვენ ვუმატებთ ახალ რამ საყუარდლებოს“<sup>1</sup>. იქვე იგი განაგრძობს: „არც ერთი მკვლევარი არავითარ წყაროს არ გვისახელებს თავისი ცნობის დასამტკიცებლად. ვფიქრობთ, ზემოხსენებული მკვლევრები შეუღოწმებლად და გამოუკვლევად მხოლოდ პლ. იოსელიანის ცნობას იმეორებენ“<sup>1</sup>.

პლ. იოსელიანის განცხადებით ავტორი „წიგნისა ამის („დიდმოურავიანის“ — ო. კ.) იოსებ თფილელი — მიტროპოლიტი გუარით სააკაძე, იყო ძის-ძეი დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძისა“ — ბაბათას ანუ სიანუშისა. ამას მოწმობს პოემის ტექსტის ბოლოს დამატების სახით დაბეჭდილი ლექსი „ანბანთ-ქების“ ავტორის ვინაობის გასარკვევად სქოლიოში მოტანილი პლ. იოსელიანის შემდეგი ცნობა: „ბაბათა არის ლექსი თათრული და ეწოდა მამასა მისსა (იოსებ სააკაძისა — ო. კ.) სიაშს მას უამსა ოდეს ჰცხოვრებდენ უცხოებასა შინა აზრუმსა და ოსმალოსა სამძლუართა ძენი და ასულნი დიდისა მოურავისა, განდევნილისა მეფისა როსტომისაგან“.

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“, 1958, გვ. 82.



ამასვე იმეორებს პლ. იოსელიანი პოდპოლკოვნიკ თავად რამაზ დიმიტრის ძე თარხნიშვილის თხოვნით დაწერილ გამოკვლევაში „Жизнь Великого Моурави князя Георгия Саакадзе, родоначальника Князей Тархан-Моуравовых с приложением описания Эртацминдского храма и Кватахевского Монастыря“, რომელიც 1848 წელს ცალკე დაიბეჭდა. პლ. იოსელიანი აქაც ადასტურებს, რომ იოსები ნამდევრად იყო გიორგი სააკაძის შვილის ბაბათას, ანუ სიანუშის ძე.

კ. კეკელიძე პლ. იოსელიანის ამ მოსაზრებას საექვოდ მიიჩნევს: „დაბეჯითებით თქმა იმისა, — წერს იგი, — რომ იოსებ თბილელი არის ძის ძე. გიორგი სააკაძისა, შვილი სიანუშისა, ძნელია“. კ. კეკელიძე ჩამოთვლის დიდი მოურავის შვილების სახელებს და ასკვნის: „არსაიდან არ ჩანს, რომ დიდ მოურავს ჰყოლოდეს... შვილი სიანუში. ასე რომ დანამდევრებით არ ვიცი, ძის ძე თუ ძმის ძე იყო იოსები დიდმოურავისა, მაგრამ მას რომ ნათესაური კავშირი უქველად ჰქონდა დიდ მოურავთან და სააკაძეთა გვარს ეკუთვნოდა, ამას თვითონაც ადასტურებს შემდეგი სიტყვებით: „ნათესავ-მოდგამა გვარტომიან მისმან ესე ვიწყე წერებადო“<sup>1</sup>.

იგივე აზრს გამოსთქვამს გ. ლეონიძე: „საექვო უნდა იყოს ცნობა, — აცხადებს იგი, — თითქოს იოსები იყო „ძის ძე დიდის მოურავისა“. მაგრამ იმავე დროს, რაკი იოსები გიორგი სააკაძის „ნათესავ-მოდგამა გვარ-ტომია“, ეფიქრობთ, იგი უნდა იყოს დიდი მოურავის ერთ-ერთი ძმის შვილი ანუ მოურავის ძმისწული“<sup>2</sup>.

სამწუხაროდ, პლ. იოსელიანი არ ასახელებს წყაროს გიორგი სააკაძისა და სიანუშის მამა-შვილობის შესახებ. არც კ. კეკელიძე და გ. ლეონიძე ასაბუთებენ დოკუმენტურად თავიანთ მოსაზრებას სიანუშისა და დიდი მოურავის ძმობის თაობაზე. ამდენად, საკითხი „დიდმოურავიანის“ ავტორის იოსებ სააკაძის დიდ მოურავთან ნათესაური კავშირის დასადგენად მკვლევართაგან შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

პლ. იოსელიანის ცნობით იოსებს აღზრდა ქვათახევის მონასტერში მიუღია და იქვე აღკვეცილა ბერად. შემდეგ ერთ-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობა, ტ. II, 1941, გვ. 476.

<sup>2</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 83.

ხანს რაჭაში ნიკორწმინდის ეკლესიაში ყოფილა გამწესებული არქიებისკოპოსად, საიდანაც მალე ქართლის მეფის როსტომის თხოვნით სამცხე-საათაბაგოში გადასულა თურქთაგან გაუქმებული აწყურის ეპარქიის აღსადგენად, მაგრამ ახალციხის ფაშას არ მიუღია. ბოლოს იოსები თბილისშია და როსტომას მიერ ნაბოძებ სამიტროპოლიტო კათედრას განაგებს. კ. კეკელიძე ყოველივე ამის შესახებ წერს: „ძნელია თქმა, რამდენად დასაჯერებელია ეს ცნობები, ვინაიდან, სამწუხაროდ, პირველწყაროები არაა ნაჩვენებო“<sup>1</sup>

კ. კეკელიძის ეს მოსაზრება სწორია ერთის პირობით — თუ არ გავაყრცელებთ მას იოსების თბილისის მიტროპოლიტად კურთხევაზე. მართალია, ზუსტად არ ასახელებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში პლ. იოსელიანს სარწმუნო საბუთი ჰქონია ხელთ. წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავს: „გუჯარი ერთი თფილისის სიონისა ეკლესიისა გვაუწყებს, რომელ იწოდებოდა იგი თფილელ მიტროპოლიტად 1662 წელსა“. ამ ცნობის საფუძვლიანობას ადასტურებს თავად კ. კეკელიძეც. იგი წერს: „თბილისის კათედრაზე იოსები ჩანს 1661, 1662; 1665, 1666; 1670; 1671; 1681; 1682; 1683; 1685; 1686 წლებში“.<sup>2</sup>

პლ. იოსელიანის ცნობის ექვემდებარებაზე მოწმობს აგრეთვე გ. ლეონიძის განცხადება: „სიონის კათედრას იოსებ სააკაძე განაგებდა 1659—1660—1688 წლებშიო“<sup>3</sup>.

მიტროპოლიტად ყოფნის პერიოდში ბევრი რამ გაუქმებულია იოსებს სიონის ეკლესიის საკეთილდღეოდ. ამჯერადაც წყაროზე მითითებით პლ. იოსელიანი წინასიტყვაობაში წერს: „გრამატიდამ, რომელიცა აწცა ჰგიეს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორასა შინა (ქორონიკონით 376—1683) ჰსჩანს, რომელ დიდად განმრავლდა ბიბლიოტეკა ანუ წიგნთა-საცავი სიონის ეკლესიისა, მოუსყიდა და მოუშოვნა ყმანი და მამულნი. მისსავე ლუაწითა შუადგომლობითა მიეცა სიონისავე წმიდასა ტაძარსა მეფისა გიორგი XI ანუ სსუათა სახელით

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობა, ტ. II, 1941, გვ. 477.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 87.

შაჰნავაზ მეორისაგან თფილისის აბანო, აწმდე წოდებული აბანოდ სიონისა“.

ჩვენამდე „დიდმოურავიანის“ მრავალი ხელნაწერია მოღწეული, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა XVIII—XIX საუკუნეებით თარიღდება. პლ. იოსელიანს გამოსაცემად დავით რექტორის ხელნაწერი შეურჩევია. „თხზულება ესე... დიდმოურავიანი, — გადმოგვცემს პლ. იოსელიანი, — დავაბეჭდვით უმეტესაკლებოდ იმა დედანზედ, რომელიც ვაპოვე გადაწერილი კარგისა და გარკვეულის ხელით თელავის სემინარიის რექტორის დავით ალექსიევისაგან მისართმევედ თავადის სტატსკის სოვეტნიკის გიორგი ეგნატის-ძის თუმანოვისა, წელსა 1823-სა“.

გ. ლეონიძის დაკვირვებით, ისევე როგორც დანარჩენი ხელნაწერები, დავით რექტორის ნუსხაც შორს უნდა იდგეს ორიგინალისაგან. მართალია, სტროფების რაოდენობით ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ ტექსტუალურად გადამწერთაგან ერთმანეთზე უარესადაა წარყვნილი. მათში სიტყვები და ფრაზები მრავალგან დამახინჯებულია. ამ მხრივ გამონაკლისია XVII საუკუნით დათარიღებული ხელნაწერი, რომლის მიხედვითაც გამოსცა 1939 წელს გ. ლეონიძემ „დიდმოურავიანი“. იგი წერს: „არც პლ. იოსელიანს და არც იმედაშვილ-ჭელიძეს (პოემის 1897 წლის გამოცემლებს — ო. კ.) ჩვენი ხელნაწერი ხელთ არ ჰქონიათ და შეარყვნილ ხელნაწერებს დაყრდნობიან... ამ უძველეს ხელნაწერში... პოემა ცალკე თავებად არ არის დაყოფილი და არც ცალკე სათაურები აქვს, როგორც ეს სხვა ხელნაწერებში და ნაბეჭდ გამოცემებში გვხვდება. მანამადა, სათაურები ავტორს იოსებ ტფილელს არ ჰკუთვნებია... ხსენებულ სათაურებს ჩვენს პოემასთან არავითარი კავშირი არა აქვს, იგი შემდეგ დროში მიუტმასნებიათ რექტორ-გადამწერებს და აქედან გადასულა პლ. იოსელიანის და ჭელიძის ნაბეჭდ გამოცემებშიც“<sup>1</sup>.

საყურადღებოა პლ. იოსელიანის მიერ წინასიტყვაობაში გამოთქმული მოსაზრება „დიდმოურავიანის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების რაობაზე. მისი განმარტებით იგი

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 72—74.

არის ისტორიული შინაარსის პოემა, რომელშიაც აღწერილია ქართლ-კახეთის ბედუქულმართი წარსული XVII საუკუნის პირველ სამ ათწლეულში. ამიტომაცაა, რომ პლ. იოსელიანი იქვე წერს: „წიგნი ესე სავეა ისტორიულის მოთხრობებთო“.

პოემის ტექსტის ბოლოს დამატების სახით „ანბანთქების“ გარდა, დაბეჭდილია აგრეთვე იოსებ სააკაძის მეორე ლექსი „იგავი, მიძღვნილი იოსებ ტფილელისაგან. იაკობ შემოქმედელისადმი განსამტკიცებლად“.

1852 წელს თბილისის ნამესტნიკის სტამბაში პლ. იოსელიანი ბეჭდავს კიდევ ერთ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლს „მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუსისა მიტროპოლიტისა“. ეს არის სტამბურად გამოცემული პირველი ქართული მემუარული ჟანრის ნაწარმოები. იგი „დიდმოურავიანის“ მსგავსად კავკასიის მთავარმართებელ მ. ვორონცოვის ხელს შეწყობით დაბეჭდილია.

წიგნს გამოკვლევის სახით წამძღვარებული აქვს პლ. იოსელიანის წინასიტყვაობა. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც იოსებ სააკაძის ცხოვრება-მოღვაწეობა და მისი პოემა, არც იოანე გედევანიშვილის ბიოგრაფია და მისი „მიმოსულა“ პლ. იოსელიანზე აღრე არავის გაუხდია სპეციალური შესწავლის საგნად.

„დიდმოურავიანისაგან“ განსჯევებით „მიმოსულის“ წინასიტყვაობაში მოტანილი ცნობები, მასში გამოთქმული მოსაზრებანი და დასკვნები დასაბუთებულია წყაროთა მოშველიებით, ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, რაც მას, როგორც დამოუკიდებელ გამოკვლევას, სარწმუნოს ხდის. სწორედ ამიუხნდა აიხსნას, რომ კ. კეკელიძე თავის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ პირველ ტომში იოანე გედევანიშვილის „მიმოსულის“ განხილვისას წინასიტყვაობაში გამოთქმულ პლ. იოსელიანის მოსაზრებებს უსიტყვოდ იზიარებს.

პლ. იოსელიანის წინასიტყვაობის პირველი წყარო თავად „მიმოსულაა“. მასში გაბნეულ ცნობებზე დაყრდნობით იგი გადმოგვცემს, რომ იოანე იყო ძე კათალიკოსის სარდლის ვაბრიელ გედევანიშვილისა. დაბადებულა 1737 წელს. სწავლა-აღზრდა სიყრმიდანვე ანტონ I კათალიკოსის კარზე მიუღია.

1753 წელს 16 წლის იოანე ანტონსავე იეროდიაკვნად უკურთხებიან.

ამის შემდეგ, ამჟერად უკვე საისტორიო საბუთების მოშველიებით, პლ. იოსელიანი ავსებს და სრულყოფილს ხდის იოანე გედევანიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას. რუსეთის სინოდალურ არქივში მოძიებული დოკუმენტით იგი ადგენს, რომ კათოლიკობისათვის საქართველოდან განდევნილ ანტონ I კათალიკოსს იოანეც გაპყოლია რუსეთში. ერეკლე მეორისაგან შენდობილი ანტონის საქართველოში დაბრუნების შემდეგ იოანეც ჩამოსულა სამშობლოში და მისთვის მცხეთის ჯვრის არქიმანდრიტობა უბოძებიათ. 1775 წელს იგი უკვე რუსის ეპარქიის მიტროპოლიტი გამხდარა. სინოდალურსავე არქივში მიკვლეული მასალების საფუძველზე პლ. იოსელიანი განმარტავს: „სოფლისა ლელუვამან... მიჰსცა იგი ეკლესიისა სამსჯავროსა. განჩინებთა თვით მეფისა ირაკლი მეორისა 1780 წელსა მოელო მას ეპარხია სამღუთო მსახურება მღუდელ-მთავრობისა და მღუდელ-მოქმედებისა და იქმნა წარმოგზავნილ პყრობილად დავით გარეჯის უდაბნოსა“. რა იყო იოანეს ესოდენ მკაცრად დასჯის მიზეზი, რა იგულისხმება, „სოფლისა ლელუაში“, ამის შესახებ პლ. იოსელიანი არაფერს ამბობს და ჯერჯერობით სხვა მკვლევართაგანაც დაუდგენელია. ჩანს, მიზეზი საკმაოდ სერიოზული ყოფილა, რადგანაც ქართველ ღვთისმსახურის დასჯის გამო მისთვის ისეთი ახლობელი პარონებაც კი, როგორც ანტონ I კათალიკოსი იყო, პლ. იოსელიანის ცნობით, კონსტანტინოპოლის პატრიარქს წერილობით აცხადებდა: „მიტროპოლიტი იოანე განმისულდა მღუდელ-მთავრობისა ხარისხიდან და სიკვდილამდე აღეკრძალა მღუდელ-მოქმედებაო“.

დავით გარეჯიდან იოანე გაპარულა და იმერეთისათვის შეუფარებია თავი, მაგრამ აქ იგი „არა შეწყყნარებულ იქნა არცა მეფისა და არცა ეპისკოპოსთაგან“. იმედგამტყუნებელი ისევ უკან გამოუგზავნიათ თბილისში და ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში მიუჩენიათ საცხოვრებელი ბინა. იოანე დიდხანს არც აქ გაჩერებულა. ამჟერად იგი უკვე ახალციხის ფაშასთან გაპარულა, რომელსაც ლტოლვილი ღვთისმსახური კონსტანტინოპოლში გაუგზავნია, „რათა გვემულს

მწუხარებითა და მაძიებელს მოტყეებისა, მიელო კუალად ხსნილება პატრიარქისაგახ ანტიოხიისა და ეპარხია ჯავახეთისა ანუ ახალციხისა“.

კონსტანტინოპოლელ ქრისტიანთა პატრიარქმა პროკოფიმა და იერუსალიმელ მართლმადიდებელთა მოძღვართ-მოძღვარ-მა აბრამმა ყურად იღეს იოანე გედევანიშვილის ვედრება, შეუნდეს შეცოდებანი და იგი მღვდელმთავრის უფლებებში აღადგინეს. ასეთივე მოწყალება მოიღეს ლტოლვილ ღვთისმსახურის მიმართ ალექსანდრიის პატრიარქმა გერასიმემა და ანტიოქიის ეკლესიის წინამძღოლმა.

სამღვდელთმსახურთა უფლებების დაბრუნების შემდეგ, იოანემ შემოიარა აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ქვეყნები და ვენაზე გავლით მოლდავეთში ჩავიდა, სადაც იგი რუსეთის საიმპერატორო კარის წარმომადგენელს თავად პოტიომკინს პატივისცემით მიუღია. აქვე შეხვედრია იოანე გაიოზ რექტორს.

1792 წელს იმპერატრიცა ეკატერინე II იოანე გედევანიშვილისათვის ყოველწლოურ პენსიად 600 მანეთი დაუნიშნა და კიევში ცხოვრების უფლება მიუცია. 1795 წლიდან სიონის ნებართვით იოანე მოსკოვში გადასულა საცხოვრებლად, სადაც 1821 წელს 4 აგვისტოს 84 წელს მიტანებული გარდაცვლილა.

მოსკოვში ცხოვრების პერიოდში იოანე გედევანიშვილი, ჩუდოვოს მონასტერში ღვთისმსახურების გარდა, ნაყოფიერ ლიტერატურ-შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა.

„მომოსულას“, გამოკვლევის სახით წამძღვარებული პლ. იოსელიანის წინასიტყვაობის გარდა, დართული აქვს სქოლიოები, რომლებშიაც მოცემულია საინტერესო ცნობები ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებასთან, ფაქტთან, მოვლენასთან დაკავშირებით. მათ კომენტარებისა და შენიშვნების დანიშნულება აქვთ. ერთ-ერთ მათგანში, მაგალითად მოტანილია გაიოზ რექტორის ბიოგრაფიული თარიღები, გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი გვარად ნაცვლიშვილი ყოფილა; ძეორეში ძალზე შეკუმშულად გადმოცემულია ათონის ივერთა მონასტრის ახლოს მდებარე სოფელ ივერიის ისტორია; მესამეში განმარტებულია პაფოს ეპარქიის მონასტერში შემო-

ნახული ლუკა მახარობლისეული მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატების ურთიერთობის საკითხი და ა. შ.

წიგნის ბოლოს დაბეჭდილია ლექსი „სიტყუა ლექსად თქმული იონა მიტროპოლიტის გედეონის-ძისაგან“, რომელშიც „მიმოსულის“ მსგავსად, მაგრამ მოკლედ, აღწერილია ავტორის მოგზაურობა. აქვეა დაბეჭდილი „გუარშთამოება, ესე იგი თვისთა მშობელთა და სახლისა თვისისა მოთხრობაი, ანუ სიტყუაი“, რომელშიც განხილულია გედევანიშვილების საგვარეულოს წარმოშობის ისტორია.

„მიმოსულის“ გამოცემას საფუძვლად დადებია უშუალოდ ორიგინალურიდან გადაწერილი ხელნაწერი. პლ. იოსელიანი ამის შესახებ წინასიტყვაობაში წერს: „წიგნი ესე დაიბეჭდა იმა ნამდვილიდამ, რომელიცა გარდაეწერინა თვით მას (იონანე გედევანიშვილს — ო. კ.) მოსკოვს და წარმოეგზავნა მუნთ თვისთა ნათესაეთათვის“.

საგულისხმო ცნობას გვაწვდის პლ. იოსელიანი იმავე წინასიტყვაობაში აგრეთვე „მიმოსულის“ ტექსტის ბოლოს დაბეჭდილ გედევანიშვილების საგვარეულოს ისტორიის, ავტორის ვინაობისა და მისი გამოქვეყნების მიზანდასახულობის შესახებ. „ამავე მოგზაურობისათვის (იგულისხმება „მიმოსულა“ — ო. კ.) თვით მწერალსა იონანე გედევანიშვილს — ო. კ.) დაურთავს მოთხრობა გუარ-შთამოობისა თვისისა, და მეც აქ დაბეჭდვდე ესე, სახედ, რათა სტუანიცა ქართუელნი შეუდგნენ ესე ვითარსა მაგალითსა, სასარგებლოსა ისტორიისათვიან, და დროთა წარსულთა საცნობელად“.

1838 წელს გამოცემული იონანე გედევანიშვილის „მიმოსულა“ ილუსტრირებულია. პლ. იოსელიანის წინასიტყვაობას შემდეგ, მთლიან გვერდზე, დაბეჭდილია ცნობილი ხატი „მარიამი ყრმა იესოთი ხელში“, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს: „ივერიისა კარისა ღვთისმშობელი“. ბოლოს ცალ-ცალკე გვერდებზე დაბეჭდილია პირველი ქრისტიანი ქართველი მეფის მირიანის, ვახტანგ გორგასალის, ბაგრატისა და კახეთის მეფის ლეონის პორტრეტები, რომელთაც ახლავთ მათი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ანოტაციები. ეს პორტრეტები პლ. იოსელიანს მოუძიებია და მასვე შეუდგენია ანოტაციებიც. „ხატი ესე (იგულისხმება წინასიტყვაობის შემდეგ დაბე-

ქდილი ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ხელში — ო. კ.) და სახენი ოთხთა მეფეთა: მირიანისა, ვახტანგ გორგასლისა, ბაგრატიისა და ლეონ კახთა მეფისა, ამოჭრით თითბერზედ ნამდვილთა — თანა ყოვლად მკსგავსად, დაუტრთე წიგნსა ამას იონას მოგზაურობასა ბრძანებითა და სურვილითა უგანათლებულესისა კნიაზისა მ. ს. ვორონცოვისა.

მცირედნი უწყებანი მეფეთა ამათვის, სასარგებლონი მკითხველთათვის, ჩემით შევადგინე და დაუმატენ, — წერს პლ. იოსელიანი წინასიტყვაობაში.

1852. წელსვე, იოანე გედევანიშვილის „მიმოსულაზე“ აღრე იბეჭდება „მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“. ეს წიგნი, ისე, როგორც იოანე გედევანიშვილის „მიმოსულა“ ეანრობრივად შემოაქული ხასიათისაა. მისი გამომცემელიც პლ. იოსელიანია.

წიგნის პირველსავე გვერდზე ვხვდებით გამომცემლისეულ შემდეგ ცნობას: დაიბეჭდა წიგნი ესე „ბრძანებითა კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის მიხაელ სვიმონის ძე ვორონცოვისა“. ისევე როგორც „დიდმოურავიანსა“ და „მიმოსულას“ ამ გამომცემასაც ახლავს მიძღვნა მიხეილ ვორონცოვისადმი, რომელშიაც მადლობის ნიშნად აღნიშნულია კავკასიის მთავარმართებლის ღვაწლი და დამსახურება „მოხილვის“ დაბეჭდვაში.

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამომცემათა ტრადიციისამებრ „მოხილვასაც“ აქვს წინასიტყვაობა, რომლის ავტორიც ამჟერადაც პლ. იოსელიანია. ესეც პირველი გამოკვლევაა ამ გამომცემასა და მის ავტორზე. „მოხილვის“ ტექსტზე დაყრდნობით ვგებულობთ, რომ ტიმოთე გვარად გაბაშვილი ყოფილა. იგი ბესარიონ კათალიკოსს აღუზრდია. ერთხანს მას ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრა ეკავა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ დასავლეთ საქართველოში. 1738 წელს იმერეთის მეფეს ალექსანდრეს ელჩად გაუგზავნია რუსეთში, საიმპერატორო კარისათვის მაჰმადიანურ სახელმწიფოების წინააღმდეგ საბრძოლველად სამხედრო დახმარების სათხოვნელად. პლ. იოსელიანი გადმოგვცემს: „ოდეს, ვითარ, და სადა განვლო ხარისხნი მონოზონებისა, არა



მსახანს წერილთაგან. მხოლოდ ვუწყვი ძუელთა საქმეთაგან უწმინდესისა რუსეთისა სინოდისა, ხადაცა განვლე მე ორი წელმსახურებისა, რომელ წარგზავნილ იყო იგი იმერეთით რუსეთად 1738 წელსა ხარისხით ქუთათელ მიტროპოლიტისა, იმერთა მეფისაგან აღექსანდრე გიორგისძისა დესპანად წინაშე იმპერატრიცა ანნა იოანოვნასსა. მისრულმან სანკტებერბურღსა მთართუა არზა უწმინდესსა სინოდსა ივლისისა თთვესა 1738 წელსა და ითხოვა, რათა ჰსცენ მას ნება უსისხლონსა მსხვერპლისა შეწირვისა“. მისი ეს პირადი თხოვნა დაუკმაყოფილებიათ, მაგრამ იმერეთის სამეფოსათვის სამხედრო დახმარების გაწევაზე კი საიმპერატორო კარს უარი უთქვამს.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ტიმოთე გაბაშვილი ინიშნება ქართლის მთავარეპისკოპოსად. აქ მან ანტონ I კათალიკოსობიდან გადაყენებამდე დაჰყო, შემდეგ კი გაურკვეველი მიზეზის გამო სამშობლო მიატოვა და აღმოსავლეთის წმინდა ადგილებს მოსანახულებლად გაემგზავრა. მის მიერ ამ განზრახვის განხორციელებას პლ. იოსელიანი ანტონ I საქართველოდან განდევნას უკავშირებს და სარწმუნო წყაროს უქონლობის გამო შემდეგ ვარაუდს გამოთქვამს: „შემდგომად დაბრუნებისა რუსეთით, ვითარცა თვით ჰსწერს, მიიღო მან (ტიმოთემ — ო. კ.) კათედრა მთავარ-ეპისკოპოსისა, რომელიცა იყო პირუველი შემდგომად კათალიკოსობისა; და ეამსა განდევნისა ქართლით რუსეთად დიდისა კათალიკოსისა ანტონისა ლათინთა ეკლესიისა თანხმობისათვის, ესე იგი 1754-სა, ამანცა ტიმოთემ, ვითარცა თანა-აღზრდელმან მისმან, ლტოლვა ჰყო საბერძნეთად და ვკვონებ უნებლიეთ განეშორა ეპარხიასა თვისსა, ანუ მიზეზითა მით წყენითითა, რომელ არამას, უპირველესსა იერარხსა მიენდო განმგეობა კათალიკოსობისა, არამედ რუისისა არხიეპისკოპოსისა იოსებს“.

აღმოსავლეთის წმინდა ადგილების მონახულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ტიმოთე ერთხანს დავით გარეჯის მონასტერში ცხოვრობდა, ბოლოს კი რუსეთს გაემგზავრა ექსორიობაში მყოფ ანტონ I კათალიკოსთან, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩააღწია; 1764 წელს ასტრახანში გარდაიცვალა.

პლ. იოსელიანი ტიმოთე გაბაშვილს ახასიათებს როგორც თავისი დროისათვის დიდად განსწავლულ და განათლებულ პიროვნებას, ბრძენ მოაზროვნესა და ავტორიტეტულ მოღვაწეს. „წიგნისაგან ამის, — წერს იგი წინასიტყვაობაში, — აღწერილისა მისგან, ჰსჩანს, რომელ იყო იგი კაცი განსწავლული; მოსმინა კატილორია, დიალექტიკა და კავშირი პროკლე დიადოხოსისა, მის უამისა მეცნიერებისა წიგნი და აღმოვსებისათვის სიბრძნისა წყარონი. — დიდად იყო დახელოვნებული სამღრთოთა შინა და საეკლესიოთა წერილთა და ვპგონებ, თანამოწაფეცა კათოლიკოზისა ანტონი პირველისა. ესწავა მცირედ ბერძნული და უწყოდა კარგად ენაი თათრული“.

აი ყოველივე ის, რაც იცოდა პლ. იოსელიანმა ტიმოთე გაბაშვილის შესახებ. აღსანიშნავია, რომ დღემდე, სხვა რაიმე ახალი მასალები მკვლევართაგან მოძიებული არ არის.

ტიმოთე გაბაშვილის „მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსაყლეთისა ადგილთა“ გამოსაცემად პლ. იოსელიანს ხელთ ჰქონია დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის თავად ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილის თხოვნით დავით რექტორას მიერ 1787 წელს გადაწერილი ხელნაწერი, რომელსაც ბოლო ფურცელზე შემდეგი მინაწერი ჰქონია: „ესე წიგნი გაბაშვილის ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსისაგან გაკეთებული, მთაწმინდისა და იერუსალიმისა და სხუათა ადგილთა მოხილუა, რომელი თვით ეხილუა, ყოველივე აღწერა და ერთ წიგნად ექმნა. ხოლო მე მაღალ-კეთილ-შობილმან ალექსისძემან, სრულიად კახეთის სამეფოს, თელავის ქალაქის რექტორმან, ფილოსოფიისა და ღუთის-მეტყუველებისა მოძღუარმან დავით აღვსწერე წიგნი ესე გარდანუსხვით; და ვინცა ამისგან კითხვით და ამბის შეტყობით ირგოთ, ლოცვაჰყავთ ჩემ მშრომელისათვის“.

„მოხილუა“ შედგება ტიმოთე გაბაშვილის ხელით დაწერილი შესავალისა და შემდეგი თავებისაგან: „მიმოხულა თფილისით ათონისა მთადმე“, „მისულა მონასტრად საქართუელისა კარისა ღუთის-მშობლად“, „მისულა მონასტრად ათანასი ათონელისა“ და სხვა.

წიგნს დართული აქვს სქოლიოები, რომლებშიაც გამოთქ-

მულია შენიშვნები ცალკეულ საკითხებზე, განმარტებულია ძნელად გასაგები სიტყვები და ა. შ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პლ. იოსელიანის მიერ გამოცემულ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს შორის საყურადღებოა აგრეთვე 1753 წელს კავკასიის ნამესტნიკის სტამბაში დაბეჭდილი ანტონ I კათალიკოსის იამბიკური ლექსით დაწერილი პოეტური ქმნილება „წყობილსიტყვაობა“, რომელშიც გარკვეულწილად მოცემულია XI—XVIII საუკუნეების ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ისტორია, განხილულია შ. რუსთაველის, სარგის თმოგველის, ჩახრუხაძის, სულხან-საბა ორბელიანისა და სხვათა შემოქმედებითი მემკვიდრეობა. „წიგნი ესე წყობილ-სიტყვაობა, დიდად სახმარი ისტორიისათვის ლიტერატურისა ანუ ქართველთა მწერლობისაო“. — ვკითხულობთ ამ გამოცემის პლ. იოსელიანისეულ წინასიტყვაობაში.

გამომცემელი ტრადიციას კვლავ არ ღალატობს და ტიტულის უკანა მხარეს ათავსებს კავკასიის მთავარმართებელ მ. ვორონცოვისადმი მიძღვნილ ე. წ. „მადლობის ტექსტს“ ამ წიგნის დაბეჭდვაში გაწეული დახმარებისათვის. გამოცემას დართული აქვს წიგნის ავტორის ანტონ I პორტრეტი, რომლის შესახებაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის წინასიტყვაობაში პლ. იოსელიანი. „წიგნთა ამას, — გაღმოგვემს იგი, — დაურთეთ... თვით სახე მისი (ანტონის — ო. კ.), იმა მისისა პორტრეტიდამ, რომელიცა დაეხატვინებინა თვით მას მოსკოვსა და აქუნდათ ლათინთა თფილისს მოძღუართა და უკანასკნელ მე მოვიკითხე ჩემდა საკუთრებად, შემდგომად განდევნისა მათისა თფილისიდან 1845 წელსა“. ვხვდებით აგრეთვე შენიშვნებისა და კომენტარების სახით დართულ სქოლიოებს.

ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“ პლ. იოსელიანის სხვა გამოცემებთან შედარებით ვერ დგას სათანადო სიმალლეზე. სერიოზულ ფაქტობრივ შეცდომებს ვხვდებით როგორც გამოკვლევის სახით წიგნისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში, ისე კომენტარებსა და შენიშვნებში. მაგალითად, პლ. იოსელიანი წერს, რომ „ანტონ პირველი, კათალიკოს პატრიარქი... იყო ძე მეფისა იესესი ძმისა ვახტანგ მეექვსისა ჰსჯულის მდებლისა. იშუა იგი წელსა 1714 და უწოდეს

სახელად არჩილ“. სინამდვილეში ანტონი დაბადებულია 1720 წლის 11 ნოემბერს და მისი საერისკაცო სახელი იყო არა არჩილი, არამედ თეიმურაზი.

პლ. იოსელიანს ანტონის ბერად აღკვეცის მიზეზი შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „აქა შეუღლდა იგი (ანტონი — ო. კ.) ქორწინებითა და შინაშფოთისა გამო და სხვათა გარემოებათა, დაუტევა ცოლი და წარვიდა იმერეთსა. შემდგომად რავდენისაჲ წლისა გარდაიცვალა ცოლი მისი და დარჩა ქურჩიად. მაშინ იმერეთისა კათოლიკოსმან გრიგორი აღიყვანა იგი მონაზონობისა ხარისხსა და მერეთ წინა-მძღურად გენათისა მონასტრისა“. ფაქტიურად კი ანტონის შემონაზვნება სულ სხვა გარემოებამ განაპირობა. ჯერ კიდევ 15 წლის ყმაწვილი გივი ამილახერის ასულზე დაუნიშნავთ, მაგრამ საქმე ქორწინებამდე არ მისულა. ნადირ-შაჰს საპატარძლო სპარსეთში, თავის „სადედოში“ წაუყვანია. ეს ფაქტი გახდა შემდეგში ანტონის ბერად აღკვეცის მიზეზი.

შეცდომით აქვს განსაზღვრული პლ. იოსელიანს აგრეთვე ანტონის ქუთაისის მიტროპოლიტად კურთხევის თარიღი. იგი აცხადებს, რომ „1738 წ. შემდგომად ქუთათელ მიტროპოლიტისა ტიმოთესსა მიუბოძა მეფემან ალექსანდრე მიტროპოლიტობა ქუთაისისა“. 1738 წელი ტიმოთე გაბაშვილის იმერეთის მეფის მიერ რუსეთს დიპლომატიური მისიით გამგზავრების თარიღია. ანტონი მიტროპოლიტის ხარისხსაში აყვანილი იქნა 1740 წელს.

მცდარია პლ. იოსელიანის ცნობა ანტონის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად კურთხევის თარიღის შესახებაც. „ოღეს ყაენმან შაჰ-ნადირ, — წერს იგი, — განდევნა საქართველოდამ თურქნი და მიჰსცა მეფობა ქართლისა და კახეთისა თეიმურაზს და შეილსა მისსა ირაკლის, მაშინ მეფემან აღუთქუა ანტონის, ვითარცა დის-წულსა თვისსა, გარდამოყვანა მისი ქართლისავე. 1747 წელსა შემდგომად გარდაუცვალებისა ნიკოლოზ კათალიკოსისა, მოუწოდა მას თფილისს და მიუბოძა კათალიკოსობა“. ცნობილია, რომ კათალიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე ხანჯლით მოკლა ტარციელ თამაზაშვილ-

მა 1744 წელს და იმავე წელსავე ჩაიბარა კათედრა ანტონმა და არა 1747 წელს.

სწორი არ არის პლ. იოსელიანის განცხადება, თითქოს „1783 წელსა ტრაქტატისა ძალით, რომელიცა დამტკიცდა შორის იმპერატორიცა ეკატერინა მეორისა და ირაკლი ქართლისა და კახეთის მეფისა, ჰქმნეს ანტონი წევრად უწმინდესისა რუსეთისა სინოდისა“. ანტონი რუსეთის სინოდის წევრი არასოდეს ყოფილა.

გადამოწმებასა და დაზუსტებას საჭიროებს პლ. იოსელიანის მიერ მოტანილი ანტონ კათალიკოსის არა მარტო ბიოგრაფიული თარიღები, არამედ მისი ნაშრომების შესახებ გამოთქმული ბიბლიოგრაფიული ხასიათის მოსაზრებანიც. იგი ანტონს მიაწერს ზოგიერთი ისეთი ნაშრომის ავტორობას ანდა მთარგმნელობას, რომელთა შექმნაშიც მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. პლ. იოსელიანი, მაგალითად, განმარტავს: თითქოს ანტონს ეთარგმნოს სტეფანე იავოლსკის „კლდე სარწმუნოებისა“ და იგი დაებეჭდოთ 1760 წელს მოსკოვში. ეს წიგნი, ალ. ცაგარელის აზრით, თარგმნა არა ანტონმა, არამედ ვახუშტი ბაგრატიონმა და ამასთან, დაიბეჭდა იგი არა 1760 წელს, არამედ 1738—1744 წლებში ვსესვიატსკოეს სტამბაში.

რედაქტორულად გაუმართავია „წყობილსიტყვაობის“ ტექსტიც. ამის თაობაზე ივ. ლოლაშვილი წერს: „ტექსტობრივი ანალიზი ადასტურებს, რომ გამოცემის დედანში არსებულაა მრავალი დამახინჯებული წანაკითხი, გამოცემაში კი დაშვებულია ბეჭდვითი და რედაქტორული ჩარევის შედეგად წარმოშობილი შეცდომები“<sup>1</sup>. ადგილი აქვს ცალკეულ ტაეპებში მარცვალმეტობას ან მარცვალნაკლებობას, ზოგიერთი ტაეპის გამოტოვებას, ქართველ წმინდათა მოსახსენებელ დღეებში შესასრულებელ საგალობლებსათვის ზედწარწერების წარუმიძღვანებლობას, უამრავ კორექტორულ შეცდომებს და სხვა<sup>2</sup>.

რა შეიძლება ითქვას იმ ხელნაწერის შესახებ, რომელიც სა-

<sup>1</sup> ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, 1980, გვ. 76.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 76—78.

ფუძვლად დაედო „წყობილსიტყვაობის“ 1753 წლის გამოცემას? პლ. იოსელიანი წინასიტყვაობაში ამბობს: წიგნი ესე „დავპბეჟდე თვით ნამდვილზედ, რომელიცა აღეწერა არხიდიაკონსა მისსა (ანტონის — ო. კ.) ტრიფილეს და გაესწორებინა კათალიკოზს ანტონის“. ამ ცნობას კრიტიკულ შეფასებას აძლევს ივ. ლოლაშვილი. პლ. იოსელიანის ნათქვამის „მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ თხზულება გამოქვეყნებულია ავტორგრაფიული ხელნაწერის საფუძველზე, მაგრამ ასეთი ვარაუდი მცდარია, რადგანაც ამგვარი ნუსხა ჯერჯერობით მიგნებული არაა. საეჭვოა იგი აღმოჩნდეს, რადგანაც პლ. იოსელიანს ხელთ არა ჰქონდა ანტონის მიერ ნასწორები ხელნაწერი გამოცემაში დაშვებულია ისეთი შეცდომები, რომლებიც ავტორიზებულ ნუსხაში შეუძლებელია ყოფილიყო... რაც შეეხება ცნობას, რომ რედაქტორს ჰქონდა ხელთ ტრიფილეს მიერ გადაწერილი ხელნაწერი, უნდა ითქვას, რომ ტრიფილეს მართლაც გადაუწერია „წყობილსიტყვაობა“ (ეს ირკვევა ანდერძიდან, რომელიც თხზულების ყველა დღემდე ცნობილ ნუსხას მოეპოვება), მაგრამ ეს ნუსხა დაკარგულია, ჩვენამდე მოღწეულია მისი რამდენიმე პირი, რომლებიც სხვადასხვა დროს გადაუწესებენ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე გამამწერებს“<sup>1</sup>.

ივ. ლოლაშვილი ასევე უარყოფს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო ხანებში გავრცელებულ ვერსიას 1853 წელს გამოცემული „წყობილსიტყვაობის“ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცული E 65 ხელნაწერიდან მომდინარეობის შესახებ<sup>2</sup> და იქვე გამოთქვამს ანგარიშგასაწევ მოსაზრებას სადავო საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. პლ. იოსელიანისეული გამოცემის „წყობილსიტყვაობის“ ტექსტი სტამბაში „აუწყვიათ 1808 წელს გადაწერილი ხელნაწერიდან — H 2152 (H), რომელიც მომდინარეობს H 225 (G) ნუსხიდან. ამჟამად ეს დედანი დაშლილია რვეულებად, ხოლო რვეულები — ფურცლებად; აქვს მას პლ. იოსელიანის

<sup>1</sup> ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, 1980, გვ. 76.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 79.

მინაწერები; წმინდათა ხსენების მიმანიშნებელი ზედწარწერები გადაშლილია შავი მელნით, ხოტბები დანომრილია საკომენტაროდ თვით რედაქტორის მიერ, ფურცლებს კი ეტყობა შრიფტის შავი ლაქები (ასოთამწყობის ნათითრები)<sup>1</sup>.

ამრიგად, პლ. იოსელიანი წინასიტყვაობაში შეცდომით აღნიშნავს, რომ მას „წყობილსიტყვაობის“ გამოცემისას ხელთ ჰქონდა ტრიფილეს მიერ გადაწერილი და ანტონის მიერ გააწორებული ავტორიზებული დედანი. ივ. ლოლაშვილი ასკვნის: „პირველ გამოცემას საფუძვლად დასდებია ნუსხა, რომელშიც ტექსტი დაცულია ცუდად. სწორედ ამან განსაზღვრა გამოცემის დაბალი დონე“<sup>2</sup>.

სამწუხაროდ, პლ. იოსელიანს „წყობილსიტყვაობის“ გამოცემისას უსარგებელია არა მარტო უხარისხო დედნით, არამედ მასვე გამოუყენებია აგრეთვე კრიტიკულად შეუსწავლელი წყაროები წინასიტყვაობის დაწერისას, კომენტარებისა და შენიშვნების შედგენისას. აღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, პლ. იოსელიანმა ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობის“ გამოცემით მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე გააკეთა — გაამდიდრა ქართული მწერლობა კიდევ ერთი შესანიშნავი ძველი ლიტერატურული ძეგლის პუბლიკაციით, რასაც მან საკმაოდ დიდი დრო, ძალა და ენერგია შეაღწია. ამიტომაც სრულიად მართალი ბრძანდებოდა ნ. ბერძენიშვილი, როცა თავის დროზე ამ თხზულების გამოცემასთან დაკავშირებით პლ. იოსელიანის მიერ გაწეულ შრომაზე წერდა „უნდა ვირწმუნოთ სინამდვილე, რომ მხოლოდ მეცნიერებისადმი გულწრფელი სიყვარული და სურვილი იყო — იყო სამშობლოსათვის სარგებლობის მომტანი — შეაძლებინებს ადამიანს ამგვარ შრომას, რომელიც დროისა და შრომის-მოყვარეობის დიდ მარაგს მოითხოვს“<sup>3</sup>.

1853 წელსვე კავკასიის ნამესტნიკის სტამბაში იბეჭდება აგრეთვე „ცნოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა, აღწერი-

<sup>1</sup> ანტონ ხაგრატიონი — წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, 1980, გვ. 80.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გაზ. «Кавказ», 1853, № 12.

ლი ლექსად არჩილისაგან. მეფისა“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „თეიმურაზიანის“ სახელწოდებითაცაა ცნობილი. ეს არის უკანასკნელი წიგნი, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის ხელის შეწყობით დაიბეჭდა. ამიტომაცაა, რომ ამის შემდეგ გამოცემულ ქართულ წიგნებს აღარ აქვთ ეპიგრაფივით წამძღვარებულო: „კავკასიის ნამესტნიკს, კნიაზს მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვს, მათისავე ბრძანებით აღბეჭდილი წიგნი ესე ეძღვნის უმდაბლესად“.

აღრე გამოცემული ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლებისაგან განსხვავებით „თეიმურაზიანის“ არ ახლავს გამოკვლევის სახით დართული წინასიტყვაობა. ამ ნაკლს ერთგვარად ავსებს სქოლიოებში ჩატანილი შენიშვნები, კომენტარები, სხვადასხვა სახის ისტორიული ხასიათის ცნობები, ახსნა-განმარტებანი და სხვა, რომლებიც მთლიანობაში გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს თეიმურაზის ცხოვრებაზე. აღსანიშნავია, რომ სახელოვან მეფე-პოეტის შესახებ „თეიმურაზიანის“ დაბეჭდვამდე ფართო საზოგადოებრიობისათვის ბევრი რამ უცნობი იყო.

სქოლიოებში ვკითხულობთ: „მეფე ესე თეიმურაზ იყო ამა სახელით პირველი და შვილი დედოფლის ქეთევანისა, მოწამეობისა გვირგვინით ქრისტესთვის აღსრულებულისა. იგი გამეფდა 1605 წელსა და იმეფა 61 წელიწადი“. „პაპა მისი იყო მეფე კახეთისა ალექსანდრე მეორე, რომელიცა გამაჰმადიანებულმან შეილმან მისმან კონსტანტინე, მოსრულმან სპარსეთით, მოჰკლა კახეთს 1605 წელსა. მასთანავე მოკლა ძმაცა თვისი გიორგი“. „მამა მისი (თეიმურაზის—ო. კ.) იყო დავით, ქმარი წმინდისა ქეთევან დედოფლისა. ამან, არა ღირსმან მეუღლეობისა წმინდისა ქეთევანისა, მოჰსტაცა მეფობა მამასა თვისსა ალექსანრეს, პატიმარ ჰყო იგი და თვით გამეფდა. გარნა ღმერთმან შეუმოკლა მას დღენი და შემდგომად ექუსისა თთვისა მოჰკვდა. მამა მისი ალექსანდრე გამოსრული საპყრობილით, კუვალადვე აღვიდა ტახტსა და მეფობდა“; „მეფესა ალექსანდრეს, ბოროტშემთხვეულობითა გულშემოუსრულსა და მოხუცსა, უნებდა მონოზანად შესულა მყუდროებით ცხოვრებისა თვისისა აღსრულება ალაგარდსა. — სახე მისი და მამისა მისისა ლეონ მეფისა ვიხილე ათონისა მთასა, ფილოთეოსის მონაპ-



ტრის სატრაპეზოსა კედელზედ დაბატული“; „ამ რიცხვიდამ  
ქსჩანს, რომელ მეფე თეიმურაზ გარდაიცვალა 74 წლისა“;  
„ცოლი მისი იყო სახელით ანნა, მაჰია მეორისა გურიელის  
ასული, რომლისაგანცა ჰყუა მეფესა თეიმურაზს ორნი ძენი  
ლეონ და ალექსანდრე — გარდაიცვალა 1609 წელსა ცხოვრე-  
ბისა თვისსა 19 წელსა“.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ თარიღსა და  
გაანგარიშებას, შეიძლება ითქვას, რომ პლ. იოსელიანს სან-  
დო ცნობები აქვს მოტანილი სქოლიოებში. ეტყობა, მათი შედ-  
გენისას გამოცემელს სარწმუნო ისტორიული წყაროებით  
უსარგებლია.

ამრიგად, ფაქტობრივი მასალების შესწავლამ თვალნათ-  
ლივ წარმოაჩინა ის დიდი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც  
პლ. იოსელიანს ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების  
გამოცემის საქმეში მიუძღვის. შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო  
პირველი ქართველი პროფესიონალი გამოცემელი. აქვე უნდა  
აღინიშნოს ისიც, რომ მანვე დაუდო სათავე ამ ძეგლების მეც-  
ნიერულ შესწავლას. ფართო საზოგადოებრიობისათვის გაც-  
ნობის მიზნით, პლ. იოსელიანმა იმდენად ბევრი გააკეთა ქარ-  
თული ეროვნული კულტურისათვის, კერძოდ, ჩვენი მწერლო-  
ბის პოპულარიზაციისათვის, რომ მისი მეცნიერულ-საგამო-  
ცემლო მოღვაწეობა მკვლევართაგან ცალკე, საგანგებო შეს-  
წავლას საჭიროებს.

„თეიმურაზიანის“ დაბეჭდვის შემდეგ კარგა ხანს ძველი  
ქართული ლიტერატურული ძეგლები აღარ გამოცემულა. ეს  
უნდა აიხსნას მ. ვორონცოვის საქართველოდან წასვლის შემ-  
დეგ წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეში შექმნილი მძიმე ფი-  
ნანსური მდგომარეობით. 1862 წელს ჟურნალ „ცისკრის“  
რედაქცია ივ. კერესელძის სტამბაში ბეჭდავს იოანე ბაგრა-  
ტიონის „კალმასობის“ პირველ ნაწილს.

საკითხი „კალმასობის“ ცალკე წიგნად გამოცემის შესახებ  
დ. ბაქრაძეს დაუყენებია. საზოგადოებრიობის გარკვეულ ნა-  
წილს აქტიურად დაუჭერია მხარი ამ ინიციატივისათვის. ჩაუ-  
ტარებიათ ხელმოწერა, ქუთაისში გაუმართავთ საქველმოქ-  
მედო წარმოდგენა (დაუდგავთ გ. ერისთავის „გაყრა“), რომ-

ლის შემოსავალიც მთლიანად „ცისკარის“ რედაქციისათვის გადაუგზავნიათ „კალმასობის“ გამოსაცემად.

წიგნს წინასიტყვაობის სახით დართული აქვს ამ გამოცემის თავეაცის დ. ბაქრაძის გამოკვლევა, რომელიც 1861 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა. მოკლე შესავლის შემდეგ, ავტორი ამ წინასიტყვაობისა ზოგადად გვაცნობს იოანე ბაგრატიონის ცხოვრებას რუსეთში გადასახლებაზე. „იოანე იყო 28 წლისა, — წერს იგი, — როდესაც მოუქცდა მამა. 9-ს მარტსა 1801 წ. ბატონიშვილნი — იოანე, ბაგრატი და მიხეილ განემზადებიან რუსეთში, თანხლებულნი რაოდენთა მეთაუდაზნაურთა და მოხელეთა. მხოლოდ მოზღოვში სცნობენ პავლე იმპერატორის სიკუდილს. იოანეს ესუა ცოლად ქეთევან, ასული ზურაბ წერეთლისა, რომელიც დიად გამოჩენილი კაცი იყო იმერთა სამეფოში. იოანემ დაჰყო რუსეთში 38 წელი და გარდაიცვალა 13 თებერვალს 1839 წ. 67-ის წლისა. იმან დაუტევა ერთი ვაჟი გრიგოლ, რომელიც შეუღლდა ბარბარე ბუკრინსკისა და რომელსაც დაშთა ქალ-ვაჟი იოანე და ქეთევან“.

ამის შემდეგ დ. ბაქრაძე საკმაოდ ვრცლად განიხილავს „კალმასობას“, როგორც ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლს და გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებას ნაწარმოების სახელწოდების განმარტების მიზნით. „კალმასობა“ ჰნიშნავს, — წერს იგი, — პურისა და ღვინის მოთხოვნასა მონასტრისათვის კალოობას და რთუველში“. თუ მხედველობაში არ მივალვით მცირეოდენ უზუსტობას (პურისა და ღვინის შეგროვებას უშუალოდ კალოობასა და რთუველში), შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს არის „კალმასობის“ პირველი სწორი განმარტება, რომელმაც კანონიერად დაიმკვიდრა ადგილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ამ საკითხზე გამოთქმული ალ. ღახანაშვილს. იგი „კალმასობას“ კალოობას უკავშირებდა იმის გამო, თითქოს პურის შეგროვებას კალოზე თუ კალოობის დროს ჰქონდა ადგილი<sup>1</sup>. ასეთ განმარტებას კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე არ იზიარებენ. 1936 წელს მათი რედაქციით გამოცემულ „კალმასობის“ პირველი ტომის წინასიტყ-

<sup>1</sup> А. Х а х а н о в, Очерки по исторической словестности, III, с. 342.

ვაობაში ისინი აცხადებენ: „წინამდებარე თხზულებიდან არ ჩანს, რომ პურის შეკრებას ყოველთვის კალოზე, კალოობი-სას ჰქონდეს ადგილი, თან „კალოსაგან“ „კალმასობა“-ს წარმოება არც შესაძლებელია. ამიტომ უფრო სწორი უნდა იყოს საბა, რომელსაც ეს ტერმინი გამოკყავს სიტყვისაგან „კალმასი“, რაცო, ამბობს ის, „სომხურად კალოზე პურის მოშობას“ ეწოდებაო; ქართულადო, შენიშნავს ერთ-ერთი რედაქცია მასი ლექსიკონისა, „მუჩირობა ჰქვიანო“, „მუჩირობა“ კი საბას განმარტებით, „ტკბილის“ ან ყურძნის ტკბილის „მოშოვებაა“.

ბოლოს, კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე დ. ბაქრაძისეულ დასკვნამდე მიდიან. „ასეა თუ ისე, — აცხადებენ ისინი, — თხზულებიდანაც ჩანს, რომ რეალურად „კალმასობა“ მართლაც პურისა და ღვინის შეგროვებაა მონასტრის სასარგებლოდ“<sup>1</sup>.

„კალმასობა“ იოანე ბატონიშვილის ნაშრომის ნამდვილი სახელწოდება არ არის. როგორც კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე შენიშნავენ იგი „ამ თხზულებას დაუმკვიდრდა... მხოლოდ ლიტერატურის ისტორიაში, ალბათ იმიტომ, რომ მის პირველ ნაწილში იონა ღელაშვილი მართლაც ჰკრეფს მონასტრის სასარგებლოდ პურსა და ღვინოს, არსებითად ასეთი სახელი თხზულებისათვის ზუსტი და ამომწურავი არაა, რადგანაც თხზულების სხვა ნაწილებში, განსაკუთრებით მესამეში, იონა საკალმასოდ უყვე აღარ დადის. ყოველ შემთხვევაში ასეთი სახელი ავტორს არ მიუცია თავის ნაწარმოებისათვის, ის მას უწოდებს „ხუმარსწავლას“, როგორც ეს ჩანს თვით მისივე შენიშვნიდან თხზულების ბოლოში: „დასრულდა წიგნი ესე ხუმარსწავლა“<sup>2</sup>.

პირველი მკვლევარი, ვინც იოანე ბაგრატიონის ნაშრომს სამეცნიერო ლიტერატურაში „კალმასობა“ დაუმკვიდრა სახელად, იყო დ. ბაქრაძე.

„კალმასობის“ ეტიმოლოგიურ განმარტებასთან ერთად დ. ბაქრაძეს წინასიტყვაობაში საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ნაშრომის როგორც ლიტერატურული ძეგლის

<sup>1</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1936, გვ. 1.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 2.

შეფასების თვალსაზრისით. „კალმასობა“, — აღნიშნავს იგი, — არის სარკე წარსულის საუკუნისა. ჩვენ განგებ შევამოწმეთ ისტორიის თქმულებათა და არათუ წინააღმდეგობა რაი ვპოვეთ: იმით ისტორიის მოთხრობანი ბევრით შეიშლებიან. ამგვარს წიგნს, (რომ იმაში სწავლა ქუეყანის პირნი და ისტორია, ზნეობა იყოს ამგვარად) ვერცერთ ენაზედ ვერა ჰნახავთ, როგორათაც არც ერთს ხალხს არა აქუს თვითქმნის, თვით ბროსეს შემოწმებითა, ჩუვენის ვახუშტის გეოგრაფიისთანა გეოგრაფია. „კალმასობას“, რომ საგნათ ჰქონდეს სხუა ევროპიის სახელმწიფო და იყოღ დაწერილი ფრანცუზულს ანუ ნემეცურს ენაზედა, ამაში ჩუვენ ეპვი არა გვაქუს, რამდენჯერმე გამოიცემოდა და ამ ქუეყანაში, რომელსაც ეკუთვნოდა, თვითოეულს ექნებოდა ხელში. „კალმასობას“, უნდა მივსცეთ პირუველი ადგილი ქართულს სიტყვიერებაში. „კალმასობა“ ყოველს ამერ-იმერთ ხალხში უნდა იპოვებოდეს. „კალმასობით“ უნდა ჩუვენთა ყრმა-ჰაბუკთ მ: ილონ ქართულის ენის სწავლა სასწავლებლებში. „კალმასობა“ არის უმჯობესი სახელმძღვანელო. უმჯობესი ქრისტომატია“.

საგანგებოდ ჩერდება დ. ბაქრაძე ნაწარმოების ენაზე, ხაზს უსვამს მის სისადავეს, გამომსახველობითს უნარს და უტილიტარიზმის პოზიციებიდან მაღალ შეფასებას აძლევს მას. „კალმასობის“ ენა, — წერს იგი, — არის მსუბუქი და ცხოველი, მიზნიდავი და ადვილად გასაგონი, როგორათაც კარგის საზოგადოებისათვის, აგრეთვე დაბალის ხალხისათვის. ჩუვენის აზრით, ასეთის მშვენიერის ენით ახლანდელს დროს არავინა ჰსწერს; ძუველს სიტყვებშიაც მცირე რამე იპოვება „კალმასობის“ ენით დაწერილი. თვით ტონი აქუევს დიად სასიამოვნო. ჩვეულებრივი საუბარი, რომელიც სწავლას არ შეეხება, საესეა ნამდვილის ქართულის ხუმრობითა და ოხუნჯობითა“.

„კალმასობა“ „კაცთათვის გონების გასამდიდრებელი“ წიგნია. მისი მოქმედი პირები არიან თავისი დროის გამორჩეული განათლებულ-განსწავლულნი პირნი, რომლებიც გამოთქვამენ საყურადღებო მოსაზრებებს ამა თუ იმ რთულ პრობლემატურ საკითხებზე. ავტორი საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებს ფილოსოფიაში, იურისპრუდენციაში, რიტორიკაში, ენათმეცნიერებაში, ლოგიკაში, ისტორიაში, ფსიქოლო-

გიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში და მეცნიერების სხვა დარგებში. იოანე ბატონიშვილის ენციკლოპედიური განათლებით დატყვევებული დ. ბაქრაძე ხმამაღლა აცხადებს: იგი „არის მძალის ნიჭით შემკული. ჰკითხულობთ რა „კალმასობასა“ თქუვენ არ შეიძლება არ მოხვიდეთ განცვიფრებაში ავტორის ჭეშმარიტების მსჯელობითა, სწავლათ მეცნიერების სივრცითა, პოეტურისა და კომიკურის აღბეჭდილებათა, დაწულილებითის ცოდნითა საქართველოს ჩვეულებათა, პირთა და ისტორიათა, სხუათა საქართველოს ძუელთა და ახალთა მწერლობათა შორის ისე განსხვავდება „კალმასობის“ ავტორი, როგორათაც განსხვავდება მზე პლანეტთა და ვარსკვლავთა შორის. იოანე არის ჩუვენი პომერი, ჩუვენი დანტე, ჩუვენი შექსპირი...“

ჯერ კიდევ 1861 წელს „ცისკარში“ დაბეჭდილ ჩვენთვის უკვე ცნობილ გამოკვლევაში დ. ბაქრაძე საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ამ ნაწარმოებს ცალკე წიგნად გამოცემისას უნდა დართოდა „შენიშვნები“. იგივეა გამეორებული 1862 წელს დაბეჭდილ „კალმასობის“ წინასიტყვაობაშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ისე გამოიცა, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

რა შეიძლება ითქვას 1862 წელს გამოცემული „კალმასობის“ დედნის შესახებ? კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის განმარტებით „კალმასობა“ დაწერილი ყოფილა ერთადერთ ცალად და ორ წიგნად: სამი უზარმაზარი ტომია, მეოთხე — პატარა რვეული, შეიცავს წინა ნაწილებში ალაგ-ალაგ ჩასაშატებელ ტექსტს. დაწერილია ის ერთადერთი ცალი თვით იოანე ბატონიშვილის ხელით თავიდან ბოლომდე...

აღნიშნული ოთხი წიგნი ინახებოდა ავტორის, იოანე ბატონიშვილის სახლში, პეტერბურგს. პირველი წიგნი, რომელიც 1—47 რვეულს შეიცავდა, წამოუღია იოანეს ოჯახიდან მის ცოლის ძმას, გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს, და უკანასკნელის შვილის ალექსანდრესაგან გადასულა მისი ძმისწულას და მემკვიდრის, ინესტორ წერეთლის ოჯახში. სადაც 1861 წელს უნახავს ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, 1936, გვ. X.

ქ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის ამ ცნობას გარკვეულწი-  
ლად ემორწმება თავად დ. ბაქრაძეც. 1861 წელს „ცისკარში“  
დაბეჭდილ გამოკვლევაში იგი ამბობს: „ჰსმენია ვისმე სიტყუა  
„კალმასობა“? ამას დარწმუნებით ვიტყვი, რომ ოთხ კაცს  
არ წაუტიოხავს ეს წიგნი. თვით ჩუვენ... მხოლოდ ახლა პირუ-  
ველად ვნახეთ და წავეკითხეთ. ერთის ეჭვმპლარის მეტიც  
არსად არის. „კალმასობა“ განიყოფება, როგორათაც მოხსე-  
ნებულა, ორ ნაწილად. პირუველი, რომელიც არის საგნად  
ამ სტატიისა, და ის მოებოვებინა განსუენებულს დავით და-  
დიანსა და შემდეგ იმისა ეშოვნა თ. ალექსანდრე წერეთელ-  
სა“. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ალ. წერეთლის ნაქონი  
ხელნაწერი დაედო საფუძვლად „კალმასობის“ 1862 წლის  
გამოცემას, რადგანაც იგი უნახავს დ. ბაქრაძეს 1861 წელს ნეს-  
ტორ წერეთლის ოჯახში.

„კალმასობის“ მეორე ნაწილი პირველთან შედარებით  
ხუთი წლის დაგვიანებით გამოვიდა. მძიმე ფინანსური მდგო-  
მარეობის გამო „ცისკარის“ რედაქციამ მისი გამოცემა მხო-  
ლოდ 1867 წელს მოახერხა. დაიბეჭდა იგი წინასიტყუაობის,  
შენიშვნებისა და საერთოდ ყოველგვარი აპარატურის გარეშე.

1895 წელს, თბილისში, ე. ხელაძის სტამბაში ზ. ჭიჭინაძე  
ბეჭდავს „კალმასობის“ მეორე გამოცემას, რომელსაც წინასი-  
ტყუაობის სახით ამჯერადაც წამძღვარებული აქვს 1861 წელს  
„ცისკარში“ გამოქვეყნებული და. ბაქრაძის გამოკვლევა, ახ-  
ლავს აგრეთვე ზ. ჭიჭინაძის ბოლოსიტყუაობა, რომელიც გა-  
მოცემასთან დაკავშირებულ რამდენიმე საინტერესო ცნობას  
შეიცავს.

ეს წიგნი 1895 წელზე გაცილებით ადრე უნდა გამოსუ-  
ლიყო, მაგრამ ზოგიერთი ზელშემსლელი მიზეზის გამო მისი  
გამოცემა დაგვიანებულა. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი „კალმა-  
სობის“ ავტორის უინაობის შესახებ მაშინდელ საზოგადოება-  
ში გავრცელებული ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრე-  
ბის არსებობა ყოფილა. ერთნი ნაწარმოების ავტორად იოანე  
ბაგრატიონს ასახელებდნენ, მეორენი კი — ბერმონაზონ იონე  
ტელაშვილს. უპირატესობა ამ უკანასკნელ ვერსიას მოუპოვე-  
ბია, ამიტომ დ. ბაქრაძეს წინა გამოცემისათვის დართული თა-  
ვისი წინასიტყუაობის გასწორება გადაუწყვეტია, მაგრამ სწო-

რედ იმ ხანებში გარდაცვლილა და განზრახვა ველარ განუხორციელებია. მის მიერ წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა თავად წიგნის გამომცემელს ზ. ჭიჭინაძეს უცდია. მას საგულდაგულოდ შეუსწავლია „კალმასობის“ ტექსტი, ისტორიული წყაროები და, საზოგადოებრივი აზრის გავლენით ერთგვარად იონე ხელაშვილისაყენ გადაზრის მიუხედავად, დოკუმენტური მასალების უქონლობის გამო, დ. ბაქრაძის წინასიტყვაობა პირველი ვარიანტის სახით უცვლელად დაუბეჭდია.

ზ. ჭიჭინაძე სწორად მოიქცა. დღეს მკვლევართაგან დოკუმენტურად დასაბუთებულია, რომ „კალმასობის“ ავტორია არა თავად ამ ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი ბერმონაზონი იონე ხელაშვილი, არამედ დ. ბაქრაძის მიერ თავიდანვე სწორად განსაზღვრული იოანე ბაგრატიონი.

„კალმასობის“ გამოცემის დაგვიანების მეორე მიზეზი ყოფილა დაბეჭდვისათვის საჭირო სახსრების უქონლობა. რომ არა საზოგადოებრიობის გარკვეული ნაწილის დახმარება, წიგნის გამოცემა კიდევ უფრო მეტად გაჭიანურდებოდა და, ვინ იცის, შეიძლება ეს დიდმნიშვნელოვანი წამოწყება საერთოდ განუხორციელებული დარჩენილიყო. ამ წიგნის ბეჭდვაში ზ. ჭიჭინაძისათვის მატერიალური და მორალური თანადგომა გაუწევიათ ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ლ. ბოცვაძეს, ყვარლის ქართული წიგნის მალაზიის მწარმოებელს ალ. არაბიძეს, ბაქოდან ილია პავლეს ძე ნადირაძეს, ქუთაისიდან ვასილ ბეჟანიშვილს, ბათუმიდან ლავრენტი ანტონის ძე ბერძენიშვილს, ჯანჯიდან სოლომონ იესეს ძე დოლიძესა და სხვებს.

1895 წლის ზ. ჭიჭინაძისეული „კალმასობა“ გამოცემის თვალსაზრისით გაცილებით მალეა დგას 1862 და 1867 წლებში დაბეჭდილ ამავე სახელწოდების წიგნებთან შედარებით. გასწორებულია მრავალი დამახინჯებული სიტყვა, კორექტორული შეცდომა და ა. შ.

დასასრულ, ერთი საკითხის შესახებ: ზ. ჭიჭინაძისეული გამოცემის სატიტულო გვერდზე აღნიშნულია, რომ წიგნი დაბეჭდილია 1895 წელს. ეს ცნობა მთლად სწორი არ არის, რადგანაც ამ გამოცემისათვის დართული ბოლოსიტყვაობა დათარიღებულია 1896 წლით. როგორც ეტყობა, „კალმასობის“ ბე-

ქლვა 1895 წელს დაუწყიათ, წინა ფორმები იმავე წელსვე დაუსტამბავთ კიდეც, მაგრამ წიგნის მთლიანად დაბეჭდვა ვერ მოუხსწრიათ. მისი გამოცემა საბოლოოდ 1896 წელს დამთავრებულა.

1895 წელს, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში იქაური ქართველების ინიციატივით იბეჭდება ახალი ლიტერატურული ჟანრის — დიდაქტიკურ-მორალური ეპოსის ქართულ მხატვრულ მწერლობაში დამფუძნებლის, ჩვენი დიდი მოაზროვნის, ლექსიკოგრაფის, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის სულხან-საბა ორბელიანის იგაჟარაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“. იგი ძალზე უბრალოდაა გამოცემული. არ ახლავს არც წინა და არც ბოლოიტყვაობები, არც შენიშვნები და არც კომენტარები, არც სქოლიოებში ჩატანილი ახსნა-განმარტებანი და სხვა. დაბეჭდულია მარტო ტექსტი, ისიც უხეშ, მონაცისფრო ქაღალდზე, იგავების ცალკე სათაურებით გამოყოფის გარეშე. წიგნი საკნეა ენობრივ-სტილისტური და კორექტორული შეცდომებით. ამ და სხვა მთელ რიგ ნაკლოვანებათა მიუხედავად, სულხან-საბა ორბელიანის იგავების 1895 წლის გამოცემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში ამით გაეცნო ჩვენი ხალხი პირველად ძველი ქართული ლიტერატურის უშესანიშნავეს ძეგლს „სიბრძნე-სიცრუისას“, რომელშიაც მთელი სიმძაფრითაა მხილებული გვიანი ფეოდალური ხანის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ფანატიზმი და გავლენიან საეკლესიო წრეებში გაბატონებული კლერიკალიზმი.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, პლ. იოსელიანის შემდეგ, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ბეჭდვას თბილისში აგრძელებს პ. უმიკაშვილი და, თავისი წინამორბედის მსგავსად, ისიც ხდება პროფესიონალი გამომცემელი. 1871 წელს მისი რედაქციით იბეჭდება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ მეორე გამოცემა. იგი ერთდროულად ორ სტამბაში აუწყევიათ და დაუბეჭდიათ. 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-10, მე-11 და მე-13 ფორმები — ენციკლოპედიის პოლიგრაფიულ საწარმოში, ხოლო მე-7, მე-3,



მე-9 და მე-12 ფორმები — გ. წერეთლისა და ქართველ მოღვაწეთა ამხანაგობის სტამბებში.

მეორე გამოცემა პირველთან შედარებით უფრო სრულია. გამოტოვებული სიტყვები, წინადადებები და აბზაცები აღდგენილია, ენობრივ-ლიტერატურული სწორებების შედეგად ტექსტი საგრძნობლად გამართულია. პ. უმიკაშვილი ყოველ-ვე ამის თაობაზე წინასიტყვაობაში წერს: „პირველად დაბეჭდილს 1859 წელს ბევრი ადგილები აკლდა (მაგალ. გვერდი 145—148) ანუ შეცვლილი იყო: ამ მეორე გამოცემაში ეს ყოველივე გავასწორეთ, ისე როგორც ნამდვილი უნდა ყოფილიყო, და ისე დაეყავით არაკები, როგორც ძველ წერილებში ეპოვეთ“.

განსხვავება შეინიშნება მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების მხრივაც. მეორე გამოცემაში გვერდები მთლიანად ჩასმულ-მულია პოლიგრაფიულ ჩარჩოში, შრიფტი უფრო მკაფიო და დახვეწილია. გაცილებით უკეთესია ქალაღდიც. ამასთან წიგნის სახელწოდება ტიტულზე სტამბური ანაწყობით კი არ არის დაბეჭდილი, არამედ ამისათვის საგანგებო კლიშეა მოჭრილი.

წინასიტყვაობაში, რომლის სათაურია „სულხან-საბა ორბელიანი და იმისი სიბრძნე-სიცრუვის წიგნი“ პ. უმიკაშვილი მოკლედ განიხილავს „ვინ იყო სულხან-საბა ორბელიანი და რა თხზულება „სიბრძნე-სიცრუვის წიგნი“. მკვლევარის განცხადებით დიდი ქართველი მეიფაეარაკე დაიბადა 1658 წელს. იგი იყო შვილი ქალაქის მდივანბეგის ვახტანგ ყაფლანის ძე ორბელიშვილისა და ახლო ნათესავი ქართლის მეფეების — შაჰნავაზად წოდებულ ვახტანგ V, გიორგი XI, არჩილ II, ვახტანგ VI და სხვა მუხრანელ ბაგრატიონებისა. იმ დროისათვის წარჩინებულ ოჯახში აღზრდილს, სწავლა-განათლებაც ჭეროვანი მიუღია.

1698 წელს სულხანი გაურკვეველი მიზეზით უარს ამბობს ამქვეყნიურ ბედნიერებაზე და 40 წლის, საბას სახელით, დავით გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ბერად აღიკვეცება. მაგრამ, როგორც პ. უმიკაშვილი შენიშნავს, იგი ბერად დიდხანს არ დარჩენილა, „იხდის ანაფორას და ქვეყნად გამოდის, გამოდის საქართველოს უსაზღვრო სიყვარულითა სახელმწიფო საქმეებში ერევა“.

ბერობიდან განდგომილ საბაჟ ცხოვრება პ. უმიკაშვილის გადმოცემით ქრონოლოგიურად შემდეგნაირად წარმართულა: 1710 წელს იგი სპარსეთს გამგზავრებულა იქ მყოფი ქართლის მეფის ქაიხოსროს მოსანახულებლად. სპარსეთიდან დაბრუნებული ვახტანგ VI დავალებით ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგებაში იღებს აქტიურ მონაწილეობას. 1712 წელს იგი ამაღლის სხვა წევრებთან ერთად ვახტანგს ისპაჰანში მიყვება ყაენთან. სამშობლოში დაბრუნებული ვერ ურიგდება გამაჰმადიანებული ქართლის ახალი მეფის იესეს მიერ განხორციელებულ ანტიეროვნულ ღონისძიებებს და 1713 წელს საზღვარგარეთ მიემგზავრება საქართველოსათვის ძლიერი მოკავშირის გამოსანახავად.

პ. უმიკაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას სულხან-საბა ორბელიანის კათოლიკობაზე. იგი წინასიტყვაობაში წერს: მისი საზღვარგარეთ გამგზავრების მიზეზი „ერთი სხვა გარემოებაც იყო. საფრანგეთში წასვლამდინ დაუახლოვდა აქ მყოფ ფრანგის პატრებს. ეს უქვევლად რამდენისამე წლის ამბავი უნდა იყოს წასვლამდე. საბა რადგანაც სწავლის მოყვარე კაცი იყო და იმეამად ევროპული სწავლის პატრონი მარტო პატრები იყვნენ, უქვევლად იმათთან მისვლა-მოსვლა და ერთობა ექნებოდა. მათგან ისწავლა იტალიანური ენა და ბევრი ახალი რამ უნდა შეეტყო თუ ევროპული ცხოვრებისა თუ სწავლისა და განათლებისა. პატრები აქ იყვნენ მოგზავნილნი იტალიიდან პაპისაგან კათოლიკურის სარწმუნოების გასავრცელებლად.

პატრები ზალხს ეწეოდნენ ექიმობაში, ცდილობდნენ კათოლიკობა ჩამოეგდოთ და ცოტაოდნათ კიდევ გაავრცელებს. იმეამად საბა ორბელიანმაც მიიღო ფრანგობა“.

წინასიტყვაობაში აღწერილია სულხანის საზღვარგარეთიდან დაბრუნება, აღნიშნულია ის სიძნელეები, რომლებიც მას თავს გადააღდა მგზავრობისას, მძარცველთა ბანდიტური თავდასხმეები და სხვა. სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების ბოლო პერიოდი ასე აქვს გადმოცემული პ. უმიკაშვილს: „1719 წელს ვახტანგ მეფე მოდის სპარსეთიდან (ქართლში)... და საბაჟ უბრუნებს პატივს და სტუქსაჟს იმის შემწუხებელთა.

ვახტანგი რომ რუსეთს გადადის შავის ბედის ბრუნვისაგან, საბაე თან მიჰყვება და მოსკოვში მოხუცებაში „კვდება“.

3. უმიკაშვილი პირველი მკვლევარია, რომელმაც გააცნო ფართო საზოგადოებრიობას დიდი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება-შოლვაწილობის ძირითადი მომენტები. რა წყაროებით სარგებლობდა იგი ჩვენი მეიგავარაკის ბიოგრაფიაზე მუშაობისას, არ ვიცით, ის კი უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ მოძიებული ცნობები სანდო და სარწმუნოა. ამიტომაცაა რომ შემდგომში მკვლევარნი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების შესწავლისას ძირითადად პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობაში მოტანილ მასალებს ეყრდნობიან.

3. უმიკაშვილმა მოგვცა აგრეთვე პირველად სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“, როგორც ლიტერატურული ძეგლის მეცნიერული ანალიზი და შეფასება. „სიბრძნე სიცრუის წიგნი“, — აცხადებს იგი — არის ზღაპრის მსგავსი ამბავი, რომელშიც სცვლადახვია ზღაპრები, არაკები, მოთხრობები, ანეგდოტები და გამოცანები...

ყოველგან მწერალი ცხოველი სულის პატრონი ყოფილა, კეთილისათვის უმსახურნია. ეს კეთილის სიყვარული და სიტულებილი ავისა შეუტანია თავის ნაწერში, როგორც კილოთიც უნდა ეწეროს. ერთს დაცინვა, გაკიცხვა, სატირა უწერა, მეორეს უბრალო მოთხრობა, მესამეს ზღაპარი ანუ არაკი, მეოთხეს ქადაგება, მეხუთეს კომედია უწერია. საბა ორბელიანს ზღაპრის კილოთი უწერია თავის „სიბრძნე სიცრუის წიგნი“, ბევრი ხალხში ხმარებული არაკები ჩაურთავს და დაუტყვევებია ჩვენთვის იმგვარი თხზულება, რომლისაც მსგავსიც ევროპიელებსაც აქვსთ (Басня...). მეგობრობა, მტრობა, ავტობობა, მატყუარობა, მაგიერის გადახდის გრძნობა, შემწეობა, უმეცრება და სხვა ადამიანის თვისებანი გამოსახულნი არიან პირუტყვეების ანუ ადამიანისავე სახით. ამ არაკებშია გამოსახული კეთილი ან ავი მხარე ადამიანისა, ქვეშარიტება ანუ არაკეშმარიტება, ერთის სიტყვით ადამიანის ცხოვრების საბრძნე ანუ სიცრუე. აი რისთვისა ჰქვიან ამ წიგნს ეს სახელი: „სიბრძნე-სიცრუისა“.

3. უმიკაშვილი სულხან-საბა ორბელიანის ღირსებას ხალხურობაში, დიდაქტიკურ-მორალური პრობლემების წინა

პლანზე წამოწევაში, უტილიტარიზმში. ღედავს. „ცხოველთა გამოხატვა აზრისა, — განმარტავს იგი, — ცხოველი ენა, ოხუნჯური კილო, წრფელი სიცილი, მარტივი დანახვა სხვადასხვა შემთხვევისა — ადვილი საკითხავ წიგნათ ჰხდის ამ წიგნსა. ბევრ ხალხში გაგონილი არაკები აქ შეგბვდებათ ლამაზათ გამოხატული: არაკებში გამოყვანილია მარტივი აზრები ცხოვრებაზე, კეთილზე და ბოროტზე იმ გვართ, როგორც ხალხს ესმის კეთილი და ბოროტი და ამით საბა არის სახალხო მწერალი. საბა ორბელიანი უფრო ბუნებასთან ახლოა ლაფონტენსა და კრილოვზე. იმათ გავზიადებული, დაძალადებული, ცრუ-კლასიკური კილო ბევრი აქვთ. ჩვენე იმას არ ვამბობთ, რომ საბა ორბელიანი კრილოვს სჯობდეს, ან კრილოვი საბას; მართო იმას ვამბობთ, რომ საბა უფრო სახალხო მწერალია“.

შეუძლებელია, პ. უმიკაშვილის მიერ აქ გამოთქმულ მოსაზრებებს საბას სახალხო მწერლობის შესახებ არ ვერწმუნოთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სახელოვანი მედიგავარაკის მომოდვაწობისათვის დამახასიათებელ თვისებაზე სხვა მკვლევართ დღემდე ყურადღება არ გაუშახვილებიათ.

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების ხალხურობის პოზიციიდან უდგება პ. უმიკაშვილი აგრეთვე „სიბრძე-სიცრუის“ ენის შეფასებასაც. თუმცა ენა მრთელის წიგნისა, — წერს იგი, — ძველი ენაა და ზოგადადგილებში თითქოს ძალად დამახინჯებულია, მაგრამ ეს ნაკლოვანება ისე ხშირი არ არის, როგორც პირველად გეჩვენება; ძალიან ხშირათ საბა მარტივის, ჩვენი სასაუბრო ენითა სწერს და ამიტომ ძალიან უაღლოვდება სახალხო ენას. ამიტომაც ხალხისათვის ძალიან გასაგონია და კიდევ გავრცელებულია ეს წიგნი. ენის აღნაქვის, ენის კილო მრავალგან ნამდვილი ხალხისაა, ნამდვილი ქართულია. სხარტი სიტყვაა, მოკლეთ გამოთქმა აზრისა — ნამდვილო ხალხისაა. მრავალსიტყვაობა და გაჭიანურება საბას არ უყვარს; აზრი მოკლეთა და ძლიერათა აქვს გამოხატული...

ამის გამო „სიბრძე სიცრუის“ წიგნის ენა შეიძლება ბევრჯელ ქართული ენის ნიმუშათ მოიტანოს კაცმა, და ქართული ენის სწავლებაში საბას წიგნს ამისთანა ადგილი უნდა ეჭიროს, როგორც რუსულის სწავლებაში კრილოვს უჭირავს“.

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების ენის საკითხს

შემდგომში სხვა მკვლევარნიც შეეხნენ, მაგრამ პ. უმიკაშვილ-ზე ღრმა, ფართო მასშტაბის ანალიზი და აქედან გამომდინარე მართებული, ლოგიკური დასკვნები ბევრს არ გამოუტანია.

1881 წელს გრ. ჩარკვიანი, თბილისში, თავისავე სტამბაში კვლავ ბექდავს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე-სას“. ეს უკვე ამ წიგნის მესამე გამოცემაა. მისი ტექსტი გად-მობეჭდილია 1871 წლის პ. უმიკაშვილისეული გამოცემიდან. იგი გამოსულა 1859 წლის პეტერბურგისეული გამოცემის მსგავსად — ყოველგვარი აპარატურის გარეშე. არც მხატვ-რულ-ტექნიკური გაფორმებითა და პოლიგრაფიული დონით გამოირჩევა.

სამაგიეროდ, ამას ვერ ვიტყვიტ 1892 წლის, ანუ ამ წიგნის მეოთხე გამოცემაზე, რომლის სატიტულო გვერდზეც ვკითხულობთ: „წიგნი სიბრძნე-სიცრუვისა საბა-სულხან ორბელიანისა სხვადასხვა ხელნაწერებთან ახლად შედარებული და გამართული ნ. მთვარელიშვილის მიერ“. წიგნს ბოლოს დატუ-ლი აქვს რედაქტორის გამოკვლევა „სულხან-საბა ორბელიანის“, რომელშიც მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობისა და იგავ-არაკების განხილვასთან ერთად განმარტებულია ის ვითარება, რამაც განაპირობა ამ წიგნის მეოთხედ გამოცემა. „რადგან „წიგნი სიბრძნე-სიცრუვისა“, — ვკითხულობთ გამოკვლევაში, — დაბეჭდილი სრულად 1871 წ. აღარ იყო საშოვარი, ამისათვის „ქართულ წიგნების გამომცემელთა ამხანაგობამ“ განიზრახა ამის ზეგ-ახლად დაბეჭდვა, რომლის რედაქცია, ამხანაგობის გამგეობის წინადადებით, მე ვიკისრე. 1871 წ. დაბეჭდილს გარდა, ჩვენ გვქონდა ექვსი სხვა ხელნაწერი შედარების დროს. ამ შედარებას დიდი ცვლილება არ გამოუწვევია, რასაც თვით მკითხველი და შემდარებელი დაინახავს“.

ისე რომ, 1871 და 1892 წლების გამოცემები ტექსტუალურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. არსებითი სიხლე არც პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობასა და ნ. მთვარელიშვილის გამოკვლევაში შეინიშნება. ორივე მკვლევარი მწერლის ბიოგრაფიის თითქმის ერთ და იმავე მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას. ამის მიუხედავად მათ შორის გარკვეულ განსხვავებას მაინც ვხვდებით. ნ. მთვარელიშვილი უფრო ვრცლად, და რაც მთავარია, ფაქტობრივი მასალების მოშველიებით

გადმოგვეცემს ორბელიანების საგვარეულოს ისტორიას, ამ გვარის წარმომადგენელთა ღვაწლსა და დამსახურებას საქართველოს პოლიტიკური მართვა-გამგებლობისა და ქართული კულტურის წინაშე, სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობას საზღვარგარეთ, მის მიერ კათოლიკობის მიღებას და სხვა. კათოლიკობის თაობაზე, მაგალითად, ნ. მთვარელიშვილი წერს: „ამავე დროს (იგულისხმება საბას მიერ ბერმონაზვნობის მიტოვების შემდგომი პერიოდი — ო. კ.) ეკუთვნის სულხან-საბას დაახლოვება ლათინთა სამღვდელეობებასთან-პატრებთან, რომელთაც მაშინდელ ქართველთ-საზოგადოებაში საყურადღებო ადგილი ექირათ როგორც თავიანთ სწავლა-განათლებით, აგრეთვე ექიმობაში დახელოვნებით. ლათინთა სამღვდელეობის ამგვარმა ღირსებამ არამცთუ მიიზიდა მსჯელობის მოყვარე გონება სულხან-საბასი, არამედ გაიტაცა კიდევ. ამან იწყო შედარება ლათინთა და მართლ-მადიდებელთ ეკლესიათა და მათი აწონ-დაწონა გაათავა ამით, რომ ამან უარ-ჰყო მართლ-მადიდებლობა და აღიარა ლათინთა აღსარება. რომის პაპი კლემენტოს XI ერთსა თავის გრამატაში კოროლ ლუდოვიკო XIV სახელობაზედ, რომელიც დაწერილია 26 ივლისს 1714 წელს, სულხან-საბას იხსენიებს, როგორც მონაზონს წმ. ვასლის ძმობისას“.

პ. უმიკაშვილისაგან განსხვავებით ნ. მთვარელიშვილი საგანგებოდ ჩერდება აგრეთვე ვახტანგ VI რუსეთს გადასახლებაზე, მასთან ერთად საბას გამგზავრებაზე და ამ უკანასკნელის მოსკოვში გატარებულ სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდზე. აღსანიშნავია, რომ მკვლევარი აღწერილ მოვლენებს ქრონოლოგიურადაც ათარიღებს. — ქვეყნის მძიმე საშინაო მდგომარეობის გამო, — წერს ნ. მთვარელიშვილი, — ვახტანგ VI „გულისტკივილით, მაგრამ მაინც დაუტევა სამშობლო ქვეყანა და გადასახლდა რუსეთს 1724 წ. ამას თან გაჰყვა სულხან-საბაც, რომელიც, როგორც ჰგონებენ, მოსკოვში გარდაიცვალა 1725 წელს და იქვე დასაფლავებულ იქმნა“.

ვახტანგის რუსეთში გადასახლებისა და სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალების თარიღებს პ. უმიკაშვილის წინასაბუთო ტყუობაში ვერ ვხედავთ, მასში აღნიშნული არ არის აგრეთ-

ვე ამ დიდი ქართველი მწერლის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილი.

ბ. უმიკაშვილის გადმოცემით სულხან-საბა ორბელიანი, თითქმის ყველასაგან დაუკითხავად, თავისით, ფარულად გაიპარა საფრანგეთში. ნ. მთვარელიშვილი სრულიად სამართლიანად არ იზიარებს ამ მოსაზრებას და ასკვნის, რომ ეს იატორიული ფაქტი მოხდა ისპაჰანში ყაენის მიერ დატყვევებულ ვახტანგ VI წინასწარი შეთანხმებით, ოფიციალური დიპლომატიური მოტივით. ნ. მთვარელიშვილი განმარტავს: XVIII საუკუნის მეორე ათწლეულის დამდევისათვის ქართლის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ვახტანგმა გაგზავნა საფრანგეთს ნიჭიერი, გამოცდილი და მასთან დიდმნიშვნელოვან საქმეში სანდო გვამი, სულხან-საბა, რომელსაც გაატანა ლუდოვიკოსთან წერილიც პასუხად მისი წერილისა. ამას ვახტანგმა თან გააყოლა მოენედ მისიონერი ფრანგთაგან რიშარი“.

ამრიგად, ნ. მთვარელიშვილის გამოკვლევაში მეტ-ნაკლებად უფრო სრულყოფილადაა შესწავლილი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება-მოღვაწეობა ვიდრე ბ. უმიკაშვილის წინასიტყვაობაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნ. მთვარელიშვილის ნაშრომი დაზღვეულია ნაკლისაგან. მცდარი მოსაზრება აქვს გამოთქმული, მაგალითად, როსტომ მეფის სახლთუხუცეს, მდივანბეგ ყაფლან ორბელიანსა და საბას ნათესაური ურთიერთობის შესახებ. მას ყაფლანი ჩვენი დიდი მწერლის მამად მიაჩნია. „სულხან-საბა იყო, — აცხადებ იგი, — მფეთა არჩილ II და გიორგი XI და ბატონის ლეონის დედის ძმისწული, ძე საქართველოს მსაჯულ-პატრონის ყაფლან ორბელიანისა“.

ნ. მთვარელიშვილს ამ შემთხვევაში უნებლიე შეცდომა კი არა აქვს დაშვებული, არამედ იგი ღრმად არის დარწმუნებული მათ მამა-შვილობაში. ამას მოწმობს მეორე ადგილი იმავე ნარკვევიდან: „ყაფლანს ორბელიანსაც, ჰყავდა რამდენიმე ვაჟი, რომელთა შორის წარჩინებული იყო სულხან-საბა“. სწამდელიეში, როგორც ვიცით, სულხან-საბა ორბელიანის მამა იყო ვახტანგ ყაფლანის ძე ორბელიანი — „დიდი ორბელიანი“ სახელით ცნობილი თბილისის მაშინდელი მდივანბეგი, ცო-

ლისძმა შაჰნავაზად წოდებული ქართლის მეფის ვახტანგ V და სიძე ქართლის ზვიადი ფეოდალის ზაალ არაგვის ერისთავისა<sup>1</sup>. მაშასადამე ყაფლანი იყო არა მამა სულხან-საბა ორბელიანისა, არამედ პაპა.

თუ სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება-მოღვაწეობა პ. უპიკაშვილისა და ნ. მთვარელიშვილის მიერ ძირითადად ერთნაირ დონეზეა შესწავლილი, სამაგიეროდ თანაფარდობა ტექსტის კონსტრუქციული თვალსაზრისით 1871 და 1892 წლების გამოცემებს შორის აშკარად დარღვეულია. ნ. მთვარელიშვილისეული გამოცემა ამ მხრივ არსებითად განსხვავდება წინა გამოცემებისაგან. აქ ყოველ იგავ-არაკს, სენტენცია-აფორიზმს, ანექლოტს, ამოცანას თავისი შესატყვისი სათაური აქვს. ამას არამცთუ აღრიხნულ გამოცემებში, საერთოდ ჩვენს სიძველეთსაცავებში დღემდე შემონახულ ხელნაწერებშიც კი ვერ ვხვდებით. ეს ნ. მთვარელიშვილის, როგორც რედაქტორის ჩარევის შედეგია. „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ თავად ავტორსვე — სულხან-საბა ორბელიანს არ ჰქონია ქვესათაურებად დაყოფილი. ნ. მთვარელიშვილი ერთმანეთს ადარებს „სიბრძნე-სიცრუეს“ სხვა ღალთა იგავ-არაკებს და წერს: „ეს წიგნი თუმცა შესდგება არაკებისაგან, მაგრამ ძლიერ განსხვავდება იმ მოარაკეთა ნაშრომთაგან, როგორნიც არიან ყველასგან ცნობილი მოარაკენი — ეზოპოსი, ლაფონტენი და კრილოვი. თვითოეული არაკი აღნიშნულ მწერალთა გვიხატავს განცალკევებულს საგანს, რომლის მოქმედება მკითხველს ან მოსწონს ან ეზიზღება. ამავე დროს არაკებს აღნიშნულ მწერალთა არავითარი კავშირი არა აქვს, არ არიან გადაბმულნი ერთმანეთზედ რომელიმე ძაფით, რომელიმე ზოგადის აზრით. როდესაც აღნიშნულ მწერალთა არაკები მოკლებულნი არიან ამისთანა გამაერთიანებელ ძაფს, სულხან-საბას არაკები გადაბმულია ერთის დედა აზრით, ძირითადი კავშირი აქვთ ურთიერთშორის... რადგან მთელი „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ ავტორის მიერ არ არის თვალსაჩინოდ დაყოფილი შინაარსის მიხედულობით და გაბმით არის დაწერილი, რაიცა ძლიერ აბრკოლებს და უბნელებს მკითხველს ნათლად წარმოდგენას მის

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 129.



შინაარსისას, ამისთვის ჩვენ ეს წიგნი არაკებად დაეანაწილეთ და თითოეულს არაკს შესატფერი სათაურიც დაუწერეთ“.

იმისათვის, რომ გაამართლოს ამგვარი რედაქტორული ჩარევა, ნ. მთვარელიშვილი იქვე განმარტავს: „ეს ცვლილება საკიროდ დადინახეთ როგორც წიგნის ადვილად ხმარებისა და სარგებლობისათვის, ეგრეთვე მისის შესწავლისა და გავრცელებისათვის ხალხში. დედნისთვის მაინც ხელი არ გვიხლია და, სათაურების ჩამატების გამო თავთავის ადგილს, არავითარი არსებითი ცვლილება არ მოგვიხდენია. მომხდარი ცვლილება გამოიწვია თვით წიგნსავე ღირსებამ, რომელიც საუკეთესო საკითხავი წიგნია ქართველთათვის, როგორც სასიამოვნო და გასართობ შინაარსით, ეგრეთვე თვით ენის სიწმინდით და სიმარტივით“.

თუ რაოდენ მართებული და მისაღები გამოდგა ნ. მთვარელიშვილის ამგვარი ჩარევა, ამ კითხვაზე პასუხი განვილიშა დრომ გასცა. სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ 1892 წლიდან დღემდე ნ. მთვარელიშვილისეულ დასათურებათა გარეშე არც ერთხელ არ გამოცემულა.

1892 წელს დაბეჭდილ „სიბრძნე სიცრუეს“ სულ ბოლოს დათული აქვს „ახსნა „სიბრძნე სიცრუის“ სიტყვებისა“, ანუ ე. წ. „მცირე ლექსიკონი“, რომელშიაც რედაქტორის მიერ ანბანური თანამიმდევრობით განმარტებულია 180 სიტყვა.

XVII—XVIII საუკუნეების ე. წ. აღორძინების ჯანის ლიტერატურული ძეგლების „არჩილიანის“, „დიდმოურავიანის“, „სიბრძნე-სიცრუისა“ და სხვათა გარდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, 1870 წელს, თბილისში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში ცალკე წიგნად იბეჭდება აგრეთვე დ. გურამიშვილის „დავითიანიც“. ამ გამოცემას საფუძვლად უდევს ავტორიზებული ხელნაწერი, რომელიც ფელდმარშალ პოტიოკინთან დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის კრემენჩუგში ჩასულ მირიან ერეკლე II ძე ბაგრატიონისათვის პირადად დ. გურამიშვილს გადაუცია 1787 წელს საქართველოში წამოსაღებად. ქართველ ელჩის დავალება პირნათლად შეუსარულებია, გზაში გამოვლილ გაჭირვებათა მიუხედავად, ამ ხელნაწერში თავმოყრილი პოეტის მთელი შემოქმედებითი შემკვიდრეობა უკლებლივ ჩამოუტანია სამშობლოში. „დავითნის“

1870 წლის გამომცემელი ნ. ბერძენიშვილი, პ. უმიკაშვილი და გ. წერეთელი წერენ: დ. გურამიშვილის ლექსები, „იბეჭდებიან თვით გურამიშვილის ხელ-ნაწერისაგან. როგორც ბოლოშია მოხსენებული, ეს ეგზემპლიარი ავტორს მიუერთმევა ერეკლე მეფის-ძის მირიანისათვის“.

„დავითნის“ 1870 წლის გამოცემა არ არის დ. გურამიშვილის პოეზიის სრული კრებული. მასში შესულია პოეტის ლექსების მხოლოდ ერთი ნაწილი. „ეს წიგნი (იგულისხმება მირიან ბაგრატიონის მიერ კრემენჩუგიდან ჩამოტანილი ხელნაწერი — ო. კ.), — აღნიშნავენ გამომცემელი, — შეიცავს ოთხმოცდაცამეტს თავს, რომელიც გაყოფილია ზანდუკით (სარჩევით) ორ ნაწილად, ხოლო თვით ტექსტში სამ-ოთხ წიგნათა. ამჟამად დაბეჭდილ იქმნა სრულად მხოლოდ პირველი წიგნი (ორმოცდა სამი თავი) მთელის თხზულებისა, რომელსაც ჩვენში „გურამიანს“ უწოდებენ, დავით გურამის-შვილი კი უწოდებს „დავითიანს“.

ამ წიგნის გამოცემის იდეა პ. უმიკაშვილს უნდა ეკუთვნოდეს, რასაც გვაფიქრებინებს ჩვენი ამაგდარი მოღვაწის, როგორც პროფესიონალი გამომცემლის ინტერესები, ისე ის ფაქტი, რომ მირიან ბაგრატიონის მიერ კრემენჩუგიდან ჩამოტანილი ხელნაწერი ბოლო ხანებში მისი საკუთარება ყოფილა და მასვე ჩაუბარებია იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის. პ. უმიკაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ეს ხელნაწერი გადაურჩა უამთა სიავეს და დღეს იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდშია დაცული 1598 ნომრით.

1870 წელს გამოცემულ „დავითნს“ წამძღვარებული აქვს გ. წერეთლის ფილოლოგიურ-ისტორიული ხასიათის ნარკვევა: „დავით გურამიშვილი და იმის წინა დროება“, რომელშიც განხილულია ძველი ქართული მწერლობის შესწავლის იმდროინდელი მდგომარეობა, გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, მნიშვნელებულია მათი დაძლევის გზები.

ნარკვევაში განსაკუთრებული ადგილი უკავია XI—XII საუკუნეების ქართული კულტურის კერების, კერძოდ კი, ათო-

ნის ივერთა მონასტრის დახასიათებას, აღნიშნულია თორნიკე ერისთავის ღვაწლი და დამსახურება ქართული მწიგნობრობის ამ დიდებული ცენტრის წინაშე, განსაზღვრულია ექვთიმე მთაწმინდელის წვლილი აქ გაჩაღებულ ლიტერატურულ-შემოქმედებით პროცესებში, მოცემულია ცნობები იოანე ხახულელის, იოანე პეტრიწისა და გიორგი მთაწმინდელის შესახებ. „X საუკუნეში, 976 წ. — წერს გ. წერეთელი, — გამოჩნდა ერთი სახელგანთქმული მხედარი თორნიკე, რომელიც 12 000 ჯარით დიდმა დავით კურატ-პალატმა მესხეთისამ გაგზავნა ვასილი მეორის, ბიზანტიის კეისრის მისაშველებლად, რომელსაც განუდგა ბარდას-სკლიაროსი... თორნიკემ დაამარცხა ეს ეს განდგომილი... საბერძნეთის ხელმწიფემ ამ გამარჯვებისათვის დიდი ფულიაჩუქა თორნიკეს, რომელმაც აღაშენა ათონის მთაზე ივერიის მონასტერი და ამით დიდი ღვაწლი დასდგა საქართველოს განათლებას. ამ დროიდან სასულიერო მწერლობა, მეტი არ შეიძლება, ისე გამდიდრდა წიგნებითა. ბაგრატ მესამის მეფის დროს ივერიის მონასტერში სცხოვრობდა წმინდა ექვთიმი, რომელმაც, როგორც ამბობენ, სთარგმნაო ცხრაას ოცი სასულიერო და საერო სხვადასხვა თხზულება...“

XI საუკუნეში, როდესაც ბაგრატ IV გამეფდა, ათონის მთაზე სცხოვრობდნენ წარჩინებულად განათლებულნი და დიდი ნიჭის კაცები... იოანე ხახულელი, რომელსაც მის დროს მაღალ სიტყვიერებისათვის ოქროპირად უწოდებდნენ, იოანე პეტრიწი, მთარგმნელი პლატონის და არისტოტელეს ფილოსოფიისა ქართულ ენაზე და გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც გაათავა საღმრთო წერილის მეორეთ თარგმნა, დაწვებული წმ. ექვთიმისაგან“.

აქ მოხსენიებულ მოღვაწეთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იოანე ხახულელი, რომლის ვინაობის შესახებაც არამცთუ XIX საუკუნის 70-იან წლებში, არამედ დღესაც კი, მკვლევართაგან, მხოლოდ ვარაუდებია გამოთქმული. კ. კეკელიძე, მაგალითად, წერს: „ეს ის იოანე უნდა იყოს, რომელსაც მკვერმეტყველებისათვის ოქროპირი ეწოდა“<sup>1</sup>. მე-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 84.

ორეგან იგი ამბობს: „სწორედ ამ დროს, X საუკუნის გასულსა და XI საუკუნის დასაწყისში — ო. კ.) სხვადასხვა წყაროთი, ცნობილია ჩვენში ვინმე იოანე ხახულელი, რომელსაც, როგორც მკვერმეტყველ მქადაგებელს, თანამედროვენი „ოქროპირის“ უწოდებენ“<sup>1</sup>. ბოლოს კ. კეკელიძე ასკვნის: „შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იოანე ბოლნელი და იოანე ხახულელი ერთი და იგივე პირია, რომელიც წინათ ბოლნისის ეპისკოპოსად ყოფილა, მერე ხახულის კათედრა მიუღია და 1019 წლის მახლობლად კათედრისათვის თავი დაუწებებია და ათონზე გადასახლებულა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იოანე ბოლნელი შესანიშნავი მქადაგებელი ყოფილა, მას შემევენის სახელი ოქროპირი, სხვა მქადაგებელი კი ამ დროის წყაროებში არ ჩანს“<sup>2</sup>.

რომ არაფერი ვთქვათ ათონის ივერთა მონასტრის ისტორიაზე, იოანე პეტრიწის, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მოღვაწეობის შეფასებაზე, მართო იოანე ხახულელის მოხსენიებაც კი ძველ ქართველ მოღვაწეთა შორის მოწმობს, თუ რაოდენ კარგად იცნობდა გ. წერეთელი X—XI საუკუნეების ჩვენს მწერლობას და რა დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა 1870 წელს გამოცემული „დავითიანისათვის“ წამძღვარებულ გამოკვლევას „დავით გურამიშვილი და მისი წინა დრო“ ფართო საზოგადოებისათვის ძველი ქართული ლიტერატურის გაცნობისა და პროპაგანდის მიზნით. მაგრამ ამ გამოკვლევაში ეხვდებით ისეთ მოსაზრებებსა და ცნობებსაც, რომელთა გაზიარებაც დაუშვებელია. უსაფუძვლოდ გამორიცხავს მწერალი, მაგალითად, ქართული საერო მწერლობის წარმოშობის განხილვისას ადგილობრივი ეროვნული ფაქტორების მნიშვნელობას<sup>3</sup>. „საერო მწერლობაზე საქართველოში, — აცხადებს გ. წერეთელი, — განსაკუთრებით არაბებს ჰქონდათ დიდი გავლენა. ვარსკვლავთრიცხველობა, მათემატიკური აღრიცხვა.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 161.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ძველი ქართული საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობისათვის იხ. ა. ბარამიძის „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. I, 1945, გვ. 3—10.

ლექსთა წყობა და ერთგვარი დაბოლოება სულ იმათგან შემოიღეს. ამ სახით ორნაირი განათლების ზემოქმედებით წიგნობრობამ იმატა. ენა დაიქნა და შეივსო გრამატიკული ფორმით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით არაბულს პოეზიას ჰქონდა იმაზე კარგი გავლენა. იმის წყალობით ქართული ენა შეიქნა ტკბილ გასაგონად. მთელი აღმოსავლეთის ბუნებრივ სიდიდრე თავისი თვალითა და მარგალიტით ქართულ ენას მიეცა მასალათ, რომ მრავალ ნაირი ფილოსოფიური აზრი და პოეტური სურათები გამოეხატა. დადგა თამარ მეფის დრო და რუსთაველის დიდმა პოეტურმა ნიქმა ისარგებლა ამ ენით. ამისმა შეთხზულმა „ვეფხვის-ტყაოსანმა“ დააგვირგვინა ეს დიდებული ისტორიული დრო საქართველოს ერისა“.

ცხადია, სარწმუნოდ არ შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე გ. წერეთლის ცნობები მოსე ხონელისა და სარგის თმოგველის პოეტურ მემკვიდრეობაზე. დაე მართლა ასე მოხდეს, რომ დღეს თუ არა ზვალ, ანდა ოდესმე მაინც, მოიძებნოს ჩვენს სიძველეთსაცავებში მათი შემოქმედებითი მოღვაწეობის ნაკვალევი, მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, იმის მტკიცება, რომ მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ძველი ქართული სახოცობა პოეზიისა თუ ეპოსის განვითარებაში, გულუბრყვილობაა. გ. წერეთელი კი მოსე ხონელისა და სარგის თმოგველის მართ სწორედ ამგვარ გულუბრყვილობას იჩენს. იგი წერს: „აი ამისთანა გარემოებამ (იგულისხმება არაბული კულტურის გავლენა ქართულ საერო მწერლობის ჩასახვა-განვითარებაზე — ო. კ.) დაჰბადა საქართველოში ორგვარნი პოეტურნი თხზულებანი: პოემები და შესხმითი პოეზია. პირველ გვარში ხელოვნურათ აღიწერა და ცოცხლათ გამოიხატა ერისა და იმის შეფეების გმირული მოქმედება; მეორე გვარი-კი შეიცავდა ქებას დაუფიწყარ თამარ მეფისას. შესხმითს პოეზიაში სახელი გაითქვეს მოსე ხონელმა და ჩახრუხადემ, ხოლო რუსთაველი და სარგის თმოგველი შეიქნენ დაუფიწყარნი პოემით და მოთხრობებით, რომლებშიც გამოიხატება მაშინდელი ყოფა-ცხოვრება, ჩვეულება, ხასიათი“.

მიუთქვებელი, მცდარი მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. წერეთელს „ვეფხვისტყაოსნის“ ენობრივ ფენოქენზე. იგი მოკლედ მიმოიხილავს აღორძინების ხანის მწერლობას, ზო-

გადად ახასიათებს „არჩილიანს“, იოსებ სააკაძის „დიდმოურავიანს“ და ასკვნის: „ამ თხზულებებს („არჩილიანს“, „დიდმოურავიანს“ — ო. კ.) უფრო არა აქვთ ის ნაკლოვანება, რასაც „ვეფხვის-ტყაოსანში“ ვპოულობთ. მაგალ. ლ. გრძნობისა და სიტყვების გაზვიადებას და ზოგან ძალდატანებას გამოხატულებაში. ამას გარდა „ვეფხვის-ტყაოსანის“ ენა უფრო ხელოვნურია: იქ ყოველი გრძნობა, ყოველი პოეტური მხატვრობა, თითქოს არასოფიის კენჭით არის გამოყვანილიო. მაგრამ რაც უნდა კარგი მოზაიკის ხელობით იყოს დახატული სურათი. სინამდვილით სიტყვებით ვერასოდეს ვერ შეედრება იმ ნახატს, რომელიც ნიჭიერის მხატვრის ხელით არის გამოყვანილი. რაც უნდა: ძალიან ბრჭყვინვარებდეს ძვირფასი თვალი და მარგალიტი — მაინც იმათი დახატული კაცის სახე ანუ მოქმედება იმდენად გაცოცხლებული არ იქნება, როგორც ბუნებითი ენის კილოთი წარმოდგენილი პირები და იმათი ვითარება. ამ შემთხვევაში „არჩილიანს“ და „მოურავიანს“ უფრო წინ წაუდგამთ ნაბიჯი; იმათი ენა უფრო დაახლოვებულია ხალხის ენაზე, უფრო მარტივი და ნამდვილია“.

XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიული წარსულს საფუძვლიანი ცოდნა და ფილოლოგიურ-ლიტერატურული კვლევის უნარი საშუალებას აძლევს გ. წერეთელს ღრმად ჩასწვდეს დ. გურამიშვილის პოეზიას და გამოიტანოს მართებული დასკვნები. მისი აზრით, პოეტის მთელი შემოქმედება მოთქმით გოდებაა სამშობლოს ბედუკუღმართობით — „ქართლის ჭირით“ გულმოკლული კაცისა, რომელიც თავად იყო მომსწრე და თვითმხილველი უცხოელთა შემოსევებისა თუ გაყვანიან ფეოდალთა შინაური აღრეცებისა, ზნეობრივი მოშლილობის შედეგად ღრმადფესვგადგმული მტრობა-ქიშობისა, მუხანათობისა, ერთმანეთის გაუტანლობისა, ნათელ-შირონის წაბილწვისა და სხვა. „დ. გურამიშვილის ლექსებში, — წერს იგი, — ხელოვნებით და მაღალი ნიჭით გამოხატულია ერთი ტრაგიკული და სამწუხარო ეპიქართველი ერისა... (მან) აღბეჭდა თავის თანადროული სურათი ერის ცხოვრებისა: იმას აზრი, სულსკვეთება და გაჭირვება“. იქვე იგი დასძენს: „ჯერ იმდენი მასალა არა არის რა შეკრებილი, რომ შეიძლებოდეს ზემოხსენებული მწერლის საფუძვლიანი დაფასება, მაგრამ სა-

ზოგადოთ იმის თხზულებანი და განსაკუთრებით „დავითიანი“ ისეთი მაღალი ღირსების არიან, რომ შეიძლება ვთქვათ, იმათ მეტრეც არა დარჩენილ იყოს-რა, ისინიც საკმაონი იქნებოდნენ, რომ ჩვენი ყურადღება მოგვექცია სამშობლოს წარსულ მდგომარეობისათვის“.

გ. წერეთელი დ. გურამიშვილის პოეზიაში ცალკე გამოყოფს ე. წ. „საწუთროს უსამართლობის“ პრობლემას, რაც პიროვნებისა და რეალურ ყოფიერების შეუთანხმებლობითაა განპირობებული. მათ შორის კონფლიქტის მიზეზს გ. წერეთლის აზრით დ. გურამიშვილი ადამიანისაგან ჩადენილ საღვთო ცოდვებში ხედავს, რამაც მას ამქვეყნიური ტანჯვა-წამება და ბოლოს სიკვდილი არგუნა წილად. ყოველივე ამით შეძრწუნებული პოეტი თხზავს შთაგონებითა და ძლიერი განცდილ ალსავსე ლირიკულ ლექსებს, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან ღვთის მადიდებელ კანონიკურ სალოცავ ჰიმნებს. დ. გურამიშვილის „ეს საგალობელი ლოცვები, — აღნიშნავს გ. წერეთელი, — თავის ღრმა გრძნობით და მუსიკალობით არ დაუვარდებიან დავითის ფსალმუნებს. როგორც ფსალმუნები, ისე გურამის-შვილის საგალობელი ლოცვებიც აღმონათავსენ ერთს ღრმა გრძნობით აღსავსე სარწმუნოებას ყოვლისა-შემძლებელ ღვთისადმი, რომლისგანაც ორივე ეძებენ შემწობას და ცოდვის მიტევებას; როგორც ფსალმუნებს, გურამის-შვილის საგალობელ ლოცვებსაც საგნადა აქვთ ერთარსი ღმერთი; — მხოლოდ მას ევედრებიან, შესჩივიან, აქებენ და იმისაგან ითხოვენ ზნეობითს ძალას“.

დ. გურამიშვილის პოეზიას ისეთი ძლიერი შთაგონება მოუხდენია გ. წერეთელზე, რომ იგი მას ქრისტიანულ ბიბლიურ ლიტერატურის ისეთ აღიარებულ ძეგლსაც კი ადარებს, როგორც იერემიას გოდებაა. „დავითიანს“ ცხადად ეტყობა, — აცხადებს გ. წერეთელი დ. გურამიშვილის შემოქმედების განხილვისას, — ებრაული პოეზიის გავლენა. ეს პოემა არის მსგავსი იერემიას გოდებისა. როგორც იქ, ეგრეთვე დავითიანში ისმის ტირილის ზარი სარწმუნოების შერყვისათვის და სამშობლოს აოხრებისათვის“.

გ. წერეთლის აზრით დ. გურამიშვილს გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ მწერლობაში. მან თავისი შემოქმედებით

ხელი შეუწყო რეალიზმის დამკვიდრებას ჩვენს ლიტერატურაში, პატრიოტული მოტივის წინ წამოწევას. „დავით გურამიშვილის თხზულებებში, — ეკითხულობთ გ. წერეთლის გამოკვლევაში, — აღიბეჭდა თავის თანადროული სურათი კრის ცხოვრებისა... ამით ის შეიქნა ნაციონალური პოეტი, რომელმაც მის დრომდის ნაციონალურს კილოზე მოღვემესეთა ბევრათ გადაამეტა ღრმა პოეტურის გრძნობით, აზრით და უფრო განცხოველებულის სურათების გამოხატვით... ამ სახით დავით გურამის-შვილის თხზულებამ მეფურამეტე საუკუნეში დაავიკრგვინა ნაციონალური პოეზია“.

„დავითიანის“ 1870 წლის ერთ-ერთი გამომცემელი პ. უმიკაშვილი, თბილისში, ე. ხელაძის სტამბაში 1881 წელს განქეორებით ბეკდაეს ამავე წიგნს, რომელიც თავისი შედგენილობათ მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველი გამომცემისაგან. თუ 1870 წელს დაბეჭდილ „დავითიანში“ შეტანილი იყო მწერლის ლექსების ნაწილი, მეორე გამომცემაში შესულია მირიან ბაგრატიონის მიერ კრემენჩუგიდან ჩამოტანილი დ. გურამიშვილის მთელი პოეტური მემკვიდრეობა. პ. უმიკაშვილი ამ წიგნის გამოკვლევაში „დავით გურამიშვილი და იმისი დავითიანი“ წერს: „იბეჭდება სრულად მთელი გურამიშვილის ნაწერი ლექსები უკლებლად“.

განსხვავება არსებობს ამ ორ გამომცემისათვის დაწერილ გ. წერეთლისა და პ. უმიკაშვილის გამოკვლევებშიც. მათში სულ სხვადასხვა საკითხებია განხილული. თუ გ. წერეთელი ყურადღებას ძირითადად დ. გურამიშვილის შემოქმედებაზე ამახვილებს, პ. უმიკაშვილი, პირიქით, უფრო მეტ ადგილს პოეტის ცხოვრებას შესწავლას უთმობს და, საარქივო მასალების უქონლობის მიუხედავად, პოეტის ისეთ ბიოგრაფიას წერს, რომელსაც მთლიანობაში დღესაც ანგარიშს უწევინ მკვლევარნი.

„დავითიანიდან“ ამოკრეფილი ცნობებისა და ისტორიული ფაქტების გაანალიზების შედეგად, პ. უმიკაშვილმა შეძლო გაერკვია დ. გურამიშვილის საგვარეულოს ისტორია, იმ სოფლის სახელი, სადაც პოეტი დაიბადა, მისი ადგილმდებარეობა და სხვა. „იმისი (დ. გურამიშვილის — ო. კ.) ცხოვრების ამბავი თვით მის თხზულებაშია და იმაზე მეტი ცნობა ჯერ არსია-



დამ არა სჩანს“, — წერს პ. უმიკაშვილი და დასახელებული წყაროს შესწავლით ჩვენთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ შემდეგ მოსახზრებებს გამოთქვამს: „დავითი იყო თავად გურამიანთ გვარისა (ამიტომ იმის ნაწერს უწოდებენ „გურამიანსა“), მოსახლედ ყოფილა სოფელ გორის-უბანს, რომელიც მდებარეობს ტფილისის ახლოს, საგურამოს ჩრდილოეთით“.

„დავითიანზევე“ დაყრდნობით პ. უმიკაშვილს გამოთქმული აქვს საყურადღებო ვარაუდი აგრეთვე დ. გურამიშვილის დაბადების თარიღზე „ერთის ლექსიდან შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ [პოეტი] 1705 წელს დაბადებულა“, — აცხადებთ იგი. მკვლევარის ეს ვარაუდი დღეს უკვე დასაბუთებულადაა აღიარებული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. პ. უმიკაშვილისავე ცნობით ბავშვობა დაუთქ ძიძის ოჯახში გაუტარებია და მშობლიურ კერას მოწყვეტილს ჯეროვანი სწავლაც განათლება ვერ მიუღია. „ამ უსწავლელობას, — მკვლევარის თქმით, — მრავალჯერ დასტირის [პოეტი] ლექსებში და ყოველგვარ თავის შეცდომას ამას აბრალებს... მაგრამ რამდენათაც ღონისძიება ჰქონია ცდილა, შეუსწავლია იმ დროის მწერლობა, რაც კარგად ეტყობა მის ნაწერს“.

პ. უმიკაშვილი საკმაოდ დეტალურად აღწერს დ. გურამიშვილის სიკვამლეებს წლებს. სტუმრობას ლამის ყანაში მოყვრებთან, ლექების თავდასხმას და მის გატაცებას; დავითის მიერ ტყვეობაში გატარებულ კომმარულ დღეებს, იქიდან გაპარვას და დარიალის ხეობის გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში გაბიზნას.

ნარკვევში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დ. გურამიშვილის რუსეთსა და უკრაინაში გატარებულ წლებზე, პოეტის სიცოცხლის ბოლო პერიოდზე. ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით პ. უმიკაშვილი ამჯერადაც საზნოდ ვარაუდს გვთავაზობს და ხშირად ზუსტად ათარიღებს პოეტის უკანასკნელი პერიოდის ცხოვრებასთან დაკავშირებულ მომენტებს: დ. გურამიშვილის ჩარიცხვას ქართულ ჰუსარათა პოლკში, მის მონაწილეობას ხოტინის აღებაში, პრუსიელებთან ომში, ტყვედ ყოფნას მაგდენბურგის ციხეში. დაბოლოს, აღსასრულს ღრმად მოხუცებული პოეტისას.

პ. უშიკაშვილს „დავითიანის“, როგორც მხატვრული ნაწარმების გარჩევისას ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე აქვს გამახვილებული ყურადღება — ხალხის როლზე ისტორიაში. იგი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ XVII—XVIII საუკუნეების აღორძინების პერიოდის მწერალთა შემოქმედებისაგან განსხვავებით „დავითიანში“ გადმოცემულია არა მეფეთა ერთპიროვნული ისტორია, არამედ მთელი ქართველი ხალხის წარსული თავისი ჭირ-ვარამით. „გურამიშვილმა თავის ლექსების პირველს თავებში, — წერს პ. უშიკაშვილი, — საქართველოს სურათი, ქართლისა და კახეთის ბრძოლა წარმოგვიდგინა. წინათ მოლექსეებსავეთ არ აგვიწერა თვითო კაცის ან მეფის თავგადასავალი, არამედ თვალწინ გადაგვიშალა მრთელის საქართველოს გამწარებული, ტრალიკული მდგომარეობა, რომელშიაც მეფენიცა და ხალხიც, თითქოს მოჯადოებულს წრეში მომწყვდეულნი, იბრძვიან და თავი ვერ დაულწევიან“.

საინტერესოა აგრეთვე მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხის — პიროვნებისა და ყოფიერების კონფლიქტში პ. უშიკაშვილის მიერ დ. გურამიშვილის პოზიციის გარკვევა. ამ შემთხვევაში მას ჭანსალი, პროგრესული შეხედულებები აქვს გამოთქმული. პ. უშიკაშვილი არ იზიარებს იმ ვერსიას, თითქოს დ. გურამიშვილი თავის ლირიკულ ლექსებში ქადაგებდეს ღმერთისადმი მონურ, დამახეჩავებელ მორჩილებას, ცხოვრებისაგან განდგომას, ამქვეყნიური სიკეთის უარყოფას და ასკეტიზმისადმი თავყვანისცემას, ბერმონაზვნობის გაიდიანებას. მკვლევარი კარგად იცნობს პოეტის სულიერ სამყაროს, მისი ლირიკისათვის დამახასიათებელ ჰიმნოგრაფიულ მოტივს, მაგრამ ამაში ვერ ხედავს პიროვნების აქტიური ყოფიერებიდან გარიყვისადმი დ. გურამიშვილის მხარდაჭერას, ღვთისმორწმუნობას, მისი აზრით, პოეტი განიხილავს როგორც მოკვდავთა გამაყვითლშობილებელ ფაქტორს. „მართალია, სულიერობის, ღვთისნიერობის კილო მოჩანს ლექსებში, — წერს პ. უშიკაშვილი, — მაგრამ ეს ის ბერული, ქვეყნისაგან განდევნილი კილო არ არის, ამ ქვეყნის ცხოვრებას რომ უარს ჰყოფს. მოლექსეს სურს მკითხველს დაუნერგოს მაღალი სიყვარული ჭეშმარიტებისა, სიმართლისა, კაცთ მოყვარეობის-

სა; გახადოს თავის თავის სასტიკი მსაჯული და გამჩხრეკი თავისის მოქმედებისა. კაცს უნერგავს იმ აზრს, რომ უსიყვარულოდ ქვეშარიტებისა და სიშარტლისა ის არის საძაგელი ამაო ჩალა, რომელსაც მცირეოდენი ქარის შეებერვა არარად აქცევს. თუ ამა ცხოვრებას, „საწუთროს“ გაუდევ, მკვიდრი აღარა არის რა შენშიო“.

პ. უმიკაშვილი თავის გამოკვლევაში ვრცლად მიმოიხილავს დ. გურამიშვილის პოეზიის ენას. მას მიაჩნია, რომ მართივმა, ხალხურმა სასაუბრო ენამ ძველ ქართველ მწერალთა შორის ყველაზე უფრო ფართო გამოყენება „დავითიანის“ ავტორის შემოქმედებაში პოვა. ამაში ხედავს იგი დ. გურამიშვილის პოეზიის კიდევ ერთ დიდ ღირსებას. „გურამიშვილის... ლექსების ენა, — აცხადებს პ. უმიკაშვილი, — არის ისეთი სახალხო, საერო ენა, რომელსაც მწერლობაში პირველად ვხედავთ. ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა სალიტერატურო ენა საღმრთო წერილის გავლენის ქვეშ; მართალია, ეს ენა ცხოვრებაში ყოველთვის იცვლება, ეს ცვლილება მწერლობაში თუ არ შევა, უეჭველად ძნელი გასაგები შეიქნება მკითხველისათვის... ქართულს მწერლობაში სასაუბრო ენა დიდი ხანია ხმარებული იყო, მე-14 საუკუნიდანვე. XVII საუკუნის დასასრულს საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ წიგნმა გაუხსნა გზა სასაუბრო ენას, ბოლოს გურამიშვილმა „ქაცვია მწყემსით“ დაუმკვიდრა უფლება სახალხო სასაუბრო ენასა“.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ის შრომა, რომელიც პ. უმიკაშვილმა დ. გურამიშვილის პოეზიის ვერსიფიკაციის შესასწავლად გასწია. მან პირველმა მიაქცია ამ საკითხს ყურადღება. მკვლევარის დაკვირვებულ თვალს მხედველობიდან აიკვეთა გამოჩენია, რომ დ. გურამიშვილს ერთნაირად ეხერხებოდა როგორც აკროსტიქული, ისე ანბანთქების მოტივზე შექმნილი ლექსების წერა, უცხო არ იყო მისთვის არც მაჟამა, რუსთაველური შაირი თუ ჩაზრუხაული. პ. უმიკაშვილს ისიც შეუძინებია, რომ დ. გურამიშვილმა დააწინაურა ჩვენი ეროვნულ პოეზია 5, 6, 7, 11, 12 და 14 მარცვლიანი ლექსებით, რითაც ღირსეული წვლილი შეიტანა აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობის ახალი პოეტური ფორმებით გამდიდრებაში. იგი წერს: „ქართულის ლექსთ თხზვისათვის გაბედვით ვიტყვიო,

იმოდენა შესაძენი არავის მოუტანია, როგორც გურამიშვილ-  
მა მოიტანა. იმის სასულიერო გალობათა და „ქაცვია ძწყემ-  
სის“ ლექსის ზომა არამც თუ მე-18 საუკუნეში იყო ახალი,  
არამედ ჩვენის საუკუნისთვისაც ახალ შემოღებად რჩება. ამ  
მწერალმა ახალი ლექსთ ზომა აღმოაჩინა, რომელსაც დღევან-  
დლამდე ჩვენს მწერლობაში ხმარობენ... ყველა ეს თვისება  
გურამიშვილს... უწარჩინებულეს მწერლებში აყენებს“.

ბ. უმიკაშვილს ამ შემთხვევაში ზომიერების გრძნობა და-  
ლატობს. დ. გურამიშვილს რაიმე „ახალი ლექსთ ზომა“ არ  
შემოუტანია. იგი იყო ამ მხრივ, როგორც კ. კეკელიძე შენ-  
შნავს, „საუკეთესო წარმომადგენელი გარსევან ჩოლოყაშვი-  
ლისა და მამუკა ბარათაშვილის სკოლისა, რომელმაც საბო-  
ლოდ შეარყვია რუსთველური ლექსის ბატონობა ჩვენს  
მწერლობაში“. მაგრამ უნდა ეპატიოს ბ. უმიკაშვილს „ზომი-  
ერების გრძნობის დალატი“. ეს განპირობებული იყო, ერთი  
მხრივ, პოეტის შემოქმედების ძლიერი ზემოქმედებით მკვლე-  
ვარზე, ხოლო მეორე მხრივ — გ. ჩოლოყაშვილის, მ. ბარათა-  
შვილისა და სხვათა პოეტური მემკვიდრეობის გამოუცემლო-  
ბით, მათ პოეზიაზე ფართო საზოგადოებრიობის ხელპიუწკ-  
დომლობით. ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც მნიშვნელო-  
ვანია ბ. უმიკაშვილის დამსახურება ქართული ფილოლოგიუ-  
რი მეცნიერების წინაშე. მას ეკუთვნის პრიორიტეტი ქარ-  
თული ლექსის ვერსიფიკაციის საკითხებით დაინტერესებაში.

1894 წელს, თბილისში, მ. როტინიანცის სტამბაში ზ. ჭი-  
ჭინაძე შესამედ ბეჭდავს „დავითიანს“. იგი არის 1881 წელს  
გამოცემული დ. გურამიშვილის ლექსების სრული კრებულის  
გამეორება. წიგნს აქვს პირველი გამოცემიდან გადმობეჭდილი  
გ. წერეთლის წინასიტყვაობა და მეორე გამოცემისეული  
ბ. უმიკაშვილის გამოკვლევა. რაიმე სიახლეს წინა ორ გამო-  
ცემასთან შედარებით მასში ვერ ვხვდებით.

ბ. უმიკაშვილის, როგორც პროფესიონალი გამომცემლის  
დამსახურება მართო დ. გურამიშვილის, სულხან-საბა ორბე-  
ლიანისა და სხვა ძველი ქართველი მწერლების შემოქმედები-  
თი მემკვიდრეობის გამოქვეყნებით როდი განისაზღვრება.  
1875 წელს იგი კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოს სტამბა-  
ში ბეჭდავს თეიმურაზ I პოემას „ვარდბულბულიანს“, რომ-

ლის დედნადაც გამოყენებულია XVIII საუკუნის 90-იანი წლების რომელიღაც ხელნაწერი. პ. უმიკაშვილი ამის გამოწერს: „ეს ვარდ-ბულბულიანი“, რომელთანაც ერთად ვიპოვეთ სხვა... თერთმეტი ლექსი თეიმურაზ პირველისა დაბეჭდილია ხელნაწერის დედნიდგან 1787 წლისა“. მართალია, ამის შესახებ პ. უმიკაშვილი არაფერს ამბობს. მაგრამ გამოჩნეული არ არის, რომ ეს ხელნაწერი დავით რექტორისეული იყოს, რამდენადაც იმ პერიოდში ინტენსიურ კალიგრაფიულ მოღვაწეობას ძირითადად ის ეწეოდა.

წიგმს დართული აქვს პ. უმიკაშვილისავე მოკლე, ზოგადი, მიმოხილვითი ხასიათის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოცემულია ბიოგრაფიული ცნობები თეიმურაზ I შესახებ. კერძოდ, განსაზღვრულია მისი დაბადების, გამეფების, გარდაცვალებისა და სხვა თარიღები, რომელთა საფუძვლიანობასაც ადასტურებს მათი ისტორიულ წყაროებთან შეჯერება. ამ წინასიტყვაობის მნიშვნელობა ის არის, რომ მასში მოტანილია თეიმურაზ პირველის ნაწარმოებთა ნუსხა, რომელმაც პირველად შეუქმნა წარმოდგენა საზოგადოებრიობას პოეტის შემოქმედებით შემკვიდრობაზე.

თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით ზ. ჭიჭინაძემ სამართლიანად დაიმკვიდრა აღიარებული პროფესიონალი გამომცემლის სახელი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. მან დაბეჭდა და გააცნო ხალხს მრავალი ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლი, მათ შორის თეიმურაზ I „ლექსების კრებულიც“, რომელიც 1886 წელს გამოვიდა მ. როტოიანცის სტამბაში. მასში 1875 წელს გამოცემული „ვარდბულბულიანის“ გარდა, შეტანილია აგრეთვე პოეტის სხვა ნაწარმოებებიც.

ამ წიგნით ზ. ჭიჭინაძე ჩვენ წინაშე ერთხელ კიდევ წარმოსდგა როგორც არა მართო გამომცემელი, არამედ მკვლევარიც. ამის თქმის უფლებას გვაძლევს კრებულისათვის წამძღვარებული წინასიტყვაობა, რომელიც სამწუხაროდ. ამჯერად ვერ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას. იგი ერთობ მშრალი და სქემატურია, მოკლებულია ანალიზს, განზოგადებებს, დასაბუთებებს, დასკვნებს. აქ დამოწმებული ფაქტები და თარღებიც არ არის დაზღვეული უხეში შეცდომებისაგან. მაგალითად, ზ. ჭიჭინაძის ცნობით თეიმურაზი გამეფდა 1616 წელს,

მაშინ როდესაც ეს მოხდა 1605 წელს, მისი გარდაცვალებას თარიღად მკვლევარი თვლის 1666 წელს, სინამდვილეში კი პოეტი აღესრულა 1663 წელს, ქეთევან დედოფალი ეწამა 1624 წელს, გამომცემელი კი ამ ფაქტს 1627 წლით ათარიღებს. ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ზ. ჭიჭინაძის წინასიტყვაობას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა: მასში მოცემულია პოეტის ნაწარმოებთა საკმაოდ ვრცელი სია და საყურადღებო ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომელთაც თავის დროზე გვერდს ვერ აუვლიდნენ თეიმურაზ I შემოქმედების შესწავლით დაინტერესებული მკვლევარნი.

1886 წელს დაბეჭდილ თეიმურაზ პირველის „ლექსების კრებულს“ წინასიტყვაობის გარდა, დართული აქვს ზ. ჭიჭინაძისავე ბოლოსიტყვაობა, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ კი, სხვადასხვა დროის გადამწერთაგან პოეტის ნაწარმოებთა ერთმანეთში აღრევაზე, ზოგიერთი პოემისა თუ ლექსის გადანუსხვისას უმეცართაგან დაშვებულ შეცდომებზე და სხვა, რამაც, ზ. ჭიჭინაძის თქმით, რამდენიმე წლით დააგვიანა თეიმურაზის „ლექსების კრებულის“ გამოცემა. ამ ბოლოსიტყვაობიდან მომდინარეობს აგრეთვე ის ცნობილი გაუგებრობა, რომელიც საგანგებო კამათის საგანი გახდა შექმდეში მკვლევართა შორის. აი ამ გაუგებრობის წყაროც: „ამ ბოლო დროს ერთი სხვა ცნობა აღმოჩნდა კიდევ, — ვკითხულობთ ბოლოსიტყვაობაში, — რომლითაც აშკარავებდა, რომ აღრიდგან ცნობილი თეიმურაზისაგან ნათარგმნი პოემა „ლეილმაჯუნნიანი“ სპარსულიდამ თეიმურაზ მეფეს კი არ უთარგმნია, არამედ ზაალ თუმანიშვილს. ეს თუმანიშვილი კარგახანი სპარსეთში ყოფილა და იქ უთარგმნია. ამ თარგმნის შესახებ თვით თუმანიშვილი სწერს ერთ ლექსს და ამ ლექსში იმას მოგვითხრობს, რომ ზაალ თუმანიშვილმა სპარსეთში ყოფნას დროს ვთარგმნეო“.

რას წარმოადგენს ზ. თუმანიშვილის ეს ლექსი? იგი მიწერილია კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში 790-ე ნომრით დაცულ „ლეილმაჯუნნიანის“ ერთ ნუსხაზე და შემდეგნაირად იკითხება:

„ცოდვილმან თუმანიშვილმან, მეტად გარჯილმან სულობით. საშვეიდრო მოშორებული მე ვიყავ დაქარგულობით. ზაალად ჩემი სახელი, პირველნახმობი სულობით. ესე დავსწერე ცოდვილმა, ცოტა ვილაყბე სულობით“.

როგორც კ. კეკელიძემ განმარტა, სიტყვა „დავწერე“ აქ ავტორობის პრეტენზიას კი არ გამოხატავს, არამედ „გადამწერს“, პირის გადამღებს ნიშნავს. რაკი ეს ასეა, გამოდის, რომ ზ. თუმანიშვილი „ლელიმაჯნუნიანის“ ავტორი თუ მთარგმნელ-გადმომკეთებელი კი არ ყოფილა, არამედ მისი გადამწერი, რომელიც XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები იბეჭდება არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიაც. მაგალითად, ქუთაისის საგუბერნიო სტამბაში 1870 წელს გამოდის თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა“. წიგნს აქვს მისივე გამომცემლის გრ. ქორქაშვილის ლექსად დაწერილი 13 სტროფიანი წინასიტყვაობა, რომელშიაც ძალზე შეკუმშულად არის გადმოცემული საქართველოს წარსული, შექმბული არიან ისტორიული პირები ქართლოსი, დავით აღმაშენებელი, თამარი და სხვანი, პოეტთაგან — შ. რუსთაველი, ჩახრუხაძე, ი. შავთელი. ბოლოს დახასიათებულია თეიმურაზ II, როგორც „ერის ზნეობის მხატველი და სიმართლით მოუბარი“, ერთ-ერთი რჩეულთაგანი XVIII საუკუნის ქართველ პოეტებს შორის.

„სარკე თქმულთაში“ შეტანილია თეიმურაზის მხოლოდ ერთი პოემა „დღისა და ღამის გაბაასება“. როგორც ეტყობა, გრ. ქორქაშვილს სდომებია პოეტის სხვა ნაწარმოებთა გამოცემაც, რადგანაც პოემის ტექსტის ბოლოს ნათქვამია: „დასასრული პირველი ნაწილისა“, მეორე ნაწილი რატომღაც არ გამოსულა.

წიგნი მეტად ღარიბულადაა გამოცემული, ლექსად დაწერილი წინასიტყვაობის გარდა, არ ახლავს მკითხველისათვის დამხმარე რაიმე აპარატურა, დაბეჭდილია აგრეთვე დაბალ პოლიგრაფიულ დონეზე.

XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსანი“ რამდენჯერმე გამოიცა, რომელთა ნაწილი თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი ძირითადად ვახტანგ VI და 1841 წლის გა-

მოცემათა გამეორებას წარმოადგენენ. სამაგიეროდ ამას მთლად ვერ ვიტყვით ცნობილი ბუკინისტის არსენ კალანდაძის ინციტაციით ქართველ ასოთამწყობთაგან შემდგარი „ამხანაგობის“ მიერ 1875 წელს დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანზე“. ამ საქმეში „ამხანაგობისათვის“ „აქტიური დახმარება გაუწევიათ XIX საუკუნის 70—80-იანი წლების „თერგდალეულებს“ ანუ ე. წ. „მეორე დასელებს“, განსაკუთრებით კი კირილე ლორთქიფანიძეს, რომელიც პ. უმიკაშვილთან ერთად ამ გამოცემის ოფიციალური რედაქტორი იყო. კირილეს ეს მნიშვნელოვანი შრომა გაუწევია პოემის ტექსტის დასაბეჭდად მომზადებაში. მას „ვეფხისტყაოსნის“ წინა გამოცემები საგულდაგულოდ „გაუჩხრეკია“, დიდის სიფრთხილით შეუჯერებია ერთმანეთისთვის და უპირატესობა 1712 წელს ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი ტექსტისათვის მიუცია. ამას მოწმობს ა. კალანდაძისეული „ვეფხისტყაოსნისათვის“ დართული ცნობა, რომელშიაც გამოცემლები ხაზგასმით აღნიშნავენ: „ეხლანდელი მეექვსედ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი, ვახტანგის დაბეჭდილთან შეეასწორეთ“.

ს. ყუბანეიშვილი სრულიად სამართლიანად ეკვივეშ აყენებს ამ ცნობის საფუძვლიანობას. მისი აზრით 1875 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგისეული გამოცემიდან არ მომდინარეობს. იგი ძირითადად 1867 წლის გამოცემიდანაა გადმობეჭდილი გარკვეული სწორებების შეტანით. ამას აფიქრებინებს მკვლევარს ის, რომ „ამხანაგობის“ გამოცემას, ისე როგორც 1867 წელს დაბეჭდილს, აკლია დ. ჩუბინაშვილს 1860 წლის გამოცემის 301-ე (406, 302-ე (407) და 434-ე (580) სტროფები, სამაგიეროდ მათ ვხვდებით ვახტანგისეულ გამოცემაში. „1875 წლის გამოცემის ტექსტი, რომ ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობდეს, — შენიშნავს ს. ყუბანეიშვილი, — მაშინ აღნიშნული სტროფები იქაც იქნებოდა, თუ ამოიღებდნენ, მიზეზს მაინც აღნიშნავდნენ“<sup>1</sup>.

ს. ყუბანეიშვილი ერთმანეთს უდარებს 1712, 1867 და 1875 წლების გამოცემებს და, მათი ტექსტუალური შედგენი-


<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 75.





გელათის ოთხთაფი






ალავერდის ოთხთაეი




სახარების გვიურის დეგალი




შაგბერლის ოთხთავი



ვანის სახარება




ალავერდის ოთხთავი




სელნაწერი





ფილნური რთხთაუი





# სამოციქულო

პატრიარქის: გ. ჯ. ი. ს. შ. ი.

ჩვენი მამა იესო ქრისტე და მისი მამა. რომელიც  
მეგობარს ჩვენი მამისა და მისი მამისა და მისი მამისა  
და მისი მამისა და მისი მამისა და მისი მამისა

1713 წელს დაბეჭდილი "სამოციქულო" ტექსტის თავსაშეკუ-



1709 წელს დაბეჭდილი "სახარების" მინიატურა

Եւրեմիաներն ի բնասարմ ծառն  
ընկառ ծղղղա ծղղրն  
Ի բլբլիցն ի բլբլիցն։~

Կռնա բռնա յսարն ծռ կռ  
քրտա ինն կռ ի բնասարմն ծղղ  
ղա ծղղրն ծռ կռ ինն կռ ինն կռ  
Ինն կռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ  
Ինն կռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ  
Ինն կռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ։~



Ինն կռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ  
Ինն կռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ  
Ինն կռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ  
Ինն կռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ։~


Ինն կռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ։~

Ինն կռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ ծռ։~

Եւրեմիաներն 76։~







"სახარება" – ყდა-ღელანი.

ძეული ქართული ხელნაწერი წიგნის ვერცხლით მოჭედილი  
ყდის ღეგალი.



ლობისადმი კრიტიკულად მიდგომის შედეგად, საბოლოოდ ასკენის: დ. ჩუბინაშვილის ექვსი ჩანართი სტროფი, რომელიც ვახტანგის გამოცემაში არაა, 1867 და 1875 წლების გამოცემებში შეტანილია, ესეც იმის დამადასტურებელია, რომ 1875 წლის გამოცემა არ მომდინარეობს ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსნიდან, ის გადმობეჭდილია 1867 წ. გამოცემაშიდან<sup>1</sup>.

მოსაზრება 1875 წლის „ვეფხისტყაოსნის“ 1867 წლის გამოცემიდან მომდინარეობის შესახებ ს. ყუბანეიშვილისეული არგუმენტირებით ექვს არ იწვევს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ქართულ მესტამბეთა „ამხანაგობისეული“ გამოცემა 1867 წელს დაბეჭდილი პოემის ტექსტის მექანიკურ, ხელაღებით გამეორებას წარმოადგენს. 1875 წლის გამოცემაში, მაგალითად, 1867 წლის დაბეჭდილისაგან განსხვავებით, შეტანილი არ არის ცნობილი სტროფი „შეკრეს წითელი ასი ათასი“, ამასთან ზოგიერთი სათაური ნასესხებია 1860 წლის გამოცემიდან, ზოგიც ახლებურადაა რედაქტირებული<sup>2</sup>. — ყოველივე ეს კი მოწმობს, რომ კ. ლორთქიფანიძეს მნიშვნელოვანი მუშაობა გაუწევია პოემის გამოსაცემად მომზადებისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქველმოქმედისა და მეცენატის გიორგი ქართველიშვილისეულ გამოცემას. იგი არსებითად განსხვავდება სხვა გამოცემებისაგან როგორც ტექსტუალური შედგენილობის, ისე მხატვრული გაფორმების მხრივ. ამ გამოცემის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო იონა მეუნარგია. 1876—1878 წლებში პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ქართულ წყაროებზე მუშაობის დროს მას მიუკვლევია ხელნაწერთა კრებულისათვის, რომელშიც დატული ყოფილა 1702 წელს გადაწერილი, ვახტანგ VI გამოცემაზე 369 სტროფით მეტი შედგენილობის „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციის ნუსხა. 1879 წელს, სამშობლოში დაბრუნებისას პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მოძიე-

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 75.

<sup>2</sup> იქვე.

ბული პოემის ასლები ი. მეუნარგიას თბილისში ჩამოუტანა და რაკი „ვეფხისტყაოსნის“ არამცთუ ორიგინალი, არამედ XVII საუკუნეზე უფრო ადრინდელი ხელნაწერი არ არსებობდა, ამიტომ პოემის კრიტიკული ტექსტის დადგენის საკითხი დაუყენებია. ამისათვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის მუშაობაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რ. ერისთავი, ნ. დადიანი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, ვ. თულაშვილი, ი. წინამძღვრიშვილი და მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის სხვა საუკეთესო წარმომადგენლები.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ ხანგრძლივი, შრომატევადი და ნაყოფიერი მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობა გასწია. შეაგროვა საქართველოს სიძველეთსაცავებსა და კერძო პირთა ოჯახებში შემონახული პოემის ხელნაწერები, 1712, 1841, 1946, 1860, 1867 და 1875 წლების სტამბური გამოცემები, შეუდარა ისინი ერთმანეთს და თითოეული სტროფის საგულდაგულო „გაჩხრეკით“ შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის ახალი რედაქცია.

ამ დროს რუსეთში გამოსაცემად მომზადებულ მ. ლერმონტოვის თხზულებათა კრებულში შეტანილი კავკასიური ციკლის ნაწარმოებთა ილუსტრაციების შესაქმნელად თბილისში შემოქმედებითი მივილინებით იმყოფებოდა გამოჩენილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობას იზდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ 1888 წლის გამოცემა მას უსასყიდლოდ დაუსურათებია.

1887 წელს დაარსდა „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის კომიტეტი“ ი. ჭავჭავაძის, ი. მეუნარგიას, ივ. მაჩაბლის, რ. ერისთავის, პ. უმიკაშვილისა და დ. ბაქრაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა კომისიის მიერ დადგენილი კრიტიკული ტექსტის რედაქტირება და გამოცემისათვის ხელმძღვანელობის გაწევა<sup>1</sup>. გადაწყდა, პოემის ტექსტი აწყობილიყო თბილისში, ხოლო

---

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1966, გვ. 118.

მ. ზიჩისეული ფერადი ილუსტრაციების ფირები დამზადებულ იყო ვენაში და შემდგომ ჩანართების სახით პეტერბურგში ბრეზეს ქრომო-ლითოგრაფიაში დაბეჭდილიყო. ყოველივე ამისათვის საჭირო საკმაოდ სოლიდური საგამომცემლო ხარჯები გ. ქართველიშვილმა გაიღო.

1888 წლის მარტის მიწურულს ახლად დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ უკვე ხელისმომწერლებს დაურეგდათ. იგი პოემის ბეჭდვის ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი ფერადი ილუსტრირებული მდიდრული გამოცემა.

გ. ქართველიშვილისეულ გამოცემაზე ცოტა ადრე — 1887 წელს „ვეფხისტყაოსანი“ იბეჭდება თბილისში ბუქნისტ გრ. ჩარკვიანის სტამბაში, აქვე გამოდის იგი 1889 წელს. ეს არის ამ პოემის პირველი პორტატიული გამოცემა, რომლის ზომაცაა  $7 \frac{1}{2} \times 4$ . თბილისშივე ბეჭდავს 1899 წელს მ. ზიჩის 23 ილუსტრაციით „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემას აგრეთვე ვლ. ყიფიანი.

„ვეფხისტყაოსანზე“ საზოგადოებრიობის მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ პოემის გამოცემის საქმეს ხელს კიდებენ არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს რაიონულ ცენტრებშიც. 1883 წელს იგი იბეჭდება ქუთაისში, 1892 წელს — ოზურგეთში, 1896 წელს ახალ-სენაკში, ხოლო 1899 წელს — ბათუმში. ამ ბოლო გამოცემას თავისი მხატვრული გაფორმების დონით გ. ქართველიშვილისეულ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, გამსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

XIX—XX საუკუნეების სხვა ცნობილ მოღვაწეთა გარდა. ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ე. თაყაიშვილმაც. 1895 წელს, თბილისში, მ. შარაძის სტამბაში იგი ბეჭდავს იესე ტლაშაძის 16 მარცვლიანი რუსთველური შაირით დაწერილ ისტორიულ ხასიათის პოემას „კათალიკოზბაქარიანს“.

ამ ძეგლის გამოცემა ე. თაყაიშვილზე ადრე პ. უმიკაშვილს უცდია. გაზეთის საშუალებითაც მიუმართავს საზოგადოებისათვის თხოვნით მიეწოდებინათ ოჯახებში შემონახული „კათალიკოზბაქარიანის“ ხელნაწერები და ცნობები იესე ტლაშაძის შესახებ, მაგრამ რაკი არავინ გამოხმაურებია, განზრახვა ვერ განუხორციელებია.

1895 წელს გამოცემული წიგნის „კათოლიკოზბაქარიანის“ ტიტულზე დაბეჭდილია პოემის სახელწოდება, მომდევნო თავისუფალ გვერდზე კი შემდეგი ცნობა: „არის წიგნი ესე კათალიკოზ-ბაქარიანი, მრავალმცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მათისანი... დაიწერა ქალაქსა შინა სამეუფოსა კონსტანტინეპოლსა ქრისტეს აქეთ ჩღვზ, ქორონიკონსა უიე“. იქვე, იმავე გვერდზე, მოთავსებულია ერთსტროფიანი ლექსი:

„აამე მსმენთა, კარგ ღვინოს მსმელთა, აწე შენ წიგნი ბაქარიანო.  
კარგა შეექცენენ, არსად გაგექცენენ, ვინც სუფრაზე ზის აქარიანო.  
რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენა ტკბილო და შაქარიანო,  
აემა მთქმელებმა, ქურდმა მელეებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო“.

ამის შემდეგ, ახალი გვერდიდან უკვე იწყება „კათოლიკოზ-ბაქარიანის“ ტექსტი, რომელსაც დართული აქვს გამომცემლის მიერ პოემაში შეტანილი რედაქტორული სწორებების ნუსხა სათაურით: „შენიშვნები ტექსტის შესახებ“. წიგნს ბოლოს ახლავს ე. თაყაიშვილის გამოკვლევა.

„კათოლიკოზბაქარიანის“ 1895 წლის გამოცემას საფუძვლად უდევს ა. როინიშვილის მიერ დადესტანში ნაპოვნი ხელნაწერი, რომელიც შემდეგ მას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს და დღეს კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული<sup>1</sup>.

ე. თაყაიშვილის გამოკვლევაში ვკითხულობთ: „არ ვიცი ვინ არის ვადამწერი [მისი] ან როდის არის გადაწერილი, ხოლო წერის ხასიათის მიხედვით და აგრეთვე ქალაქისა და მელნისა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ხელნაწერი ყოველ შემთხვევაში XVIII საუკუნეს ეკუთვნის. უტყუარი საბუთი გვაქვს ხელში იმისა, რომ ჩვენი დედანი ავტოგრაფი არ არის, ეს საბუთი გახლავთ რამოდენიმე სიგელი დაწერილი იესე ტლაშაძის მიერ. ხელი ამ სიგელებსა და ჩვენი დედნისა სულ სხვადასხვა არის“.

ხელნაწერს, რომელიც 1895 წელს დაბეჭდილი „კათოლი-

<sup>1</sup> იხ. კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის S № 953.

კოზბაქარიანის“ დედნად ყოფილა გამოყენებული, მთელი რა-  
გი ნაკლოვანებანი გააჩნდა. მისი წესრიგში მოყვანისა და გა-  
მოსაცემად მომზადებისათვის ე. თაყაიშვილს საკმაო შრომა  
გაუწევია: ერთმანეთში არეულ-დარეული, დაუნომრავი ფურ-  
ცლები შინაარსის მიხედვით თანამიმდევრობით დაულაგებია,  
სტილისტურ-ენობრივი უხეში დარღვევები და აზრობრივი  
წინააღმდეგობანი გაუსწორებია, ცალკე ამოკრეფილი შეცდო-  
მები წიგნის ბოლოს „შენიშვნებში“ გაუტანია, ტექსტის შეს-  
წავლისას გამოვლენილი ორი ერთნაირი სტროფიდან ერთი  
ამოუღია, მაგრამ პოემის ნაკლული ბოლო ნაწილისათვის ვე-  
რაფერი მოუწერებია. ამგვარი რთული სარედაქციო სამუ-  
შაოების შესრულების შედეგად რედაქტირებული დედანი  
სტამბისათვის ჩაუბარებია. „კათალიკოზბაქარიანს“ დიდი მნი-  
შვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის, — წერს ე. თაყაიშვი-  
ლი, — ამიტომ საჭიროა მონიხახოს სრული ხელნაწერი. ჩვენ  
იმედი გვქონდა სრულის ხელნაწერის პოვნისა და ამიტომ დი-  
დი ხნიდან დასტამბული ტექსტის გამოცემა შევაჩერეთ, მაგ-  
რამ რადგან იმედი არ გავგიმართლდა, საჭიროთ დავინახეთ  
ნაკლულოვანი ტექსტი მაინც გადმოგვეცა“.

„კათალიკოზბაქარიანისათვის“ დაწერილ გამოკვლევაში  
დედნად გამოყენებული ხელნაწერის რაობის გარკვევასთან  
ერთად ე. თაყაიშვილი ცდილობს აგრეთვე პოემის ავტორის  
ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლას, მაგრამ ამას ჭეროვნად  
ვერ ახერხებს, წყაროთა ნაკლებობის გამო იგი მხოლოდ ზო-  
გიერთი ცნობის მიწოდებით კმაყოფილდება. „ავტორი“ „კა-  
თალიკოზ-ბაქარიანისა“ არის მღვდელი იესე ტლაშაძე, — ვკი-  
თხულობთ გამოკვლევაში, — რომელიც ხლებია კათალიკოზ  
დომენტის სტამბოლში და, როგორც ეტყობა, ძლიერ დაახლო-  
ვებული ყოფილა კათალიკოზთან... ეტყობა ტლაშაძეს წინეთ  
უმსახურია ვახტანგ მეფისთვის და რუსეთშიც ყოფილა, მაგ-  
რამ შერმე თავისით მოშორებია და დომენტის გაყოლია სტამ-  
ბულში... არ ვიცი, გაპყვა თუ არა ტლაშაძე ტენედოს კუნ-  
ძულზე დომენტის (სადაც იგი გადაასახლა სულთანმა უნდობ-  
ლობისათვის — ო. კ.), მხოლოდ ის კი ვიცი, რომ 1727  
წელს... დომენტიმ სტამბულში დაწერილი სიგელით უბოძა  
იესე ტლაშაძეს და მის შვილებს ათენში ოცდასამი კომლი  
კაცი სახუცოდ“.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში „აღწერაი სამეფოსი საქართველოსი“ ერთ ადგილას იმოწმებს ვინმე ტლაშაძეს ქრონიკალურ ამონაწერებს. ამასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი ასკვნის: „რაკი მწიგნობარი ტლაშაძე სხვა არავიფიციტო, ჩვენის მოსაზრებით, ქორონიკონების აღმომწერათაც უნდა ვიგულისხმოთ ავტორი „კათალიკოზ-ბაქარიანისა“ მღვდელი იესე ტლაშაძე“.

ყოველივე ამას ემატება ის, რომ ე. თაყაიშვილის გადმოცემით იესე ტლაშაძეს თავისი პოემა დაუწერია კონსტანტინოპოლში 1727 წელს დომენტი კათალიკოსის დავალებით. სხვა რაიმე ცნობას გამოკვლევაში „კათალიკოზ-ბაქარიანის“ ავტორის ვინაობის შესახებ ვერ ვხვდებით. წყაროთა ნაკლებობა ჰქონდა მხედველობაში კ. კეკელიძეს, როდესაც ასწავლებდა: „ვინაობა მისი (იესე ტლაშაძის — ო. კ.) ჩვენ არ ვიცითო“<sup>1</sup>.

„კათალიკოზ-ბაქარიანი“, როგორც პოეტური ნაწარმოები, ბევრს არაფერს მატებს აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობას. იგი საინტერესოა არა თავისი მხატვრული ღირსებებით, არამედ უანრობრივი სახეობით. მასში, როგორც ისტორიული ხასიათის პოემაში, დოკუმენტური სიზუსტით აღწერილია მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოსი XVIII საუკუნის პირველ ოთხ ათწლეულში, რომლის უშუალო მომსწრე და საკუთარი თვალთ მხილველი იყო იესე ტლაშაძე. ეს აზრი პოემის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ე. თაყაიშვილმა დაამკვიდრა. იგი თავის გამოკვლევაში წერს: „კათალიკოზ-ბაქარიანი თუმცა ლექსად არის დაწერილი, მაგრამ ხელოვნურ პოეზიის ნაწარმოებს არ წარმოადგენს. პოეზიის ნიშანწყალი ძლიერ ნაკლებათ ეტყობა ტლაშაძის თხზულებას. [იგი] საყურადღებოა არა პოეზიის მხრით, არამედ საისტორიო მნიშვნელობის მხრით. ეს თხზულება გალექსილი მატეანეა ტლაშაძის დროის ქართლ-კახეთის ისტორიისა, ნამდვილი მოთხრობაა თანამედროვე პირისა, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის სურათია მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედისა“.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1981, გვ. 534.

ე. თაყაიშვილი იქვე უფრო კონკრეტულად წარმოაჩენს „კათოლიკოზბაქარიანის“, როგორც სარწმუნო ისტორიული წყაროს მნიშვნელობას. „აქ ისეთი ცნობებია დომენტის შესახებ, — განაგრძობს იგი, — რომელიც სრულიად არ მოიპოვებიან სხვა წყაროებში. ბევრ ახალ ცნობებს იძლევა „კათალიკოზ-ბაქარიანი“ აგრეთვე შესახებ ვახტანგ მეექვსისა, ქსნისა და არაგვის ერისთავებისა, კახთ მეფის მანმალ-ყულ-ხანისა და მისი ბრძოლისა ვახტანგთან, ბაქართან და ოსმალეთთან, აგრეთვე შესახებ ოსმალს ფაშებისა ტფილისში და მათ მიერ ქართლის აოხრებისა. ერთი სიტყვით „კათალიკოზბაქარიანს“ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის“.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, თუ რა ღირებულება ჰქონდა 1895 წელს იესე ტლაშაძის „კათალიკოზ-ბაქარიანის“ გამოცემას.

1895 წელსავე, თბილისში, „წიგნის გამოცემის ქართული ამხანაგობის“ სტამბაში, ე. თაყაიშვილი ბეჭდავს კიდევ ერთ ლიტერატურულ ძეგლს — მორალურ და დოგმატიკურ ხასიათის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, „სიბრძნე ბალაგარისას“. ამ წიგნის გამოცემისას ე. თაყაიშვილის განკარგულებაში ყოფილა რამდენიმე სხვადასხვა სახის ხელნაწერი: სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ბიბლიოთეკისა, რომელიც გადაწერილი ყოფილა XVIII საუკუნის 70-იან წლებში, ივანე დავითის ძე ორბელიანის მოურავის დავით ივანეს ძე ამირიძისა, გამომცემლისავე მიერ სოფელ ოქროყანაში მოძიებული ნუსხა, გუბერნსკი სეკრეტარის ანტონ ზაქარის ძე დაფქვიაშვილისა, ვინმე ნიკოლოზ ბერისა და ჩვენი ცნობილი მწერლის გ. წერეთლისა. აქედან ე. თაყაიშვილს გამოსაცემად სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ბიბლიოთეკისეული ხელნაწერი შეურჩევია. „ამ წიგნის გამოცემისას, — წერს იგი, — ჩვენ ხელთ გვქონდა ექვსი ხელნაწერი, რომელთა შორის ხუთი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავისა არის... პირველი მათგანი M,N 300 ეკუთვნის სამეგრელოს თავადის ბიბლიოთეკას... გადაწერილია 1779 წ., მაისის 15—20 რიცხვებში. სხვა აქამომდე ცნობილი ვარიანტები ბალაგარისა ეკუთვნის მე-19 საუკუნეს და ამიტომაც ეს ვარიანტები ჭერ-ჭერობით უძველესად უნდა

ჩაითვალოს. [რადგანაც] ეს ვარიანტი ბალავარის სიბრძნისა ერთი უძველესი და უკეთესთაგანი ვარიანტია აქამომდე ცნობილ ვარიანტთა შორის, ამიტომაც ჩვენი გამოცემა ამ ვარიანტზე დავამყარეთ“.

„სიბრძნე ბალავარისა“ ერთობ გახმაურებული, პოპულარული და ავტორიტეტული ნაწარმოებია ქრისტიანულ სამყაროში. „ძვირად მოიპოვება წიგნი, — წერს ე. თაყაიშვილი, — რომელიც ისე ცნობილი და გავრცელებული იყოს სხვადასხვა ხალხში, როგორც სიბრძნე ბალავარისაა, ანუ სულის მარგებელი მოთხრობა ვარლამ და იოსაფატზე, როგორც ცნობილია ეს წიგნი სხვა ენებზე. იშვიათია ისეთი ძველი კულტურული ერი, რომელსაც ეს წიგნი არ ჰქონდეს თავის ენაზედ“.

ესოდენ დიდი აღიარების მიუხედავად, ამ საქვეყნოდ ცნობილ შუა საუკუნეების სასულიერო რომანთან დაკავშირებით XIX საუკუნის მიწურულამდე მკვლევართაგან ჯერ კიდევ ბევრი საკითხი იყო გასაჩვენებელი და დასადგენი. გადაწყვეტილად ითვლებოდა მხოლოდ ის, რომ ამბავი ვარლამისა და იოსაფატისა ინდური წარმოშობისაა, აქედან მოხვდა იგი საბერძნეთში, საიდანაც გავრცელდა შემდეგ მთელს ქრისტიანულს ქვეყნებში, მაგრამ როდის მოხდა ყოველივე ეს, ვინ იყო ამ თხზულების ავტორი ან ბერძნულ ენაზე მთარგმნელი და რას წარმოადგენს ამ ნაწარმოების ქართული ვარიანტი, რა ურთიერთობა აქვს მას ბერძნულ რედაქციასთან, სად, როდის, ვინ თარგმნა თუ შეთხზა იგი და სხვა მრავალი საკითხი თავად ლიტერატურულ ძეგლთან ერთად ცნობილი გახდა 1895 წელს გამოცემული „ბალავარიანისათვის“ ბოლოსიტყვაობის სახით დაბეჭდილი ე. თაყაიშვილის გამოკვლევით.

ვენეციისა და პარიზის ბიბლიოთეკებში დაცულია „ბალავარიანის“ ბერძნული რედაქციის ორი უძველესი ხელნაწერი, რომელთაგან ერთი XI საუკუნითაა დათარიღებული, ხოლო მეორე — XV საუკუნით. ამ ხელნაწერთა სათაურებიდან ირკვევა, რომ „ბალავარის ისტორია გადმოთარგმნილია ივერიულის ენითგან ბერძნულს ენაზედ ვეტიმის მიერ, კაცისა ღირსისა და ღვთისმსახურისა, ივერიელად წოდებულისა“. იგივე მოსაზრებაა გამოთქმული ძველ თარგიდან წყაროში „ცხოვ-



რეზიდა წმინდისა ექვთიმე მთაწმინდელისა“. მასშიც „ბალავარიანის“ და სხვა რამდენიმე საღვთო წიგნის ქართულიდან ბერძნულ ენაზე, მთარგმნელად ექვთიმე მთაწმინდელია მოხსენიებული.

XIX საუკუნის 80-იან წლებში „ბალავარიანის“ ისტორიასთან დაკავშირებით ცხარე კამათი გაიმართა მკვლევართა შორის. ამის წამომწყები იყო ფრანგი მეცნიერი ზოტენბერგი, რომელმაც 1886 წელს პარიზში გამოაქვეყნა პოლემიკური ხასიათის ნაშრომი, სადაც „ბალავარიანის“ პრობლემატური საკითხებია განხილული. ზოტენბერგმა მკაცრად გაილაშქრა მაქს მიულერის წინააღმდეგ ამ თხზულების ავტორად იოანე დამასკელის გამოცხადების გამო და ახალი ვერსია წამოაყენა: იგი „ბალავარიანის“ ბერძნული რედაქციის შექმნას VII საუკუნის პირველი ნახევართ ათარიღებს, ხოლო რედაქტორად იერუსალიმის მახლობლად მდებარე საბას ლავრის მოღვაწეს ვინმე იოანე ბერს თვლის. ფრანგი მკვლევარის აზრით, მას მიუცია ინდოეთიდან შემოსული რომანისათვის ის დამთავრებული ფორმა, რომელიც შემდეგ გავრცელდა მთელს საქრისტიანო სამყაროში<sup>1</sup>.

იოანე ბერის წარმოჩენით ზოტენბერგმა თვითნებურად მოხსნა დღის წესრიგიდან ექვთიმე მთაწმინდელის მიერ „ბალავარიანის“ ქართულიდან ბერძნულად თარგმნის საკითხი. თავის ამ მოსაზრებას ძირითადად უსაფუძვლო ცნობაზე — XI საუკუნისათვის, ანუ „ბალავარიანის“ ბერძნული რედაქციის შექმნის პერიოდისათვის ჩვენი მწერლობის ჩამორჩენილობით ხსნიან. მისი „აზრით ქართული ლიტერატურა იწყება მხოლოდ მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან და ამიტომ შეუძლებელია, რომ შრომა ფორმით ასეთი უნაკლო და მასთან ასეთი ღრმა აზროვანი და მკვერ-მეტყველური, როგორც არის წიგნი ბალავარისა, შედგენილი ყოფილიყო ჯერ კიდევ განუვითარებელს ენაზედ“<sup>2</sup>.

„ბალავარიანის“ ბერძნული რედაქციის ექვთიმე მთაწმინდელიდან მომდინარეობის საკითხში ზოტენბერგისაგან რადი-

<sup>1</sup> „სიბრძნე ბალავარისა“, 1895, გვ. 138.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 139.

კალურად განსხვავებული პოზიცია დაიკავა პროფესორმა ვ. რ. ბარონ-როზენმა. მან თავის ცნობილ რეცენზიაში კონკრეტული ფაქტების მოშველიებით გააბათილა ზოტენბერგის მოსაზრება ძველი ქართული მწერლობის ჩამორჩენილობის შესახებ და შეეცადა დაესაბუთებინა ბერძნული რედაქციის ქართულიდან მომდინარეობა.

როზენის განმარტებით X საუკუნის გასულისა და XI საუკუნის დამდეგისათვის ქართულად უკვე თარგმნილი ყოფილა საკმაოდ მდიდარი სასულიერო ლიტერატურა-სიტყვანი და თქმულებანი წმინდა ოქროპირისა, გრიგოლ ნესელისა, ბასილ დიდისა, კირილე ალექსანდრიელისა, „წმინდა მამათა სწავლანის“ კრებულები და სხვა. მაშასადამე, X საუკუნეში ქართული ენა სრულიადაც არ ყოფილა ისეთი ღარიბი, რომ შეუძლებელი ყოფილიყოს მასზე „ბალავარიანის“ შექმნა. ამიტომაცაა, რომ ვ. რ. ბარონ-როზენი ასკვნის: „1) შესაძლებელია ჩვენი რომანი ყოფილიყოს ქართულს ენაზედ უფრო აღრე ვიდრე ბერძნულს ენაზედ და 2) რომ წმ. ექვთიმის შეეძლო გადაეთარგმნა ის ბერძნულ ენაზედ, — ჩვენ გვგონია, ყველა ბნელი ადგილები ჩვენი რომანის ისტორიის გავრცელება-სა ახსნილი იქნება, თუ მივიღებთ მოსაზრებას, რომ თვით დედა აზრი რომანისა ქრისტიანულის სახით დაწერილი იყო იოანე ბერის მიერ (რომელს ენაზედ ჯერ კიდევ არ შეიძლება გადასწყდეს, თუმცა ყველაზე უფრო საფიქრებელია სირიულზედ) მე-7 საუკუნის დასაწყისში წმ. საბას ლავრაში მართალთა და ღვთის მოყვარე კაცთა მოთხოვნის მიხედვით, რომლებმაც შემოიტანეს იგი ინდოეთიდან. შემდეგ ქართველ ბერებს იმავე ლავრისას გადაუთარგმნიათ ის ქართულ ენაზედ როგორც სულის მარგებელი წიგნი ახალ მოქცეულებისათვის და შეუტანიათ საქმეში, და ის ხელოვნური დამთავრებული ფორმა, რომელსაც წარმოადგენს ბერძნული რომანი, მისცა მას წმ. ევთიმე ივერიელმა მე-11 საუკუნის დამდეგს, როდესაც სთარგმნა ქართულის ენისაგან“.

1888 წელს „ბალავარიანის“ საკითხს შეეხო ნ. მარიც. მან საკმაოდ დეტალურად შეადარა ქართული ტექსტი ბერძნულსა და არაბულ რედაქციებს, მაგრამ, როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს „რადგანაც მაშინ მარტო ერთი დაფქვიანშვილის ვა-

რიანტი იყო ცნობილი და არავინ იცოდა, თუ რა ხასიათის იქნებოდა სხვა ვარიანტები, ნ. მარმა სიფრთხილის გამო არავითარი დასკვნა არ გამოიყვანა თავის შედარებიდან<sup>1</sup>.

საკმაოდ დასაბუთებული, ახალი მოსაზრებები აქვს გამოთქმული „ბალავარიანზე“ 1895 წელს გამოცემულ ამ წიგნისათვის გამოკვლევის სახით დართულ ბოლოსიტყვაობაში ე. თაყაიშვილს. იგი დარწმუნებულია, რომ ქართული „ბალავარიანი“ უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე ბერძნული. პირველი, რომ ყოფილიყო, მკვლევარის სამართლიანი შენიშვნით მაშინ ქართული ვარიანტი პირდაპირი თარგმანი იქნებოდა ბერძნულისა და თვალში აღარ მოგვხვდებოდა ის გამახვევება, რომელიც მათ შორის არსებობს. წარმოუდგენლად მიაჩნია ე. თაყაიშვილს, რომ „მშვენიერს ხელოვნურს რომანს შეამოკლებდნენ და შესცვლიდნენ ქართულად თარგმნის დროს და მოაკლებდნენ იმ ღირსებას, რომელიც მას აქვს ბერძნულს ენაზე“.

ფანსაკუთრებით საყურადღებო და დამაფიქრებელია ე. თაყაიშვილის მოსაზრება საბას ლავრის ლიტერატურული სკოლისა და იოანე ბერის ვინაობის შესახებ. „საბას ლავრას საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენ ქართველებისათვის. — ვკითხულობთ გამოკვლევაში. — უძველესი საეკლესიო წიგნები ამ ლავრაში არიან ნათარგმნი, ამ ლავრაში არიან გადაწერილნი უძველესი თარიღიანი ხელნაწერები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ... ვინ იცის, იქნება თვით ის იოანე ბერი საბას ლავრისა, რომელსაც იხსენიებენ ბერძნული ხელნაწერები და რომლებსაც ბარონ როზენის მოსაზრებით პირველად უნდა დაეწეროს მართალ კაცთა სიტყვების მიხედვით ინდოეთიდან შემოტანილი მოთხრობა ბალავარისა და იოსაფატის შესახებ, ქართველი იყო და სიბრძნე ბალავარისა თავდაპირველად დაიწერა ქართულ ენაზე და არა სირიულზე, ან რომელიმე სხვა ენაზე. ვინ იცის, იქნება, როგორც ხელოვნური გადაკეთება ამ რომანისა ბერძნულს ენაზე ყველა მოსაზრების მიხედვით ეკუთვნის ევთიმე მთაწმინდელს, ისე თავდაპირველი დაწერა მისი დაახლოვებით იმ სახით, რა სა-

<sup>1</sup> „სიბრძნე ბალავარისა“, 1895, გვ. 138.

ხითაც ეს აღნიშნულია ჩვენს გამოცემაში, ეკუთვნოდეს ქართველ ბერს საბას ლავრისას სახელით იოანეს და მას იხსენიებდნენ ბერძნული ხელნაწერები გვარტომობის მოუხსენებლად“.

დასასრულ, ე. თაყაიშვილი იოანე ბერის შესახებ შემდეგ საგულისხმო ვარაუდს გამოთქვამს: „იგი [იოანე ბერი] ქართულს ხელნაწერებში არ იხსენიება, სამაგიეროდ მოხსენებულია მამა ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა, მაგრამ სამწუბაროდ მოხსენება ამ პირისა არ გვაძლევს ცნობას, ავტორი არის ის ქართული ბალავარისა, თუ სხვა რაიმე როლი აქვს მას ბალავარის მოთხრობის ისტორიაში. თუ ჩვენ მივიღებთ მოსაზრებას, რომ თავდაპირველად მოთხრობა დაწერილია იოანე ბერის მიერ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე ბერს ეს მოთხრობა მამა ისაკის სიტყვების, ანუ თხრობის მიხედვით დაუწერია. იქნება ამ აზრით იყოს დაწერილი ქართული ბალავარის სათაურში: გვითხრობდა ჩვენ მამა ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა და სხვა“.

ე. თაყაიშვილისეულ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მომავლის საქმეა.

1886 წელს ე. ხელაძის სტამბაში იბეჭდება იგავ-პრაკების კრებული, ანუ დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის „ზნეთსასწავლებელი წიგნი“ „ქილილა და დამანა“, რომლის გამომცემელი იყო გრიგოლ დავითის ძე გურიელი, ზოლო რედაქტორი — ი. ჭყონია.

„სიბრძნე ბალავარისა“ მსგავსად „ქილილა და დამანაც“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა თავის დროზე, განვითარებულ მსოფლიოს ქვეყნებში. ალ. ბარამიძე წერს: „ქილილა და დამანა“ მსოფლიო ლიტერატურის შედეგია. იგი თავას დროზე უფრო გავრცელებული ყოფილა, ვიდრე ბიბლია, ყურანი, ბუდას მოძღვრება... ამ წიგნმა დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თითქმის ყველა ხალხის სულიერ საგანძურში“<sup>1</sup>. ამის შემდეგ შეუძლებელია ი. ჭყონიას

<sup>1</sup> დ. ბაქრაძე რატომღაც 1886 წელს გამოცემული „ქილილა და დამანას“ დედნად გრიგოლ დავითის ძე გურიელის ხელნაწერს თვლის (ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1945, გვ. 265).

ნათქვამს არ ვერწმუნოთ: „ქილილა და დამანა“, ანუ როგორც ჰყვიან მისს სანსკრიტულს დედანს — „ქოლვილაჰ-ვაჰ-დიმ-ნაჰ“ არის შესანიშნავი კრება ინდურთ იგავთა, თარგმნილი და გამოცემული ქვეყნიერების ყველა დამუშავებულ ენებზე. ღირსებას ამ იგავთა კრებისას ამტკიცებს, გარდა ამ მოხსენებულის ფაქტის, ის გარემოებანიც, რომ იგი ვერ შთანთქა რამდენიმე ასს საუკუნეთა განსვენებამ ეამთა წყვილიადში და მისის უზვის შინაარსით ნოყიერად ჰკვებავდნენ თავიანთს ნიქს გამოჩენილნი მეიგავენი სხვა ხალხთა, როგორც, მაგალითებრ, ბერძენთა — ეზოპოსი, ფრანგთა — ლაფონტენი და, როგორც უეჭველად ვატყობთ „სიბრძნე სიცრუეს“ ჩვენი სულხან-საბა ორბელიანიც“.

ზნეობის გამაკეთილშობელ და სიბრძნის წყაროდ მიჩნეულ ამ წიგნის გამოსაცემად ი. ჰყონიას რამდენიმე ხელნაწერი შეუსწავლია: ვაჩნაძიანთეული, გრიგოლ დავითის ძე გურიელისეული, რომელიც ადრე სოლომონ II სახლთუხუცესის ოჯახიდან გენერალ ვ. ო. ბებუთაშვილს შეუძენია და შემდეგ გურიელის საკუთრება გამხდარა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისეული და სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითის წიგნთსაცავიდან შეძენილი ბარნაბა ლორთქიფანიძისეული. ამ ხელნაწერებიდან ი. ჰყონიას, როგორც თავადვე აღნიშნავს, 1886 წლის გამოცემისათვის დედნად ვაჩნაძიანთეული ხელნაწერი გამოუყენებია<sup>1</sup>.

ქალაქის ჰვირნიშნებისა და კალიგრაფიული ხელწერის მიხედვით ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ეს ხელნაწერი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედს მიეკუთვნება<sup>2</sup>. იგი საკმაოდ წარყვნილ-შებლალული და დამახინჯებული ყოფილა გადამწეხავთაგან, რასაც თავისი უარყოფითი გავლენა მოუხდენია გამოცემაზეც. ი. ჰყონია ბოლოსიტყვაობაში წერს: „არ შეგვიძლია აღუნიშვნელად დაესტოვოთ შემდეგი გარემოება: ამ წიგნის 45 გვერ., მე-5 სტრიქონში ქვემოდან სიტყვათა „ფრთოსანი არწივისაებრ“ შორის გამოტოვებულია მთელი პწკარი — „დილის ტრედი ცაზედ ბუღილამ ამოფრინდა, ღამის

<sup>1</sup> „ქილილა და დამანა“ სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან“..., 1886, ი. ჰყონიას წინასიტყვაობა.

<sup>2</sup> Е. Т а к а и ш в и л и, Описание... I, стр. 285—286.

ყორანი, შავ ფრთოსანი“... ეს პწკარი ვიპოვნეთ მხოლოდ ბატ. ჩუბინაშვილის ქრისტომათიაში (პირველი გამოცემა) „ქილი-ლა და დამანადან“ დაბეჭდილ ნაწყვეტში“. თუკი მართო ერთ ნაწყვეტში ესოდენ საგრძნობი განსხვავება აღმოჩნდა, ზომ შეიძლება უფრო მეტი შეუსაბამობანი გამოვლენილიყო 1886 წელს დაბეჭდილ ტექსტსა და იმ ხელნაწერს შორის, სა-იდანაც ამოღებული იყო დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომათიაში“ გამოქვეყნებული ნაწყვეტი, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ხელ-ნაწერებთან შეჯერებით მიღებულ მოსალოდნელ შედეგებზე?

მართალია, ი. ჭყონიას რაიმე სერიოზული რედაქტორული ჩარევები არ განუხორციელებია დედნის გასამართავად (იგი მხოლოდ პუნქტუაციის მოგვარებით დაკმაყოფილებულა), მაგრამ კარგა შრომატევადი და ნაყოფიერი ტექსტოლო-გიური სამუშაოები მაინც ჩაუტარებია გამოცემისათვის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახის მისაცემად. მის განკარგულე-ბაში არსებული დანარჩენი ხელნაწერების ტექსტები სქო-ლიოებში ჩაუტანია ვარიანტებად და ზოგიერთ მათგანისათვის საჭირო განმარტებებიც დაურთავს, რაც გარკვეულ მნიშვნე-ლობას ანიჭებს წიგნს მეცნიერული თვალსაზრისით. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ტექსტის ბოლოს დაბეჭდილი „ულრ-მეს სიტყვათა მცირე ლექსიკონი“, რომელშიც შესული სიტყ-ვების უმრავლესობა განმარტებული არა აქვს საბაზს თავის ცნობილ „ლექსიკონში“. მათი ახსნა ი. ჭყონიას „ქილილა და დამანას“ ვარიანტების აშვიებზე გაკეთებული მინაწერებიდან ამოუკრეფია.

ი. ჭყონია 1886 წლის გამოცემის ბოლოსიტყვაობაში დე-ტალურად განიხილავს „ქილილა და დამანას“ ისტორიას. მისი თქმით იგავ-არაკების ამ კრებულის სამშობლო ინდოე-თია. აქედან იგი ფალაურ ენაზე უთარგმნიათ, ფალაურიდან ასურულზე, შემდეგ არაბულზე, საიდანაც სხვა ხალხებს გა-დაუღიათ თავიანთ ენებზე. ქართული „ქილილა და დამანა“, სპარსული „ანვარი სოჰაილის“ თარგმანია. ი. ჭყონია ძირითა-დად სწორად გადმოგვცემს „ქილილა და დამანას“ ისტორიას შეცდომებს უშეებს მხოლოდ ზოგიერთი ისტორიული პირის სახელების განსაზღვრაში.

ასევე სწორ ცნობებს გვაწვდის ი. ჭყონია „ქილილა და

დამანას“ ქართულად თარგმნის ისტორიაზე. მისი თქმით ჯერ კიდევ „დიდი თამარის დროსვე ეთარგმნათ ეს წიგნი, რომელსაც დიდი გავლენა მოუხდენია ქართველთ საზოგადოებაში... სამწუხაროდ, ჩვეულებრივი ხვედრი ქართული წიგნებისა ამ თარგმნისაც სწვევია და „უამთა ვითარებით“ დაკარგულა... შემდეგ ბატონს დავითს<sup>1</sup> ხელახლა ეთარგმნა იგი „კუსა და მორიელის“ არაჰმდის, ულექსოდ და სიტყვა ნაკლულადაც“.

XVIII საუკუნის მეორე ათწლეულის დამდეგისათვის რჩულგამოცვლილი იესეს მეფობისას ქართლში შექმნილმა განუკითხაობამ, შურმა და მტრობამ, დაბეზლება-გაუტანლობამ, ლალატმა, ანგარებამ და სხვა მზაკვრობა-ვერაგობამ ფართო გასაქანი პოვა. ამ უკეთურ ჩვეულებათგან ქვეყნის განწმენდის მიზნით, ზნეობრივი ნორმების აღსადგენად ერის შესაგონებლად ქირმანს გადასახლებული ვანტანგ VI ცდილობს „ქილილა და დამანას“ ქართულად თარგმნის ბოლომდე მიყვანას. იგი კახეთის მეფის დავითის მიერ ძველად თარგმნილ იგავების კრებულს საგულდაგულოდ უდარებს სპარსულ „ანვარი სოჰაილს“ და რაკი მათ შორის არსებით განსხვავებებს ნაბულობს, თავიდან თარგმნის პროზაულ ნაწილს, რომელსაც შემდეგ სულხან-საბა ორბელიანს უგზავნის „გასაჩაღბათა“ და ტექსტში ჩართულ ლექსების გადმოსაქართულებლად. „ვანტანგმა განიზრახა ამ ჩინებული ქმნილების ხელახლავ თარგმნა, — წერს ი. ჰყონია, — და, თუმცა უღმობელმა ბედმა იგი მოაშორა მამულსა მისს საგანმგეო სამეფოს და მიიყვანა ქირმანს (სპარსეთში), მაგრამ მაინც თავისი განზრახვა, საბას დახმარებით, საქმედ აქცია (1712—1717) და ამით შესძინა საზომლო მწიგნობრობას კიდევ ერთი უძვირფასესი განძი“.

სულხან-საბა ორბელიანის დამოკიდებულებაზე „ქილილა და დამანასადმი“ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთნი მას მარტოოდენ ლექსების თარგმნას მიაწერენ, მეორენი მთლიანად ამ წიგნისა, მესამენი მხოლოდ ლექსების ნაწილისა და ა. შ. ე. თაყაიშვილი, მაგალითად, ფიქრობს, რომ საბამ „ქილილა და დამანას“ მარტო ლექსები კა

<sup>1</sup> იგულისხმება კახეთის მეფე დავით აღმაშენებლის ძე — მამა თეიმურაზ პირველისა.

არ თარგმნა, არამედ მთლიანად ეს თხზულება. იგი 1886 წელს გამოცემულ „ქილილა და დამანას“ დედნად გამოყენებულ ვაჩნაძიანთეულ ხელნაწერს საბას დამოუკიდებელი თარგმანის ვარიანტად თვლის<sup>1</sup>.

კ. კეკელიძე არ იზიარებს ე. თაყაიშვილის ამ ვერსიას და სადავო საკითხის ირგვლივ შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს. „დედნის ლექსები ვახტანგს უმეტესად პროზის სახით უთარგმნია. ამიტომ გადაუწყვეტია ეს თავისი თარგმანი სარედაქციოდ გადაეცა რომელიმე ცნობილი პიროვნებისათვის. მას მიუშართავს საბასათვის თხოვნით: „ეს ჩემი ჭირნახული გაჩაღხე გემოიანად და, სადაც ლექსები ჩართული იყოს, ესევე ქართულად ლექსები ჩაურთეო“. საბას კ. კეკელიძის განმარტებით „ჩაღხი გაუკრავს ვახტანგის შრომისათვის მთლიანად და თავიდან ბოლომდე გაუტარებია სარედაქციო ქარცხლში“<sup>2</sup>.

ი. ჭყონიაც შორს დგას ე. თაყაიშვილის ვერსიისაგან. იგი თავის ბოლოსიტყვაობაში წყაროს მოშველიებით ირწმუნება, რომ საბას მხოლოდ ზოგიერთი ლექსი უთარგმნია საბარსულიდან, მთლიანად „ქილილა და დამანას“ ქართულად გადმოღებას ვახტანგის ნამოღვაწარად თვლის, რითაც გამორიცხავს ვაჩნაძიანთეული ხელნაწერის საბასეულ წარმოშობას. იგი წერს: „ლექსები (ზოგიერთების გარდა, რომელთაც მიწერა-ლი აქვთ, რომ „მეფის თქმულნი“ არიან), ეკუთვნის ჩვენს გამოჩენილს მეიგავეს სულხან-საბა ორბელიანს. ამას ამტკიცებს მე-586 გვერდზე მოქცეულის შიარის ბოლოს მინაწერი შემდეგი სიტყვები ვახტანგისა: „ვით წინა ლექსები აჩენს, მე დამრჩა გაულექსავეი და სულხან გალექსა ყაფლანის-შვილმან, რომელი ბოლოს მონოზან იქმნა და ეწოდა საბა“.

ვახტანგ VI თხოვნით „ქილილა და დამანას“ ქართულად თარგმნილი ლექსები, სულხან-საბა ორბელიანის გარდა, ქართლს სამეფო კარის მდივანმწიგნობარს ონანა ქობულაშვილსაც „გაუჩაღხია“. ეს ფაქტი ცნობილი გახდა XX საუკუნის

<sup>1</sup> ა. ლ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 1945, გვ. 246.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 465.



50-იან წლებში მიკვლეული ერთი ხელნაწერიდან, როპლის არსებობაც, ცხადია, ი. ჭყონიამ არ იცოდა. ამიტომაცაა, რომ 1886 წელს გამოცემული „ქილილა და დამანას“ ბოლოსიტყვაობაში ამის შესახებ არაფერს ამბობს.

ამრიგად, XIX საუკუნის გამოჩენილი მოღვაწენი — პლ. იოსელიანი, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ზ. ჭიჭინაძე, ე. თაყაიშვილი და სხვები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ძველი ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემაში, რადგანაც ეს მათ დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდათ. ისინი იყვნენ არა მარტო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის პროფესიონალი გამომცემლები, ქართულ ლიტერატურულ განძეულობათა სამზუროზე გამომტანნი, არამედ ხშირ შემთხვევაში მათი პირველი მკვლევარ-შემფასებლებიც. თავიანთ მიერ დაბეჭდილი წიგნებისათვის დართული წინასიტყვაობებით, კომენტარებით, შენიშვნებით, ბოლოსიტყვაობებითა თუ სქოლიოებში ჩატანილი განმარტებებით, სხვადასხვა ხელნაწერებიდან მოტანილი ტექსტობრივი ვარიანტებით და სხვა, მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში, რითაც გაუმაგრეს საძირკველი ჩვენი ეროვნული ფილოლოგიური მკვლევარების შემდგომ განვითარებას.

## ი. ზავჴავაჴე და „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა“

(ი. ზავჴავაჴის საგამომცემლო გოლგაფთოზიდან)

ქართველი ხალხის დიდმა სულიერმა მოძღვარმა ი. ჴავჴა-  
ვაჴემ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი კულტურის ისტო-  
რიაში. არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არ განხორ-  
ციელებულა ამ მხრივ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რო-  
მელშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს თავისი დროის  
ამ ბრძენ წინამძღვარს ერისა. მთელ რიგ სხვა კულტურულ-  
საგანმანათლებლო წამოწყებებთან ერთად იგი იყო მესაძირკვ-  
ლუ და თავკაცი აგრეთვე ქართული საზოგადოებრივი გამომ-  
ცემლობის „ქართველთა ამხანაგობისა“.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგამდე საქართვე-  
ლოში წიგნის საზოგადოებრივი გამომცემლობები — ამხანაგო-  
ბები. გაერთიანებანი, ასოციაციები და სხვა, არ არსებობდ-  
ნენ. აჴ დიდ საშვილიშვილო საქმეს კერძო პირები — ძირი-  
თადად მესტამბეები და ცალკეული საზოგადო მოღვაწენი გა-  
ნაგებდნენ. მოგვიანებით მას თითქმის მთლიანად კომერცია-  
ში ხელმოცარული, მაშინდელი სააღებმიცემო ბუმისაგან გა-  
რიყული, მეცენატობის აბრას ამოფარებული მეწვრილმანე  
საქმოსნები დაეპატრონენ, რომლებისთვისაც უცხო იყო  
ეროვნული გულისტკივილი.

ისე რომ, გარკვეულ პერიოდამდე წიგნების ბეჴდვა არ  
ატარებდა გააზრებულ, გეგმაზომიერ, მიზანსწრაფულ ხასია-  
ათს. იგი თვითღინებაზე იყო მიშვებული. გაზეთი „დროება“

1875 წელს წერდა: „როგორც ყველა სხვა საზოგადო საქმესა, ისე წიგნების გამოცემასაც ჩვენში ჯერჯერობით ვინც წაეწევა, ის ჰკიდებს ხელს. ნუკი გვიწყენენ და არავეითარი საზოგადო აზრი, გარკვეული მიმართულება, არავეითარი პროგრამა ახლანდელ ჩვენს გამომცემლებს არა აქვთ. რაც თითოეულ იმათგანს უფრო სასარგებლოთ მიიჩნია ან საზოგადოებისათვის ან კერძოთ თავისთვის, იქას ჰბეჭდავენ“<sup>1</sup>.

საგამომცემლო საქმის ესოდენ მძიმე მდგომარეობა დიდად აწუხებდა ი. ჰევკავაძესა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველ ინტელიგენციას. ამიტომაც ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მასში გარდატეხის შეტანას. განსაკუთრებით აფიქრებდნენ მათ ის გარემოება, რომ წიგნების ბეჭდვა არ ატარებდა სტაბილურ ხასიათს, რაც მთავარია, ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა მკითხველ-საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე გამოსაცემი ლიტერატურის შერჩევას. ეს იყო მიზეზი, რომ უმეტესად გამოდიოდა იმდროისათვის ნაკლებაქტიუალური, პრობლემატურ საკითხებს მოწყვეტილი, ბულვარული ხასიათის გასართობი წიგნები. იმდენად არასანაარბილო მდგომარეობა იყო შექმნილი ამ მხრივ, რომ ზოგჯერ წიგნის გამოცემის საქმეში მიღწეული ერთგვარი წარმატებებიც კი მომავლის დიდ იმედს არ იძლეოდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული წიგნების ბეჭდვამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. 1875 წელს გამოვიდა 26 დასახელების წიგნი, რომელთა ტირაჟიც 46. 400 ეგზემპლარს უდრიდა. საგამომცემლო საქმეში მომხდარმა ძვრებმა კეთილსამსურველი გამოძახილი პოვა შემდგომშიც. 1876 წლის მარტო პირველ ხუთ თვეში იბეჭდება 21 დასახელების წიგნი თითქმის იგივე ტირაჟით, რამდენიც 1875 წელს გამოცემულმა ლიტერატურამ შეადგინა. ეს მოხდა მკირე მოცულობის იაფფასიანი წიგნების გამოცემის ზრდის ხარჯზე, რომელსაც მაშინდელ მწერლობაში „შაურიანი ლიტერატურა“ ეწოდებოდა.

დასახელებისა და ტირაჟების გაზრდას უნდა ავსაღლებინა გამომცემელთა პასუხისმგებლობა დასაბეჭდი ლიტერატურას

<sup>1</sup> გაზ. „ღროება“, 1875, № 58.

შინაარსობრივ ღონეზე, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. კომერციულმა ინტერესებმა, რომელთაც განაპირობეს აღნიშნული ორი მაჩვენებლის — დასახელებისა და ტირაჟების გაზრდა, უკუხემოქმედება მოახდინეს წიგნის შინაარსობრივ მხარეზე. — აღრიხდელთან შედარებით იგი კიდევ უფრო გაუარესდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის გამოცემაში. ის, რაც გაკეთდა ადრე პ. იოსელიანის, პ. უმიკაშვილის, გ. წერეთლისა და სხვათა რუღუნებით, ანდა კეთდებოდა ამ მხრივ იმზანად, ვერ აკმაყოფილებდა მაშინდელ მოწინავე საზოგადოებრიობას. „ჩვენი საზოგადოება რამდენჯერმე შეუდგა ხან მთავრობის შეწყვენით და ხან საკუთრათ ძველი წიგნების გამოცემას, — იტყობინებოდა 1871 წელს „დროება“. — ამ ოცი წლის წინეთ მაშინდელმა მთავარმართებელმა თ. ვორონცოვმა ყოველგვარი ღონისძიება მისცა უფ. პ. იოსელიანს ძველი წიგნების გამოცემისათვის, შემდეგ საზოგადოებაში შეკრებული ფულით გამოსცეს პირველი წიგნი „კალმასობისა“, ბოლოს 1869 წ. თ. გ. ორბელიანის თაოსნობით ჩვენ საზოგადოებაშივე შეიკრიბა ცოტაოდენი ფული, რომლითაც შარშან უ. უ. ბერძენოვმა, წერეთელმა და უმიკაშვილმა „დავითიანი“ გამოსცეს, მაგრამ როგორც ხშირად ემართება ხოლმე ჩვენებურ კაცს, საზოგადოებამ ვერ მოიყვანა სისრულეში თავისი წადილი: იმის მოთავეობას და მეცადინეობას დღემდე ორიოდ ძველი წიგნის გამოცემის მეტი არა გაუკეთებია...

სანატრელია, რომ ეს საქმე (ძველი წიგნების გამოცემა — ო. კ.) ისეთ პირობებში ეხდინათ, რომელთაც ნამდვილად ესმით ძველი წიგნების ღირსება და იმ არჩივებისა და ზანდუკების მტვერში, რომელშიც იმყოფება ახლა ჩვენი ზღვანაწერები, ისეთების გამორჩევა და დაბეჭდვა შეეძლოთ, რომელთაც მართლა ნამდვილი ისტორიული მნიშვნელობა ექნებათ ჩვენთვის<sup>1</sup>.

დროების წადილი არ გამართლდა. ფართო საზოგადოებრიობამ მას მხარი არ აუბა: უსახსრობის გამო მრავალი ცნობილი მოღვაწე, რომელსაც წესით ყველაზე მეტად უნდა მიე-

<sup>1</sup> ვაზ. „დროება“, 1871, № 19.

ტანა გულთან ახლოს მამულიშვილური საკითხები, წიგნების ბეჭდვას ძალაუფლებურად თანდათანობით სულ ჩიპოვილდა. ერისკაცთაგან ღეთისანაბარა მიტოვებული ეს საშვილიშვილო საქმე მერკანტილური ტენდენციებით განმსჭვალულმა, წერილმან მაქინაციებში გაწაფულმა შემთხვევითმა პირებმა ჩაიგდეს ხელში. იმ დროისთვის დიდი რაოდენობით იბეჭდებოდა დუქნებსა, სამოციტნობებსა და ღვინის სარდაფებში დოლ-გარმონსა, დაფა-ზურნასა და არღანზე სასიმღერო უშინაარსო ლექლების მცირე მოცულობის კრებულები, რეალურ საფუძველს მოკლებული სათავგადასავლო-სარაინდო მოთხრობები, პროვინციალურ ხუმრობა-ოხუნჯობებსა თუ ანექლოტებზე დაწერილი კომედია-ვოდვეილები და სხვა, რომელთაც იოტის ოდენადაც არ შეეძლოთ დადებითი გავლენის მოხდენა საზოგადოებაზე. 1877 წელს იბეჭდება, მაგალითად, დ. გივიშვილის „ომის სიმღერა ბრძოლის ველზე გარდაცვალებული თ. ი. ჩოლოყაშვილზე“, 1878 წელს ი. ნერსესოვი აქვეყნებს დ. ლაზარევის „მილიციონერის სიმღერას“, იბეჭდება აგრეთვე დ. გულისაშვილის „ახალი მოდნის ქალი“, „ქვრივი რით სჯობს ქალწულსა“ და სხვა. საგამომცემლო საქმის შემოსავლის წყაროდ გადაქცევამ ლაუკარგა წიგნს შინაარსობრივო ღირებულება. „როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე იბადებიან ჩვენში სხვა-და-სხვათაგვარი წიგნები, მ. ურიაჩი პროშურები, — ვკითხულობთ „დროების“ 1881 წლის მოწინავეში. — ვინც კი გინდა, გამომცემლობას ჩემულობს. თითო-ორთუმანს მონახავენ სადმე, აიღებენ და სულელურ ლექსებს, ზღაპრებს, მოთხრობებს ან სხვა რამ გვარს აბეჭდვიან და ჰყიდიან. მომეტებული ნაწილი ამ წიგნებისა არც ღმერთს არგია, არც ერს, უფრო ხშირად კი ეს უმეტარი გამომცემლები ისეთ წიგნებს ავრცელებენ, რომლებიც მავნებელია, გავრცენელია ხალხის გონებისა და გემოვნებისა... გამომცემლობა, იათ წიგნების ბეჭდვას ისეთი კაცები ჰყიდიან ხელს, რომელთაც მხოლოდ თავის ჯიბის ინტერესი აქვთ, რომელთაც არც კი ესმით, თუ რა გვარი საკითხავი წიგნები იქნება ხალხისათვის სასარგებლო და გამოსაღვგი და რა გვარი წიგნი მავნებელი, გონების დამაჩლუნგებელი. განათლებული პირები კი, რომელთაც ეს ცოტათი მაინც ესმით, განზედ დგანან და

ამ შემთხვევაში ისინი ხალხზე და იმის საჭიროებაზე არ ზრუნავენ<sup>1</sup>.

წიგნების გამოცემასთან შედარებით არც დაბეჭდილი ლიტერატურის გავრცელება იყო უკეთ ორგანიზებული. ის მცირე რაოდენობის, მეტ-ნაკლებად საყურადღებო გამოცემებიც კი, რომლებიც ე. წ. „საუროიანი ლიტერატურის“ ბეჭდვისას ზოგჯერ გამოერეოდა ხოლმე, მკითხველამდე დიდი დაგვიანებით ან სულ ვერ აღწევდა. სპეციალიზებული მაღაზიების უქონლობის გამო წიგნით ვაჭრობას ძირითადად მედუქნეები მისდევდნენ, რომლებსაც ამ საქმის არაფერი გაეგებოდათ, არც მისი მნიშვნელობა ესმოდათ და არც აქედან მიღებული შემოსავლით იყვნენ დაინტერესებულნი. ერთი ლიტრი ნავთით, ქვამარილით, ლამპის შუშით, ფიტლებითა და სხვა ამგვარ წერილმანებით ვაჭრობა უფრო აძლევდათ ხელს მოგების თვალსაზრისით, ვიდრე წიგნების გაყიდვა. ამიტომაც დახლვა-ქვეშ შეყრილი და ნესტიან სარდაფებში დახვავებული წიგნები წლების განმავლობაში ეწყო ხელუხლებლად და ფუძელებოდა.

ი. ქაქავაძე, მთელი მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია, პერიოდული პრესა უყურადღებოდ არ ტოვებდნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ წიგნების გავრცელებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ყოველ ახალ ღონისძიებას. მაღალი შეფასება მისცა, მაგალითად, სპეციალიზირებული წიგნების მაღაზიის განსწავს გაზეთმა „დროება“ 1875 წელს. „ამ უამად იხსნება ჩვენს ქალაქში, — წერდა იგი, — ერთი წიგნის მაღაზია, რომელიც, თუ კარგათ, ენერგიულათ წაიკვანს საქმეს, ძალიან შემწეობას მისცემს ამ შემთხვევაში ქართული წიგნების გამოცემელთა. ჩვენ ვამბობთ უფ. ეპ. კალანდაძის წიგნის მაღაზიაზე. ეს მაღაზია თვითონ ჰკისრულობს ყველა ქართული წიგნის გავრცელებას. იმას ექნება ანგარიში ყველა ქალაქის მაღაზიებთან და პროვინციალურ აგენტებთან, რომელნიც ქართული წიგნების გაყიდვას კისრულობენ. ეს იქნება ცენტრალური მაღაზია, საიდანაც ყველა მხრიდან შეიძლება ქართული წიგნების დაბარება. მეორეს მხრით, წიგნების გა-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1881, № 5.

მომცემლებსაც შეუძლიანთ მხოლოდ ამ მალაზიასთან იქონიონ ანგარიში და დაიჭირონ საქმე“<sup>1</sup>.

სამწუხაროდ, ეპ. კალანდაძის მალაზიის გაზსნამ წიგნები თავრობის საქმე საქართველოში წინ დიდად ვერ წასწია, იგი კვლავ თვითდინებით მიმდინარეობდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დღის წესრიგში დადგა წიგნის გამოცემის სისტემის ძირეულად გარდაქმნის საკითხი. იგი ერთპიროვნული მართვის პრინციპიდან საზოგადოებრივ მართვაზე გადასვლას გულისხმობდა. ამ თაოსნობას ფართოდ გამოენმაურა მთელი ჩვენი მაშინდელი მოწინავე საზოგადოებრიობა. პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების წერილები, რომლებშიაც გამოთქმული იყო საყურადღებო მოსაზრებები გადასაწყვეტი საკითხის ირგვლივ. 1875 წელს, მაგალითად, ს. მესხი „დროებაში“ წერდა: „წიგნების გამოცემა ჩვენში ჯერ ნორჩი საქმეა, და როგორც ყველაფერს ნორჩსა და უმწიფარს, დიდ სიფრთხილედ და წინდახედულება ეჭირება. ჩვენი საზოგადოება თითქმის ეხლა ეჩვევა კითხვას; მაშასადამე, უპირველესი მოვალეობა ქართული წიგნების გამომცემლობისა ის უნდა იყვეს, რომ კითხვაში წახალისებული და თან ტვინის მარგებელი საზრდო აქლიოს ავ საზოგადოებას...

თუ გვინდა ცუდი შედეგი ავიცილოთ თავიდან, თუ გვსურს რომ საზოგადოება ქართული წიგნების კითხვას შევაჩვიოთ, გამოცემის საქმე სხვა გვარს საფუძველზე უნდა დავადგინოთ. შეერთებული შრომა, გამომცემელთა წრე ანუ ამხანაგობა გეშგელის ჩვენ ამ შემთხვევაში.

სანამ ამგვარი გამომცემელთა წრე არ შესდგება ჩვენში, სანამ ქართველ გამომცემლებს მომეტებულ ნაწილად გამოუცდელნი, განცალკევებული პირნი ჰქისრულობენ, მანამ ეს საქმე სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს“<sup>2</sup>.

ქართველი ინტელიგენციის ოცნება აღსრულდა. 1875 წლის მიწურულს შეიქმნა „წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა“, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულ იქნა ი. ჭავჭავაძე. თავისი

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1861, № 5.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1875, № 58.

ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, „ამხანაგობამ“ გარკვეული კვალი დატოვა ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში.

ამ ახლად შექმნილ საზოგადოებას სათავეში ედგა და მთელ მის საქმიანობას წარმართავდა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც, ი. ჭავჭავაძის გარდა, შედიოდნენ: ბეს. ლოლობერიძე, ბეს. ჭაფარიძე, იასე ჭავჭავაძე, დიმიტრი ბაქრაძე, გ. თუმანიშვილი, პ. უმიკაშვილი, რაფ. ერისთავი და ს. მესხი.

„ამხანაგობამ“ თავის პირველსავე სხდომაზე, რომელსაც ი. ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა, დაამტკიცა წესდება. მასში განსაზღვრული იყო ამ საზოგადოების დანიშნულება და სამოღვაწეო პროგრამა, მისი წევრების უფლება-მოვალეობანი და სხვა. იგი მიზნად ისახავდა ძველი და ახალი ქართული მწერლობის საუკეთესო ძეგლების, ისტორიული ხასიათის წიგნებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემას. „ამხანაგობის“ ფინანსურ-ეკონომიკური ბაზა დაფუძნებული იყო გამოცემებზე ხელის მოწერის, საზოგადოების შემოწირულობისა და სხვა საქველმოქმედო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლისაგან დაბალანსებულ საბრუნავ საშუალებებზე. 1875 წელს 3 დეკემბერს ს. მესხი ციურისში ე.პ. მელიქიშვილს ატყობინებდა: „აქ შედგა „საზოგადოება წიგნების გამომცემელთა“, რასაკვირველია ქართული წიგნებისა. ამ საზოგადოებაში ან ამხანაგობაში, ამჟამად ათი კაცი ვართ მოთავენი... განზრახვა ჩვენი ის არის, რომ ქართული ძველი და ახალი საუკეთესო მწერალთა თხზულებები გამოვცეთ, აგრეთვე ისტორიული და სახელმძღვანელო წიგნები. ფულები ჯერ-ჯერობით 500 მანეთამდე ხელში გვაქვს, ოთხ ამდენს კიდევ მოველით თუ ხელის მოწერითა და თუ სხვა გარეშე შემოსავლით... ყველანი ძალიან მხურვალეთ ეკადებიან ჯერჯერობით ამ საქმეს და შემდეგაც თუ ასე გასტანს, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს წიგნების გამოცემის საქმე ჩვენში კარგ გზაზე დადგება და კარგათ წავა. როცა ერთ-ორ წიგმს გამოვცემთ და საზოგადოებას გავაცნობთ ჩვენს თავს, მერე გვინდა, რომ ამ საქმეში ჩვენი ბობოლეები ჩავრთოთ (გრ. ორბელიანებისთანები) და ოფიციალურად ვითხოვოთ მთავრობისაგან ჩვენი საზოგადოების დამტკიცება. მაშინ კი-



დევ უფრო მომეტებული ღონისძიება გვექნება, რომ ეს საქმე კარგათ მოვათავოთ“<sup>1</sup>.

პირველი წიგნი „ქართულ გამომცემელთა ამხანაგობაჲ“ 1876 წელს დაბეჭდა ექვთ. ხელაძის სტამბაში. ეს იყო ი. ჭავჭავაძის წინადადებით შერჩეული ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებული შემდეგი სახელწოდებით: „ლექსანი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“. წიგნში შეტანილი იყო პოეტის 31 ნაწარმოები. აქედან 28 გრ. ორბელიანის ოჯახში დაცული ნ. ბარათაშვილისავე ხელნაწერებიდან გადმოუბეჭდიათ, ხოლო ოთხისათვის გამომცემლებს სხვა წყაროებში მიუკვლევიათ. ესენია: „შევიშრობ ცრემლსა ქირთ მანვლებელს“, „დამქროლა ქარმან სასტიკმან“, „ჩინარი“ და „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო შევთვალედიანო“. კრებულს დართული აქვს წინასიტყვაობა, რომელშიც გამომცემელი ამ ლექსების შესახებ წერენ: „ჩინარი“ ზედმიწევნით ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილის თქმულია. დანარჩენ სამ ლექსზე კი მაგას ვერ ვიტყვი, თუმცა ნ. ბარათაშვილის სიტყვას კილო და სიტყვოვლე მართალ გრძნობისა ზედ აჩნევია. სამწუხაროდ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ერთის დედნის გარდა, ვერსად ვერ ვიშოვეთ სხვა ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა ანუ საწმუნოთა გვათა გადმონაწერები, რომ შეგვედარებინა ერთმანეთთან და ისე შედარებით შეთანხმებული დაგვებუქდა“.

გამომცემელთა მიერ წინასიტყვაობაში გამოთქმული ვარაუდი კრებულში დაბეჭდილი იმ ოთხი ლექსის ბარათაშვილისეულობის შესახებ დოკუმენტურად დადასტურა მკვლევართაგან მოძიებულმა მასალებმა. ამით უნდა აიხსნას მათი შეტანა პოეტის ნაწარმოებთა ყველა შემდგომ გამოცემაში.

„ამხანაგობას“ განზრახული ჰქონია ნ. ბარათაშვილის 1876 წლის კრებული აკადემიური გამოცემა ყოფილიყო. მაგრამ პოეტის ნაწარმოებთა ხელნაწერების, მისი ცხოვრების ამსახველი მასალების ნაკლებობისა და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო ჩანაფიქრი ვერ განუხორციელებიათ. „დაბეჭდეთ კი ეს წიგნი, — ვკითხულობთ წინასიტყვაობაში, — მაგრამ მით ჩვენი გულითადი წადილი მთლად არ დაკმაყოფილებულა.“

<sup>1</sup> ს. მ. ე. ს. ი., წერილები, ი. ბოცაძის რედაქციით, 1950, გვ. 203.

ჩვენ გვსურდა ყოველი თხზულება ამ ჩვენის ნიჟიერის პოეტისა, ყოველი ნაწერი, ყოველი მიწერ-მოწერა შეგვეკრიფა და ამისთანა სრული წიგნი დაგვებეჭდა, რომ ეს ჩვენი საუცხოვო მწერალი გამოხატულიყო ჩვენი საზოგადოების წინაშე სრულის თავის თვისებითა. ეს წადილი ჩვენი დაბრკოლება მით, რომ ვერსად ვერ ვიხილეთ ვერც სრული თხზულება ნ. ბარათაშვილისა და ვერც სრული და ქეშმარიტი ამბავი მისი ყოფა-ცხოვრებისა.

წინასიტყვაობის დასასრულს „ამხანაგობა“ სთხოვდა საზოგადოებას მიეწოდებინა მისთვის ოჯახებში შემონახული მასალები ნ. ბარათაშვილის შესახებ, რათა შემდგომში მაინც მისცემოდათ პოეტის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემის შესაძლებლობა. „იმედი გვაქვს, — ნათქვამია წინასიტყვაობაში, — რომ ჩვენის ქართულის სიტყვიერების მოყვარენი ამაში შეგვეწვიან და ვისაც რა ეგულება სადმე ნ. ბარათაშვილის თხზულება, თუ ნაწერი რაზე, ან თუ მის ყოფა-ცხოვრებაზე ცნობა, გადმოგვცემს ჩვენ. რომ დღეს არა, საკვლავოდ მაინც შესაძლო გვექნას წარუდგინოთ ქართველობას მისი აღირსასხსოვრის პოეტის სრული თხზულება და შესაბამი ბიოგრაფია“.

ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა 1876 წლის გამოცემასთან დაკავშირებულია ერთი მეტად სავალალო შემთხვევა — პოეტის პორტრეტის განადგურება. „ამხანაგობის“ გადაწყვეტლებით ამ გამოცემას უნდა დართოდა ნ. ბარათაშვილის ფოტოსურათი, რომელიც ი: ჭავჭავაძეს პოეტის დის ნინოსათვის გამოუერთმევია და მესტამბე დუბელირისათვის გადაუცია კლიშეს დასამზადებლად. სამწუხაროდ, დუბელირის ფოტოლაბორატორიას ხანძარი გასჩენია და ნ. ბარათაშვილის ეს ერთადერთი სურათიც დაშწავრა.

ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებულის 1876 წლის გამოცემას უმაღლვე გამოეხმაურა მთელი მაშინდელი ქართული პერიოდული პრესა. გაზეთი „ღროება“ საზოგადოებას საზეიმო ტონით აუწყებდა: „დაიბეჭდა და ისყიდება... ლექსნი თქმულნი თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან“. სამწუხაროდ, ეს გამოცემა პოლიგრაფიული დონით ვერ იდგა ჭეროვან სიმაღლეზე. „ამ წიგნთან (იგულისხმება წერილი — ო. კ.) ერთად ჩვენი

საზოგადოების („ამხანაგობის“ — ო. კ.) პირველ ნაშრომს გზავნი: ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს. — სწერდა ს. მესხი ეკ. მელიქიშვილს. — გამოცემა, როგორც ხედავ, მაინცდამაინც საქები არ არის. მაგრამ რას იქ. ამ ჩვენს თფილისში, საუბედუროდ, ერთი ხეირიანი ტიპოგრაფია არ მოიძებნება, არც შრიფტი, რომ ცოტაც არის ლამაზი და შნოიანი წიგნის გამოცემა შეიძლებოდეს. ასე განსაჯე ქალაქდიც ამაზე უკეთესი მთელს თფილისში ვერ ვიშოვნეთ. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს პირველი გამოცემა ბარათაშვილისა (სულ 1.200 ეგზემპლარია) მალე გაისყიდება (ახლა ამ ორი კვირის განმავლობაში 400 ეგზემპლარი უკვე გაისყიდა) და შემდეგ მეორე სრულს გამოცემას ვაპირებთ, სადაც იქნება ბარათაშვილის ბიოგრაფია, იმის თხზულების განხილვა და სხვა. მაშინ უკეთ გვინდა გამოვცეთ“<sup>1</sup>.

1876 წელსვე „ამხანაგობამ“ დაბეჭდა მეორე წიგნი — ზ. ანტონოვის კომედიების კრებული, რომელშიაც შეტანილი იყო მწერლის შემდეგი პიესები: „მე მინდა კნეინა გავხდე“, „ქმარი ხუთის ცოლისა“, „განა ბიძამ ცოლი შეერთო!“, „ქორწილი ხევსურთა“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „ქოროლი“ და „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“. ეს კრებული იმათაა საყურადღებო, რომ მასში შესულია ზ. ანტონოვი თითქმის მთელი დრამატურგიული მემკვიდრეობა. ამასთან წიგნს დართული აქვს ნარკვევი მწერლის ცხოვრებაზე და გამოკვლევა, რომელშიც იმ დროის შესაბამისად საკმაოდ მაღალ პროფესიონალურ დონეზეა განხილული ზ. ანტონოვის შემოქმედება.

1876 წელს „ამხანაგების“ გრიფით გამოდის აგრეთვე მესამე წიგნი „ქართული ანდაზები“, რომელსაც წამძღვარებული აქვს პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობა. მასში მოკლედ აღმოცემულია ამ სახის ლიტერატურის ქართულ ენაზე პუბლიკაციის ისტორია და წარმოჩენილია ის შრომა, რომელიც პ. უმიკაშვილმა გასწია კრებულში შეტანილი ანდაზების შესაგროვებლად. „ქართული ანდაზები, — წერს წინასიტყვაობის ავტორი, — ძველთაგანვე შეკრებილი ჩვენს ძველ ხელნაწერ

<sup>1</sup> ს. მესხი, წერილები ი. ბოცვაძის რედაქციით, 1950, გვ. 252.

წიგნებში ჯერ აქამომდე არა სჩანს. პირველად ვხედავთ დ. ჩუბინაშვილის შედგენილ ქრესტომატიასში 1846 წ. და გადაბეჭდილის მეორე გამოცემაში 1863 წ. ამას გარდა ასიოდე იპოვება ურნალ „ცისკარში“ 1853 წ. ძალიან შეცვლილი, გალექსილი და დამახინჯებული. ცალკეთ დაბეჭდილი კი ჯერ არ ყოფილა. ამ ახალ გამოცემულ ანდაზებში და სიტყვის მასალებში (რიცხვით 990-მდე) ჩუბინაშვილის ქრესტომატიიდან შემოვიდა 510-მდე ცოტაოდენის ცვლილებებით და გამოკლებით; დანარჩენი 480-მდე ჩემგან შეკრეფილია...

საჭირო იყო შინაგანის აზრის მიხედვით დაგვეყო და არა-ანბანის რიგითა; მაგრამ რადგან ჯერ-ჯერობით ასე ცოტაა და ამას გარდა, გვინდა რომ შემდეგშიც მსურველთ არ გაუძნელდეთ ანდაზების შეკრება სხვა რამ შრომითაც ამისთვის ისევე ანბანის რიგით დაებეჭდეთ, როგორც უფალს ჩუბინაშვილსა აქვს დაბეჭდილი“.

ნ. ბარათაშვილის ლექსების, ზ. ანტონოვის პიესებისა და სხვა წიგნების გარდა, ი. ჭავჭავაძე აპირებდა „ამხანაგობის“ გრიფით გამოეცა აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის პოეზია, ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ცხოვრება, ნ. დადიანის „შემოკლებული ისტორია საქართველოსი“, სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვა. ამის გამო ს. მესხი 1875 წლის 8 დეკემბერს ეკ. მელიქიშვილს აცნობებდა: „ჩვენი წიგნების გამომცემელთ საზოგადოების („ამხანაგობის“ — ო. კ.) საქმე ჯერჯერობით მარჯვით მიდის. ყველანი ენერგიულად ჰკიდებენ ამ საქმეს ხელს და იმედია, რომ თუ დიდხანს არ გაძლებს, რაც იქნება მაინც კარგია: რამდენიმე სასარგებლო წიგნს მაინც გამოსცემს. ახლა იმაზედა გვაქვს მოლაპარაკება, რომ არიამეტიკა, გეოგრაფია და ისტორია გამოიცეს ქართული და იმის გარდა ქართული ენციკლოპედია.

ენაზეთ როგორ შევასრულებთ ამ მძიმე საქმეს“<sup>1</sup>.

სამწუხაროდ, „ქართული წიგნის გამომცემლობათა ამხანაგობის“ არსებობა ზანმოკლე გამოდგა. იმის გამო, რომ იგი ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ ოფიციალურად არ იყო სანქციონირებული, სულ რაღაც ერთ წელიწადში დაიხურა.

<sup>1</sup> ს. მესხი, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, 19.

1877 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ ი. ჭავჭავაძის ინიციატივით არსდება „ქართული მწერლობის მოყვარულთა გაკომცემლობა“. 1884 წელს იგი ბექდავს ძველ ქართულ ცნობილ ლიტერატურულ ძეგლს „ვისრამიანს“, როპლის რედაქტორებიც იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი და ალ. სარაჯიშვილი, ალ. ბარამიძის დოკუმენტურად დასაბუთებული მტკიცებით ამ გამოცემის „ყველა სარედაქციო შენიშვნები და გასწორებანი შესრულებულია პ. უმიკაშვილის ხელით. მასვე ეკუთვნის სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები ხელნაწერების ამიებზე... ერთი სიტყვით, მთელი შავი სარედაქციო მუშაობის შესრულება რგებია პეტრეს... ილია, როგორც წ.-კ. საზოგადოების მეთაური „ვისრამიანს“ საქმესაც მეთაურობდა. ილიასათვის შეუთანამშრომლებიათ ტექსტის დადგენის ძირითადი პრინციპები“<sup>1</sup>.

შეთანხმების თანახმად „ვისრამიანის“ ამ გამოცემისათვის წინასიტყვაობა პ. უმიკაშვილს დაუწერია და ილიასათვის გადაუცია წასაკითხად, როგორც „მთავარი რედაქტორისათვის“. იგი მისთვის ჩვეული გულსყურით გასცნობია ხელნაწერს და პირველ ნაწილს მეორეხარისხოვანი ამბებით გადატვირთვის გამო იმდენად უარყოფითი გავლენა მოუხდენია მასზე, როგორც ეს საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი თავიდან დაუწერია. ამის შემდეგ წინასიტყვაობა ავტორისათვის დაუბრუნებია და თან ერთგვარი მობოდიშების წერილიც მიუწერია: „პეტრე, თუ მოგეწონოს, თავი ესე დაგიწყით, და ზოლო შენი ნაწერიანა იყოს, სადაც ნიშანია იქიდან“<sup>2</sup>.

„ვისრამიანის“ წინასიტყვაობის ი. ჭავჭავაძისეულ ვარიანტს ალ. ბარამიძემ მიაკვლია 1939 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ყოფილ ხელნაწერთა განყოფილებაში. მასში განხილულია ამ კლასიკური ლიტერატურის მეცნიერულად შესწავლის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. კერძოდ, მოცემულია „ვისრამიანის“ ქართულად წარმოშობის პერიოდის განსაზღვრის ცდა. იგი ამ ფაქტს დაახლოებით X<sup>1</sup>!

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, 1945, გვ. 379, 380.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. 11, პ. ინგოროყვას რედაქციით, 1941, გვ. 660

საუკუნით ათარიღებს და თავისი მოსაზრების დასაბუთებლს მიზნით სათანადო სავარაუდო არგუმენტებსაც იშველიებს. „ეს თხზულება, — წერს ილია, — ეკუთვნის დიდებულს დროს თამარ მეფისას. ამას მოწმობს თვით ენის სიკეთე, სიცოცხლე და კილო... ცოტათ თუ ბევრად საფიქრებელია, რომ ვისრამიანი ვეფხვის-ტყაოსანზე ადრეა დაწერილი, იმიტომ რომ რუსთაველი რამდენსამე ადგილას თავის ვეფხვის-ტყაოსანში იხსენიებს ვისრამიანის გმირთა: ვისსა და რამინსა და იმათი ერთმანეთის სიყვარული და ტრფიალება მაგალითებსავით მოჰყავს“<sup>1</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს წინასიტყვაობაში ი. ჭავჭავაძე ნაწარმოების სადაურობის შესახებ. „ვისრამიანის“ „დამწერად, — განმარტავს იგი, — საოგან თმოგველს ამბობენ, თუმცა მტკიცე საბუთი ამისი ვერასგზიო ვერსად ვიპოვეთ“. აქედან გამომდინარე, ილია ექვემდებარება ძეგლის ორიგინალობის საკითხს. იგი არ იზიარებს აგრეთვე არც იმის მოსაზრებას, თითქმის ამბავი ვისისა და რამინის შესახებ ზეპირი გადმოცემითაა შემოსული ჩვენში სპარსეთიდან და შემდეგ ქართულად გალექსილი.

ილიას ღრმა რწმენით ეს ძეგლი თარგმნილია და არა ორიგინალური ნაწარმოები. „უფრო საბუთიანი ის არის, რომ „ვისრამიანი“ თარგმანია და არა საკუთარი ქართული თხზულება. — ამბობდა იგი, — ამას ამტკიცებს თვითონ პირველი კარი ამ თხზულებისა, საცა ჰსწერია, რომ აქ მოხსენებული ამბავი ფაქტურად სპარსულად გადმოთარგმნილიაო. ამ გარემოებას მით უფრო მეტი ძალა ეძლევა, რომ დღესაც სპარსულად არის ვისრამიანის ამბავი ქილილა და დამანასავით ლექსად და პროზად შერეული დაწერილი მეთერთმეტე საუკუნის პოეტის ფაქრადდინ-ასადლისა“<sup>2</sup>.

„ვისრამიანისათვის“ დაწერილ წინასიტყვაობაში „ი. ჭავჭავაძემ საუცხოვო მეცნიერული ალღო გამოიჩინა, საკითხი დაბეჭდვით გამოიძია და პირუთვნელი სიმართლე აღიარა „ვისრამიანის“ შესახებ. მან კალმის ერთი მოსმით გადაწყვი-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. 11, პ. ინგოროყვას რედაქციით, 1941, გვ. 635.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 636.

ტა ის პრობლემა, რაც მრავალი მკვლევარისათვის შეჰდევ-  
შიაც თავსამტკრევი გახდა“<sup>1</sup>.

პ. უმიკაშვილმა და ლ. სარაჯიშვილმა არ გაიზიარეს ილიას  
მოსაზრება „ვისრამიანის“ არაორიგინალობაზე და წინასიტყვა-  
ობაში უმართებულო სწორება შეიტანეს. სანწუხაროდ, ამგ-  
ვარად „გასწორებული“ წინასიტყვაობით დაიბეჭდა 1884  
წელს გამოცემული „ვისრამიანი“. ეს იყო აშკარა დანაშაული.  
საკითხის დაუსაბუთებელი, ხელალებითი გადაწყვეტით თა-  
ნარედაქტორებმა გარკვეული ჩრდილი მიაყენეს ი. ჭავჭავა-  
ძეს, როგორც მეცნიერსა და და გამომცემელს, რადგანაც მი-  
სი სახელით გავრცელებული მცდარი მოსაზრება „ვისრამი-  
ანის“ ორიგინალობაზე, კარგახანს იყო გაბატონებული საზოგა-  
დოების ფართო წრეებში. ამ გაუგებრობას ფარდა აეხადა და  
ნათელი მოჰფინა ალ. ბარამიძის მიერ 1939 წელს მოძიებულ-  
მა მასალებმა 1884 წელს დაბეჭდილი „ვისრამიანის“ შესახებ,  
სადაც დაცული აღმოჩნდა ამ გამოცემის წინასიტყვაობის ილია-  
სეული ვარიანტი.

ასეთია მოკლედ ი. ჭავჭავაძის საგამომცემლო მოღვაწე-  
ობა.

---

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორი-  
ოდან, 1945, გვ. 382.

## ქართული წიგნის გეგმის ისტორიის კოზიტყობილას

1976 წელს „მერანმა“ გამოსცა მ. გორგიძის მონოგრაფიული გამოკვლევა „ქართველები პეტერბურგში“. ეს არის უდავოდ საინტერესო წიგნი, რომელშიც აღწერილია ჩვენი თანამემამულეთა ცხოვრება-მოღვაწეობა XVIII—XIX საუკუნეებში რუსული კულტურის მდიდარი ტრადიციების მქონე ნევისპირა ქალაქში. აკ. შანიძე ამ გამოკვლევისათვის სპეციალურად დაწერილ წინასიტყვაობაში აღნიშნავს: ეს წიგნი „მოგვითხრობს პეტერბურგის კოლონიის ქართველთა საქმიანობაზე, კოლონიისა, რომელიც წარმოიშვა ბედუკუღმართობის გამო პეტერბურგში გადასახლებული ანდა თავიანთი ნებით ჩასული ქართველებისაგან, რომლებიც ცხოვრობდნენ იქ დიდხანს და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში... მ. გორგიძის მიერ გაწეული შრომის შედეგად ნათელი ეფინება მეცნიერებისა თუ ხელოვნების მრავალი წარმომადგენლის, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწის მივიწყებულ სახელებს“.

აკ. შანიძე მალალ შეფასებას აძლევს მ. გორგიძის არა მარტო ჩანაფიქრს — ნათელი მოკვინოს პეტერბურგელ ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობას, არამედ თავად წიგნის მეცნიერულ ღირებულებასაც. იგი იმავე წინასიტყვაობაში წერს: ეს „სოლიდური გამოკვლევა, რომელიც მოიცავს ორ საუკუნეზე მეტ პერიოდს, დაწერილია ნიჭიერად და საქმის ცოდნით. იკითხება ცოცხლად, დიდი ინტერესით, ავტორმა თავის ნაშრომს საფუძვლად დაუდო საარქივო მასალები და ვრცელ



სპეციალურ ლიტერატურაში (მათ შორის სამუზეუმო და მუზეარულში) მოძიებული ცნობები“.

იქვე ჩვენსი სახელოვანი მეცნიერი ასკენის: „სრული საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ მ. თ. გორგიძის წიგნს გულთბილად მიიღებს ყველაზე მკაცრი მკითხველიც კი“.

ა. შეიძლება ბატონ აკაის ნათქვამს არ ვერწმუნოთ. თუმცა ამავე დროს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნამდვილად საყურადღებო გამოკვლევაში, სამწუხაროდ, მაინც ვხვდებით ზოგიერთ მცდარ. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე უარყოფილ, მოძველებულ შეხედულებებს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაზე, რომელთაღმე დღემილით გვერდის ავლა უმართებულოდ მოგვაჩნია.

წიგნში გამოთქმულია მოსაზრება, რომ XVIII საუკუნის 60-იან წლებში, კერძოდ 1761, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებობდა ქართული სტამბა. მასში ვკითხულობთ: „მეცნიერებათა აკადემიის სტამბამ, თავის მხრივ, თეიმურაზის ჩამოსვლის აღსანიშნავად (იგულისხმება თეიმურაზ II ჩასვლა პეტერბურგში 1761 წელს დიპლომატიური მისიით — ო. კ.), როგორც ჩანს, თავად აკადემიის მონაწილეობით, ორნამენტებით შემკულ შესანიშნავ ბლანკზე დაბეჭდა საზეიმო მისალმება ქართულ და რუსულ ენებზე“<sup>1</sup>.

თავისი ამ მოსაზრების განსამტკიცებლად მ. გორგიძე სქოლიოში იმორწმებს 1941 წელს გამოცემულ „ქართული წიგნის“ პირველ ტომს. ჩვენ საგანგებოდ გადავხედეთ დასახელებულ წყაროს და მასში რაიმე ცნობას, 1761 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული სტამბის არსებობაზე, ვერ მივაკვლიეთ.

მ. გორგიძეს განსახილველ საკითხში უნებლიე შეედომა კი არ აქვს დაშვებული, არამედ იგი დარწმუნებულია, რომ XVIII საუკუნის 60-იან წლებში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული სტამბა ნამდვილად არსებობდა. იმავე წიგნშივე ნათქვამია: „1761 წლის 21 ივნისს თეიმურაზ II პეტერბურგში ჩასვლასთან დაკავშირებით მეცნიერებათა აკადემიაში მისვლასთან დაკავშირებით დაიბეჭდა აკადემიის

<sup>1</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 25.

თანამშრომელთა მისალმება ქართული და რუსული პარალელური ტექსტებით: აქვე დაისტამბა 1783 წელს ეკატერინე II და ერეკლე II შორის დადებული რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი... 1796 წელს ასევე ქართული და რუსული პარალელური ტექსტებით გამოვიდა ეკატერინე II მანიფესტი გენერალ ზუბოვის სპარსეთის წინააღმდეგ ვალაშქრების შესახებ<sup>1</sup>.

მ. გორგიძე ფიქრობს, რომ პეტერბურგის ქართული სტამბა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 40-იანი წლების დამდეგისათვის დაუარსებიათ იქაურ ემიგრანტებს. „1736 წელს ქართული სტამბა ფუნქციონირდება მეცნიერებათა აკადემიასთან. — აცხადებს სარეცენზიო წიგნის ავტორი, — სადაც იბეჭდებოდა წიგნები და მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტები, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე“.

ამავე მოსაზრებას უფრო გამოკვეთილად და დანეჭითებთან გამოთქვამს მ. გორგიძე ცოტა ქვევით: „უკვე 1736—1737 წლებში, — წერს იგი, — ქართველთა კოლონია პეტერბურგში იმდენად მნიშვნელოვანი და მომქმედი გახდა, რომ უკუნიერებათა აკადემიასთან მოაწყო ქართული სტამბა. ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღო მოსკოვიდან ჩამოსულმა ბეჭდვითი საქმის თვალაჩინო მკოდნემ ქრისტეფორე გურამიშვილმა. სტამბის მოწყობას ხელმძღვანელობდა იოსებ სემელები... პეტერბურგის სტამბაში 1737 წელს დაიბეჭდა „რუსულ-ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. სტამბის გახსნითა და ანბანის გამოცემით ჩაეყარა საფუძველი ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურულ სკოლას პეტერბურგში“<sup>2</sup>.

ისე რომ, მ. გორგიძის აზრით, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული სტამბა არსებობდა მთელი 112 წლის მანძილზე და ამ ხნის განმავლობაში ზემოაღნიშნულ „ანბანის“, თეიმურაზ მეორისადმი მიძღვნილი მისალმებისა და მანიფესტების გარდა, დაიბეჭდა: 1808 წელს გ. ფირალიშვილის „ყვავილის ატრა“, 1839 წელს — ა. სულხანიშვილის „ქართულ-ფრანგულ-რუსული მეთოდური ლექსიკონი“, 1848 წელს — თ. ბაგრატიონის „ივერიის ისტორია“ და სხვა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 47.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 46, 47.

<sup>3</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 296.

მოსაზრება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან XVIII—XIX საუკუნეებში ქართული სტამბის არსებობაზე მცდარი და მიუღებელია. ი. სამებელსა და ქრ. გურამიშვილს არც უფიქრიათ პეტერბურგში „ქართული წიგნთსაბეჭდავის“ მოწყობა. რაც შეეხება 1736 წელს (და არა 1737 წელს, როგორც ამას მ. გორგიძე აღნიშნავს) გამოცემულ „ქართულ-რუსულ ანბანს“, იგი დაიბეჭდა ი. სამებლის ხარჯითა და ქრ. გურამიშვილის უშუალო მონაწილეობით არა ქართულ, არამედ თავად მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, რომელსაც რუსულის გარდა სხვა შრიფტებიც ჰქონდა. აღნიშნულ პერიოდში მასში იბეჭდებოდა, აგრეთვე წიგნები ბერძნულ, სომხურ და სხვა ენებზე. მაგრამ ეს სრულიადაც არ გვაძლევს იმის უფლებას, ვამტკიცოთ, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან რუსულის გარდა სხვა ეროვნული სტამბებიც არსებობდნენო. ყველა ის წიგნი თუ დოკუმენტი, რომელსაც მ. გორგიძე ასახელებს, დაიბეჭდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის რუსულ სტამბაში და არა ქართულში.

მ. გორგიძე ასევე შეცდომას უშვებს როდესაც სხვა მკვლევართა ცნობების კრიტიკულად შეუფასებლობისა და გაუანალიზებლობის შედეგად ფიქრობს, თითქოს XVIII საუკუნის 60-იან წლებში პეტერბურგში კიდევ მეორე ქართული სტამბაც არსებობდა: „მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ქართული სტამბის გარდა ა. ს. ხახანაშვილის მონაცემებით პეტერბურგში 1768 წლიდან ეპისკოპოსმა გრიგოლ ხარჭაშენელმა გახსნა სტამბა ნუსხური ქართული შრიფტით“, — აცხადებს მ. გორგიძე და იქვე იმ სტამბაში დაბეჭდილად „სახარებას“ ასახელებს<sup>1</sup>.

1768 წელს არამცთუ პეტერბურგში, საერთოდ რუსეთში და საქართველოშიც ქართულ ენაზე „სახარება“ არ გამოცემულა. მიუხედავად ამისა, 1884 წელს თ. ჟორდანიას წერდა: „1768 წელს გაიხსნა ქართული სტამბა ს. პეტერბურგში, ქართველი ეპისკოპოსის გრ. ხარჭაშენელისაგან, რომელიც გამოგზავნილი იყო დასაბრუნებლადვე საქართველოშივე ვახტანგ მეფის და სხვადასხვა სამღვდელთა პირთაგან საქართველოდან გაზი-

<sup>1</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 47.

დული საქართველოს ეკლესიის კუთვნილთა სიწმინდეთა და სხვა ნივთთა. დარჩენილმა სამუდამოდ რუსეთში, მან დაბეჭდა რამდენიმე წიგნი სხვათა შორის სახარება ქართული 1787 წელს<sup>1</sup>. ამავე მოსაზრებას გამოთქვამენ ალ. ცაგარელი<sup>2</sup> და ზ. კიკინაძე<sup>3</sup>.

1768 წელს პეტერბურგში ეპისკოპოს გრ. ხარჭაშენელს მიერ ქართული სტამბის დაარსების საკითხს თავიდანვე სკეპტიკურად შეხვდა დ. კარიკაშვილი. მან ჯერ კიდევ 1929 წელს ხმამაღლა განაცხადა „ზღაპარს ჰგავს მოწმობა, ვითომ მეთერთმეტე საუკუნეში (1786) დაარსებულ იყვნენ პეტერბურგში ქართული სტამბა. ამ სტამბისა დამმარსებლად ასახელებენ ეპისკოპოსს გრიგოლ ხარჭაშენელს, რომელსაც ჟორდანიას სიტყვით დაუბეჭდია რამდენიმე წიგნი და სხვათა შორის სახარება 1787 წელს“<sup>4</sup>.

ვერსია გრ. ხარჭაშენლისეული სტამბის არსებობაზე დღესათვის მკვლევართაგან საკმაოდ დასაბუთებულადაა უარყოფილი. ამის ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებენ იმ ფაქტს, რომ ამ სტამბაში დაბეჭდილ არც ერთ წიგნს ჩვენამდე არ მოუღწევია.

შეუძლებელია გავიზიაროთ აგრეთვე მ. გორგიძის მოსაზრება XVIII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულისათვის მოსკოვის სინოდალურ სტამბასთან „მცირე წარმადობის ქართული სტამბის“ არსებობის შესახებ<sup>5</sup>. სინოდალურ სტამბას არავითარი ე. წ. „ფილიალები“ არა ჰქონია. იმ დროისათვის მოსკოვში ჯვართამაღლების მონასტერთან არსებობდა ქართული სტამბა, რომელიც თბილისის ყოფილ მიტროპოლიტს ათანასე ამილახვარს ეკუთვნოდა და მას არავითარი წარმოებითი კავშირი არ ჰქონდა სინოდთან.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანობა გა-

<sup>1</sup> ქურონალი „ივერია“, 1884, 3.

<sup>2</sup> А. л. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, с. 18.

<sup>3</sup> ზ. კიკინაძე, ქართული სტამბები 1626—1916, გვ. 97.

<sup>4</sup> დ. კარიკაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 61.

<sup>5</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 47.

ვრცელბული იყო ვერსია იოსებ სამებელის მიერ ნოვეგოროდში ქართული სტამბის დაარსების შესახებ. ამ ვერსიას თავის დროზე მხარი დაუჭირა კ. კეკელიძემაც. „ნოვეგოროდში დაბინავების შემდეგ, მან (სამებელმა) დააარსა სტამბა, რომელშიაც დაიბეჭდა „ჟამნი“, „ზატიკი“ და „სახარება“. როცა რუსეთში მცხოვრებ ქართველებს უფლისწულ ბაქარის სახით უარი უთხრეს მეცნიერებათა აკადემიაში ქართული საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნების დაბეჭდვაზე, გადაწყვიტეს მათი თავად დაბეჭდვა; ამ მიზნით მათ განიზრახეს გამოეყენებინათ იოსებ სამებელისეული ნოვეგოროდის სტამბა, ამისათვის ბაქარს 1740 წელს თხოვნით მიუშარათავს უწმინდესი სინოდისათვის იოსების მოსკოვში გადმოყვანის შესახებ, რის თაობაზეც თავადაც წვალობდა ადრე, მაგრამ უშედეგოდ. ამჯერად სინოდმა დააკმაყოფილა ბაქარის თხოვნა და იოსები მოსკოვში გადმოიყვანა. ნოვეგოროდიდან მან თან წამოიღო თავისი სტამბაც, რომელიც შემდეგ ვსესვიატსკოეში მოათავსა“<sup>1</sup>.

ნოვეგოროდში ქართული სტამბის არსებობის შესახებ მისაზრება კ. კეკელიძეზე ადრე თ. ჟორდანიამ წამოაყენა<sup>2</sup>. შემდეგ მას მხარი დაუჭირეს ალ. ხახანაშვილმა<sup>3</sup> და ეპისკოპოსმა კირიონმა<sup>4</sup>. სამაგიეროდ, მათი მოსაზრება სრულიად სამართლიანად არ გაიზიარა დ. კარიჭაშვილმა და კატეგორიულად უარყო იგი. „თ. ჟორდანიას — განმარტავს დ. კარიჭაშვილი — თავის სტატიაში, მთავარ-ეპისკოპოზი იოსებ სამებელი“ მოგვითხრობს, ვითომ იოსებ სამებელს ნოვეგოროდის კათედრაზე განწესებისთანავე სტამბა გაემართოს ნოვეგოროდში (იურის მონასტერში) და იქ დაებეჭდოს წიგნები. ის წიგნები, რომელნიც ჟორდანიას ნოვეგოროდში დაბეჭდილებად აქვს მოხსენებული, ყველანი მოსკოვში არიან დაბეჭდილნი სამებელის მიერ დაარ-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურული ძეგლები, გვ. XXII—XXIII (რუს. ენაზე).

<sup>2</sup> ჟურნ. „ივერია“, 1884. № 2, გვ. 54, 55.

<sup>3</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словестности, 1904, с. 370.

<sup>4</sup> Епископ Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата XIX столетия, 1902, с. 222.

სებულ სტამბაში“. იქვე დ. კარიჭაშვილი ასკვნის: „იოსებ სამებელმა, დააარსა სტამბა მხოლოდ მოსკოვში, ნოვგოროდში კი არც მას და არც სხვას ვისმე ქართული სტამბა არ დაუარსებია“<sup>1</sup>.

დ. კარიჭაშვილი ჭეროვანი მასალის მოშველიებით ექვმიჯ. ტანლად ასაბუთებს ნოვგოროდში ქართული სტამბის უარყოფის საკითხს. ის წიგნები, რომლებსაც თ. ყორდანი, ალ. ხაზანაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი და კ. კეცელიძე ნოვგოროდში გამოცემულად მიიჩნევენ, ნამდვილად მოსკოვში ანუ იგივე ვსესვიატსკოვს სტამბაშია დაბეჭდილი: „ზატიკი“ 1738 წელს, „სახარება“ 1739 წელს, ხოლო „მარხვანი“ — 1741 წელს. ისე რომ, ნოვგოროდში არც ერთი ქართული წიგნი არ დაბეჭდილა და არც სტამბა დაარსებულა. ასე რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელია ამ სტამბაში გამოცემული წიგნებიდან ერთ-ერთს მაინც არ მოეღწია ჩვენამდე.

იბადება კითხვა: იცნობდა თუ არა მ. გორგიძე სპეციალურ ლიტერატურაში ზემოაღნიშნულ მკვლევართაგან ნოვგოროდის ქართული სტამბის ვერსიის შესახებ გამოთქმულ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს? ცხადია, იცნობდა, რადგანაც მათ ნაშრომებს თავის მონოგრაფიულ გამოკვლევის სქოლიოებში წყაროების სახით იმოწმებს. მიუხედავად ამისა, მაინც „იტავს“ აშკარად მცდარ მოსაზრებას ნოვგოროდისეული სტამბის შესახებ. იგი თვითდაჯერებული ტონით წერს: „ნოვგოროდის მონასტრის არქივისეპისკოპოსის შემცვლელმა, არქივისეკოპოსმა იოსებ სამებელმა (ქობულაშვილმა) თავისი ხარჯით ნოვგოროდში მოწყობილ ქართულ სტამბაში 1739 წლამდე დაბეჭდა ხუთი დასახელების ნათარგმნი რელიგიური ხასიათის წიგნი“. უფრო მეტიც: იგი ამ სტამბის თანამშრომლებსაც კი ასახელებს. მისი აზრით ესენი იყვნენ: „იერომონაზი ქრისტეფორე გურამიშვილი, კარის ეკლესიის მღვდელი გიორგი, იერომონაზი დავით ხოზაშვილი და არქიმანდრიტი გერმანე“<sup>2</sup>.

ჩვენ აქ მ. გორგიძესთან პაექრობას აღარ გავაგრძელებთ,

<sup>1</sup> დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 60.

<sup>2</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 287.

ვიტყვით მხოლოდ, რომ მის მიერ ნოვგოროდის სტამბის მო-  
ღვაწეებად მოქსენიებული ქრ. გურამიშვილი, კარის ეკლესი-  
ის მღვდელი, იგივე არჩილ II ეულად დარჩენილი ასულის  
დარეჯანის მოძღვარი გიორგი დამბარაშვილი და სხვა დანარ-  
ჩენნი, იყვნენ ვსესვიატსკოეს სტამბის მბეჭდავ-ასოთამწყობ-  
ნი, გამოსაცემი ტექსტების „ქართულსა ენასა ზედა გამმარ-  
თველნი“ და ანაბეჭდების „მჩხრეკაენი“ (კორექტორები).

კარგახანს სპეციალურ ლიტერატურაში გაბატონებულა  
იყო აგრეთვე კიდევ ერთი მცდარი მოსაზრება, თითქოს, ნოვ-  
გოროდის გარდა, ქართული სტამბა არსებობდა ვლადიმირშიც.  
ამ საკითხს მკვლევართა გარკვეული ნაწილი ანტონ I კათალი-  
კოსის სახელს უკავშირებს. როგორც ცნობილია, ანტონი  
მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა რთინვე  
გამოსდგომოდა თავის ქვეყანას კულტურის მხრივ ჩამორჩენი-  
ლი აღმოსავლეთის მაჰმადიანური საბელმწიფოების გავლენი-  
საგან გამოხსნისა და წინსვლა-დაწინაურების საქმეში. ამი-  
ტომ იგი თავისი დიდი წინაპრის სულხან-საბა ორბელიანის  
მსგავსად ევროპული კულტურის საქართველოში შემოტანის  
მიზნით ატლო ურთიერთობას ამყარებს იმხანად თბილისში  
მყოფ რომაელ მისიონერებთან და მალე კათოლიკობასაც ღე-  
ბულობს. მართლმადიდებლობისადმი ფანატიკურად განწყო-  
ბილი ქართველი სამღვდლეობა მთავარეპისკოპოს საბა ნი-  
ნოწმინდელისა და სამეფო კარის მოძღვრის ზაქარია გაბაშ-  
ვილის თაოსნობით წინ აღუდგა პატრიარქის „განდგომასა  
სჯულისაგან“. 1755 წლის 16 დეკემბერს სამღვდლეობის  
შთაგონებით თეიმურაზ II მცხეთაში მოიწვია საეკლესიო  
კრება, რომელზედაც ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენეს.  
რამდენიმე ხნის შემდეგ, კერძოდ 1756 წლის 4 აპრილს, გაი-  
მართა მეორე კრება. ამჯერად, ანტონმა გულწრფელად აღი-  
არა კრებაზე თავისი „ცდომილებანი“, საჭაროდ უარყო კა-  
თოლიკობა და რუსეთში წასვლის ნებართვა ვაჰოიოზოვა.  
კრებამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა.

1755 წელს მცხეთის საეკლესიო კრების მიერ შერისხული  
და სამშობლოდან განდევნილი ანტონი ერთხანს მოსკოვშია  
და ვახტანგ VI აშალის წევრებში ტრიალებს, ხოლო შემდეგ  
პეტერბურგს მიემგზავრება. აქ იგი წარუდგა უწმინდეს სი-

ნოდს, იმართლა თავი და დაამტკიცა თავის მართლმადიდებლობა, რის შემდეგ 1757 წლის 8 აგვისტოს დანიშნულ იქნა მთავარეპისკოპოსად ვლადიმირის ეპარქიისა, რომელსაც განაგებდა 1762 წლამდე.

აქედან გავრცელდა მოსაზრება, თათქოს ვლადიმირში მოღვაწეობის დროს ანტონ I იქ ქართული სტამბა დაეარსებინოს. ზ. ჭიჭინაძე, რომელიც უყოყმანოდ იზიარებს ამ ვერსიას, წყაროს დაუსახელებლად აცხადებს, რომ ერეკლე II ხელის შეწყობით საქართველოში დაბრუნების შემდეგ ანტონის მიერ ვლადიმირში დაარსებული სტამბა თათქოს ათანასე ანაღასხვარს შეუსყიდია და მოსკოვში გადმოუტანია ჯვართამაღლების მონასტერთან „ქართული წიგნთსაბეჭდავის“ მოსაწყობად<sup>1</sup>. რაოდენ დიდი სურვილიც არ უნდა ჰქონოდა ათანასე ამილახვარს, ზ. ჭიჭინაძის ნათქვამს სსრუღელში მაინც ვერ მოეყვანდა, რადგანაც ანტონ კათალიკოსს ვლადიმირში არავითარი სტამბა არ დაუარსებია. ამის საფუძველს გვაძლევს ვიფაქროთ, ის უტყუარი ფაქტი, რომ არ არსებული ნოვგოროდის სტამბის მსგავსად არც ვლადიმირში დაბეჭდილი რაიმე ქართული წიგნი მკვლევართათვის ვიხუალურად ცნობილი არ არის.

მ. გორგიძემ ყოველივე ეს ძალიან კარგად იცის, მაგრამ თავის ნაშრომში „ქართველები პეტერბურგში“ მაინც იცავს ვლადიმირში ქართული სტამბის არსებობის საკითხს. იგი წერს: „ანტონ I ავტორმა მთელი რიგი ისტორიული, გრამატიკული, ფილოსოფიური და ფილოლოგიური ნაშრომებისა, ვლადიმირში თავისი ხარჯით მოაწყო ქართული სტამბა“<sup>2</sup>. მკვლევარი იმდენად დარწმუნებულია ამ ვერსიის ექვივალენტობაში, რომ კატეგორიული ტონით აცხადებს: „ქართული კულტურის ცნობილმა მოღვაწემ ანტონ ბაგრატიონმა, თავის დროზე საქართველოს კათალიკოსმა, დაწერა და 1757—1762 წლებში ვლადიმირში გამოსცა მთელი რიგი საეკლესიო და საერო წიგნები, აგრეთვე სახელმძღვანელოები“<sup>3</sup>. სამწუხარ-

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები, 1627—1916, გვ. 97.

<sup>2</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 48.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 287.



როდ, მ. გორგიძე მხოლოდ ზეპირი განცხადებით კმაყოფილდება და კონკრეტულად ვერ ასახელებს ვერც ერთს იმ „მთელი რიგი საეკლესიო და საერო წიგნებიდან“, რომლებიც, მისი თქმით, ვლადიმირში დაიბეჭდა. თუ რატომ — ეს მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს.

მართალია, საუბარი ძველ ქართულ სტამბებზე ერთობ გაგვიგრძელდა, მაგრამ სარეცენზიო წიგნში ამ საკითხზე მსჯელობისას დაშვებული შეცდომების სრულად წარმოჩენის მიზნით მაინც ვიტოვებთ უფლებას განვიხილოთ კიდევ ერთი უკვე დიდხნის წინათ გარკვეული, მაგრამ მ. გორგიძის მიერ ისევ ხელახლა ამოტივტივებული XVIII საუკუნის მიწურულისათვის კრემენჩუკში ქართული სტამბის არსებობის „პრობლემა“. იგი ირწმუნება, რომ კრემენჩუკში აღნიშნული პერიოდისათვის არსებობდა ქართული სტამბა, რომელშიც ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ და მეცნიერ-პედაგოგმა გაიოზ რექტორმა 1787—1789 წლებში თითქოს დაბეჭდა თავისი „ქართული ენის გრამატიკა“<sup>1</sup>. — ეს დასკვნა სწორი არ არის. მას საფუძვლად უდევს შემდეგი გაუგებრობა. დასასრულებულ წიგნს ბოლოში მიბეჭდილი აქვს ასეთი ცნობა: „დასასრული ღრამატიკისა. დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოველთასა. წელსა 1789, თთუესა ოკდომბერსა 2, კრემენჩუკს“. ამ ცნობის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ აღნიშნული წიგნი კრემენჩუკში იყო დაბეჭდილი. აქედან გამომდინარე ისინი აკეთებდნენ აბსოლუტურად მცდარ დასკვნებს; თითქოს გაიოზ რექტორს მოზღოვზე აღრე ქართული სტამბა კრემენჩუკში ჰქონდა დაარსებული. თ. ყორდანიას წერს: „1789 წელს აგვისტოს 2-ს „არქიმანდრიტის გაიოზის მიერ ითარგმნა კრემენჩუკს წიგნი მისი მ. ჩ. ამბროსი მედიონალენის ეპისკოპოზისა. ამაჟე წელს დაიბეჭდა კრემენჩუკს გაიოზის გრამატიკა ხუცუხრად“<sup>2</sup>.

კრემენჩუკში ქართული სტამბის არსებობის საკითხს რკაჷ-

<sup>1</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 287.

<sup>2</sup> ურბ. „ივერია“, 1884. № 2.

ღნენ აგრეთვე ალ. ცაგარელი<sup>1</sup> და ზ. ჭიჭინაძე<sup>2</sup>. დ. კარიჭაშვილმა არ ირწმუნა ზემოდსახელებულ მკვლევართა ეს მოსაზრება. „გაიოზ რექტორის „გრამატიკის“ ბოლოში მინაბეჭდი, — წერს იგი, — დასასრული ღრამატიკისა. დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა... წელსა 1789“, ნიშნავს, რომ გაიოზს წიგნის წერა გაუთავებია 1789 წ. ქ. კრემენჩუკში. საიდან მიძღუნენ, რომ წიგნი დაბეჭდილა ქ. კრემენჩუკში, არ ვიცი. გვგონია, აქ უბრალო გაუგებრობაა. წიგნის დაწერის ადგილი და დრო დაბეჭდვის ადგილად და დროდ მიუღიათ“<sup>3</sup>.

დ. კარიჭაშვილის განმარტება დამატებით კომენტარს არ საჭიროებს.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ძველი ქართული სტამბების შესახებ. მ. გორგიძე წერს: „საზღვარგარეთ, რომის შემდეგ, ქართული წიგნები იბეჭდებოდა XIX საუკუნეში აგრეთვე ლაიფციგში, ვენაში, მონტგომერში, ვენეციაში, პარიზში, კონსტანტინოპოლსა და ლონდონში“<sup>4</sup>. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ლაიფციგში, ვენასა და ლონდონში გამოცემულ არც ერთ ქართულ წიგნს არ იცნობს მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მ. გორგიძის წიგნში ზოგიერთი ისტორიული სინამდვილე სუბიექტურად, რეალურობას მოკლებული პოზიციებიდან არის ახსნილ-განმარტებული და შეფასებული. „პეტერბურგელი ქართველი დიდუკობა, — ვკითხულობთ წიგნში, — არ კარგავდა კავშირს მშობლიურ მხარესთან. კერძოდ შენახულია ზაქარია არქიმანდრიტისა და იოსებ გაბაშვილის მიერ იმერეთის დედოფალ ანასადმი საქართველოდან გაგზავნილი 46 წერილი. ამ წერილებით შეიძლება წარმოდგენა შეგვექმნას პეტერბურგში მოხვედრილი ქართველი ემიგრანტების ინტერესებზე“<sup>5</sup>.

სანამ მ. გორგიძისეული ციტირებული განმარტების რაობას

<sup>1</sup> А. л. Цагарели, О грамматике литературного грузинского языка, 1875, с. 35.

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები, 1627—1916, გვ. 101.

<sup>3</sup> დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 62.

<sup>4</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 287.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 110.

შეუფასებდეთ, გავიხსენოთ იმერეთის მეფის სახლთუხუცესის ზ. წერეთლის მიერ საჩხერეში დაარსებული სტამბის ისტორია. ეს „წიგნის ბეჭდავი“ ძირითადად ქუთაისისა და წიგნის სტამბების ბაზაზე იყო დაარსებული. ერთხანობა იგი გელათის მონასტრის არქიმანდრიტს, ცნობილ მესტამბე-გამომცემელს ზაქარია არქიმანდრიტს იჯარით ჰქონდა აღებული.

თავის დროზე, ერთობ განმაურებული, დანაშაულებრივ<sup>1</sup> საქმის გამო, საჩხერის სტამბას დიდხანს არ უძარსებია. როგორც საარქივო მასალებით დადგინდა „დიდი ქართველი პოეტის ბესიკის ძმას — ცნობილ მწიგნობარ-კალიგრაფს ოსე გაბაშვილს იმერეთის მეფის სოლომონ II ბრძანებით შეუდგენია სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელსა და მის ძმებს — ქაიხოსროსა და ბერს შორის საწერეთლო მამულების გაყოფის თაობაზე გარიგების ხელწერილი. ზოგიერთ საკითხში შეუთანხმებლობის გამო სახლთუხუცესის მითითებით ოსეს საბუთში უმცროსი ძმის ბერის სახელი არ შეუტანია. საქმის კურსში მეფეც ჩაუყენებიათ. ამით უსარგებლია ზურაბის ძმისწულს — ბერის შვილს იოანეს, ფარულად შესულა სტამბაში და დაეით ზუბაშვილის დახმარებით სოლომონის ხელმოწერილ საბუთში თავისი სასარგებლო ტექსტი ჩაუმატებია, ამასთანავე დაუმზადებია ყალბი სამეფო ბეჭედი და დოკუმენტი ამით დაუმოწმებია“<sup>1</sup>.

მთავარი დამნაშავენი იოანე წერეთელი და დავით ზუბაშვილი დააბატიმრეს. პასუხისგებაში მისცეს აგრეთვე ზაქარია არქიმანდრიტი და ოსე გაბაშვილიც, მაგრამ, ბოლოს, გავლენიან პირთა ჩარევის წყალობით ყალბის მქნელი იოანე წერეთელი და დავით ზუბაშვილი გაათავისუფლეს, ხოლო უდანაშაულო ზაქარია არქიმანდრიტი ოსე გაბაშვილთან ერთად გაასამართლეს და ორივე ბელგოროდში გადაასახლეს. უცხო გარემო-პირობებში მოხვედრილი ქართველი ღვთისმსახურნი წერილობით კავშირს ამყარებენ კახეთის მოურავის იოსებ ორბელიანის ასულ ანა დედოფალთან — იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის თანამეცხედრესთან, რომელმაც სოლომონ II და დავით გიორგის ძეს შორის ტანტისათვის ჩამოვარდ-

<sup>1</sup> ო. კ ა ს რ ა ძ ე, ქართული წიგნის ბეჭდვის კერები, 1980, გვ. 122, 123.

ნილი შუღლის შედეგად მიატოვა საქართველო და თავის ერთადერთ ვაჟთან კონსტანტინესთან ერთად პეტერბურგს შეაფარა თავი.

ამრიგად, ზაქარია არქიმანდრიტი და ოსე გაბაშვილი წერილებს უგზავნიდნენ ანას არა საქართველოდან, როგორც ამას მ. გორგიძე იუწყება, არამედ ბელგოროდიდან. ამასთან ამ წერილებით შეუძლებელია XIX საუკუნის პირველ ნახევარში პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ინტერესებზე ზოგადი მსჯელობა, რადგანაც მათში ძირითადად ყურადღება სუბიექტურ საკითხებზეა გამახვილებული.

მ. გორგიძის წიგნში მცდარი მოსაზრებებია გამოთქმული არა მართო ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისა და ზოგერთ ცალკეულ საკითხზე, არამედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზეც. ერთგან იგი წერს: „მეფე თედორე ივანეს ძას (იგულისხმება ივანე IV ანუ იგივე ივანე მრისხანე — ო. კ.) 1589 წლის წყალობის სიგელი არის პირველი ოფიციალური აქტი საქართველოს სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ. ამიერიდან რუსეთის მეფეებმა თავიანთ ტიტულს დაამატეს: „ივერიის მიწებისა და საქართველის მეფეთა მეფე“<sup>1</sup> — მეორეგან ვკითხულობთ: „ქართველები რუსეთს უყურებდნენ როგორც ძლიერ ძალას, რომელთან კავშირით შეიძლებოდა დამოუკიდებლობის დაცვა. ამიტომ სულ უფრო ხშირად აგზავნიდნენ თავიანთ ელჩებს ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი პეტერბურგში დახმარებისა და მფარველობის სათხოვნელად. რუსეთის ელჩებიც ჩამოდიოდნენ საქართველოში, ეცნობოდნენ მას, იღებდნენ ქართველ მეფეთაგან „ფიცის ხელწერილებს“, აფორმებდნენ მათ ვასალურ დამოკიდებულებას რუსეთთან“<sup>2</sup>.

ისტორია არ იცნობს რუსეთის არც ერთ მეფეს, რომელიც ოფიციალურად „ივერიის მიწებისა და ქართველ მეფეთა მეფედ“ იწოდებოდა და არც ქართველ მეფეთა რუსეთის ვასალობის დამადასტურებელ ე. წ. „ფიცის ხელწერილებს“. ყოველივე ამას ყურმოკრული ამბები უღვევს საფუძვლად.

<sup>1</sup> მ. გორგიძე, ქართველები პეტერბურგში, 1976, გვ. 14.

<sup>2</sup> იქვე.

ეს წერილი ამ ათი წლის წინათ დაიწერა, მაგრამ მისი და-  
ბეჭდვისაგან თავი შევიკავეთ, რადგანაც ვიცოდით მ. გორგო-  
ძის წიგნი „ქართველები პეტერბურგში“ ხელმეორედ უნდა  
გამოცემულიყო, რის შედეგადაც გასწორდებოდა მასში დაშ-  
ვებული შეცდომები. სამწუხაროდ, წიგნის მეორედ გამოცემა  
დღემდე ვერ მოხერხდა და შეიძლება ვერც შემდეგში მოხერ-  
ხდეს, ამიტომ ზემოაღნიშნული უმართებულო მოსაზრებებია  
რომ არ დამკვიდრდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში, გადაე-  
წვიტეთ ეს ათი წლის წინათ დაწერილი წერილი ამ „ნარკ-  
ვევებში“ შეგვეტანა.

## ქართული წიგნის გეგმა-გამოცემის ძველი ოსტატები

ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი) —  
კირკასლი ქართველი მწიგნობარი — გამომცემელი

ნიკოლოზის წინაპრები ადრე ირუბაქიძეები ყოფილან. XV საუკუნის მეორე ნახევარში მათი თავკაცი, ვინმე ჩოლოყა მთიდან ბარში ჩამოსულა საცხოვრებლად. კახეთის მეფეს იგი უმემკვიდროდ ამოწყვეტილ ირუბაქიძეთა მამულში დაუსახლებია და გვარიც იმათი მიუცა. როგორც ჩანს, დროთა ვითარებაში ჩოლოყას შთამომავალთ ირუბაქიძეობა უარუყვიათ და ჩოლოყაშვილებად დაწერილან<sup>1</sup>.

XV საუკუნის მიწურულისა და XVI საუკუნის დამდეგისათვის ჩოლოყაშვილებს კახეთის გავლენიან ფეოდალურ წრეებში საკმაოდ დიდი ავტორიტეტი მოუპოვებიათ. ამ გვარის წარმომადგენლები სამეფო კარზე სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე დაწინაურებულან.

ნიკოლოზის მამას ომან ჩოლოყაშვილს ერთგანს სარდლის თანამდებობა სჭერია. მას მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა სპარსელების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. ერთხელ 20.000 ქართველთ შებშია 90.000 კაცისაგან შემდგარ სპარსელების ჯარს და მომხდურნი სასტიკად დაუმარცხებია<sup>2</sup>.

ომანს ცოლად არაგვის ერისთავის ასული ბარბარე ჰყო-

<sup>1</sup> გ. ა. კ. თ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე ირბახი, „მეცნიერება“, 1977, გვ. 33.

<sup>2</sup> ი. კ. ე. ე. გვ. 21.

ლია. მათ, ნიკოლოზის გარდა, კიდევ ორი ვაჟიშვილი შესაქენათ — ჭაიხოსრო და იოვანე. იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ აღაპში ვკითხულობთ: „ამავე დღესა (იგულისხმება 4 დეკემბერი — ო. კ.) წირვა და აღაპი ჩოლოყაშვილისა ომანიისა და მეღვინისა მინასა მონაზონისა ბარბარასი და ძისა მისისა ჭაიხოსროსი და მისი ძმის იოვანესი გაუჩინეთ ჩუენ ჯვარის მამამან ნიკიფორემ“<sup>1</sup>.

ვაჟიშვილების გარდა, ოჰან და ბარბარე ჩოლოყაშვილებსა ასულიც ჰყოლიათ, რომლის ძე — ზ. ერისთავი, თეიმურაზ I ქალიშვილზე — დარეჯანზე ყოფილა ჯვარდაწერილი<sup>2</sup>.

ჭაიხოსროს კახეთის სამეფოს ერთ-ერთი სადროშოს — მარტყოფის მოურავობა ჰქონია ნაბოძები და სამშობლოს დელატში ექვემდებარებოდა. გამო თეიმურაზ I მოუკვლევინებია<sup>3</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც პოეტი. მას დაუწერია საკმაოდ ცნობილი სათავედასავლო პოემა „ომანიანი“<sup>4</sup>.

ნიკოლოზი მკვლევართა ვარაუდით 1585 წელს დაბადებულა<sup>5</sup>. განათლება მას რომში, წმ. ბასილის სახელობის ბერძნულ მართლმადიდებლურ სასულიერო სასწავლებელში მიუღია. ქართულის გარდა, ნიკოლოზს, როგორც დიდგანსწავლულ-განათლებულ პიროვნებას კარგად სცოდნია ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური. რომში ყოფნისას იგი ბერად აღკვეცილა და მონასტრულ-მონაზონური წესის თანახმად საერისკაცო სახელი ნიკოლოზი ნიკიფორით შეუცვლია<sup>6</sup>.

XVII საუკუნის 70-იანი წლების დამდეგისათვის ნიკოლო-

<sup>1</sup> Цагарели А. Памятники грузинской старины в Святой Горне и на Сине, СПб, 1888, с. 246.

<sup>2</sup> დონ ქრისტოფორე დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები ბ. გიორგაძისა, 1977, გვ. 178.

<sup>3</sup> გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე ირბაზი, 1977, გვ. 23.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 328. გ. აკოფაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 24.

<sup>5</sup> გ. აკოფაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 25.

ზი მისიონერ პატრი გვილელმოსთან ერთად იტალიიდან საქართველოში ბრუნდება. კონსტანტინოპოლზე გამოვლით იგი ერთხანს გურიაში რჩება და სალეთისმსახურო მოღვაწეობას ეწევა. მალე იქიდან კახეთში ჩამოდის და თეიმურაზ I კარის ეკლესიის მოძღვარი ხდება.

1614 წელს კახეთს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ირანის მპყრობელი შაჰ-აბასი აურაცხელი ლაშქრით შეიჭრა ქიზიყში. კახელებმა შეუპოვარი ბრძოლა გაუმართეს მტერს ქალეთის მისადგომებთან. მაგრამ მომხდურთა მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა ქართველთა წინააღმდეგობა მაინც გატეხა. შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო თეიმურაზ I ჯერ ქართლში გაიხიზნა და შემდეგ კი იქიდან იმერეთში გადავიდა, ხოლო ნ. ჩოლოყაშვილმა იერუსალიმში ქართველთა ჯარის მონასტერს შეაფარა თავი.

შაჰ-აბასმა ქიზიყიდან მალე კახეთის მეფის სარეზიდენციო ქალაქ გრემისაკენ გაილაშქრა და თორღვას ციხესიმაგრეც ააღო, ალავერდის ეკლესიის გალავნის შიგნით კი თავისი ჯარის ნაწილები განალაგა. მტერმა ხელი მიჰყო ბედის ანაბარა მიტოვებული ქვეყნის რბევა-აწიოკებას, მიიტაცა უამრავი სარჩო-საბადებელი, აჰყარა და თან წაიყვანა ტყვედ მოსახლეობის დიდი ნაწილი.

შაჰ-აბასმა კახეთში ორთვენახევარი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში ოგი მთლიანად მოაოხრა. წასვლისას ქვეყნის გამგებლად მეფე ალექსი გიორგის ძის გამაჰმადიანებული ვაჟი ისა-ხანი დანიშნა, თავად ქართლს მიაშურა, იქიდან კი ჩრაბაღში გადავიდა.

1615 წლის სექტემბერში, ალავერდობის დღეს კახეთში ისა-ხანის წინააღმდეგ მოწყობილმა აჯანყებამ იფეთქა დავით ჯანდიერის მეთაურობით. მალე აჯანყებას სათავეში სანშობლოში დაბრუნებული თეიმურაზ I ჩაუდგა და კახეთის ციხესიმაგრეებში ჩაყენებულ ყიზილბაშთა ჯარებს შუსრი გაავლია.

1616 წლის დამდეგს შაჰ-აბასი თეიმურაზ I საგანგებოდ დასჯის მიზნით დიდძალი ჯარით შემოიჭრა კახეთში. გაუთავებული ომებისაგან დასუსტებულმა ქართველთა ლაშქარმა



მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც დამარცხება განიცადა.

მომხდურთაგან დევნილ-შევიწროებულმა თეიმურაზმა რამდენჯერმე მიმართა ოსმალეთსა და რუსეთს რანის წინააღმდეგ დახმარების გასაწევად, მაგრამ ყოველგვარი ცდის მიუხედავად, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. მძიმე მდგომარეობაში მოხვედრილი მეფე იძულებული ხდება იერუსალიმში მყოფი ნ. ჩოლოყაშვილი, როგორც უცხო ენების მცოდნე და თავისი დროისათვის განსწავლულ-განათლებულ პიროვნება ევროპაში გაგზავნოს დიპლომატიური მისიით მოკავშირე სანელმწიფოს გამოსანახავად.

ნ. ჩოლოყაშვილის ელჩობამ ევროპაში სამწუხაროდ ბევრა ვერაფერი შემატა საქართველოს პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიაში კი წარუშლელა კვალი დატოვა. რომის პაპმა ურბან მე-8-მ დიდის პატივით მიიღო იტალიაში თეოლოგიურ სწავლა-განათლებას ნაზიარები ქართველი დესპანი, მაგრამ თეიმურაზ I ლოცვა-კურთხევით მოხსენიებისა და ზოგადი დაპირებების გარდა, ნიკოლოზმა სხვა სასიკეთო ვერ დააცდენინა კათოლიკური ეკლესიის გაგვებელს.

ნ. ჩოლოყაშვილის ელჩობით ისარგებლეს რომაელმა პატრებმა, მისი უშუალო მონაწილეობით დაამზადეს შრიფტი და კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელ კონგრეგაციის სტამბაში დაიწყეს ქართული წიგნების ბეჭდვა. პირველი წიგნი, რომელიც მათ გამოსცეს, ეს იყო 1629 წელს დაბეჭდილი, ნ. ჩოლოყაშვილის დახმარების შედეგად სტეფანე პოლინის მიერ შედგენილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, ხოლო მეორე — ჩოლოყაშვილისავე დახმარებით იმავე წელს დასტამბული „ქართული ანბანი ლოცვანითურთ“. ამ გამოცემებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენი კულტურის ისტორიაში. მათგან იწყება ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორია.

ისე რომ, ნ. ჩოლოყაშვილს წილად ხვდა ყოფილიყო დიდი ეროვნული საქმის — ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის ფუძემდებელი.

თუ კათოლიციზმის განვითარების ისტორიას თვალს გავადევნებთ, დავრწმუნდებით, რომ იტალიაში ქართული წიგნე-

ბის ბეჭდვა-გამოცემა არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს და მას შორის გამიზნული რელიგიური სარჩული ედო საფუძვლად. XVII საუკუნის 30-70-იან წლებში რომის ეკლესია ყოველ-მხრივ ცდილობდა გაეგრძელებინა კათოლიკობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, პირველ რიგში მართლმადიდებლურ ქრისტიანულ საქართველოში, რისთვისაც სისტემატურად აგზავნიდა ქართლსა და იმერეთ-სამეგრელოსკენ კაპუცინ-მისიონერებს თავისი მოძღვრების საქადაგებლად. ბუნებრივია, ენის უცოდინარობა ხელს უშლიდათ რომელ პატრებს ქართველ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარებაში. აი, სწორედ მათ დასახმარებლად იყო გამიზნული იტალიაში ქართული წიგნების გამოცემა. მათი საშუალებით უნდა შეესწავლათ პატრ-მისიონერებს ჩვენი ენა.

XVII საუკუნის 30-70-იან წლებში რომში სულ სამი წიგნი გამოვიდა: 1629 წელს „ქართულ-იტალიური „ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, ხოლო 1670 წელს — მაჯიო ფრანცისკო მარიას „ქართული ენის გრამატიკა“. ეს წიგნები განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდებიან. ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ სამივე უცხოეთშია დაბეჭდილი და მათი შემდგენელ-გამომცემლებიც ძირითადად უცხოელები არიან, მეორე თავისებურება კი იმაში გამოიხატება, რომ როგორც „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, იაე „ქართული ენის გრამატიკა“ მთლიანი სტრიქონების სახით ხეზე გრავირებული ხელნაწერი უქრავი შრიფტითაა დაბეჭდილი. ამის უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს სამივე წიგნის ტექსტებში ბშირად გამოყენებული ასოების ერთმანეთზე გადაბმის ხერხი. ამ ორი გარემოებით ეს წიგნები შემდგომი პერიოდის გამოცემებისაგან არსებითად განსხვავდებიან.

ყურადღებას იპყრომს აგრეთვე. რომში დაბეჭდილი წიგნების მესამე თავისებურებაც — მათი შინაარსობრივი მხარე. დასახელებული სამი წიგნიდან „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ თავისი პროფილით საცნობარო ლიტერატურას მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი ორი — „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ქართული გრამატიკა“ — სასწავლო სახელმძღვანელოებს, ამრიგად, სამივე წიგნი საერო შინაარსისაა, რომლებშიც დამხმარე მასალად რელიგიური ტექსტებია გა-

მოყენებული. ამასთანავე, ალანინშნავია, რომ თითოეული მათგანი მზედრული შრიფტითაა დაბეჭდილი. ცხადია, ეს ორი უკანასკნელი — შინაარსობრივი და შრიფტობრივი თავისებურება განპირობებული იყო ამ წიგნების კონკრეტული დანიშნულებით.

ნ. ჩოლოყაშვილი ევროპიდან საქართველოში 1629 წელს დაბრუნებულა და თეიმურაზ პირველს იგი მეტეხის ეკლესიის წინამძღვრად დაუნიშნა. ამ ბუნებით ღვთისნიერ კაცს ბედმა მშვერი ცხოვრება არ არგუნა. 1633 წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყებულ ყარაბაღელთა მხარდაჭერისათვის შაჰს თეიმურაზისათვის სამეფო ტახტი ჩამოურთმევია და იგი როსტომისათვის გადაუტია. დაკარგული უფლებების დაბრუნების მიზნით თეიმურაზს ნ. ჩოლოყაშვილი ახლა ოსმალეთში გაუფხავნია სულთანისათვის დახმარების სათხოვნელად, მაგრამ უიღბლო ელჩი იქიდანაც იმედგაცრუებული დაბრუნებულა.

1642 წლის მიწურულიდან ნ. ჩოლოყაშვილი იერუსალიმის ქართველთა ჯერის მონასტრის წინამძღვარია. აქ იგი 1649 წლამდე დარჩენილა და დიდად გარჯილა ამ ტაძრის საკეთილდღეოდ.

1650 წელს ნ. ჩოლოყაშვილი იერუსალიმიდან კვლავ საქართველოში ბრუნდება. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის კარზე გაატარა. აქ იგი დასავლეთ საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსი ხდება.

1657 წელს, ლევანის გარდაცვალების შემდეგ სამეგრელოს სამთავრო ვამეყ ლიპარტელიანმა მიიტაცა, რისთვისაც, ნიკოლოზმა საჯაროდ შეაჩვენა. ამის გამო გულზეიად ვამეყს მღვდელმთავარი კათალიკოსობიდან გადაუყენებია და დილეგში დაუმწყვდევია. თავმოყვარე მოხუცს დამცირება ვერ აუტანია და 1658 წელს პატიმრობაში გარდაცვლილა.

## ა რ ჩ ი ლ II

არჩილი პირველი შვილი იყო შაჰნავაზად წოდებული ქართლის მეფის ვახტანგ V და მისი თანამეცხედრის ყაფლან ბარათაშვილის ასულის როდამისა. დაიბადა იგი 1647 წელს.

არჩილის გარდა, ვახტანგსა და როდამს კიდევ შვიდი შვილი ჰყოლიათ: გიორგი, ლევანი, ალექსანდრე, ლუარსაბი, სოლომონი, ანუკა და თამარი. მათ სწავლა- განათლება მშობლების ოჯახში მიუღიათ.

ვახტანგ V მთელი თავისი სიცოცხლე ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანებისა და ცენტრალიზებული ხელისუფლებას აღდგენას შეაღწია. მან პირველ რიგშივე მოთოკა და დაიმორჩილა ქართლის ზვიადი ფეოდალი, სამეფო ტახტის მოშურანე ზაალ არაგვის ერისთავი, რომელიც მთელი კახეთისა და ერწო — თიანეთის გამგებლად ითვლებოდა. ამავე დროს, გარკვეული ღონისძიება განახორციელა იმერეთის სამეფოს შემოსაერთებლად.

როგორც ცნობილია, იმერეთის მეფეს ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ პირველი ქორწინებიდან ერთი ვაჟიშვილი დარჩა — ბაგრატი, რომელიც გურიის სამთავროში იზრდებოდა. მეფის სიკვდილის შემდეგ იმერეთის გავლენიანმა თავადაზნაურობამ ტახტზე ასახველად იგი მიიწვია. ალექსანდრეს ქვრივი — დედოფალი დარეჯანი ბაგრატს აღზევებას წინ აღუდგა, მან თავის გერს თვალები დასთხარა და ტახტის ხელში ჩაგდება თავად მოიწადინა. 1661 წელს ვახტანგ V დასავლეთ საქართველოში გაილაშქრა ვერაგი დედოფლის მიერ უფლისწულ ბაგრატის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ჩასაშლელად, ამ საქმეში გარეულ რეაქციონერ ფეოდალთა ასალაგმავად და იმერეთში თავისი ვაჟის არჩილის გასამეფებლად.

ჩანაფიქრმა გაამართლა. ვახტანგ V არჩილის შემწეობით მთელი დასავლეთ საქართველო დაიქვემდებარა, ხოლო ზაალ ერისთავის დაღუპვის შემდეგ კახეთიც შეიერთა.

სამწუხაროდ, ვახტანგ V ეროვნულ-გეგმას საბოლოოდ განხორციელება არ ეწერა. არჩილ II იმერეთში გამეფება ოსმალეთმა ირანის შაჰის შორს გამიზნულ მზაკვრულ განზრახვად მიიჩნია. ამან კიდევ უფრო გააღრმავა მტრობა ორ დიდ მუსულმანურ სახელმწიფოს შორის. დაძაბულობის განმუხტვის მიზნით შაჰმა არჩილი ირანში გაიწვია, მასაც მამასავით მაჰმადიანობა მიაღებინა და 1664 წელს შაჰნაზარ-ხანის სახელით,

კახეთის მეფედ დაამტკიცა. საქართველო კი, ამის შემდეგ კვლავ ოსმალეთის საფაშოს დაექვეშედიდა.

არჩილის გაქეფებისთანავე კახეთში თავს იჩინეს შოთი და არეულობა. ქვეყნის დასამშვიდებლად, პრაქტიკული მოსაზრებით 1867 წელს იგი ცოლად ირთავს თეიმურაზ I შვილიშვილს, იმერეთის მეფის უფლისწულის ბაგრატს ქერივს ქეთევან დავითის ასულს, რომელთანაც შემდეგში ოთაბი შვილი შეეძინება. 1665 წელს დარეჯანი, 1674 წელს ალექსანდრე, 1676 წელს მამუკა, 1681 წელს დავითი. მაგრამ ქეთევანთან შეუღლებამ საქმეს მაინც ვერ უშველა. რუსეთიდან იმხანად ახლად დაბრუნებულნი, შემდეგში ნაზარალ-ხანად წოდებული ერეკლე თუშების შეიარაღებული ლაშქრით თავს დაესხა კახეთსა და პაპისეული სამეფო ტახტის დაბრუნებას შეეცადა. ირანის შაჰი ერეკლეს აღმოსავლეთში თავისი ძლიერი მეტოქის — რუსეთის რენეგატად თვლიდა და ამიტომ მის საომარ ოპერაციებს კახეთში უარყოფითად აფასებდა.

ვახტანგ V და არჩილის ქართლ-კახეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა სძლია მემკვიდრეობითი სამეფო ტახტის მამიებელს. დამარცხებულმა ერეკლემ თავი პირიქითა თუშეთში — თორღვას ციხესიმაგრეში შეაფარა. დედამისმა — ელენე ლეონის ასულმა მოლაპარაკება გამართა არჩილთან. ეს უკანასკნელი დაჰყვა სიღდრის რჩევას და 1675 წელს კახეთის სამეფო ტახტი კანონიერ მემკვიდრეს, თავის ცოლისძმას — ერეკლე I დაუთმო.

ამის შემდეგ არჩილი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იმერეთის სამეფო ტახტის დაბრუნებას შეეცადა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მან ახლო ურთიერთობა დამყარა ახალციხის ფაშასთან. ეს იყო არჩილის მიერ გადადგმული მცდარი პოლიტიკური ნაბიჯი. ირანის შაჰმა სულეიმანმა კახეთის ყოფილი მეფის ოსმალეთის საფაშოსთან საერთო ენის გამოწახვავზე ზრუნვა ღალატად მიიჩნია და შველის ამგვარი საქციელის გამო ვახტანგ V — ისპაჰანში გაიწვია დასავლეთ საქართველოში არჩილის ჩასვლას შედეგად შექმნილი პოლიტიკური ვითარების გასარკვევად.

ვახტანგმა ისპაჰანამდე ვერ ჩააღწია. გზად მიმავალ ხოშქარში გარდაიცვალა.

არჩილ II ცდა იმერეთის ტახტის დასაბრუნებლად ამო-  
გამოდგა. „ვითარცა უცხო გვარტომისაგან“ ადგილობრივ  
მკვიდრთა მხარდაჭერა ვერ პოვა და ფეხი ვერ მოიკიდა დასავ-  
ლეთ საქართველოში. ამიტომ 1680 წელს არქიმანდრიტი მა-  
კარი, დიაკვანი ნიკონი და ორი საერო პირი ააპლა ელჩებად  
რუსეთის მეფეს თეოდორე ალექსის ძეს. მათი საშუალებით  
არჩილი დაბმარებასა და მოსკოვში ჩასვლის ნებართვას სთხოვ-  
და რუსთ ხელმწიფეს.

იმერეთის ყოფილი მეფის გაგზავნილ ელჩთა დიპლომა-  
ტიური მისია შედეგიანი გამოდგა. მახლობელ-შინაურთა კა-  
ტეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, 1680 წელს არჩი-  
ლი თავისი ოჯახითა და 162 კაცისაგან შემდგარი ამალით რუ-  
სეთის გზას გაუდგა. 1682 წლის 30 ივლისს ისინი თერგს მიაღ-  
გნენ, ხოლო ერთი თვის შემდეგ ასტრახანში დაბინავდნენ.  
1684 წელს უფლისწულებმა ალექსანდრემ და მამუკამ დატო-  
ვეს ასტრახანი, ხოლო 1685 წელს 14 დეკემბერს თავად არ-  
ჩილიც ჩაერდა მოსკოვს ოჯახის დანარჩენ წევრებთან — ქე-  
თევან დედოფალთან, უმცროს ვაჟიშვილ დავითთან, თავის  
ერთადერთ ასულ დარეჯანთან და მხლებლებთან ერთად.

1687 წელს ქართლის მეფემ გიორგი II არქიმანდრიტი  
ლავრენტი გაუგზავნა მოსკოვში არჩილს და შეუთვალა ჩამო-  
სულიყო სამშობლოში, რათა გაერთიანებული ძალებით განე-  
დევნათ მუსულმანები საქართველოს საზღვრებიდან. არჩილს  
ძმის ეს წინადადება მოეწონა და უმალვე გამართა მოლაპარა-  
კება რუსეთის სამეფო კართან. იგი ითხოვდა დაპყრობას ჯა-  
რითა და ფულით. „ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად სამ-  
გზაერო ხარჯებს გარდა მიიღო 5000 მანეთი და ორი უფროსი  
შვილის (ალექსანდრეს და მამუკას) თანხლებით 1688 წელს  
საქართველოში დაბრუნდა. აქ არჩილი დარჩა 1699 წლამდის,  
დროგამოშვებით მეფობდა იმერეთში, რამდენიმეჯერ გაუგ-  
ზავნა მოსკოვს ოფიციალური მოხსენება თავისი საქმიანობის  
თაობაზე და შემწეობა ითხოვა“<sup>1</sup>.

არჩილს ბედმა არ გაუღიმა. რუსეთის სამეფო კარისაგან

---

<sup>1</sup> არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქ-  
ციით, 1937, გვ. 18.

იმედგაცრუებული იძულებული გახდა 1699 წელს მოსკოვს დაბრუნებულიყო და ვესესვიატსკოეში თავისი ნარძლევის ფეო-დოსია ივანეს ასულ მილოსლავსკაიას მშობლებისეულ მა-მულში დასახლებულიყო.

ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემაზე სამშობლოდან გამოყოლილი ოცნების შესრულების საშუალება არჩილს მოს-კოვში ეძლევა. იგი ქართული შრიფტის დამზადების შეკვეთას აძლევს ამსტერდამში იმდროისათვის პროფესიონალური დაო-სტატების მიზნით მყოფ უნგრელ მესტამბეს მიკლოშ კიშ ტოტვალუშს და იწყებს ზრუნვას მშობლიურ ენაზე წიგნებას გაშოსაცემად.

საქართველოს უცხოელ დამპყრობთაგან გამოსხნის მიზ-ნით რუსეთის საიმპერატორო კართან გაპართულ დაძაბულ პოლიტიკურ-დიპლომატიურ მოლაპარაკების გარდა, მოსკოვში საბოლოოდ დასაწყობების შემდეგ არჩილ II პოეტურ შემოქ-მედებასთან ერთად დიდ მეცნიერულ-ფეოდალური საქმიანო-ბასაც ეწყება. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფასდაუდებელი შრო-მა, რომელიც მან ბიბლიური წიგნის „დავითნის“ გამოსაცემად გასწია. ბევრი დრო და ენერჯია შეაღია არჩილმა ამ წიგნის ხელნაწერების მოძიება-შეკრებას, მათ ერთმანეთთან შედარებას, ერთიანი მთლიანი ტექსტის სისტემაში შოყვანას, რუ-სულთან შეჯერებას, წარყვნილ-გამოტოვებულ ადგილების შეცვლა-შევისებას, ლიტერატურულ დამუშავებას. იგი იყო „დავითნის“ ტექსტის არა მარტო მეცნიერულად დამდგენი და გამოსაცემად მომზადებელი, არამედ მისი რედაქტორიცა და კორექტორიც.

არჩილის რუღუნების შედეგად მოხერხდა 1705 წლისათ-ვის მოსკოვის სახაზინო სტამბაში ქართული ნუსხური შრიფ-ტის ჩამოსხმა და მის მიერ გამოსაცემად მომზადებული „და-ვითნის“ იმავე სტამბაში დაბეჭდვა, შემდეგ კი ამ წიგნის გარ-კვეული ნაწილის „ბასურმანთაგან“ შევიწროებულ ქართვე-ლებში ეროვნულ-სარწმუნოებრივი გრძნობების გაღვივების მიზნით თბილისში გამოგზავნა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არჩილის ღვაწლი „ბიბ-ლიის“ ტექსტის მეცნიერულად დადგენასა და გამოსაცემად მომზადებაში.

სამწუხაროდ, „ბიბლიის“ დაბეჭდვას არჩილი ვერ მოესწრო. 1713 წელს იგი გარდაიცვალა. ცხოვრების ბოლო ხანებში მან მწუხარებაში გაატარა. რუსეთ-შვედების ომის დროს არჩილს უფროსი ვაჟიშვილი ალექსანდრე ტყვეობაში მოჰყვა და 1700—1710 წლები უცხოეთში გაატარა. ტყვეობიდან გამოხსნის შემდეგ გზად მომავალი რიგასთან გარდაიცვალა. მოხუცმა მამამ შვილის ცნედარი მოსკოვს ჩამოასვენა და დონის მონასტრის ეზოში დაკრძალა. აქვე განისვენებენ არჩილის სხვა შვილებიც — შამუკა, დავითი და დარეჯანი.

არჩილ II მიერ რუსეთში წამოწყებული დიდი ეროვნული საქმის ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის ბოლომდე მიყვანა ბაქარსა და ვახუშტი ბაგრატიონებს, ი. სამეგბელს, ქრ. გურამიშვილსა და XVIII საუკუნის 30-იან წლებში მოსკოვში მცხოვრებ სხვა ქართველ ემიგრანტებს ხელათ წილად.

## ვახტანგ VI

(პირველი ხტანგის დამაარსებელი საქართველოში)

ვახტანგ VI არჩილ II ძმისწული იყო. მამამისი ლევანი თავის დროზე დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართლ-კახეთის გავლენიან ფეოდალურ წრეებში. მას ცოლად ჰყოლია ქაიხოსრო გურიელის ასული თუთა. მათ პირველი შვილი ვაჟი შესძენიათ, რომლისთვისაც ლევანს სამამრის პატივსაცემად ქაიხოსრო დაურქმევია. ამის შემდეგ კიდევ ორი ვაჟი და ერთი ასული დაბადებიათ: ვახტანგი, დომენტი და ხვარამზე.

ვახტანგი 1675 წლის 15 სექტემბერს დაიბადა. სამი წლის იყო, როცა დედა გარდაეცვალა და ერთხანს მისი აღზრდა დედინაცვალმა — გიორგი ავალიშვილის ასულმა თინათინმა ითავა, რომელთანაც ლევანს კიდევ სამი შვილი ჰყავდა: იესე, სვიმონი და თეიმურაზი. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ვახტანგს სხვა და-ძმებიც ჰყოლია: კონსტანტინე, ადარნასე, ხორეშანი და როსტომი.

საერო და სასულიერო განათლება ვახტანგს თავისი ბი-



არს — ქართლის მეფის გიორგი XI კარზე მიუღია. აქვე დაუფ-  
ლებია იგი სამხედრო ღელოვნებას. მისი, როგორც სახელმწი-  
ფო მოღვაწის, პოეტისა და მეცნიერის ჩამოყალიბებაში მნი-  
შვნელოვანი როლი მიუძღოდით აგრეთვე მეორე ბიძას — არ-  
ჩილსა და სულხან-საბა ორბელიანს. ეს უკანასკნელი მკვიდრა  
მამიდაშვილი იყო მამამისისა.

1694 წელს ვახტანგს სვირში ჯვარი დაუწერია ჩერქეზთ  
ბატონის ასულ რუსუდანზე, რომელთანაც ორი ვაჟი და ორი  
ასული შესძენია: ბაქარი, გიორგი, ანუკა და თამარი. ვახტანგს  
კიდევ ორი უკანონო შვილი ჰყოლია: ვახუშტი და პაატა.

XVIII საუკუნის დამდეგისათვის ოდესღაც სამხედრო  
ძლიერებით ცნობილი ირანის იმპერია გაშუღქმებული ომების  
შედეგად დაეცა და ავღანელი ტომებისაგან დაპყრობის საფრთ-  
ხის წინაშე აღმოჩნდა. ირანის შაჰმა სულეიმანშაჰ გიორგი XI  
სპასალარობა უბოძა და ერთგულების დამტკიცების მიზნით  
ავღანელებთან საბრძოლველად გაგზავნა, ქვეყნის გამგებლად  
ანუ „ჯანიშინად“ კი მისი ძმისწული ვახტანგ VI დანიშნა.

1709 წელს გიორგი XI ღალატით მოკლეს ყანდაართან.  
ავღანელებთან ბრძოლებში დაიღუპნენ აგრეთვე ვახტანგ VI  
მამა ლევანი, სულხან-საბა ორბელიანის ძმა ვახუშტი, ალექ-  
სანდრე და ქაიხოსრო ბაგრატიონები და მრავალი კიდევ სხვა<sup>1</sup>.

გიორგი XI გარდაცვალების შემდეგ შაჰს ქართლის მეფედ  
ვახტანგ VI უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. ვახ-  
ტანგმა 1703 წლიდან 1712 წლამდე „ჯანიშინად“ დაპყო. ამ  
დროს თავი წამოყვეს რეაქციულმა ძალებმა. ფეოდალთა აშ-  
ლილობამ მძაფრი ხასიათი მიიღო. მწარმოებელი ძალებს  
რბევა-აწიოკებამ, ლეკთა და ოსთა შემოსევებმა. ორგულობა-  
სიფლიდემ საზღვარს გადააქარბა. ვახტანგმა მკაცრი ღონის-  
ძიებები განახორციელა შინაურ და გარეშე მტრების მოსათო-  
კად. ამ ღონისძიებათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვა-  
ნი იყო რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად „ნოქარი გა-  
რის“ შექმნა<sup>2</sup>.

ქვეყნის საშინაო მდგომარეობას მკვეთრად აუარესებდა

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959, გვ. 10.

<sup>2</sup> ბარამიძე ალ., სულხან-საბა ორბელიანი, 1959, გვ. 10.

ვახტანგსა და მის ძმას იესეს შორის სამეფო ტახტის თაობაზე ჩამოვარდნილი მტრობა. ქართლის თავადობა ორ ნაკადად იყო გაყოფილი — ვახტანგისა და იესეს მომხრეებად. ძმებს შორის ურთიერთობა თანდათან გართულდა და დაიძაბა. იმისათვის, რომ ყიზილბაშები აემხედრებინა, იესე ათასგვარ ცილისმწამებლურ ქორებს ავრცელებდა ვახტანგის წინააღმდეგ. იგი შაჰს ატყობინებდა, მაგალითად, რომ მისმა ძმამ ყურანი დაწვა და მაჰმადიანობის შეუტრაცხმყოფელი სხვა მრავალი უმსგავსო საქციელი ჩაიდინა<sup>1</sup>.

მტრული დამოკიდებულება არსებობდა პირადი ინტერესების გამო აგრეთვე ვახტანგ VI და მესამე ძმას სიმონს შორის. როგორც ცნობილია, ვახტანგმა რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა ქართლში შემოჭრილი ოსთა შეიარაღებული ბანდები და მათი თარეშის აღსაკვეთად საზღვართან „განაწყობ მკველნი თვისნი“. ამ მხარის გამგებელ — ფეოდალებს — გიორგი და დათუნა ერისთავებს არ ეჭაშნიკათ მეფის ღონისძიება. ეს მათ მეფისაგან „ერისთავთა მამულების დაპყრობის“ პრეცედენტად მიიჩნიეს. ამით ისარგებლა სიმონმა, განაწყენებულ ფეოდალებთან ფარული კავშირი დაამყარა, თავისაკენ გადაიბირა და შაჰთან მიაწერინა, ვახტანგის ნაცვლად მეფედ იესე დაგვინიშნეთო<sup>2</sup>.

მთელი რიგი ძლიერი წინააღმდეგობების მიუხედავად, ვახტანგ VI მაინც შეძლო ქართლის საზღვრების გამაგრება და შიდაფეოდალური აღრევების აღკვეთა. ქვეყნად სიმშვიდე დამყარდა. მომხდურთაგან დარბეულ-აწიოკებული, ტყე-ღრეებში გახიზნული მოსახლეობა მიტოვებულ სახლ-კარს დაუბრუნდა. ქართლის გონიერმა გამგებელმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-სამეურნეო ხასიათის ღონისძიებები განახორციელა. დაიწყო თურქეთ-ირანისა და მთიელ ფეოდალთა მიერ ამხედრებული ოსებ-ლეკების შემოსევების დროს აჩეხილ-გაკაფული ვენახების, ზეხილის ბ-

<sup>1</sup> შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 174.

<sup>2</sup> იქვე, 1958, გვ. 174.

ლების გაშენება, საქონლის გამრავლება, ნახანძრალ-გადაპწკარი საძოვრების მოვლა-პატრონობა; საფუძველი ჩაეყარა საოწყყავი არხის მშენებლობას, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალურ-ბატონყმური სოფლის მეურნეობის წინ წამოსაწყევად. ყოველივე ამან კი დღის წესრიგში დააყენა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაცხოველება, რის გარეშეც ქვეყნის აღორძინება-განახლება ვახტანგს წარმოუდგენლად მიაჩნდა. ამიტომ მან უნგრო-ვლახეთიდან მოწყვიდა ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, ფილოსოფოსისა და მხატვრის ანთიმოზ ივერიელის ნამოწაფარი მ. იშტვანოვიჩი და 1709 წელს თბილისში, მტკვრის ნაპირზე, თავისი სასახლის ახლოს სპეციალურად აგებულ შენობაში მოაწყობინა ახალი, ევროპულ ყაიდაზე გამართული, ძლიერი წარმადობის სტამბა.

სწავლა-განათლების გავრცელებისათვის ზრუნვას მოწმობს აგრეთვე ის, რომ ვახტანგ VI სტამბაში გამოცემული 19 დასახელების წიგნიდან ორი საერო შინაარსისაა, ხოლო 6 მხედრული შრიფტით აწყობილ-დაბეჭდილი. ამ შრიფტის ესოდენ ფართოდ გამოყენება ნაკარნახევი იყო მოსახლეობის მასებში ცოდნის შეტანის სურვილით. ამასვე ადასტურებს საერო შინაარსის წიგნების გამოცემა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ წმინდა წყლის საეკლესიო წიგნსაც კი ბოლოს დართული ჰქონდა სავარჯიშოები მათემატიკასა და ქართულ ენაში.

ვახტანგ VI 1721 წელს დაბეჭდილი ერთ-ერთი წიგნის „ათის“ წინასიტყვაობაში წერდა: „საქართველო მრავალგზიქ მტერთაგან მოოქრებული იყო და აღარ დაშთომილ იყო ქართულისა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა... და აწ მეფემან ვახტანგ ეს აპარსული აიათი... ვთარგმნე... ნუ უყვე იაწავლონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად“.

ვახტანგ VI მიერ 1709 წელს დაარსებული სტამბა XVIII საუკუნის ოციანი წლების მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის ძლიერ შემოქმედებით კერად გადაიქცა. აღსანიშნავია, რომ საერთოდ, ვახტანგისეულ სტამბაში ძირითადად ბერძნულიდან თარგმნილი საეკლესიო-საღვთისმშახურო ხასიათის ლიტერატურა გამოდიოდა. შაგრამ პირველ პერიოდში ამ მხ-

რივ ბევრი ცდის მიუხედავად მან ყიზილბაშთა ძალმომრეობას ვერაფერი მოუხერხა.

1722 წლის ივნისში სულთანი აურაცხელი ჯარით შეიჭრა ქართლში. მომდღერებმა დაარბიეს ქვეყანა: დაწვეს და დაანგრიეს თბილისის ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებული უბნები, ეკლესია-მონასტრები, სალაცხო-საკრებულოები და მიწის მსგავსი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, სასახლეები, ბაზარი. თურქობამ შეიწირა ვახტანგ VI სტამბაც, რომლის ცალკეული მოწყობილობანი შრიფტთან ერთად ხალხმა გაიტაცა და გადაამალა.

1724 წელს თურქეთის მიერ ქართლის აოხრების გამო ვახტანგ VI იძულებული ხდება 1200 კაცისაგან შემდგარი ამალით შიბოთოს სამშობლო და რუსეთში გადასახლდეს საცხოვრებლად. საქართველოდან ლტოლვილი მეფე სამშობლოს საგარეო პოლიტიკური საკითხების მოგვარებასთან ერთად ხელს კიდებს ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას და იღვწის მოსკოვში ქართული სტამბის დასაარსებლად. მაგრამ, 1737 წელს, 26 მარტს, ვახტანგი გარდაიცვალა და მის მიერ წამოწყებული დიდი მამულიშვილური საქმე განუხორციელებელი დარჩა.

### ნიკოლოზ ორბელიანი

ნიკოლოზ ორბელიანი ვახტანგ VI სტამბის მოღვაწეა. იგი იყო უმცროსი ძმა სულხან-საბა ორბელიანისა. 1736 წელს ერთ-ერთი წიგნის მინაწერში ნიკოლოზი ამბობს: „თავის დამდეგისა განმარტებით აღწერილი სწავლება. სულხან ყოფილისა საბა ორბელიანისაგან თქმული და აქა ძმისა მის, საბასიოე, ეპისკოპოსისა ნიკოლოზის ხელით დაწერილი“<sup>1</sup>.

სულხანის მსგავსად ნიკოლოზიც ორბელიანების სამემკვიდრეო მამულში — დმანისის ახლოს, სოფელ ტანძიაში დაბადებულა. თავისსავე შედგენილ ხუცური და მხედრული ასომთავრული ანბანის მინაწერში ნიკოლოზი განმარტავს: „მე ეს

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“ 1898 წ., № 127.

ასოები „თხოვებულის თვალით (ე. ი. სათვალთ) დავწერე, რა-  
მე თუ ვიყავ ორმოცდათექვსმეტი წლისა ამია წერაშია“<sup>1</sup>. ეს  
მინაწერი 1728 წლითაა დათარიღებული. თუკი ამ დროს იგი  
ორმოცდათექვსმეტი წლისა ყოფილა, მაშინ გამოდის, რომ და-  
ბადებული უნდა იყოს 1672 წელს.

ნიკოლოზ ორბელიანს კარგი სწავლა-განათლება მიუღია.

1705 წელს 33 წელს მიტანებული ნიკოლოზი ბერად შემდ-  
გარა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში<sup>2</sup>.  
იქ იმ პერიოდში ძლიერი ლიტერატურული სკოლა არსებობ-  
და. ღვთისმსახურებასთან ერთად გარეჯში ნაყოფიერ შემოქმე-  
დებით მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი საეკლესიო მოღვა-  
წენი: წინამძღვარი მონასტრისა ონოფრე მაკულტაძე, თავად  
სულხან ორბელიანი, გრიგოლ ეახვანიშვილი, გაბრიელ საგა-  
ნაშვილი, ცნობილი გადამწერ-კალიგრაფები: ხარიტონი, ზაქა-  
რია და სხვები<sup>3</sup>.

ქაბუჯი ნიკოლოზი ბერად აღკვეცისთანავე აქტიურად ჩაბ-  
მულა გარეჯის ლიტერატურული სკოლის საქმიანობაში. ბე-  
რობაში გადაუწერია მას ქართველი წმინდანების „ტროპანი“,  
„კონდაკნი“ და სხვა საეკლესიო წიგნები. 1715 წელს ნიკო-  
ლოზ ორბელიანს მროველობა მიუღია. მას ღვთისმსახურებაში  
იმდენად გამოუჩენია თავი, რომ მალე თბილისის მიტროპოლი-  
ტად დაუწინაურებიათ.

ნიკოლოზ ორბელიანს ბერობაშივე გაუთქვამს განათლე-  
ბული და ნიჭიერი პოეტის სახელი, ამიტომაც იგი ვახტანგ VI  
გარეჯის მონასტრიდან გამოუყვანია და იხანად დაარსებულ  
თბილისის სტამბაში მიუწვევია სამუშაოდ. მისი რედაქტორო-  
ბით აქ რვა წიგნი გამოიცა: 1709 წელს „სახარება“ და „სამო-  
ციქულო“, 1710 წელს „ლოცვანი“ და „უამნი“, 1717 წელს  
კვლავ „ლოცვანი“, 1720 წელს „პარაკლიტონი“, 1721 წელს  
„ქმნულების ცოდნის წიგნი“ და 1722 წელს „უამნი“.

ნიკოლოზის სტამბაში მუშაობა მარტო დედნების რედაქ-  
ტირებით როდი ამოიწურებოდა. მას შეუდგენია და წიგნები-

<sup>1</sup> თ. უორდანიანი, ქრონიკები, ტ. III, 1967. გვ. 118.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 317.

<sup>3</sup> იქვე.

სათვის დაურთავს აგრეთვე საძიებლები. საერთოდ, ნ. ორბელიანი შემოქმედებითად უდგებოდა წიგნების გამოცემის საკითხს და ხშირად გონივრული ცვლილებები შეჰქონდა ტექსტში. მას რედაქტირების დროს შეუტანია „უამნის“ დედანში, მაგალითად, „ქართველ წმინდანთა ხსენების დღე. ამის შესახებ 1717 წელს გამოცემული „ლოცვანძს“ წინასიტყვაობაში იგი წერს: „უამნობა და თქვენი ბერძნულის რიგით დაჴწერეთ და კვირახალების ზადიკისა და სამგზეფის ოთხითა იანბიკო ისევ ჩვენი ძველი გაურიეთ“<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაში ნ. ორბელიანი საყურადღებო ცნობას გვაწვდის ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობის ისეთი ნიმუშების ბეჭდვაზე, როგორცაა ჰიმნოგრაფია. მწერლობის ამ დარგმა ჩასახვა-განვითარება იმ მძაფრი ბრძოლის შედეგად პოვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარმართულ რელიგიურ სარწმუნოებასა და ქრისტიანობას შორის ძველი და ახალი წელთაღრიცხვის გასაყარზე.

რელიგიათა ბრძოლამ წარმოშვა ქრისტიანობისათვის თავდადებული „გმირები“ ანუ მარტვილ-წამებულნი, რომელთაგან ბევრი ანტიოქიის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ<sup>2</sup> წმინდანად აღიარა.

ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე ხანებში საფუძველი ეყრება აგრეთვე პორტოლოგიას, ანუ წმინდანთა და მარტვილ-წამებულთა მოსახსენიებელი დღესასწაულების შემოღებას, რომელთა აღნიშვნის თარიღებიც შეჰქონდათ საეკლესიო კალენდრებში, ლექციონარებსა და სხვადასხვა სახის საეკლესიო წიგნებში. დღესასწაულებზე სრულდებოდა შესაბამისი წმინდანებისა თუ მარტვილ-წამებულის სადიდებლად შექმნილი საგალობელ-ქადაგებანი.

VIII—IX საუკუნეებიდან სხვა ქრისტიანული ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც იწყება ეროვნულ წმინდანთა მოსახსენიებელი დღესასწაულების აღნიშვნა. XI საუკუნიდან, მაგალითად, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აღდგომის მეორე დღეს მართავდა ჯვრის დღესასწაულს, 10 ნოემბერს — წმინდა გიორგისას, 27 იანვარს — წმინდა ნინოსი, 29

<sup>1</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 25.

დეკემბერს — იოანე მახარობლისას და ა. შ. სწორედ ამ საეკლესიო დღესასწაულებზე შესასრულებელი საგალობლები შეუტანია დამატების სახით 1710 წელს გამოცემულ „ლოცვანში“ ნ. ორბელიანს.

ნ. ორბელიანის დაწერილი უნდა იყოს აგრეთვე, თუ ყველა არა, ყოველ შემთხვევაში 1711 წლამდე გამოცემული წიგნებისათვის დართული რუმინელი მესტამბის მ. იმტვანოვიჩის წინასიტყვაობანი, რადგანაც ამ პერიოდში, მის გარდა, სხვა რედაქტორ-ლიტერატორს თბილისის სტამბაში არ უმუშავია.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ნ. ორბელიანი ნაყოფიერ ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. მან მრავალი თარგმნილი თუ ორიგინალური ნაწარმოები დაგვიტოვა. მის კალამს ეკუთვნის აბო ტფილელის, ესტატე მცხეთელის, არჩილისა და ლუარსაბის „დასდებელი“, მოკლე იამბიკოებად თქმული „დიდება“ წინოსი, რაჟდენ პირველ-მოწამისა. ესტატე მცხეთელისა, შუშანიკისა, იოანე ზედაზნელისა, შიო მღვიმელისა, დავით გარეჯელისა და სხვ<sup>1</sup>.

ნ. ორბელიანი „უამსა ქართლის აოხრებისასა“ თავის ძმებთან — საბასთან და ზოჩა-მესთან ერთად ვახტანგ VI გაჰყვა რუსეთში. 1724 წლის 15 ივლისს სამშობლოდან დევნილები რაჭაზე გაელით გაუდგნენ მოსკოვის გზას. იმავე წლის 31 აგვისტოს ისინი ჯვრის ციხესიმაგრეში დიდი პატივით მიიღო გენერალ-მაიორმა კროპოტოვმა. რამდენიმე დღის შემდეგ ჯვრიდან ვახტანგ VI პეტერბურგში პეტრე I წინასწარი მოლაპარაკების მიზნით გაგზავნა სულხან-საბა ორბელიანი, მისი ძმა ზოსიმე და არქიმანდრიტი არსენი.

ვახტანგ VI და მისი ამაღლა, მათ შორის ნ. ორბელიანიც. ჯვარში ერთი თვე დარჩნენ. აქ ემიგრანტმა ქართველებმა ვახუშტი ბატონიშვილს და ნ. ორბელიანის თაოსნობით ლიტერატურული მუშაობა გააჩაღეს<sup>2</sup>.

1726 წელს ნ. ორბელიანი რუსუდან დედოფალთან, არქიმანდრიტ იოსებთან, ბერმონაზონ გიორგისთან და სხვა ქართ-

<sup>1</sup> ა. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 317.

<sup>2</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, გვ. 109.

ველებთან ერთად ასტრახანიდან მოსკოვს გადასახლდა. ნიკოლოზს არც აქ შეუწყვეტია ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა. მას 1728 წელს გადაუწერია სულხან-საბას ნაშრომი „საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის ანუ დიალექტიკა“ („კათედორია“). ამ წიგნის მინაწერში იგი საფანგებოდ შენიშნავს: „ხელთ ჩემ ცოდვილისათა მოვაცხოველე და ნაკლული შევასრულებინა“<sup>1</sup>. მანვე გადააწერინა ვინმე გ. ებიტაშვილს „მარხვანი“. ნიკოლოზს შეუდგენია აგრეთვე „კრებული“ ანუ წესი აღსარებისა“<sup>2</sup>.

ღრმა მოხუცებულობისა და მძიმე პირობების მიუხედავად, ნ. ორბელიანს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ გაუგდია კალამი ხელიდან. რუსეთის ცივსა და ზამთრის გრძელ ღამეებში ერთ პატარა სენაკში გამოკეტილი იჯდა და სანთლის შუქზე თვაულებლევ წიგნებს ჩაპირკიტიებდა. უკანასკნელი წიგნი მას ავადმყოფობის დროს გადაუწერია. ერთ-ერთ მინაწერში იგი ამბობს: „ავად ვიყავ და ვერ ვკრებოდი, წოლათ დამიწერია, ვეშურებოდი, სიკვდილს მოველოდი“<sup>3</sup>.

გარდაიცვალა ნიკოლოზ ორბელიანი 1735 წელს<sup>4</sup>.

#### დომენტი IV კათალიკოსი

დომენტი (ერისკაცობაში დამიანე) იყო ქართლის მეფის ეახტანგ VI ძმა. 1689 წელს იერუსალიმის ქართველთა ჯვრას მონასტერში ყოფნასს პატრიარქ დონუფეოსს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დომენტი იეროდიაკვნად უკურთვებია. იერუსალიმშივე გასწობია იგი პირველად სტამბასა და წიგნების ბეჭდვის ხელოვნებას<sup>5</sup>.

<sup>1</sup> საქ. სსრ მეც. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S, № 2474.

<sup>2</sup> იქვე, S, № 1767.

<sup>3</sup> იქვე, H, № 90.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 317

<sup>5</sup> ვ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, 1904, გვ. 131.



1698—1700 წლებში დომენტი მოსკოვში იმყოფებოდა არ-  
ჩილ მეორესთან. 1703 წელს ვახტანგ VI მაშინდელი პატრ-  
არქის ევდემოს დიასამიძის გადაყენება და მის ნაცულად ნი-  
კოლოზ ამილახვრის ხელდასხმა განუზრახავს, მაგრამ 1705  
წელს მოწვეულ საეკლესიო კრებას ორივეს კანდიდატურა  
უარუყვია და კათალიკოსად მოსკოვიდან ახლად დაბრუნებუ-  
ლი დომენტი აურჩევია.

მღვდელმთავრად კურთხევისთანავე დომენტის ენერგიუ-  
ლად მოუქიდია ხელი აღმოსავლეთ საქართველოს მართლმად-  
იდებლური ეკლესიის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცე-  
ბისათვის, რადგანაც კახეთის გავლენიან ფეოდალებს საკათა-  
ლიკოსო მამულების დანებებაზე უარი განუცხადებიათ, ამი-  
ტომ 1706 წელს დომენტი ირანის შაჰს ხლებია ისპაჰანში და  
მისგან ხელმოწერილი ფირმანის ჩამოტანით ურჩი თავადები  
გაუწბილებია.

1712—1719 წლებში ვახტანგ VI სპარსეთში ყოფნისას დო-  
მენტი მტკიცედ იცავდა ქართლის ჭანიშინის ინტერესებს, რის  
გამოც იესეს მისთვის თვალების დათხრა განუზრახავს,  
მღვდელმთავარი ამ განსაცდელიდან ვახტანგ VI თანამეცხედ-  
რეს რუსუდანს გამოუხსნია.

1723 წელს თბილისის ოსმალთაგან დაპყრობის გამო დო-  
მენტი ლორეს ციხეში გახიზნულა სვეტიცხოველის განძეუ-  
ლობათა გადასამალავად, იქიდან ჭსნის ხეობაში გადასულა,  
სადაც საეკლესიო სიმდიდრე გერგეთის სამების საყდარში  
დალარგეისის წმინდა თევდორეს მონასტერში შეუფარებია<sup>1</sup>.  
შემდეგში იგი ოსმალებს შეურიგებიათ და თბილისში დაუბ-  
რუნებიათ.

1725 წელს დომენტი სულთანს სტამბოლში გაუწვევია. იე-  
სეს შთაგონებით ისაყ-ფაშას ახალციხიდან კაცი დაუდევნებია  
გზადმიმავალი ლეთისმსახურის სულთანის წინაშე ანტიმაჰმა-  
დიანობაში დასაბეზღებლად, რის გამოც იგი დაუპატიმრებიათ  
და ბოხჩა-ადას კუნძულზე გადაუსახლებიათ. აქ მას ტყვეო-  
ბაში 13 წელიწადი გაუტარებია და ამ ხნის განმავლობაში სა-

<sup>1</sup> პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათა-  
ლიკოსნი და მღვდელმთავარნი, 1904, გვ. 136.

მშობლობზე ფიქრი ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. ბოუხა-  
ადასიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი თავის შემცვ-  
ლელს ბესარიონ (ორბელიანი) კათალიკოსს სწერდა: „მე არა  
მწყენია, რომ მამა-პაპათა სარწმუნოების უარყოფელმა იე-  
სემ შენ დაგადგინა ჩემს ნაცვლად — კათალიკოზად. მე ვა-  
სოებდი, რომელ მეფესთან ეგრე დაახლოებული მცველი და  
მფარველ ექმნებოდი სარწმუნოებასა ჩვენსა და ეკლესიასა...

მე მომიტრეხ, ვითარმედ საეკლესიო საუნჯენი და ყოვე-  
ლი შემოწირულობანი ჩვენთა მეფეთანი წარტაცებული არიან.  
განა შეუძლებელი იყო მათი სამალაევებში დაკრძალვა, რო-  
გორც უწინ ჩვენი წინამოსაყრდენი ჰკრძალავდნენ და იფარ-  
ვიდნენ განძარცვისაგან? უფალმა ღმერთმა დაიცვას ჩვენი ეკ-  
ლესია სრულიადისა აოხრებისაგან. ხსნა მის მიერ არს და ვსა-  
სოებ, რომ ეკლესია ოდესმე განბრწყინდება და ჩვენზედ მხო-  
ლოდ ამასლა იტყვიან, რომ ჩვენის უღაჩისობის გამო ქვეყანასა  
ჩვენსა მოველინა უმრწამესნი უბედურებანი... გოზოვ და გე-  
ვედრები იქონიო ზრუნვა ქრისტეს სამწყსოზედ, რომლ-სთვ-  
საც ისე სახელოვნად იღვწოდნენ უწინარეს ჩვენსა მწყემსნი  
სულიერნი და დასდებდნენ სულთა თვისთა წმიდად მწყსელი-  
სა სიტყვიერისა ქრისტეს სამწყსოსა ცხოვნებისათვის... ქვეყ-  
ნიერნი ტანჯვაში წარმავალნი არიან, ღმერთი განჰკურნავს  
წყლულთა მორწმუნეთა ძეთასა, გარნა ვაი მათ, რომელნი თავს  
ერისა სდგან და უღებებით არა იფარვენ თანამდებობისამებრ  
მომაკვდაეთა ერისაგანთა. კურთხევა ღვთისა იყავნ სამშობლო-  
სა ზედა ჩვენსა“<sup>1</sup>.

1739 წელს ტყვეობიდან განთავისუფლებულ სამშობლოში  
დაბრუნებულ დომენტის დიდხანს აღარ უცოცხლია, 1741  
წელს გარდაიცვალა. მისი ცხედარი ვახტანგ VI ასულმა, შემ-  
დგომში კახეთის მეფის თეიმურაზ II თანამეცხედრემ თამარ-  
მა, სვეტიცხოველში დაასაფლავებინა.

დომენტი საეკლესიო მოღვაწეობის გარდა, მნიშვნელოვან  
კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა. ვახ-  
ტანგ VI ერთად მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სამართ-

<sup>1</sup> იერარქია საქართველოს ეკლესიისა; კათალიკოსნი და მღვდელ-მთა-  
ვარნი, შემდგენელი პ. კარბელაშვილი, 1904, გვ. 131.

ლებრივი კანონების შედგენა-შემუშავებაში. მანვე შეკრიბა როგორც ქართველ საერო პირთა, ისე საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება-წამებანის ნუსხები და შეადგინა ჰაგიოგრაფიული კრებულები. დომენტის მეშვეობით შემოგვრჩა დღემდე ილარიონ ქართველისა და სხვათა საგალობლები. თავისი ქვეყნის ამ დიდმა პატრიოტმა საკუთარი ხარჯით შეაკეთებინა და მოახატვინა სვეტიცხოვლის, ანჩისხატის, მეტეხისა და სხვა ეკლესიები.

დიდია დომენტის დამსახურება ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც პირველი ქართული სტამბა 1703—1705 წლებში მას დაუარსებია თბილისში<sup>1</sup>. აქტიური მონაწილეობა მიუღია დომენტის აგრეთვე ვანსტანგ VI მიერ 1709—1723 წლებში გაჩაღებულ საგამომცემლო საქმიანობაში. მისი ინიციატივით დაიბეჭდა 1719—1720 წლებში ცნობილი საეკლესიო წიგნი „კურთხევა ეკლესიისაო“, რომელსაც წამძღვარებული აქვს დომენტის შემდეგი წინასიტყვაობა: „ჩვენს, სურვილითა საღმრთოთა აღძრულმან. სანატრელმან და ყოვლად წმინდამან კათალიკოზ პატრიარქმან ყოვლისა საქართველოსამან, უფალმან უფალმან დომენტიმ გამოვიწველილე ეკლესიისა კურთხევა, რომელიცა წმიდათა მამათა ჩვენთა მთარგმნელთაგან ჰეშმარიტად და სწორად გარდმოეღოთ, და ჟამთა ვითარებისაგან მწერალთაგან განრყვნილ იყო, და ეს კურთხევა და შემდგომნი ამისანი განწესებანი ახლად ვეძიეთ და ეპოვეთ და აწ ქართულად გადმოვათარგმნინეთ უნაკლულოდ სამთავნელ ეპისკოპოზს უფალსა კვიპრიანეს რამეთუ კეთილად სწავლულ იყო ბერძნულთა ენისაგან“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დომენტის უშუალო მონაწილეობით კიდევ სხვა წიგნები დაიბეჭდა როგორც მის მიერ დაარსებულ სტამბაში, ისე ვანსტანგისაში, რომლებიც მკვლევართ ჯერჯერობით ვერ მოუძიებიათ.

<sup>1</sup> იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შემდგენელი პ. კარბელაშვილი, 1904, გვ. 131, 132; ქართლ-კახეთის ქრონიკები, ა. იოსელიანის რედაქციით, 1980; ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, 1973, გვ. 19—26.

გიორგი მხატვარი მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა. იგი შესანიშნავი გრაფიკოსი, კალიგრაფი და ამავე დროს საკმაოდ ავტორიტეტული მოღვაწე ყოფილა. სწვა რომ არაფერი ვთქვათ, გიორგის პოპულარობას ისიც მოწმობს. რომ იგი ყველგან და ყოველთვის გვარ-სახელისა და თანამდებობის გარეშე, პირდაპირ მხატვრად იხსენიება. მისი, როგორც მესტამბის სახელი პირველად 1716 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ საგამომცემლო მონაცემებში გვხვდება. „განსრულდა დავითი ესე თვესა ივნისსა... სტამბის მეურნეობასა გიორგი მხატვრისასა“. — ვკითხულობთ „დავითნის“ თავფურცელში. გამორიცხული არ არის, რომ გიორგის წიგნების ბეჭდვა მიქელთან ერთად რუმინელი ოსტატის მ. იშტვანოვიჩისაგან შეესწავლოს.

როგორც ჩანს, მიქელის შემდეგ სტამბის გამგებლის, ანუ მბეჭდავის თანამდებობა გიორგის მიუღია, რადგანაც 1716 წლიდან დაბეჭდილ წიგნებში მის ნაცვლად ეს უკანასკნელი იხსენიება.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ზუსტად ერთსა და იმავე წლებში მხატვრის სახელით ორი პიროვნებაა ცნობილი — ერთი, თავად გიორგი სიონის მომხატავი და მეორე, ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზი გრიგოლი.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი მათ ერთსა და იმავე პიროვნებად თვლის. ასეთი მოსაზრება პირველად პ. კარბელაშვილმა გამოთქვა<sup>1</sup>. ამასვე იმეორებს გ. ლეონიძე<sup>2</sup>. მკვლევართა ამ მოსაზრებას ადასტურებს „კონდაკის“ ერთ-ერთ უძველეს ნუსხაზე შემორჩენილი გადამწერის შემდეგი ანდერძი: „ღმერთო! შეიწყალე ცოდვილი, ყოველთა კაცთა უნარჩევესი და მღვდელმონაზონი გ/ორგ/ი ყოფილი გრიგოლი. ამინ“<sup>3</sup>. ჩანს

<sup>1</sup> პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. თბილისში, 1902, გვ. 43, 44.

<sup>2</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 408.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A<sub>1</sub> № 1193.

გრიგოლს ბერად აღკვეცის შემდეგ საერისკაცო სახელი გიორგით შეუცვლია.

გრიგოლის ანუ იგივე გიორგის, რომელიც სიონის მოხატვის შემდეგ უბრალოდ მხატვრის სახელითაც ყოფილა ცნობილი, წლების მანძილზე ანჩისხატის ტაძარში უმსახურია დეკანოზად. რადგანაც მისი ბიოგრაფიის აღდგენა მრავალმხრივაა დაკავშირებული ქართული კულტურის ამ შესანიშნავი ძეგლის ისტორიასთან, ამიტომ საჭიროდ ვთვლით ძალზე მოკლედ შევეხოთ თვით ტაძრის წარსულს.

XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე ანჩისხატის ეკლესიას „ზარის საყდარს“ უწოდებდნენ, რადგანაც ეს იყო ერთადერთი სამლოცველო თბილისში, რომელსაც „ვითარცა ტაძარსა პატრიარქისასა“ არაბთა ბატონობის დროს უფლება ჰქონდა ზარების რეკვისა<sup>1</sup>. ხოლო მას შემდეგ, რაც შავშეთის სოფელ ანჩის საეპისკოპოსო ეკლესიიდან მესხეთში გადატანილი ოქროთი მოჭედილი ღვთისმშობლის სახიერი ხატი 1674 წელს თბილისში ე. წ. „ზარის საყდარში“ გადმოასვენეს, იმ დროიდან ქართველთა ამ ერთ-ერთ უძველეს სალოცავს ანჩისხატის ეკლესია ეწოდა.

სამცხედან გადმოსვენებულ ღვთისმშობლის ხატს თბილისში გამოჰყოლია მღვდელი, რომელსაც სახელად პეტრე რქმევაია. პ. კარბელაშვილი განმარტავს: „მღვდელი პეტრე მესხი მოჰყვა თავის ცოლშვილით სამცხედან ხელით-უქმნელის ანჩის-ხატსა... 1674 წელს კათალიკოზმა დომენტიმ მისცა ადგილი ანჩისხატის ტაძარში. იყო საყვარელი თანამოსაუბრე კათალიკოზის ნიკოლოზისა. მიიცეალა 1680 წელს. ჩვენამდე მოაღწია მისმა ნაწერმა მშვენიერის ხუცურის ხელით კონდაკმა, რომელიც ეხლა ჩვენს საეკლესიო მუზეუმშია დაცული“<sup>2</sup>.

ამ პეტრეთი იწყება მესხიშვილების საგვარეულოს ისტორია. მას ერთი შვილი ჰყოლია — იოსები, რომელსაც 1681—1711 წლებში დეკანოზად უმსახურია ანჩისხატის ეკლესიაში. აი სწორედ ამ იოსების შვილია ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული გრიგოლი.

<sup>1</sup> პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. თბილისში, 1902, გვ. 5,6.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 5.

ამრიგად, სიონის მხატვარი გიორგი, ანუ იგივე გრიგოლი. გვარად მესხიშვილი ყოფილა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონია ვახტანგ VI. ამას მოწმობს შემდეგი ორი გარემოება: ერთი ის, რომ თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ შემონახული საბუთით 1714 წელს სპარსეთში მყოფი ვახტანგის ცოლ-შვილი — დედოფალი რუსუდანი და ბაქარი მას რაჭაში გაუცილებია<sup>1</sup>, და მეორეც, 1724 წელს იგი რუსეთში გაჰყვლია ქართლის მეფეს. სხვა რაიმე ცნობა გიორგის შესახებ არ გავაჩნია.

### ბ ა ჯ ა რ ი

<sup>1</sup> ბაქარი უფროსი შვილი იყო ვახტანგ VI და ჩერქეზთ ბატონის ასულის რუსუდანისა. აღზრდა-განათლება მას ქართლის სამეფო კარის ეკლესიის დეკანოზის იესესა და მისი ძმის გიორგი გარსევანიშვილების ზედამხედველობით მიუღია. სამხედრო საქმეს კი მამის შემწეობით დაუფლებია.

1719 თუ 1720 წლებში ბაქარს ცოლად შეურთავს არაგვის ერისთავის გიორგის ასული ანა, რომელთანაც ორი ვაჟი შესძენია: პაპის მოსახელე ლევანი და ალექსანდრე.

XVIII საუკუნის 70—80-იან წლებში ალექსანდრე შეუპოვრად იბრძოდა ერეკლე II წინააღმდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტისათვის, როგორც მუხრანელ ბაგრატიონთა შთამომავალი, მაგრამ ამოდ დაშთა, საწადელს მაინც ვერ მიადწია. ამის მიუხედავად, ბედმა იგი საბოლოოდ არ გაწირა. დოკუმენტურად დასტურდება, რომ მას ერთხანობა დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაუმსახურებია რუსეთის გაელენიან არისტოკრატიულ წრეებში. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1764 წელს იმერეთის მეფეს სოლომონ I თხოვნით მიუმართავს ალექსანდრესათვის ეშუაშდგომლა საიმპერატორო კარის წინაშე სამხედრო დახმარება გაეწიათ მისთვის უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში<sup>2</sup>.

ბაქარის მეორე ვაჟს ლევანსაც გარკვეული კვალი დაუტო-

<sup>1</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. 111, 1967, გვ. 57.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 4, 1973, გვ. 648.

ვებია ცხოვრებაში. იგი სამხედრო პირი გამხდარა და როგორც ნიჭიერ ოფიცერს თავის დროზე რუსეთის ჯარების სარდლობის ფართო აღიარება მოუპოვებია.

ვახტანგ VI მსგავსად ბაქარმა მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შეაღია. 1712 წელს ირანის შაჰის სულიმანის მიერ ვახტანგის ისპაჰანში გაწვევისა და იქ მისი დაპატიმრების შემდეგ იესე ლევანის ძემ შეთქმულების ქსელი გააბა ქართლის მეფეზე განაწყენებულ რეაქციონერ ფეოდალებთან. მან სამეფოდან განდევნა მისი ცოლ-შვილი და შაჰს შეუთვალა: „ვახტანგ ვერა ცოცხალ ბრძანებულსა, არამედ წარავლინე პატიმრად“<sup>1</sup>. იესეს გამგებლობის პერიოდში კვლავ გახშირდა შინაფეოდალური აღრევები, მოიშალა მეურნეობა, ჩაკედა კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება, შეწყდა სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობა.

ისპაჰანში ვახტანგ VI დიდი პატივით მიიღეს. ყაენმა მას ქართლის ნომინალურ მეფედ დამტკიცება აღუთქვა, თუკი მაჰმადიანობას მიიღებდა, ვახტანგმა რჯულის გამოცვლაზე უარი განაცხადა. რა ხერხს არ მიმართეს, მაგრამ მამაპაპეულ სარწმუნოებაზე ხელი ვერ ააღებინეს. ამის გამო განრისხებულმა შაჰმა იგი ქირმანში გაგზავნა ტყვექმნილი. იქ ვახტანგი მოინახულა თავისმა მასწავლებელმა და ერთგულმა მრჩეველმა სულხან-საბამ. მათ შორის გამართული ფარული მოლაპარაკების შემდეგ, 1713 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, ორბელიანი სპარსეთში აკრედიტირებულ მისიონერ რიშარდთან ერთად ევროპაში გაემგზავრა კონსპირაციულად დიპლომატიური მისიით. მას დავალებული ჰქონდა ვახტანგისაგან, ჩასულიყო საფრანგეთში, მოენახლებინა ლუი XIV და ეთხოვა დახმარებოდა საქართველოს, როგორც ქრისტიან ერს მაჰმადიანურ სასელმწიფოებთან ბრძოლაში.

სანამ საბა ევროპაში იმყოფებოდა, ვახტანგი მტკიცედ იდგა რჯულის გამოცვლის უარზე, მაგრამ როცა უიმედო ელჩობის ამბავი შეიტყო, წინააღმდეგობის გაწევა უაზროდ ჩათვალა და ბედს დამორჩილებულმა ჰუსეინ-ყული-ხანის სახელით

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 4, 1973, გვ. 648.

მაჰმადიანობა მიიღო. ვახტანგის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმას ხელი შეუწყო აგრეთვე იმან, რომ საქართველოდან ცუდი ამბები მოდიოდა ფეოდალთა აღრევეების შესახებ. აშკარად ჩანდა, რომ ქვეყანას თავკაცი ესაჭიროებოდა.

შაჰმა პირობისამებრ ვახტანგს შეფობა მისცა, მაგრამ იგი ერთხანს თავისთან დატოვა, ქართლის გამგებლად კი მის ნაცულად 1716 წლიდან ბაქარი დანიშნა.

ძალაუფლების ხელში აღებისთანავე ბაქარმა ბიძამისი იესე დააპატიმრა. მკაცრად დასაჯა აგრეთვე ვახტანგის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე ფეოდალები.

1719 წელს ვახტანგ VI სამშობლოში დაბრუნდა და სასტიკად გაუსწორდა რეაქციულ-ოპოზიციონერთა ჯგუფს. მისი მრისხანება ნაკარნახევი იყო არა მასთან მტრულად განწყობილი ფეოდალებისადმი პირადი ანგარიშის გასწორებით, არამედ საზოგადოებრივი ინტერესებით, ქვეყნად ურთიერთპატივისცემის პრინციპზე აგებული ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის შეურყევლობითა და მტკიცე ადმინისტრაციული წესრიგის დამყარებით.

ურჩი ფეოდალთა თვითნებობის შემდეგ, ქართლში კვლავ სიმშვიდე ჩამოვარდა, რაც უმალვე დაეტყო ცხოვრების ყველა სფეროს. კვლავ გამოცოცხლდა კულტურულ-ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმიანობა. აღმავლობა განიცადა წიგნების გამოცემამაც. 1716 წლიდან 1722 წლის ჩათვლით იბეჭდება შვიდი დასახელების წიგნი, მაშინ როდესაც 1712 წლიდან 1716 წლამდე — მთელი ოთხი წლის მანძილზე, ანუ ვახტანგის ქირმანში ყოფნის პერიოდში, ერთადერთი წიგნი — „კურთხევეანი“ დაიბეჭდა.

1723 წელს ქართლის საზღვრებთან ოსმალების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში ვახტანგ VI მხარდამხარ თავგამოდებით იბრძოდა ბაქარიც. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, რიცხობრივად ქარბ მტერთან ქართველები მაინც დამარცხდნენ, რის შემდეგაც ვახტაგი ბაქართან და თავისი ამალის სხვა წევრებთან ერთად იძულებული ხდება რუსეთს შეაფაროს თავი.

ბაქარი, როგორც მწიგნობარი და გამომცემელი, მოსკოვში საბოლოოდ დასახლების შემდეგ წარმოსდგება ჩვენ წინაშე, ვახტანგ VI გარდაცვალების შემდეგ იგი სათავეში უდგება



ქართველ ემიგრანტთა კოლონიას და ხელს ჰკიდებს მამამისის მიერ წამოწყებული საქმის — მოსკოვში ქართული სტამბის დაარსების ბოლომდე მიყვანას.

1737 წლის 30 სექტემბერს ბაქარს თხოვნით მიუმართავს სინოდისათვის, ნება დაერთოთ უსახსრობის გამო უსასყიდლოდ დაებეჭდა ქართული საეკლესიო წიგნები მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე სინოდმა ბაქარს დამატებით იმ წიგნების სიის წარდგენა მოსთხოვა, რომელთა გამოცემაც ჰქონდა განზრახული. ბაქარმა მოთხოვნა უმაღლესე შეასრულა. მის მიერ წარდგენილ სიაში შეტანილი იყო 12 დასახელების წიგნი. მათ შორის „სახარება“, „კონდაკი“, „უამნი“, „მარხვანი“, „სამოციქულო“ და სხვა. ამის შემდეგ, 1737 წლის 10 ოქტომბერს სინოდს განუხილავს ბაქარის თხოვნა და მეფის კაბინეტისათვის უცნობებია: „თუ ეს წიგნები იქნებოდა გამოცემული, ქართული ტექსტი გამართულიყო რუსეთში ხმარებაში მიღებული საღვთისმეტყველო წიგნების მიხედვით, რომლებიც მიღებულია აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა ეკლესიებშიო: სინოდი წინადადებას იძლეოდა, რომ ამ საქმის შესრულება დავალებოდა ბატონიშვილ ბაქარს, ანდა მეფის კაბინეტიდან ყოფილიყო გამოძებნილი შესაფერისი პირი“<sup>1</sup>.

#### იოსებ სამეხალი

იოსებ სამეხლის ცხოვრება-მოღვაწეობა, ისევე როგორც სხვა მესტამბე-გამომცემლებისა, დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. ბიოგრაფიულ ცნობებს უმეტეს შემთხვევაში სამეხელი თავადვე გვაწვდის. 1737 წელს ვესესვიატსკოეს სტამბაში დაბეჭდილი პირველი წიგნის, „ღავითნის“ წინასიტყვაობაში იგი წერს: „მე, არქიეპისკოპოზმან და კახეთის მწიგნობართ უხუცესის ქვაბულის ძმის თამაზის ძემან იოსებ, ვიღვაწე და მოვიყიდე საფასითა ჩემითა სტამბა ესე“.

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში, ლიტერატურული ძიებანი, X, 1956, გვ. 221.

ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ სამებელი წარმოშობით ქვაბულიძეების საგვარეულოს ეკუთვნოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვაბულიძეებს დიდი ავტორიტეტი მოუპოვებიათ აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც ქართლში ორბელიანებს, ისე მათ საგვარეულოს, კახეთის სამეფოს კარზე მდივან-მწიგნობრის სახელი ჰქონიათ ბოძებული. ეს თანამდებობა სკერია, კერძოდ, ქვაბულიძეების სახელოვან წარმომადგენელს, „ბარამგულიჯანიანის“ გამლექსავს, ცნობილ პოეტს ონანას.

თავისი დროისათვის ამ საკმაოდ გახმაურებული სახელის მქონე პოეტის ვინაობის შესახებ კ. კეკელიძე შემდეგნაირ ცნობას გვაწვდის: „ონანა, ძე კახეთის მდივნისა და თვით მდივანი იყო თავადიშვილი, გვარად ქობულაშვილი“<sup>1</sup>. ამ ცნობაში ერთგვარი კორექტივი გვინდა შევიტანოთ. ონანას პირვანდელი, ანუ ძირძველი გვარი ქვაბულიძე უნდა იყოს. ამას მოწმობს თვით ი. სამებელი, როდესაც ამბობს: მე, კახეთის მწიგნობართ უხუცესის ქვაბულის ძის თამაზის ძემან, დაეაარსე ესე სტამბაო. ჩანს, რუსეთში გადასახლების შემდეგ ქვაბულიძეები ხვაბულოვებად, ანუ ქობულოვებად დაწერილან. შემდეგში ქვაბულიძე-ქობულოვებს თავიანთი გვარი ქობულაშვილებად გადაუყეთებიათ.

ონანას მსგავსად მდივან-მწიგნობრობის თანამდებობა სკერია აგრეთვე სამებლის პაპას სვიმონს და მის შვილს, ანუ მამას ჩვენი მესტამბისა, თამაზს. ეს უკანასკნელი საკმაოდ კარგი პოეტის სახელითაც ყოფილა ცნობილი<sup>2</sup>.

საგვარეულო წარმოშობის გარდა, ი. სამებელი საყურადღებო ცნობას გვაწვდის თავისი დაბადების თარიღის შესახებაც. 1734 წელს მის მიერ პეტერბურგში გადაწერილ „კონდაკს“ აშიაზე შემდეგი მინაწერი აქვს: „იესუ ქრისტე, ძეო ღ-თისაო! ადიდე საუკუნოთ ბერი ცოდვილი მიწა, კაცქმნილი სამებელ-ყოფილი იოსებ კაცი. ქვაბულის ძის ძე, თამაზის ძე, რომელმან აღვწერე წიგნი ესე, პეტრე ბრუხს ქებულსა დიდე-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 368.

<sup>2</sup> ი. კ. ე.

ბულს ქალაქში. წელი გადმეწეო ორმოცდა თვრამეტი<sup>1</sup>. თუ 1734 წელს, როგორც თვითონ ამბობს, 58 წლის იყო, გამოდის. რომ იგი 1676 წელს დაბადებულა.

თ. უორდანიას გადმოცემით, XVIII საუკუნის დასასრულს იოსებს შიო მღვიმის მონასტრის წინამძღვრად უმსახურია<sup>2</sup>. რამდენ ხანს დაჰყო მან ამ თანამდებობაზე, ამის შესახებ არა ვიცით რა, ის კი ცნობილია, რომ 1696 წელს იგი უკვე სამების ეპისკოპოსად ყოფილა არჩეული.

პერიოდი, როცა იოსებს საქართველოში მოღვაწეობა მოუხდა, აღსავსე იყო რთული პოლიტიკური ვითარებით, ქართლის სამეფოს რუსეთთან დაახლოების გამო თურქეთ-ირანიის შემოსევებმა სულ უფრო მძლავრი ხასიათი მიიღო. მომხდურთაგან შევიწროებული იოსები ტოვებს სამებას და წილკნის მონასტერში გადადის სამოღვაწეოდ<sup>3</sup>.

ვახტანგ VI რუსეთში გახიზვნის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ უფრო რთული მდგომარეობა იქმნება, რის გამოც სამებელი ი. იძულებული ხდება წილკნის საეპისკოპოსო კათედრა მ. ატოვოს და რუსეთს შეაფაროს თავი. ასე რომ, უკვე 1731 წლის მიწურულს 33 კაცის თანხლებით დარიალის ხეობის გავლით რუსეთის გზას გასდგომია. მოსკოვს ჩასვლამდე ქართველ მღვდელმთავარს დიდი გაჭირება გამოუვლია გზაში. ყაჩაღების ბანდასაც კი ჩაეპარდნია ხელში. 1732 წლის დამდეგს ი. სამებელი ვახტანგ VI დახმარებით ტყვეობიდან განთავისუფლებულა და თავისი მახლობლებით მოსკოვს ჩასულა. აქ იგი ვახტანგ VI, ემიგრანტ ქართველობასა და რუსეთის ხელისუფალს დიდი პატივით მიუღიათ. მალე მისთვის ჯამაგირი დაუნიშნავთ და საცხოვრებლად ვორონეჟის მონასტერი მიუჩენიათ.

იოსებ სამებელი მოსკოვში დიდხანს არ დარჩენილა. 1733 წელს სინოდს პეტერბურგში გაუწვევია და თავდაპირველად ჯერ ნევსკის ლავრაში პეტროვ შავერინის საფლავის მლოცველ-მწირველად დაუნიშნიათ, ხოლო შემდეგ, 1734 წლის 22

<sup>1</sup> საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A1 № 1344.

<sup>2</sup> თურნალი „ივერია“, 1884 წ., № 32.

<sup>3</sup> იქვე.

მისს, იმპერატრიცა ანა იოვანეს ასულის ბრძანებით, ნოვგო-როდის მიტროპოლიტის თეოფანე პროკოპოვიჩის თანაშემწედ დაუწინაურებიათ და ამავე დროს იურიევის, ანუ წმინდა გიორგის მონასტრის წინამძღოლობაც უბოძებიათ<sup>1</sup>.

ბედმა იოსებს სამშობლოში დაბრუნება აღარ აღირსა. რუსეთში ყოფნის პერიოდში იგი აქტიურად ებმება წიგნების გადაწერაში. ამასთანავე ქრ. გურამიშვილთან ერთად ქართულ შრიფტს ასხამს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში და იქვე ბეჭდავს „რუსულ-ქართულ ანბანს“.

ექვგზარეშეა, ბაქარს კარგად ეცოდინებოდა სამებლისა და ქ. გურამიშვილის ლიტერატურულ-საქველმოქმედო საქმიანობა. ალბათ ამის გამო იყო, რომ მან სამებელი მოსკოვში მიიწვია და ვსესვიატსკოეში ახალი ქართული კულტურის კერის — სტამბის მოწყობისა და წიგნების ბეჭდვის საქმეს ჩაუყენა სათავეში.

იოსებ სამებელმა მთელი თავისი ძალ-ღონე და სარჩო-საბაღებელი ამ სტამბას შეაღია. ამიტომაცაა, რომ მისი ღვაწლის უკვდავსაყოფად აქ დაბეჭდილი ყოველი წიგნის საგამომცემლო მონაცემებში ხაზგასმითაა აღნიშნული მისი დამსახურება სტამბის წინაშე. 1737 წელს ვსესვიატსკოეში გამოცემულ „დავითნის“ წინასიტყვაობაში ი. სამებელი წერს: „სადიდებლად ღმრთისა და ერთარსისა სამებისა, ჟამსა დიდად ამაღლებულს სრულიად რუსეთისა თვით მპყრობელისა და კეთილ მორწმუნის იმპერატრიცა ანა იოვანესსა, ბრძანებითა საქართულოს მეფის ბაქარისათა მე, არქიეპისკოპოზმან და კახეთის მწიგნობართ უხუცესის ქვაბულის ძის თამაზის ძემან იოსებ ვილვაწი და მოვიყიდე საფასითა ჩემითა სტანბა ესე“.

ვსესვიატსკოეს სტამბამ 1744 წლამდე იარსება. 1750 წელს 74 წელს მიღწეული იოსები ყიზლარში მიემგზავრება თავისი ძველი თანამოღვაწეების — არქიმანდრიტ პახომისა და ქრ. გურამიშვილის მოსანახულებლად, მაგრამ უკვე ჯანგატეხილმა მოხუცმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. იმავე წლის სექტემბერსა თუ ოქტომბერში გზაში გარდაიცვალა.

<sup>1</sup> ეურნალი „ივერია“, 1884 წ. № 32.

ქრისტეფორე უფროსი ძმა იყო ჩვენი გამოჩენილი პოეტის დავით გურამიშვილისა. მას ისეთივე დიდი დამსახურება მიუძღვის ვსესვიატსკოეს სტამბის წინაშე, როგორც შ. იშტვანოვიჩს ვახტანგ VI სტამბის მოწყობა-გამართვის საქმეში. აღარულდა მოსკოველ ქართველ ემიგრანტთა ოცნება — ქრისტეფორეს აქტიური მონაწილეობით მოეწყო ვსესვიატსკოეში სტამბა და „გამჟღირდა ღვთისმშობლის წილხედობილო ქვეყანა საქრისტიანო წიგნებითა“. 1738 წელს დაბეჭდილა „ხატიკის“ ბოლოსიტყვაობაში ქრ. გურამიშვილი წერს: „ოდეს იპყრობდა და განაგებდა კეთილად განმგებელი, კეთილმორწმუნე და თვითმპყრობელი დიდი ხელმწიფე იმპერატორცა ანა იოვანესი, მას უამც იგულისმოდგინა ყოვლად სანატრელჲან არქიეპისკოპოზჲან სრულიად ელადუკისაჲან და არქიმანდრიტჲან იურიევისაჲან, კახთ მდივან მწიგნობართ უხუცესისა ქობულის თამაზის ძემან, სამებელჲან იოსებ. და მიბრძანა მე, ყოვლად უღირსსა ბერს, გურამის შვილს ხუცეს მონაზონს ქრისტეფორეს, სტამბის გაკეთება. და გაუკეთებინე სტამბა დიდითა გულს მოდგინებითა და წარგებითა საფასითა მისითა“.

სამწუხაროდ, ქ. გურამიშვილის საქართველოში ცხოვრება-მოდღაწეობის პერიოდზე თითქმის არაფერი ვიცით. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს მისი ცხოვრების მეორე პერიოდის — მოსკოვ-პეტერბურგში გატარებული წლების შესახებ.

როდის ან რანაირად მოხვდა ქრისტეფორე რუსეთში?

იგი 1731 წლის მიწურულს გაჰყვა იოსებ სამებელს. მისი ეს გამგზავრება შემდეგნაირად წარმოვედგება: როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგის რუსეთში გადახვეწის შემდეგ, კერძოდ XVIII საუკუნის 30-იან წლებში, ქართლი თურქეთ-ირანისა და მომთაბარე ლეკების გამუდმებულ თაყვანსმების პლაცდარამად გადაიქცა. გურამიშვილების სამკვდრო ადგილ-სამყოფელი საგურამო ლეკების სათარეშოდ იქცა. სწორედ ამ დროს გაიტაცეს მათ ლამისყანიდან ქრისტეფორეს უმცროსი ძმა დავითი.

აღნიშნულ პერიოდში საგურამო-მუხრანის მიდამოებში, იმ სოფლის ეკლესიაში, რომელიც წილკნის ეპისკოპოსის ი. სამებლის სამწყსოში შედიოდა, უნდა ემსახურა მღვდლად ქრ. გურამიშვილს. ლეკთა თარეშის გამო ქართლიდან ლტოლვილ იოსებს, ადვილი შესაძლებელია, ძმის ბედით დაშინებულნი ქრისტიანთაგან გაჰყვანათ რუსეთში. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იოსებ სამებელი ყველგან ქრისტიანთაგან ერთად ფიგურირებს: მოსკოვში, პეტერბურგში, ნოვგოროდსა და ვსესვიატსკოეში.

როგორც ვიცით, მოსკოვში ჩასული ი. სამებელი 1734 წელს სინოდს პეტერბურგში გაუწვევია. ამჯერადაც ქრისტიანთაგან თან გაჰყვლია. აი სწორედ პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ იწყება მისი მესტამბეობა. თ. ყორდანია წერს: „იურიევის მონასტერში იოსებს თან ხლებია მღვდელმონაზონი ექვთიმე, მკვიდრი ძმისშვილი და ვილაც ქრისტიანთაგან გურამიშვილი, ხუცეს-მონაზონი... ეს ქრისტიანთაგან, როგორც ეტყობა, მოჰყვანა სამებელს საქართველოდგან“<sup>1</sup>.

1737 წელს ქრ. გურამიშვილს ი. სამებლის სახელით განცხადება შეუტანია მეცნიერებათა აკადემიაში რუსულ-ქართული ანბანის გამოცემის თაობაზე. ამ თხოვნის განხილვის შესახებ საპეციალურ ოქმში ნათქვამია: „Желает он (იგულისხმება ი. სამებელი. — ო.კ.), чтоб соблаговолила Академия наук напечатать на русском и грузинском языках (უბუკა) пятьсот экземпляров, которое грузинского языка наборное дело он исправлять будет сам.“<sup>2</sup>

ამ ამონაწერადან ჩანს, რომ ქრ. გურამიშვილი სტამბის საქმეებში ჩახედული პიროვნება ყოფილა. კერძოდ, მას ასოთამწყობობა სტოდნია. სად ან როდის შეისწავლა მან ეს ხელობა, ძნელი სათქმელია.

მეცნიერებათა აკადემიას დაუკმაყოფილებია ი. სამებლის თხოვნა. ქრისტიანთაგან დახმარებით ჩამოუსხამთ ქართული შრიფტი და დაუბეჭდავთ ზემოდასახელებული „ანბანი“.

1736 წელს ბაქარისა და ი. სამებლის დავალებით ქრ. გურამიშვილი ვსესვიატსკოეში იწყებს სტამბის მოწოდებას და

<sup>1</sup> ყურნ. „ივერია“, 1884 წ., № 32.

<sup>2</sup> Материалы для истории Академии наук, III, 1866, с. 411.

მოწყობას. შემდეგში კი ამ წიგნების ბეჭდვას საქმესაც ხელმძღვანელობს. 1739 წელს გამოცემულ „სახარების“ წინასიტყვაობაში იოსებ სამეხელი წერს: „დაიბეჭდა წილადი ესე სახარება ჩვენს პირველს სტამბის სახარებაზე, თვინიერ მისის საძიებლისა... შიდაბალი ამათ მბეჭდავთა ზედა მდგომელი უღირსი მღვდელ მონაზონი ქრისტეფორე“. ზედა მდგომალედ იხსენიება ქრისტეფორე სხვა წიგნებშიც. ისე გამოდის, რომ ესესვიატსკოეს ყველა გამოცემა მისი რჩევა-დარიგებითაა დაბეჭდილი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე წიგნების რედაქტირებასა და დედნების ლიტერატურულ დამუშავებაში. კერძოდ გ. ლამბარაშვილთან ერთად მას რუსული ორიგინალებისათვის შეუდარებია გამოტოვებული ადგილები, ხელახლა უთარგმნია და ისე დაუბეჭდია 1738 წელს „ზატოკი“, ზოლო 1739 წელს — „მარტვიანი“<sup>1</sup>.

1744 წელს „ბიბლიის“ გამოცემის თაობაზე ამტყდარი უსიამოვნების გამო ესესვიატსკოეს სტამბა დაიხურა. ამის შემდეგ ქრისტეფორე იძულებული ზღვება საყვარელ საქმეს თავი დაანებოს. იმავე წელს იგი ქართველ სასულიერო პირებთან: არქიმანდრიტ პახომთან, ილუმენ ნიკოლოზთან და იერომონახ ეფრემთან ერთად ჩრდილო კავკასიაში მიემგზავრება ოსებს შორის ქრისტიანობის გასავრცელებლად.

ქრ. გურამიშვილს სიციოცხლის უკანასკნელი წლები ჩრდილო კავკასიაში გაუტარებია და იქვე გარდაცვლილა 1753 წლის 4 მარტს. ამას მოწმობს აბ. როგავას მიერ პეტერბურგის ყოფილ სინოდალურ არქივში მიკვლეული დ. გურამიშვილას განცხადება გარდაცვლილი ქრისტეფორეს სარჩო-საბადებლის მისთვის გადაცემის შესახებ<sup>2</sup>.

ქრ. გურამიშვილი დაკრძალული უნდა იყოს ასტრახანს, უსპენსკის მონასტერში.

<sup>1</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 40.

<sup>2</sup> ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 23.

ვახუშტი ბაგრატიონი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა მთარგმნელობითსა და ლექსიკოლოგიურ მუშაობას, წერდა ლექსებს, გეოგრაფიული და ისტორიული ხასიათის ნაშრომებს. ამავე დროს მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისა და საგამომცემლო საქმის განვითარებაში. სამწუნაროდ, მისი მოღვაწეობის ეს ორი უკანასკნელი მხარე დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვახუშტის დაბადების თარიღად 1696 წელია მიჩნეული. იგი იყო უკანონო შვილი ვახტანგ VI. ბაქარის მსგავსად ვახუშტისაც პირველდაწყებითი განათლება ოქონის ღვთისმშობლის ხატის დეკანოზის იესესა და მასი ძმის გიორგი გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით მიუღია, ხოლო სამხედრო გაწვრთნილობა — მამისაგან.

XVIII საუკუნის პირველ-ორ ათწლეულში ქართლში შექმნილი მძიმე საგარეო და საშინაო ვითარების გამო, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვახუშტი აქტიურად ებმება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი სარდლობდა ქსნის ერისთავის მიერ 1717 წელს მოწყობილი აჯანყების ჩაქრობას. ვახუშტი ედგა სათავეში ქართველთა ამ ლაშქარს, რომელსაც ევალებოდა ვახტანგ VI დისწულის, ალექსანდრე გიორგის ძის იმერეთში გაქვებვისათვის ხელის შეწყობა. 1717 წლიდან 1724 წლამდე მას მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დავალების შესრულება მოუხდა. 1721 წელს იგი სარდლობდა, მაგალითად, საბარათიანო-თრიალეთის, ანუ ქვემო ქართლის სადროშოს. 1722 წელს ვახტანგ VI და ბაქარის განჯაში ყოფნისას იგი ქართლის გამგებლად იყო დატოვებული. სამშობლოს ერთგულ მამულიშვილებთან ერთად ხმალდახმალ იბრძოდა XVIII საუკუნის 20-იან წლებში სტეფანესვაჯურის მომხდურთა წინააღმდეგ.

1716 წელს ვახუშტი ცოლად ირთავს იმერეთში საქვეყნოდ ცნობილი თავადის გიორგი აბაშიძის ასულს მარიამს. ამავე პერიოდიდან იწყებს იგი მეცნიერულ-შემოქმედებით მო-



ღვაწობას, რასაც ხელი შეუწყო იმ ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ძვრებმა, რომლებსაც ჰქონდა ადგილი ქართლში მე-17—18 საუკუნეთა მიჯნაზე ვახტანგ VI ინიციატივით<sup>1</sup>.

ქვეყნის რთული პოლიტიკური ვითარების გამო ვახუშტის მეცნიერულმა მოღვაწეობამ ფრთების გაშლა საქართველოში ვერ მოასწრო. თურქ დამპყრობთაგან ქართლის აოხრება-აწიოკების შედეგად იგი იძულებული გახდა 1724 წელს თავისი ახლად შექმნილი ოჯახით ვახტანგ VI გაჰყოლოდა რუსეთში.

XVII საუკუნის მიწურულისათვის არჩილ II ერთად გადასახლებულ რჩეულ მამულიშვილთა წემწეობით XVIII საუკუნის 20-იანი წლებისათვის მოსკოვში ქართველთა საკმაოდ ძლიერი კოლონია არსებობდა, რომლის წევრებაც სამშობლოს დაშორებით გამოწვეულ დარდსა და ჩაღველს ინტენსიურ მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობით იძულებუებდნენ. მოსკოვში ჩასვლისთანავე ვახუშტი ბაგრატიონიც აქტიურად ჩაება ქართველი ემიგრანტების შემოქმედებით მოღვაწეობაში. 1740 წელს მან რუსულიდან ქართულად თარგმნა ოსნაბრუკის ეპისკოპოსის ვილჰელმ სტრატემანის „საპოლიტიკო თეატრი“, 1752 წელს — „მოკლედ ქვეულების დეორაფია გამოცხადებული და გამოცემული რუსულს ენასა ზედა (აწ ქართულსა ენასა ზედა) არა დიდს ატლასისა შიერიტურთ, განწყობილი გასახმარებისათვის ღმინაზიის იმპერატურულის აკადემიისათვის“, სტეფანე ჩეორსკის — „სასწაული ანტიქრისტეს მოსულისა“ და „კლდე სარწმუნოებისა“, ვარენიუს ბერნჰარდის „საზოგადო გეოგრაფია“, ცნობილ მესტამბე-გომოცემელ გიორგი დამბარაშვილთან ერთად შეადგინა „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ და ა. შ. არსებობს ცნობა თითქოს ვახუშტის გაელექსოს აგრეთვე „ვისრამიანი“<sup>2</sup>.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი შრომა, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონმა თავისი ცნობილი ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ შესაქმნელად გასწია. მასში იშვიათი მეცნიერული სიზუსტითა და ქრონოლოგიური თანა-

<sup>1</sup> ვ. ვ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი ბაგრატიონი, 1969, გვ. 35

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 76.

მიმდევრობითაა გადმოცემული საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ამ წიგნზე მუშაობა ვახუშტიმ ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას დაიწყო, მაგრამ ქვეყნის მძიმე პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული მოუცლევლობის გამო წამოწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო. ეს საქმე მან 1745 წელს დაასრულა მოსკოვში.

ასევე დიდი ძალა და ენერჯია შეაღია ვახუშტიმ საქართველოს რუკების შედგენას. ამ ნამუშევარს მაღალი შეფასება მისცა იმდროისათვის ცნობილმა ფრანგმა გეოდეზისტმა და გეოგრაფმა ჟოზეფ დელილმა, რომელიც XVIII საუკუნის 40-იან წლებში პეტერბურგში იმყოფებოდა. არსებობს მოსახრება, რომ ამ ფრანგი მეცნიერის მიერ 1766 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოცემულ კავკასიის რუკას საფუძვლად სწორედ ვახუშტის საქართველოს რუკები დაედო<sup>1</sup>.

ვახუშტის, როგორც თავისი დროისათვის ყოველმხრივ განათლებულ-განსწავლულ პიროვნებას, ბაქარის შემწეობით, ახლო ურთიერთობა ჰქონია „რუსეთის ისტორიის მამასთან“ გ. ტატიშევთან. ჩვენამდე შემონახული მასალებით დასტურდება, რომ ქართველ ბატონიშვილს აქტიური მონაწილეობა მიუღია 1755 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში, რის გამოც იმპერატორცა ელისაბედის, ჟრაფ შუვალოვისა და მ. ლომონოსოვის სახელებთან ერთად მისი სახელიც არას ამოტვიფრული უნივერსიტეტის ოქროთი მოვარაუებულ მარმარილოს მემორიალურ დაფაზე.

ვახუშტი ბაგრატიონს აქტიური მონაწილეობა მიუღია აგრეთვე მოსკოველი ქართველი ემიგრანტების მიერ ვსესვიატსკოეში ქართული სტამბის დაარსებისა და 1743 წელს მასში „ბიბლიის“ დაბეჭდვა-გამოცემის საქმეში. დიდი და ნაყოფიერი ტექსტოლოგიური მუშაობა ჩაუტარებია მას საეკლესიო წიგნის დედნის მაღალ მეცნიერულ დონეზე მომზადებაში.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ „ბიბლიის“ ტექსტის გამოსაცემად მომზადებაში შეტანილი წვლილის წარმოსაჩენად, უპირველეს ყოვლისა, ძალზე მოკლედ გავარკვიოთ, რას წარ-

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, 1969, გვ. 84.

მოადგენდა თავად „ბიბლიის“ დედანი, რომელიც ჯერ კიდევ არჩილ II გაემართა „ქართულსა ენასა ზედა“ დასაბეჭდად. 1743 წელს ვსესვიატსკოეში გამოცემული „ბიბლიის“ თავფურცელზე მოთავსებულია მესტამბეთა მიმართვა მკითხველისადმი, რომელშიაც მეტ-ნაკლები სისრულით არის გაეყმული პასუხი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. „გლოცავთ და გვევდრებით წმიდისა ამის დაბადებისა გონიერად აღმომკითხველთა, — ვკითხულობთ მიმართვაში, — უკეთუ შეცდომილნი რაიმე იხილნეთ: ანუ ასონი შეცვლილ და მეტ ნაკლებ. ნუ გეწყევთ ამისთვის, ვითარცა ცაი არა ოდეს ვერ იხილნეთ ესრეთ მოწმენდილ, უკეთ უმცა არა ეკრამცა მცირედნი ღრუბელნი, ეგრეთვე სტამბანი ასო უცდომელი, რამეთუ იყუნეს დედანი შებლაღული“.

მაინც რაში გამოიხატებოდა „დედნის შებლაღვა“? ვახუშტი ამავე გამოცემისათვის დართულ ბოლოსიტყვაობაში განმარტავს: „ბიბლიის“ ტექსტში, რომელიც არჩილ II გაემართა: „პირველს დაბადებასა ზედა... უმუხლოდ, რამეთუ არცა მას აქვნდა და ამის მიზეზისათვის არა სრულ ყოფილიყო... მრავალნი შეცვალეზულნი და ნაკლულოვანნი მთელნი მუხლნა, ლექსსნი სიტყვანი და მრავალნი ასონი, და არა ერთ ორ, არამედ მეტ ნაკლებ მრავალნი იყვნენ“. ყოველივე ამის გამო ვახუშტის არჩილისეული ტექსტი იმპერატორ პეტრე ალექსის ძის ბრძანებით ახლად გამოცემული რუსული „ბიბლიის“ მიხედვით მუხლებად დაუყვია და „მოსკოვის სახაზინო სტამბის ცნობილი რედაქტორ-გამმართველის“ ანდრია ივანოვის დახმარებით ტექსტიც მისთვისვე გამოწველილვით შეუდარებია. „შესაქმე, გამოსვლა, ლევიტელთა, რიცხუთა, მეორე რჯული, ისონავე, მსაჯული, რუთი, ოთხი შეფე, ორი ნეშტი, სამი ეზრდა, ნემი, ტობია, ივდით, ესთერ, იობ, იგავი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე იესო ზირაქ და სამი მაკაბელი“ გამოტოვებული აღვილებით შეუვსია.

ასევე „გაუმართავს“ 1709—1723 წლებში თბილისის სტამბაში ვახტანგ VI შიერ გამოცემული „დავითნი“, „წიგნი წინასწარმეტყველთანი“ და ახალი აღთქმანი. „სიტყვანი რომელნი ქართულსა ენასა ზედა უმჯობე იყო“ უცვლელად დაუტოვებია, ხოლო „რომელნიცა აკლდნეს“, კერძოდ, „ნადირთა,

მხეცთა, თევზთა, ზეთა სახელნი“, რაკილა ვერ შეუტყენია, არ-  
ჩილისეული რედაქციის მიხედვით დაუტოვებია.

„ბიბლიის“ ტექსტზე მუშაობისას ვახუშტის „დიდნი შრო-  
მანი დაედუნნეს და დიდნი ჭირნი „მოეთმინეს“. მისი გარჯითა  
და რუდუნებით მომზადებული „ბიბლიის“ ტექსტი დაიბეჭდა  
სწორედ 1743 წელს ქრ. გურამიშვილისა და მ. კავკასიძის შე-  
წევნით ვსესეიატსკოეში.

სამშობლოს მონატრებულმა, ერისათვის თავდადებულმა სა-  
ხელოვანმა მამულიშვილმა მოსკოეში ცხოვრების პერიოდი  
დიდ ეკონომიურ სიციწროვესა და ხელმოკლეობაში გაატა-  
რა. რუსეთის საიმპერატორო კარისადმი წარდგენილ თავის  
ერთ-ერთ თხოვნაში იგი „უჩივის სახსრების სიმცირეს, გაჭირ-  
ვების ზრდას, თხოულობს ყოველწლიური ჯამაგირის მომატე-  
ბას ანდა სოფლების ბოძებას ყმა-გლეხებითურთ“<sup>1</sup>. მაგრამ საწა-  
დელს ვერ მიაღწია.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ვახუშტის ოჯახმა ეკონო-  
მიურ გაჭირვებასთან ერთად დიდი უბედურებაც განიცადა.  
1735 წელს გარდაიცვალა მისი ვაჟი დომენტი, ხოლო ორი  
წლის შემდეგ — 1737 წელს მამამისმა ვახტანგ VI დატოვა ეს  
საწუთისოფლო. უსიხარულო ცხოვრებამ, დარდმა და ნაღველ-  
მა თანდათან შეარყია ვახუშტის ჯანმრთელობა. 1757 წლის  
5 მაისს მისი მეუღლე მარიამი ხელმწიფის კაბინეტის მინისტრს  
ივანე ანტონის ძე ჩერკასკის სახელზე შეტანილ განცხა-  
დებაში აღნიშნავდა: „უეცარი დარდი დაგვატყდა თავს, რის  
გამო შვილებთან ერთად დიდ მღელვარებაში ვიმყოფებით.  
ქმარი ჩემი, ბატონიშვილი, ავად გახდა მოულოდნელი სენიზ,  
რაც გრძელდება დიდმარხვის პირველი კვირიდან დღემდე და  
მდებარედ წევს იგი უნმოღ“.

ამის შემდეგ ვახუშტის დიდბანს აღარ უტოცხლია. იგი  
სისხლის ჩაქცევის შედეგად გარდაცვლილა და დონის მონას-  
ტერში დაუსაფლავებიათ.

<sup>1</sup> ვ. გა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი ბაგრატიონი, 1969, გვ. 168.

გიორგი ლამბარაშვილი ვსესვიატსკოეს სტამბის ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწეა. იგი არჩილ II გაპყოლია რუსეთში და იქ დასახლებულა სამუდამოდ. სამშობლოსა და თვისტომთ მოცილებული გიორგი უცხოობაში ყოფნისას გვერდიდან არ ჰოსცილებია არჩილს.

1702 წელს მეფეს თავისი ერთგული მღვდელ-მონაზონი კსესვიატსკოეში დაუსახლებია და კარის ეკლესიის წინამძღვრობა ჩაუბარებია.

გიორგის ვსესვიატსკოე არც არჩილის გარდაცვალების შემდეგ მიუტოვებია. ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, იგი მზრუნველობას არ აკლებდა მარტოდმარტო დარჩენილ არჩილის ასულს დარეჯანს და ნუგეშისცემით დარდას და ნაღველს უქარვებდა ოჯახამოწყვეტილ ქალს.

1737 წელს ვსესვიატსკოეში სტამბის დაარსების შემდეგ გ. ლამბარაშვილი აქტიურად ჩაბმულა წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეში. ოცდაათ წელიწადზე მეტი იყო, რაც იგი შოსკოვში ცხოვრობდა და ცხადია, ამ ხნის განმავლობაში კარგადაც შეისწავლიდა რუსულ ენას. ამიტომაც იყო, რომ სტამბის მესვეურებს გიორგი მთარგმნელად მიუწვევიათ.

პირველი წიგნი, რომლის გამოცემაშიაც გ. ლამბარაშვილმა მონაწილეობა მიიღო, ეს არის 1738 წელს დაბეჭდილი „ზატიკი“. იგი აღდგომის დღესასწაულისათვის განკუთვნილი საგალობელი ჰიმნების კრებულია, რომელსაც დართული აქვს საეკლესიო განწესი, ანუ ტიპიკონი. IX—X საუკუნეებში ჩვენში გავრცელებული იყო თეოდორე სტოდელის რედაქციით ცნობილი „ზატიკი“. XV—XVI საუკუნეებში კი უკვე შემოსულა ამ წიგნის იერუსალიმური რედაქცია. 1738 წელს გამოცემულ „ზატიკს“ ეს უკანასკნელი რედაქცია უღვევს საფუძვლად.

ვსესვიატსკოეში დაბეჭდილ „ზატიკის“ ბოლოსიტყვაობაში ქრ. გურამიშვილი წერს: „მე მცირედი რაიმე ქართული ზატიკები ვიცოდი და რუსისა ზატიკსა და ტიპიკონს ვამოწმე. იქილამ შეეკრიბე და ისე აღვწერეთ და რომელიც ჩვენი დაკლებული იყო, ის რუსულს ზატიკილამ გადმოვთარგმნინე ბატონის შვილის დარეჯანის კარის მღვდელს გიორგის“.

აქედან ვგებულობთ, რომ ქრ. გურამიშვილს ხელთ ჰქონია „ზატიკის“ ნაკლები ქართული ნუსხა. ამიტომ ის ადგილები, რომლებიც გამოტოვებული ყოფილა, გ. ღამბარაშვილს უთარგმნია.

ყურადსაღები შრომა გაუწევია გიორგის აგრეთვე 1741 წელს დაბეჭდილი „მარხვანის“ ტექსტის გამოსაცემად მომზადებაში. ეს არის ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ცნობილი ლიტურგიკული წიგნი. მასში შეტანილია „ზატიკში“ თავმოყრილი აღდგომის საგალობლების შემდგომ დიდმარხვისას შესასრულებელი ჰიმნები. ასე რომ, „მარხვანი“ „ზატიკის“ გაგრძელებაა. ამიტომაც იყო, რომ ქართული მწერლობის პირველ პერიოდში ეს ორი კრებული ერთ წიგნად ითვლებოდა და მას „ზუედრნი“ ეწოდებოდა.

1741 წელს დაბეჭდილი „მარხვანი“ რუსულ გამოცემასთან არის შედარებულ-გასწორებული. გ. ღამბარაშვილს ქრ. გურამიშვილთან ერთად ჯერ ერთმანეთისათვის შეუქერებია „მარხვანის“ ოთხი ქართული ხელნაწერი და ამრიგად დახვეწილი დედანი, შემდეგ რუსულისათვის შეუდარებიათ, გამოკლებული ადგილები კი საკუთარი თარგმანებით შეუვსიათ. ქრ. გურამიშვილი ამ წიგნისათვის დართულ ბოლოსიტყვაობაში განმარტავს: „მე, უღირსმან ზემო ხსენებულმან ქრისტეფორემ და კახეთის მეფის არჩილის ასულის დარეჯანის კარის დეკანოზმან გიორგი ღამბარაშვილმან... მოვიღეთ რუსული მარხვანი და ოთხი ჩვენის ენისა. და როგორც რუსული ტიპიკონი და რიგი უჩენდა, ისე იმ რუსულს მარხვანზე ვასწორებთ“.

ვსესვიატსკოეში გამოცემული ბევრი წიგნი რუსულ წყაროებთან შედარების შედეგადაა დაბეჭდილი. ასე ითქმის, მაგალითად, „სანარების“, „ჟამნისა“ და სხვათა შესახებ. ცხადია, ამ შედარება-შეჭერებაში გ. ღამბარაშვილიც მიიღებდა აქტიურ მონაწილეობას.

საგამომცემლო საქმიანობასთან ერთად გ. ღამბარაშვილი ნაყოფიერ ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა. მას უთარგმნია რუსულიდან ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, მწერლის, ბუბლიცისტისა და პედაგოგის. თეოფანე პროკოფიევიჩის „პირველი სასწავლო ყრმათა“, რომელიც 1739 წელს დაიბეჭდა ვსესვიატსკოეში. ამ წიგნის ბოლოსიტყვაობა

ბაში ვკითხულობთ: „პირველი ესე სასწავლო ყრმათათვის, რუსულისაგან ქართულად გადმოთარგმნა ბატონი შვილის დარეჯანას მოლარეთხუცის ჩხეიძის გაბრიელისაგან და ქართულის ენაზე გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან.“.

თ. პროკოფიევიჩის „პირველი სასწავლო ყრმათა“ ქართულად გამოცემული პირველი რუსული ორიგინალური წიგნია. თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი არის რუსული ენის სასწავლო-სახელმძღვანელო, მაშინ ცხადი გახდება, რომ გ. ლამბარაშვილს ამ თხზულების თარგმანისათვის შემთხვევით არ მოუკიდია ხელი. მას მიზნად ჰქონდა დასახული წიგნში მოცემული ანბანისა და სპეციალური სავარჯიშოების საშუალებით დახმარებოდა თანამემამულეთ რუსული ენის შესწავლაში.

გ. ლამბარაშვილი დასაფლავებულია მოსკოვში, არჩილ მეორესა და სხვა ქართველ მოღვაწეთა გვერდით.

#### მელქისედეკ კავკასიძე

მელქისიდექ კავკასიძეს ვესესვიატსკოეს სტამბაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ჰქერია. იგი „საბექდავთა ზედამდგომელი“ ყოფილა, კერძოდ სასტამბო დაზგისა და იარაღების მოკლა-პატრონობა ჰქონია დავალებული. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მელქისედექი აღნიშნულ სტამბაში თავისი თანამდებობით ქრ. გურამიშვილის შემდეგ მეორე კაცად ითვლებოდა.

როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, მელქისედექის მამას აბელი რქმევია, რაც ვახტანგ VI ლექსების ხელნაწერზე შემდეგი მინაწერით დასტურდება: „ბრძნებით მეფეთ მეფისა პატრონის ვახტანგისათა ესე მისგან ნაბრძან-ნამუშევარი ბრძნით სალალობელი აღვწერე მე მონამან მისმან უნდო გლახაკმან და ყოველთა მწერალთა უნარჩევესმან მღივანმა კავკასიძე მელქისედექ აბელის შვილმა“<sup>1</sup>.

აბელის არცთუ ისე შორეული წინაპრები მესხები ყოფილან. დამოწმებულ ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს ერთ-სტროფიანი ლექსი, რომლის უკანასკნელი სტრიქონი ასე იკ-

<sup>1</sup> საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S. № 4500.

თხება: „ვსწერ მესხი ვინმე მდივანი ხელითა კავკასიძისათა“<sup>1</sup>.  
ეტყობა მელქისედექის წინაპარს სამცხე-საათაბაგოში უცხოვ-  
რია, შემდეგ იქიდან აყრილა და ქართლში გადმოსახლებულა.

მელქისედექი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებულ  
პიროვნებად გვესახება. ასე რომ არ ყოფილიყო, ვანტანგ VI  
მას მდივან-მწიგნობრის უსოდენ მაღალ სახელოს არ უბოძებდა.  
იგი ყოფილა არამარტო მეფე-პოეტის ნაწარმოებთა გადამწე-  
რი. სამეფო კარის თითქმის ყველა სიგელ-გუჯარისა და სხვა  
საბუთების შემდგენიც.

1724 წელს მელქისედექი რუსეთში გაპყლია ვანტანგ VI.  
მას იქაც ერთგულად უმსახურია ქართლის მეფისა და მისი  
სახლობის წინაშე. განსაკუთრებით თავდადება გამოუჩენია  
გზაში გამოვლილ გაჭირვების ჟამს, რისთვისაც 1731 წელს  
ბაქარს მელქისედექისათვის თრიალეთში თეზის მოურავობა  
მიუცია<sup>2</sup>.

მოსკოვში ცხოვრების პერიოდში მელქისედექი როგორც  
კარგი ქართულის მცოდნე ი. სამებლის სტამბაში მიუწვევიათ  
სამუშაოდ. მას გარკვეული წვლილი შეუტანია „ბიბლიის“ გა-  
მოცემაში. ამ წიგნის თავფურცელში ბაქარი ამბობს: „გაიძარ-  
თა წმიდა ესე დაბადება... დაბასა სესვენწკასა. ზედა მხედვე-  
ლობითა და მეურნეობითა კარისა ჩვენისა მდივნისა მდივან  
მწიგნობრის კავკასიძის მელქისედექისათა“.

ი. სამებლის სტამბის დახურვის შემდეგ მელქისედექი მოს-  
კოვში დიდხანს აღარ დარჩენილა. ჩანს, უახლოესი ადამიანე-  
ბის: ვანტანგ VI, ბაქარის, ქრ. გურამიშვილის, ი. სამებლისა  
და სხვათა გარდაცვალებას მასზე ძლიერ უმოქმედია, მოსკო-  
ვი მიუტოვებია და პეტერბურგში გადასულა საცხოვრებლად.  
ხანდაზმულობის მიუხედავად, მას არც აქ შეუწყვეტია ლიტე-  
რატურული მოღვაწეობა. პეტერბურგში გადაუწერია ვანტან-  
გის ლექსების კრებული და საბას ლექსიკონი. ამ უკანასკნელს  
დართული აქვს 1756 წლით დათარიღებული შემდეგი ანდერ-  
ძი: „სრულ იქმნა სიტყვის კონა ესე წიგნი, რომელ არს ლექ-  
სიკონი პეტერბუხს ხელითა უნდოს მდივნის... მელქისედექ

<sup>1</sup> საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S,  
№ 4500.

<sup>2</sup> თ. უოლანია, ქრონიკები, III, 1967, გვ. 128.



კავკასიისათა სევედისა საქარებლათ თვით საბას უკანასკნელის დანარჩომს ლექსიკონზე დიდის სიფრთხალითა გადაწერილი, და ამის გამო შენდობის წყალობას ემოქმენებ თქვენ მიერ უფალნო ჩემნო<sup>1</sup>.

მელქისედეკი 1757—1770 წლებს შორის უნდა გარდაცვლილიყო.

#### ათანასე ამილახვარი

XVIII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, დიპლომატი და გამომცემელი ათანასე ამილახვარი იყო შვილი ვახტანგ VI სახელოვანი სარდლის ავთანდილისა. დაიბადა იგი 1711 წელს. ბავშვობა თავის ძმებთან ვახტანგთან, გვიისთან და ამირინდოსთან ერთად თბილისში, მამისეულ ოჯახში გაატარა.

1724 წელს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ათანასე ვახტანგ VI გაპყოლია რუსეთში, საიდანაც 1732 წელს ისევ საშობლოში დაბრუნებულა და რუსის ეპისკოპოსობა, ანუ პროველობა მიუღია, ხოლო 1740 წლის 8 მაისს დომენტი კათალიკოსს იგი თბილისის მიტროპოლიტად უქურთხებია.

რთულ საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარების აღსაყვს პერიოდში მოუხდა საქართველოში ცხოვრება ათანასეს. ვახტანგ VI რუსეთს გახიზვნის შემდეგ, ანუ 1724 წლიდან, ქართლში დამკვიდრებული „ოსმალობა“ 1735 წლიდან ყიზილბაშთა ბატონობით შეიცვალა. ირანის შაჰმა ნადირმა თეიმურაზ II ერევანს გაიტყუა, დააპატიმრა და ოქტომბერს თბილისი აიღო. ამის შემდეგ ხელში ჩაიგდო გორის ციხე, ააოხრა არაგვისა და ქსნის საერისთავოები, გადასწვა ზემო ქართლი ცახანიდან მუხრანამდის, წაასნა ტყვეები, წაიღო უთვალავი ნადავლი და თან წაიყვანა ტყვექმნილი თეიმურაზ II.

ქვეყნის დაპყრობისთანავე ნადირ შაჰმა ქართლის მმართველობა თეიმურაზ II ნაცვლად მისი ძმის დავითის, იგივე იმამ ყული-ხანის შვილს, ალექსანდრეს ჩააბარა, სინამდვილე-

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. II, № 1736.

ში კი მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ირანელი სარდალი სეფი-ხანი განაგებდა. მან აურაცხელი გადასახადი შეაწერა ისედაც გაღატაკებულ ქართლ-კახეთის მოსახლეობას. პ. ორბელიანი გადმოგვცემს: „რაც ძველად ნასოფლარი სადმე იყო ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხარკი დასდევს. ეგრეთვე ამ სახით შენობა სადმე იყო, დიდი ხარკი დასდევს — ვითაც ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ამ ქვეყანას განუწესეს თვალეს ვაზები, ეგრე ვაზის სათვალავს, რასაც მიხვდნენ, ვაზს ერთი ბასტი დაადვეს, კაცს ორი მილანთული, ყმაწვილსა ასაკოვანს ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს ყმაწვილზე. პირუტყვზე ყოველსზედა განაწესეს, ბოსტნისა, წისქვილისა, ყოველის ფერს შენობას ანუ ოხერს აღგილს ასეთი ხარკი დაადვეს, რომ ყოველის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო“<sup>1</sup>.

თეიმურაზ II ჯეროვნად შეაფასა შექმნილი ვითარებრიდან გამომდინარე მოსალოდნელი საშიშროება, ქედი მოიხარა, ნადირ-შაჰს ეაქლა და ქვეყნის შენდობა-შეწყნარება სთხოვა. საქმის გამწვავება არც ირანს აწყობდა და ამიტომ კახეთი შეწერილი ხარკისაგან გაათავისუფლა<sup>2</sup>.

ამის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა თითქოს ერთგვარად გამოსწორდა. ირანის შაჰმა თეიმურაზს ქართლის მეფობა უბოძა, ხოლო ერეკლე II — კახეთისა, რის გამოც ქართლ-კახეთი ფაქტიურად გაერთიანდა.

თეიმურაზისა და ერეკლეს სრულუფლებიან მეფეებად აღიარების მიუხედავად, ქართლ-კახეთი მაინც ირანის სავასალოებს წარმოადგენდა და ვალდებული იყო ყოველწლიურად შაჰისათვის ხარკი ეხადა. 1747 წელს ნადირ-შაჰმა ბოროტად გამოიყენა თავისი უფლებები და 200.000 თუმანი შეაწერა ორივე სამეფოს გადასახდელად, რაც ერთობ აღემატებოდა მათ ფაქტიურ შემოსავალს<sup>3</sup>. ამის გამო ქართლ-კახეთი განუღ-

1 პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 34—45.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 4, 1973, გვ. 453.

3 შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 197. 1963, გვ. 115.

გა ნადირს და აჯანყდა ირანის წინააღმდეგ, აღუდგა აგრეთვე „მთლივ ადრებეიყანის ქვეყანა“ და სხვა სავასალოები. აჯანყებულებმა მოკლეს ნადირი, რამაც ააცილა ქართლ-კახეთს მოსალოდნელი ომი<sup>1</sup>.

ნადირ-შაჰის მოკვლის შემდეგ ირანში მძაფრი არეულობა შეიქმნა ტახტის მოშურნეთა დინასტიური შუღლის გამო. ამით ისარგებლეს კახმა ბაგრატიონებმა და გაწმინდეს აღმოსავლეთ საქართველო ყიზილბაშთაგან. 1752 წლის 11 მაისს მათ ათანასე ამილახვარი სვ. მაყაშვილთან, სიონის დეკანოზ ნიკოლოზ მიქაძესთან და ვინმე მღვდელ სვიმონთან ერთად მოსკოვში მიაგვლინეს დიპლომატიური მისიით იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულისათვის ჯარის ანდა ფულადი დახმარების სათხოვნელად, რათა გამოეხსნათ ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ ირანის ქვეშევრდომობისაგან.

ათანასე ამილახვრისა და მისი თანმზღლები პირების ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთს ჩასული ამილახვარი კახ-ბაგრატიონებთან ოპოზიციაში მყოფ ქართველ ემიგრანტებს მიეკედლა და ავადმყოფობის მომიზეზებით სამშობლოში აღარ დაბრუნდა. იგი მოსკოვში ჯვართამაღლების მონასტერში დარჩა სამუშაოდ და იქვე დააარსა ქართული სტამბა.

ჯვართამაღლების მონასტრის სტამბამ XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე იარსება. მასში სულ ათი დასახელების წიგნი დაიბეჭდა, რომლებიც სხვა ძველი ქართული სტამბების გამოცემებისაგან მაღალმხატვრული გაფორმებით გამოირჩევიან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1765 წელს დაბეჭდილი „სამოციქულო“. მისი დედანი ნასწორები ჩანს 1709 წელს ვახტანგ VI სტამბაში გამოცემული ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით. სხვაობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ რუსულ ტექსტთან შედარებისას მასში ცალკეული სტილისტურ-ფრაზეოლოგიური სწორებები შეუტანიათ.

წიგნში თავსართებად გამოყენებულია ბრტყელფოთლებიანი მცენარეული ბუჩქი, რომლის შუაგულში მუქი შავი საღებავებით გამოსახულია მოზრდილი ჯვარი, თვით ხშირფოთლ-

<sup>1</sup> შ. შ. მ. ხ. ი. ა. დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 197, 1963, გვ. 115.

ბიან ბუჩქში კი ჩასმულია ოვალური მედალიონი, ზედ გამო-სახული იესოთი მთელი ტანით, მარცხენა ხელში თავისივე სი-მალლის ჯვრით, მარჯვენა კი იქვე მდგომი მოციქულისათვის აქვს ჩაჭიდებული. აქვეა „ვედრების“ სახელით ცნობილი თავ-სართი — ხშირფოთლებიანი, ყვავილებიან ბუჩქში მოთავსე-ბული, წმინდა ნინოს, ღვთისმშობლისა და ანდრია პირველწო-დებულის ხატები.

1765 წლის „სამოციქულოში“ შეინიშნება მხატვრული გა-ფორმების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ისევე რო-გორც თავფურცელი, წიგნის ყოველი გვერდი ჩასმულია ორ-ფოთლა ყვავილოვან ჩარჩოში, რომლის გარეთაც გატანილია მუხლების აღმნიშვნელი ნუსხური ასოები. აქვეა გამოტანილი მოგრძო საყურის, ძვირფასი ბეჭდის ფელისა და სხვა ფორმის ორნამენტული სამკაულები, რომლებიც წითელი საღებავები-თაა დაბეჭდილი. საერთოდ წითელი ფერი ამ სტამბის წიგნებ-ში ხშირადაა გამოყენებული. წითლითაა ნაბეჭდი სათაურები, დეკორატიული თავი ასოები, სიტყვები, სტრიქონები და ა. შ. ყოველივე ეს წიგნებს საზეიმო ელფერს აძლევს. თამამად შეიძლება ისინი თავიანთი მაღალმხატვრული გაფორმებით მოსკოვსა და პეტერბურგში იმხანად გამოცემულ საუკეთესო რუსულ წიგნებს გავუტოლოთ.

მაღალმხატვრულობით გამოირჩევა აგრეთვე 1762 წელს დაბეჭდილი „დაუჯდომელი“, 1764 წელს გამოცემული „და-ვითნი“, 1767 წელს გამოსული „პარაკლისი“ და სხვა.

მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტრის სტამბის წიგნში ყურადღებას იპყრობს ტიტულზე გამოსახული ათანასე ამი-ლახერის ბიოგრაფიულ მოტივებზე შექმნილი გერბი, რომე-ლიც აღნიშნული სტამბის ემბლემას, ანუ საფირმო ნიშანს წარ-მოადგენს

ათანასე ამილახერის მიერ გამოცემული წიგნები პროფი-ლის მიხედვით მარტოოდენ საეკლესიო ხასიათისაა და არც თემატური მრავალფეროვნებებით გამოირჩევიან. ამ მხრივ ისინი შეიძლება მხოლოდ ორად გაიყოს: ბიბლიურ და ლიტურ-გიკულ წიგნებად. აღნიშნულის მიუხედავად, მოსკოვის ჯვართა-მადლების მონასტრის პერიოდს მაინც მნიშვნელოვანი ადგა-ლი უკავია ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორიაში. მაშინ,

როდესაც 1762—1768 წლებში ერეკლე II სტამბას ანტონ I კათალიკოსის ექსორიობის გამო არსებობა დროებით შეწყვეტილი ჰქონდა, ათანასეს მიერ დაბეჭდილი წიგნები ასაზრდოვებდნენ სულიერად XVIII საუკუნის 60-იანი წლების ქართველობას.

გარდაიცვალა ათანასე მოსკოვში 1774 წელს. დასაფლავებულია დონის მონასტერში.

### დიმიტრი ციციშვილი

დიმიტრი ციციშვილი ათანასე ამილახერის თანამოსაგრაეა. მან ამ უკანასკნელთან ერთად უაღრესად დიდი ღვაწლი დასდო მოსკოვში ჭვართამაღლების მონასტერთან 1760—1761 წლებში ქართული სტამბის დაარსებას. ამ სტამბაში დიმიტრის თაედებირველად ზედამხედველად უმსახურია. 1762 წელს გამოცემული „დაუჯდომელის“ თავფურცელში ვკითხულობთ: „ზედა მხედველობითა თავადის დიმიტრი ციციანოვისათა დაიბეჭდა ყოვლად სახმარი სამადლობელი დაუჯდომელი გინა აკაფისტი ესე ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისა“<sup>1</sup>. შემდგომ დიმიტრის სტამბის ზედამხედველობასთან ერთად რედაქტორ-შემდარებლის მოვალეობაც შეუთავსებია. ამას მოწმობს 1765 წელს გამოცემული „სამოციქულო“, რომლის თავფურცელშიც ნათქვამია: დაიბეჭდა წიგნი ესე „შემოწმებული რუსულისა ეკლესიათა შინახმარებულისა სამოციქულოსა თანაშეწეენითა სხვათა ენათაჲ კნიაზ დიმიტრი ციციანოვისაგან“<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის ჭვართამაღლების მონასტრის სტამბაში სულ ათამდე წიგნი დაიბეჭდა და ვერ ნახავთ ერთსაც კი, რომელშიაც დიმიტრი ციციშვილის მიერ გაწეული შრომა საგანგებოდ არ იყოს მოხსენიებული.

დიმიტრი ცნობილი ქართლელი თავადების, ციციშვილების საგვარეულოს ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მამამისი პაპუნა, ანუ პაეღე ზაალის ძე ციციშვილი 1724 წელს რუსეთში გაჰყვლია ვახტანგ VI. ნ. მახათაძე წერს: „როგორც

<sup>1</sup> ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 56.

<sup>2</sup> იქვე.

ვახტანგის ამაღლის ნუსხიდან ჩანს, რუსეთში წასულ პაპუნა ციციშვილს თან წაუყვანია თავისი ერთი ვაჟი, რომელიც ამ დროს ორი წლის უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>.

ეს ცნობა ერთგვარ დაზუსტებას საჭიროებს. ჯერ ერთი, პაპუნა ზაალის ძე ციციშვილი მოხსენიებულია არა ვახტანგ VI ამაღლის ნუსხაში, არამედ ბაქარისა. მასში ვკითხულობთ: „ციცის შვილი პაპუნა ზაალისშვილი. ამისი შვილი ზურაბ. ამ პაპუნას მეუღლე თამარ. ახლავს მხლებელი“<sup>2</sup>. მეორეც, ამ ნუსხიდანვე ვგებულობთ, რომ პაპუნას ვაჟს სახელად რქმევია ზურაბი და არა დიმიტრი, როგორც ამას ნ. მახათაძე ირწმუნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბაქარის ნუსხაში მოხსენიებული ზურაბ პაპუნას ძე დიმიტრი ციციშვილის უფროსი ძმაა, რომელიც შესაძლებელია მისი მიმისეული ოჯახის რუსეთში ჩასვლისთანავე გარდაცვლილა. ამაზე მიგვანიშნებს ის, რომ მოსკოვ-პეტერბურგის საბუთებში პაპუნას შვილად მხოლოდ დიმიტრი იხსენიება. დასაშვებია აგრეთვე ისიც, რომ ბაქარის ნუსხაში ფიქსირებული ზურაბი იგივე ათანასე ამილახვრის თანამოსაგრეა, რომლისთვისაც პაპუნას ოჯახის რუსეთში გადასახლების შემდეგ ძველი სახელი დიმიტრით გადაურქმევიათ.

პაპუნა ზაალის ძე ციციშვილს რუსეთში ცხოვრებისას ქართულ ჰუსართა პოლკში უმსახურია და 1742 წელს შვეციის ომში დაღუპულა. რა ბედი ეწია დიმიტრის დედას თამარს, როგორ გადაიტანა სამშობლოში დატოვებულ ახლობლებთან დაშორება, პაპუნას სიკვდილი და სხვა, ცნობილი არ არის.

დიმიტრის საფლავის ქვის წარწერიდან ჩანს, რომ იგი 1723 წელს დაბადებულა. რამდენად სანდოა ეს თარიღი, ძნელი სათქმელია. თუ ბაქარის ნუსხაში მოხსენიებული ზურაბ პაპუნას ძე იგივე დიმიტრია, მაშინ შეიძლება იგი ერთგვარად სარწმუნოდ ჩაითვალოს, მაგრამ თუ მას დიმიტრის უფროს ძმად მივიჩნევთ, ცხადია, აღნიშნული თარიღი სწორი არ უნდა იყოს.

დიმიტრი ციციშვილი 1739 წელს პეტერბურგის კადეტთა

<sup>1</sup> ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში მე-18—19 სს.

<sup>2</sup> გ. პარკაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 1960 წ. გვ. 218.

კორპუსში შესულა სასწავლებლად, რომელიც 1742 წელს წარმატებით დაუმთავრებია. თავის დროისათვის იგი ზედმიწევნით განათლებული კაცის სახელით ყოფილა ცნობილი. რუსულის გარდა, მას იმდენად კარგად სცოდნია გერმანულ<sup>1</sup>, ფრანგული და ლათინური, რომ თავისუფლად შესძლებია ამ ენებიდან თარგმნა. აღსანიშნავია, რომ დიმიტრის ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში ბაქარის სამახსოვროდ ფრანგულიდან უთარგმნია ვიტენბერგში დაბეჭდილი არითმეტიკა<sup>2</sup>. დიმიტრის განსწავლულობას მოწმობს ისიც, რომ კ. შალიკაშვილის ცნობით ხერსაკოვს იგი რუსული კანონმდებლობის გამოცემაში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევია<sup>3</sup>.

1752—1753 წლებში დიმიტრი ციციშვილი ოჯახს მოჰყავდებია, ცოლად შეურთავს ელიზავეტა მიხეილის ასული. 1754 წლის 8 სექტემბერს მათ ვაჟიშვილი შესძენიათ, რომლისთვისაც დიმიტრის თავისი მამის სახელი — პაპუნა დაურქმევია.

მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში დიმიტრი ციციშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონია ვახტანგ VI შთამომავალთა ოჯახებთან. 1760 წლიდან მას მოსკოვში, „ნობონირიადის“ ახლოს მდებარე ბაქარის ქვის სახლის ზედამხედველობა ჰქონია დაკისრებული<sup>4</sup>. ამ სახლში დაპყო 1716 წლის 25 თებერვლიდან 8 მარტამდე პეტერბურგს მიმავალმა თეიმურაზ II თავისი ამალით<sup>4</sup>. მოსკოვში დაახლოებია იგი 1755—1760 წლებში ათანასე ამილახვარს. მასთან ერთად ვალად უღია ჯვართამაღლების მონასტერთან ქართული სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვა.

ზემოაღნიშნულ საფლავის ქვისავე წარწერით ირკვევა, რომ დიმიტრი ციციშვილი 1777 წელს გარდაცვლილა.

<sup>1</sup> საქ. სსრ მეც. აკად. კ. კეკელიძის სახ. ზელნაწერთა ინსტიტუტი, H, № 2117.

<sup>2</sup> ნ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, 1967 წ., გვ. 75.

<sup>3</sup> ვ. მ ა ქ ა რ ა ძ ე, მასალები მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ტ. II, 1968 წ., გვ. 88.

<sup>4</sup> ი ქ ე ე.

აბრამის ნამდვილი გვარის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. პ. იოსელიანის ცნობით, იგი გვარად მოუსტვინაშვილი ყოფილა. „აბრამ, გვარით ურიაყოფილი, — წერს მკვლევარი, — მოუსტვინაშვილად წოდებული, მბექდავი წიგნთა... დიდი მლოცველი და მემარხულე, და მღვდელი განკრძალური იღვა მარტყოფს“<sup>1</sup>.

ურიაყოფილი რომ აბრამის ნამდვილი გვარი არ არის, ეს ექვსგარეშეა, მაგრამ არც პ. იოსელიანის ცნობა უნდა იყოს სწორი მისი მოუსტვინაშვილად მიჩნევის შესახებ. ვფიქრობთ, ასეთი გვარი იმ დროს საქართველოში ოფიციალურად საერთოდ არ არსებობდა. შესაძლებელია მოუსტვინაშვილი აბრამის ანდა მისი წინაპრისათვის ზედმეტად შერქმეული გვარი და არა ნამდვილი.

აბრამი ეროვნებით ქართველი ებრაელი უნდა ყოფილიყო. ჩანს, შემდგომში იგი ქრისტიანად მონათლულა, რის შედეგადაც მისთვის ზედმეტ სახელად ურიაყოფილი შეურქმევიათ. ნამდვილი გვარის დასადგენად ყურადღებას იქცევს ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია: „მე, სალუყაზანაშვილი აბრამა... ვახტანგ მეფის დროს... დიაკვანი ვიყავი და სტამბაში ვებარე“<sup>2</sup>. ცხადია, ამ დოკუმენტში მოხსენიებული სალუყაზანაშვილი არის ურიაყოფილად წოდებული ჩვენთვის საინტერესო პირი, რადგანაც სტამბის ჰაქმის მცოდნე სხვა აბრამს, გარდა სალუყაზანაშვილისა, ისტორია არ იცნობს.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ აბრამს ერთხანს მაღალი საეკლესიო თანამდებობები სჭერია. 1749 წელს შ. ტუსიშვილის ძმა საბა ნინოწმინდელს იგი სვიმონ ორბელიშვილის ნაცვლად გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დაუნიშნავს. აქ აბრამი დიდხანს არ დარჩენილა. აკად. გ. ჩუბინაშვილი მას ნათლისმცემლის მონასტრის წინა-

<sup>1</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მე-13-ისა, 1936, გვ. 260.

<sup>2</sup> საქ. სსრ მეც. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ლ, № 85. 72.



მძლვრად 1754 წლამდე თვლის<sup>1</sup>. ჩვენი აზრით, ეს სიძარათლეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგანაც ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით ჭერ კიდეც 1752 წელს აღნიშნული მონასტრის წინამძღვრად ზენონი იხსენიება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აბრამს გარეჯი მიუტოვებია არა 1754 წელს, არამედ არა უგვიანეს 1752 წლისა.

აბრამის შემდეგი ცხოვრების გზა ბურუსითაა მოცული. 60-იან წლებში იგი მოსკოვშია. შესაძლებელია 1761 წელს თეიმურაზ II გაჰყვა რუსეთში როგორც ელჩი და ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მეფის ამალის სხვა წევრების მსგავსად ისიც მოსკოვში დარჩა საცხოვრებლად, აქ იგი ათანასე ამილახვარს შეჰყვებოდა და ჭვართამაღლების მონასტერთან დაარსებულ სტამბაში დაუწყია მუშაობა. მისი ხელით დაბეჭდილი ამ სტამბაში „დავითნი“.

რამდენ ხანს დარჩა აბრამი მოსკოვში, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში 80-იანი წლებისათვის მას ისევ საქართველოში ვხედავთ. სამშობლოში დაბრუნებული აბრამი ერეკლე II კარგად მიუღია. იგი მას თავისი ეკლესიის მღვდლად გაუწესებია.

როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნების ბეჭდვაში გამოცდილი აბრამი მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს ერეკლეს სტამბაში „დაზგის მმართველად“. გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: რითი უნდა აიხსნას, რომ ისეთ მესტამბეს, როგორც აბრამი იყო, თავისი სიცოცხლის ხანგრძლივ მანძილზე სულ ორი წიგნის გამოცემაში მიუღია მონაწილეობა. — 1764 წელს მოსკოვის „დავითნისა“ და 1786 წელს თბილისის „სახარების“ დაბეჭდვაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ცხოვრების უკანასკნელი წლები აბრამს მარტყოფში გაუტარებია<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 179.

<sup>2</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მე-13-სა, 1936, გვ. 347.

ანტონ I იყო ვახტანგ VI ძმის, ერთხანს ქართლის გამგებლის იესესა და ნაზარალი-ხანის სახელით ცნობილი კახეთის მეფის ერეკლე I ასულის ელენეს შვილი. მისი საერისკაცო სახელი თეიმურაზი ყოფილა. დაბადებულია თბილისში 1720 წლის 17 ოქტომბერს. 1727 წელს, იესეს გარდაცვალების შემდეგ, თეიმურაზ II მაჰით ობოლი უფლისწული თელავში წაუყვანია და ბავშვობის წლები მას იქ, სამეფო სასახლეში. ერეკლე II ერთად გაუტარებია.

ახალგაზრდობაში ანტონი არაგვის ზვიადი ერისთავის გივი ამილახვრის ასულზე ყოფილა დანიშნული, მაგრამ 1735 წელს სპარსთაგან თბილისის აოხრებისას ირანის მპყრობელს ნადირ-შაჰს ამილახვრის ასული ტყვედ წაუყვანია ისპაჰანს და ქორწილი ჩაშლილა. ამ ამბით სულიერად ტრაემირებული უფლისწული — მუხრან ბაგრატიონების შთამომავალი და ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე, იძულებული ხდება ამქვეყნიურ ცხოვრებას განუდგეს. მან ჯერ დავით გარეჯის მონასტერს შეაფარა თავი, შემდეგ იმერეთში გადავიდა და იქ 1738 წელს გელათში ანტონის სახელით ბერად აღიკვეცა. შვილის ამგვარი საქციელით გულმოკლული დედა — ერეკლე I ასული ელენე თბილისიდან ანტონს თვალცრემლიანი სწერდა: „რად, შვილო ჩემო, მახვილ ეც გულსა ჩემსა, მწუხარებსა უცხოებით. ახლა დაიკარგა ყოველი იმედი ქვეყნად ჩუენსა მოქცევისა. ძმა შენ არა გყავს და რად დაჰკარგე სამეფო და იმედი მეფობისა, რომელსაცა ვაჟოიხსნის ღმერთი რუსთა ძალითა, რომელნიცა მეცადინებენ შეწეენასა განსადევნელად თურქთა“<sup>1</sup>.

დედის ეს შეგონება გვიანდა იყო.

1739 წელს ანტონი გელათის წინამძღვარია, 1740 წელს უკვე ქუთათელობას დებულობს, ხოლო 1743 წელს კვლავ გარეჯის მონასტერში ბრუნდება, 1744 წლიდან კი საქართველოს კათალიკოსია.

ანტონმა თელავის სამეფო სასახლესა და დავით გარეჯის

<sup>1</sup> მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, მე-18 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977, გვ. 4.

მონასტერში ყოფნისას საკმაოდ კარგი განათლება მიიღო. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მისი სახით ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა გონიერი, თავისი დროისათვის ერთობ ერუდირებული პიროვნება. „ანტონ კათალიკოსმა, უპირველეს ყოვლისა, ენერგიულად მოჰკიდა ხელი ეკლესიის როლის გაზრდისათვის ზრუნვას და ამით ცენტრალური ხელისუფლების პოზიციების დაცვას, სასკოლო საქმის ახალ რელსებზე გადაყვანას და გარკვეულად ამზადებდა ნიადაგს მთელი რიგი კულტურული რეფორმების ჩასატარებლად“<sup>1</sup>. მის მიერ ერეკლე II ერთად განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება იყო 1750 წლიდან თბილისში ვახტანგ მეექვსისეული სტამბის აღდგენა და წიგნების ბეჭდვა, რასაც უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

ვახტანგ VI რუსეთში გამგზავრების შემდეგ, ანუ 1724 წლიდან 1745 წლამდე ირანელთა ბატონობის შედეგად ქართლ-კახეთში მაჰმადიანურმა ადათ-ჩვეულებებმა საგრძობლად გაიდგა ფეხი. გააშირდა ფიცის გატეხა, ფლიდობა-ორგულობა, მრავალცოლიანობა, ფასი დაკარგა სისხლითმა ნათესაურმა კავშირმა, ოჯახურმა სიწმინდემ, სინდის-ნამუსმა, ნათელ-მინრონმა. უწყსრიგობამ თვით მართლმადიდებლურ საქრისტიანო ღვთისმსახურებაშიც შეაღწია: აღრეულიყო ლიტურგიკული საეკლესიო წესები, დავიწყებას მისცემოდა ტიპიკონურ-საალაღო მოთხოვნები, წარყვნილიყო დოგმატურ-კანონიკური ხასიათის წიგნები და სხვა. პ. ორბელიანი გადმოგვცემს: „კარგა ხანს გამოველო, რომ ქართლის ქრისტიანე მეფე აღარ სჯლომოდა, აგარიანი პყრობდნენ მრავალყამს. ამ მიზნით მრავალრიგად მართლმადიდებლობის რიგი შეცვლილიყო, რომელი ნათესაობისა აღრევითა, რომელიმე მრუშებისა მიზნებით წმიდასა სახარებაზე წინააღმდეგ ექნებოდეს, რომელიმე სამღვდელოთა დასთა თავისი ქცევა და ეკლესიის რიგი შეეშალათ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, მე-18 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977, გვ. 5.

<sup>2</sup> პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამავე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 418.

1745 წელს ქართლის მეფედ თეიმურაზ II და კახეთში — ერეკლეს კურთხევის, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს უცხოელთა პოლიტიკური ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ საჭირო გახდა ყიზილბაშთა ნაკვლევის ამოძირკვა, „მართლმადიდებლური და საეკლესიო რიგის“ აღდგენა, ღვთისმსახურებაში მკაცრი წესრიგის დამყარება. ამ მიზნით 1749 წელს თბილისში მოწვეულ საეკლესიო კრებას მიუღია დადგენილება ყიზილბაშთაგან წარყვნილ-წაწყმედილ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებათა გასაწმენდად. აქვე გადაწყდა მომხდურთაგან განადგურებული ვახტანგ VI სტამბის აღდგენა, რომლის გარეშეც კრების მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. „მეფემან კეთილ-მორწმუნემან (ერეკლე II) და პატრიარქმა ( ანტონ I) სათნოებისა საფუძველმან, — ვკითხულობთ პ. ორბელიანის „ამბავი ქართლისაში“ — ინებეს სურვილთა და მოიძიეს სჯული ქრისტესნი და სიძრთელით ღვთისმსახურებით წეს-ჩვეულებანი ქართლისანი... ესეცა შესძინეს, გამოიძიეს დიდის ცდით და წამოიღეს სტამბა, რომელი პირველ მეფეს ვახტანგს მიეღო ვლახეთით და მის მეფობას აქეთ ქართლში აღარსად იყო. ანტონ ბატონიშვილმა, პატრიარქმა კეთილმა და სარწმუნოებისა და ქრისტეს სჯულისა განმანათლებელმა იგულისმოდგინა ფრიად, შემწე ექმნა ერეკლე და გამოიღეს სტამბა და აღავსეს წიგნითა ქართლი“<sup>1</sup>.

ისე რომ, 1749—1750 წლებში თბილისში ვახტანგ მეექვსისეული სტამბის აღდგენას საფუძვლად დაედო ყიზილბაშთა წარყვნილ-შებლალული ქრისტიანული მართლმადიდებლური/სარწმუნოების გაწმენდისა და საეკლესიო-საღვთისმსახურო წეს-ჩვეულებების საქადაგებლად განკუთვნილი ლიტურგიკულ-კანონიკური ხასიათის წიგნების ბეჭდვა, რასაც სარწმუნოებრივი იდეალების განმტკიცებასთან ერთად ზალხში ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვივების მნიშვნელობაც კჳონდა.

ახლად აღდგენილი სტამბა ტერიტორიულად ანტონის საკა-

<sup>1</sup> პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 418.

თალიკოსო რეზიდენციაში — ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, „პალატასა საპატრიარქოსა“ ყოფილა მოთავსებული. ანტონს გარს შემოუკრებია მაშინდელი ინტელექტუალური ძალები და კულტურის ამ კერაში ფართო საგამომცემლო მუშაობა გაუჩაღებია. 1749 წელს აქ იბეჭდება „დავითნი“, 1751 წელს — „ქადაგება“, ანუ „ღვთის მეტყველება ანტონი სრულიად საქართველოსა კათალიკოზისა“ და „კონდაკი“. ამის შემდეგ მთელი 12 წლის განმავლობაში მასში არც ერთი წიგნი აღარ გამოცემულა. ეს ანტონ კათალიკოსის საქართველოდან განდევნის შედეგ იყო გამოწვეული.

1763 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ანტონი კვლავ სათავეში უდგება სტამბას და ინტენსიურად ბეჭდავს წიგნებს. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით სულ რვა წიგნი გამოიცა. ესენია: „დავითნი“, „ქადაგებანი“, „კონდაკი“, „ლოცვანი“, „სკურთხევანი“, „ეპისკოპოსთა მიმართ“, „პარაკლიტიკონი“.

დასახელებული წიგნებიდან აღსანიშნავია 1751 წელს დაბეჭდილი თავად ანტონ I ჰომილეტიკური ძეგლი „ქადაგება“ წარმოთქმული ავტორის მიერ აღდგომის დამით „ეკლესიასა შინა თვისისა პალატისასა“. „ქადაგება“ საუფლო-საღვთისმშობლო დღესასწაულებზე წარმოთქმული ჰომილეტიკას მიეკუთვნება. იგი ამ დარგის ძეგლებთან შედარებით მოცულობით საკმაოდ დიდია — ორ ფორმას აღემატება. რაც შეეხება მხატვრულ გაფორმებას, ამ მხრივ იგი ვერ ტოვებს საჭარბიერლო შთაბეჭდილებას. მასში ვერ ვხვდებით ესტამპ-გრაფიურებს, სამკაულებს და ა. შ.

ანტონ კათალიკოსის საგამომცემლო მოღვაწეობის შესაწავლად საინტერესო ცნობას ვხვდებით 1761 წელს გამოქვეყნებულ „კურთხევანისათვის“ დართულ მესტამბეთა ანდერძში. მასში ნათქვამია: „ბრძანებითა მისისა მის კეთილმსახურებია მეფისა ჩვენისა ირაკლისათა... გუებერძანა ბეჭდული კურთხევანისა, დავიწყეთ რა, ვითა დედანსა ეწერა, და ორი და სამი ფურცელი დაიბეჭდა, იხილა უწმინდესობამან სანატრელისა მამათ მთავრისა ჩუენისა ანტონისამან, რომელ გარეგან ღრამატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩვენი და დედანიცა, რომელსა ზედ ვსწერდით; და მოახსენა ძმასა თვისსა და

მეფესა ირაკლის, და ამისათვის ებრძანა მისის მეფობისა უმაღლესობისაგან და მისი უწმინდესობისაგან მათის უწმინდესობის გლახაკს ბერს ილუმენს მხატვრის ძეს მიხაილს. და გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამმატიკისასა, და დაბეჭდილ იქნა, რაოდენ ახალ მესტამბეთაგან შეიძლებოდა“.

ამ ამონაწერში დასახელებული „კურთხევანი“, რომელიც 1764 წლის გამოცემისათვის დედნად გამოუყენებიათ, არის 1713 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილი ამავე სახელწოდების წიგნი, სამთავნელ ეპისკოპოს კეპრიანესა და არქიმანდრიტ სერგიოსის შეწევნით ბერძნულ დედანთან შედარებულ-შეჯერებული. ჩანს, იოანე პეტრიწის სკოლის გრამატიკული ნორმების მიმდევარ ანტონ კათალიკოსს არ მოსწონებია ვახტანგ VI სტამბის მოღვაწითაგან გამართული „კურთხევანი“. ამიტომ ერეკლე II საქმეში ჩარევის შედეგად მანამდე დაბეჭდილი ტექსტი გადაუყრიათ და ანტონის დავალებით ილუმენ მიხეილის მიერ გასწორებული 1713 წელს „კურთხევანი“ ხელახლა აუწყვიათ.

ამ ფაქტს საყურადღებო ლიტერატურულ-მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. იგი მოწმობს, თუ რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას იჩენდნენ ანტონი და საერთოდ მაშინდელი მესტამბე-გამომცემლები ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით ერეკლე II სტამბაში ცალკე პირებიც კი გამოუყვიათ წიგნების „გრამატიკისა კანონსა ზედა გამმართველად“, რომელთა მოვალეობასაც ტექსტების ენობრივ-სტილისტური დამუშავება წარმოადგენდა.

1772 წელს ერეკლე II სტამბაში იბეჭდება „პარაკლიტიკოსი“. იგი ანტონ I შეუდგენია ვლადიმირში. დედნად ძველი ტრადიციის თანახმად ბერძნული ტექსტი შეუარჩევია, ქართული ნუსხები ძირითადად მისთვის შეუდარებია და განსხვავებულ-გამოტოვებული ადგილები ხელახლა უთარგმნინებია. თუ რაიმე ბერძნულში არ აღმოჩენილა, რუსულიდან გადმოუქართულებიათ, ხოლო რაც ამ ორ ენაზე ვერ უნახავთ და ქართულში ყოფილა, იგი უცვლელად დაუტოვებიათ. ისე რომ, საკმაოდ მომქანცველი შრომის შედეგად ანტონ კათალიკოსს ყოველმხრივ გამართული „პარაკლიტიკოსი“ შეუდგენია. ამ საქმეში მისთვის განსაკუთრებით დიდი დახმარება დეკანოზ ანდრიას

გაუწევია. წინასიტყვაობაში იგი წერს: „გარდამოღებასა და განსწორებასა შინა არა მცირედი იყო შრომაი ჩემი და თანამშრომელთა ჩემთა, მით, რომელ სლავენურიცა პარაკლიტონი სხუა გუარ არს და ვითარ იგი ბერძნული; და მე ვმეცადინობედ, რათა არა ბერძნულისაგან სხუა-გუარობაი რაიმესა შინა აქუნდამცა წიგნსა ამას; და ამისათვის პროთოპაპა ვინმე ეპარქიისა ჩემისა, კაცი განსწავლული და მეცნიერი წერილისა ბერძენტასა, ბრძანებით თარგმან-ვჰყავ; და რაიცა არა იპოვებოდა ჩვენთა შინა, სლავენურისაგან გარდამოვიღეთ, და რაიცა არცა სლავენურსა შინა პოვნილ იქმნა, იგი პროთოპაპმან მან ანდრეა თარგმნა; და რაიცა ჩვენსა შინა პარაკლიტონსა ვჰპოვევითოვა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დოგმატიკურ-პოლემიკუვით, ჩვენი დამიდვიეს და ესრეთ განმმართვეს და სრულ მიყოფიეს“.

ანტონ კათალიკოსის უშუალო მონაწილეობით დაბეჭდილ წიგნებს შორის ყურადღებას იქცევს 1768 წელს გამოცემული ბროშურა „ეპისკოპოსთა მიმართ“. იგი თავისი დანიშნულებით კანონიკურ საეკლესიო ლიტერატურას მიეკუთვნება და ერთი მხრივ მეფის — ერეკლე II და მეორე მხრივ კათალიკოსის — ანტონის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტია თემატური შეზღუდვის მიუხედავად, ეს ბროშურა, როგორც ლიტერატურული წყარო აჯალ, საყურადღებო მასალას შეიცავს XVIII საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს ისტორიისა და ანტონ I ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ანტონმა სტამბურად დაბეჭდილი საეკლესიო წიგნების გარდა, მდიდარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ლიტერატურული მემკვიდრეობა და პოეტური ნაწარმოებები დაგვიტოვა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დოგმატიკურ-პოლემიკური ნაშრომი „მზამეტყველება“, ისტორიული ხასიათის „წყობილსიტყვაობა“, ფილოსოფიური თხზულება „სპეკალი“, „ღვთისმეტყველება“, ლიტურგიკული „სადღესასწაულო“ და სხვანი.

1783 წელს ავადმყოფობისაგან ჯანმრთელობაშერყეული ანტონის შვიკრად, სტამბას სათავეში ჩაუდგა ერეკლე II კარის ეკლესიის მღვდელი ქრისტეფორე კეყერაშვილი. უკანასკნელი წიგნი, რომელიც ანტონის ხელმძღვანელობით დაიბეჭდა, არის 1772 წელს გამოცემული „პარაკლიტიკონი“.

გარდაიცვალა იგი 1788 წლის 1 მარტს. დასაფლავებულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეკლესიაში.

### სიონის ღვაწლად ნიკოლოზი

XVIII საუკუნის ცნობილ მწიგნობარსა და კალიგრაფს სიონის ღვაწლად ნიკოლოზს, ერეკლე II სტამბაში მნიშვნელოვანი თანამდებობა სჭერია. 1749—1783 წლებში გამოცემულ წიგნებში იგი მესტამბეთუნუცესად იხსენიება.

ნიკოლოზი გვარად მიქაძე ყოფილა. მისი შორეული წინაპრები სამეგრელოდან ქართლში გადმოსახლებულან და აქ სასულიერო წოდება მიუღიათ. ერთ-ერთი მათგანი სიონის ღვაწლად უკურთხებიან და ეს საეკლესიო სახელი მათი საგვარეულოსათვის სამემკვიდრო თანამდებობად გადაქცეულა<sup>1</sup>.

მიქაძეებს, ისევე როგორც მესხიშვილების, მაღალაძეების, ბარათაშვილებისა და სხვა ცნობილი გვარების წარმომადგენლებს, გარკვეული დამსახურება მიუძღვით ქართული კულტურის წინაშე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას ნიკოლოზის პაპა იესე იმსახურებს, რომელიც XVII საუკუნის მიწურულისათვის განათლებული მწიგნობრისა და მხატვარ-კალიგრაფის სახელით ყოფილა ცნობილი.

იესეს ბევრი შვილი ჰყოლია. მათგან მამის მსგავსად მწიგნობრობით ყველაზე მეტად გაბრიელი და ოსე ყოფილან გატაცებული.

გაბრიელს — მამას ნიკოლოზისას — გადაუწერია „გულანი“<sup>2</sup>. მასვე ეკუთვნის აგრეთვე რანდენიმე ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოები.

საგვარეულო ტრადიციისათვის არც გაბრიელისა და ოსეს შვილებს უღალატიათ. მათაც მწერლობისათვის მოუკიდიათ ხელი და გარკვეული წვლილიც შეუტანიან ამ დიდ ეროვნულ საქმეში. ამ მხრივ ნიკოლოზთან ერთად საყურადღებოა ოსეს შვილის ზაქარიას ღვაწლი, რომელიც ისტორიაში ამბროსი ნეკრესელის სახელითაა ცნობილი.

<sup>1</sup> ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 174.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 175.



ნიკოლოზის შესახებ საინტერესო ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის მისივე ხელნაწერების ზოგიერთი ანდერძ-მინაწერი. 1731 წლით დათარიღებულ ხელნაწერს ასეთი მინაწერი აქვს: ოდეს აღსაწერად დავკეცი „წელისა ათერთმეტისა“ ვიყავიო<sup>1</sup>. აქედან ვგებულობთ, რომ იგი 1720 წელს დაბადებულა. ამავე მინაწერიდან ჩანს აგრეთვე, რომ ნიკოლოზს წერა ბავშვობიდანვე დაუწყია: „ვინც იხილვიდეთ და წარიკითხვიდეთ, გაზდას მიბრძანებდეთ ამისათვის, რომე ყრმა ვიყავ ამის წერაში და არცა ჯერ სხვა წიგნი დამეწერა“<sup>2</sup>. მალე ნიკოლოზს, როგორც საუკეთესო კალიგრაფ-გადაქწერს, იმდენად გაუთქვაქს სახელი, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას — 23-26 წლის კაცს უკვე გადაწერილი ჰქონია მრავალი წიგნ<sup>3</sup>.

ვ. ბერიძე ნიკოლოზს, როგორც კალიგრაფს, შემდეგნაირად ახასიათებს: „ხელი, განსაკუთრებით ნუსხური, ნიკოლოზს მართლაც გაწაფული ჰქონდა. წერდა მკაფიოდ, კალმის ძლიერი დაჭირებით, ყოველგვარი სიტლანქის გარეშე გამოპყავდა ასოების მსხვილხაზიანი ნაწილები; ნაწერი იმდენად თანაბარი და ზუსტია, თითქოს მანქანით შესრულებული იყოს, იმიტომ რომ ძხელი წარმოსადგენია ადამიანის ხელის ასეთი ავტომატიზაცია. მიუხედავად ამისა, ნაწერი მშრალ, „მანქანურ“ შთაბეჭდილებას არ ტოვებს...“

მის მიერ გამოყენებულ ხერხთაგან უმეტესობა საერთოდ ცნობილია იმ ხანებში: მაგ. ტექსტის ჩასმა ჩარჩოებში, რომლებიც ოქროსფერი, ლურჯი და სინგურის ხაზებითაა შედგენილი; მძიმე თავსამკაულებით უყვარს ნიკოლოზს ტექსტის ფიგურულად გაწყობა: სტრიქონების სიგრძის კლება-მატებით მას გამოპყავს სამკუთხედები, რომლები, წრეები, კიდევ უფრო რთული ნებისმიერი ფიგურები“<sup>4</sup>.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზი თავადვე გრძნობდა, თუ რაოდენ მაღალი კალიგრაფიული ნიჭით იყო დაჯილდოებული და ეს მას ეამაყებოდა. 1780 წელს გიორგი XIII დავალებით გადაწერილი „კონდაკის“ მინაწერში იგი ამბობს: „მოიხ-

<sup>1</sup> ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 180.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 178.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 180.

სენეთ, რომელ ერთის გამოჭრილის კალმით დამიწერია, რომ არ გამომიცვლია კალამი, და ჩვენდა შემდგომად მიიწე ასე მწერლობა ეცოდინოს, საქებელ იყავნ“<sup>1</sup>. აღნიშნულის გამო იოანე ბაგრატიონი „კალმასობაში“ წერს: „ამან აღწერა ერთისა კალმითა მთელი კონდაკი, სამღვდელო მსახურებაში სახმარი, რომელსა მეორე კალამი წერაში არ უხმარია, და არცა იგი კალამი ზელმეორედ გამოუჭრია“<sup>2</sup>.

ნიკოლოზს, როგორც მწიგნობარ-კალიგრაფს, იმდენად გაუთქვამს სახელი, რომ ანტონ კათალიკოსს იგი ახლად გახსნილ ერეკლე II სტამბაში მიუწვევია სამუშაოდ.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში ნიკოლოზი მოსკოვშია. იქ ყოფნის პერიოდში მას გადაუწერია რამდენიმე თხზულება და შეუდგენია ერთიანი კრებული „მარგალიტის“ სახელწოდებით, რომელსაც ასეთი მინაწერი აქვს: „აღვწერე სრულად ლოცვანი უღირსმან სიონის დეკანოზმან ნიკოლოზ გაბრიელ დეკანოზის შეილმან. სამეუფო ქალაქ მოსკოვს მონასტერსა ზამენცისა არქიმანდრიტობასა ნიკოლოზ, ქართველისასა წელთა 1753“<sup>3</sup>. — ამავე კრებულს დართული აქვს შემდეგი ლექსი:

მოსკოვს ვიყავ წიგნსა ვწერი, მარგალიტსა  
ობოლისა მე,  
ნაღვლისაგან შეწუხებულს ხელი მიყავ ჩხაბასა მე,  
როდეს მესმა ხმა წასვლისა ტფილისს,  
წავალ მმასთანა მე,  
და იესო მიუძლოდ სვლავად ნიკოლოზს  
მწერალსა მე,  
მშვიდობით თქვენ მოსკოველნო, ვეღარ მოვალ  
თქვენთანა მე,  
შენდობა ყავთ ჩემ ცოდვილის, დეკანოზის  
მგზავრისა მე.

მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კერძოდ 1763 წლიდან, ნიკოლოზი კვლავ ერეკლე II სტამბაში იწყებს მოღვაწეობას მესტამბეთუხუცესად: „მისი ამ თანამდებობაზე ყოფნისას დაიბეჭდა: 1763 წელს „დავითნი“ და „ლოცვანი“,

<sup>1</sup> ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 178.

<sup>2</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 198.

<sup>3</sup> თ. ყორღანიძე, ქრონიკები, III, 1967, გვ. 230.

1764 წელს „კურთხევანი“, 1768 წელს „ეპისკოპოსთა მიმართ“, 1772 წელს „პარაკლიტიკოსი“. 1783 წლიდან ნიკოლოზი უკვე სტამბაში აღარ ჩანს. მის მაგივრად მესტამბედ რომანოზ ზუბაშვილი იხსენიება, ხოლო მესტამბეთუხუცესად — ქრისტიფორე კეყერაშვილი.

როდის გარდაიცვალა ნიკოლოზი, დანამდვილებით არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა მომხდარიყო არა უადრეს 1779 წლისა, რადგანაც დარეჯან დედოფლის მიერ მარტილ-ს მონასტრისათვის შეწირული „მხატვრობიან სათთვეო წიგნის“ ამ თარიღით დამოწმებულ მინაწერში იგი ცოცხლად იხსენიება.

დაკრძალულია იგი სიონის ეზოში.

#### დეკანოზი იოანე

იოანეს სახელი მხოლოდ ერთადერთი წიგნის — 1749 წელს ერეკლე II სტამბაში გამოცემული „ღაფთნის“ თავფურცელში იხსენიება. მასში ვკითხულობთ: „ღაზგის მმართველი ჯის საყდრის დეკანოზი იოანე“<sup>1</sup>.

ამ ცნობიდან ვგებულობთ, რომ იოანე თბილისის ჯვრის (ჯის-ჯერის) საყდრის დეკანოზი იყო. ვიცით აგრეთვე, რომ გვარად მოძღვრიშვილი ყოფილა<sup>2</sup>, მამამისს გარსევანი რქმევია. იოანეს მიერ გადაწერილ „თვენს“ მიწერილი აქვს: „მე, ცოდვილმან და მწერალთ უნარჩევესმან, მღვდლის გარსევანის შვილმან იოანემ აღვწერე სულთა განმანათლებელი ესე თვენი“<sup>3</sup>.

მესტამბეს გარდა, იოანე საკმაოდ ცნობილი კალიგრაფიკ ყოფილა. 1752 წელს გადაუწერია მას ანტონ კათალიკოსის „სპეკალი“<sup>4</sup>, 1757 წელს — მინიატიურული ფორმატის „სვინაქსარი“, ხოლო 1760 წელს — ბარათაშვილისეული „ქართლის

<sup>1</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 51.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973, გვ. 783.

<sup>3</sup> საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A, № 1475.

<sup>4</sup> იქვე, A, № 1743.

ცხოვრება“<sup>1</sup>. იმავე 1760 წელს აღუწერია მას სვიმონ ჯულფელის მიერ სომხურიდან თარგმნილი პროკლე დიადოხოსის „პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი“<sup>2</sup>.

იოანეს მთელი თავისი ცხოვრება სიღარიბესა და გაჭირვებაში გაუტარებია. სიღუბნით იქამდე მიუყვანია, რომ დახმარებისათვის ანტონ კათალიკოსისათვის მიუმართავს. პატრიარქსაც ხელი გაუმართავს მისთვის: 1751 წლის 11 დეკემბრით დათარიღებულ ანტონის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა დიდმან მწყემსმთავარმან, მაღალთა მეფეთა შარავანდემან, კ<sup>ა</sup>ზ-პატრიარქმან. ესე უკუნისამდე ეამთა, ხანთა და დროთა გამოსადეგი, სამკედრო და საბოლოო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალებთ და გიბოძებთ თქვენ ჭვარის მამის დეკანოზს იოვანეს, ასე და ამა პირსა ზედან... შენ უსარჩოებასა და უსამწყსოებას სჩიოდით, მოხვედით კარსა დარბაზ პალატისა ჩვენისასა და საწყსოს ბოძებას დაგვაჯენით. აწე ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, ვითაც უსარჩევო და უსამწყსოვო იყავ, ჩვენც შეგიწყალებთ და გიბოძებთ ქალაქში ვინც ვინ უხუცო, ეული და მოსული კაცი იყოს და ან მოვიდეს... შენთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია“.

როგორ წარიმართა იოანეს ცხოვრება, რა ბედი ეწია მობუცებულობაში. ჩვენთვის ჭერჭერობით უცნობია.

### მღვდელი ზაქარია

1751 წელს ერეკლე II სტამბაში დაბეჭდილი „კონდაკის“ ტექსტი ლიტერატურულ-სტილისტურად დაუმუშავებია „უღირს მღვდელ ზაქარიას“, რომელსაც დ. გვრიტიშვილი სრულიად სამართლიანად ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) მამად თვლის<sup>3</sup>.

<sup>1</sup> საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A, № 1168.

<sup>2</sup> იქვე, A, № 1162.

<sup>3</sup> დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1968, გვ. 271.

გ. ლეონიძის ცნობით, ზაქარია 1705 წლის ახლო ხანებში დაბადებულა. XVII საუკუნის 30-იან წლებში მას დმანისში უმსახურია მღვდლად და დეკანოზად. შემდეგ კი ორბელიანების მოძღვარი გამხდარა<sup>1</sup>.

ზაქარია თავისი დროისათვის დიდად განათლებული პირი იყო. ი. ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ეს იყო ძველთა ფილოსოფოსსა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველება-საცა მიწვენილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“<sup>2</sup>. ზაქარიას საკუთარი საფილოსოფოსო სკოლაც ჰქონია გახსნილი, სადაც მე-18 საუკუნის მთელ რიგ გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად ანტონ კათალიკოსსაც უსწავლია.

1744 წლიდან ზაქარია ქართლ-კახეთის მეფეების, თეიმურაზ II და ერეკლეს მოძღვრად დაწინაურებულა, მალე მას იმდენად დიდი გავლენა მოუპოვებია, რომ მთელი საეკლესიო მმართველობა ხელში ჩაუგდია და მეფეთაც კი შიშის ზარს სცემდა. განსაკუთრებით ცნობილი გახდა მისი სახელი ანტონისადმი კათოლიკობაში ცილის დაწამების შედეგად ამ უკანასკნელის საქართველოდან გაძევების შემდეგ. „ანტონის დაცემის შემდეგ ზაქარიას ოფიციალური მდგომარეობა უფრო განმტკიცდა, — წერს გ. ლეონიძე. — მტრების ჩამოშორების შემდეგ დიქტატორი შეუდგა ეკლესიის „გამოჯანსაღებას“. მან შემოიყარა კონსერვატორული ელემენტები სამღვდლოებისა სამოქმედოდ და ახალი ნომინალური კათალიკოსიც თვითონ გამოარჩია... ამიერიდან უზრუნველყოფილი იყო ზაქარია მოძღვრის ავტორიტეტი. მან კარიერის განმტკიცებისთანავე გახსნა საფილოსოფოსო სკოლა მეტეხში და სცადა „სიახლე“ შეეტანა საეკლესიო ლიტურგიულ გალობაში“<sup>3</sup>.

საეკლესიო საქმეებით დატვირთული ზაქარია მაინც პოლობდა დროს მწიგნობრულ-ლიტერატურული მუშაობისათვის. 1750-1751 წლებში იგი სტამბაში მიუწვევიათ რედაქტორად, მაგრამ ანტონ კათალიკოსსთან ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო აქ დიდხანს არ უმოღვაწია. 1752 წლიდან მას სტამბაში უკვე ვეღარ ვხვდავთ.

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 292.

<sup>2</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ნაწ. II. 1948, გვ. 195.

<sup>3</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 298.

1763 წლიდან, თეიმურაზ II გარდაცვალებისა და სამშობლოდან დევნილი ანტონის ერეკლეს შემწეობით საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ზ. გაბაშვილის ცხოვრებამ გეზი იცვალა. პატრიარქის „გამართლებით“ განრისხებულმა ზაქარიამ ახლა თვით „სჯულისაგან გამდგარ“ ანტონის ერთგული მფარველის ერეკლე II წინააღმდეგ აღიმალა ხმა და თავად მეფეც კი მწვალებლად გამოაცხადა.

1764 წლის 5 მარტიდან საქართველოს ეკლესიას კვლავ ანტონი უდგება სათავეში, ბრძოლაწაგებული ზაქარია კი იძულებული ხდება იმერეთს შეაფაროს თავი. ერეკლე II და ანტონი ბევრს ეცადნენ ზაქარიას შემორიგებას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამის შემდეგ პატრიარქის სიმართლეში დარწმუნებულ სამღვდელოებას მოუწვევია საეკლესიო კრება და ზაქარიას მოქმედება საჯაროდ დაუგმია.

როგორც ირკვევა, ზაქარიას მბეჭდავად უმუშავია სტამბაში. ამას ნათლად მოწმობს 1764 წელს გამოცემული „კურთხევანის“ მინაბეჭდი, რომელშიც ნათქვამია: „დაიბეჭდა წიგნი ესე სტამბისა სახმართა ზედა გარჯითა მარკოზის ძის ზაქარიასითა“.

მესამე და უკანასკნელი წიგნი, რომელიც ზაქარიას შეწვევით დაიბეჭდა, ეს არის 1772 წელს გამოცემული „პარაკლიტიკოსი“.

#### მხატვრის ამ ილუმინი მიხილი

მიხილი, ანუ მიქელი, როგორც იგი ძველ საბუთებში იხსენიება<sup>1</sup>, წარმოშობით მესხიშვილების ცნობილ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მისი დიდი პაპა გრიგოლი ანუ გიორგი სიონის მომხატავი და ვახტანგ VI სტამბის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იყო. ასევე მხატვრისა და მესტამბის სახელით იყო ცნობილი მიხილის პაპის ძმა იოანე.

თავად ალექსი მესხიშვილიც — პაპა მიხილისა, თავისი დროისათვის აღიარებულ მწიგნობარ-კალიგრაფისტად ითვლე-

<sup>1</sup> მიქელად იხსენიებს მას პ. კარბელაშვილიც. იხილეთ მისი „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. თბილისში“, 1902 წ., გვ. 45.

ბოდა. კ. კეკელიძე მას შემდეგნაირად ახასიათებს: „როგორც განათლებული კაცი, ის თვალსაჩინო როლს თამაშობდა თანამედროვე საზოგადოებაში, და მწერლობაშიაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. მას როგორც დახელოვნებულ კალიგრაფს, მრავალი ხელნაწერი გადაუწერია, თუმცა თვითონაც შეუტანია საკუთარი წვლილი ჩვენი მწერლობის საღაროში“<sup>1</sup>. კერძოდ, ალექსის შეუთხზავს და გადაუწერს საეკლესიო თუ საერო მწერლობის ისეთი საყურადღებო ძეგლები, როგორცაა: „სათვეო განგება“, „უამნი“, „ხრონოლრაფი“, „ქილილა და დამანა“, საბას „ლექსიკონი“, „ლოცვანი“, „ვისრამიანი“ და სხვა. ალექსი იყო XVIII საუკუნის 40—50-იანი წლებში ანჩისხატიან ტაძართან არსებული მესხიშვილისეული ქართული კალიგრაფიული სკოლის თავკაცი და წინამძღოლი. ამ შესანიშნავი მოღვაწის პატივისცემამ და არდავიწყებამ განაპირობა ის, რომ მესხიშვილების შემდგომმა თაობამ თავისი გვარი ალექსი-მესხიშვილად გადაიკეთა<sup>2</sup>.

ალექსი მესხიშვილს ხუთი ვაჟიშვილი ჰყოლია: ნიკოლოზი, გიორგი, ზაქარია, იოსები და დავითი. გიორგი მამა იყო მიხეილისა. ჩანს, იგი თავისი პაპის გრიგოლისა და უფროსი ბიძის იოანეს გზას გაჰყოლია, მასაც ცნობილი მხატვრის სახელი მოუპოვებია.

საგვარეულო ტრადიციისათვის არც მიხეილს უღალატია. მამა-ბიძათა მსგავსად ისიც წიგნების გადაწერაში დახელოვნებულა და როგორც კარგ კალიგრაფს მალე გაუთქვამს სახელი. მიხეილის მიერ გადაწერილი წიგნებიდან საყურადღებოა „ეთი-

კა“, რომლის ტექსტის ბოლოშიც მიწერილია: „17— $\frac{9}{28}$  69

სრულ იქმნება ჩემ მიერ ყოვლად გლახაკისა მიხაილისაგან, პალატსა საპატრიარქოსა ტფილისს“<sup>3</sup>. მასვე გადაუწერს 1781 წელს ანტონ I „კატიგორია სიმეტნე... დასჯილი ხმასა ზედა არისტოტილისასა... წინა დადებული თვსთა სხულისა

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, წ., გვ. 328.

<sup>2</sup> ვ. ბერიძე, ძველი ქართული ოსტატები, 1967 წ., გვ. 160.

<sup>3</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H, № 2359.

მოწაფეთა“<sup>1</sup>. ანტონისავე „ახლად ქმნილი ღრამატიკა ქართულისამებრ ენისა“<sup>2</sup>, „შესხმანი“<sup>3</sup> და სხვა მრავალი.

მიხეილ მესხიშვილი ქართული სტამბის ისტორიასთან ერთა საგულისხმო გარემოებას დაუკავშირებია. 1764 წელს დაუწყიათ „კურთხევანის“ ბეჭდვა. როგორც წესი, ანტონ I კათალიკოსს გაუკონტროლებია ანაბეჭდისა თუ თვით ტექსტის „გამართვის“ ხარისხი. დედანი მდარე ქართულით ყოფილა დაწერილი. ამიტომ მღვდელმთავარს წიგნის ბეჭდვა შეუჩერებია და დედნის რედაქტორულ-სტილისტიკური დამუშავება მიხეილისათვის მიუხდებია. „კურთხევანისათვის“ დართულ მესტაჭბეთა ანდერძში აღნიშნულის შესახებ ნათქვამია: „ებრძანა... მისის უწმინდესობის გლახაკს ბერს ილუმენს მხატვრის ძეს მიხაილს და გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამატიკისა, და დაბეჭდილ იქმნა“<sup>4</sup>.

ზემომოტანილი წყაროდან თვალნათლივ ჩანს, თუ რაოდენ კარგი ქართული ენის მცოდნე მწიგნობრის სახელით ყოფილა ცნობილი მიხეილი. ანტონ I კათალიკოსი რომ ღრმად დარწმუნებული არ ყოფილიყო მიხეილის შესაძლებლობაში, დასაბეჭდად მომზადებულ წიგნს ხელმეორე რედაქტირებისათვის მას არ მისცემდა. დაიბეჭდა თუ არა ერეკლე II სტამბაში მიხეილის უშუალო მონაწილეობით „კურთხევანის“ გარდა სხვა რომელიმე წიგნი, ამაზე რაიმეს თქმა სათანადო საბუთის უქონლობის გამო ჩერჩერობით არ შეგვიძლია. ეს კია, რომ 1764 წლის შემდეგ სტამბურად გამოცემულ წიგნებში მისი სახელი არ იხსენიება.

რამდენიმე ცნობა მიხეილის პირადი ცხოვრებიდან. მას ცოლად ჰყოლია ქაიხოსრო შაბურიშვილის ასული ანა, რომელიც 1786 წლის 24 ივნისს მომკვდარა. ამ ტრაგედიიდან ორი წლის გასვლის შემდეგ თავად მიხეილიც გარდაცვლილა. დავით რექტორს — მამის ძმას მიხეილისას გადაუწერია და ლიტერატურულად დაუმუშავებია 1785 წელს ვინმე ტერ დავითის

1 თ. ეო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. III, 1967 წ., გვ. 299.

2 ი ქ ვ ე, გვ. 304.

3 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, II, № 1786.

4 ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 56.



მიერ სომხურიდან ქართულად თარგმნილი „მოკლედ მოთხრობაი ჰაერსა შორის მროკველისა გუნდისა და მგზავრობისა: მონკოლვიისა. ქართლოისა და როპერთისა“. წიგნს დართული აქვს გადამწერის ანდერძი, რომელიც შეიცავს საყურადღებო ცნობებს მიხეილის გარდაცვალების შესახებ: „აღწერესე ალექსის ძემან დავით. უქმობასა შინა ჩემსა. უფროს მწუხარებასა შინა მყოფმან რლ ცოდვითა ჩემისა ძალითთა საქმეთაგან დავისაჟე. საყვარელი და სასურველი ძმისწული ჩემი ღირსი და პატიოსანი განკრძალული მღუდელი და დეკანოზი მიხაილ ანჩისხატის ეკლესიისა და უფროს ძმისა უსაწყურვილესი სიკვდილმან განმაშორა. რომელი ვიხილე უბედოთა თვალთა ჩემთა დაბნელებულთაგან. ვაი სოფლისა საცთურსა მისგან დავშით ყოვლითურთ უნუგეშო და კინინა გარწირულებასა შინა მიწეული. ვიყავ ლახვრითა სასიკუდიინეთა გულ განწონილი და თვალ-ცრემლმორეული. სახლთა ვჟედ სევდა გულთა მიღამებდა და ესე გარდავწუსხე.

საყვარელი ჩემი ძმისწული და უფროსი ძმა ანჩისხატის დეკანოზი მიხაილ მიიცივალა: ანჩისხატის ვის დეკანოზის ძე თთუესა სეკდემბერსა ი ცისკრის ჟამს, რომ ის დღე ცხრამეტი სექტემბრის სამშაბათი თენდებოდა“<sup>1</sup>.

ამრიგად, მიხეილ მესხიშვილი გარდაიცვალა 1788 წლის 19 სექტემბერს გამთენიისას.

### აღიზარ თუმანიშვილი

მესხიშვილების მსგავსად თუმანიშვილებიც ისტორიულად ცნობილ საგვარეულოს მიეკუთვნებიან. მე-15 საუკუნიდან საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ამ გვარის საუკეთესო წარმომადგენლებს მდივან-მწიგნობრებად უმსახურიათ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე. ამ საგვარეულო ტრადიციისათვის არც ედიშერ თუმანიშვილს გადაუხვევია. მასაც მდივან-მწიგნობრის თანამდებობა სჭერია ერეკლე II სამეფო კარზე.

ჩვენამდე მოღწეული საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ

<sup>1</sup> თ. ე. ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, 1967 წ., გვ. 401, 402.

ედიშერი თავისი დროისათვის საქმაოდ გავლენიანი და ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა. მთელ რიგ საბუთებში იგი მოწმედ და გამრიგედაა მოხსენიებული. ასე იხსენიება იგი, მაგალითად, 1759 წლით დათარიღებულ დიმიტრი ამილახვრის ნასყიდობის წიგნში<sup>1</sup>, 1766 წელს მირზა აბითურაზის შვილ შაბაშასა და რევაზ ორბელიანს შორის დადებულ მამულის გაცვლის ხელწერილში<sup>2</sup>.

მე-18 საუკუნის 60—70-იან წლებში ედიშერ თუმანიშვილი მდივნობის გარდა, ერეკლე II სტამბაშიც მუშაობს. მისი უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა 1764 წელს „კურთხევაი“. ამ წიგნის გამომცემელ-მესტამბეთა ანდერძში ნათქვამია: „გაიმართა... და დაბეჭდილ იქმნა, რაოდენ ახალ მესტამბეთაგან შეიძლებოდა... ზედა მდგომარეობითა მდივნის ედიშერ თუმანისშვილისათა“<sup>3</sup>. ედიშერის თანამშრომლობით დაბეჭდილა აგრეთვე 1772 წელს „ბარაკლიტიკოსი“. ამ წიგნის ტექსტის ბოლოშიც იგი „ზედამდგომელად“ იხსენიება<sup>4</sup>. ეს ნიშნავს, რომ ედიშერს ერეკლე II სტამბაში ადმინისტრაციული თანამდებობა სჭერია.

### ტრიფილე

ტრიფილე XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწეა. გვარად იგი ჩერქეზიშვილი ყოფილა<sup>5</sup>.

საისტორიო წყაროებით ირკვევა, რომ ჩერქეზიშვილები წარმოშობით კახეთიდან, კერძოდ, სოფელ ვეჯინიდან არიან, ცნობილი გერმანელი მოგზაურის გკულდენშტედტის გადმოცემით, ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი 1772 წელს ერეკლე II თუშეთის მოურავად დაუნიშნავს<sup>6</sup>. ტრიფილე ვეჯინელი ჩერქეზიშვილების შთამომავალია.

<sup>1</sup> დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, წ. I, 1962 წ., გვ. 432.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 301.

<sup>3</sup> ქართული წიგნი, 1941 წ., გვ. 56.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>5</sup> დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 1968 წ., გვ. 271.

<sup>6</sup> გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962 წ., გვ. 263.

ტრიფილე ანტონ კათალიკოსის აღზრდილია. თეოლოგიურ-საღვთისმეტყველო დისციპლინების გარდა, მას კარგად სცოდნია აგრეთვე ბერძნული, რუსული და სომხური ენები. ი. ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ეს (ტრიფილე. — ო. კ.) იყო სწავლული ფილოსოფიასა ხელოვნებასა შინა და კარგი ღრამატიკოსი, საღმრთო წერილსა შინა ზედმიწევნული... მწერალი უცხო და ჩქარი, რომელ ოდეს მოიცალის ეკლესიის მსახურებისაგან, არა დაუტოვებდის საღმრთოთა წერილთა და ისტორიათა, წერასა, რომელმანც გადასწერნა წიგნი ვიდრე ხუთასსა ზედა უმეტესნი“<sup>1</sup>.

ტრიფილე იმდენად კარგი კალიგრაფი იყო, რომ შემდეგი თაობის მოღვაწენი მის მიერ გადაწერილიდან ამჯობინებდნენ ამა თუ იმ ძეგლის გადაწერას. მაგრამ ტრიფილე მარტო კალიგრაფ-გადამწერი როდი იყო, იგი იმ დროისათვის გამოჩენილ პოეტადაც ითვლებოდა. მონაზვნობის დროს მას დაუწერია ხუთთაეპიანი შაირი (სვინაქსარი) „ათორმეტთა თვეთა პროლოდია“. მასვე ეკუთვნის ერეკლე მეორისადმი დაბადების დღეს მიძღვნილი ლექსი და სხვ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ტრიფილე ტონს აქლევდა არა მარტო ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების მაჩისცემას, არამედ აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. იგი გარეული ყოფილა, მაგალითად, ზ. გაბაშვილსა და ანტონ კათალიკოსს შორის გამართულ ბრძოლაში. როგორც ცნობილია, ამ ბრძოლის პირველი ნახევარი ზაქარიას გამარჯვებით დამთავრდა. დამარცხებულმა ანტონმა თავი რუსეთს შეაფარა. ამ დროს მას თან ხლებია ტრიფილეც. თავისი სურვილით გაჰყვა იგი ანტონს, თუ საეკლესიო კრების მიერ ისიც მსჯავრდადებულ იქნა პატრიარქთან ერთად, სარწმუნო წყაროების ნაკლებობის გამო ამის დადგენა ვერ მოხერხდა. ის კი ირკვევა, რომ 1761 წელს იგი უკვე ვლადიმირშია და ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. იქ უთარგმნია მას „თენი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 193.

<sup>2</sup> საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H, № 348.

ვლადიმირში გატარებულ წლებს კეთილსასურველი გავლენა მოუხდენია ტრიფილეზე. მას იმდენად კარგად შეუესწავლია რუსული, რომ 1769—1771 წლებში თარჯიმნად ღლებია მოსკოვში დიპლომატიური მისიით გაგზავნილ ანტონ კათალიკოსს. რუსეთს გზად მიმავალნი ერთხანს ასტრახანში შეჩერებულან. აქ ტრიფილეს „მოკლითა ყოფნის“ გამო გადაუწერია თავისი მასწავლებლის ცნობილი ნაშრომი „კატეხიზმი“. საერთოდ ტრიფილე ანტონის პირადი გადამწერი ყოფილა, მასვე გადაუწესხავს კათალიკოსის „საუნჯე“ და სხვა „ნაწარმოებები“<sup>1</sup>.

1763 წელს ექსორიობიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ანტონმა ანჩისხატის მონასტერთან საეკლესიო სასამართლო, ანუ დიკასტერია დააარსა. მისი წევრები ყოფილან: თავად კათალიკოსი, სამთავროსა და გორის ეპისკოპოსი, რუისის მატროპოლიტი, ნინოწმინდელი, თბილელი მიტროპოლიტი, მანგლისის ეპისკოპოსი და სხვები. დიკასტერიას თავისი მდივანიც ჰყოლია, რომელიც „მწიგნობარ მთავრად“ ხან კი „მწიგნობარ წინამძღვრად“ იწოდება. მდივნობა „სასულიერო ხასიათის სახელოდ ითვლებოდა, რომელსაც ძირითადად დიკასტერიის საბუთების წარმოება ევალებოდა“<sup>2</sup>. ერთხანს ეს თანამდებობა ტრიფილეს სჭერია<sup>3</sup>.

1783 წელს ტრიფილე თავს ანებებს დიკასტერიის მდივნობას და მუშაობას იწყებს ერეკლე II სტამბაში. აქ მისთვის მთარგმნელ-რედაქტორის მოვალეობა დაუკისრებიათ.

ტრიფილეს უშუალო მონაწილეობით შეიდი წიგნი დაბეჭდულა: 1783 წელს „კონდაკი“, 1784 წელს ზემოდასახელებული „ლოცვანი“, 1791 წელს „ჟამნი“, 1793 წელს „კონდაკი“, „მარხვანი“, „მცირე ლოცვანი“ და 1794 წელს „კურთხევანი“.

ტრიფილემ საკმაოდ დიდი შრომა დასდო 1784 წელს დაბეჭდილი „ლოცვანის“ გამოსაცემად მომზადებას. მას ხელთ ჰქონია იოანე მანგლელის მიერ ადრე ბერძნულ-რუსულ წყაროებთან შედარებულ-შეჭერებული „ლოცვანის“ ნუსხა. გა-

<sup>1</sup> თ. ჟორდანიას ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 322.

<sup>2</sup> მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში, I, 1970, გვ. 194.

<sup>3</sup> იქვე.

მოსაცემად მომზადებისას იგი მას ანტონ კათალიკოსის დავალებით ბერძნულ-რუსულ დედნებთან ხელახლა შეუმოწმებია და ზიარების მეთორმეტე ლოცვა, რომელიც მარტო ქართულში ყოფილა შეტანილი, წიგნიდან სულ ამოუღია. რაც შეეხება დანარჩენ ლოცვებს, მათშიც ზოგიერთი ცვლილებები შეუტანია.

ძველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებს შორის იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი, რომელიც რამდენჯერმე არ იყოს გამოცემული. აი სწორედ ამ იშვიათ გამოცემათა რიცხვს მიეკუთვნება 1793 წელს ტრიფილეს აქტიური მონაწილეობით დაბეჭდილი „მარხვანი“.

პირველად ეს წიგნი 1741 წელს გამოვიდა ვსესვიატსკოეს სტამბაში. მოსალოდნელი იყო, რომ ერეკლესეული ტექსტი 1741 წლის „მარხვანის“ უცვლელი გამეორება იქნებოდა, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. ამ გამოცემათა ტექსტები შინაარსობრივადაც და სტილისტურ-ლიტერატურული დამუშავების ხარისხითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამას მოწმობს მათი მოცულობაც: 1741 წელს დაბეჭდილი „მარხვანი“ შეიცავს 776 გვერდს, ხოლო 1793 წლისა — 647-ს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც პირველ გამოცემაში შეტანილია მარხვის დროს საგალობელი ოთხი ლოცვა, ხოლო მეორეში — სამი.

1793 წელს „მარხვანის“ ტექსტი „ღრამატიკისა კანონა ზედა“ ტრიფილეს გაუმართავს, მასვე გაუკეთებია ამ წიგნის კორექტურა.

1793 წელს ერეკლე II სტამბაში იბეჭდება აგრეთვე „მცირე ლოცვანი“. როგორც სახელწოდებიდანვე ჩანს, წიგნში შეტანილია „გამოკრებით შერჩეული“ ლოცვები. ასეთი სახის წიგნები ნელნაწერის სახით საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძველად საქართველოში. რომელი ნუსხა გახდა ნაბეჭდი „მცირე ლოცვანის“ დედანი, ძნელი სათქმელია, რადგანაც ამის შესახებ შემოვლითაც კი არაფერია ნათქვამი 1793 წლის გამოცემაში. ცნობილია მხოლოდ, რომ ანონიმი კალიგრაფის მიერ გადაწერილ ძველ ქართულ ნუსხისათვის, რომელიც მესტამბეებს გამოსაცემად ჰქონიათ ხელთ, ქრისტეფორე კეყერაშვილს რუსული „მცირე ლოცვების“ მიხედვით ღვთისმშობლის პარაკლისისა და სამადლობელი საგალობ-

ლები დაუმატებია, ხოლო მთლიანად დედანი ლიტერატურულად ტრიფილეს გაუმართავს.

1781—1782 წლებში ერეკლე II სტამბამ საფუძვლიანი რეკონსტრუქცია განიცადა. დაიდგა მოსკოვიდან ჩამოტანილი საბეჭდო დაზგები, ჩამოისხა შრიფტები და სხვა. 1783 წელს ამ ახალ რეკონსტრუირებულ სტამბაში იბეჭდება „კონდაკი“. იგი უფრო ადრე — 1751 წელს გამოვიდა ამავე სტამბაში. ბოლო გამოცემას სწორედ 1751 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“ უდევს საფუძვლად, მაგრამ ეს გამოცემები ერთმანეთის ადეკვატური მაინც არ არის. 1783 წლისაში ტრიფილეს რუსულ „კონდაკთან“ შედარების შედეგად საგრძნობი სწორებები შეუტანია.

XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქართული ეკლესიის წინაშე გარკვეული დამსახურებისათვის ანტონ II ტრიფილესათვის მცხეთის ჭვრის მონასტრის არქიმანდრიტობა უბოძებია<sup>1</sup>. 1802 წლით დათარიღებულ შიო მღვიმის საბუთებში იგი იმ თანამდებობით იხსენიება<sup>2</sup>.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ტრიფილეს მწუხარებაში გაუტარებია. იგი ორივე თვალით დაბრმავებულა. ამის მიუხედავად მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ღვთისმსახურება. ი. ბაგრატიონი გადმოგვცემს, „მოხუცებულობითა იქმნა ბრმა, გარნა ყოველთა დღესასწაულებათა შორის თვით ზეპირ უკანანახებდის დასდებელთა მის დღისითა, ვინაითგან აქენდა ჩვეულება ესგვარ მსახურებისა ეკლესიებთა“<sup>3</sup>.

გარდაიცვალა ტრიფილე ღრმად მოხუცებული. პლ. იოსელიანი გვაუწყებს: „ტრიფილე აღმწერელი წიგნთა, წინამძღვარი ჭვარისა მონასტრისა, არაგვის გაღმა პირის-პირ მცხეთისა მოკვდა 1818 წელსა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 193.

<sup>2</sup> შ. მღვიმის მონასტრის საბუთები, № 30.

<sup>3</sup> ი. ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 193.

<sup>4</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მე-13-ისა. 1936, გვ. 259.

იოანე სახელგანთქმული კალიგრაფ-გადამწერების მიქაძე-ების საგვარეულოს თვალსაჩინო წარმომადგენელია. მამამისი ოსე იასეს ძე დიდად განსწავლულ-განათლებული პიროვნება ყოფილა. 1750 წელს მას თეიმურაზ II დავალებით შეუდგენია სამართლის წიგნის ანბანურა საძიებლები და გადაუნუსხავს მრავალი წიგნი<sup>1</sup>. ოსეს ავტორიტეტს ისიც მოწმობს, რომ მისი შვილები გვარის გარეშე, პირდაპირ მამის სახელით იხსენიებიან. ოსეს უფროსი ძმა, მემუარების ავტორი და პოეტი იესე ბარათაშვილი იგონებს: „მამაჩემი იყო სიონის დეკანოზის იესეს შვილი და ფრიად კეთილისა კაცისა შვილი და თვით მღვდელი წმინდისა სიონისა ეკლესიისა; დიდად მეცნიერი საღვთისმეტყველოთა წიგნთა და აგრეთვე საფილოსოფოსოთაჲ“<sup>2</sup>.

ოსე იასეს ძე დაბადებულია 1698 წელს. იგი ჯერ უბრალო მღვდელი ყოფილა, შემდეგ კი სიონის დეკანოზად და „სატფილელოს სახლთუხუცესად“ დაწინაურებულია. მას ნათელმძირონობა და ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ქართლ-კახეთის სამეფო კართან, კერძოდ, ოსეს მონათლული ყოფილა ერეკლე II დის ანას ვაჟი მამუკა<sup>3</sup>.

როგორც ირკვევა, ოსეს ცოლად ჰყოლია აზნაურ გოგიბი-დაშვილის ქალი. იესე წერს: „დედაჩემი იყო დაბისაგან მცირისა კერძო აზნაურთა შვილთა ასული, გარნაკეთელისა გოგ. - ბედაშვილისა“<sup>4</sup>. მათ სულ ექვსი შვილი შეძენიათ. ოსე 1750 წ. დაბადებულია. „ქორონიკონს“ 438 (1750) იოანე ჩემი ძმა დაიბადა“, — გადმოგვცემს იესე<sup>5</sup>. 1767 წელს მას ჯვარი დაუწერია ჯვრის მონასტრის დეკანოზის ძმისწულზე. ქორწილის მოთავე და ალამდარი იესე ყოფილა. იგი წერს: „ქორონი-

<sup>1</sup> ლ. მენაბდე, ლიტერატურული კერები ძველ საქართველოში, I, 1962. გვ. 174.

<sup>2</sup> პ. იოსელიანი, იასე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950, გვ. 2.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 14.

კონს 455, იანვარს, ქრისტეს აქეთ 1767 ინება ყოვლად ძლიერმა ღმერთმან იოანე ჩემს ძმას ცოლი მოგვევარე და დავაქორწილე“<sup>1</sup>.

წლის თავზე — 1768 წელს იოანეს ვაჟი შეძენია, რომლისთვისაც სახელად მიქელი დაურქმევიათ<sup>2</sup>. ახლად ჯვარდაწერილი იოანე და იესე ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ მალე მათ შორის მამის გარდაცვალების შემდეგ უთანხმოება ჩამოვარდნილა და ძმები გაყრილან.

იოანე მამის მსგავსად ღვთისმსახურებას გაჰყოლია და სიონის დეკანოზობამდე მიულწევია. მას ამ დროის კვალობაზე იმდენად კარგი სწავლა-განათლება მიუღია, რომ მალე ცნობილი მთარგმნელ-გადამწერი გამხდარა, წერდა ორიგინალურ შრომებსაც.

დიდი ამაგი დასდო იოანემ ქართული წიგნების ბეჭდვის საქმესაც. იგი წლების მანძილზე მუშაობდა ერეკლეს სტამბაში რედაქტორ-კორექტორად. 1783 წელს გამოცემული „კონდაკის“ ტექსტის ბოლოს ნათქვამია: დაიბეჭდა წიგნი ესე „ღრამატიკისა კანონსა ზედა განმართვითა და პრობის მართვითა უღირსის ხუცის ოსეს ძის იოანესითა“. ასევე იხსენიება იგი 1784 წელს „ლოცვანის“, 1786 წელს „სახარების“, 1788 წელს „ზატიკისა“ და 1791 წელს დაბეჭდილ „სამოციქულოს“ საგამომცემლო მონაცემებში.

გარდაიცვალა იოანე 1801 წელს.

### შიო ბუსიშვილი

ტუსიშვილები არაგვის ზეობის თავადები იყვნენ. შიო იმათი შთამომავალია. მისი ოჯახური წრის შესახებ ცოტა რამ ვიცით. ცნობილია, რომ თავისი დროისათვის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და თავკაცი, საბა ნინოწმინდელი, მისი ძმა იყო.

<sup>1</sup> ვ. იოსელიანი, იასე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950, გვ. 46.

<sup>2</sup> იქვე.



შიოს წლების მანძილზე მოლარეთუხუცესის თანამდებობა სკერია თეიმურაზ II და ერეკლეს კარზე. 1760 წელს ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებული დიდი ელჩობა გაიგზავნა რუსეთს დიპლომატიური მისიით, რომელსაც თავად თეიმურაზ II ედგა სათავეში, ამ ელჩობის წევრი ყოფილა შ. ტუსიშვილიც.

1760 წლის 2 ივნისს რუსეთს მიმავალი თეიმურაზ II თავისი ამალით ყიზლარს ჩასულა. აქ იგი კარანტინის მომიზეზებით ერთი თვე დაუკავებიათ. თეიმურაზი გრძნობდა, რომ „რუსეთში მას გულლიად ვერ ხვდებოდნენ, მოსალოდნელი იყო მისი გამგზავრების დაყოვნება, ამასთანავე, როგორც ჩანს, შეფერხების მიზეზად ვახტანგის მემკვიდრეთა პოზიციაც მიუჩნევია“<sup>1</sup>. მეფეს წინასწარ განუქვერტავს შექმნილი რთული სიტუაცია და გადაუწყვეტია ყიზლარიდან პეტერბურგს თავისი კაცის გაგზავნა. ქართლის ტახტის პრეტენდენტთა ინტრიგების ჩასაშლელად და იმპერატორთან აღდიენციის მისაღწევად.

ამ მიზნით მას თავისი ერთგული მოლარეთუხუცესი შ. ტუსიშვილი გაუგზავნია პეტერბურგს ნათესაების შონახულებას საბაბით. შეფეს შიოსათვის თან გაუტანებრა სპეციალური წერილები ბაქარის ქვრივ ანა დედოფალთან და რუსეთის სამსახურში მყოფ მაღალი თანამდებობის ქართველებთან. ამ წერილებით ცხადი ხდება, რომ თეიმურაზი ცდილობდა ეამებინა ვახტანგ VI მემკვიდრეებისათვის, რათა ხელი არ შეეშალათ მისთვის პეტერბურგში ჩასვლისას რუსეთთან დიპლომატიურ მოლაპარაკებაში<sup>2</sup>.

შ. ტუსიშვილი ყიზლარიდან პეტერბურგს 1760 წლის 11 ივნისს გამგზავრებულა. 17 ივნისს იგი უკვე ასტრახანში ჩასულა, ხოლო 22 ივნისს — პეტერბურგს<sup>3</sup>. შეასრულა თუ არა შიომ თეიმურაზის დანაბარები — ჩააბარა თუ არა მან ადრესატებს მეფის წერილები, არ ვიცით, მაგრამ ეს კი ცხადი ხდება, რომ 1760 წლის 11 აგვისტოს შიოს მოუხერხებია კანც-

<sup>1</sup> ვ. შ ა კ ა რ ა დ ე, მასალები... 1968, გვ. 60:

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 61.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, გვ. 64.

ლერ მ. ვორონცოვის ნახვა, რომლისთვისაც უთხოვნია თეიმურაზ II და იმპერატორის პირისპირ შეხვედრის დაჩქარება<sup>1</sup>.

ჩანს, შ. ტუსიშვილის არაოფიციალურ დიპლომატიურ მისიას პეტერბურგში დადებითი შედეგი გამოუღია. ამას მოწმობს ის, რომ თეიმურაზისათვის გამგზავრების ვიზა მიუტყიათ. 1761 წლის თებერვლის მიწურულს იგი თავისი ამალით ყიზლარიდან მოსკოვს ჩასულა, ხოლო 19 მარტს უკვე პეტერბურგში ყოფილა.

შიოს ერთპიროვნულ ელჩობას მეორე დადებითი შედეგიც მოჰყვა. ეტყობა, მას საერთო ენა გამოუნახავს ვახტანგ VI მემკვიდრეებთან და განაწყენებულ სხვა ემიგრანტ ქართველებთან, რადგანაც ოფიციალური საბუთებით ირკვევა, რომ მოსკოვს ჩასული თეიმურაზ მეფე ბაქარის ძმას გიორგის მოუნახულებია და რუსეთს გადასახლებულ თანამემამულეებთან ერთად შემდეგში პეტერბურგში გაუცილებია.

ქართველთა ელჩობის პეტერბურგს ჩასვლა საბედისწერა გამოდგა თეიმურაზისათვის. იგი იქ სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა<sup>2</sup>.

შ. ტუსიშვილისა და ქართლის მეფის ამაღლის სხვა თავკაცთა ინიციატივით თეიმურაზი საქართველოში წამოუხსენებიათ. დიდი სიცხეების გამო ცხედრის სამშობლოში ჩატანა შეუძლებელი გამხდარა და ამიტომ 1762 წლის 27 მაისს მეფის ნეშტი ასტრახანის მიძინების კათედრალურ ტაძარში ვახტანგ VI გვერდით დაუსაფლავებიათ.

ამის შემდეგ ქართველი ელჩების ნაწილი, მათ შორის შ. ტუსიშვილიც, სამშობლოში დაბრუნებულა. დაინტერესებულ პირებს ათასგვარი ჭორი გაუვრცელებიათ საქართველოში თეიმურაზის გარდაცვალების შესახებ. საქმე იქამდეც კა მისულა, რომ მეფის დაღუპვა მთლიანად ამაღლის წვევრებისათვის დაუბრალებიათ<sup>3</sup>.

ამის გამო ერეკლე II განრისხებულა ელჩებზე. მაგრამ შემდეგში გულდამშვიდებით გარკვეულა საქმის ვითარებაში

<sup>1</sup> ვ. შ ა ქ ა რ ა ძ ე, მასალები... 1968, გვ. 65.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 114.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, გვ. 114.

და ბევრისათვის „დანაშაული შეუწდია“. შ. ტუსიშვილი ერეკლეს სრულიად გაუმართლებია და დასჯის მაგივრად თავის სტამბაში მიუყვანია სამუშაოდ: 1783 წელს მისი თანამშრომლობით იბეჭდება „კონდაკი“, ხოლო 1784 წელს — „ლოცვანი“.

### გაიოზ რექტორი

(დამაარსებელი ქართული სტამბისა მოზღვსში)

იმ დიდი დამსახურების მიუხედავად, რომელიც გაიოზს ქართული ფილოსოფიური აზრის, ლიტერატურისა და პედაგოგიკური მეცნიერების წინაშე მიუძღვის, ბევრი რამ ამ შესანიშნავი მოღვაწის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დღემდე შეუსწავლელი, გაურკვეველი და დაუდგენელია. არ ვიცით მისი ნამდვილი გვარიც კი. ერთნი ბარათაშვილად ასახელებენ, მეორენი — თაყაიშვილად, სხვანი კი ნაცვლიშვილად ანდა ვაგაშაშვილად მიიჩნევენ<sup>1</sup>.

ასევე დაუდგენელია და სადავოდაა გამხდარი გაიოზის დაბადების თარიღი. ზოგი მას 1739 წელს თელის დაბადებულად, ზოგი 1748 თუ 1750 წელს<sup>2</sup>. ვინაიდან პირდაპირი საბუთი არ მოიპოვება, ამიტომ ამ საკითხის გასარკვევად მკვლევარნი მოსკოვის სინოდალური კანტორის შემდეგ ცნობას იშველიებენ: „ამა 1774 წელსა, დღესა 18 ივლისსა, — ნათქვამია მასში, — უსამღვდელოესი ქართველი კათალიკოსის ანტონის ამაღლის წევრმა, რომელიც დარჩა მოსკოვში, არქიდიაკონმა გაიოზმა, უწმინდეს სინოდს წერილობით აცნობა, რომ მას დაბადებიდან 28 წელი შეუსრულდა“<sup>3</sup>. მკვლევართა აზრით, რაკი 1744 წელს, ანუ დამოწმებული ცნობის შედგენისას გაიოზი 28 წლის ყოფილა, გამოდის, რომ იგი დაბადებულია 1745 წელს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გაიოზის გვარის შესახებ ვრცლად იხ. მ. დარჩიას „გაიოზ რექტორი“, 1972, გვ. 59—60.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 58—59.

<sup>3</sup> Христианский Восток, т. II, вып. I, СПб, 1913, с. 40.

<sup>4</sup> მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, 1972, გვ. 59.

გაიოზი წარმოშობით ქიზიყიდან, სოფელ მაღაროდან იყო. ანტონ I გადმოცემით „ღიაჩოქს... ტფილისელს, სახელით ზედწოდებულს ზაქარიას იგი შეიღად და მემკვიდრედ აუყვანია „მცირისა საცხოვრებლისა თვისისა“. სწავლამოწყურებული ქაბუჯი 1763 წელს ანჩისხატის მონასტერთან არსებულ სასულიერო სემინარიაში შესულა, სადაც მისი მასწავლებლები ექსორობიდან იმხანად ახლად დაბრუნებული ანტონ I და ფ. ყაითმაზაშვილი იყვნენ. გაიოზს სემინარია 1765 წელს დაუმთავრებია და იმავე წელს იგი ანტონს დიაკვნად უკურთხებია.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ანტონ კათალიკოსს გაიოზი როგორც ნიჭიერი, პერსპექტიული პიროვნება საპატრიარქოში დაუტოვებია გადამწერად.

1772 წელს ერეკლე II თავისი წარმომადგენლები გაუგზავნია რუსეთს საიმპერატორო კართან დიპლომატიური მოლაპარაკების მიზნით ანტონ I და ლევან ბაგრატიონის ხელმძღვანელობით. ამ დროს ანტონს თან ხლებია გაიოზიც.

რუსეთიდან გაიოზი ქართველ ელჩებთან ერთად სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, იქ დარჩენილა და პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სასულიერო სემინარიაში შესულა. აქ მისი მასწავლებელი ყოფილა ცნობილი თეოლოგი და პედაგოგი, ტვერის არქიეპისკოპოსი პლატონ ლევშინი<sup>1</sup>.

1744 წელს გაიოზს სემინარია დაუმთავრებია და იმავე წლიდან მოსკოვის სლაუურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში გაუგრძელებია სწავლა.

რუსეთის ეს უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი დაარსდა 1685 წელს სოფიო თედორეს ასულის მეფობაში, პატრიარქ იოაკიმის აქტიური მხარდაჭერით, იეროდიაკონ კირიონ ისტომინისა და იერომონაზონ სილვესტარ მედვედევის ინიციატივით.

აკადემიის დანიშნულება იყო მაღალი იერარქიის მღვდელმთავართა მომზადება. ამიტომ მასში სწავლის უფლება ჰქონდათ მარტო სასულიერო წოდებიდან გამოსულ პირთ. 1769 წელს სინოდმა მიიღო საგანგებო დადგენილება, რომლის თა-

<sup>1</sup> Смирнов С., История московской словяно-греко-латинской Академии, М., 1855, с. 57.

ნახმალად გამოჩაყლისის სახით აკადემიაში შესვლის უფლება ეძლეოდათ აგრეთვე მესტამბე — გამომცემელთა ოჯახის წევრებსაც<sup>1</sup>.

მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურმა აკადემიამ თავისი არსებობის მანძილზე განვითარების სამი ძირითადი პერიოდი განვლო. ეს არის: 1) 1685—1700 წწ., 2) 1700—1775 წწ., 3) 1775—1814 წწ. აქედან ყველაზე ნაყოფიერად ბოლო, მესამე პერიოდი ითვლება. ამ დროს მისი რექტორი იყო ამავე სასწავლებლის აღზრდილი მიტროპოლიტი პლატონი. მკაცრი სააღმზრდელო დისციპლინის დანერგვასთან ერთად მან მოწინავე მასწავლებლებისა და წარჩინებული სტუდენტების წახალისების მიზნით დააწესა ფულადი ჯილდოები, ახალგაზრდების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით და სხვა. სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებით დაინტერესებული პლატონი დიდ ყურადღებას უთმობდა აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდის შევსებას ახალი გამოცემებით. 1777 წელს რექტორს ბიბლიოთეკისათვის შეუძენია 125 მანეთის წიგნები, 1778 წელსცა იმდენივე თანხისა<sup>2</sup>.

1776 წელს ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადაეცა მღვდელ-მთავარ გენადის მიერ დროთა განმავლობაში შეგროვებული წიგნები, 1777 წელს კი ვინმე სობაკინს ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს საკმაოდ დიდი თანხა წიგნების შესაძენად<sup>3</sup>.

1774—1778 წლებში-გაიოზის სტუდენტობის პერიოდში აკადემიაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: ლეთისმეტყველება, რიტორიკა, პოეტიკა, უმაღლესი გრამატიკა ანუ სინტაქსი, კატეხიზისი, საეკლესიო წესდება, ისტორია, მედიცინა და სხვა. მასწავლებლებად მიწვეული იყვნენ იმ დროის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი. რუსული ენის გრამატიკის ზოგად საფუძვლებს ასწავლიდა, მაგალითად, დიმიტრი არიოპაგიტელა, სინტაქსს — მიხეილ პონომაროვი, ბერძნულს — გაბრიელ სმირნოვი.

<sup>1</sup> Смирнов С., История московской славяно-греко-латинской Академии, М., 1855, გვ. 338.

<sup>2</sup> იქვე, ს. 273.

<sup>3</sup> იქვე.

გაიოზის დროს აკადემიაში სწავლობდნენ ცნობილი ქართველოლოგი, ევრონეის ილია წინასწარმეტყველის მონასტრის მღვდლის ალექსის შვილი, შემდეგში ეპისკოპოსი ევგენი ბოლხოვიტინოვი, თეთრი არწივის, წმინდა ანას პირველი ხარისხისა და ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენების კავალერი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ვასილ ივანეს ძე ბოლგარსკი, ფრანგული ენის შესანიშნავი მცოდნე, იმხანად აღიარებული მთარგმნელი ილია იაკობის ძე გრიშიშჩევი.

მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაიოზმა საფუძვლიანი ფილოსოფიური და ზოგადი ჰუმანიტარული განათლება მიიღო. ამას მოწმობს ის, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ქართლის მეფის ქაიხოსროს ასულის, ანას რჩევით რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ფილოსოფიური ხასიათის წიგნი „კიტაიის სიბრძნე“, რომლის წინასიტყვაობაშიც განმარტავს ნაშრომის თარგმნის მოკლე ისტორიას და მადლობას უხდის ანას კეთილი რჩევისათვის.

წიგნს დართული აქვს აგრეთვე გაიოზის მიმართვა მკითხველისადმი, რომელშიაც ახსნილია მიზეზი, რამაც განაპირობა ამ თხზულების თარგმნა. კერძოდ, გაიოზი გადმოგვცემს, რომ თარგმნისათვის ხელი მოაკიდებინა ქართულ ენაზე ზნეობრავი აღზრდის საკითხებზე წიგნების ნაკლებობამ. „გაიოზის ნათქვამს ადასტურებს თხზულებისავე შინაარსი: მასში დიდაქტიკური მოტივების ფონზე განხილულია ზნეობრივ-მორალური საკითხები და ანტიკურ ფილოსოფოსთა გავლენით გამოთქმულია შედარებით პროგრესული მოსაზრებანი იმდროინდელი საზოგადოებისათვის სრულყოფილი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად“<sup>1</sup>.

გაიოზის მიერ თარგმნილი „კიტაიის სიბრძნე“ 1784 წელს დაიბეჭდა თბილისში ერეკლე II სტამბაში. ამ წიგნის გამოცემამ გარკვეული გავლენა მოახდინა XVIII საუკუნის მიწურულისათვის ქართული პედაგოგიური აზრის შემდგომ განვითარებაზე.

1778 წელს რუსეთში უმაღლესი სასულიერო სწავლა-განა-

<sup>1</sup> ო. კასრაძე, ქართული წიგნის ბეჭდვის კერები (XVIII საუკუნეში), 1980, გვ. 90—91.

თლებამიღებული გაიოზი საქართველოში ბრუნდება და თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად იწყებს მუშაობას. ამ თანამდებობაზე დიდხანს არ დარჩენილა, 1779 წელს მღვდელ-მონაზვნად უკურთხებიან, 1780 წელს კი დიპლომატიური მისიით რუსეთში გამგზავრებულია. იქ კი უკვე მას ილუმენის ხარისხი მიუღია.

1782 წელს გაიოზი ისევ საქართველოშია. ამ დროს, მისი ინიციატივით არსდება თელავის სასულიერო სემინარია, რომლის პირველი რექტორიც თავადვე ხდება. 1783 წელს გაიოზი მონაწილეობას იღებს დაბა გიორგიევსკში რუსეთ-საქართველოს შორის ტრაქტატის დადებაში. ამის შემდეგ ჩამოდის საქართველოში, გიორგიევსკში გამართული დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგებს აცნობს ერეკლე II და მალე ისევ რუსეთში მიემგზავრება. ამის შემდეგ იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

რუსეთში ცხოვრებისას გაიოზს ჯერ საქართველოს საელჩოში უმსახურია, 1784 წლიდან 1793 წლამდე კი — „ოსებს შორის ქრისტიანობის გამაერცელებელ კომისიაში“. 1784 წელს ნოვგოროდის მიტროპოლიტს იგი ეკატერინე II თანდასწრებით არქიმანდრიტად უკურთხებიან<sup>1</sup>.

გაიოზის ცხოვრებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 1793—1799 წლები. ეს არის პერიოდი, როდესაც მას მოზღოკის არქიეპისკოპოსად მოუხდა მოღვაწეობა. ამ დროისათვის მის საეპარქიოში იქმნება საკმაოდ ძლიერი ლიტერატურული სკოლა, რომლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი გაიოზი იყო. აქ თარგმნიდნენ წიგნებს რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად, გადანუსხავენ იშვიათ ხელნაწერებს, ახორციელებდნენ მთელ რიგ სხვა კულტურულ-საქველმოქმედო ღონისძიებებს.

1796 წელს გაიოზის ინიციატივით მოზღოკში რომანოზ ზუბაშვილი აარსებს სტამბას, რომელმაც შემდეგში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. „თავისი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად ამ სტამბამ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო საქართველოში საგანმანათლებლო

<sup>1</sup> მ. დარჩია, გაიოზ რექტორი, 1972, გვ. 75.

საქმიანობის განვითარებას. ალა-მაჰმად-ხანის მიერ ერეკლე-  
ული სტამბის დანგრევის შემდეგ თელავისა და თბილისის სა-  
სულიერო სემინარიები, ეკლესია-მონასტრებთან არსებული  
კერძო სასწავლებლები, მოზდოკ-ყიზლარში გახსნილი დაწყე-  
ბითი განათლების სკოლები სახელმძღვანელოების გარეშე  
დარჩნენ. ამ საქმის გამოსწორება წილად ხვდა მოზდოკის  
სტამბას. ეს იყო ე. წ. მცირე წარმადობის სპეციალიზებული  
საწარმო, რომელიც იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ  
სასკოლო სახელმძღვანელოებს ბეჭდავდა. ამისათვის ყოფილა  
თავიდანვე ეს სტამბა გამიზნული, რასაც მასში დაბეჭდილი  
წიგნების პროფილის გარდა ექვემიუტანლად მოწმობს ერთად-  
ერთი სანეობის შრიფტის — მხედრულის არსებობა.

მოზდოკის სტამბა სახელმძღვანელოებით ამარაგებდა რო-  
გორც ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ქართულ სკოლებს,  
ასევე საქართველოში მოქმედ სასწავლებლებს. მარტო 1805  
წლის იანვარში გაიოხს ამ სტამბაში დაბეჭდილი 600 ცალი  
„ანბანი“ და 630 ცალი „გრამატიკა“ გამოუგზავნია თბილისის  
კეთილშობილთა სასწავლებლებისათვის“.

1796—1800 წლებში დაბეჭდილი გაიოხის „გრამატიკა“  
ქართული ენის მეცნიერულად შესწავლის პირველი ცდაა. თუ  
რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ წიგნს, ამას მოწმობს  
ის ფაქტი, რომ სანამ ს. დოდაშვილის „შემოკლებული კანონი  
ქართულისა ღრამატიკისა“ და პლ. იოსელიანის „პირველ-და-  
წყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისა“ დაიბეჭდებოდა,  
XVIII საუკუნის სკოლებში მშობლიურ ენას გაიოხის „გრამა-  
ტიკით“ ასწავლიდნენ.

მოზდოკში დაბეჭდილი „გრამატიკა“ დაწერილია მარტა-  
ვად, გასაგებად. იგი დაყოფილია პარაგრაფებად. პირველ პა-  
რაგრაფში ავტორი იძლევა გრამატიკის რაობის განსაზღვრას.  
იგი წერს: „ღრამატიკა არს სწავლა თვისებათა და ხმარება  
ასოთა“, „პაზრისა ასოთა გამოხატვა“. ამის შემდეგ მოტანი-  
ლია „განყოფის“, ანუ პუნქტუაციის ნიშნები და იქვე ახსნილ-  
განმარტებულია მათი შესატყვისი სახელწოდებანი; სახელ-  
დობრ, „ამას ეწოდების მძიმე, ამას წერტილი... ამას ორი წერ-  
ტილი, ამას საკითხავი (კითხვითი ნიშანი — ო. კ.), ამას გადა-



სატანი, ამას ფრჩხილი, ამას უბრჯგუ, ამას განსაკვირვებელი (ძახითი ნიშანი — ო. კ.)“.

„განყოფის“ ნიშნების გარდა, გაიოზი იძლევა ნაცვალსახელის, წინდებულისა და ა. შ. განსაზღვრას. საერთოდ, წიგნში მართლწერის საკითხებთან ერთად განხილულია აგრეთვე ქართული ენის სინტაქსურ-მორფოლოგიური ნორმებიც.

მეცნიერულ-დიდაქტიკური პედაგოგიკური პრინციპითაა აგებული აგრეთვე გაიოზ რექტორის მიერ შედგენილი მეორე სასკოლო სახელმძღვანელო — „ანბანი“, რომელიც 1797 წელს დაიბეჭდა მოზდოკის სტამბაში, მასში დაწყებითი კლასების მოსწავლეთა გონებრივი დონის გათვალისწინებით მოხერხებულადაა შერჩეული სავარჯიშოები საეკლესიო წიგნებიდან და მოცემულია მოკლე დარიგება წერა-კითხვის შესასწავლად.

1796 წელს მოზდოკის სტამბაში იბეჭდება რ. ზუბაშვილის მიმართვა გაიოზისადმი, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან მასალებს ამავე სტამბის ისტორიის შესწავლისათვის, 1801 წელს აქვე გამოდის პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტი „განწესება შინაგანისა საქართველოსა“, რომელიც ქართული ხალხის ისტორიის ამსახველი სარწმუნო რეალური წყაროა.

1799 წელს მოზდოკის ეპარქია გაუქმდა და ასტრახანის ეპარქიას შეუერთდა. ამ რეორგანიზაციის შედეგად გაიოზი ასტრახანის ეპისკოპოსად გადაიყვანეს, რის გამოც 1803 წელს მოზდოკის სტამბაც დაიხურა.

გაიოზი მთელი 17 წელიწადი ედგა სათავეში ასტრახანის ეპარქიას. გარდაიცვალა იგი 1821 წლის 21 თებერვალს.

### რომანოვ ზუბაშვილი

რ. ზუბაშვილს განსაკუთრებული აღგილი უჭირავს ძველი ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორიაში. იგი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო ერეკლე II, მოზდოკის, ქუთაისისა და სოფელ წესის სტამბების აღდგენა-დაარსებისა. ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, რომ რომანოვი ორ გვარ-სახელს ატარებდა — რაზმაძე-ზუბაშვილს. აქედან გამომდინარე აღრე

ფმართებულო მოსაზრება გეჭონდა გამოთქმული. რადგანაც მთელ რიგ ძველად გამოცემულ წიგნებში სიტყვა „ზუბაშვილი“ დეფიზიტაა წარმოდგენილი („ზუბა-შვილი“), ვფიქრობდით, რომ რომანოზის ნამდვილი გვარია რაზმაძე, ხოლო ზუბაშვილი მამის სახელიდანაა ნაწარმოები და აღნიშნავს, თუ ვისი შვილი იყო რომანოზ რაზმაძე. ბოლოს ვასკენიდით, რომ მამამისს ზუბა ერქვა სახელად<sup>1</sup>. ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს 1784 წელს დაბეჭდილი „დაუჯდომელის“ ფრაგმენტი, მასში შემორჩენილია ასეთი ცნობა: „აღსრულდა. დიდება ღმერთსა... ხელთა მესტამბე ზუბაშვილი, ღვთისია მოურავის ძის რომანოზისათა“<sup>2</sup>. ამ ამონაწერით ირკვევა, რომ რომანოზის მამას ზუბა კი არა ერქმევია, როგორც ამას ადრე ვფიქრობდით, არამედ ღვთისო, ანუ ღვთისავარი. აქედანვე ვგებულობთ, რომ იგი მოურავი ყოფილა, მაგრამ ვისი, ეს კი არ ჩანს. ამრიგად, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ზუბაშვილი“ არცთუ ისე შორეული წინაპრის, ვინმე ზუბა, ანუ ზუბალა რაზმაძიდან მომდინარე შტოს საგვარეულო სახელია.

რომანოზი სასულიერო პირია. წიგნების ბეჭდვის ხელოვნებას კონსტანტინოპოლიდან მოწვეულ სომეხ მესტამბე პ. არაპიანთან დაუფლებია. მას სტამბაში მთელი ათი წელი უმსახურია და ამ ხნის განმავლობაში დაუბეჭდია: 1786 წელს „სახარება“; 1788 წელს „ზატიკი“, 1790 წელს „დაუჯდომელი“, 1791 წელს „ჟამნი“, „სამოციქულო“ და „სახარება“, 1793 წელს „კონდაკი“, „მარხვანი“, „მცირე ლოცვანი“ და ა. შ.

1795 წელს თბილისის აონრებისა და სტამბის დანგრევის შემდეგ, რომანოზი თავისი ცოლ-შვილით მოზდოკს გაქცეულა და გაიოზ რექტორთან შეუფარებია თავი. აქ მას დაუარსებია სტამბა და 1796—1797 წლებში სოლომონ II მოწვევით სამშობლოში დაბრუნებულა. იმერეთის მეფეს მესტამბე გულთბილად მიუღია და უხვადაც დაუმწყალობებია. სოფელ წეს-

<sup>1</sup> ო. კასრაძე, კრიტიკული ნარკვევები, 1968, გვ. 32.

<sup>2</sup> საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A, № 1314.

ში როსტომ ერისთავის სასახლე, ბარაკონის ეკლესიის გასწვრივ სახნავ-სათესი მიწები და რამდენიმე ყმა უჩუქებია<sup>1</sup>.

სოლომონ II მიერ მიცემული წყალობის სიგელიდან ირკვევა, რომ რომანოზს სამი შვილი ჰყოლია: იოანე, დავითი და ალექსანდრე. დავითი მამის კვალს გაჰყოლია და ისიც მესტამბე გამხდარა.

რ. ზუბაშვილს იმერეთში ჩამოსვლის შემდეგ აქტიური მონაწილეობა მიუღია ქუთაისის სტამბის გამართვის საქმეში და გ. პაიჭაძის მოსკოვში გადასვლის შემდეგ თვითონ ჩადგო-მია სათავეში წიგნების ბეჭდვას. მისი ხელმძღვანელობით გამოუციათ 1803 წელს „კურთხევეანი“ და „სახარება ვნების კვირიაკისა“, 1807 წელს — „დავითნი“ და 1808 წელს „ჟამნი“.

მალე რომანოზი სტამბას აარსებს სოფელ წესშიაც, სადაც 1809 წელს ბეჭდავს „ლეთისმშობლის სავედრებელს“, ხოლო 1810 წელს — „ლოცვანს“. მას განზრახული ჰქონია მესამე წიგნის — „გამოკრებული სადღესასწაულოს“ დაბეჭდვაც, მაგრამ აღარ დასცალდა. 1811 წელს გარდაცვლილა<sup>2</sup>.

დასაფლავებულია რომანოზი სოფელ წესში, ბარაკონის ეკლესიის ეზოში.

### გიორგი პაიჭაძე

გ. პაიჭაძე ქუთაისში პირველი სტამბის დამაარსებელია. ბევრი რამაა მის სახელთან დაკავშირებული აგრეთვე XIX საუკუნის დამდეგისათვის მოსკოვში მოქმედ ვარლამ ეგზარქოსისეული ქართული სტამბის ისტორიიდან.

გიორგის წინაპრები, კერძოდ, მისი დიდი პაპა დავითი, საპაიჭაოელი გლეხი ყოფილა<sup>3</sup>. XVIII საუკუნის 50—60-იან წლებში მას თავის ძმებთან ზაალთან და ივანესთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიუღია იმერეთის ციხესიმაგრეებში განლაგებულ ოსმალთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. ისინი არაერთხელ დასხმიან თავს ოსმალებს ფოთში ჩასაყვანი

<sup>1</sup> ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბუთი № 1139.

<sup>2</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 86.

<sup>3</sup> ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბუთი № 785.

ქართველი ტყვეების წასართმევად. ანგარიშის გასწორების მიზნით მუხანათურად ჩასაფრებულ ოსმალებს უთანასწორო ბრძოლაში ერთ-ერთი ძმა მოუკლავთ, ხოლო თავად დავითი მძიმედ დაუჭრიათ. ქვეყნისა და ერის წინაშე ერთგულების გამოჩენისათვის იმერეთის მეფეს ალექსანდრეს დავითისათვის ტახტის აზნაურობა უბოძებია<sup>1</sup>.

ალექსანდრე მეფის გარდაცვალების შემდეგ, ქუთაისში ოსმალთა მომძლავრების გამო, დავით პაიჭაძეს თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი ქართლში გაუხიზნავს. სწორედ ეს გიორგი დავითის ძე იყო მესტამბე გიორგი პაიჭაძის პაპა.

ქართლში გადმოსახლებული გ. პაიჭაძის პაპა იმერეთში აღარ დაბრუნებულა საცხოვრებლად. აქაური ქალი შეურთავს ცოლად და დაოჯახებულა. ქართლში უნდა იყოს დაბადებული თავად გიორგის მამაც.

როგორც ირკვევა, გ. პაიჭაძეს ანჩისხატის ანტონ კათალიკოსისეულ სკოლაში უსწავლია, რომლის დამთავრების შემდეგაც ოჯახს მოჰკიდებია და ხუთი შვილი შესძენია: დავითი, სოლომონი, სიმონი, ივანე და დიმიტრი. სავარაუდოა, რომ წიგნების ბეჭდვის საქმე მას ანტონისავე თაოსნობით ერეკლეს სტამბაში ჰქონდა შესწავლილი.

1795 წლამდე გიორგის თბილისში უცხოვრია, ხოლო აღმაკმად-ჯანის თბილისზე თავდასხმის შემდეგ სახლ-კარი მიუტოვებია და ოჯახით იმერეთში გადასახლებულა. სოლომონ II სიგელში ნათქვამია: ოდეს „ყოჯა ხანმან ტფილისი აღაოხრა შენი საცხოვრებელი სრულად დაგეკარგა, მხოლოდ შენ-ის სახლობით იმერეთს გადმოხველ. რა ესე ვითარ განსაცდელი და მწუხარება შენი ვიხილეთ, ქუთაისს სამოსახლო ადგილი გიბოძეთ და შეგიწყალეთ და მიგიღევით“<sup>2</sup>.

სოლომონისავე დავალებით გ. პაიჭაძე ქუთაისში დასახლებისთანავე შესდგომია სტამბის მოწყობას და 1800 წელს უკვე პირველი წიგნიც დაუბეჭდია — „დავითნი“. ამ დიდი ეროვნული საქმისათვის სოლომონს გ. პაიჭაძე უხვად დაუმწყალობებია. 1800 წლის 5 თებერვლის სიგელში ვკითხულობთ:

<sup>1</sup> ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბუთი № 785.

<sup>2</sup> იქვე.

„სრულიად იმერთა მეფე სოლომონ გიბრძანებ, ვინც ვინ ჩემს საბრძანებელში მოხელენი, მებაყენი, ანუ მეციხოვნენი ხართ, ჭიდროთშია, ონის ქალაქშია, წესშია, ნოტეე ციხეშია, თუ აქ ქუთაისშია ანუ სხვაგან სადაც ჩემის საბრძანებელშია, ამ ჩვენმა აზნაურიშვილმან გიორგი პაიჭაძემ გამოიაროს ამას არსად ხმა არ გასცეთ ან არ აწყენინოთ რა და ან არა სთხოვოთ რა, და თუ სადმე ბარგებისათვის ცხენი დასჭირდეს, ანუ კაცი, დაუყოვნებლად მისცეთ, და ყველგან კარგად დაუხდეთ და ემსახუროთ თორემ თუ ამ კაცს აწყენინეს რამე, ჩუვენდა მოლაღატედ მოვიკითხავთ იცოდეთ“<sup>1</sup>.

„დავითნის“ დაბეჭდვის შემდეგ გ. პაიჭაძე ქუთაისში დიდხანს აღარ დარჩენილა. რუსეთის სინოდის წევრს, არქიეპისკოპოს ვარლამ დავითის ძე ქსნის ერისთავს, იგი მოსკოვში მიუწვევია, სადაც 1805 წელს დაუბეჭდია ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილი „სადღესასწაულო“. შემდეგ გიორგი კვლავ თბილისში ბრუნდება. 1810 წელს იგი სათავეში უდგება ვარლამის მიერ გახსნილ სტამბას.

### როსტომ ნიშარაძე

რ. ნიქარაძე ქუთაისის სტამბის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა. 1800 წელს „დავითნის“ ბეჭდვის დროს იგი პირველსავე დღიდანვე გვერდში ედგა გ. პაიჭაძეს.

ძველი საბუთების მიხედვით როსტომი თავისი დროისათვის საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა. სოლომონ II სამეფო კარზე ქილიფთართუხუცესის თანამდებობა სტეპარია. „დავითნის“ ტექსტის ბოლოს მის შესახებ ნათქვამია: „ზედა მხედველობით ქილიფთართ უხუცესის როსტომ ნიქარაძისათა და ღრამატიკისა კანონსა ზედა შესწორებულ იქმნა ტფილისის დაბეჭდილს დავითნზედ. როგორც ის იყო, ისე გავმართეთ“<sup>2</sup>.

„ქილიფთარი“ სამეურნეო დარგის მუშაკს ნიშნავს. ძვე-

<sup>1</sup> ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბუთი № 785.

<sup>2</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 78.

ლად მეფეთა და დიდებულთა სასახლეებში ქილიფთარი ღვი-  
ნისა და საერთოდ სასმელების მნე ყოფილა. სხვაგვარად აქვს  
განმარტებული ეს თანამდებობა შ. ბურჯანაძეს. მისი განცხა-  
დებით „ქილიფთარი“ იმერული დიალექტის მიხედვით აღზრ-  
დელს, მომვლელს, მზრუნველს ნიშნავს. იგი ყურადღებას ამა-  
ხვილებს ისტორიკოს ნ. დადიანის „ქართველთა ცხოვრებაში“  
მოტანილ 1796 წლის ერთ-ერთ საბუთზე და წერს: „ეს რომ  
საკმარისი საბუთი იყოს, უნდა გვეფიქრა, რომ ნიჟარაძე იმე-  
რეთის მეფის კარზე უფლისწულთა აღზრდის მეთაური ყო-  
ფილა“<sup>1</sup>. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ როსტომ ნიჟარა-  
ძე თავისი დროისათვის საკმაოდ განსწავლულ-განათლებული  
პირი ყოფილა, რადგანაც მისთვის მიუხდევიათ „დავითნის“  
„ღრამატიკისა კანონსა ზედა“ გამართვა, მაშინ შ. ბურჯანაძის  
ორკოფული მოსაზრება ქილიფთართუქუცესი რ. ნიჟარაძის  
იმერეთის სამეფო კარზე უფლისწულთა აღზრდის თავკაცობის  
შესახებ, მართალი უნდა იყოს.

რ. ნიჟარაძე, როგორც დიდგვირი და გავლენიანი პირი,  
ახლო მდგარა თვით მეფესთანაც. იგი სოლომონ II მრჩევე-  
ლიც კი ყოფილა.

სამეგრელოს მართვა-გამგებლობაზე გრიგოლ კაციას ჭე  
დადიანსა და სოლომონ II შორის ჩამოვარდნილი მტრობის  
გამო ნ. დადიანი წერს: „თუმცა მრავალგზის ევედრა გრიგოლ  
დადიანი მეფესა, რათა დააცხროს მას ზედა ესევეთარი მოქ-  
მედება და მოახსენოს მას უწინდელი მსახურება მის და რაცა  
სთხოოს აღუსრულოს მას, — გარნა არა ისმინა მეფემან და  
უმეტეს შესძინა ღვენა გრიგორისა ვინაითგან თან-გზზრახნი  
მეფისანი და ვაზირნი მისნი: ქაიხოსრო პაპუნას ძე წერეთე-  
ლი, ორნი ძმანი წულუკიძენი: ოტია და სეხნია და როსტომ  
ნიჟარაძე, ესენი ურჩევდნენ მეფესა და ეტყოდნენ გრიგოლის  
არ შეწყნარებასა, ხოლო მეფე თქმულთა მათთა ვერ წინაღუ-  
დებოდა“<sup>2</sup>. ჩანს, ქ. წერეთელთან და წულუკიძეებთან ერთად  
რ. ნიჟარაძეს იმდენი გავლენა და წონა ჰქონია, რომ ნ. დადი-  
ანის თქმით „მეფე თქმულთა მათთა ვერ წინაღუდებოდა“.

<sup>1</sup> ნ. დადიანი, ქართველთა ცხოვრება, 1962, გვ. 242.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 192.

1800 წელს გამოცემულ „დავითნის“ გარდა, ქუთაისის სტამბაში დაბეჭდილ სხვა წიგნებში რ. ნიუარაჩის სახელი აღარ იხსენიება.

### ზურაბ წერეთელი

ზ. წერეთელი ცნობილი ისტორიული პირია. იგი, როგორც თვალსაჩინო დიპლომატი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ახლოს იდგა იმერეთის სამეფო კართან და XVIII საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურსა თუ კულტურულ ცხოვრებაში.

ზურაბს სოლომონ I განსაკუთრებული ნდობა და ავტორიტეტი მოუპოვებია. ამას მოწმობს 1784 წლის 21 აპრილს დავით კვინიჩიძესთან ერთად მისი ეკატერინე II ელჩად წარგზავნა დიპლომატიური მისიით და იმპერატრიცასადმი გაგზავნილი სოლომონ I წერილი, რომელშიაც ზურაბი შემდეგნაირადაა დახასიათებული: „შესავედრებლად გვიახლება დიდებულის ტახტისა წინაშე ჩვენზედ მრავალრიგად მაჰით და სახლით ნამსახური, ჩვენი ერთგული და ჩვენგან ფრიად შეყვარებული, კნიაზ წერეთელი, ჩვენი სიძე და ჩვენი სახლთუხუცესი ზურაბ, სარდალი მარადის ქვეყნისა ჩვენისა“<sup>1</sup>.

დიდგეზირ სახლთუხუცესისა და სარდლის თანამდებობა სჭერია ზურაბს აგრეთვე დავით II მეფობის დროს. ელჩების რუსეთს გამგზავრების შემდეგ სამი დღეც კი არ იყო გასული, რომ სოლომონ I გარდაიცვალა. მის მაგიერად იმერეთის სამეფო ტახტზე ახლად ასულ დავითს გზაში მყოფ ელჩებისათვის კათალიკოსი მაქსიმე ქუთათელი დაუდევნებია და თან ეკატერინე II გადასაცემი სიგელი გაუტანებია. მასში იგი ერთგულება-მორჩილებას ჰპირდება რუსეთის საიმპერატორო კარს და ამასთანავე სოლომონ I მიერ გაგზავნილი ელჩების — ზურაბ წერეთლისა და დავით კვინიჩიძის რწმუნებას ადასტურებს. სიგელში ვკითხულობთ: „სწრაფის მგზავრობით გვიახლება“

<sup>1</sup> ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1965 წ., გვ. 276.

დიდი უფალი და მწყემსი — მთავარი ჩვენი, ამისი უწყმინდესობა კათალიკოსი ყოვლისა საიმერეთოსა და აფხაზეთისა მაქსიმე, და ამასთან ჩვენის ქვეყნის უპირატესი სარდალი და სანლთუხუცესი, და სიძე ჩემი კნიაზი წერეთელი ზურაბ, და ამასთან მდივანბეგი ჩვენი კნიაზი დავით<sup>1</sup>.

ზურაბ წერეთლის ცხოვრება-მოდვაწობა ყველაზე უფრო ნანგრძლივი დროით სოლომონ II სამეფო კართანაა დაკავშირებული. იგი როგორც უპირველესი მრჩეველი და მარჯვენა ხელი იმერეთის უკანასკნელი მეფისა, მონაწილეობას ღებულობდა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. შეიძლება — ითქვას, რომ არ ყოფილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი თუ ღონისძიება, რომელთა გადაწყვეტა-განხორციელებაში მასაც თავისი წვლილი არ შეეტანოს. იგი თავკაცობდა, სახელდობრ, სოლომონ II დელეგაციას, რომელიც ეწვია 1700 წელს ერეკლე II და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გაერთიანება შესთავაზა. 1795 წელს ზ. წერეთელმა იმერეთის მაშველ ჯართან ერთად მონაწილეობა მიიღო ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სახელი და ავტორიტეტი ზურაბ წერეთელს არც იმერეთში რუსეთის მმართველობის დამკვიდრების შემდეგ დაუკარგავს. მას კარგად აუღია ალლო ახალი ცხოვრებისათვის და თავისი გამჭირაობით იმდენი დაუმსახურებია საიმპერატორო კარას წინაშე, რომ გენერლის ჩინთან ერთად ანდრია პირველწოდებულის ორდენიც მიუღია.

უკვალოდ არც ზ. წერეთლის ძმების ქაინოსროსა და ბერის მოღვაწეობას ჩაუვლია. პირველს სარდლის სახელო ეკავა იმერეთის სამეფო კარზე, ზოლო მეორეს — მოურავისა.

ზ. წერეთელი ახლოს იდგა არა მარტო იმერეთის, არამედ სამეგრელოს სამთავროს გავლენიან ფეოდალურ წრეებთანაც. მას ცოლად ჰყავდა დადიანის ასული თამარი — ქალი ღვთისნიერი და განსწავლულ-განათლებული. როგორც საარქივო წყაროებიდან ირკვევა, ზურაბს და თამარს სამი შვილი შესძენიათ: გრიგოლი, ქეთევანი და დავითი. გრიგოლს მამის მსგავსად რუსეთის მმართველობის საქმოდ დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია და გენერლის ჩინიც კი დაუმსახურებია. დავითი

<sup>1</sup> Цагарели А., Грамоты, т. II, с. 21.



ქი ღეთისმსახურებას გააპყლია და ჰყონდიდის მიტროპოლიტის ხარისხით გარდაცვლილა. მის ამ მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე ყოფნას მოწმობს ცნობილი წიგნის „ცხოვრებაი კლემენტოს რომის პაპის“ გადამწერის თავად დავითისათვის მირთმეული წერილი, რომელშიც ნათქვამია: „თქუ ჰნო ყოვლად უსამღვდელოესობავ, იმერეთა სახლთუხუცესის ღენერალ კავალერისა ზურაბ წერეთლისა ძეო და სრულიად მუადრელიისა და სამთავროისა მწყემსმთავარი ესე იგი მინდრელთა, აფხაზთა, სვანთა და თავკვერთა ჰყონდიდის მიტროპოლიტო დავით“<sup>1</sup>.

რაც შეეხება ზურაბის ერთადერთ ასულს ქეთევანს, მას დედის ხელმძღვანელობით კარგი აღზრდა მიუღია და შემდეგ ერეკლე II რძალი გამხდარა. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ ქალს დიდხანს არ უცოცხლია. 1823 წელს იგი უეცრად გარდაცვლილა<sup>2</sup>.

ზ. წერეთელმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული წიგნების ბეჭდვას. 1803 წლიდან, სოლომონ მეორისაგან ქუთაისის სტამბის იჯარით ალების შემდეგ, იგი სათავეში უდგება საგამომცემლო საქმიანობას და უნარიანად წარმართავს მას. იმავე წელს „დავითნის“ გარდა, მისი „საფასითა და ზედამხედველობით“ იბეჭდება „სახარება ენების კვირიაკისა“, 1807 წელს — „დავითნი“, 1808 წელს — „ჟამნი“, ხოლო 1810 წელს „ლოცვანი“.

1811 წლიდან ზურაბ წერეთელი სოფელ წესში ახლად დაარსებულ სტამბასაც უწევს მეურვეობას. აქ იგი თავისი ხარჯით აგრძელებს ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვრის სოფრომის მიერ დაწყებული „სადღესასწაულოს“ ბეჭდვას.

1815 წლიდან ზ. წერეთელს წესის სტამბა საწერეთლოში, ანუ საჩხერეში გადააქვს და იქ, თავის სასახლეში, აგრძელებს დიდ ეროვნულ საქმეს — ქართული წიგნების ბეჭდვას.

ცოლისა და ასულის დაკარგვის შემდეგ ზურაბს დიდხანს აღარ უცოცხლია, გარდაიცვალა იგი 1824 წლის 1 იანვარს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H, № 1695.

<sup>2</sup> თ. უორდანი, ჰრონიკები, ტ. III, 1967 წ., გვ. 513.

<sup>3</sup> საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q, № 913.

სოფროში დასავლეთ საქართველოს ძველ საეკლესიო საბუთებში უმეტესად „ნიკოლოზ წმინდელ არქი-ეპისკოპოსად“, ანუ ნიკორწმინდის მონასტრის მღვდელმთავრად იხსენიება. თ. ჟორდანიას ცნობით იგი გვარად წულუქიძე ყოფილა და 1821 წელს გენერალ გარჩაკოვს მისთვის არქიეპისკოპოსობა უბოძებია. „ჩუკა წელსა — გადმოგვცემს თ. ჟორდანია, — მიიღო ღენერლობა იმერეთის მმართველმა კნიაზ გარჩაკოვმა და იქმნა იმერეთის მმართველ... ხოლო უმაღლესობის ბრძანებით დაადგინა იმერეთის არხიეპისკოპოსად სოფრონიოს არხიერი გვართ წულუქიძე“<sup>1</sup>.

ძველი ნაბეჭდი წიგნების საგამომცემლო მონაცემებიდან ირკვევა, რომ სოფრომს აქტიური მონაწილეობა მიუღია სოფელ წესის სტამბის დაარსებაში. 1809 წელს აქ დაბეჭდილ ღვთისმშობლის სავედრებელში, ტექსტის ბოლოს ნათქვამია: „ყოვლად-სამღვდლო ნიკოლოს წმინდელ არხიეპისკოპოსი სოფრონ შემწე ექმნას სტამბის ამის საჭიროთა ნივთთაზედა“<sup>2</sup>.

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ სოფრომს სათანადო სახსრები გაუღია სტამბისათვის ზოგიერთი მოწყობილობის შესაძენად. მაგრამ სოფრომის დამსახურება მარტო ამით როდი ამოიწურება. მას პრაქტიკული მონაწილეობაც მიუღია დასაბეჭდი წიგნების ტექსტის მომზადებაში. 1811 წელს წესში გამოცემულ „გამოკრებულ საღმრთო საწაულოს“ თავფურცელში ვკითხულობთ: „დაიბეჭდა საღმრთო და საეკლესიო წიგნი ესე... გულის მოდგინებითა, შრომითა და ღვაწლითა ყოვლად სამღვდელთა ნიკოლოს-წმინდელ არხიერის სოფრონიისათა“<sup>3</sup>.

არ მოიპოვება წესის სტამბაში დაბეჭდილი არც ერთი წიგნი, რომელიც სოფრომის ფულადი დახმარებისა ანდა მისი „შრომითა და ღვაწლით“ არ იყოს გამოცემული.

<sup>1</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 642.

<sup>2</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 87.

<sup>3</sup> იქვე.

ქუთაისის სტამბაში დაარსების პირველსავე ხანებში თაობათა ერთგვარი ცვლა მოხდა, 1800 წელს, „დავითნის“ დაბეჭდვის შემდეგ, სტამბიდან წავიდნენ რ. ნიუარაძე, დ. მესხი და მათ ნაცვლად მოვიდნენ ზ. წერეთელი, რ. ზუბაშვილი და ზაქარია არქიმანდრიტი.

ზაქარია გვარად გურგენიძე ყოფილა. დ. კარიჭაშვილი წერს: „საჩხერეში 1817 წელს დაბეჭდილ სახარების ერთ ცალზე ყოფილა წარწერა, რომლის მიხედვით ზაქარია ყოფილა გოდოგნელი აზნაური გურგენიძე“<sup>1</sup>. ამ ცნობას სარწმუნოს ხდის გელათის არქიმანდრიტის ნიკოლოზის მიერ 1835 წლას 27 ნოემბერს ქუთაისის სტამბის თაობაზე სინოდისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათი. მასში ნათქვამია, რომ ზაქარიას შემდეგ სტამბის მოწყობილობა გადავიდა „განკარგულებაში შინა ძმის მისისა, ან უკვე მიცვალებულის გიორგი გურგენიძისა, რომელმაცა მოიხმარა იგი თავისის სასარგებლოდ“.

ქუთაისის სტამბაში მოღვაწეობის დაწყებამდე გაცოლებით ადრე, ზაქარია გარეჯის მონასტერში ყოფილა ბერად აღკვეცილი. 1815 წელს საჩხერეში გამოცემულ „სამოციქულოს“ მინაბეჭდვში ვკითხულობთ: „სტამბისა ამისა ყოვლითურთ მმართველი და ზედამდგომელი საქართველოს მრავალ მთას გარეჯის ბერი გენათის არქიმანდრიტი ზაქარია“<sup>2</sup>.

როდის ან როგორ მოხვდა ზაქარია გარეჯიდან ქუთაისში, ამის შესახებ რაიმე ოფიციალური საბუთი არ გავაჩნია. შეიძლება იგი უთანაგრძობდა ზ. გაბაშვილს ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ ბრძოლაში და „ვითარცა სულიერი ძმა“ ანდა მოწაფე თან გაჰყვა მას 1767 წელს ჭერ რუსეთში, შემდეგ კი ქუთაისში.

გარეჯელი ბერი ქუთაისში პატივით მიუღიათ და მალე გელათის არქიმანდრიტად დაუწინაურებიათ. აქ მას ღვთისმსახურებასთან ერთად ხელი მიუყვია საეკლესიო წიგნების გადა-

<sup>1</sup> დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 111.

<sup>2</sup> ქართული წიგნი, 1941, გვ. 88.

წერისათვის<sup>1</sup>. ალბათ, ამიტომ იყო, რომ 1803 წლიდან ქუთაისის სტამბაში მიიწვიეს „გამგებელ-ზედამხედველად“ და საბეჭდო წიგნების „კანონსა ზედა გამმართველად“. მისი აქტიური მონაწილეობით იბეჭდებოდა „კურთხევეანი“, „სახარება ვენების კვირიაკისა“, „დავითნი“, „ჟამნი“, და „ლოცვანი“.

ზანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გ. წერეთელს ზაქარია დაუყოლიებია და 1815 წელს ქუთაისიდან ახლად დაარსებულ საჩხერის სტამბაში გადაუყვანია. აქ მას მუშაობა დიდხანს არ დასცალდა. სოლომონ II ხელმოწერილი ყალბი საბუთის შედგენა დაუბრალებიათ, რის გამოც დაუპატიმრებიათ და ოსე გაბაშვილთან ერთად ბელგოროდში გადაუსახლებიათ, სადაც იგი 1824 წელს გარდაცვლილა.

### კატრა ქებაძე

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთა შორის პეტრე ქებაძეს გამოირჩეული ადგილი უკავია 1802 წლიდან ყოფილი ერეკლე II სტამბის გაუქმების გამო სამუდამოდ დასაფიწყებლად განწირული ეროვნული საგამომცემლო საქმის ხელახალ აღორძინებაში. წლების მანძილზე მას „ჩამკითხველად“ ანუ კორექტორად უმუშავია არქივისკოპოს ვარლამ ერისთავის მიერ 1810 წლიდან სინოდისათვის უსასყიდლოდ გადაცემულ ქართულ სტამბაში.

თავის დროზე ერთობ გახმაურებული ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლის „მიმოსულის“ ავტორთან, ცნობილ მესტამბე-გამომცემელ მიტროპოლიტ იოანე გედევანიშვილთან ერთად 1815 და 1820 წლებში იგი ბეჭდავს „ლოცვანს“. ხოლო 1826 წელს გიორგი XIII ქვრივის დედოფალ მარიამის მღვდლის პარმენ წინამძღვრიშვილის დახმარებით ამავე წიგნს საკუთარი ხარჯით აქვეყნებს.

დოკუმენტური მასალებით ირკვევა, რომ პ. ქებაძე საერო

---

<sup>1</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკ. II, 1962, გვ. 544.

პირი ყოფილა. ერთგან იგი კანცელარისტად იხსენიება<sup>1</sup>, მეორეგან კოლეჯესკი რეგისტრატორად<sup>2</sup>.

როდის და სად დაიბადა პ. ქებაძე, ამის შესახებ სარწმუნო მასალების გარეშე ექვემიუტანლად რაიმეს თქმა ძნელია. შესაძლებელია იგი წარმოშობით მაშინდელი გორის მაზრის სოფელ ქებაანიდან იყო<sup>3</sup>. ალბათ ამით უნდა აიხსნას მისი ხშირი სტუმრობა გორში და ის ახლო ურთიერთობა, რომელიც მას იქაურ იმდროინდელ მოწინავე საზოგადოებასთან ჰქონდა.

არაფერი ვიცით არც პ. ქებაძის მშობლების შესახებ, დოკუმენტურად დასტურდება მხოლოდ ის, რომ მამამისს სახელად ივანე რქმევია.

პ. ქებაძეს სწავლა-განათლება მიტროპოლიტ იოანე გედევანიშვილთან მიუღია. იგი ბავშვობიდანვე ამ შესანიშნავი მოღვაწის ზედამხედველობით იზრდებოდა. პეტრე თან ხლებდა თავის მოძღვარს იერუსალიმსა და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში „წმინდა ადგილების“ მოსანახულებლად. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სწორედ იოანეს შემწეობით მოხვდა მოსკოვში საზღვარგარეთ ერთობლივი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ.

მოსკოვში ცხოვრების პერიოდი მეტად შედეგიანი გამოდგა პ. ქებაძისათვის. საგამომცემლო საქმიანობასთან ერთად იგი ნაყოფიერ კულტურულ-შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან მალე გაითქვა სახელი, როგორც შესანიშნავი ბიბლიოფილმა, კოლექციონირმა, კალიგრაფ-გადამწერმა. კალამი უცდია მწერლობაშიც — გადმოუქეთებია სუმარკოვის პიესა „სინავ და ტროვოროვი“<sup>4</sup>.

მოსკოვში ცხოვრების დროსვე პ. ქებაძეს ახლო ურთიერთობა დაუმყარებია მარი ბროსესთან. იგი „დიდად ექმარებო-

<sup>1</sup> იხ. 1826 წელს გამოცემული „ლოცვანისათვის“ ტექსტის ბოლოს დართული მინაბეჭდი.

<sup>2</sup> მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, 1983, გვ. 202.

<sup>3</sup> სოფელი ქებაანი, სადაც მარტო ქებაძეები ცხოვრობენ, დღეს კასპის რაიონს ეკუთვნის.

<sup>4</sup> მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, 1983, გვ. 202.

და მოსკოვში ჩასულ ბროსეს ქართულ სიძველეთა, უმთავრესად წარწერათა მოძიებასა და წაკითხვაში. ბროსეს შემწეობით დაინიშნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კომისიონერად მოსკოვში<sup>1</sup>.

პ. ქებაძემ მოსკოვში 35 წელიწადზე მეტი გაატარა და 1851 წელს დაბრუნდა საქართველოში. ეკონომიურად გადატაკებული თბილისში ნაჭირავებ ბინაში ცხოვრობდა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოგზავნილი წიგნების გაყიდვით მიღებული უმნიშვნელო შემოსავლის პროცენტებია ყოველდღიურად ძლივს ირჩენდა თავს. 1852 წლის 13 ივლისს ცნობილი თეატრალი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი მელდინეთხუციშვილი მარი ბროსეს პეტერბურგში სწერდა: პეტრე ივანიჩი „თქვენ გთხოვთ უმორჩილესად უშუამავლოთ და შეეწივნეთ აკადემიაში ესოდენ შრომის (იგულისხმება წიგნების გაყიდვა — ო. კ.) მიღებისათვის მიეცეს მას რაიმე ჯილდო, რადგანაც საკუთრივ თვინიერ სხუა საქმისა, მხოლოდ ამ წიგნების გასასყიდლად აკადემიის ბრძანებით სცხოვრობს ტფილისში თავის ხარჯზე ქირით დაჭერილ ხალხში“<sup>2</sup>.

მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოგზავნილი წიგნების გაყიდვას პ. ქებაძე დიდ შრომასა და ენერგიას ახმარდა. მათი წარამარა გახსნა-შეფუთვა და აქეთ-იქით წაღებ-წამოღება საგრძობი ფიზიკური ძალის დახარჯვას მოითხოვდა მისგან. განსაკუთრებით ხშირად ჩაჰქონდა სხვადასხვა სახის ლიტერატურა თბილისიდან გორში, სადაც ახლობელ-მეგობრების დახმარებით ავრცელებდა ხალხში. ამგვარი საკომისიონერო მოღვაწეობა პეტრეს არა მარტო ყოველდღიური საარსებო საშუალების შოვნის შესაძლებლობას აძლევდა, იგი მისთვის მაცოცხლებელი სულიერი წყაროც იყო, რადგანაც წიგნების ბეჭდვა-გამოცემა და მათი ხალხში გავრცელება ერის კულტურული დაწინაურების საფუძვლად მიაჩნდა. ამიტომაც იყო, რომ იგი წიგნების გაყიდვა-გავრცელებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. გამოწვლილვით სწავლობდა მოსახლეობის მოთხოვნილებას ლიტერატურაზე და ყოველწლიურად ცდილობდა

<sup>1</sup> მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, 1983, გვ. 202.

<sup>2</sup> კრებული „საისტორიო მოამბე“, გვ. 24.

პეტერბურგიდან შეკვეთილი წიგნების დროულად მიღებას. დიმიტრი მეღვინეთხუციშვილი 1851 წლის 16 ნოემბერს მ. ბროსეს ატყობინებდა: „მე და პეტრ ივანიჩი ხშირად ვართ ერთად... ეს საუცხოვო, მშვიდობიანი კაცი ყოფილა. მან სთხოვა რაპორტით აკადემიას და მეც მითხრა მოგწეროთ — გამოგზავნოთ ოცი ეკზემპლარი გეოგრაფია ვახუშტისა და ოცი ეკზემპლარი ლექსიკონი ჩუბინოვისა. გასაყიდად ითხოვენ“<sup>1</sup>.

მძიმე ეკონომიურმა პირობებმა, თავდაუზოგავმა შრომამ და საწუთროსაგან განაწამები კაცისათვის დამახასიათებელმა დარღმა გატეხა ხანდაზმულობისაგან ისედაც შერყეული პ. ქებაძის ჯანმრთელობა და იგი დასნეულდა. „ქებაძე სწუხა, რომ თქვენ დიდი ხანია წიგნი ველარ მოგართოთ და აღარც თქვენგან მოსვლია. — სწერდა დიმიტრი მეღვინეთხუციშვილი 1852 წლის 14 მარტს მარი ბროსეს. — ეხლაც ბოდიშს იხდის და გთხოვთ უმორჩილესათ მოსწეროთ ატლასი და წერილი წიგნები საკუთარია თუ თქვენი გახლავთ... დიდათ სურდა დაწვრილებით ეს თითონ მოეწერა, მაგრამ ძალიან ხელი უკანკალეებს; ავადმყოფობას არ არის დიდი ხანი რაც მორჩა და აი, ჩემთან ზის, ამ წიგნს ეს მაწერინებს“<sup>2</sup>.

პ. ქებაძე ერთხანს კი წამოუდგა ავადმყოფობას საწოლიდან, მაგრამ ეს იყო დროებითი გამოკეთება. სენმა მაინც თავისი გაიტანა. იგი 1856 წელს გარდაიცვალა. ამ ამბით შეწუხებული დიმიტრი მეღვინეთხუციშვილი მარი ბროსეს აცნობებდა: „მრავალჯერ განვიზრახე წიგნის მორთმევა, რომელითაც მსურდა მომეხსენებინა... სიკვდილი საწყალი ჩვენი პეტრ ივანიჩის ქებაძისა, მაგრამ ვერ გავებდე“<sup>3</sup>.

პ. ქებაძე განსახიერება იყო იმ ძველ ქართველ მოღვაწეთა, რომლებსთვისაც ერისა და ქვეყნის სამსახური, მაღალი ზნეობრივი კეთილშობილება, ქეშმარიტი პატიოსნება უშმისდეს იდეალად ითვლებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა ის გულალალი ურთიერთობა, რომელიც მას საზოგადოებრიობის ფართო ფენებთან, ხალხთან აკავშირებდა. „საწყალი პეტრ ივანიჩი ყოველთვის სწუხდა, რამდენმა გამომართო [წიგნები] და

<sup>1</sup> კრებული „საისტორიო მოამბე“, გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 22.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 28.

და ჯერ ფული ვერ შემიკრებია, რომ სრული ანგარიში გავგზავნო აკადემიაშიო<sup>1</sup>. — სწერდა 1856 წლის 13 დეკემბერს დიმიტრი მელვინეთხუციშვილი მარე ბროსეს.

### სვიმონ ტაბიძე

სვიმონ ტაბიძე XIX საუკუნისათვის პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მესტამბე-გამომცემელთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მასზე, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონს, რომლის ოჯახთანაც იმჟანად რუსეთში მცხოვრებ სხვა ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად წლების მანძილზე ახლო ურთიერთობა ჰქონია.

ს. ტაბიძის პეტერბურგში დასახლების თარიღი, ისევე, როგორც მისი სხვა ბიოგრაფიული მომენტები დღემდე დაუდგენელია. ტრ. რუხაძის ცნობით სვიმონი 1776 წელს დაბადებულა დღევანდელი ვანის რაიონის სოფელ სტობანიერში. შემდეგ იგი თითქოს მზითევში გაუყოლებიათ ფარეშად იმერეთის მეფის სახლთხუცესის, ერთხანს ქუთაისისა და საჩხერის სტამბების გამგებლის ზურაბ წერეთლის ასულის ქეთევანისათვის იოანე ბაგრატიონზე გათხოვებისას. 1801 წელს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეების ერეკლე II და გიორგი XIII ოჯახების წევრთა რუსეთს მასობრივი გაზიზვნის შედეგად იოანე ბაგრატიონთან და ქეთევანთან ერთად სვიმონ ტაბიძეც პეტერბურგში გადასახლებულა საცხოვრებლად<sup>2</sup>.

ტრ. რუხაძის ცნობა სვიმონ ტაბიძის ქეთევან წერეთლისათვის მზითევში ფარეშად გაყოლების, მისი პეტერბურგში დასახლებისა და განსაკუთრებით კი დაბადების თარიღის შესახებ წყაროთა უსაფუძვლობის გამო სრულიად სამართლიანად არ გაიზიარა თ. ენუქიძემ. „ტრ. რუხაძის მიერ მითითებულ ხელნაწერში ამ ცნობის მსგავსი არაფერია დაკული (იგულისხმება სვიმონის მზითევში გაყოლება — ო. კ.) — წერს მკვლე-

<sup>1</sup> კრებული „საისტორიო მოამბე“, გვ. 30.

<sup>2</sup> გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946, № 22.



ვარი. თანაც საექვოდ მიგვაჩნია... ცნობა ს. ტაბიძის დაბადების თარიღის შესახებ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q—781 ხელნაწერში, 1881 წლის თარიღით, მოგვეპოვება ს. ტაბიძის ლექსი-ავტოგრაფი, რომელიც მიძღვნილია ალექსანდრე II გარდაცვალების გამო პეტერბურგში ჩასული ქართველი დეპუტატებისადმი. ჩვენ გვეჩვენება, რომ ტაბიძეს 1776 წლიდან 1881 წლამდე და შემდეგ ეცოცხლოს<sup>1</sup>.

საექვოდ ჩანს აგრეთვე ტრ. რუხაძის ცნობა ს. ტაბიძის სადაურობაზე. იგი რომ ნამდვილად ვანის რაიონის სოფელ სტობანიერში ყოფილიყო დაბადებული, დოკუმენტურ მასალებში საკუთარ თავს გურულად არ მოიხსენიებდა. მის მიერ გადაწერილ „გამოკრებულ ქართლის „ცხოვრების“ ანდერძში ნათქვამია: „მე სვიმონ ტაბიძემ, გურულმან, გადმოვქსწერე ნამდვილიდამ წიგნი ესე ქართლის ცხოვრება შემოკლებულა, 1834 წელსა, დეკემბრის 12-სა სანკტ-პეტერბურღს“<sup>2</sup>. გურიის მკვიდრადაა მოხსენიებული სვიმონი აგრეთვე მთელ რიგ სხვა ხელნაწერებშიც.

პეტერბურგში ცხოვრების პერიოდში ს. ტაბიძე ძალზე ინტენსიურ ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. თ. ბაგრატიონის დავალებით მას საკმაოდ ბევრი ძველი ქართული ხელნაწერი გადაუწერა. ს. ტაბიძეს პეტერბურგში გადაუწერია, მაგალითად 1822 წელს ი. შავთელის „თამარიანი“<sup>3</sup>, 1851 წელს მიხეილ გიორგის ძე ბაგრატიონისათვის სახსოვრად მისართმევი არისტოტელეს „კატელორია“<sup>4</sup>, 1862 წელს პროკლე დიაღობოსის კავშირნი ღვთისმეტყველებათანი<sup>5</sup> და ბაუმეისტერის „ლოლიკა“<sup>6</sup>, 1880 წელს — „სავედრებე-

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მოამბე, II, 1960, გვ. 101.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—182.

<sup>3</sup> ზუგდიდის მუზეუმის სხვადასხვა თხზ., ფონდი № 5.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. H—2142.

<sup>5</sup> იქვე, H, № 2238.

<sup>6</sup> იქვე, H № 2247.

ლად და საქებლად ყოვლად წმ. დედოფლისა მარიაამისა<sup>1</sup>, 1841—1843 წლებში ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორია“<sup>2</sup> და სხვა. 1869 წელს მას სამჯერ გადაუწერია ვახტანგ VI „დასტურლამალი“<sup>3</sup>.

ს. ტაბიძის ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა მარტო ძველი ხელნაწერების გადანუსხვით როდი შემოიფარგლებოდა. იგი თავისი დროისათვის საკმაოდ ნიჭიერ პოეტადაც ითვლებოდა. მისი ლექსები გამოირჩეოდა თემის კონკრეტულობით, აზრის სიცხადით, ემოციურობით, რითმის ყლერადობითა და სხვა.

პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში ჩამოყალიბდა ს. ტაბიძე როგორც პროფესიონალი მესტამბე. მას დაუბეჭდია მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის რედაქციით 1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. ამას მოწმობს პოემისათვის ლექსად დართული მესტამბე-გამომცემელთა ანდერძი, სადაც ნათქვამია: „მესტამბე სვიმონ ტაბიძე ბეჭდვაზედ იყო მცდელი“.

სვიმონს წიგნების ბეჭდვა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში შეუსწავლია, რისთვისაც მას ოფიციალური მოწმობა — ატესტატიც კი ჰქონია მიღებული, მაგრამ არჩეული პროფესიით მუშაობას დიდხანს არ გააყლია. მძიმე კონომიური მდგომარეობის გამო, რაც განპირობებული იყო იმ დროისათვის უცხო მხარეში მოხვედრილი ქართველი მესტამბის მიერ წელიწადში თითო-ორჯერად წიგნის დაბეჭდვით მიღებული ძალზე უმნიშვნელო შემოსავლით, იძულებული გაუხდია სვიმონი მეცნიერებათა აკადემიის სტამბისაგან გაცემული ატესტატის ისეთი საბუთით შეცვლაზე ეზრუნა, რომელიც ნებისმიერ შესაბამის სამსახურში მუშაობის დაწყების საშუალებას მისცემდა. ამ საქმეში მისთვის აქტიური დახმარება თ. ბაგრატიონს გაუწევია. ამას მოწმობს 1843 წლის 27

<sup>1</sup> ზუგდიდის მუზეუმის სხვადასხვა თხზულებათა ფონდი, № 5.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H № 23.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედაქციით, 1970, გვ. 469—474.

იანვრით დათარიღებული მარი ბროსესადმი გაგზავნილი მისი წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „სვიმონიკა ტაბიძე გვედრებათ და მე შუამდგომელად შემოვყევარ თქვენთანა, რომ შეეწივნეთ და ეს ატესტატი, რომელიც ამას მიუღია სახელმწიფოს ტიპოღრაფიით აკადემიისა — გამოუცვლევინეთ ესრეთ, რომ კარონის სამსახურის ატესტატი (ესე იგი სვიდუტელსტვა) მიეცეს, რომ შეეძლოს იმითი სამსახურში სადმე შესვლა. თქვენს აკადემიის კომიტეტში ითხოვეთ და ესეც გამოაცხადეთ, რომ შუამავალი მე ვარ ამ სვიმონ ტაბიძისა“<sup>1</sup>.

შეძლო თუ არა მარი ბროსემ თ. ბაგრატიონის თხოვნის შესრულება, დაუდგენელია. ის კი ცნობილია, რომ 1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის შემდეგ, ს. ტაბიძეს სხვა არც ერთი ქართული წიგნის გამოსვლაში მონაწილეობა აღარ მიუღია. XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან იგი მთელ თავის ძალასა და ენერგიას უმეტესად ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას ანდომებს.

ღრმად მოზრუნებული ს. ტაბიძე გარდაიცვალა XIX საუკუნის 80-იან წლებში პეტერბურგში.

---

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1964, გვ. 87.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორის ავტორი	3
ქართული წიგნის ბეჭდვის ძირითადი ეტაპები (XVII—XVIII საუკუნეებში)	5
XVII—XVIII საუკუნეებში უცხოეთში დამზადებული ქართული შრიფტები	30
1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“	43
1743 წელს დაბეჭდილი ქართული „ბიბლია“ და ანდრია იოვანოვიჩი	56
XVIII საუკუნის ქართული ნაბეჭდი წიგნის სტამბური კანონობა	64
სასულიერო და საერო ლიტერატურის ურთიერთობისათვის (მოკლე ექსკურსი)	92
ორი ძველი ქართული არარსებული სტამბის შესახებ	103
XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაბეჭდილი ქართული წიგნები (1800—1860)	113
უცხოეთში დაბეჭდილი ქართული წიგნები (XIX ს.)	175
ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემის ისტორიისათვის (XVIII—XIX საუკუნეებში)	198
ი. ჭავჭავაძე და „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა“ (ი. ჭავჭავაძის საგამომცემლო მოღვაწეობიდან)	274
ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის პოზიციებიდან	288
ქართული წიგნის ბეჭდვა-გამომცემის ძველი ოსტატები	302

КАСРАДЗЕ ОТАР ВАСИЛЬЕВИЧ  
ОЧЕРКИ ИЗ ИСТОРИИ ПЕЧАТАНИЯ  
ГРУЗИНСКОЙ КНИГИ

Издательство «Хеловნება»  
Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 179  
1997

რედაქტორი ჭილა გორდაძე. მხატვრული რედაქტორი გიორგი ინასარიძე.  
ტექნიკური რედაქტორი სოფიკო შაყულაშვილი. კორექტორი მარია მგა-  
ლობიშვილი. გამომწვეები რომან სარალიძე.

ტირაჟი 300. შეკვეთა № 174.  
ფასი სახელმწიკრულებო

გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი,  
დავით აღმაშენებლის გამზირი 179.

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინტი“,  
თბილისი, შარქანიშვილის ქ. № 5.